ამიერითგან არცაღა მეფეთა თანა მიც შესაპოვარი, არცაღა სხუასა ვის ქუეყანასა ზედა; აწ ვევედრები სიწმიდესა თქუენსა, ღუთისა სიყუარულისათჳს შემინდვეთ და ნუ მაიძულებთ ამის პირისათჳს, რამეთუ უკუეთუ წარვიდე, ამის სოფლისავე შფოთთა შთამაგდებენ“. და იგინი ევედრებოდეს, ვითარმედ: „უკუეთუ ამას ჟამსა ურჩ ვექმნეთ მეფეთა, დიდსა რისხვასა მოვაწევთ ჩუენ ზედა და მონასტერსა ამას ზედა“. და ამას ცილობასა ზედა გარდაკდა შჳდეული ერთი. ხოლო უკუანაჲსკნელ, უნდა თუ არა, ყოველი ბრალი მამამან ათანასი და მამამან იოანე მიიდვეს,[20]) და ძლიით დაარწმუნეს წარსლვაჲ

ხოლო ბასილი და კოსტანტი მას ჟამსა წუთღა ურმა
21. იყვნეს და ყოველი განსაგებელი დედოფალსა ეპყრა და
პარაკიმენონსა· და ვითარცა აღვიდა თორნიკ სამეუფოდ, მეყსეულად შეიყვანა იგი პარაკიმანოსმან მეფეთა წინაშე და მეფენი და დედოფალი ზე აღუდგეს და პატივით მოიკითხეს და გუერდით დაისუეს. და უბრძანა დედოფალმან ბასილის და კოსტანტის და ფერჴთა შეუვრდეს; და დედოფალმან მიუგო, ვითარმედ: „წმიდაო მამაო, რაჲცა

[30]) ვარ.: დაიდვეს, მივიდეს და

ამათ ობოლთა თანა ჰქონა, ღმერთმან მოაგოს სულსა მენსა".

და ესე ვითარი რაჲ ქომი დახუდა იოანეს, შინა გამოდებით მრავალფერთა საქმეთა თჳს ამხილა დედოფალსა, და მან უოველი სიმდაბლით შეიწუნარა და ადუთქუა, ვითა: „წმიდაო მამაო, რაჲცა მიბრძანოს მამობამან თქვენმან, თქუენსა ბრძანებასა არა გარდავჰკდე, ოდენ ღმერთმან დაგარწმუნოს, შრომაჲ თავს იდევ. და, რომლით ცა სახითა 22.
გნებავს, წარვედ კურაპალატ-სა წინაშე და უოველი ჭირი ჩუენი აუწყე დ', ვესავ ღმერთსა, რომელ იოტოთ იგი ულმრთო სკლიაროსი და ჩუენ ჭირისაგან განგუარინნეთ". ფრიად ეჳედრა დედოფალსა, რათამცა განათავისუფლა და, ვითარ იხილა მოუდრეკელობაჲ მისი, მიუგო ესრეთ, ვითარმედ: „მე ჩემთა ცოდვათათჳს შევიმოსე სახე ესე და უწყის ოჯფალმან, რომელ სწორად სიკუდილისა მძიმე არს ესე საქმე ჩემზედა. გარნა რაჲ ვყო, არა ვიცი[31]), წმიდასა მეფობასა თქუენსა ურჩ ვერ ვექმნები". და კუალად დედოფალმან და შარაკიმანოსმან ჰქუეს, ვითარმედ: „შენ ოდენ ამათ ობოლთა კელი აღუშუარ და, რაჲცა ბრალი იყოს, ღმერთმან ჩუენგან იძიენ". და ესრეთ წიგნები ვედრებისაჲ დაწერეს კურაპალატსა თანა, და ესრეთ იჯმნა მეფეთაგან და რომლითაცა სახითა კურაპალატსა წინაშე 23.
მიიწია თორნიკ.

სოლო იხილა რაჲ იგი კურაპალატმან, ფრიად განიხარა და წიგნები მეფეთაჲ მიითუალა და უოველივე საქმე თორნიკ გააცადა; რომლისათჳსცა განზრახვაჲ ქმნეს, რათა ლაშქარნი წარმგზავნენ საბერძნეთს და სპასალარად თორნიკ განაჩინეს. სოლო თორნიკ კურაპალატისა და თავისა წიგნები მეფეთა წინაშე წარსცა და უოველი ნებაჲ კურაპალატისაჲ აუწყა და მაშინ მისცნეს მეფეთა ზემონი

---

[31]) ვარ.: არა უწყი.

ქუეყანანი საბერძნეთისანი კურაპალატსა, რათა თავისა სიცოცხლესა ჰქონდინ.

ხოლო თორნიკს მოუწერეს: „ვიცით, რომელ დმერთი შეგეწევის და ნურარას ორგულობ[32]) და ოდეს დმერთმან წარგიმართოს, ყოველნი წინა აღმდგომნი ჩუენნი დატყუენ[33]) და ყოველივე ნატყუენავი მათი შენი იყოს".

24. რომლისათჳსცა მისცა კურაპალატმან ათორმეტი ათასი მკედარი რჩეული თორნიკს, და შეწევნითა ქრისტესითა აოტა სკლიაროსი და ვიდრე სპარსეთამდე მეოტად წარიქცია და მერმე შეიქცა და სიტყჳსაებრ მეფეთაჲსა დაატყუენნა ყოველნი დიდებულნი საბერძნეთისანი და მოხაგები მათი იავარყო და რომელიმე ლაშქართა განუყო და რომელიმე თჳთ დაიმჭირა ნატყუენავი დიდძალი ფრიად: ოქროჲ, და ვეცხლი, და სტავრაჲ, და სხუაჲ ესე ვითარი, და უკუნიქცა, და მოიკითხა კურაპალატი და დიდად მოიმადლა, და იჴმნა და მეფეთა წინაშე მოვიდა.

ხოლო იგინი დიდითა პატივითა მიეგებნეს ჲ მოწყლედ მოიკითხეს. იჴმნა უკუე მათგანცა და გამოეთხოვა და კუალად მთაწმიდასვე მოიქცა, ლავრად დიდისა პანასესსა.

25. ხოლო მამანი სიხარულით მიეგებნეს და ამბორს უყვეს და მადლობდეს დმერთსა, რომელმან კუალად მოაქცია მშჳდობით.

და ამისა შემდგომად განიზრახეს მამათა ჩუენთა და თქუეს, ვითარმედ: „აქა ყოფაჲ ჩუენი შეუძლებელარს, კაცნი ვართ საჴელოვანნი და ქართველნი მოგუმართებენ". და ესე გამოარჩიეს[34]), რათა კიდე თავისუფლად თჳსი მონასტერი ადაშენონ. დაღათუ უძნდა საქმე ესე იო-

---

[31]) ვარ.: ორგულებ.

[33]) ვარ.: დაატყუსნენ.

[34]) ვარ.: განიზრახეს.

ანეს, გარნა [35]) ქართველთა განსუენებისათჳს და უფროჲს ხოლო თორნიკის აშენებისათჳს თავს იდვა ყოფაჲ [36]) და ღუთისა მოშადლებითა პოვეს ადგილი შუენიერი შუა მთაწმიდისა, და აღაშენეს მონასტერი და ეკლესიანი, წმიდისა ღვთის მშობელისა სახელსა ზედა და წმიდისა იოანე ნათლისმცემელისასა, ფრიადითა ოფლითა და ღუაწლითა, და ადგილნი მრავალნი, მონასტერნი და სადაყუდებელნი გა- 26.
რემოჲს დიდისა მონასტრისა ვიდრე იმერად [37]) ზღუადმდე თჳსითა საფასითა იყიდნეს, რომელნი იგი შუენიერ არიან და საწადელ და მომზავებელ სულიერთა მონაზონთა საყოფლად.

და ეგრეთვე ღუთისმსახურთა მეფეთა, ვინაჲთგან ესე ვითარნი მსახურებანი ჰმსახურნეს და დიდნი საქმენი უქმნეს, რომელნიცა ადგილნი და სოფელნი სთხოვნეს, ყოველნი ოქრობეჭდითა დაუმტკიცნეს; რომელნი იგი მრავალცა არიან და რჩეულ ფრიად, ვითარცა ამას ქუეყანასა შეჰგავს.

ხოლო იყო რაჲ თორნიკ ადმოსავალეთს, მრავალნი ფიჩოსანნი და სახელოვანნი მონაზონნი ჩამოიტანნა, [38]) სიმრავლე არა მცირედი, და ენება, რათა ქართველნი ოდენ იყვნენ მონასტრისა ამის მკვდრნი ყოველნი. გარნა ვინაჲთგან ამისი ქმნაჲ შეუძლებელიყო, იძულნეს [39]) ბერძენთაცა 27.
შემოყვანებად, რამეთუ ჩუენ, ვითარცა ხედავთ, ზღუსა რაჲთურთით გამოცდილებაჲ არაჲ გუაქუს და ჩუენი ყოველი გასაროშელი *) ზღჳთ შემოვალს, და მერმე თჳნიერ მჭედელთა, და ხუროთა, და გალატოზთა, და მევენაკეთა, და ნავისმოქმედთა და სხუათა ეს ვითართა ამის ეს ვითარი-

---

[35]) ვარ.: რათა.

[36]) ვარ.: იდვეს ამისი კელყოფაჲ.

[37]) ვარ.: იმიერად.

[38]) ვარ.: წამოიტანნა.

[39]) ვარ.: იიძულეს. *) გამოსაზრდელი.

სა ვრცელისა ლავრისა დამჭირვაჲ უღონოარს და. ესე
ყოველი გამოანახეს წმიდათა მამათა ჩუენთა, და, თუ უნდა ღ
თუ არა, ვითარცა ვთქუთ, შეიწუნარნეს [40]) იგინიცა. და ეს-
რეთ დუთისა შეწევნითა სრულ იქმნა შენებაჲ მონასტრისაჲ

სოლო თორნიკ ვინაჲთგან იოტა სკლიაროსი და
კუალად აქავე მოიქცა ურიცხჳთა საფასითა და განძითა,
რამეთუ უფროჲს ათორმეტისა კენდინარისა მოიღო განძი
ოდენ სხუათა ტურფათაგან კიდე, რომელი [41]) იგი ყოველივე
28. მამისა თჳსისა სულიერისა იოანეს კელთა მისცა [42]) და თავი
თჳსი სრულიად უარ ყო და არცა თუ მცირედი რაჲმე დაუ-
ტევა კელმწიფებასა ქუეშე თჳსსა, არამედ ეგე ვითარმან მან
განთქუმულმან და საჩინომან კაცმან ყოველივე ნებაჲ თჳსი
მოიკლეთა და სრულებით შეუდგა მორჩილებასა მისსა, და
ესე ზომი მკურვალებაჲ აჩუენა, რომელ უკუეთუმცა შესა-
ძლებელ [43]) იყო თჳნიერ მისისა ბრძანებისა არცამცა წყლი-
სა გემოჲ იჳლა და არცამცა სიტყუაჲ ერთი აღმოთქუა და
არცა თუ ფოლასა ერთისა ზედა უფალიყო, არამედ ყო-
ველსავე მამაჲ იოანე განაგებნ და მისცემნ, ვითარცა ნე-
ბის [44]) და სადაცა ჯერ იყვის.

სოლო ვინაჲთგან სათნოებათა ყოველთა თავი მორჩი-
ლებაჲ არს სულიერთა მამათაჲ და ნებისა თჳსისა განკუე-
29. თაჲ, [45]) და ესე ესრეთ აქუნდა, ვითარცა ვაუწყუე ღუთის მო-
უუარებასა თქუენსა და ფრიად უმაღლესად, რამეთუ უნდო-
თაცა გულის სიტყუათა ტირილით გამოუცხადებნ ნეტარსა

---

[40]) ვარ.: შიეწყნარეს.

[41]) ვარ.: რომელმან.

[42]) ვარ.: სულიერისა კელთა მიიღო.

[43]) ვარ.: შემძლებელ.

[44]) ვარ.: ინების.

[45]) ვარ.: მოკუსთა.

იოანეს და კანონსა და მენდობასა ითხოვნ. 46) სხუათა მათ სათნოებათა მისთა გამოწულილვით აღწერა'ა ნეფსით თანა წარვჰკვედით, რამეთუ ჭეშმარიტად ყოვლითავე სათნოებითა სავსე იყო ნეტარი ესე: სიმდაბლითა, სიწრფოებითა და უმანკოებითა; და მარადის ეტყვნ დიდსა იოანეს, ვითარმედ: „მამაო, თჳთ იცი, რამეთ დიდად ცოდვილ ვარ და სიკუდილი ჩემი მოახლებულ არს და უნებელი 47) სიწმიდისა თქუენისაჲ არა ვარ, 48) არამედ ნებაჲ ჩემი და თავი ჩემი მემდგომად ღუთისა, შენდა მიმიცემია; ვითარცა გნებავს, აცხოვნე სული ჩემი“.

ამას რაჲ ესე ვითარსა მკურვალებასა მისსა ხედვიდა 30.
ნეტარი მამაჲ ჩუენი იოანე, ფრიად მოსწრაფე იყო, რათა არა რაჲ იპოვოს 49) რაჲთურთით მისთანა ნაკლულევანებაჲ რაჲმე, და ჯეროვნად პატივსცემნ მას, და ერიდებან, და განუსუენებნ და სწყალობნ სიბერე'სა მისსა.

ხოლო ვინაჲთგან დიდი თორნიკ წყობათა შინა აღზრდილიყო და სალაშქროთა საქმეთა, ამათ ესე ვითართა პირთათჳს უბნობაჲ და ჭამბავი უყუარდა, და, ვითარცა ვთქუთ, მამაჲ იოანე ერიდებინ და არა უნდა, რათამცა ამხილა მას, რათა არა მოწყლას გონებაჲ მისი, და ვითარცა იყვნეს მას ჟამსა კაცნი წარჩინებულნი და პატიოსანნი, შევიდიან და ეუბნებოდიან მას ზემო თქუმულთა ამათ პირთათჳს.

მაშინ, ვითარცა იხილა იოანე, რამეთუ სიწრფოებით იქმს ამას, შეეშინა, ნუ უკუე ამის სახისათჳს ზღვევაჲ რაჲმე სულიერი შეამ(თ)ხვოს ღირსსა მას და თჳსსაცა სულსა; ამისთჳსცა ჰქუა მას მამამან იოანე, ვითარმედ: „საყუარე- 31.

46) ვარ.: ხოლო.

47) ვარ.: უნებური.

48) ვარ.: თქუენისა ვარ.

49) ვარ.: იპოოს.

ლო ძმაო, ვხედავ, რომელ მადლითა ღუთისაჲთა კეთილად წარმართებულხარ მცნებათა შინა ღუთისათა და არა მნებავს, რათა კრძალვისა გზითა ზღვევაჲ რაჲმე მოვატყუა სულსა შენსა; აწ დააცადე სოფლიოთა მაგათ საქმეთა უბნობაჲ და ამიერითგან სხუასა ნუ ვის ეუბნები, გარნა გაბრიელს ხოლო ხუცესსა". ხოლო ხუცესი იგი ესე ვითარი კაცი იყო, რომელ ჴირსა მისსა მსოფლიოჲ სიტყუაჲ არა გამოვიდოდა, არამედ ყოველივე სადღუთოჲ და სულიერი. ესე რაჲ ესმა დირსსა მას, მეუსეულად დავარდა ფერკთა თანა მისთა და ცრემლით ეტყოდა, ვითარმედ: „და რად დაიდუმე აქამომდე და არა მამხილე, წმიდაო და ღმერთშემოსილო მამაო!" ხოლო მამამან ოანე ადადგინა იგი და ჰქუა: „ოჳფალმან შეგინდვენ, გარნა აწ ხოლო
32. ეკრძალე." და მიერითგან მონასტრისა ძმათა არღარა ვის ეუბნებინ. გარნა თუ უცხოჲ ვინ [50]) მოვიდის და მცირედი რაჲმე სიტყუაჲ მიუგის მას. და ესრეთ, ესე ვითარსა ამას სულიერსა ცხორებასსა შინა აღასრულნა დღენი თჳსნი [51]) და ღუთისა მივიდა, და ჭეშმარიტად წამეს მამათა ჩუენთა მისთჳს, ვითარმედ: „ღმერთმან შეუნდვნა ცოდვანი მისნი და საუკუნესა ცხორებასსა ჴირსყო".

ამათ ჴირსთა და სანატრელთა მამათა ჩუენთა დიდნი საფასენი და მრავალნი ტურფანი [52]) შეწირნეს დიდსა ლავრასა და ყოველთა მონასტერთა მთაწმიდისათა, რომელნი იგი მას ჟამსა წუთდა გლახაკ იუვნეს და არა განმრავლებულ ესოდენ, და საშოვალსა, რომელ არს ყოველისა მთისა შესაკრებელი, ფრიადნი საკმარნი და მონაგებნი მისცნეს და
33. ყოველთავე ზოგად და თჳთოეულად კაცად კაცადსა ფრიადი საფასე განუუვეს, რომელთაგანი რაოდენიმე მოვიკსე-

---

[50]) ვარ.: ვინმე.

[51]) ვარ.: მისნი.

[52]) ვარ.: საკმარნი.

ნოთ და სხუაჲ იგი დავაცადოთ, რათა არა ფრიადი სიმრავლე წერილისაჲ იქმნას და საწყინო ვიქმნეთ მკითხველთა და მსმენელთა.

დიდსა უკუე ლავრასა მისცეს, ვითარცა ვთქუთ, ოქროპეშჭედი[53]) განძისა ორას ორმეოცდა ოთხისა დრაჰკნისაჲ ჩიმკჳისა[54]) ბოძებული იოანესდა და ესე ყოველთა წელთა აქუს შალატით ლავრასა, და კუნძული, რომელსა ნეოს ეწოდების, ბასილი მეფისა ბოძებული იოანესდავე, რომლისაგან გამოსალს, გამოსავალი ყოველთა წელთა იდ ლიტრაჲ[55]), გინა ათხუთმეტი და ოდესმე ოცი; და კუალად მისცეს ოქროჲ განძად ათუალული ჟე ლიტრაჲ, და ძელისა ცხორებისა ნაწილი ვეცხლისა ბუდიჲა და ორნი ბარძიმნი დიდნი ვეცხლისანი და ფეშხუმი[56]) კოვზითურთ დაჭრწკლით, და ნაწილის შთასასუენებელით ვეცხლისაჲთ[57]), და ეს ყოველნი ოქროცურვებულნი, საკუთხეველის (?) შესამოსელი ოქრონემსული და მეორე ოქსინოჲ, ორნი წიგნნი ოქროპირისანი—მარგალიტნი[58]), სხუაჲ წიგნი წმიდისა ეფრემ-სი, სხუაჲ წიგნი სწავლანი წმიდისა კჳრილესნი, სხუაჲ წიგნი, რომელსა სწერიან ყოველნივე ძუელნი წიგნნი, და საწინაჲსწარმეტყუელოჲ და მაკაბელთაჲ, სხუაჲ წიგნი სადღესასწაულოჲ საჩინოთა წმიდათაჲ, ოთხთავი სტავრაჲთა შემოსილი ჲ ვეცხლისა ფილოკილოჲთა და ჯუარითა, ჯუარი სალიტანიე ვეცხლისაჲ ოქროცურვებული მცლაზმაგისა[59]) ხატებითა, ჯუარსცუმისა ხატი ცჳლოჲნ დიდი, ას დრჰკნად ფასებული, სხუაჲ დიდი ხატი ვედ- 34. 35.

---

[53]) ვარ.: დიდძალი ბეჭედი.
[54]) ვარ.: წამიშკისა.
[55]) ვარ.: ათორმეტი ლიტრა.
[56]) ვარ.: ფეშხუმი.
[57]) ვარ.: შთასასვენებელი ვეცხლისა.
[58]) ვარ.: მარგალიტიანნი და
[59]) ვარ.: ველაჲზმაგისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებისაჲ, სხუაჲ ხატი—გარდამოკსნაჲ, ნიკიფორ მეფისა ნიშებელი, სხუაჲ ხატი—კანკელი ათორმეტთა მოციქულთაჲ, სხუაჲ ხატი წმიდათა დიდთა მოწამეთაჲ, სხუაჲ ხატი ცვლოანი ნათლისმცემელისაჲ, სხუაჲ ხატი ცვლოანი წმიდისა ევსტრატისი, და ალვაჲასი ლიტრაჲ, და ოთხნი ჯორნი, და სამნი ცხენნი, ჴ ნავი ხუთასისა მოდისაჲ, ჴ კელიონნი, რომელთა ზედა წააგეს საშენებელად—ზემოთა ზედა ხუთასი დრაჰკანი და ქუემოთა—ასი დრაჰკანი, და სხუაჲ ესევითარი; და ესე უოველი თჳთ წმიდისა მამისა ეფთჳმეს ხელთა ნუსხისაგან დაგჳწერია, ვინაჲცა ჭეშმარიტ არს და უტყუველ.

36. ეგრეთვე საშოალსა მისცეს განძი ინდიკტიონსა Გ ლიტრაჲ ათოთხმეტი[60]) გასაყოფელად უოველთა, და კუალად ᲘᲐ ინდიკტიონსა გაუუვეს სხუაჲ ᲘᲔ ლიტრაჲ, და მისცეს კარიისა ეკლესიასა, რომელ არს შესაკრებელი უოველთაჲ, ბარძიმ ფეშხუემი ვეცხლისაჲ, ოქრო ცურვებული ხატებითა, და კანკელი საუფლოთა დღესასწაულთაჲ, ჴ თარგმანებაჲ სახარებისაჲ, ჴ სამნი ხატნი დიდნი ვედრებისანი, და ორნი სკარამანგნი, და ორნი ჯორნი; და მისცეს იკონომოსსა საშოალისასა ლიტრაჲ ერთი განძი საშოალისათჳს წასაგებელად, სასუიდლად ქორა კანდელთა[61]), ვეშაპაკთა, და ჯაჭუთა, და კელაპტართა; და კუალად შემდგომად თორნიკის სიკუდილისა ᲘᲒ[62]) ინდიკტიონსა მისცეს მთასა გასაყოფლად ლიტრაჲ ოცდარვა, და ერისთჳს
37. მისცნეს სახლნი შჳდ ლიტრად სუიდულნი ზღუდითურთ, სადგურად მიმავალთა ძმათა; და კუალად მისცეს მუნვე ვენაკი რჩეული, ხუთ ლიტრად ფასებული; და ესეცა უოველი შამათაჳე ჩუენთა დაწერილისაგან დაგჳწერია. კაცად კაცადისა კულა მიცემული ვინ აღრაცხოს! რომელსა იგი თჳ-

---

[60]) ვარ.: ᲘᲒ

[61]) ვარ.: ქორკანდელთა.

[62]) ვარ.: ᲙᲔ.

თოეული მათი კმა მაღლად ქადაგებს და ღმერთსა ცათა შინა აღუწერიეს. და მამამანცა ეფთჳმე, ამის ზემო წერილისაგან კიდე, მისცა თჳსისა მონასტრისათჳს ეფთჳმე-წმიდისა საშოალსა ორასი დრაჰკანი, რომელი იგი შემდგომად წინამძღურობისაგან ჯმნისა აღაშენა მთასა გარე. აქა უკუე დავაცადოთ ესე ვითარისა ამის პირისათჳს სიტყუაჲ, რამეთუ, ვითარცა ვთქუთ, არცა თუ შესაძლებელ არს ყოველთა მათ ქველის საქმეთა მათთა თითოეულად წარმოთქუმაჲ, 38.
რომელთა იგი, უმეტეს ყოველთა სათნოებათა, მოწყალებაჲ შეეტკბო და, ვითარცა სამოსელი, შეემოსა.

შემდგომად თორნიკის მიცვალებისა, განიზრახა ნეტარმან მამამან ჩუენმან იოანე, რათა აღიღოს ძე თჳსი და რავდენნიმე მოწაფენი და ივლტოდის სპანიად: რამეთუ პირველითგანვე უქნდა შუღლიანობაჲ და შფოთი; გარნა თავსედვა მუნ ჟამამდე თორნიკის აშენებისათჳს და რათა შეიძინოს სული მისი. რამეთუ ასმიოდა, ვითარმედ ქართველნი არა მცირედნი ნათესავნი და ერნი მკჳდრ არიან მუნ, და ამის პირისათჳს წარვიდა ვიდრე ავიდოსამდე, რათა მიერ[63]) პოვოს ნავი, გერძოთა სპანიისათა მიმავალი და წარვიდეს მუნ. და, რომელი იგი მას ჟამსა მთავრობ- 39.
და ავიდოსს[64]), ფრიად საყუარელი იყო მამისა იოანესი, და მეგობრობისა მისისა თჳს გამოუცხადა მას გულის სიტყუაჲ თჳსი; ხოლო იგი წინა აღუდგა, და, რაოდენ შესაძლებელ იყო მისგან, აბრკოლებდა; და, ვითარ იხილა მამაჲ იოანე დამტკიცებული თჳსსავე გულის სიტყუასა ზედა, გამოუცხადა და ჰქუა, ვითარმედ: „წმიდაო მამაო! არა უმეცარ ხარ შენ, თუ რაბამი სიყუარული აქუს მეფეთა ღირსებისა შენისაჲ და, უკუეთუ განგიტევნე, დიდი ბოროტი მოწევნად არს ჩემზედა; მიუწერო მეფეთა და, ვითარცა

63) ვარ.: მის მიერ.

64) ვარ.: ალვიდოსს

ბრძანონ, ეგრეცა ქმენ". და, ვითარცა მიუწერა, უბრ-
ძანეს მეფეთა, რათა სამეფოს წარავლინნეს; და, ვი-
თარცა აღვიდეს, დიდითა პატივითა მოიკითხნეს იგინი
40. მეფეთა, და დიდად აბრალეს და ჰქუეს, ვითარმედ: „წმი-
დანო მამანო! ჩუენ დიდი სიყუარული გუაქუს სიწმიდისა
თქუენისაჲ და რაჲ არს ესე, რომელ ესრეთ ივლტით ჩუენ-
გან და უცხოსა ქუეყანასა წარხუალთ?" მიუგო ნეტარ-
მან იოანე და ჰრქუა: „ღუთისმსახურნო და თჳთ მპყრო-
ბელნო მეფენო! გლახაკი ესე ერის კაცი ვიყავ სოფელსა
შინა მყოფი და თანამდები ყოვლისა ბრალისაჲ, და მენება,
რათა უცხოებასა სამე წარვიდე და სული ჩემი ვიცხოვნო;
და გლახაკებით ვიყოფებოდი და ჟუ ვითა მოჰკდა, არა
უწყი, მოვიდა თჳსი ჩემი თორნიკ და მისითა გზითა დიდთა
შუღლთა[65]) შთავვარდი და ერის კრებასა; და მნებავს, რათა
ამის ყოვლისაგან თავის უფალ ვიქმნა და სულისა ჩემისა
41. ზრუნვასა შეუდგე." მრავალთა ჟამთა დიდითა პატივითა
დაიმჭირეს და მერმე დიდითა ქენებითა ძლით დაარწმუ-
ნეს მონასტრადვე შექცევაჲ, და დიდითა ბოძითა განუტევეს.
და ესრეთ კუალად შეიქცა თჳსსავე მონასტერსა, და, შემ-
დგომად მცირედისა ჟამისა, ნიკრისისა სენსა შთავარდა, და
მრავალთა წელთა ცხედარსა ზედა, დავრდომილი,[66]) მდებარე
იყო, და ფრიადთა ტკივილთა მოითმენდა, და მარადის
ჰმადლობდა ღმერთსა, და ესრეთ მხიარულ იყო სენსა მას
ზედა სასტიკსა, ვითარცა საფასესა ზედა დიდ ძალსა და
ვითარცა პატივსა და ნიჭსა სამეუფოსა
და ვითარ იხილა ესევითარ უძლურებაჲ თჳსი,
ევედრებოდა მამასა ეფთჳმის, რათა მიითუალოს ზრუნვაჲ
მონასტრისაჲ; ხოლო იგი მოწიწებით აჲძულებდა მას,
რათა შეუნდოს, რამეთუ უძნდა შფოთი ამის სოფლისაჲ და
42. არა თავსიდებდა შფოთთა შთავრდომად; გარნა, ვინაჲთგან

65) ვარ.: შფოთთა.
66) ვარ.: დავრდომით

შეუძლებელ იყო მამისა მოხუცებულისა და სენთაგან განკაფულისა ურჩებაჲ, უნდა თუ არა, მორჩილ ექმნა მას; და ვიდრე კორცთაღა შინა იყო, მორჩილებითა და ბრძანებითა მისითა განაგებდა საქმეთა მონასტრისათა, ვითარცა იგონომოსი, ჲ, თჳნიერ მისისა ბრძანებისა, არა რას იქმოდა.

მას ჟამსა შინა სანატრელი და წმიდაჲ ბერ.ი იოანე გრძელის ძე ცხოვნდებოდა, ვითარცა უკორცოჲ, დაუუდებით ოთხთა ეკლესიათა. ლავრასა შინა და ეგრეთვე არსენი ნინოწმიდელი, კაცი მადალი სათნოებითა და მუშაკი ქრისტეს მცნებათაჲ, რომელმან იგი ღუთისათჳს დაუტევა ეპისკოპოსობაჲ და დავით გურამალატისა წინაშე მოვიდა; ხოლო მან, გეთილად მოკსენებულმან, ღირსად სიწმიდისა მისისა მოიკითხა ჲ ოთხთა ეკლესიათა წარმოგზავნა. და ესრეთ, იგიცა დაუუდებით ცხოვნდებოდა თჳსისა მოძღურისა თანა. ამათ უკუე ნეტართა მამათა ჩუენთა—იოანეს და არსენის ფრრადი სიუარული აქუნდა ერთმან ერთისაჲ ჲ ძმრავალ ქამ იდუწიდეს მუნ კეთილსა მას ღუაწლსა მონაზონებისასა. 43.

ხოლო ხედვიდეს, რამეთუ, ვითარ იგი უნდა, მუუდროებით ცხორებაჲ ვერ იყოფებოდეს, ამისთჳს რამეთუ აწყინებდინ მამასახლისნი ჲ ძმანი მონასტრისანი და გურამალატიცა ზედაჲსზედა მიუწერნ და ევლოგიასა წარსცემნ, ეგრეთვე ეპისკოპოსნი და აზნაურნი;

ამის უკუე მიზეზისათჳს განიზრახეს, რათა წარვიდენ უცხოსა ქუეყანასა. რომლისათჳსცა წარვიდეს კერძოთა 44.
ჴონტოჲსათა, უდაბნოთა ადგილთა, და მიემთხუნეს მამასახლისსა ვისმე სულიერსა, რომელმან იგი სიხარულით შეიწყნარნა და მისცა მონასტერი შუენიერი, ადგილსა უდაბნოსა, ჲ ყოველსავე საკმარსა მათსა უხუებით მისცემდა. და, შემდგომად რაოდენისამე ქამისა, ეუწყა მამათა ჩუენთა მათთჳს, ვითარმედ მუნ იყოფებიან, და წარავლინეს ძმაჲ ერთი და მიუწერეს წიგნები, ვითარმედ: „წმიდანო მამანო! გუეუწყა სიწმიდისა თქუენისათჳს და ვცანთ მანდა ყოფაჲ

თქუენი და ფრიად გულკლებულ ვართ, რომელ არა ინებეთ ამას წმიდასა და სახელოვანსა მთასა მოსლვაჲ, რათამცა თქუენი წმიდაჲ ლოცვაჲ მოგუეღო; აწ ვევედრებით
45. სიწმიდესა თქუენსა, რათა მოხჳდეთ და ერთგან ვიყოფებოდეთ, ვინაჲთგან უწყით, რომელ ჩუენცა უცხოებასა ვართ".

ესე რაჲ აღმოიკითხეს, მათცა გაესუენა[67]). და მეორესა ხოლო წელსა ჩამოვიდეს და, ვითარცა ცნეს მამათა ჩუენთა, სიხარულითა აღივსნეს, და მადლი შეწირეს ღუთისა, და მოწყლედ მოიკითხნეს, და სულიერად და კორციელად ნებისაებრ მათისა აღაშენნეს, და უდაბნოსა აღგილსა სენაკები უშენეს, და ღუთისა სათნოჲთა მოქალაქობითა ცხოვნდებოდეს.

ამისა შემდგომად სანატრელმან მამამან ჩუენმან იოანე, პირველ თქუმულსა მას სალმობასა შინა განკაფულმან, შეისუენა და ღუთისა მივიდა, განმდიდრებული ტკჳრთითა სათნოებათაჲთა და ნების მოყოფელი ღუთისაჲ.

და, ეგულებოდა რაჲ აღსრულებაჲ, ყოველი კელმ-
46. წიფებაჲ და უფლებაჲ მამასა ევთჳმეს მისცა, რათა, რომელიცა განგებაჲ და წესი ენებოს, იგიცა დაუდვას მონასტერსა და მას ზედაცა განკანონოს, და შინა და გარე, ვითარცა ენებოს, ეგრეთ განაგოს; და მერმე, შემდგომად თჳსსა, უბრძანა, რათა გიორგის დაუტეოს მამობაჲ, რომელი იგი თჳსივე იყო მათი, კაცი სახელოანი და ფრთხილი კორციელთა საქმეთა ზიდა; და კუალად უბრძანა, რათა გიორგი შემდგომად მისა სხუაჲ დაუტევოს წინა მძღუარი, რომელი იპოვოს სიტყჳთ და საქმით სხუათა უმჯობესი ძმათა შორის; და ესრეთ განაწესა, რათა თჳთოეული მამასახლისი შემდგომად თჳსისა აღსრულებისა სხუასა დაუტევებდეს, წინამძღუარსა ღირსსა და სათ-

---

[67]) ვარ.: განესუენა.

ნოსა; ხოლო უკუეთუ ვინმე იპოვოს მმლელი განგებასა მა-
მისსა ეფთჳმისსა და მაშფოთებელი და წინააღმდგომი ძმა- 47.
თაჲ, კრულობითა და შეჩუენებითა სამინელითა განკანონა
ეგევითარი იგი და ღუთისაგან განაგდო, და ბრძანა,
რათა ეგევითარი იგი მეუსეულად [68]) კრებულისაგან განდევ-
ნოს, რათა არა ყოველსა გუამსა კრებულისასა განეზა-
ვოს მაკუდინებელი იგი სენი მისი და განმრუნელი;
და განმგებელად და ეპიტროპად თჳთ მჳრობელნი მე-
ფენი განაწესნა და თქუა, ვითარმედ; „ვინაჲთგან მწყა-
ლობელი ვინმე და კელის მჳრობელი და განმგებე-
ლი საკმარარს, რაჲ ვუო გლახაკმან ამან და უნდომან,
რამეთუ დაღაცათუ კადნიერ არს სიტყუაჲ ესე, არამედ
მ[ე]ნდობითა ტკბილსა მას მოწყალებასა და სახიერებასა,
რომელი ესე მათითა წუალობითა და შეწევნითა აღვა- 48.
შენე ლავრაჲ, მათთავე კელთა შევჳედრებ და ჩემთანა
მონათა და მლოცველთა მათთა ეფთჳმეს და გიორ-
გის, რამეთუ დაღაცათუ ყოველსა ქუეყანასა სწუალობენ
და ყოველთა გლახაკთა ეურკიან, არამედ [69]) ჩუენ უღირსთა
ზედა უმეტეს ყოველთასა აჩუენეს წუალობაჲ, ვინაჲცა
საძირკუელითაგან დიდთა მათ ქველის მოქმედებათა მათ-
თა მიერ აღვაშენე ლავრაჲ ესე“.

ხოლო მმათა ჰრქუა, ვითარმედ: „თქუენ, სასურ-
ველნო და საუარელნო შვილნო ჩემნო! უკუეთუ მცნე-
ბათა ღუთისათა დამარხვაჲ იღუაწოთ და წესისაებრ და
კანონისა სალმრთოჲსა იყოფებოდით და წინამძღუართა
მიმართ გაქუნდეს უზაკუველი მორჩილებაჲ და ურთი
ერთარს მშჳდობაჲ და ერთობაჲ, მრწამს ღ[მრ]თისაჲ, რო- 49.
მელ არა რაჲ კეთილი არა მოგაკლოს ღმერთმან არამედ
მეფენი და მთავარნი და ყოველნი კაცნი წუალობად თქუე-

---

[68]) ვარ.: საშინელით განიკანონოს ეგე ვითარი იგი და მეყსეულად.

[69]) ვარ.: ვითარმედ.

ნდა აღძრნეს [70]) და უმეტეს და უმეტეს წარემატნეთ; ამიერით
გან ნუმცავინ განგაშორებს თქუენ საქმისა ამისგან კეთი-
ლისა და ღუთისა საყუარელისა, რომელ არს უზაკუველი
მორჩილებაჲ და განუკუეთელი ერთობაჲ და მშჳდობაჲ, რათა
ამასცა საწუთროსა უშფოთველი ცხორებაჲ აღასრულოთ
და საუკუნესა მას მომავალსა ცხორებაჲ საუკუნოჲ დაიმკჳდ-
როთ, კაცთმოუყარებითა ქრისტეს მეუფისაჲთა და იგი სა-
ხიერი და მრავალ მოწყალე ღმერთი იყავნ მწყალობელ
50. თქუენდა და წარგიძღჳნ წმიდასა ნებასა მისსა და საღრმ-
თოთა მისთა მცნებათა მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღუთის
მშობელისაჲთა და ყოველთა წმიდათაჲთა ამინ.

სტუმრის მოყუარებასსა ნუ დაივიწყებთ და, რაჲ ღმერ-
თსა ეხოძოს [71]), გლახაკთა მოუშურობდით, მსგავსად ძალისა
თქუენისა; და მილოცევდით და მაკსენებდით, საყუარელნო
შვილნო ჩ ძმანო ჩემნო, მარადის, რათა ყოს ღმერთმან წყა-
ლობაჲ საწყალობელისა ჩ ცოდვათა შინა განთრდილისა სუ-
ლისა ჩემისა თანა, და შემინდვნეს ყოველნი ცოდვანი ჩემნი,
და ეგრეთვე სულიერსა ძმასა ჩუენსა იოანე სჳნგელოზსა [72]),
რამეთუ ფრიადითა სარწმუნოებითა მოვიდა ჩუენდა წმი
დასა ამას მთასა; და სულიერისა მამისა ჩუენისა ათანასეს
საკსენებელსა წლითი წლად აღასრულებდით და მოიკ-
სენებდით წმიდათა ქამის წირვათა შინა".

და ვითარცა ესე ყოველი წარმოთქუა და აღწერა
დაუტევა, მერმე აკურთხა ნეტარი ეფთჳმე ზეგარდამოჲდთა
კურთხევითა და კელთა შინა მისთა წმიდაჲ სული თჳსი ღმერ-
თსა შევჰედრა და მშჳდობით მას ზედა დაწვა და დაიძინა,
51. თთუესა ივნისსა იდ; ჩ მეოხ არს ცხორებისათჳს სულთა ჩუენ-
თაჲსა.

---

[70]) ვარ.: აღიძრნეს.

[71]) ვარ.: ებრძანოს.

[72]) ვარ : ანგელოზსა.

ხოლო პატიოსანი იგი გუამი მისი ღმერთ შემოსილმან მამამან ჩუენმან ეფთჳმე ჴეროვნად შემ-სა და თჳსაგან დაჭმარხა და ზედა ეკლესიაჲ წმიდათა მთავარ-ან-გელოსთაჲ აღაშენა; ჲ რომელნიცა სარწმუნოებით მოუკდებიან, მადლსა ჲ ლხინებასა ღირს იქმნებიან: რამეთუ ეშმაკეული ვინმე მოუკდა მას ოდესმე და სუა კანდლისა მისგან, რომელი ეკიდა საფლავსა ზედა მისსა და მეუსეულად განიკურნა და ადიდებდა ღმერთსა.

ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ. რამეთუ, ვითარცა იგი ზემორე ვთქუთ, წარეყვანა სამეუფოჲთ შვილი თჳსი ეფთჳმე მამამან იოანე და პირველად ქართული სწავლაჲ ასწავა და მერმე ბერძულად გაასწავლა ყოვლითავე სწავლულებითა სრულებით. და სიყრმითგანვე მადლი ღუთისაჲ იყო მისზედა და ღუთისაგან მიეცა გულისხმის ყოფაჲ წერილთაჲ და სულისა წმიდისა მადლითა აღივსო, ვითარცა ეუწყა ნეტარსა იოანეს, მამასა მისსა, გამოცხადებითა წმიდისა ღუთის მშობელისაჲთა: რამეთუ ქამსა სიჭაბუკისა მისისასა, ვიდრე ურმაღა იყო, სენითა მძაფრითა შეშურობილ იქმნა და სიკუდილსა მიეახლა და იტყოდა ნეტარი იოანე, ვითარმედ: „სასოებაჲ წარვიწირე ცხორებისა მისისაჲ, რამეთუ, ვჰგონებდი, მეყსა შინა სულთა აღმოსლვასა, ვინაჲთგან არცაღა სიტყუაჲ დაშთომილ იყო მისთანა, არცა კმაჲ, და, ვითარ იგი შეშფოთებულ ვიყავ, წარვედ ტაძარსა წმიდისა ღუთის მშობელისასა და დავვარდი წინაშე ხატსა წმიდისა დედოფლისა ჩუენისა და ცრემლითა მკურვალითა ვევედრებოდე უხრწნელსა მარადის ქალწულსა ღუთისმშობელსა, რათა შემწე ეყოს და ყოს ლხინებაჲ; და ვამცენ მდდელსა, რათა მსწრაფლ აღმოვიდეს და აზიაროს კორცსა და სისხლსა ოჯფლაისსა; და, ვითარ იგი შეშფოთებულ ვიყავ და აღვსწრაფდი ხილვად, თუ რაჲძი იქმნა, განვადე კარი სენაკისაჲ, სადა იგი დამეტევა მწოლარე, და მეყსეულად ვიუნოსე სული სულნელებისაჲ საკჳრველი: 52.

რამეთუ იქმნა მოხედვაჲ წმიდისა ღუთის მშობელისაჲ და
ვიხილე ეფთჳმე, რამეთუ მადლითა მისითა აღდგომილ
53. იყო და ჯდა ცხედარსა ზედა ყოვლითურთ მრთელი და
უვნებელი.

და ვითარ იგი განჰკრთა გონებაჲ ჩემი და ვჰკით-
ხევდ მას, ვითარმედ: „რაჲ არს ესე, შვილო?“ მომიგო და
მრქუა მე, ვითარმედ: „აწღა წარმომიდგა ვინმე დიდებული
დედოფალი და მრქუა ქართულითა ენითა: „რაჲ არს, რაჲ
გელმის, ეფთჳმე?“ ხოლო მე ვარქუ, ვითარმედ: „მოვკუ-
დები, დედოფალო.“ და, ვითარცა ესე ვთქუ, მომეახლა
და მიჰყრა კელსა და მრქუა: „არა რაჲ არს ვნებაჲ შენ-
თანა, აღდეგ, ნუ გეშინინ, და ქართულად კსნილად [73]) უბ-
ნობდი“. და აჰა ესე რა, ვითარცა მხედავ, ყოვლადვე
არღარაჲ მელმის“. და იტყოდა ნეტარი იოანე, ვითარ-
მედ [74]) მუნ ჟამადმდე ძნიად უბნობნ ქართულად და ფრიად
მწუხარე ვიყავ ამის პირისათჳს; ხოლო მიერითგან დაუყე-
ნებელად, ვითარცა წყაროჲ, აღმოდინ, უწმიდეს ყოველ-
თა ქართველთასა; ხოლო მე, რაჲ ვიხილე ესე, დავვარდი
წინაშე წმიდისა ღუთის მშობელისა და მადლი შევწირე
სასოჲსა მის ჩუენისა და ვჰმადლობდი და ვადიდებდი
ღმერთსა ამინ“ [75]).

ეტყვინ მამაჲ იოანე, ვითარმედ: „შვილო ჩემო! ქართ-
54. ლისა ქუეყანაჲ დიდად ნაკლულევან არს წიგნთაგან და
მრავალნი წიგნნი აკლიან და ვხედავ, რომელ ღმერთსა
მოუმადლებია შენდა; აწ იღუაწე, რათა განამრავლო სას-
ყიდელი შენი ღუთისაგან“. და იგი, ვითარცა იყო ყოველ-
სავე ზედა მორჩილი, მოსწრაფედ შეუდგა ბრძანებასა მისსა
და იწყო თარგმნად და ყოველნივე განაკჳრვნა, რამეთუ
ეგევითარი თარგმანი, გარეშე მათ პირველთასა, არღარა

[73]) ვარ: ნუ გეშინინ და წარვედ, კსნილად უბნობდი.

[74]) ვარ.: ვიდრე.

[75]) ვარიანტი.: „ამინ“ არ არის.

გამოჩინებულ არს ენასა ჩუენსა და, ვჰგონებ, თუ არცადა გამოჩინებად არს; და მრავალნი წიგნნი წარსცნის წინაშე დავით კურაპალატისა.

რომელნი იგი იხილნა რაჲ, ვითარცა იყო მორწმუნე, სიხარულითა აღივსო და ადიდებდა ღმერთსა და იტყოდა, ვითარმედ: „მადლი ღმერთსა, რომელმან ჩუენთა ამათ ქამთა ახალი ოქროპირი გამოაჩინა.“ და ზედაჲსზედა მოუწერნ, რათა თარგმნიდეს და წარსცემდეს; და იგი სანატრელი შეუსუენებელად თარგმნინ და რაჲთურთით არა სცემდა განსუენებასა თავსა თჳსსა, არამედ დღე და ღამე ტკბილსა მას თაფლსა, წიგნთა სამრთოთასა შურებოდა, რომლისა მიერ დაატკბო ენაჲ ჩუენი და ეკლესიაჲ, რამეთუ თარგმნნა წიგ- 55.
ნნი სამრთონი, რომელთა აღრიცხვაჲ კნინღა-და შეუძლებელ არს, რომელთაგანნი რაოდენნიმე მოვიკსენნეთ, რათა მათ მიერ სხუათა თჳსცა ეუწყოს ქრისტეს მორწმუნეთა. რამეთუ არა თუ ულუმბათა და მთაწმიდას ოდენ თარგმნნა, რათამცა აღვრიცხუენით თითოეულად, არამედ სამეუფოსცა, და გზასა და სხუათა ესე ვითართა ადგილთა.

თარგმნა უკუე, ვითარცა ვთქუთ:

თარგმანებაჲ იოანეს თავისა სახარებისაჲ.

სწავლანი წმიდისა მამისა ჩუენისა დიდისა ბასილისნი.

მისივე თარგმანებაჲ ფსალმუნთაჲ.

წიგნი წმიდისა კლემაქსისი.

წიგნი წმიდისა მაკარისი.

მ ქსიმეს სწავლანი.

წიგნი წმიდისა ისაკისი, რომელსა შინა არიან სხუათაცა მამათა გამორჩეულნი სწავლანი.

წიგნი წმიდისა დოროთესი.

წამებაჲ და სასწაულნი წმიდისა მთავარ მოწამისა დიმიტრისნი.

ცხორებაჲ და წამებაჲ წმიდისა სტეფანე ახლისაჲ.

ცხორებაჲ და წამებაჲ წმიდისა კლემონტოს ჭრომთა
შაპისაჲ.

წამებაჲ წმიდისა კლიმი ანკჳრელისაჲ.

ცხორებაჲ წმიდისა და დიდისა ბასილი კესარიელისაჲ.

ცხორებაჲ წმიდისა გრიგოლ ღუთის მეტყუელ-ისაჲ და
56. თქუმულნი მისნი.

წამებაჲ წმიდისა აკეფსიმაჲსი.

ცხორებაჲ წმიდისა ბაგრატისი.

წამებაჲ წმიდათა მინა ერმოგინეთი.

წმიდისა გრიგოლ ნოსელისა თქუმულნი: შესხმაჲ ძმისა თჳსისა დიდისა ბასილისი, და ქალწულებისათჳს, და წმიდისა „მამაო ჩუენოჲსა" თარგმანი, და წმიდათა მარხვათათჳს, და წმიდისა მოსე წინასწარმეტყუელისა ცხორებისა თარგმანი, სახედ დაუუდებისა, რომელი ძმასა ვისმე ეთხოა.

იოვანე მახარებელისა ხილვაჲ და ხილვისა თარგმანი ანდრია კრიტელისაჲ.

თქუმული წმიდისა იოანე დამასკელისაჲ ორისა ბუნებისათჳს ქრისტესისა.

სხუაჲ წმიდისა ღუთის-მშობლისა შობისათჳს.

ცხორებაჲ დიდისა ათანასესი

წამებაჲ წმიდათა სამთა ურმათა: ალფიოს, ფილადელფოს და კჳრინესი.

ცხორებაჲ წმიდისა ონოფრი მძოვრისაჲ.

ცხორებაჲ წმიდისა მარიამ მეგჳპტელისაჲ

სწაւლანი წმიდისა ზოსიმესნი.

სწაւლანი წმიდისა მამისა ეფრემისნი სარწმუნოებისათჳს.

სჳნქსარი საწელიწდოჲ, უმცროჲსი.

მიმოსლვანი და ქადაგებანი წმიდისა იოანე მახარებე-
57. ლისანი.

თარგმანებაჲ გალატელთა და თესალონიკელთა და ჰრომაელთა ეპისტოლისაჲ.
დასდებულნი მარხვათანი სრულად.
და მრავალთა წმიდათა გალობები.
წამებაჲ წმიდისა მოწამისა პროკოპისი.
თარგმანებაჲ წმიდისა მათეს თავისა სახარებისაჲ.
მიმოსლვანი და ქადაგებანი წმიდისა ანდრია მოციქულისანი.
სქემის კურთხევაჲ ბერძული და მონაზონის კურთხევაჲ.
რჩულის კანონი წმიდისა იოანე მმარხველისაჲ და მეექუსისა კრებისაჲ.
ძეგლის წერაჲ მართლისა სარწმუნოებ საჲ.
ლოცვანი წმიდისა მარტჳლიისანი.
წამებაჲ წმიდისა ფებრონიაჲსი.
წამებაჲ წმიდისა ახთიმოჲსი.
და წმიდისა გლასისი.
და ორთა ბევრთაჲ.
წამებაჲ წმიდისა თეოდორე სტრატელატისაჲ.
და თეოდორე ჳ რგულისაჲ.
და წმიდათა ევსტრატეთი.
და წმიდისა ევსტათისი და შვილთა მისთაჲ.
სწავლანი წმიდისა კასიანესნი.
წიგნი დიალოდონი.
წმიდათა მთავარ ანგელოზთა სასწაულნი.
ცხორება წმიდისა ნიკოლაოზისი
წიგნი დუთის მეტყუელისა გრიგოლისი. 58.
მაქსიმესი რვათა გულის სიტყუათათჳს
ბასილის თქუმული კაენის შჯდთა შურის გებათათჳს.
შუაღმისანი ბერძულნი.
ლოცვანი ბერძულნი მამისანი.
და კანონნი.
ცხორებაჲ წმიდისა დიდისა ანტონისი.

ესე ყოველნი და ამათსა ფრიად უმრავლესნი წიგნნი თარგმნნა ღმერთ შემოსილმან მამამან ჩუენმან და ესრეთ აღაორძინა მისდა რწმუნებული იგი ტალანტი; და უმრავლესნი ზემო თქუმულთა ამათ წიგნთაგანნი თარგმნა, ვიდრეღა მამაჲ მისი იოანე ცოცხალ იყო, და ყოველი ზრუნვაჲ და საურავი მონასტრისაჲ მას ეტჳრთა. რამეთუ, ვითარცა ზემო ვთქუთ, ნეტარმან იოანე მრავალნი წელნი დაუვნა სნეულებასა შინა და იგი ჰმსახურებდა უძლურებასა მისსა დღჱ და ღამჱ ჲ კუალად წინამძღურობასა შინა დაყოფითოთხმეტი წელი და სამასისა სულისა ზრუნვაჲ ჲ დიდისა ლავრისა განგებაჲ და მთაწმიდელთა უფროჲსნი საურავნი მის ნეტარისა მიერ იურვებოდეს და თჳსსა კანონსა დიდსა და
59. მძიმესა ძლიერად აღასრულებდა და მის ყოვლისა თანა კეთილსა მას შრომასა თარგმანებისასა არა დაიცადებდა, არცა სცემდა განსუენებასა თავსა თჳსსა, არამედ ყოვლადვე იჭირვინ და ღამეთა ითევნ: რამეთუ უფროჲსნი წიგნნი ღამით სანთლითა უთარგმნიან, ვითარცა ვთქუთ, ფრიადისა უცალოებისაგან და საურავთა.

ვიდრეღა მამაჲ იოანე ცოცხალ იყო, მოვინმევიდა მონაზონი ჰრომისა ქუეყანისაჲ, კაცი განთქუმული სათნოებითა, რომლისა სათნოებათა წამებდა ქუეყანაჲ ჰრომისა ჲ საბერძნეთისაჲ, ძმაჲ გენევენტოს დუკისაჲ, წარჩინებული ნათესავით. ესე მოვიდა ექუსთა მოწაფეთა თჳსთა თანა მთასა ამას წმიდასა ლოცვად; და ვითარ იხილეს მამათა ჩუენთა მადლითა მემკობილი სახჱ მისი, ვითარცა თჳსი და მეცნიერი, ესრეთ მოიკითხეს და სიხარულით შეიწყნარეს და ევედრებოდეს აქა ყოფასა, და ეტყოდეს, ვითარმედ: „ჩუენცა უცხონი ვართ და შენცა უცხო ხარ“; და ძლით დაარწმუნეს, რამეთუ ენება, რათამცა ერთგან იყუნეს მონასტერსა
60. შინა. ხოლო იგი ვინაჲთგან საჩინოჲ კაცი იყო და სახელოანი, ვითარცა ცნეს რომთა, რომელნი იყუნეს სამეფოს და სხუათა ქალაქთა, მრავალი ერი შემოკრბა, რათამცა

მონაზონ იქმნეს მისგან. მერმე მამათაცა ჩუენთა გააზრახეს წმიდასა მას ბერსა, ვითარმედ: „წმიდაო მამაო! ვინაჲთგან ესოდენთა სულთა აცხოვნებ, უმჯობეს არს, რათა მოჰშვარსნე და მიზეზ ცხორებისა ექმნა სულსა მათსა და დმერთსა მიუშურნე; უწყით, რამეთუ სხუაჲცა ერი მოსლვად არს, რათა სახლ მონაზონებისაჲ [76]) კელთა შენთაგან მიიღონ; ჩუენ გუიდოთ ადგილი და ყოვლითავე საკმრითა შეგეწინეთ. ხოლო დაღაცა თუ უძნდა წმ დასა მას კაცსა შფოთი და ზრუნვაჲ, არა ინება ურჩებაჲ ბრძანებისა მათისაჲ, ვინაჲცა აღაშენა მონასტერი შუენიერი და ძმანი მრავალნი შეკრიბნა და, თანა დგომითა მამათა ჩუენთაჲთა, სრულუო უოველივე საქმე შენებისაჲ და ზედაჲს ზედა მოვალნ იგი ხილვად მათდა და დაუვნის დღენი მრავალნი და კუალად მიიქცის თჳსსავე მონასტერსა. და იგი ხოლო მონასტერი არს ჭრომთაჲ დღეს მთაწმიდას და კეთილად და წესიერად 61.
ცხოვნდებიან კანონსა და განგებასა ზედა წმიდისა ბენეტიკტესსა, რომლისა ცხორებაჲ წერილ არს დიალოგოზსა შინა.

პირველ [77]) მოკსენებულსა მას ჯირსსა მღდელსა გაბრიელს ქართველსა და ამას წმიდასა ბერსა დიდსა ღეონს-ჰრომსა ფრიადი სიუარული აქუნდა სულიერი, და ოდეს-ცა მოვიდის ხილვად მამათა, მახლობელად სენაკსა გაბრიელისსა აქუნდა სენაკი, და მუნ დაუვნის დღენი იგი; და თჳსისა ენისაგან კიდე, არცა მან იცოდა, არცა მან; და, ვითარცა შებნელდის, გამოვიდიან თჳსთა სენაკთაგან და ლოცვა უვიან და დასხდიან და ვიდრე ცისკრისა რეკადმდე უბნობდიან სიტუათა სალმრთოთა, და ვიდრე წარსლვადმდე ამას ესრეთ ჰუოფდიან უოველთა მწუხრთა. და იტყოდეს მამანი ჩუენნი, ვითარმედ [78]): „გარემოჲს

[76]) ვარ.: მონაზონებისა.
[77]) ვარ.: პირველად.
[78]) ვარ.: ვინაცა.

მათისა იყვნეს სულიერნი ძმანი, და ფიცით დაგუარწმუნეს, ვითარმედ: „ოდესცა მოვიდის დიდი ღეონ, მარადის ესრეთ ჰყოფენ იგი და გაბრაელ მდდელი“, და წამებდეს, ვითარმედ: „მათისა სიწმიდისაგან ყოველივე შესაძლებელ
62. იყო და სარწმუნო, რამეთუ დიდ იყვნეს იგინი წინამე ღუთისა და სრულ“.

მათ დღეთა შინა იყო ვინმე კათალიკოზი თესალონიკეს, სამრთოჲ და სულიერი, მეგობარი მამათა ჩუენთაჲ; და აქუნდა ჩუეულებაჲ მამასა ეფთჳ[79]ეს და მრავალ გზის მივალნ მისა და ოდესმე მან მიიყვანის[79]) იძულებით. ხოლო იყო თესალონიკეს ჰურიაჲ ვინმე შჯულის მეცნიერი; და უნდა კათალიკოზსა, რათამცა მოაქცია იგი ქრისტეანედ და ზედაჲს ზედა ეუბნებინ. და იყო რაჲ მისთანა მამაჲ ეფთჳმე. ევედრა კათალიკოზი, რათა ეზრახოს ჰურიასა ჵას. და, ვითარცა მოუწოდეს, იწყეს ზრახვად შჯულისა; და, ვითარცა შეიწრდა და უძლონო იქმნა ჰურიაჲ იგი, წინაშე ნეტარისა მამისა ეფთჳმესა იწყო გმობად ქრისტეანეთა უბიწოსა სარწმუნოებასა და, ვითარცა ესმა მამასა ეფთჳმეს, შეწუხნა და შეჰრისხნა და ჰრქუა მას: „დაიყავნ პირი შენი, ბილწო ჰურიაო“. და მასვე ჟამსა უტყუ იქმნა და გარემიექცა პირი მისი. იყვნეს მუნ მდგომარე[80]) სხუანიცა ჰურიანი, და შეუვრდეს ფერკთა მამისა ეფთჳმესთა, რათა შეუნდოს და მან მიუგო, ვითარმედ: „რომელი
63. იგი გმო, მისგან შეინდჳს და სარწმუნოებად მოვიდეს, და მე შემინდობია“ და მ რმე ევედრა კათალიკოზი, რათა შეუნდოს და ლოცვა ყოს. და ვითარცა ლოცვა უო და ჯუარი დასწერა, მასვე ჟამსა მოიქცა პირი მისი და სიტყუად იწყო, და მეცხეულად შეუერდა ფერკთა მისთა და ქრისტეანე იქმნა და დიდად მორწმუნედ კაცად გამოჩნდა.

---

[79]) ვარ.: მოიყვანის.

[80]) ვარ.: მდგომარენი.

სხუაჲცა ვინმე ჰურიაჲ შჯულის მეცნიერი და სწავლული ფრიად ჴ განთქუმული ცილობასა ზედა, ზუაობითა ჰურიებრივითა მოუკდა მამასა ეფთჳმეს და ენება სიტყუად. სოლო ნეტარსა მას უძნდა საქმე ესე; არამედ ბრძანებითა იოანესითა იიძულა ზრახვად მისა და, ვითარცა იწყო ცილობად და კითხვად, აღუსნიდა მას და განუმარტებდა ყოველსავე უადრეს ცნობისა; და მზაკუვარმან მან, ვითარცა იხილა ძლეულებაჲ თჳსი, იწყო თქუმად სიტყუათა გმობისათა. შეუძნდა ესე სანატრელსა მას და 64.
ჰქუა, ვითარმედ: „უკუეთუმცა სიტყუასა წერილთასა იკითხევდ, განგიმარტეთმცა და, უკუეთუმცა ჩუენ გუკითხევდ, მიგიგეთმცა; ვინაჲთგან კულა გმობასა მაღლისა მიმართ იტყუ, დაიყავნ შირი შენი მგმობარი-! და, ვითარცა ესმა, მეუსეულად უტყუ იქმნა და ხვალისა დღე სულნი წარჰკდეს.

იქმნა ოდესმე გუალვაჲ ფრიადი; ჴ მაისი, ჴ ივნისი, ჴ ივლისი და აგვსტოსი უწჳმრად გარდავლო, და დიდად მისჭირდა ქუეყანასა: ვიდრეღა ფურცელი ხეთა და ვენაკთაჲ გაჴმა და სცკოდა, და დიდსა ურვასა შინა იყვნეს კაცნი. არს მცირე მონასტერი მონასტრისა ჩუენისაჲ მთასა ზედა, სადა იგი შენ არს ეკლესიაჲ წმიდისა ელია წინასწარმეტყუელისაჲ. და ვითარ მოიწია დღესასწაული წმიდისა ელიაჲსი, პირველ დღისა ერთისა უბრძანა მამამან იოანე შვილსა თჳსსა ეფთჳმეს, ვითარმედ: „წარიყვანენ ძმანი და წარვედით [81]) ეკლესიასა წმიდისა ელიაჲსსა ჴ დამე ათიეთ ჴ ქამის წირვაჲ აღასრულეთ“ [82]). და ოდეს ამას უბრძანებდა, მრავალნი ძმანი შეკრებულ იყვნეს წინაშე მამისა იოანესსა და რეცა განცხრო- 65.
მის სახედ უბრძანა, ვითა: ‹ურმანო, საწჳმრები უკუანა წაიღეთ, რამეთუ ვესავ დმერთსა, რომელ არა შევიქცეთ ამაოდ“. წარვიდეს და დამე ათიეს, და, ვითარ მოიწია ქამის

---

[81]) ვარ.: წარვედ.

[82]) ვარიანტში „ქამის წირვაჲ აღასრულეთ“ არ არის.

წირვისა ქამი, შეიმოსა წმიდაჲ მამაჲ ჩუენი ეფთჳმე და ვითარ იწყეს ლოცვად, პირველ სახარებისა წარკითხვისა გამოჩნდა მცირე ღრუბელი ერისონსა ზედა და მასვე ქამსა აღივსო ცაჲ ღრუბლითა და ვიდრე ქამისა ზიარებადმდე შეიქმნა წჳმაჲ საშინელი და დაათრო ყოველი ქუეყანაჲ და, ვითარცა იხილეს ესე, ღმერთსა კალ აღჰარებით ჰმადლობდეს; და, ვითარცა ქამის წირვაჲ აღასრულეს და საზრდელი მიიღეს, წარმოვიდეს შინა, და რომელთა ძმათა აქუნდა საწყმრები, მოლხინებით შთამოვიდეს მონასტრად, ხოლო რომელთა არა აქუნდა—შრომით და ჭირით. და ესრეთ, ორნივე ჰმადლობდეს ღმერთსა და ნე-
66. ტარსა მამასა იოვანეს.

ოდესმე ინება წმიდამან მამამან ჩუენმან ეფთჳმე აღსლვაჲ მთასა ათონისასა ფერის-ცვალებად; ღ,ვითარცა არს წესი მთა-წმიდელთაჲ, ერი ფრიადი შეკრბების თხემსა ზედა მთისასა ამას დღესასწაულსა ღ ღამესა ათევენ. და ვითარ ღამჱ განათიეს [83]) და მოიწია ქამი ქამის წირვისაჲ და შეიმოსა წმიდაჲ მამაჲ ჩუენი ეფთჳმე და სხუანი მდდელნი მის თანა, და ვითარცა სიწმიდე შეიუვანეს და „წმიდა არსი“ აღიღეს, იხილეს მამაჲ ჩუენი ეფთჳმე, ვითარცა ცეცხლი მგზებარჱ ღ ზარმან შეიპურნა ყოველნი და მასვე ქამსა ისმა კმაჲ, ვითარცა ყივილი ერისა მრავლისაჲ და შეიძრა მთაჲ იგი ძრვითა დიდითა, და ყოველნივე პირსა ზედა დაეცნეს; და ვითარცა აღადგინნა იგინი მამამან ეფთჳმე, შიშისაგან ვითარცა მკუდარნი იყვნეს, და, ვითარ იხილნა ესრეთ შეძრწუნებულნი, ჰრქუა მათ: „ნუ გეშინინ, ძმანო, რამეთუ მოხედვაჲ სალმრთოჲ იქმნა, და ქრისტემან თჳსი დღესასწაული ადიდა“. ხოლო მათ
67. ყოველთა ნუგეშინის ეცა და მისცეს დიდებაჲ ღმერთსა.

საუდართა შორის საკათალიკოზოთა საჩინო არს და წარჩინებულ საუდარი წმიდისა ეპიფანე კვპრელისაჲ. და ქამ-

---

[83]) ვარ.: გაათიეს.

თა ბასილი მეფისათა ოდესმე აღესრულა მთავარ-ეპისკოპოსი, რომელი იყო მუნ. და ფრიად აიძულა მეფემან ნეტარსა ეფთჳმეს, რათა მიითუალოს განგებაჲ მისი. ხოლო მან ყოვლადვე არა თავს იდვა, რამეთუ ყოვლითა მოსწრაფებითა ევლტოდა დიდებასა გაცთასა და შფოთსა სოფლისასა და სიმდაბლესა შეიტკბობდა.

✝ და ვითარცა იყო ნეტარი მამაჲ ჩუენი ეფთჳმე სავსე ზეგარდამოჲთა მადლითა, ეგრეთვე სალმრთოჲნი წესნი და განგებანი დაესხნეს მონასტერსა თჳსსა: პირველად წესნი ეკლესიისანი და განგებანი ყოვლისა წელიწდისანი, ვითარცა წერილ არს დიდსა სჯანჩსარსა სრულებით და დაუკლებელად, და მარადის ევედრებიან ძმათა, რათა მოსწრაფე იყვნენ მისლვად ეკლესიად, და წესიერად დგომად და მკურვალედ ლოცვად. და თჳთ მის ნეტარისა საყოფელი სიმაღლესა იყო, გოდოლსა ზედა მაღალსა, და ვერვინ ვერ 68.
მიუსწრის ცისკრისა ლოცვასა, და, თჳნიერ კუერთხისა და კედელსა მიურდნობისა, დგან იგი ეკლესიას ყოვლითა მოსწრაფებითა და კრძალულებითა; და, ოდეს მცირე რაჲმე საქმე[84]) არნ, მოწაფესა თჳსსა საიდუმლოდ უბრძანის და იგი წარვიდის და, გინა თუ იკონომოსისადა ებრძანის, გინა თუ პარიკონომოსისადა[85]), მოზიდნის ნელიად და შტოსა გაიყვანის და მუნ უთხრის ბრძანებაჲ მამისაჲ; და ოდეს რაჲმე დიდი იყვის, თჳთ გავიდის შტოსა და დაიუბნის[86]). ეკლესიასა კულა შინა ყოვლადვე უბნობასა ვერვინ იკადრებდა.

და დადაცა თუ ძმანი კედელსა თანა დგიან, გარნა კედელსა არა ვინ მიეურდობინ, რამეთუ იგინიცა მას ნეტარსა ჴებაძვიდეს მსგავსად ძალისა. ჴაბუკთადა გაეწესა სამოვალ[87])

---

[84]) ვარიანტში „საქმე" აკლია.

[85]) ვარ.: პატრიკონომოსისა.

[86]) ვარ.: განვიდის შტოდ და იუბნის.

[87]) ვარ.: საშუალ.

ეკლესიასა დგომაჲ; და ორკეცად და სამკეცად დგიან კელ-
მოჭდობით და მოწიწებით. და სკამები საშოვალ დადგიან
69. და, ოდეს ჯერ არნ, ეგრეთვე ორკეცად და სამკეცად დას-
ხდიან; და დეკანოზი ოდეს აწუევნ ანუ მნათეწ, გინა წიგ-
ნის კითხვასა, გინა წარდგომასა, გინა თუ რომელსაცა სამ-
სახურებელსა ეკლესიისასა, გუერდით მივიდის და თაყუა-
ნის სცის და უთხრის, რომელ მას ოდენ ესმინ და მან
თაყუანისსცის და წარემართის თჳსსა მსახურებასა

ორნი ეპიტირიტისნი, რომელ არიან დამხედვარნი,
დაედგინნეს, კაცნი სადმრთონი და ღუთის მოშიშნი—ერთი
უხუცესი და ერთი უმრწემესი მისა ქუეშჱ; რომელსა წა-
რავლინებენ სენაკებსა ძმათასა და, მოიუვანებენ შინა დამ-
თრომილთა; უკუეთუ ვინმე არა მოვიდის დაწესებულთა
ზედა ცისკრისასა, განკანონის ჯეროვნად, ვითარცა გა-
ნეწესა მამასა; ჲ რომელნი ძლიერად შურებოდიან დღჱ
ყოველ და არა მოეცალებიან ძილი, დღისი იგი შრომაჲ მა-
თი ლოცვადვე დაუთვალის; რომელნი კულა ანუ მოცა-
ლებით იყვნიან, ანუ სუბუქთა სამსახურებელთა, გინა თუ
70. ხუცესნი, გინა თუ დიაკონნი, გინა თუ მჴამობელნი[88]), უკუე-
თუ ჭაბუკნი იყვნიან, ასი მუკლი მოადრეკიის საკურთხე-
ველსა წინა, უკუეთუ კულა ბერნი და უძლურნი იყვნიან,
უჯჳნობაჲ და უსაჭმლობა განუწესის მას დღესა შინა.

ლოცვასა ყოვლადვე ეკლესიისა კართა თანა დგანნ
უხუცესი ეპიტირიტისი და გამავალთა ძმათა ჰკითხავნ მი-
ზეზსა განსლვისასა; უკუეთუ რაჲმე დიად საჭიროჲ საქმე
არა აქუნ, ვერვინ იკადრის განსლვაჲ; ხოლო უკუეთუ რაჲ-
მე საჭიროჲ იყვის, უთხრის ეპიტირიტისსა და კუალად მოს-
წრაფედ შეაქცის; უკუეთუ კულა დაეყოვნის დიდად აბრა-
ლის და დაუმოწმის, ვითარმედ: „ამას ნუღარა იქმ"; და უკუე-
თუ კულა ქმნის, სატრაპეზოს არა შეუშჳს, არამედ კმე-

---

[88]) ვარ.: მჟამნობელნი.

ლისა შურისა ჭამაჲ განუწესის მას დღესა ანუ ასი მუხლი მოადრეკინის. მშრომელთა და მაშურალთადა განეწესა მამასა, და შემდგომად დაწესებულთა წარვიდიან და გამოისუენიან [89]) ვიდრე მეორედ რეკადმდე, და მერე კუალად ეკლესიადვე მოვიდიან; უკუეთუ კულა დასხდიან, ეპიტრირიტისთა მოიყვანნიან. 71.

უკუეთუ ვიეთნიმე [90]) შეილალნიან ძმანი, მოუკმის [91]) მამამან და ნახნის; და ბრძანებასა მისსა არა ურჩ ექმნებოდეს [92]), მშჯდობაჲ ქმნიან. უკუეთუ კულა გულფიცხელნი იპოვნიან და მასვე ზედა დაადგრიან, განეწესა, რომელ ვიდრე დაგებადმდე ტრაპეზსა ვერ შევიდენ [93]), ჴ შურსა ხოლო და წუალსა იმარებდენ; ხოლო უკუეთუ წინამძღუარი არა არნ, იკონომოსმან განკანონნის.

ოდესცა ეკლესიას [94]) შევიდოდიან—პირველად მამაჲ ეფთჳმე და მერმე ძმანი უოველნი, ვიდრე მუკლთა ზედა არა მოადრკიან და თაყუანისსციან წმიდასა დუთის მშობელსა, რომელ არს ბჭეთა ზედა, არა შევიდიან. და ოდესცა მამასა წინა წაულიდიან [95]) ძმანი,—გინა ეკლესიას, გინა სადაცა—ვიდრე არა მოადრკიან და თაყუანისსციან მდაბლად, არა წარჰვლიდიან; და ეგრეთვე ნეტარი მამაჲ ჩუენი ეფთჳმე, არა თუ საშაბიოთა გაცთა ოდენ, არამედ მათ ახლად მოსრულთაცა ქუე მოადრეკით თაყუანისსცემნ და წუალობით მოიკითხავნ. და უკუეთუ ვინმე იხილნის მოსწრაფენი ძმანი, რომელნი ზრუნვიდიან სულთა თჳსთაჳს, ეგე ვითართა მათ 72.
მიდმართ არას უბრძანებენ; უკუეთუ კულა ვინმე იხილნის

---

[89]) ვარ.: განისუსნიან.
[90]) ვარ.: ვინჱე.
[91]) ვარ.: მოუკდის.
[92]) ვარ.: და მშჯდობა.
[93]) ვარ.: ტრაპეზსა ვერ შევიდიან.
[94]) ვარ.: ეკლესიად.
[95]) ვარ.: წარუვლიდიან.

უდებნი და დაკსნილნი და ახალ მოსრულნი, მათ ზედაჲსზედა ეუბნებიან, ასწავებენ, ამხილებენ და ნუგეშინისცემენ და კელოსანთა დაჰვედრებენ, რათა მარჯუედ ექცეოდიან და არა რასა მიაჭირვებდენ.

რაჲ სერობისა ილოციან[96]), არა კელეწიფებოდა ძმათა არცა სენაკსა შეკრებად უბნობისათჳს, არცა მონასტერსა შინა უბნობად; და ,თუ ვინმე შოვნიან ეპიტირიტისთა, დაალხრვნიან და თჳსთა კელიონთა წარგზავნნიან; უკუეთუ კულა წინა აღდგომაჲ ვინმე იკადრის, მათი მამამან უბრძანის
73. და ფიცხლად განკანონნის.

ოდეს იხილნიან ვინმე ჭაბუკთა ძმათაგანნი, გინა ერთმან ერთისა თანა უბნობად ანუ სიცილად, ანუ კელის მიუოფად, ფიცხლად ამხილიან, და, უკუეთუ მეორედ ქმნიან, მამასა მოაკსენიან, და მან მძიმედ განკანონის.

უკუეთუ რაჲმე მოჰკდის მტერისა მიერ ერთმან ერთისა მიმართ ფიცხელი შფოთი, გინა წუერთა გლეჯაჲ, გინა მიმთხუევაჲ, წესი იყო მამისა ჩუენისაჲ, რომელ მას თანა კმა მადლობაჲ და უწესოჲ გულისწურომაჲ არა იყო, ვითა იყო ყოვლითავე სათნოებითა შემკული, ტკბილითა და ჰამოჲთა სიტყუთა, და იუბნის წიგნთაგან და ზეპირით, და ჰრქუს, ვითარმედ: „შვილნო! უკუეთუ მიგიშუნე ამას საქმესა ზედა, პირველად სულთა თქუენთა წაიწუმედთ და მერმე მონასტერი უწესოდ გავა[97]). გინაჲთგან ეგრე მოკდა, რომელ ღმერთმან მე დამადგინა თქუენდა მსაჯულად და განმგებელად, უკუეთუ უწურთელად მიგიშუნე, უწყოდეთ, ვითა[98]) მას საუკუნესა მწარედ გაისჯებით; უკუეთუ კულა მე აქა მცირედ გწვართნე და მადლობით მიითუალოთ, მრწამს ღუთისაგან, ვითა მის საუკუნოჲსა განკი-

---

[96]) ვარ.: რა ჟამს სერობისასა ილოცავნ.

[97]) ვარ.: იქმნების.

[98]) ვარ.: ვითარმედ.

თხვისაგან განერებით; და ესრეთ რაჲ დაარწმუნის, ცნის ძალი მის საქმისაჲ ძმათაგან, და უკუეთუ ორთაჲვე არნ 74.
ბრალი, ორნივე წუართნის, და უკუეთუ ერთისაჲ, ერთი;
ვითარიძი [99]) იყვის შფოთი იგი, უკუეთუ დიდი იყვის, დიდად წუართნის და უკუეთუ მცირე—მცირედ: სამამოსა მიიყვანნის და უბრძანის განრთხმაჲ, და ძმამან მან თაყუანისსცის და განირთხის თავი თჳსი, და ერთი ძმაჲ თავსა უმჭირავნ და ერთი ფერკთა და ერთთა ჩოკასა ზედა მიამთხჳან დუედითა: რომელსამე ლ ჲ რომელსამე მ, და რომელსამე სამოცი. ჩოლო უკუეთუ ვინმე იპოვის ასაბიაჲ და ერთი მეორისა მეშუელი, დიდად მოუგინდის [100]) და ფიცხლად წუართის. და მათ ცემულთა შემდგომად ცემისა, მუკლ მოდრეკით თაყუანის სცინ, და ცრემლით შენდობაჲ ითხოვიან მამისაგან, და რომელმანმე ორი მსგეფსი დაუვის ქუსმწოლარემან, და რომელმანმე სამი, და ჯამითი ჯამად მივალნ მამაჲ და ნუგეშინის სცემნ სიტყჳთ და საქმით, და სანუკვარსა წარსცემნ, 75.
და კელოსანთა დაჰვედრნის, რათა ნუგეშინის სცემდენ. და ვინცა წუართის, თჳნიერ ყოვლისა მიზეზისა ნუგეშინის სცის და ადაშენის: ანუ ჩოკითა, ანუ საბეჭურითა, ანუ სხჯთა რაჲთმე საკმრითა, და ყოვლადვე არა იყო დრტჯნვაჲ, გინა გულის კლებაჲ ცემულთა მათ თანა, არამედ ესრეთ მეერაცხის, ვითარმცა ქრისტეს კელთაგან წურთილ იყვნეს.

ესე ვითარი ჩუეულებაჲ აქუნდა წმიდასა მამასა ჩუენსა ეფთჳმეს: რამეთუ სამთა დღეთა შჯდეულისათა—ორშაბათსა, ოთხშაბათსა და პარასკევსა სჴნაკსა თჳსსა მზისა დასლვასა პური და წყალი იკმარის, თჳნიერ დიდთა დღესასწაულთასა და სხუაჲ დღე ყოვლადვე ტრაპეზსა მივალნ; გარნა თუ ლავრელი მოვიდის ანუ პროტი, რამეთუ მა-

---

[99]) ვარ.: ვითარძი.

[100]) ვარ.: შეუძნდის.

შინ ესრე ირჩიეს ძმათა, რათა კიდე შეუკაზმვიდენ ჳურსა,
76. გინათუ სამამოს ანუ თუ სადაცა ენებოს, რათა არა დაეყოვნოს ძმათა სატრაპეზოს მიზეზისათჳს შრომისა, რამეთუ ფრიად მოხარკე იყვნეს ძმანი მაშინ შრომასა.

ნეტარი მამაჲ ჩუენი ჲჳნოსა არა ოდეს იკმარებნ, თჳნიერ ჟამის წირვისა ანუ დიდისა რაჲსამე მიზეზისა, ვიდრე სიბერედმდე. ხოლო ტრაპეზსა ოდესცა დაჯდის, ებრძანა მეტრაპეზისადა, რომელ ძმათა ჲჳნისაგან ყოვლადვე თასითა ჲჳნოსა დაუდგმიდეს, და გემოსა იხილავნ და უგუეთუ მარჯუედ არნ, არა რაჲ ბრძანის, უგუეთუ გულა ანუ ძმრიანი არნ, ანუ მეტი წუალი ერთის, შემდგომად ტრაპეზით ადგომისა დაეუბნის მევაქინესა [101]), ვითარმედ: „ძმაო, ამათ ძმათა ნუგეშინის საცემელი სხუაჲ არაჲ სადაჲთ აქუს ამის ტრაპეზისაგან კიდჱ; უგუეთუ სუბუქი ჲჳნოჲ იყოს, ყოლა ნუ ურთავ წუალსა ჲჱ უგუეთუ საშუალი იყოს, ჯერისაებრ ურთჱ, და უგუეთუ უმჯობესირე იყოს, ვითაცა ჯერ იყოს". ეგრეთვე
77. დადაცთუ თჳთ არას იკმარებნ, ძმათა საჭმელი მოადებიის თავისა წინა და მისიცა გემოჲ იხილის და, უგუეთუ ზეთი აკლდის, კელარი დაიუბნის და ამცნის განმართებაჲ, ხოლო უგუეთუ უმგბარი იყვის ანუ უმარილოჲ, ანუ მარილიანი, ოდეს ტრაპეზით ადდგის, მზარეული [102]) დაიუბნის და ჰრქუს, ვითარმედ: „შიშითა ღუთისაჲთა იქმოდე, ძმაო, სამსახურებელსა შენსა და ნუ იტყუ, თუ კაცთა ვჰმსახურებ, არამედ ესრეთ გაქუნდინ, ვითარმცა ანგელოსთა ღუთისათა ჰმსახურებდი, რათა სასყიდელი შენი არა წარგიწყმდეს".

წესი იყო მამისა ჩუენისაჲ, რომელ ტრაპეზსა ზედა ყოვლადვე არა უბნობნ; გარნა თუ ვინმე უცხონი იყვნიან ჱ იშჳთ სადმე ნელიად სიტყუაჲ მიუგის; გინა თუ წუალი უნდის, გინა თუ ევლოგიასა ვისმე წარსცემნ, გინათუ რაჲმე საჭი-

---

[101]) ვარ.: მეღვნესა.

[102]) ვარ.: მზარაული.

როდ საქმე იყვის ტრაპეზსა ზედა, მოუკმის მოწაფესა და
იდუმალ უბრძანის, რომელ სხუამან ვერვინ ცნის; სხუად
გულა ძმათაგანი ყოვლადვე ვერვინ იკადრებ უბნობასა;
მეტრაპეზე გულა და კელოსანნი უკუეთუ საჭიროდ რადმე 78.
საქმე იყვის, იდუმალ დაჩურჩნიან; ეგრეთვე ძმათა, უკუ-
ეთუ საჭიროდ რადმე საქმე იყვის, გინათუ წყალსა ით-
ხოვდიან, გინა თუ სხუასა რასმე, იდუმალ ითხოვიან.

და ესეცა გაეწესა მეტრაპეზისადა, ვითარმედ: „უკუეთუ
ვინმე იხილო გინა უბნობად, გინა სიცილად, გინა ლაღობად
ტრაპეზსა ზედა, შეუთუალე, ვითა: „მაგას ნუღარა იქმ [103]),
თუ არა მამასა გაუწესებია, რომელ გარე გაგიუვანო“. უკუ-
ეთუ ვინმე იშოვის გინა მტერისაგან, გინა სასუმლისაგან
და კუალადცა იწყის უბნობად გინა განცხრომად, შეეთუ-
ალა მამასა ეკლესიასა შინა ძმათადა, ვითა: „დამიმცნია მე-
ტრაპეზისადა, რომელ არავინ აღგიდგეს წინა გარე გან-
უვანებისათჳს“. და არცა ვინ იკადრებდა წინა აღდგომასა,
და გარე გაიყვანის ეგე ვითარი იგი, ვიდრემდის სახჲ გა-
ნიგის.

მშრომელთადა, დღესასწაულთა და კჳრიაკეთა და გი-
ნა თუ ჰაერი [104]) არნ, მაშინ გაეწესა [105]) მსახურებაჲ, და
შრომისა დღეთა შინა მუოფნი ჲ ხუცესნი და დიაკონნი 79.
ჰმსახურებდიან, ვითარცა მიხუდებიან და სხუაჲ მოცალე ერი.

წესი იყო მამისა ჩუენისაჲ, რომელ უკუეთუ დიდი რაჲ-
მე საქმე არნ, გინა სამეფოჲ, გინა ბჭისაჲ, ეკლესიას დაიუბ-
ნის ძმანი, და უკუეთუ საკრებულოჲ რაჲმე არნ, ძმათა
უკმის, რომელთა აქუნ მის საქმისა მეცნიერებაჲ; გინა თუ
სამჯედლოჲ იყვის, გინა სახუროვნოჲ, გინა სავენაკეჲ — და მათ
თანა დაიურვის სამამოს; ესე კულა სხუანი საქმენი წურილ-

---

[103]) ვარ.: ვითარმედ: მაგას ნურღარა ოდეს იქმ.

[104]) ვარ.: ერი.

[105]) ვარ.: განაწესა.

ნი იოანომოსისა თანა და იუბნის, რამეთუ დადგება თუ
უოველსა საქმესა მეცნიერ იყო სამგზის სანატრელი მამაჲ
ჩუენი ეფთჳმე, გარნა დიდითა მით სიმდაბლითა თჳსითა,
თჳნიერ კითხვისა, არა რას იქმოდა და სიბერესა მისსა ზე-
და არა თავსიდებდა არგნითა ეკლესიად შესლვად; ხოლო
უძლურთა ძმათ და გაეწესა: ჲ ეკლესიისა შტოსა დგიან მი-
ურდნობით კუერთხთა მათთა ზედა; ხოლო რომელნი მე-
ტადრე უძლურნი იყვნიან, მათდა ებრძანა, რომელ შტოსა-
80. ვე შინა სხდენ იგინი სკამთა ზედა.

და უფროჲს უოველისა ესე უძნნ წმიდასა მამასა ჩუენსა:
უკუეთუ ვიეთმე ტკუვილით, გინა ეკლესიისათჳს, გინა ძმისა
ვისთჳსმე, სიტკუაჲ რაჲმე უთხრიან, და ამისთჳს მტკიცედ დაე-
მოწმა, რათა უკუეთუ ზედა მიწევნით არა იცოდიან, უოვ-
ლადვე არა იკადრონ მოკსენებად, ხოლო უკუეთუ ტკუვი-
ლით რაჲმე მოახსენიან, მძიმედ განკანონნის; და მის მიზე-
ზისათჳს მრავალნი ძმანი მონასტრისაგან გაასხნა, რათა
კრებული მშჳდობით იყოსო [106]).

თუესა შინა ორგზის და სამგზის კურიაობათა დაიუ-
ბნის ძმანი სწავლითა სულიერითა, ჲ ვითარცა იყო სავსე
მადლითა ღუთისაჲთა, წმიდათა წერილთაგან ასწავებნ მათ
სარგებელსა სულთა მათთჳს, და ესე ოდენ ლმობიერ
იქმნიან უოველნი, ვიდრეცა მრავალი ცრემლი დასთხიან
და ჰმადლობდიან ღმერთსა და სიტკუაჲ მისი ესრეთ შეი-
წუნარიან, ვითარცა ქრისტესი. ხოლო ასწავებნ მათ სიუა-
რულისათჳს და სიმდაბლისა, მორჩილებისათჳს და კრძა-
81. ლულებისა, სიმშჳდისათჳს და უშფოთველობისა, მოთმი-
ნებისათჳს და მსახურებისა, და მოსწრაფედ მისლვისათჳს
ეკლესიად, და სხუათა უოველთავე წესთა კრებულისათა
მკურვალედ აღსრულებისათჳს; და ეტყჳნ, ვითარმედ:
„ესრეთ ვიხარკოთ, ძმანო, რომელ შეკრებაჲ ჩუენი ამას

---

[106]) ვარ.: იყოს.

წმიდასა ადგილსა არა ცუდად იყოს, ‹რცა ამაოდ იქმნას განსლვაჲ ჩუენი ამიერ სოფლით›; და სხუანი მრავალნი სწავლანი, ვითარცა დმერთმან მოსცის პირსა მისსა, მიუთხრნის, და ყოველისავე კორციელისა საქმისაგან უზრუნველ ეუწნეს ძმანი და ყოველსავე იგი მისცემნ, ვიდრე სწავლამდე და ნემსადმდე, და მიზეზი გარდაეკუეთა, რათა არას ვინ ზრუნვიდეს და არცა გაჰყიდდეს, და არცა იყიდდეს, და არცა რას მოირეწდეს [107]), და არცა რას მოიგებდეს თჳნიერ მისისა ბრძანებისა; და უკუეთუ ვისმე უნდის ძმისა რაჲმე მიცემაჲ, თჳნიერ მამისა ბრძანებისა ვერვინ იკადრის მიცემაჲ, ვიდრე არა ჰკითხის, და უკუეთუ ვინმე გარდაჰკდის მცნებასა მისსა და იყიდის გინა შესა- 82.
მოსელი, გინა სხუაჲ რაჲმე, გინა საფასე მოიგის, ფიცხლად ამხილის და ძლიერად განკანონის; და მრავალ გზის გჳხილავს, რომელ გინა საბეჭურნი იყვნიან, გინა შესამოსელი ანუ თუ კუნკული, ცეცხლითა დაწუნის ზღუდესა შინა.

რამეთუ იყო ვინმე მთავარ დიაკონი, ღირსი კაცი, და შერაცხილთა შვილი და არა მცირედი საფასე მიეცა მონასტრისადა ჵ თჳსი შესამოსელი, რომელი დაედვა ეკლესიას, არა ჴნებავნ, რათამცა ვინმე შეიმოსა იგი თჳნიერ მისსა. დღესა ერთსა ენება წმიდასა მამასა ჩუენსა შეწირვაჲ უსისხლოჲსა მსხუერპლისაჲ და ჰრქუა სხუასა ვისმე მთავარ დიაკონსა, რათა შეიმოსოს კუართი იგი შესამოსელი პირველ კსენებულისა მის მთავარდიაკონისაჲ, ხოლო მან მიუგო, ვითარმედ: „მამაო სულიერო, ნუ უკუე შეწუხნეს ძმაჲ იგი, რამეთუ არა ჴნებავს, რათამცა ვინმე შეიმოსა კუართი მისი“. ესმა რაჲ ესე მამასა, მოუწოდა მთავარ დიაკონსა მას ჵ ჰრქუა სიმშჯდით და ტკბილად, ვითარმედ: „გნებავსა, რათა შეიმოსოს ძმამან მან კუართი შენი და ჰმსახუროს საკურთხე- 83.

---

[107]) ვარიანტში „არცარას მოირეწდეს“ აკლია.

ველსა ჩუენთანა?" და იხილნა, რამეთუ შეწუხნა იგი და არა უნდა, რათა შეიმოსოს; და ვითარცა აღასრულა წმიდაჲ ჟამის წირვაჲ, მოუწოდა ხელმწიფესა მას მთავარ დიაკონსა და ეტყოდა, ვითარმედ: „მითხარ ჩემშარიტი, რაჲ დაგიტევებიეს სოფელსა შინა?" ხოლო მან ჰრქუა, ვითარმედ: „წმიდაო მამაო, არა უმეცარ არს ფირსებაჲ შენი, რამეთუ მშობელნი და ძმანი და საფასენი და მონაგებნი არა მცირედნი დამიტევებიან და რაჲ იგი კელთა შენთა წმიდათა მომიცემიეს, თჳთ უწყი". ჰრქუა მას მამამან ჩუენმან: „და ჯერ გიჩნსა, შვილო, რათა მაგის ყოვლისა მადლი და სასყიდელი წარიწყმიდო კუართისა ამის შენისათჳს?"; ხოლო მან ჰრქუა „ნუ იყოფინ, მამაო!" ⁋ მეყსეულად უბრძანა მოდებაჲ ცეცხლისაჲ და თჳსითა კელითა შთააგდო კუართი იგი ცეცხლსა
84. და ესრეთ დაიწუა. ხოლო ძმაჲ იგი შეუვრდა წმიდათა ფერკთა მისთა და შენდობაჲ ითხოვა და ეგრეთვე უკუეთუ ვისმე აქუნ შესამოსელი, გინა სხუაჲ რაჲმე საკმარი და არა ჰნებავნ მას, რათამცა აკმარა იგი ძმასა თჳსსა, რაყამს უკმნ მას, ევრეთვე დაწჳს ცეცხლითა ⁋ ეტყჳნ, ვითარმედ: „სულთა ჩუენთა დადებაჲ ბრძანებულა ძმათა ჩუენთა თჳს და შენ გახრწნადსა საკმარსა ადირჩევ უფროჲს ძმისა შენისა და არა გეკდიმებისა?" ხოლო მათ სწავლაჲ მისი, ვითარცა წამალი ცხორებისაჲ, მიითუალიან და მადლობდინ ღმერთსა, რომელმან მიჰმადლა მათ ესე ვითარი მკურნალი სულთაჲ.

მარადის ასწავებნ ძმათა, ვითარმედ: „ჯერ იყო, რათამცა არა რას ვეძიებდით სხუასა გარეშე ტრაპეზისა, ვინაჲთგან უწყით, თუ ვითარითა იწროებითა წარვლეს წმიდათა ყოველთა საწუთროჲ ესე, რომელ არცა თუ წყლითა განიძღებდეს თავთა მათთა, კაცნი, რომელთა ფირსვე არა იყო სოფელი ესე, უბრალონი და უბიწონი და წმიდანი ყოვ-
85. ლისაგანვე ცოდვისა. ხოლო ჩუენ, რომელნი ესე სავსე ვართ ყოვლითა ცოდვითა, არა გმა არსა ჩუენდა განსუე-

ნებაჲ ტრაპეზისაჲ და ორგზის დღესა შინა მიღებაჲ საზრდელისაჲ სავსებით და უნაკლულოდ ღჳნითა და საჭმლითა? კმა არს ჭეშმარიტად და ნამეტნავ. ხოლო ვინაჲთგან არა გუნებავს მცირედცა იძულებაჲ თავთა თჳსთაჲ და მრავალთა მიზეზთა ვმიზეზობთ, უკუეთუ ვინმე ტრაპეზსა ოდენ ვერ დასჯერდებოდის და გინა მე და გინა თუ კელოსანმან მისცეს საკმარი რაჲმე, თჳთ მან ხოლო მარტომან იკმარენ და სხუასა ძმასა ბრალსა ნუღარა შთაგდებენ და უკუეთუ ესე არა ქმნას, ორთავე ბრალსა დმერთი მისგან იძევს".

ესე კულა სჳიდაჲ გინა ღჳნისაჲ გინა თევზისაჲ ყოველადვე არა კსენებულ არს მონასტერსა შინა, თჳნიერ ზეთისა და იგიცა, რომელნი მკითხველნი იყვნიან ანუ მწერალნი და წასანახავად ანუ საწერლად აინთიან, სხუაჲ კულა არა იყოწესი, რათამცა ანუ კანდელსა ინთებდეს, ანუ ხატთა დაი- 86.
სუენებდეს სენაკთა შინა, არამედ ჯუარი ერთი გინა ხატი ერთი ესუენის, რათა რაჟამს ილოცვიდენ, მათ წინაშე თაუუანის სცემდენ და ემთხუეოდინ; ოდეს კულა ანუ ზეთი იყიდის ვინმე, ანუ ღჳნოჲ თჳნიერ მამისა სიტყჳსა, დაუთხიან ავლინსა შინა. ხოლო თჳნიერ დიდისა უძლურებისა საჭმელსა არავინ შეიქმოდა; რამეთუ შევიდის მამაჲ სამზარეულოს, ჲ უკუეთუ კოჭობნი იხილნის ცეცხლის კიდესა, იკითხის მზარეულისაგან, თუ ვისნი არიან, და უკუეთუ უძლურთანი იყვნიან, მიუშჳს; უკუეთუ კულა ნაუროვნებით ვინ იქმნ, ზოგჯერ გარე განთხევაჲ უბრძანის და ზოგჯერ საეროსა საჭმელსა თანა ჩასხმაჲ.

მრავალნი მოვიდიან საფასითა დიდითა მოქალაქენი და სხუათა ადგილთაგან, რათამცა მოიშუარსნეს; დაითრგუნნის, იდუაწნის [108]) ქამ რაოდენმე და განუსუენის და მერმე უბრძანის: „შეგჳნდჳეთ, ვერ მოგშუარსავთ, თქუენ კაცნი 87.

---

[108]) ვარ.: მოიშუარსნეს, კელსა შინა მისთა იღუაწნის.

ხართ სახელოანნი და ჩუენ კაცნი ვართ გლახაკნი და უცხონი, და ოდეს საფასე მისცეთ ეკლესიასა, განსუენებით გნებავს ყოფაჲ და ნუ უკუეჱ ვერ გაგისუენოთ და მერმე შესწუხდეთ, და კუალად ძმანი ყოველნი ძლიერად შურებიან და უკუეთუ ვიეთნიმე მოცალედ იყვნენ, იგინიცა შეწუხდებიან“ და ესრეთ მრავალთა უჯმნის და წარვიდიან. ხოლო უკუეთუ ვინმე მოვიდის ძმაჲ მშრომელი და მდაბალი, იტყჳნ მამაჲ, ვითა: „გრწმენინ, ძმანო, ამათი მირჩევია შეწუნარებაჲ, ვიდრე ათასიმცა ვინ დრაჰკანი მომცა“.

იყვნეს პირველითგან დიდებულნი კაცნი, ალარიოზ კანანახი, აღდგომისა დიაკონი, პირველ შენებაჲსა მონასტრისასა მოსრული იყო აქა და მისსა იკონომოსობასა აღეშენა მონასტერი და ვითა თჳსსა ძმასა ხედვიდეს მამანი ჩუენნი; და ევედრა მათ, რათა წარვიდეს იერუსალიმს; და
88. წარგმზავნეს მუნ და მრავალნი წელნი დაუვნა დიაკონობასა შინა და მამათა მრავალგზის მიუწერეს და კუალად მოიუვანეს აქავე და პირველსაცა მოსლვასა და მეორესაცა, რომელ მოიდო ვეცხლად და ოქროდ ბ სტავრად და საკედრად უფროჲს ოცისა ლიტრისა იყო; და მას მისცეს მოწაფჱ (მწფჱ) და გაკუეთილი შეუქმნეს, თავისა კრასოულისა კიდე, კოკაჲ ერთი ღჳნოჲ თუესა შინა, და ყველი ერთი, და სამი ლიტრაჲ ზეთი, და დღივ ერთი პური; და ესე იყო გაკუეთილი მისი.

კუალად მოვიდა გჳრპელი, ჯოჯიკის მეგანძურთა უხუცესი, და მოინათლა, რამეთუ სომეხი იყო, და არსენი უწოდეს, და დისწული თჳსი ჰმსახურებდა მას; და შემდგომად მრავალთა წელთა კუალად გამოეთხოვა, რათამცა ნახნა თავისა უფლისწულნი; და ორსავე მოსლვასა უფროჲს ათხუთმეტისა ლიტრისა მოიდო და მისცა მონასტერსა, და იგივე კანანახისა გაკუეთილი მას შეუქმნეს.

89. კუალად მოვიდა ათანასე ჳერითურელი ძითურთ, დი-

დად საკმარი ეკლესიისაჲ და ჰქონდა კარეის[109]) მონასტერი, რომელი იგი და სხუაჲ ფრიადი საფასე მოსცეს მამათა ჩუენთა, ხოლო მათ გაუიდეს მონასტერი იგი სამას ორმეოც დრაჰკნად და იგივე განანახისა გაკუეთილი მას ჰქონდა.

და მათ ქამთა შინა ვინცა ვინ მოვიდის ეკე ვითარი კაცი, ნახევარი საფასისა თჯსისაჲ ეკლესიასა შეწირას და ნახევარი საშუარად მისცის.

წმიდისა მამისა ჩუენისა მოდუაწეებათა და ერისა საურავთა თანა და წიგნთაჲ თარგმნასა ესეცა დიდი ზრუნვაჲ ეტკრთა, რამეთუ არცა შრომტი, არცა სხუანი მამასახლისნი, თჯნიერ მისისა ბრძანებისა არარას იქმოდეს და იშჯთი დღე გარდაკდის, რომელსა ათი ანუ ათხუთმეტი მამასახლისი არა მოვიდის მათ წინაშე.

და კუალად ზრუნვაჲ დიდისა[110]) ლავრისაჲ, საქმე მძიმე ჲ მრავალ ფერი მის ზედავე იყო, რამეთუ დიდსა ათანასის მისდა მიენდო საურავი, და დახედვაჲ და განგებაჲ მისი; და 90.
მისთა შრომათა და ღუაწლთა ზედა, ოდეს ცა ჩრაჲმე საეროჲ საქმე არნ მონასტრისაჲ, თჯნიერ უცალოებისათანავე გავიდის, გინა თუ ნავისა გამოზიდვასა, გინა თუ ნავი მოვიდის ხუარბლითა, გინა თუ ვენაკთა ასარვასა, გინა თუ აჯოჯვასა, გინათუ სთულებასა[111]); რამეთუ ვინაჲთგან ახალ ნარგ იყვნეს წუოდა ვენაკნი, ყოველთა სარითა განგებაჲ უნდა და უფროჲსნი დღენი ვენაკთა შრომასა შინა დაჰყვნიან და ყოვლადვე მამაჲ მათ თანაკე იყვის, თჯნიერ დიდისა მიზეზისა.

და კუალად ბურდალთაგან ყოველნი სოფელნი ჭირსა შინა იყვნეს, და კნინდა უკაცრულ და ჭირისა მაგიერ

---

[109]) ვარ.: კარეაის.

[110]) ვარ.: დიდი.

[111]) ვარ.: სთლობასა.

უფროჲსი სათესავი მთასა შინა იქნებოდა თოკითა, საწუნე და დიგაჲ და სელი, და თივისა თიბაჲ, და ამას ყოველსა ძმანი შურებოდიან, ჳ ვინაჲთგან ყოველნი იქმოდეს, არა უმძიმდა, არამედ უდრტვინელად და სიხარულით იქმო-
91. დეს და ამათ ყოველთა საქმეთა მამაჲ ზედაჲსზედა მივალნ და ნუგეშინის სცემნ სიტყჳთ და საქმით, და საზრდელითა და სასუმლითა.

ყოვლადვე ეტყჳნ ნეტარი მამაჲ ჩუენი იოანომოსსა, ვითარმედ: „უწუერულთა მუშათა ნუ შეიწყნარებ ამისთჳს, რამეთუ მავნებელნი არიან ძმათანი და ზოგთამე გონებითა ევნების, და ზოგთა შეხედვითა; ნურას ეხუეჭ საფასისა დაგლებასა; უმჯობეს არს, რომელ დაგუაგლდეს ათი და თხუთმეტი [112]) დრაჰკანი და ძმათა სავნებელი არაჲ შეემთხჳოს".

ჯუალად უგუეთუ ძმათა ვიეთმე მოიყვანნიან თჳსნი ნათესავნი უწუერულნი, მამასაცა ნებავნ, რათამცა ისწავლეს სწავლაჲ და ხელოვნებაჲ, გარნა მონასტერსა არა დაიმჭირნ-ს, არამედ გარე სოფელთა გაგზავნნის, სადა იცოდეს უმჯობესი და სულიერი და გამოცდილი იოანომოსი, და მუნ ალიზარდნიან, და ოდეს წუერითა შეიმოსნიან, მაშინ შემოიყვანნის მონასტრად.

საჯორეს ყოველნი ძმანი იყვნიან მეჯორედ და ორნი
92. ერისაგანნი იყვნიან მსახურად და მხუეტელად და სხუანი ძმანი იყვნიან, და არა თუ უმძიმნ, არამედ უფროჲსად უხარინ, რამეთუ მორწყულ იყვნიან სულნი მათნი სწავლითა და მოძღურებითა წმიდისა მამისა ჩუენისაჲთა, რამეთუ ყოვლადვე იტყჳნ, ვითარმედ: „კრებულსა შინა მყოფნი, ამით სამითა საქმითა ცხოვნდებიან: სიმდაბლითა, ჳ მორჩილებითა, და თჳსისა ნებისა დატევებითა".

ხოლო ოდეს იხილის ძმათაგანი ვინმე უდებად და

---

[112]) ვარ.: თუთხმეტი.

მოძილად ეკლესიისა ლოცვასა, ჰკითხის, ვითარმედ: „რად გძინავს ეკლესიასა შინა? არა გეუოფისა სენაკსა შინა ძილი?". და, თუ უთხრის, ვითარმედ: „შინა ვიდჳძებ და მით დამეძინებიან", — უბრძანის, ვითარმედ: „ეგე, საუუარელო, მტერისა საფრკჴ არს, რათა მცირისათჳს დიდი დაგაჭირვოს; ეკლესიას მიმავალისა კაცისაგან ეძიებს ღმერთი, რათა ფრთხილად და ლმობიერად დგეს; თუ ესე ვერ შეგიძლია, რათამცა ეკლესიასაცა იდჳძებდი და სენაკსაცა ძილითა გაძღებოდე! და აქა ნუ დაიძინებ, თუ არა მძიმედ გაგკანონებ". 93.

მეკარესა მონასტრისასა ყოვლადვე ფრთხილსა და სულიერსა კაცსა დაადგინებენ, და ესრეთ დაემცნო, უკუეთუ ესე ადგილისა მრონინენი[113]) მონაზონნი მოვიდოდინ, უკუღთუ მწუხრსა მოვიდენ, ისერონ და სამხარი ჭამონ და გაუჯმენ, და დაუმოწმე, რომელ უყამოდ არა მოვიდოდინ. ხოლო კელარითადა ებრძანა, რათა ერისგანთა იგინი ისტუმრებდენ, და უჯმნიდენ, და კელრისა კარსა რაჲთურთით არა გასწუდებოდა შეკრებად მრავალ ფერთა ვნებათათჳს. ხოლო უცხონი თუ მოვიდიან, მესამესა დღესა, შემდგომად ჭამისა, — ებრძანა, — რათა მეკარე უჯმნიდეს; ესე კულა კართა ზედა შეკრებასა, ანუ მონასტერსა შინა ანჯამანსა, ანუ სენაკთა შინა უბნობასა ურგებსა რაჲთურთით არავინ იკადრებდა ყოვლადვე.

საკელრიოჲსა წესი ესრეთ გაეწესა, რათა საჭმელსა არა იქმოდინ, გარნა თუ უცხონი იყვნიან ანუ მშრომელნი ვინმე და მათთჳს ზოგჯერ ადგილსა შექმნიან, ზოგჯერ სამზარეულოს და მუნ წაიდიან; კელარნი კულა სამხრად ყოვლადვე სატრაპეზოსა მივიდიან, ერთი პირველსა და მეორე მეორესა ტაბლასა, და ეგრეთვე მევაჟენი. მაგრა კელართა მწუხრსა თუ რაჲმე ეკმარებიან, მინა იკმარიან. 94.

---

[113]) ვ.: მრონინენი

ყოვლისა უფროჲს ეპისტატისათჳს, რომელ არს მუშათა უხუცესი, ჰვედრებენ მამაჲ ეფთჳმე და ეტყჳნ, ვითა: „ნუმცა რაჲ დააკლდების ეპისტატსა, რომელ არა შეწუხდეს, და ოცდა ათი ანუ ორმოცი მუშაჲ არა მოაცთუნოს, და ესთენი განძი ბედით წაკდეს, რომლისაჲ თანა გუაც მათდა მიცემაჲ.

მოსენაეთა [114]) კულა მოწაფენი ყოველსავე საეროსა სამსახურებელსა გავიდოდიან; ჲ მზარაულისადა დაემცნა, რათა მათი საჭმელი მან შეუქმნას. და თუ საჭიროჲ რაამე
95. საქმე არა არნ, მამისაცა მოწაფენი ძმათავე თანა წავიდიან მსახურებასა, და უფროჲსჯერ მოსენაენიცა ძმათა სათნოებისათჳს ძმათავე თანა გავიდიან, უფროჲსდა ოდეს მამაჲ მუნ იყვის.

ჰეთოიკი, და ბოსტანი, და წისქჳლნი კელრისა საურავნი იყვნეს, და ამათგანსა, რაჲცა ვის ეკმარებინ, კელარი ეურვინ კონომოსსა თანა და მამასახლისსა.

ხოლო საშარიკონომოსოჲ, ჲ საწანგროჲ, ჲ საჯორე, და სამჭედლოჲ, და ხურონი, და კალათატნი, ჲ მანდრინი, და ვენაკნი, და მენავენი, —ესე იკონომოსისა გასაგებელნი იყვნეს. კელარსა ვენაკთა ზედა ყურძნისათჳს არა ჰქონდა კელმწიფებაჲ, ეგრეთვე იკონომოსსა ხილისათჳს; გინა შინა მონასტერსა, გინა გარე მეტოქთა, კელრისა გასაგებელნი იყვნეს, გინა თუ ზეთისხილი იყვის, გინათუ ნიგოზი, გინათუ სხვაჲ ხილი; ოდეს კულა რაამე წასაცემელად საკმარ
96. არნ, კელარსა გაეზრახის იკონომოსი; ხოლო ოდეს მოიწიფის, კელარნი ზედაჲს ზედა გავიდოდიან მეტოქთა და მოჰნახვიდიან ხილნართა, და მუნ მყოფთა მოუწუენიან და დაამცნიან, ვითარმედ: „შინა და გარე დიდად ეკმარების ძმათა და ეკლესიასა, რომლითა გაერებოდი იგი, ხოლო დაიმჭირე და ნურას დააკლებ“; და ვერარას იკადრებდეს უწე-

---

114) დედანში სხვა ხელით: მოსენაკეთა; ვარ.: მოსენაეთა.

სოსა საქმესა ქმნად, ყოველი კელარსა შეკიდოდა [115]) ტ უხუებით ჰქონდა მისაცემელი სატრაპეზოს, და სადაცა საკმარ არნ წარსაცემელად; უკუეთუ კულა ეკმარებოდიან კელარსა ანუ მონაზონნი ანუ ერისკაცნი, იკონომოსთან მისცნის.

ოდეს მამაჲ შინა არნ, რაჲცა ვის ეკმარებინ, თჳთ მამასა მოაკსენის, იკონომოსსა არას ვინ სთხოვნ, და, თუ ვინმე სთხოის, მამასა თანა მიავლინის; ოდეს კულა შინა არა არნ, მერმე გააგებნ იკონომოსი.

იკონომოსისა განწესებული შჯდი კრასოვული იყო; და ოდეს ტრაპეზსა დაჯდის მწუხრსა, ოთხი კრასოვული 97. მიართჳან; უკუეთუ კულა შინა არა იყვის, დაემცნა მამასა: „საჭმელსა ერთსა შეუქმოდეთო, და ხილსა, და ზეთისხილსა და, რაჲცა ითხოს, მისცემდით;“ და, რაჲცა დაუშთის, საკელროსავე წარსცის.

მაშინ წესი ესე იყო, რომელ კელრისადა დაემცნა წინამძღუარსა საჭრისა მიცემაჲ ძმათა და კელოანთაჲ: გინა თუ გაკუეთილი მათი, გინათუ მეტსა ვინ ითხოვნ; და ამისთჳს იკონომოსსა თანა არავინ რას მივალნ, უკუეთუ მამაჲ შინა არა არნ; უკუეთუ კულა სტუმარნი ვინმე მოუვიდიან, მაგრა იკონომოსმან განაგის.

სხუაჲ კულა საკმარი იკონომოსისაგან ითხოვიან, გინათუ მოგუნი, გინათუ ჩაფლანი [116]), გინათუ ტყავი, გინათუ საბლები, გინათუ სელი—ესევითარი იკონომოსისაგან ითხოვიან. და ესრეთ, ყოველივე საქმე განწესებულად იყო, და უშფოთველად იყვნეს ყოველნი. 98.

აგარათა მონასტრისათა, ვითა სიჭიკონი არს, და კარავანი და ღუთისმეტყუელი, და სხუათა ესე ვითართა თავისა გასარომელსა სრულებით მისცემდიან მონასტრით და,

---

[115]) ვარ.: შეუვიდოდა.

[116]) ვარ.: ჩაფანი.

რაჲცა იქმნის მუნ, ყოველსა ქუჱ მოიღებდიან, თჳნიერ რაოდენისამე, რომელი მუნ მყოფთა დაუტევიან მათდა საკმარად

კუალად მოსენაკეთადა გაეწესა წმიდასა მამასა ჩუენსა: და უკუეთუ პური დაუშთის, არა აქუნ კელმწიფებაჲ სადავე მიცემად, არამედ კელარსავე მისციან.

იყვნეს უკუე შინაცა და გარეცა სულიერნი და ღმერთშემოსილნი მამანი: სანატრელი არსენი[117]) ნინოწმიდელი და წმიდაჲ ბერი იოანე გრძელის ძჱ, და სულითა შემოსილი იოანე ბერი მარტოდ მყოფი, და სხუანი მობაძავნი მათნი, კაცნი ზეგარდამოჲთა მადლითა განათლებულნი და ანგელოსთა მობაძავნი ცხორებითა, და სხუათა მათ სათნოებათა მათთა ზედა; და მოხუცებულებასა[118]) ამასცა იქმოდეს, რომელ ვერა რაჲთ ვერ დაარწმუნა მამამან,
99. რათამცა სნეულთა პური და ღჳნო აღიღეს, არამედ ძმათა პურსა და, თუ ეკმარებინ, გრასოვულსა მათსა კმაიყოფდეს; დაღაცათუ არა მცირედი შესაწირავი მიეცა მონასტრისადა, არამედ არა რას თავს იდებდეს აღებად, გარეშე საჭიროჲსა მის და უნდოჲსა კორცთა საკმრისა, და კუალად ყოველთა აზნაურთა ჩუენთა დიდი სარწმუნოებაჲ აქუნდა მათისა ღირსებისა მიმართ, და მრავალგზის ევლოგიაჲსა წამოსცემდეს მათ წინაშე; ხოლო მათ კელად მიიღიან და ულოციან, და ვითა დაბეჭდული იყვის, ეგრეთვე მამასა თანა წარციან, მრავალგზის ევედრებინ მამაჲ, რათა რაოდენიმე გლახაკთა მისცენ, გინა სადაცა ენებოს, ხოლო მათ ნეტართა ჰრქვან, ვითარმედ: „წმიდაო მამაო, ჩუენ სასულენი ვართ ეკლესიისანი და სასულეთაგან ღმერთი ესე ვითართა საქმეთა არა ეძიებს“; და პურსა, რომელ მონასტრით წაიღიან, არცა მისგან მისციან გლახაკთა,

---

117) ვარიანტში არ არის: „მამანი: სანატრელი არსენი“.

118) ვარ.: მოხუცებულნი.

არამედ თქუან, ვითარმედ: „მონასტერი ზრდის გლახაკთა"; ხოლო უგუეთუ აქუნ ხილი, გინა მხალი, გინა სასუმელი,—ესე ვითარი რაჲმე მისციან გლახაკთა; უგუეთუ 100.
გულა შური დაჰმეტდის, მეორისა მსგეფსისაჲ არღარა აღიღიან.

და გუალად ლიტონთა დღეთა თჳსთჳს იღუაწიდიან, ვითარცა უკორცონი, ხოლო დღესასწაულთა და კჳრიობათა ერთგან აღასრულიან წესი ლოცვისაჲ და პირი ერთგან იკსნიან; და იყო ხილვაჲ ცხორებისა მათისაჲ ჭეშმარიტად ვითარცა ანგელოსთა ღუთისათაჲ და სიტყუაჲ წესიერ და ტკბილ; და ესრეთ აღასრულეს ცხორებაჲ მათი, და სრულნი ყოვლითა სათნოებითა წინაშე ღუთისა მიიცვალნეს, და იხარებენ ყოველთა წმიდათა თანა და ჩუენთჳს ითხოვენ ღუთისაგან წყალობასა.

და ჭეშმარიტად წამა მათთჳს ქერთ შემოსილმან მამამან ჩუენმან ეფთჳმე, ვითარმედ: „უკუანაჲსკნელთა ამათ ქამთა არღარა გამოჩინებად არიან ესე ვითარნი სრულნი და მაღალნი სათნოებითა: რამეთუ არა რაჲ იყო სათნოებაჲ [119]), რომელიმცა არა აქუნდა მათ სრულებით და მაღლად და უცთომელად.

ხოლო განწმედილნი იგი და შრომითა განკაფულნი გუამნი მათნი დაისხნეს საფლავსა შინა წინაშე ტაძარსა 101.
წმიდისა სჯმეონ მოხუცებულისასა, ერთსა შინა სამარხვოსა, მახლობელად თჳსთავე მათ მოღუაწებისა სენაკთა, რომელ არიან კარავათა.

მბრძოლი იგი წმიდათაჲ და მოშურნე კაცთა ცხორებისაჲ ბელიარ, ხედვიდა რაჲ სულიერთა ამათ წესთა, რომელ დაესხნეს მამასა ჩუენსა ეფთჳმეს, და წარმატებასა ძმათასა და თარგმნასა წიგნთა სამრთოთასა, ფრიად ელმოდა და განილეოდა შურითა, და პოვა ვინმე

---

[119]) ვარიანტს აკლია: „რამეთუ არა რაჲ იყო სათნოებაჲ".

საწყალობელი, სახითა მონაზონი, და აღძრა იგი მოკლვად წმიდისა მის. რამეთუ გომოუჩნდა და ჰრქუა მას, ვითარმედ: „უკუეთუ მოჰკლა მბრძოლი ჩემი ეფთჳმე, ფრიადი კეთილი ვუო შენ თანა". ვინაცა შეიმზადა მახჳლი და ენება მოკლვაჲ მისი, არამედ ცუდ უო ღმერთმან განზრახვაჲ მისი; რამეთუ დღესა ერთსა, აღვიდა რაჲ გოდლად და დაჭუშა კარი მოწაფემან და თჳთ შთავიდოდა თჳსსა
102. სენაკსა და, ვითარცა მცირედ შთავლო კიბეთა გოდლისათა, შეემთხჳა მას განცოფებული იგი მონაზონი და ჰრქუა, ვითარმედ: „წინაშე მამისა აღვალ და მიჳამე"; ხოლო იგი ეტყოდა, ვითარმედ: „არა ჯერ არს ესრეთ უქამოდ აღსლვაჲ მამისა". და იგი ეტყოდა: „შეუძლებელ არს, ვითარმცა არა აღვედ?" [120]) და ვითარ არა უტევებდა აღსლვად სანატრელი იგი მოწაფჱ მამისაჲ, მეყსეულად განცოფებულმან მან იკადა მახჳლი იგი საშმაკოჲ და ესრეთ უწყალოდ დაჩხუეჳ სანატრელი იგი ძმაჲ და თჳთ ივლტოდა წარსლვად; და ვითარ იგი ივლტოდა, შეემთხჳა მას სხუაცა მოწაფჱ მამისაჲ და იგიცა დაჩხუეჳ მახჳლითა; ხოლო იქმნა რაჲ კმაჲ და ამბოხი, ცნა ესე წმიდამან მამამან ჩუენმან და მეყსეულად შთავიდა, და სრულ უვნა იგინი სქემითა, და აზიარნა წმიდათა საიდუმლოთა, და ესრეთ გჳრგჳნითა წამებისაჲთა შემკულნი მიიცვალნეს წინაშე დუ-
103. თისა; ხოლო მედგარმან მან ადიარა მტერისა მიერი იგი აღძრვაჲ თჳსი და ღირსად უკეთურებისა თჳსისა მწარედ წარჰკდა უბადრუკი იგი სული მისი.

კუალად სხუასა ქამსა აღძრა ეშმაკმან მებოსტნე მონასტრისაჲ და აზრახა მასცა მოკლვაჲ წმიდისაჲ მის, და, ვითარცა კელეო, მეყსეულად უქმ იქმნა კელი მისი, და დაშთა ვითარცა შეშაჲ განკმელი, ვიდრემდის ადიარა უო-

---

[120]) ვარ.: აღვიდა.

ვცლი, და ლოცვითა მისთა მიიღო კურნებაჲ და ადიდებდა ღმერთსა.

ყოვცლთა მათ სათნოებათა თანა აქუნდა ესეცა დიდი სათნოებაჲ, რამეთუ თჳნიერ განკითხჳსა არა რას იქმოდა უოვლადვე, რამეთუ იტყოდა, ვითარმედ: „მინდობაჲ თავისა თჳსისაჲ და თჳსსა განზრახვასა შედგომაჲ წარმწყმედელი არს სულისაჲ, ხოლო განკითხვაჲ წინამძღუარი არს ცხორებისაჲ, ვითარცა თქუეს წმიდათა მამათა ჩუენთა. და ესე წესი ვიდრე აღსასრულადმდე თჳსად დარმარხა [121]).

იყო წმიდაჲ მამაჲ ჩუენი ეფთჳმი სახრთა მუუდრო, და გონებითა წრფელ და მდაბალ, და სულითა განათლებულ და წმიდა, და გუამითა ძლიერ სალმრთოთა შინა საქმეთა და მოდუაწებათა, და ჰასაკითა წესიერ, და თჳნიერ წამებითა წერილთაჲთა არა რას დაამტკიცებენ თავით თჳსით, გრნა იტყუნ; და ეკლესიას დგომასა მჴნე: რამეთუ დგანიგი, თჳნიერ კუერთხისა და კედელსა მიყრდნობისა, კელმოჭდობით, ვითარცა სუეტი შეურყეველი, ჲ შირი და თუალნი მისნი იუვნიან ქუეყანად მიმართ მხედველ. ხოლო სენაკსა შინა მოდუაწებათა მისთა აღრიცხვაჲ ვისმცა ძალედვა? რომელნი იგი ღმერთმან მხოლომან უწყნის, რამეთუ უოველნივე ფარულად აღესრულებოდეს მის მიერ; ხოლო არნ სამოსლად მისა ძაძაჲ და ძაძისა მის ზედა ჯაჭჳ მძიმჱ: და რომელიცა ვინ სათნოებაჲ გამოიძიოს, მის თანა პოოს, მის მიერ აღსრულებად კეთილად და შუენიერად; ხოლო სიწმიდე და ქალწულებაჲ შეუხებელი და უბიწოჲ დაემარხა, ვითარცა ანგელოზსა ღუთისასა და ცათა შინა მყოფსა. ხოლო თარგმანებაჲ წიგნთაჲ აქუნდა ნამეტნავად უოველთა სათნოებათა, და გჳრგჳნად და განმანათლებელად ნათესავისა ჩუენისა. ✣

აღასრულნა წმიდამან მამამან ჩუენმან ეფთჳმი ათოთხ-

104.

105.

[121]) ვარ.: დაიმარხეს.

მეტისა წლისა ქამნი, შემდგომად მამისა თჳსისა აღსრულებისა, წინამძღურობასა შინა და მერმე ვედრებითა ზემო კსენებულთა მათ წმიდათა ბერთაჲთა—არსენი ეპისკოპოსისაჲთა და იოანე გრძელ-ს ძისაჲთა იჳმნა წინამძღურობისაგან: რამეთუ ხედვიდეს დირსნი იგი ბერნი, რომელ მიზეზითა მრავალ ფერთა ზრუნვათაჲთა დაეხრწეოდა თარგმანებისაგან წმიდათა წერილთაჲსა; და ესრეთ მოიცალა და თჳსსა სენაკსა დაჯდა და წინამძღურობაჲ ძმათაჲ შეჰვედრა გიორგის, რომლისათჳს ემცნო მამასა იოანეს, თჳსსავე ნათესავსა, და თავადი წიგნთა სადმრთოთა თარგმანებასა შეუდგა და ფრიადნი წიგნნი თარგმანნა, რომელთაგანნი რაოდენნიმე ზემო გჳსენებიან.

ხოლო აქუნდა ზრუნვაჲცა დიდისა ლავრისაჲ და, ვიდ-
106. რემდის ერჩდეს, კეთილად განაგებდა; ხოლო უკუანაჲსკნელ იწყეს თავკედრობად და ამბოხებად და წინამძღუართა ზედაჲს ზედა ცვალებად და უმეტეს და უმეტეს აღორძინდებოდა ამბოხებაჲ მათი, ვიდრემდის სამეუფოდ აღვიდეს და აუწყეს კოსტანტი მეფესა შფოთისა მათისათჳს; ხოლო ცნა რაჲ მეფემან, ვითარმედ დიდი ეფთჳმი არს განმგებელი მათი, აღუწოდა მას სამეუფოდ, რათა ყოველი შფოთარიტი ისწაოს მისგან, რამეთუ დიდი სარწმუნოებაჲ და სიყუარული ჰქონდა მისა მიმართ დირსებისა მისისათჳს.

და ვითარცა წარვიდოდა წინაშე მეფისა, შეკრიბნა ძმანი ყოველნი და ნუგეშინისცა და ტაბლაჲ კეთილი განუმზადა და ლოცვასა დაევედრა [122]) და მერმე წარვიდა სანატრელისა და ქრისტეს ნების მყოფელისა თეოფანე ხუცისა, რომლისა მიმართ დიდი სიყუარული აქუნდა მამასა ეფთჳმეს, რამეთუ სიყრმითგან აქა აღზრდილ იყო და ყოველითა სათნოებითა განშუენებულ იყო,

---

[122]) ვარიანტში „ლოცვასა დაევედრა"-ს მაგიერ: „დიდად პატივსცა და იჳმნა მეფისაგან".

და იყო იგი მდდელი სათნოჲ ოჳფლისაჲ და სწავლული 107.
ფრიად და კელოვნებით მწერალი წიგნთა საღმრთოჲთაჲ,
რომლისათჳს წამებდა მამაჲ ეფთჳმე, ვითარმედ: „უფრობას
ათას ხუთასისა დრაჰკნისა უწერიან წიგნი მონასტრისა-
ნი შინა და გარე; და ვინაჲთ არსენი და იოანე შეი-
სუენეს, მრავალგზის მას ჰკითხავნ სულიერად მამაჲ ჩუენი.
ამის უკუე ნეტარისა ბერისა წარვიდა და მოიკითხა იგი
ტირილით და ლოცვასა დაუვედრა; ხოლო იგი მოეხვა და
ცრემლით ჰქუა, ვითარმედ: „ვაჲმე უბადრუკსა, რამეთუ
არღარა ოდეს გიხილო შენ კორციელად, ჲ წმიდაო მამაო!“
და თჳთ მამაჲცა ეფთჳმე ეწამებოდა სიტყუათა მისთა, რო-
მელი იგი იქმნაცა და აღესრულა ორთავე წინასწარმეტ-
ყუელებაჲ.

რამეთუ, ვითარცა ვთქუთ, აღვიდა ღმერთშემოსილი მამაჲ
ჩუენი ეფთჳმე სამეუფოჲდ და, ვითარცა ცნა მეფემან მისლ-
ვაჲ მისი, დიდითა პატივითა მოიკითხა იგი და გამოჰკითხა
საქმე ლავრისაჲ და, ვიდრე დაურვებადმდე ჳოვლისა საუ-
რავისა, მრავალნი ქამნი გარდაჰდეს და მოიწია დღესას- 108.
წაული წმიდისა იოანე ღუთისმეტყუელისაჲ და, ვითარცა
აქუნდა ჩუეულებაჲ, დიდებულად გარდაიპრდა და მრავალ-
ნი გლახაკნი იღუაწნა და მოწაფეთა მათ, რომელთა თა-
ნა იყო, კეთილად ნუგეშინისცა და თჳთ თავით თჳსით ჰმსა-
ხურა და ჳოვლითა კეთილითა აღავსნა, და ამისა შემდგო-
მად თავად მან პირი იკსნა და მცირედ განისუნა შრომი-
საგან; და, ვითარცა აღდგა, მოეკსენა ხატი წმიდისა იოანე
მახარებელისაჲ, რომელი მპატრისადა მიეცა განსაკებელად,
და უბრძანა მოწაფესა, რათა წარვიდეს და უთხრას, ვი-
თარ ჯერ არს შეკაზმაჲ მისი, და მერმე ჰქუა, ვითარმედ:
„ვითარ იგი გკმს ჩუენ, ნუ უკუე და ვერ გააგონო, შვი-
ლო! არამედ დამისხენ საკედარსა ზე მე თჳთ წარვიდჳ“.
ხოლო იყო ჯოჯი იგი ახლად სჳიდული და მანკიერი,

და მათ არა იცოდეს სიმედგრე მისი და ზნოანებაჲ; და ვითარ წაჴვლეს ხანი რაოდენიმე, შოვა ვინმე გლახაკი,
109. რომელი ითხოვდა ქვილის საქმარსა; და დადგა წმიდაჲ მამაჲ ჩუენი, რათამცა მისცა მას ქველის საქმარი [123]). ხოლო იგი ადდგა, შემოსილი ძონძებითა, და მოჰმართა მიდებად ქველის საქმისა; ხოლო ვითარცა დახედნა მჭიერმან მან საეედარმან, მყის განჰკრთა და იწყო სივლტოლად და აქა და იქი ეკუეთებოდა, ვიდრემდის ფიცხლად მოწყალა წმიდაჲ იგი და სანატრელი მამაჲ ჩუენი, და, ვითარცა გარდამოაგდო, ფრიადი ერი შეკრბა მის ზედა: რამეთუ ყოველნი მეცნიერ იყვნეს და ყოველნი ტიროდეს და იგლოვდეს; და მერმე წარიღეს მონასტრად, სადა იგი სავანე ეყო; და ვითარ ესმა კოსტანტი მეფესა, დიდად შეწუხნა და წარავლინა თჳსი ვინმე საკუთარი და მოიკითხა იგი, და ეგრეთვე მოქალაქეთა, დიდებულთა, და მთავართა და ჴალატისათა დიდი სარწმუნოებაჲ და სიყუარული აქუნდა, და ყოველნი მოვიდოდეს ჴ ცრემლითა ილტობდოდეს და ამბორს უყო-
110. ფდეს და წარვიდოდეს. ქართველთა თჳს კულა რაჲ ვინ თქუას? რამეთუ ყოვლადვე განუშორებელ იყვნეს ანგელოსთა მოხაძავსა მას გუამსა მისსა და ტყეებითა ფრიადითა ეგლოვდეს სიობლესა თჳსსა. და ესრეთ, ლოცვასა შინა ჴ მადლობასა ღუთისასა გარდაიცვალა სამგზის სანატრელი იგი და ღმერთმომოსილი მამაჲ ჩუენი ეფთჳმე და ფრიადი მწუხარებაჲ მოიწია ჩუენ ზედა, რომელნი დავაკლდით ტკბილსა მას და საწადელსა მამასა ჩუენსა, ხოლო იგი წარვიდა წინამე ღუთისა, ნათელსა მას მიუაჩრდილებელსა, ყოველთა თანა წმიდათა, რომელნი საუკუნითგან სათნო ეყვნეს ღმერთსა, და მეოხ არს ცხოვრებისათჳს სულ-

---

[123]) ვარიანტს აკლია: ,,და დადგა წმიდაჲ მამაჲ ჩუენი, რათამცა მისცა მას ქველის საქმარი''.

თა ჩუენთაჲსა წინაშე სამებისა წმიდისა; ხოლო პატიოსანნი იგი ნაწილნი მისნი აღმოიყვანნეს თჳსსავე მონასტერსა და დაისხნეს სამარხოსა ლუსკუმასა, ტაძარსა შინა წმიდისა იოანე ნათლის მცემელისასა, და რომელნი სარწმუნოებით მოუკდებიან, კურნებისა მადლთა აღმოივსებენ უხუებით კადნიერებითა მისითა წინაშე ღუთისა. 111.

აღესრულა სამგზის სანატრელი მამაჲ ჩუენი ეფთჳმი თუესა მაისსა ათცამეტსა, დღესა ორშაბათსა, ინდიკტიონსა ათერთმეტსა წელთა, დასაბამითგან სოფლისაჲთ ექუს ათას ხუთას ოც და მეათექუსმეტესა წელსა, სადიდებლად მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და პატივი აწ, და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე ამინ.

ხოლო ვინაჲთგან წმიდამან მამამან ჩუენმან ეფთჳმე წინამძღურობაჲ მონასტრისაჲ დაუტევა და, ვითარცა ზემო ვთქუთ, გიორგი მამად დაადგინა, კნინღა და უმეტესნი ზემო კსენებულთა მათ წესთაგანნი შეცვალნა და თჳსსა ნებასა და განზრახვასა შეუდგა და სხუათა რათმე წესთა და განონთა ენება დამტკიცებაჲ; ხოლო დიდსა ეფთჳმის დაღაცათუ უძნდა საქმე ესე, არამედ ვინაჲთგან მშჳდობის მოყვარეჲ იყო დ̃ სავსე სიყუარულითა, ყოვლადვე არაჲ აცილა, არამედ თჳსსა მსახურებასა განკრძალულ იყო და წიგნთა საღმრთოთა თარგმნასა შექცეულ; ხოლო იგი კორციელთა საქმეთა ზედა ფრთხილ იყო და მის ჟამისა წარჩინებულთა და მთავართა წინაშე სახელოვან და მთაჲ ყოველი დიდად პატივს სცემდა და ეკრძალებოდა. და კუალად ბერძენნი ფრიად რაჲმე შეიყუარნა და განამრავლნა დ̃ სრულად[124]) მათდა მიმართ მიდრკა, ხოლო ქართველნი, ვითარცა ნასხურნი რაჲმე და უნდონი, უგულებელს ყვნა და შეამცირნა, რამეთუ, ვითარცა უწყით ყოველთა, ადრე 112.

[124]) ვარ.: კუალად.

შევირყევით და მიმოსულასა მოსწრაფედ შეუდგებით
და ამით მიზეზითა ფრიად ვავნებთ თჳსთაცა სულთა
და ადგილსაცა; ხოლო იგი, ვითარცა იყო ფრთხილი და
მძიმე კაცი, მეტნი რაჲმე შეჰოვნებანი და ლიქნანი ვერ
შეეძლნეს, და კუალად, ვინაჲთგან იხილა, რომელ ფრიადი
112. ერი საკმარ იყო სივრცისათჳს მონასტრისა და სიმრავლისა-
თჳს სამსახურებელთაჲსა, და ჩუენ არა დავდგებოდეთ,
ბერძენთა მიექცა და იგინი განამრავლნა; გარნა, ვი-
ნაჲთგან ჭეშმარიტისა ჯერ არს თქუმაჲ, უკუეთუ მო-
ვიდის ვინმე ქართველი, რომელსა კრებულსა შინა შეეძ-
ლის მსახურებაჲ, რაჲცა ეკმარებინ, ყოველითავე ფე-
რითა აღაშენის, ხოლო უკუეთუ კრებულსა შინა არა
ენების ყოფაჲ, სადაცა სოხასტერთა მონასტრისათა ენე-
ბის დაჯდომაჲ, ჳურსა არავის უყენებენ ქართველსა.

ესე კულა ვითა შავი გრიგოლ იყო, ჲ ზაქარია მირდატის
ძე და არსენი და სხუანი ესე ვითარნი კაცნი, დიდითა ვა-
ტივითა ვატივსცემენ, და მოწყლედ მოიკითხავნ და, ვითა
ჴნებავნ, აღაშენებნ.

და ამას ესე ვითარსა საქმესა შინა გარდაკდეს ქამნი
რავდენნიმე და ამისა შემდგომად, ქამთა რომანოზ მეფისა-
თა, დიდად წარჩინებულ იქმნა გიორგი წინაშე რომანოზ მე-
114. ფისა, და დიდად საკუთარ და პატივცემულ; და მერმე, თუ
ვითარ იქმნა, დმერთმან უწყის, განდგომილებაჲ და ორ-
გულებაჲ დასწამეს დიოგენისა ვისთჳსმე, რომლისათჳს
თქუეს, თუ მისი უნდაო მეფობაჲ გიორგის; ჲ ამის მიზეზისა-
თჳს ექსორია იქმნა გიორგი მონოვატს და მუნ აღესრულა
ექსორიობასა შინა; და მონასტერი და ჩუენ ყოველნი,
რომელნი დაშთომილ ვიყვენით, მას ქამსა დიდსა ღელვა-
სა და მიმოტაცებასა შთავცკვენით, რამეთუ სამგზის დაიტ-
ყუენა მონასტერი, და რაჲცა დრისტი ტურფაჲ იყო, მამათა
ჩუენთა მოგებული, ყოველი იავარ იქმნა, და ეგრეთვე განძი
და კუმაში.

და ვინჲთაგან ბერძენთა ესე ვითარი ჟამი პოვეს, კელ-
ყვეს ყოვლითა ღონისძიებითა, რათამცა ქართველნი ამის
მონასტრისაგან აღმოჰფხურნეს; და ამის პირისათჳს დიდი
მოსწრაფებაჲ აჩუენეს, და მთაჲ ყოველი თანაშეიწიეს, და
საბერძნეთისა დიდებულნი და პალატისა წარჩინებულნი 115.
ყოველნი მიდრიკნეს, და მრავალი შრომაჲ დ̃ ჭირი და რუ-
დუნებაჲ ჩუენზედა მოაწიეს, და, რათა მოკლედ ვთქუა, რამე-
თუ არა თუმცა ოჳფალი შეწეულ იყო ჩუენდა და მეოხებაჲ
წმიდისა ღუთის-მშობელისაჲ და მათ წმიდათა მამათა ჩუენ-
თა მადლი და ლოცვაჲ, — დღეს არცამცა ერთი ქართველი
არა იპოების ესე ვითარსა ამას ვრცელსა და დიდებულ-
სა ლავრასა შინა. რომელი ესე ფრიადითა წარსაგებელი-
თა და მრავლითა ოფლითა მათ წმიდათა მამათა ჩუენთაჲთა
ჩუენ ქართველთათჳს აღშენებულიყო და აღმართებულ.
და ამის პირისათჳს, რათა ესე ვითარი ესე ბოროტი, რო-
მელი მოაწიეს ჩუენზედა ბერძენთა, არა დავიწყებულ იქმ-
ნას, და კუალად შემდგომად ჩუენსა მომავალნი ესე ვი-
თარსავე ჭირსა შთაცვვენ, — ამისთჳს ზოგადითა განზრახ-
ვითა ყოველნი ძმანი ერთად შევკერბით დ̃ ერთითა განზრა-
ხვითა ესე ქუემო წერილი მოსაკსენებელი დავწერეთ ამით 116.
პირითა და სახითა, ჟამთა სჳმეონ მამისათა, და ესრეთ
ვიტყჳთ:
ვინაჲთგან მადლითა და წყალობითა ღუთისაჲთა აღი-
ძრნეს წმიდანი მამანი ჩუენნი, იოანე, და იოანე, და
ეფთჳმი და ამას წმიდასა მთასა მოიწინეს ნავთსაყუ-
დელად სულთა მრავალთა, და განმამრავლებელად ნა-
თესავისა ჩუენისა, და დიდითა ღუაწლითა და ფრი-
ადითა წარსაგებელითა აღაშენეს დიდებული ესე ლავ-
რაჲ სამკჳდრებელად ქართველთა და მერმე ღუთის მსა-
ხურთა ბერძენთა მეფეთა მსახურებითა და მომადლე
ბითა, ჟამთა განდგომილისა სკლიაროსისათა, განავრ-

ცეს ჲ განამდიდრეს [125]), ჲ მოუგნეს დაბანი ჲ მონასტერნი,
და ოქრო ბეჭედნი, ვითარცა ზემო წერილ არს, და კე-
თილითა აღსასრულითა დაიძინეს და წარვიდეს ცხორე-
ბად საუკუნოდ, და მკჳდრად და განმგებელად დაუტევეს
117. ნეტარი ეფთჳმი, რომელმან ყოვლითა წესითა კეთილითა
განაშუენა წმიდაჲ ესე ადგილი, და თარგმანებითა წმიდათა
წერილთაჲთა განანათლა და შეამკო ნათესავი ჲ ენაჲ ჩუენი,
და ქამთა მრავალთა კეთილად დამწყსო სამწყსოჲ ესე მის-
და რწმუნებული, და ვინაჲთგან სიშორს ქუეყნისა ჩუენისაჲ
დიდ იყო, და სივრცე ადგილისა ამის დიდებულისაჲ ფრი-
ად იყო, შემწედ და მსახურად შეიწყნარნა ბერძენნი უმან-
კოებით და სიწრფოებით, და ესრეთ განმრავლდა ნათესავი
ბერძენთა ლავრასა ამას; და შემდგომად მცირედისა ქამისა
იჯმნა წინამძღურობისაგან და თჳსი ნათესავი გიორგი მამად
დაადგინა და თავადი მუუდროებით ცხოვნდებოდა, რომ-
ლისა იგი საჴონოებათა სახელი და ღირსებაჲ ყოველსა
საქართველოს განეფინა, ჲ არა ხოლო საქართველოსა
ოდენ, არამედ საბერძნეთსაცა, და ამის მიზეზისათჳს მრა-
118. ვალნი ღირსნი და წმიდანი კაცნი მოვიდეს მისა, და გა-
ნათლდებოდეს ხილვითა მისითა, ვითარცა სახედ: იოანე
გრძელის ძჱ და არსენი ეპისკოპოსი ნინოწმიდელი, და
ღირსი იოანე სახულელი, და ოქროპირი და სხუანი მო-
ბაძავნი მათნი, და მერმე ნეტარი ბერი გრიგოლ, ახალი
აბრაჰამ სტუმრის მოყუარე, და ზაქარია მირდატის ძჱ, და
არსენი და სხუანი მოწაფენი მათნი, რომელნი იგი, ვი-
თარცა მამამან სახიერმან, შეიტყბნის, და ყოველითა გან-
სუენებითა განუსუენის, და ესრეთ სათნოდ დუითის მოქალა-
ქობასა შინა ოჯფლისა მიმართ მიიცვალა, ვითარცა ზემო
მოვიკსენეთ, და ძმანი ქართველნი მამასა გიორგის და
მამასა გრიგოლს შეჰვედრნა და არა მრავლისა ქამისა შემდ-

---

[125]) ვარ.: განადიდეს.

გომად მამაჲ გიორგი დავიწუებად მოვიდა, ჲ არცა ერთი რაჲ
ზრუნვაჲ აქუნდა ქართველთა აღმრჩინებისა, არამედ სრუ-
ლიად ბერძენთა მიექცა და იგინი განამრავლნა, და შემ- 119.
დგომად რაოდენისამე ქამისა მიიცვალა ექსორიობასა შინა,
ვითარცა ზემო მოვიკსენეთ, და მიერითგან წმიდაჲ ბერი
გრიგოლ იყო ნავთ საუკეთესო ქართველთა ნათე-
საგისა და ნუკეშინის მცემელ. ხოლო ვითარცა მა-
მაჲ გიორგი ექსორიობასა შინა მიიცვალა და ჩუენ
ფრიად შემცირებულ ვიყვენით, ქამი პოვეს ბერძენ-
თა და, ვითა ცეცხლნი, აღეგზნნეს ჩუენზედა, და
სრულიად აღმოფხურაჲ ჩუენი ენება, და დაშურობაჲ სამ-
კჳდრებელისა ჩუენისაჲ, და უმძიმესი ესე იყო, რამეთუ, რო-
მელსა იგი მაშინ წინამძღურობაჲ ეპყრა, იგი იყო შემწე მათ-
და, გორგ უკეთური, არაჲთ უმოკლხინესი პირველ კსენებუ-
ლისა მის გიორგისა, რომელი წინა აღუდგებოდა დიდსა
ათანასის, დაღაცათუ უკუანაჲსკნელ შეინანა და ამის მიზეზი-
სათჳს დიდსა ჭირსა შინა ვიყვენით და საწუნელ და სა-
ძულელ მათდა, ჲ თითოეულად არცა თუ შესაძლებელ არს
ყოველისავე წარმოთქუმაჲ, რავდენნი გინებანი, რავდენნი 120.
შეურაცხებანი და უუდრებანი მოიწეოდეს მათ მიერ ჩუენ-
ზედა დღითი დღჱ, და ცემითა, და გუემითა, და მწვალებე-
ლად ხადითა შეიწრებულნი დიდსა ურვასა შინა ვიყვენით;
და ესეცა ენება, რათამცა სახელიცა მაშენებელთაჲ აღმოჰ-
კოცეს.

ამას ყოველსა რაჲ ხედვიდა ნეტარი მამაჲ გრიგო-
ლი, ელმოდა გული მისი და შეიწუებოდა წყალობითა
ჩუენითა, და მარადის ცრემლით ევედრებიან ღმერთსა,
რათა უმჯობესი ჩუენი განიგულოს, და ესრეთ რაჲ ეურ-
ვოდა, მისცა ღმერთმან კაცი ორითავე მარჯუჱ და სავსე გო-
ნიერებითა—ნეტარი არსენი, რომელმან იგი არა შეიწუალა
თავი თჳსი, არამედ ყოველივე მოსწრაფებაჲ აჩუენა დამ-
ტკიცებისა ჩუენისათჳს, სხუათა რავდენთამე ქრისტეს მო-

ჟუარეთა ძმათა თანა, რომელთა იგი საუკუნომცა არს საკ-
121. სენებელი და კურთხევაჲ მათი; რამეთუ არცა თუ ეგებისს
რავდენნი ფუაწლნი მოითმინნეს ყოველთავე თითოეულად
აღრიცხვაჲ: მიმოსლვაჲ ჩუენი ზღჳთ და კელით, და აფ-
ხაზეთს და ქართლს, სავედრებელთა წიგნთა თჳს ბერძენთა
მეფეთა წინაშე, და რავდენ გზის მოვიდით წიგნი თჳთ
მჴარობელთაჲ და ჩამოვედით, და კუალად გინებითა და შეუ-
რაცხებითა წარგუდევნიან უსაგზლონი და უკამურნი ქამსა
დელვათა ტეხისა[126]) და ზამთრისასა, და ესრეთ, ანუ თხო-
ვით აღვიდით კუალად სამეუფოდ, ანუ ფუთის მოყუარეთა
კაცთა წყალობითა და კუალად შევსტიროდით ჲ ვესამარ-
თლებოდით მეფეთა, და კუალად მუნ აღგჳდგინნის ღმერ-
თმან მოურნენი და გუზრდიდიან, ვითარ იგი ქრისტეს
მოყუარენი ძმანი ჩორჩანელი და ფარსმან; რომელთა იგი,
დიდად აღგჳჴურეს კელი წუალობისაჲ,—ათას წილად მიაგენ
ოჯუალმან.

122. და ამათ რაჲ ჭირთა შინა ვიუჳსნით, არა მცირედნი
განსაცდელნი მოწყოდეს ფიცი დღე ძმათა ზჳდა და
უფროჲსად ნეტარსა არსენის, რამეთუ იგუემაცა და მრა-
ვალი შრომაჲ დაითმინა, ჲ საუროპილედ შეწუედევაჲ და
კიცხვაჲ, და ბასრობაჲ, და ეგრეთვე ძმათა ყოველთაჲ.
ხოლო წმიდა ბერი გრიგოლ ნუგეშინის გუცემნ და გან-
გუამჴნობნ, რათა არა სულ მოკლე ვიქმნეთ.

ესე ყოველი რაჲ იხილა ღმერთმან ყოვლად ძლიერ-
მან, სახიერებითა თჳსითა ლმობიერ ყო გული მიქაელ
ქრისტეს მოყუარისა მეფისაჲ, ჲ წუალობად ჩუენდა მოაკ-
ცა, და შემდგომად დიდთა ბჭობათა, და გამოძიებათა
ლირსი მამაჲ ჩუენი გრიგოლი წუალობით მოიკითხა, და
ნებითა ფუთისაჲთა კუალად დაგჳმკჳდრა აღგილი ჩუენი და
საყოფელი წინაძღომითა და მოდუაწებითა გრიგოლისითა

---

[126]) ვარ.: ჟამთა ღელვა-ტეხისა.

და არსენისითა და ყოველთა ძმათა ჩუენთაჲთა, რომელთა იგი იღუაწეს ვიდრე სისხლთა დათხევადმდე. 123.

და ჩუენ (?) შემოკვერბით და მადლი მივეცით ღმერთსა, და მრავალთა მათ ჭირთაგან განვისუენეთ; და გარდაჲდეს რაოდენნიმე ქამნი, და მიხაელ მეფემ თესალონიკეს ჩამოვიდა[127]; გუალად აღეტყუინნეს ჩუენ ზედა ბერძენნი, და მთაჲ ყოველი აღძრეს, და დიდებულნი ყოველნი განდრიკნეს, და ენება, რათამცა პირველი იგი ბჭობაჲ და ღუთისა მიერი ჩუენ ზედა წუალობაჲ ცუდმცა ყვეს და ამაო, არამედ განაცრუვა ღმერთმან ზრახვაჲ მათი და ამაო ყო აღძრვაჲ მათი[128]: რამეთუ კუალადცა კელი წუალობისაჲ აღგჳშურა ღმერთმან, და არა განგუთხინა წმიდამან ღუთისმშობელმან ტაძრისაგან თჳსისა, რომლისა იგი კელჳყვეს ყოველითავე ღონ-ძიებითა, რათამცა, ვინაიჲთგან მონასტერი ვერ წაგჳყენეს, ბარემცა დიდი ეკლესიაჲ რაჲთ მიგჳყენეს, რეცა სამართალიცა შესწევდა: რამეთუ[129]). ვინაჲთგან 124.
აღშენებულ იყო, მათ ჭქონებოდა იგი ეკლესიაჲ, და, ვითარცა ჩჳენდავთ, უაღრეს ქებისა აღმატებულ არს ჭაეროვნებაჲ და შუენიერებაჲ მისი, რომელ ამას მთასა შინა დადგაცათუ ფრიად არიან მონასტერნი, გარნა მსგავსი მისი არა იშოების, და არა ხოლო მთასა, არამედ სხუათაცა მრავალთა ადგილთა.

გარნა ესრეთცა ურგებ იქმნა კელყოფაჲ მათი, რამეთუ წმიდამან ღუთისმშობელმან ჩუენ გლახაკთა გჳბოძა დიდებული იგი დიდებისა თჳსისა ტაძარი და ყოვლადვე გჳღუწის და გუფარავს უღირსთა ამათ და უცხოთა, მადიდებელთა და სამწყსოთა თჳსთა.

და, ვითარცა ვთქუთ, რაჟამს ესრეთ მძიმედ ბრძოლა გჳუეს, დაჯდა გუალად ქრისტჱს მოუუარე მიხაელ მეფჱ

[127]) ვარ.: შთამოვიდა.

[128]) ვარიანტში „და ამაო ყო აღძრვაჲ მათი“ არ არის.

[129]) ვარ.: რომელი.

და ფრიადითა გამოძიებითა განბჭო და ეკლესიაჲ და მო-
ნასტერი ყოველითურთ მონაგებით და სიმდიდრით ჩუენ
125. გჳბოძა და ფრიადი წყალობაჲ და სიტკბოებაჲ მოგუფინა,
—მიაგენ ქრისტემან ათასწილად სულსა მისსა!

მამაჲ გრიგოლ პირველ ამის მეორისა ბჭობისა მი-
ცვალებულიყო; ხოლო არსენი შემდგომად ამის მეორისა
ბჭობისა მიიცვალა, და ესე მრავალისაგან მცირედი მო-
გჳსენებია: და ვინაჲთგან ესე ყოველი და ამისა უმრავ-
ლესი მოიწია ჩვენ ზედა, და მრავალნი ძმათა ჩუენთა-
განნიცა გარდაიქცეს და მიექცეს ჩუენთა წინაალმდგომ-
თა, და ამის ყოველისაგან შეგუეშინა და მოსაკსენებელი
ესე აღვწერეთ და დავდევით შემდგომად ჩუენსა მომავალ-
თა ნათესავთა თჳს, რათა არა დავიწუებულ იქმნას და გა-
რეწარ ესე ვითარი ესე მრავალ ფერი ჴელვაჲ და ერ-
თითა ერთობითა ამას ვიტყჳთ, ვითარცა ერთისა პირითა
ყოველთა ქართველთა თანა, რომელნი სადაცა არიან აღ-
126. მოსავალისათა, და შავისამთისათა და აღრუსალიმისათა
და სადაცა არიან ძმანი ჩუენნი:

შჯული ვინმე გამოჩნდეს ნათესავისა ჩუნისაგან კა-
ცი—გინა მამასახლისი, გინა იგუმენოსი, გინა სხუაჲ ვინ, ჴ
რაჲთაცა ჴელითა, ანუ მანქანებითა, ანუ საფასისა სიხარბი-
თა, ანუ სიყუარულითა ბერძენთაჲთა, ანუ კაცისა ვისმე
შეშოვნებითა, ანუ სჯით რაჲთმე ზაკუვითა ეორგულოს
ამას წმიდასა ადგილსა, გინა განსცეს მიწაჲ მთასა გინა
გარე, ანუ ქართველთა შინა[130]) განმცემელ ექმნეს და ასწყჳ-
დნეს, და ესე ადგილი ქართველთა თავისა რაჲთმე საქმითა
გამოუგდოს და იგინი გაასხნეს[131]) და ჩუენი საკსენებელი
ამოსწყჳდოს, ყოველთა წმიდათა ჯუარითა და მადლითა
კრულმცა არს, და წყეულ, და შეჩუენებულ, და განკუე-
127. თილ წესისაგან ქრისტეანეთაჲსა, და მათ თანამცა შერა-

---

[130]) ვარ.: ვარიანტში „შინა“ არ არის.
[131]) ვარ.: განასხნეს.

ცხილ არს, რომელნი იგი შინა განმცემელ ექმნეს ოჯოვალ-
სა ჩუენსა იესო ქრისტესა, და ამცაყოცილარს[132]) იგი ნა-
წილისაგან ქრისტეანეთაჲსა, და რომელნი თანა დახუდენ
და ეწამნენ ძმათა ჩუენთაგანნი ესე ვითარსა მას მზაკუ-
ვარსა[133]), იგინიცამცა წყეულ არიან და შეჩუენებულ; და
რომელთა ქართველთა განმრავლებაჲ იღუაწონ და ესე
წმიდაჲ ადგილი ნათესავსა ჩუენსა დაუმტკიცონ, საუკუ-
ნომცა არს საკსენებელი და კურთხევაჲ მათი; და რომელ-
ნიცა ძმანი ამის დიდებულისა ლავრისა სამართლობასა
და დამტკიცებასა თანამოდუაწჲ ექმნეს, ანუ მოდუაწჲ ექმ-
ნენ[134]), საუკუნომცა არს საკსენებელი და კურთხევაჲ მათი;
წმიდათა მათ მამათა ჩუენთა და მაშენებელთა და ყოველ-
თა მათ პირველ მოკსენებულთა, ღირსთა და სათნოთა
ძმათა ჩუენთა, რომელნი წმიდასა ამას ადგილსა შინა 128.
გამოჩნდეს, გინა გამოჩნდენ, მადლითა და ლოცვითა
გუაკურთხენ და ადგუაორძინენ ოჯოვალმან, და საუკუნეთა
მათ სატანჯველთაგან გჯკსნენ, და სასუფეველსა ცათასა
მკჯდრ გჩინენ[135]) მეოხებითა წმიდისა ღუთის მშობელისაჲ-
თა და წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ეფთჯმესითა
და ყოველთა წმიდათაჲთა, რომელნი საუკუნითგან სათნო
ეყვნეს ღმერთსა, რომლისაჲ არს დიდებაჲ, სიმტკიცჲ და
სუფევაჲ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდჱ ამინ:.

სახელითა მამისაჲთა, და ძისაჲთა, და სულისა წმიდისაჲთა, და მეოხებითა წმიდისა ღუთისმშობელისაჲთა:

მე, მამამან გიორგი, მამობასა ჩემსა მოვცვალენ[136]) ნაწილნი წმიდისა ეფთჯმესნი ნათლიმცემელისა ეკლესი-

---

[132]) ვარ.: აღმცაყოცილარს.

[133]) ვარ.. მზაკუავარობასა.

[134]) ვარიანტში „ანუ მოღუაწე ექმნენ“ არ არის.

[135]) ვარიანტს აკლია: „და სასუფეველსა ცათასა მკჯდრ გჩინენ“.

[136]) ვარ: მოვიცვალე.

ით დიდსა ეკლესიასა ღმრთის მშობელისასა და გაუ-
კუეთეთ ზეთი მე და ძმათა ყოველთა წელიწადსა ში-
129. ნა მეტრაჲ ერთი სამსახურებელად [137]) სამარხოსა მათ
წმიდათა მამათათჳს, რომელ იმსახურებოდის თუესა
მაისსა 18, დღესასწაულსა ამის წმიდისასა მიეცემოდის
კანდელაკსა შემდგომითი შემდგომად, და ნუმცა ვინ იკად-
რებს დაკლებასა, და რომელმან იკადროს, მან გასცეს
ღმერთსა პასუხი და წმიდასა მამასა ეფთჳმეს, და მათ წმი-
დათა მამათა მსგავსთავე მისთა, და რომელმან შეჰმატოს
მსახურებასა გულსმოდგინებით, საუკუნომცა არს საკსენე-
ბელი მისი და კურთხევაჲ, მეოხებითა წმიდისა მამისა
ჩუენისა ეფთჳმესითა, და ყოველთა წმიდათა მისთაჲთა, რო-
შელნი საუკუნითგან სათნო ეყვნეს ოჯუალსა ჩუენსა იჳსო
ქრისტესა, რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე
ამინ.

ჯ წმიდაო და ღმერთშემოსილო მამაო ეფთჳმე, შე-
გაწუალენ მონანი ესე შენნი, მწირნი და გლახაკნი უცხოე-
ბასა ამას, და გჳთხოვე შენდობაჲ შეცოდებათა ჩუენთა
აურაცხელთა დღესა მას განკითხვისასა, და ამას ცხორე-
ბასა დაგჳცვენ საბრკეთაგან ეშმაკისათა და მზაკუვარებათა-
გან კაცთაჲსა.

ტკბილო მამაო სულითა და გონებითა, საუკუნომცა
130. არს საკსენებელი მამისა გიორგისი. ამინ. [138])

---

[137]) ვარიანტში ჩამატებულია: „ყოველთა".

[138]) ვარიანტში „ამინ" არ არის.

ცხოვრებაჲ

და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ილარიონ ქართველისაჲ. გუაგურთხენ, ოჳფალო!

გრწუინვალჱ არიან და შემდგომად შუენიერ სიტყუანი წმიდათა წერილთანი, რომელნი იგი ადიწერნეს მადლითა სულისა წმიდისაჲთა —სამოძღურებელად ყოველთა მორწმუნეთა და სამკაულად წმიდისა ეკლესიისა, რომელთა მიერ განშუენდების, ვითარცა ძალი, შემოსილი დიდებითა და განაშუენებს შვილთა თჳსთა ელვარებითა სიკეთისა მისისაჲთა და, ვითარცა უუავილთა მიერ არისათა სულნელ ჰყოფს სწავლის მოუუარეთა კრებულსა და ადძრავს უნოსად კუალსა ნელსაცხებელთა მისთასა და მიდევნებად სულნელებასა საკუმეველთა მისთასა. ჩამეთუ ვინაჲთგან შეეყო იგი სიძესა მას სულთა განწმედილთასა, მიერითგან მიართუნა მან, შედგომად მისა, კრებულნი მორწმუნეთანი, რომელნი იგი მოუუას მისა იწოდნა სიკეთისათჳს სულიერისა სამკაულისა და პირად-პირადად შუენიერებისა მრავალ სახეთა მათ სათნოებათა მიერ, ვითარცა ფესუედითა ოქროვანად განრჩუნვილითა შემკობილნი და ვინაჲ იგი დადგეს დედოფალი მარჯუენით მეფისა ტაძართა მათ შინა სამეუფოთა და რათა ესენიცა მისთანა დადგომად ღირს იქმნენ შესაკრებელსა მას შინა დიდსა პირმშოთასა, ვითარცა იტყჳს დავით, ვითარმედ: „ეკლესიასა შინა დიდსა ადგიარო შენ, სადა იგი ღმერთი ღმერთთა შორის იცნობებოდის მათ მიერ, რომელნი იგი წინაჲსწარ იცნა და წინაჲსწარცა განაჩინნა პატივსა მას ღმერთყოფისასა

მიდებად, რომელთა თანა შეირაცხა დიდი ესე და ბრწყინვალჱ, ყოვლად საწადელი და სასურველი მამაჲ ჩუენი ილარიონ, მაღალი სათნოებათა მოღუაწებითა და უმაღლესი სულიერთა ხედვათა ძალით ძალად აღსლვითა.

რომლისათჳს ესე არს სიტყუაჲ ჩუენი და წინამდებარე არს აღწერად და მითხრობად შემდგომთა ნათესავთა ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ მისი, ვითარცა ძეგლი ოქროჲსაჲ, შემკობილი თუალითა პატიოსნითა და მარგალიტითა მრავალ სასყიდლისაჲთა, აღმართებული და მდგომარჱ შორის ეკლესიისა, რათა შემაკალნი მოღუაწებისა სტადიონსა ხედვიდენ და ბაძვად და მსგავსად ბრწყინვალებისა მისისა უმჯურვალესად აღიძრვოდინ, რომელი იგი დაღაცათუ ახალი იყო ჟამითა, არამედ ძუელთა მათ და უპირატეს გამოჩინებულთა მოღუაწეთა რომელთამე შეესწურა სათნოებითა და სასწაულთა მოქმედებითა და რომელთამე აღემატა და ზოგსრე თანაცა წარჰკდა სიკუდილადმდჱ უცხოებისა შეუუარებითა და თავისა თჳსისა სრულიად უჩინო ქმნითა.

ხოლო არა განვაგრძოთ სიტყუაჲ ჩუენი, რომელთა ესე არა თუ შესხმისა გზაჲ გჳპოვრიეს, არამედ აღწერად ცხორებისა მოსწრაფე ვართ და სმენის მოყუარეთა სასმენელთა აღვსებად სულიერითა სიტკბოებითა და მითხრობად, თუ ვინაჲ აღმოსცენდა წმიდაჲ ესე, ანუ რომელთა გერძოთაგან აღმოჰკდა ახალი ესე და ყოვლად ბრწყინ-
132. ვალჱ მნათობი, რომელი იგი აღმოსავალით აღმოჰკდა და სათნოებათა ელვითა დასავალისა მყოფნი განანათლნა.

იყო ნეტარი ესე ჲ წმიდაჲ მამაჲ ჩუენი ილარიონ ნათესავით ქართველი, ვინაჲ იგი მრავალნი წმიდანი გამოჩნდეს და სასწაულთა მოქმედნი კაცნი, ხოლო დაღაცათუ აღუწერელობითა ცხორებისა მათისაჲთა ქამთა სიმრავლითა დაივიწყნეს, არამედ იგინი წინაშე ღუთისა ბრწყინვალედ მდგომარე არიან, გარნა რაოდენთამე ახლად გამოჩინე-

ბულთა წმიდათაჲ საკსენებელიცა დაშთა და ცხორებაჲცა
აღიწერია ღუთის მოყუარეთა მიერ კაცთა და მოსწრაფეთა,
ვითარცა ესე წმიდისაჲ ამის, რომლისათჳსცა არს სიტყუაჲ
ჩუენი.

არამედ ჩუენ ვირველსავე სარბიელსა სიტყჳსსა მოვი-
დეთ და მოგითხრათ ყოველივე სახჱ ცხორებისა მისისაჲ.
ვითა ვირველ ვთქუთ, აღმოსცენდა უგუე ნეტარი ესჱ ქუე-
ყანით ქართლით, საზღვართაგან და კერძოთა კახეთისათა,
შვილი აზნაურთა მდიდართა და წარჩინებულთაჲ. ხოლო
ამისსა მამასა ესხნეს სხუანიცა შვილნი გარნა წმიდაჲ ესე
აღთქუმულ იყო ღუთისადა მშობელთა თჳსთაგან, ვითარ-
ცა ვირველ სამოელ ანნაჲსგან.

და იქმნა რაჲ ესე ექუსის წლის, მიეცა სწავლად კაცსა
ღირსსა და ღუთის მოყუარესა, რომელიცა იყო დაბასა
მისსა, სადა იყოფებოდა მამაჲ ნეტარისაჲ მის; და ასწავ-
ლიდა იგი მას წიგნთა სულიერთა დღე და დამე, და ირ-
წუვებოდა იგი ვითა ხჭ, დანერგული ღუთისა მიერ თანა
წარსადინელსა წუალთა მათ სულისა წმიდისათა, რომელ 133.
არიან წიგნნი ღუთივ სულიერნი.

და ვითარცა იხილა მამამან მისმან მოსწრაფებით
სწავლაჲ ურმისაჲ მის ბერისა მისგან წმიდისა, იწყო უოვ-
ლისავე საკმარისა მიცემად უხუებით და კელუო ადგილი-
სა მის აღშენებაჲ მონასტრად, და შეკრბეს მუნ ძმანი, რი-
ცხჳთ ვითარ ათექუსმეტნი ოდენ და მარადის მივალნ
მამაჲ მისი შენებისათჳს მის ადგილისა და ხილვად სასურ-
ველისა მის ძისა თჳსისა.

და ვითარცა იხილა ნეტარმან მან და ჭეშმარიტმან
შვილმან ზეცათა მამისამან ზედაჲს ზედა მოსლვაჲ იგი
მამისა თჳსისაჲ, მწუხარე იქმნა ამას ზედა და მოეკსენა სიტ-
ყუაჲ იგი წმიდისა სახარებისაჲ, ვითარმედ: „რომელმან
არა დაუტეოს მამაჲ თჳსი და დედაჲ თჳსი და არა აღიღოს
ჯუარი თჳსი და შემომიდგეს მე, იგი არა არს ჩემდა

ღირს"; და განიზრახა წარსლვაჲ უშინაგანესსა უდაბნოსა, და აღდგა და წარვიდა უდაბნოსა გარესკნისასა, და პოვნა მუნ მრავალნი კაცნი მოღუაწენი და მახლობელად მათსა ქუაბი ერთი მცირჱ, განიხარა სიხარულითა დიდითა და შეჴდა და დაემკჳდრა მას შინა; და იყო ჴასაკითა ვითარ ათხუთმეტისა წლისაჲ, და მიერითგან იწყო შესლვად სარბიელსა მოღუაწებისსა, მარხვითა და მღჳძარებითა ჴასაკსა მას სიჭაბუკისსა დააჭკნობდა, ლოკვითა და მარადის
134. ღუთისა ხედვითა უკორცოთა მიემსგავსებოდა, ვიდრეღა წარემატებოდა მოღუაწებითა ყოველთავე მუოფთა მის ადგილისათა, უდაბნოსა მას შინა, რომეთუ ყოველთავე უკჱრდა ეგოდენი იგი შრომაჲ მისი და მოთმინებაჲ.

და აღეშენებოდეს ყოველნი იგი ძმანი სწავლითა მისითა, და შეუვრდებოდეს მას, რათა იყოფოდინ მისთანა; და შეიწყნარნა მან მისთანა ვითარ ათერთმეტნი ძმანი, მოღუაწენი მშჳდნი და მდაბალნი; და იყვნეს იგინი, ვითარცა ანგელოზნი, მარხვითა და დაუცხრომელად ლოკვითა და გალობითა ღუთისა მიმართ, ვიდრემდის განითქუა ჴამბავი ღირსებისა მისისაჲ ყოველსა მას ქუეყანასა, ქართლისასა; რამეთუ ვითარ შესაძლებელ იყო სანთელი დაფარვად კჳრისა ქუეშე, გინა ცხედარსა, და არა საცნაურ ყოფად ყოველთა მიერ! ვიდრემდის ეუწუაცა ეპისკოპოსსა რუისთველსა სიმრავლჱ იგი სათნოებათა მისთაჲ, აღივსო იგი სულიერითა სურვილითა, აღდგა და წარვიდა მოკითხვად მისდა, და, ვითარ მიიწია წმიდისა მის, მოიკითხნეს ურთიერთას ამბორის ყოფითა წმიდითა, და იხილა რაჲ ეპისკოპოსმან პირი მისი უჯთელი, სიტყუაჲ მდაბალი და სამოსელი შეურაცხი, განკჳრდა იგი გონიერითა განკჳრებითა და ჰქუა მას:

„მრავლით ქამითგან მინდა ხილვაჲ შენი, შვილო ილარიონ, და ღირს ვიქმენ მე, ცოდვილი ესე, მოღებად წმიდისა ლოკვისა შენისა, და ამისთჳს უმეტესად ვჰმად-

ლობ ღმერთსა, რომელმან არა კუებულ მყო სულიერი-
საგან სიუარულისა შენისა, და აწ გევედრები, შვილო, 235.
რათა სრულ ჰყო საწადელი ჩემი და მიიდო მდდელობაჲ
ჩემ მიერ გლახაკისა ამის და უღირსისა".

ხოლო ნეტარი იგი, ვითარცა იყო ყოვლითურთ მდაბალი და უცხოჲ გაცობრივისა დიდებისაგან, არა ენება ვატივსა მას მდდელობისსა აღსლვაჲ, და წინა აღუდგებოდა ფირსსა მას ეპისკოპოსსა და ევედრებოდა მკურვალედ და იჯმნიდა, რათა განათავისუფლოს იგი უღლისა მისგან მდდელობისა, ხოლო იგი აღძრვითა ღუთისა მიერითა კუალადცა აიძულებდა და ევედრებოდა მას; არამედ ვითარცა იხილა თავი თჳსი იძულებულად წმიდამან და ბრალად შეჰრაცხა ურჩებაჲ იგი მდდელთ მოძღურისაჲ და ზეგარდამოჲსა ძალისაგან გულსავე ქმნულმან ღუთისა მიერ, ჰქუა მას: „ჯ ვატიოსანო მამაო, კელთა შენთა შინა ვარ მე გლახაკი ესჳ; რაჲცა ჰნებავს ფირსებასა შენსა, ყავნ ჩემ ზედა".

მაშინ აღდგა წმიდაჲ იგი ეპისკოპოსი და აკურთხა იგი მდდელად, და აღასრულეს წმიდაჲ იგი საიდუმლოჲ და ეზიარნეს ურჩიერთას; და წარვიდა ეპისკოპოსი იგი და მიუთხრობდა ყოველსა ერსა სათნოებათა მისთა და, რომელთა ესმოდა, ჰმადლობდეს ღმერთსა, ხოლო მრავალნი შორით ქუეყანით მოიდოდეს ხილვად მისა და მოდებად ლოცვისა მისისა წმიდისა.

და ამისა შემდგომად, იხილა რაჲ ნეტარმან ალარიონ სიმრავლჱ იგი მისა მომავალთა მათ ერთაჲ, შეუძნდა საქმჱ ესე და იწყო ურვად და ჰასაკსავე სიჭაბუკისსა მოხუცებულებრი სული მოიშოვა, ვითარცა დიდმან მოსჱ, და მსაჯულ იქმნა შორის სულისა და კორცთა, უსაჯა დაწუნებულსა მას და მოუძლურებულსა, მოაკუდინა სიმადლჱ იგი კორცთაჲ და დაფარა ჭაშასა შინა სიმდაბლისასა, ვინაჲ იგი ვერ შეუძლებს ალმოცენებად საძოვარი ვნებათაჲ; 136.

და მერმე, იხილა რაჲ, ვითარმედ არა დასცხრებიან ძალნი იგი ბნელისანი შფოთის ყოფად ეგზჳტესა მას შინა ენებათასა, დაუტევა ყოველი ფარაოჲსი ფარაოჲსვე თანა მძლავრისა, განეშორა იგი და ამაღლდა მთასა მას სათნოებათასა, ვინაჲ იგი მწყსიდა გულის სიტყუათა კეთილთა, ვითარცა რაჲ საცხოვართა მწუანვილოვანსა მას ზედა მოდუაწებისსა და ხილულთა ამათ განცდითა უხილავისა მის გულისკმის ყოფად ადიწეოდა, ვინაჲცა ცეცხლი იგი სულისაჲ ეგლოვნებასა მას შინა კორცთა თჳსთასა იხილა მგზებარედ, რომლისაგანცა შეუწველად დაიცვებოდა.

ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ. მოუკდა წმიდასა მას სურვილი უცაოებისაჲ და სიძულილი ცუდად დიდებისაჲ და უფროჲს და უპირატეს ამისსა სურვიელ იყო თაყუანისცემად წმიდათა მათ და ცხოველს-მყოფელთა ადგილთა, ვინაჲ იგი თავს ისხნა ჩუენთჳს ვნებანი კორცითა ამით კაცობრივითა, რომელნი ჩუენგან მიიხუნა
137. სიტყუამან ღუთისამან უვნებელმან, და ვითარ ეგულებოდა, გამოირჩია ძმათა მათგან ძმაჲ ერთი, რომელი იყო უვაჟრეს ყოველთაჲსა სათნოებითა და შემძლებელი წინამძღრობად და მწყსად სულთა; ესე დაადგინა წინამძღურად ადგილსა თჳსსა; და წარიყვანა ძმაჲ ერთი და წარემართა წმიდად ქალაქად იერუსალიმად. და ვიდოდეს კეთილად წინამძღურობითა ღუთისაჲთა, და ვითარცა ვლეს დღჱ მრავალი, მიიწინეს იგინი ქუეყანასა მას შამისასა, ვინაჲ იგი მკჳდრ იუვნეს ნათესავნი ბარბაროზნი. და სლვასა მას მათსა შინა, მიხუდეს ავაზაკნი ბოროტნი გზასა ზედა და მეყსეულიდ, ვითარცა მეცნი, მოუკდეს მათ ზედა ჩუეულებისაებრ გონებათა მათთაჲსა, და იკადეს ახჯლები მათი, რათა სცენ მათ; და ადიჳურეს პირველად ცემად წმიდისა ილარიონისა და მეყსეულად განკმეს კელნი მათნი და ვერ შეუძლეს ქუე ჩამოხუმად.

მაშინ იწყეს ტირილით ვედრებად მისა და მიუდგეს

უკუანა მათსა ვითარ ხუთ უტევან. იხილა რაჲ წუალობის მოუუარემან მან სულმან მისმან, და მოეკსენა მცნებაჲ იგი მაცხოვრისაჲ, რომელსა იტყვის სახარებასა შინა, ვითარმედ: „ნუ მიაგებთ ბოროტსა ბოროტისა წილ", მაშინ მოეცა წმიდაჲ იგი, დასწერა ჯუარი და განკურნა იგინი და წარგზავნნა ცოცხლებით. ხოლო მათ, ვითარ იხილეს მსწრაფლი იგი განკურნებაჲ მათი, მოართუეს მას ურიცა და კერატი, და ითხოვდეს შენდობასა და ეტყოდეს მას ენითა მათითა, რომელ საცნაურ იყო, რათა არღარა ყონ ესრეთ მონაზონთა ზედა, ხ ერთი მათგანი წარჰყვა ვიდრე მი- 138.
წევნადმდე მთასა მას წმიდასა თაბორსა. ვინაჲ იგი ფერი იცვალა დიდებით ქრისტემან ღმერთმან ჩუენმან წინაშე წმიდათა მოწაფეთა თჳსთა. ალოცეს მუნ და თაყუანის სცეს მთასა მას წმიდასა და მიერ წარვიდეს ქალაქად წმიდად იჳრუსალიმად ხ მოიღოცნეს წმიდანი იგი ხ თაყუანისსაცემელნი ადგილნი, და იხილა მას შინა წმიდამან მან ყოველივე სახჱ განგებულებისა სიტყჳსა ღუთისაჲ ხ თაყუანისსცა წმიდასა და დიდებულსა გოლგოთასა და ცხოველს მოფელსა საფლავსა; და მიერ წარვიდა ბეთლემად და იხილა ქუაბი იგი ცათა მობაძავი, ვინაცა იშვა ოჳფალი ჩუენი იჳსო ქრისტჱ ქალწულისაგან წმიდისა: მოწყლედ ამბორს უყო და სურვილით თაყუანისსცა. და მიერ მიიწია მდინარედ წმიდად იორდანედ და განიბანა წყლითა მით წმიდითა, და მოიღოცნა ყოველნი იგი მონასტერნი, რომელნი შენ იყვნეს უდაბნოთა მათ შინა წმიდათა, და მიიწია ვიდრე ლავრადმდე დიდისა საბაჲსა, და დაყო ყოველთა მათ უდაბნოთა შინა შჯდი წელი დუაწლითა და შრომითა, რომელთა გამოთქუმაჲ შეუძლებელ არს.

რამეთუ ვინაჲთგან მოიცალა ყოველთაგანვე ნივთთა და ზრუნვათა სოფლისათა ხ განემზადა გულისკმისყოფად უვალრესისა მის, ვითარცა დავით იტყვის, ვითარმედ: „მოიცალეთ და გულიკმა ყავთ, რამეთუ მე ვარ ღმერთი". და

დაემკჳდრა თავისა თჳსისა თანა და მხოლოჲ მხოლოჲსა მის თანა სასურველისა; მიერითგან რაჲდა ვინ თქუას, რავ-
139. დენნი ღუაწლნი და შრომანი თავსისნნა! რამეთუ უცხოებითა და უშოვარებითა და სიგლახაკისა შეუუარებითა სრულთა მათ და მოღუაწებასა შინა განთქუმულთა შეესწორა; ხოლო სიმჴნითა და სიბრძნით მოღუაწებითა და მტერთა მათ უხილავთა ახოვნად წყობითა და კორცთა თჳსთა უწყალოდ განკაჟითა ყოველთავე ღუთისათჳს დამდაბლებულთა და უცხო ქმულთა მიემსგავსა, და ორთავე ამათ საზომთა თავსა შორის თჳსსა შემოკრებითა ორკერძოვე სრულთაჲსა სწორ იშოვა, რომლისათჳსცა სამარადისოდ ხედვასა ღუთისასა შეესაკუთრა; რამეთუ ვინაჲთგან საქმჱ დასაბამი არს ხედვისაჲ და შიში ლუთივ გონიერი მოიმატუუებელი უშიშოებისაჲ, ვ ნაჲთგან არღარა მოჴნებრ იშიშვოდის მოშიში იგი და არცა ვითა მიზდური სასყიდლისათჳს შურებოდის, არამედ ვითარცა შვილი სასურველი და საუუარელი მამისაჲ, მესამესა მას სისრულისა ხარისხსა აღსრულ იყვის და სასურველსა მას უმაღლეს პირველისა ხედვიდეს, მიერითგან განუშორებელად ზრახვად მისდა ოდენ მოსწრაფე იყვის, ვითარცა წმიდაჲ ესე მამაჲ ჩუენი ეღარიოჲ.

რამეთუ ესრეთ რაჲ იუოფებოდა უდაბნოთა მათ შინა ოჲრდანისათა, ვითა პირველ ვთქუთ, და უმეტესად დიდსა მას ლავრასა მამისა საბაჲსსა, განკჳრდეს ყოველნი იგი მამანი ბუნებისა უვაღრესთა მათ მოღვაწებათა და შრომათა მისთა ზედა და ყოველთა მიერ, ვითარცა საკჳრვე-
140. ლი რაჲმე, მისათხრობელ და თითის საჩუენებელ იქმნა, ვითარცა იტყჳს მოციქული, ვითარმედ: „თითის საჩუენებელ ვიქმნენიო სოფლისაჲ, ანგელოზთა და კაცთა“. და ევედრებიან ღმერთსა მარადის, რათა გამოუცხადოს უმჯობესი სულისა მისისაჲ, რომელი სათნოუჩნს მოწუალებასა მისსა, და იტყჳნ სიტყუათა მათ ფსალმუნი-

სათა: „მაუწყე მე, ოჳფალო, გზაჲ, რომელსაცა ვიდოდი“, და კუალად: „მასწავე მე, რათა ვყო ნებაჲ შენი“, და შემდგომი ამისი.

და ესე ვითარსა რაჲ მოღუაწებასა შინა დაყო შჳდი-წელი და ღუთისა მიმართ ვედრებასა, ღამესა ერთსა, ვითარცა აღასრულა კანონი ლოცვისა თჳსისაჲ და სიმძიმისათჳს კორცთა ბუნებისა მცირედ მიერულა, და იხილა ჩუენებაჲ ესე ვითარი: რეცა მიიტაცა იგი მთასა მას წმიდასა ზეთისხილთასა, ვინაჲთ იგი ოჳფალი ჩუენი იჳსო ქრისტჱ ამაღლდა დიდებით ზეცად მამისა, ვინაჲცა გარდამოკდა, და იხილა წმიდაჲ დედოფალი ღუთისმშობელი და მარადის ქალწული მარიამ და ათორმეტნი კაცნი ბრწყინვალნი, მდგომარენი მის წინაშე, და ვითარ განიცდიდა საკჳრველსა ამას ჩუენებასა, მაშინ ჰქუა მას წმიდამან დედოფალმან: „ჱ ილარიონ, წარვედ და მიისწრაფე სახედ შენდა, დაუმზადე სერი ოჳფალსა და ძესა ჩემსა“. და ვითარცა განიღჳძა ჩუენებისა მისგან, მეყსეულად გულისკმა ყო ძალი სახილავისა მის და ბრძანებისა საღუთოჲსაჲ, აღდგა და შეწირა მადლობაჲ ღუთისა სახიერისა და ყოვლად წმიდისა მის დედისა მისისა გამოცხადებისათჳს უმჯობესისა.

და წარემართა ქუეყანად თჳსად და ნათესავთა მიმართ თჳსთა ზეგარდამო გულსავსე ქმნული, ვითარცა პირველად მოსე, დიდი იგი შჯულის მდებელი, კუალად მეორედ
უკუან ქცეული ეგჳპტედვე გამოყვანებად ნათესავთა და 141
კირთებულთა, ეგრეთვე ამანცა მოიღო ბრძანებაჲ კუალად მუნვე მიქცევად, ვინაჲ იგი იშვა და აღიზარდა, რათა შეწიოს თჳსთა მათ ბუნებისათა უხილავისა მის ფარაოჲს დამონებულთა.

ესრეთ უკუე კეთილ იყო და ყოვლად ღუთივ შუენიერ პირველი იგი გამოსლვაჲ მისი უსრულებისათჳს სულიერისა ჰასაკისა და კუალად უკეთეს და უშუენიერეს

იყო კუალადცა მიქცევაჲ მისი მუნვე, ვინა იგი ბრძანებაჲ მიიღო ძალშემოსილმან ზეგარდამოჲდთა სასოებითა შეწევნად მიმძლავრებულთა მტერისაგან, მსგავსად სიტყუსაებრ ბრძნისა მის, ვითარმედ: „ქამი არს ყოვლისაჲვე", და კუალად ესაია ეტყჳს: „რომელ[ი]ან გამოიყვანოს პატიოსანი უპატიოთაგან, ვითარცა პირი ჩემი იყოს".

რომლისაცა მიზეზისათჳს წარმოვიდა წმიდაჲ იგი შუენიერად თჳსად; და ვითარცა მოიწია, პოვნა, რამეთუ აღსრულებულ იყვნეს მამაჲ და ძმანი მისნი; და იგლოვნა იგინი ბუნებითითა ტკივილითა, აღდგა და შეწირა მადლობაჲ ღუთისა მიმართ და ყო ლოცვაჲ ლხინებისა და ნეტარებისა მათისათჳს.

ხოლო დედამან მისმან მოართუა ყოველი მონაგები მამისა მისისაჲ და ჰქუა მას: „წარაგე ესე, შვილო, ვითა სათნო გიჩნს". ხოლო ნეტარმან ალარიოზ პირველ ყოვლისა იზრუნა ცხორებაჲ დედისა თჳსისაჲ, ვითარცა ჯერცა იყო, რამეთუ პატივისცემაჲ მშობელთაჲ განწესებულ არს შჯულსა შინა ძუელსა და ახალსა; და აღაშენა მონასტერი დედათათჳს მოწესეთა ადგილსა კეთილსა და შუენიერსა
142. და შეიყვანა მას შინა ღირსი იგი დედაჲ თჳსი და იღუწი და შვილებრითა მოღუაწებითა, და შეწირნა სოფელნი რავდენნიმე, ვითარ შემძლებელ იყო, და განუწესა წესი და კანონი, ვითა ჯერ არს მონასტერსა შინა ყოფისაჲ, ლოცვისა, და მარხვისა, და ყოვლისავე წესიერად ქცევისაჲ; ღ მამა და მოძღუარ სულიერ ექმნა დედასა მას თჳსსა კორციელსა.

და კუალად აღაშენა სხუაჲ მონასტერი მამათათჳს, და შეკრიბნა მას შინა ძმანი ვითარ სამოცდა ათექუსმეტნი, ღირსნი და მოღუაწენი, რომელთაცა სიწმიდესა და ღირსებასა ხედვიდა თუალითა სულიერითა; ღ განუწესა მათცა წესი და კანონი სიმკნისა მათისა შემსგავსებული, და აღუშენა ეკლესიაჲ და შეამკო ყოვლითავე სამკაულითა, და

მოიგნა წმიდანი წიგნნი და დასხნა მას შინა, და შეწირნა სოფელნი, რომელნი დაშთომილ იყვნეს ხამულისაგან თჳსისა; და ვითარ განასრულა ყოველითავე საკმრითა, სხუაჲ ყოველი ნამეტავი მონაგებთა მამულთაჲ განუყო გლახაკთა და უღონოთა, და ესრეთ რაჲ კეთილად მოიცალა მამულისაგან სიმდიდრისა თჳსისა, მადლობაჲ შეწირა ღუთისა, სრულმყოფელისა ყოველთა კეთილთაჲსა.

ხოლო ვითარცა იხილა კეთილის მოძულემან მან და დასაბამმან შურისა და სიბოროტისამან, უკეთურმან ეშმაკმან აღშენებაჲ იგი მონასტერთაჲ მათ და ცხორებაჲ სულთა მრავალთაჲ, ნუ უგუე დუმნაა სიბოროტისაგან თჳსისა,—ნუ იყოფინ! არამედ აღაშფოთა ნათესავი ამის წმიდისაჲ და იწყო შეჩუენებად და ფიცად, რათა დაწუას მონასტერი იგი და წმიდაჲ იგი მოკლას; და დასამტკიცებელად ბოროტისა მის განზრახვისა კარსა მონასტრისასა დაასხა ნაშირი და დაწერა მცირესა ზედა ფიცარსა, ვითარმედ: „ესრეთ იხილონ ყოველთა ესე მონასტერი სამდედმდე“, და დააგდო იგი წინაშე ბჭეთა მონასტრისათა; ხოლო ვითარცა განთენა, იხილა ესე ყოველი წმიდამან ილარიონ, შეწუხნა ფრიად და იურვუდა წარწყმედისათჳს სულისა მისისა, და არათუ კორციელთა თქუმათა და ქადაგებათა თჳს რაჲმე ჰგლოვდა,—ნუ იყოფინ! არამედ რამეთუ მოწუალე იყო და სულთა მოუუარს; ამისთჳსცა დაადგრა ღამე ყოველ ლოცვასა ღუთისა მიმართ და ვითარცა მიერულა, იხილა კაცი ბრწყინვალჱ, რომელი ეტყოდა: „ნუ გეშინინ, ჲ ილარიონ, რამეთუ დღესვე განისწავლოს მტერი იგი შენი და შეგივრდეს ფერკთა შენთა“.

და ვითარცა განთენა, მუნთქუესვე დააკუეთა იგი ეშმაკმან ქუეყანასა ზედა, და გორვიდა და დაშეროდა, და მეყსეულად აღიდეს მსახურთა მათ მისთა და მოიღეს წინაშე წმიდისა მის, და დააგდეს ქუეყანასა ზედა; ხოლო ძჯრუასენებელმან მან და ყოვლად მოწუალემან მამამან

143.

საცხორებელად მისა შეჰრაცხა მცირს იგი სწავლაჲ მისი, ადდგა მსწრაფლ და ლმობიერად ევედრა ოჯუალსა განკურნებისა მისისათჳს და დასწერა სასწაული პატიოსნისა ჯურისაჲ და აღადგინა ფერკთა თჳსთა ზედა ცოცხალი და განთავისუფლებული სულისა მისგან არა წმიდისა.

144. მაშინ იწყო ტირილით აღსაარებად პირველთა მათ უგუნურებათა თჳსთა, და წარვიდა სახედ თვისად, და მოართუა წმიდასა მას ყოველი მონაგები თჳსი საშენებელად მონასტრისა, და აღიკუეცა კელთაგან წმიდისათა, და იქმნა კეთილ მონაზონ და დაემკჳდრა მონასტერსავე მას შინა კეთილითა მოქალაქობითა, სიმდაბლითა, და მორჩილებითა, და ყოველთა უდარეს თავისა თჳსისა შერაცხვითა, და უწყინოდ მსახურებითა ძმათაჲთა, და ესრეთ აცხოვნა წმიდამან ილარიონ ნათესავი იგი თჳსი ორითავე ცხორებითა.

მაშინ განითქუა ჰამბავი მისი ყოველსა მას ქუეყანასა ქართლისასა, და ენება მრავალთა და წადიერ იყვნეს ხილვად მებრ ხატისა მისისა და სმენად სიტყუათა მისთა, რომელნი სავსე იყვნეს სიტკბოებითა და სულიერითა სიხარულითა, და რომელნი იხილვიდეს, დიდად სარგებელ ეუოფვოდა შემთხუევაჲ მებრ ოდენ მისი, და ჰმადლობდეს ღმერთსა და მოართუმიდეს საკმარსა მრავალსა ნუგეშინის საცემელად ძმათა და სამსახურებელად გლახაკთა და უცხოთა.

და ვითარცა იხილა მუუდროების მოყუარემან მან და შფოთის მოძულემან სულმან მისმან ზედაჲზედა მოსლვაჲ ერისაჲ და წყინებაჲ, და ვერ ეძლო ამით მიზეზითა საწადელისა მის თჳსისა დაუუდებისა მოგებად, და ენება ყოველსა ერსა და მთავარსაცა მის ქუეყანისსა, რათამცა უვეს იგი ეპისკოპოს; და ვითარცა გულისკმა ყო ესე ნეტარმან ილარიონ, განიზრახა თავსა შორის თჳსსა, ვითარმედ: დიდებაჲ ესე ამის სოფლისაჲ მომატყუებელი არს საუკუ-

ნოჱსა მის შეურაცხებისა, და ამითცა მიემსგავსა დიდსა მას 145.
შჯულის მჴებელსა მოსეს კუალად მეორედ გამოსლვითა
ჟგუშტით, ვინაჱთგან სულნი მრავალნი იკსნნა მონებისაგან
უხილავისა მის ფარაოჱსა და განიყვანნა დაუნთქმელად
ზღუასა შინა ამის სოფლისსა, ვინაჱცა მძლავრი იგი მდე-
ვარი მკედრებითურთ თჯსით დანთქმული იხილა და ძლე-
ვისა გალობასა ძლევის მომცემელისა ღუთისა სულიერითა
სახიობითა შესწირვიდა.

და ვითარცა დაამტკიცა გონებასა შინა თჯსსა სივლ-
ტოლაჱ ცოდად დიდებისაგან და წარსლვაჱ უშორესსა
ქუეყანასა, ვინაჱცა არა საცნაურ იყო, გამოირჩია ძმათა
მათგან მონასტრისათა ძმაჱ ერთი, სავსე ყოვლითა სიბრ-
ძნითა და შემძლებელი მწყსად შირმეტუელთა ცხოვართა,
მოიყვანა იგი და დაადგინა წინაშე ყოველთაჱსა და დაასხნა
მის ზედა წმიდანი კელნი თჯსნი, აღიხილნა თუალნი ზეცად და
თქუა: „გმადლობ შენ, მეუფეო ჩემო და ღმერთო ჩემო,
რომელსა შეგევედრე საშოჱთგან დედისა ჩემისაჱთ და ვი-
დრე დღესამომდე, და განმარინე მე მახეთაგან მომნადირე-
ბელთა ჩემთაჱსა და ყოველთა გზათა ჩემთა თანამავალ
და მოჴუაწე მექმენ მე, ვიდრე კუალადცა ინებე მოსლვაჱ
ჩემი ქუეყანასა ამას, რომელსაცა შინა ვიშევ და აღვიზარ-
დე და სათნო იჩინა ესრეთ მიუწდომელმან მან განგებულე-
ბამან შენმან, რათა ჩემ მიერ გლახაკისა აღეშენოს ადგილი
ესე შესაკრებელად ძმათა ამათ. აწ, ოჯუალო სახიერო, 146.
კელთა შენთა წმიდათა შევჰვედრებ მონათა ამათ შენთა;
დაიცვენ ესენი, მეუფეო, მრავალსახეთა მათგან და მრა-
ვალ ღონეთა მანჭანებათა მტერისათა და ნუმცა ჰპოვებს
ბოროტი ეშმაკი ადგილსა განსუენებისასა ამათ შორის,
არამედ განისუენენ ამათ ზედა სულმან შენმან წმიდამან
და ცხოველს მყოფელმან, და ძმაჱ ესე, რომელ გამოირ-
ჩია უოვლად წმიდამან ნებამან შენმან წინამძღურად ამათ
ზედა, აკურთხე ესე ყოვლითა კურთხევითა, რომლითაცა

აკურთხენ წმიდანი მამანი ჩუენნი, და დასხმითა კელთა ჩემ უღირსისათა ამას ზედა მოედინ მადლი შენი წმიდაჲ, რათა კეთილად უძღოდის ძმათა ამათ და შესძინოს ტალანტსა რწმუნებულსა მისდა და იდიდოს შენ მიერ მოწინისა მის და სახიერისა, რამეთუ შენი არს დიდებაჲ თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ".

და ჰქუა ძმასა მას ესრეთ: „იხილე კეთილად და იღუაწე, ძმაო, სულისათჳს ამათ ძმათაჲსა, ვითარცა სულისა შენისათჳს, რათა არა მოკეცადოს პატიჟი მოწინისა მის უსახიეროჲსაჲ, რომელმან დაფჭლა მიწასა შინა ტალანტი ოჯოფლისა თჳსისაჲ, არამედ შესძინე მრავალ წილად, რათა მცირესსა ზედა სარწმუნო ქმნილი მრავალსა ზედა დაიდგინო და შეხჳდე სიხარულსა ოჯოფლისა შენისასა". და ესე რაჲ თქუა, მოექცა ძმათა მათ უოველთა და ასწავა განგრძობილად ცხორებისათჳს სულთა მათთაჲსა და ამცნო მორჩილებაჲ წინამძღურისაჲ მის, რომელი იგი განეჩინა მათ ზედა; აღ-ჴურნა კელნი და შეჰვედრნა ოჯოფალსა და თქუა: „კელთა შენთა წმიდათა, ოჯოფალო, შევჰვედრებ ძმათა ამათ", და დაუტევა უკუანაჲსკნელი
147. მშჯდობაჲ და იჴმნა მათგან და წარვიდა.

ხოლო ვინმე მიუოხრენეს ტირილნი იგი, ჲ გოდებანი, და კმანი იგი საწუალობელნი, რომელნი ქვათაცა ლმობიერ უოფად შემძლებელ იუვნეს, რომელსა ჰუოფდეს ძმანი იგი! რამეთუ რომელნიმე უკუანა შეუდგეს და რომელნიმე წინა წარსწრობად მოსწრაფე იუვნეს, რათამცა მისთანა სლვითა გზაჲ იგი განაზოგეს; ხოლო წმიდაჲ იგი ჰლოცვიდა და ევედრებოდა უკუნ ქცევად, ვიდრეცა ფიცითა იძულებულნი შეუვრდეს წმიდათა ფერკთა მისთა და ამბოხს უუოფდეს, და ესრეთ ღა შეიქცეს ობოლ ქმნოლნი ტკბილისა მისგან მამისა.

ხოლო წმიდამან ილარიონ წარიუვანნა თავისა თჳსი-

სა თანა ორნი ძმანი და წარვიდა მოხილვად პირველთა მათ მონასტერთა, რომელნი იგი აღეშენნეს უწინარეს იერუსალიმად წარსლვისა; იხილნა იგი და მოიკითხნა ლოცვით და კურთხევით ჳოველნი იგი ძმანი, და ეგრეთვე ამცნო მათცა თითოეულსა ცხორე'ისათჳს სულთა მათთაჲსა, და გამოვიდა მიერ და წარვიდა მოხილვად მონასტრისა მის, რომელი აღეშენა დედისა თჳსისათჳს; ხოლო დირსი იგი დედაჲ მისი მიცვალებულ იყო ამიერ, ჳ დანი იგი ჳოველნი შეჰვედრნა ღმერთსა და აკურთხნა; და წარმოვიდა მიერ და დაუტევა ქუეყანაჲ თჳსი.

და ნებითა ღუთისაჲთა წარემართა სამეუფოდ ქალაქად კონსტანტინოპოლიდ, ქამთა მიხაელ მოწრწმუნისა მეფისათა, რომელმან დაიჭურა მეფობაჲ შემდგომად მამისა თჳსისა თეოფილესა, და დაამტკიცა თაყუნისცემაჲ პატიოსანთა ხატთაჲ დედისა თჳსისა თანა თეოდორაჲსა.

ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ. და მიიწია წმიდაჲ ილარიონ წინამძღურობითა სულისა წმიდისაჲთა მთასა ულონბოჲასასა და პოვა მცირს ეკლესიაჲ ადგილსა უდაბნოსა, შევიდა და იოფებოდა მას შინა, და ვითარცა მოიწია დღჱ შაბათი, შემოსლვაჲ წმიდისა კჳრიაკისაჲ, მოვიდა მონაზონი ერთი მახლობელისაგან მონასტრისა აღთებად კანდლისა; პოვა მას შინა წმიდაჲ ილარიონ და მოწაფენი მისნი მისთანა, წარვიდა მონასტრად და მოართუა მცირედ შაქსიმადი და ცერცჳ დამბალი; მაშინ ევედრა წმიდაჲ იგი ძმასა მას, რათა მოჰგუაროს წმიდაჲ სეფჱ და ზედაშჱ შესაწირავად მსხუერპლისა მის უსისხლოჲასა; ხოლო იგი წარვიდა ჳ ხვალისა დღჱ წმიდასა კჳრიაკესა მოართუა სიტყჳსაებრ ბერისა. და აღასრულეს წმიდაჲ ქამის წირვაჲ, და ვითარცა წარვიდა ძმაჲ იგი მონასტრად, მიუთხრა ესე ჳოველი მამასახლისსა; და, ვითარცა ესმა მას, მეყსეულად აღშფოთნა გულისწყრომითა და თქუა ესრეთ: „ვინ უწყის, ვი-

148.

თარმედ კეთილად ზრახვენ ანუ მართალი სარწმუნოებაჲ უშურიეს“! და მსწრაფლ ბრძანა შეურაცხებით განძებაჲ მათი. მაშინ წარვიდა იკონომოსი და სხუანიცა ძმანი და მიუთხრეს ბრძანებაჲ მამასახლისაჲ, ხოლო წმიდამან აღუთქუა, რათა ხვალისა დღე წარვიდენ.

ხოლო ვითარცა ესე ესრეთ იყო და უმშჯავროჲ ბრძანებაჲ გამოსრულიყო და წმიდაჲ იგი მსგავსად განჩინებულისა მის ხვალისა დღე წარსლვად ისწრაფდა, ნუ უგუე და სათნო იჩინაა მოწუალებამან დუთისამან—ნუ იყოფინ! რამეთუ მას ღამესა, ვითარცა ეძინა მამასახლისსა, მეყსეულად იხილა ჩუენებაჲ საშინელი: რამეთუ ყოვლად წმიდაჲ და ყოვლად უხრწნელი და უფროჲსად კურთხეული დედოფალი ჩუენი ღუთისმშობელი მარადის ქალ-
149. წული მარიამ, შემწყ და კელის ამპყრობელი ყოველთა უცხო ქმნულთა და სახელისათჳს ძისა მისისა დაგლახაკებულთაჲ, დაადგრა ჩუენებით და ფრიადითა რისხვითა ეტყოდა მას, და ჰქუა: „ჯ უბადრუკო, რაჲსა ინებე განძებაჲ უცხოთაჲ მათ, რომელნი მოსრულ არიან სიყუარულისათჳს ძისა და ღუთისა ჩემისა და დაუტეობია ქუეყანაჲ მათი; და არა დაიმარხე მცნებაჲ იგი უცხოთა და გლახაკთა შეწყნარებისათჳს, ვითარ იგი ეტყჳს მდიდარსა მას ოჯოფალი ჩემი და ძჲ ჩემი, ანუ არა უწყია, ვითარმედ მრავალნი დამკჳდრებად არიან მთასა ამას მათისა ენისა მეტყუელნი და ცხოვნებად არიან ღუთისა მიერ! და რომელნი მათ არა შეიწყნარებენ, მტერ ჩემდა არიან, რამეთუ ჩემდა მონიჭებულ არს ძისა მიერ ჩემისა ნათესავი იგი შეურუეველად მართლ მადიდებლობისათჳს მათისა, ვინაჲთგან ჰრწმენა სახელი ძისა ჩემისაჲ და ნათელიღეს“.

და, ვითარცა მოიქცა მამასახლისი იგი ჩუენებისა მისგან და აღდგა შეძრწუნებული, და იწყო ტირილად სიღრმითა გულისაჲთა და ვიდრე განთენებადმდე არა დასცხრა გოდებისაგან, და ვითარ განთენებაჲ მოახლებულიყო, წარ-

ვიდა იგი მწარითა ტირილითა ეკლესიასა მას, ვინაჲცა შუოფ იუო წმიდაჲ იგი მოწაფეთა თანა თჳსთა, და, ვითარცა იხილა, შეუვრდა ფერკთა მისთა და ითხოვდა შენდობასა პირველისა მისთჳს კადნიერებისა და აფუცებდა, რათა არა წარვიდეს მიერ და რათა არა შურიგოს მის ზედა წმიდამან დედოფალმან; და წარმოუთხრა ჩუენებაჲ იგი, რომელიცა ეხილა დამესა მას და ევედრებოდა, რათა ექმნეს მთხოვანე წინაშე წმიდისა ღუთისმშობლისა. ხოლო წმიდამან ილარიონ აღადგინა იგი და ჰქუა მას: „იქმნეს ეგჳ ნებისაებრ შენისა, წმიდაო მამაო“. მაშინ მამასახლისი იგი ეიერდრა, რათა მოართუმიდენ ევლოგიასა ყოველთა შაბათთა; და მიუშუა ამისა ყოფად ნეტარმან მან; და წარვიდა მამასახლისი მონასტრად თჳსად. 150.

ხოლო იუო ნათესავი მისი ვნებული ფერკითა მარჯუენითა სიყრმითგან მისით; და ევედრა ესე მამასახლისსა, რათა მას უბრძანოს მსახურებაჲ წმიდისაჲ მის და მორთუმად მისა განწესებულსა მას ევლოგიასა, და ვითარ ჰყოფდა ესრეთ ძმაჲ იგი და ჰმსახურებდა წმიდასა მას; და დღესა ერთსა, მოაქუნდა რაჲ ევლოგიაჲ ჩუეულებისაებრ, იხილა რაჲ ესე ვითარი გულს მოდგინებაჲ მისი კეთილის მოძულემან ეშმაკმან, უბრკუმა ფერკი იგი მისი ვნებული და ატკივნა ფიცხლად, ხოლო ძმაჲ იგი ტკივილისა მისგან ცრემლოდა მწარედ, იხილა რაჲ წმიდამან ილარიონ და მისი იგი ტირილი მეუძნდა წუალობის მოუუარესა სულსა მისსა, მოიღო წმიდაჲ ზეთი კანდელისაგან საუფლოჲსა, დაასხა ტკივნეულსა მას ფერკსა მისსა და განკურნა ტკივილიცა იგი და ვნებაჲცა იგი, რომლითა ვნებულიუო, განკურვა(!) იგი და ამცნო, რათა არავის უთხრას; ხოლო მან ყოველი მიუთხრა მამასახლისსა და ძმათა ყოველთა, რომელთა ეხილვა პირველ და ჰმადლობდეს ღმერთსა, მოქმედსა საკჳრველებათასა.

მიერითგან აქუნდა იგი ყოველთა ვითარცა მოციქულ

და მწყემსი (?) საკჯრველებისა მისთჳს და მოვიდოდეს გარემოთა მონასტერთაგან ხილვად მისა და მოდებად წმიდისა ლოცვისა მისისა; და განითქუა ჴამბავი მისი ყოვლ-
151. სა მას მთასა ულონბოჲსასა და მოვიდოდეს და აღივსებოდეს სწავლითა მისითა და ადიდებდეს ღმერთსა, რომელმან მოსცა ესე ვითარი მნათობი.

მაშინ მოვიდეს მისა სხუანი სამნი ძმანი ქართველნი და შეიწყნარნა იგინი ნეტარმან ილარიონ, ხოლო ერთი მათგან იყო კეთილად მეტყუელ ბერძულითა ენითა და იყოფოდეს იგინი მუნდროებით და უშფოთველად ადგილსა მას, განშორებულნი ყოვლისავე კაცობრივისა ზრუნვისაგან. და ესმა მკჳდრთაცა სამეუფოჲსა ქალაქისათა სათნოებათათჳს წმიდისა ილარიონისთა და ანგელოზებრისა მოქალაქობისა მისისათჳს, მოვიდოდეს და ევედრებოდეს მას, რათა მიიღებდეს მათგან საკმარსა, ხოლო მან არა ინება ესე ყოფად, არამედ ესრეთ ჰქუა მათ, ვითარმედ: „მზრდის ჩუენ მოდუაწჱ ჩუენი წმიდაჲ დუთისმშობელი და არა დამაკლებს კორციელსა საზრდელსა.“ და, ვითარ იხილეს ესოდენი ესე უშუვარებაჲ მისი, ბაძვად აღადგეს მრავალნი უბიწოჲსა მის ცხოვრებისა მისისა.

რამეთუ შურებოდა იგი კელითა თჳსითა და მისგან მოირეწდა კორციელსა საკმარსა მისთჳს და მისთანა მათთჳს და არა რას ვის დააჭირვებდა, რამეთუ ეკსენა სიტყუაჲ იგი დიდისა მის მოციქულისაჲ, ვითარმედ: „კელნი ჩემნი მმსახურებდეს მე“; და კუალად იტყჳს, ვითარმედ: „დღე და ღამე ვიქმ კელითა ჩემითა, რათა არა რაჲ ვის დაუმძიმო“; და კუალად განაჩინებს კელისათჳს უქმისა არა ჭამად, რომლისაცა მობაძავად წმიდაჲ ესე იქმნა.

მაშინ, ვითარცა იხილა განმრავლებაჲ მომავალთაჲ, და რამეთუ აწუინებდესცა ფრიად, და ამით მიზეზითა ვერ
152. ჰჳოებდა საწადელსა მას თჳსსა—დაუუდებით ცხოვრებასა, და ენებაცა სივლტოლაჲ ცუდად დიდებისაგან და რამეთუ

არა უნდა, რათამცა იყო ვინმე მაქებელ მისდა, ვინაჲთგან სიურმითგანვე მოეგუეთნეს ძარღუნი ეშმაკისა მის და ცუდად მზუაობრობისა და რომლისათჳსცა იყო სლვაჲ მისი ქუეყანითი ქუეყანად, რათა არა ვიდრემე პოვოს მისთანა ადგილი ამპარტავანებამან და გინათუ ვეშაპმან მან ვეცხლის მოყუარებისამან ბუდჱ თჳსისა უკეთურებისაჲ, რამეთუ ვითარცა იტყჳან მამანი, ვითარმედ: „სამთა ამათ მიერ იშვებიან სპარაზენნი ვნებათანი: დიდების მოყუარებისა, გემოთმოყუარებისა და ვეცხლის მოყუარებისაგან". ამისთჳსცა წმიდამან ამან სამნივე ესე თავნი გუელისანი სამებისა წმიდისა ძალითა ახოვნად და ძლიერად დათრგუნნა.

ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ. და ვითარცა იხილა წმიდამან ილარიონ სიმრავლჱ იგი მოსავალთაჲ მათ, ჰქუა ესრეთ მოწაფეთა თჳსთა: „შვილნო ჩემნო, აჰა ესერა, მაქუს ხუთი წელიწადი აქა, ვინაჲთგან მოვედით, და ვერ შევედ ქალაქად, რათამცა თაყუანისჳეც ძელსა ცხორების მომცემელსა; და აწ, ვიდრე მოსლვადმდე ჩემდა, თქუენ ადაშენეთ მცირჱ სენაკი ყორისაჲ ქვათაგან"; და ასწავა, ვითარ ჯერ იყო აღშენებაჲ მისა, და თანა წარიყვანა მოწაფჱ ერთი, სახელით ჱსაკ, და წარვიდა კოსტანტინეპოლედ თაყუანისცემად პატრიარქისა ჯუარსა და უოველთა წმიდათა ეკლესიათა; ხოლო ოთხნი იგი მოწაფენი თჳსნი დაუტევნა ულომბოს. 153.

და ვითარცა შევიდა ქალაქად სამეუფოდ, თაყუანის სცა სასურველსა თჳსსა ძელსა პატრიარქისა და ამბორს უყო სურვილით ნაწილთა წმიდათასა, რომელთა ოდენ მიემთხჳა; და განიზრახა, რათა მიერ წარვიდეს ჩრომედ თაყუანის ცემად სამარხჳოსა წმიდათა და უოვლად ქებულთა თავთა მოციქულთა — პეტრესსა და პავლესსა; და წარემართა ნებითა დუთისაჲთა. და ვითარ ვლო ათოთხმეტი დღჱ და მიიწია ქალაქსა რომელსამე და პოვა სამოთხჱ გარეშე ქალაქისა მის და კარსა მის სამოთხისსა მკელობელი

ერთი მჯდომარეს; დაჯდა წმიდაჲცა იგი მოწაფითურთ მკელობელისა მის მახლობელად და ჰქუა მას: „კაცო, აღდეგ და მომართუ მე ტევანი ერთ უურძენი!“ ჰქუა მას კაცმან მან: „აჰა, მამაო, სამოთხეს ესე წინაშე შენსა და, რაჲცა გნებავს, მიიღე, რამეთუ ვერ შემძლებელ ვარ აღდგომად ცოდვათა ჩემთაგან, და მაქუს აქა ათცამეტი წელი, ვინაჲთგან დავკოჭლდი, და მზრდის მე ოჯოვალი ამის ადგილისაჲ“. მაშინ შეეწუალა წმიდასა კაცი იგი და სულთ ითქუნა სიტრმითა გულისაჲთა, და აღიხილნა თუალნი გონებისანი ღუთისა მიმართ, რომელსა იგი დუმილით მვედრებლთაჲ უმაღლეს უოვლისა საყურისა ესმის, და ჰქუა კაცსა მას: „აღდეგ, ძმაო, ოჯოვალსა უბრძანებიეს, და კელითა შენითა მომართუ ნაყოფისაგან სამოთხისა მაგის“. და მუნთქუესვე განემართნეს ფერანი მისნი და აღდგა
154. და შევიდა ვენაკსა მას, რათამცა მოართუა უურძენი; ხოლო წმიდაჲ ილარიონ აღდგა და წარვიდა სხჳთ გზით; და ვითარცა გამოვიდა კაცი იგი, ვერდარა პოვა მკურნალი იგი კეთილი და მეუსეულად შევიდა ქალაქად, და აქუნდა ტევანი იგი კელთა და ჰმადლობდა დმერთსა, და კმობდა, ვითარმედ: „მკუდრნო ამის ქალაქისანო, მიხილეთ მე, მიხილეთ! რამეთუ მე ვარ, რომელი იგი პირველ კოჭლი ვიუავ და მრავალ გზის გეხილვე, ხოლო აწ მხედავთ, ვითარ ესე ვარ ლოცვითა კაცისა ღუთისაჲთა“.

მაშინ, ვითარცა იხილა ერმან მან ქალაქისამან საკჳრველებაჲ იგი დიდებული, განკჳრვებულნი ჰკითხვიდეს, რომელნი იცნობდეს პირველად კაცსა მას, თუ: „ვითარ განიკურნე?“. ხოლო მან უთხრა უოველივე საქმე განკურნებისა თჯისაჲ და აუწუა სახე და ნიშანი წმიდისაჲ მის და მოწაფისაჲცა მისისაჲ; მაშინ უოველმან მან ერმან ქალაქისამან იწყო მოსწრაფედ ძიებად მათდა მებოძირთა ზედა გზათასა და უოველსავე ადგილსა, ვინაჲვე საეშუელ იუო წარსლვაჲ მათი. ხოლო წმიდაჲ იგი ნებითა ღუთი-

ცაჲთა დაეფარა თუალთაგან მათთა და წარვიდა გზასა თჳსსა, ვინაჲცა ენება; და მრავალნი სასწაულნი აღასრულნა ღმერთმან მის მიერ ყოველსა მას გზასა მისსა, ვიდრეცა ვიდოდა.

და წინამძღუარებითა ღუთისაჲთა და მეწევნითა წმიდათა მოციქულთაჲთა მიიწია ქალაქად ჰრომელ, და ვითარცა ირემმან სურვიელმან წყაროდ მიმართ წუალთაჲსა, ეგრეთ აღგზაბულმან სურვილითა სალთოჲთა, მეცსეულად მიისწრაფა ტაძრად წმიდათა და თავთა მოციქულთა – პეტრესსა და პავლესსა, თაყუანის სცა და ამბორს უყო მოწყლედ მკურვალებითა სულისაჲთა წმიდათა სამარხოთა მათთა და ყოველთავე ნაწილთა წმიდათა მდვდელთმოძღუართა და მოწამეთასა, რომელთა ოდენ მიემთხჳა 155.

ხოლო დაყო ორი წელი ჰრომეს შინა ანგელოზებრ ცხორებითა და მოდუაწებითა: რამეთუ მარადის ხედვასა ღუთისასა შეჰმსჭუალა გონებაჲ თჳსი და მუნცა მრავალნი სასწაულნი და კურნებანი აღასრულნა ოჯუალმან მის მიერ, ვითარცა უგუანაჲსკნელ მოწაფემან მისმან ნეტარმან ისაჲ ყოველივე მოგჳთხრა, მოიქცა რაჲ მიერ შემდგომად მიცვალებისა მისისა.

მაშინ საცნაურ იქმნა ყოველთა მიერ მკჳდრთა ჰრომისათა საღუთოჲ იგი მოქალაქობაჲ მისი და ყოველნივე განკჳრვებულ იყვნეს, და მოვიდოდეს შემთხუევად და თაყუანისცემად წმიდათა ფერკთა მისთა; და მოდებად წმიდასა ლოცვასა მისსა; და ყოველთა აკურთხევდა და ლოცვით განუტევებდა; და ჰმადლობდეს ღმერთსა, რომელმან მოავლინა წმიდაჲ ესე ქალაქსა მათსა; და ვითარცა დაყო ჰრომეს შინა ორი წელი მადლითა და საკჳრველითა მოქალაქობითა,

ამისა შემდგომად აღძრვითა ზეგარდამოჲთა მოუკდა გულსა, რათა კუალად წარვიდეს სამეუფოდ ქალაქად კოსტანტინოპოლედ, რამეთუ ენება ღმერთსა, რათა არა

კუებულ ყოს დიდებული ესე ქალაქი, რომელსა შეუკრებიან სიმრავლენი ყოველთა წმიდათანი თავსა შორის თჳ-
156. სსა და გარემოჲას ყოველთავე სანახებათა თჳსთა და რათა ამისთაცა ნაწილთა ღირს იქმნას შეწუნარებად ვრცელთა მათ და დიდებულთა წიაღთა შინა თჳსთა; რომლისაცა მიზეზისათჳს წარმოვიდა მიერ წმიდაჲ ილარიონ და შეწევნითა ღუთისაჲთა ყოვლითურთ შეუწუხებელი მოიწია ქალაქად თესალონიკედ. და ვითარცა შევიდა ქალაქად, უშირაჲტეს ყოვლისა თაყუანისსცა სამარტჳლოსა ძლევა შემოსილისა დიდებულისა მოწამისა დიმიტრისსა, და მიერ წარვიდა პრეტორად, მთავრისა მის ქალაქისა და დაჯდა კართა წინაშე მისთა.

და აჰა ესე რა განგებითა სადუთოჲთა მკევალმან მის მთავრისამან გამოიღო ძუ თჳსი ოთხისა წლისაჲ ნახევარ მიდებული და დადვა იგი მზის შირსა მახლობელად წმიდისა ილარიონისა. ჰქუა წმიდამან ილარიონ დედაკაცსა მას: „დედაკაცო, წარვედ და მოიმართუ მე წუალი“ და მეყსეულად აღდგა იგი მოღებად წულისა. მაშინ, ვითარცა წარვიდა დედაკაცი იგი, აღდგა წმიდაჲ ილარიონ, სულთითქუნა სიხარმითა გულისაჲთა, ჯუარი დასწერა ურმასა მას ზ ჰქუა: „სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა ჲ სულისა წმიდისაჲთა შენ გეტყჳ, ურმაო, აღდეგ ცოცხლებით!“ და მეყსეულად განიკურნა და აღდგა ყოვლითურთ უვნებელი ფერკთა თჳსთა ზედა; და ჰქუა კუალად ურმასა მას: „წარვედ, შვილო, გიწესს შენ დედაჲ შენი“. და აღდგა ურმაჲ იგი ცოცხალი და შევიდა დედისა თჳსისა თანა; ხოლო წმიდაჲ ილარიონ აღდგა და წარვიდა სხუასა ადგილსა,
157. რათა არა საცნაურ იქმნას სასწაულისა ამის მიერ მეძიებელთა მისთაგან.

ახილეთ და, ჯ საუარელნო, თუ ვითარსა მადლსა ღირს იქმნა წმიდაჲ ესე მამაჲ ჩუენი! რამეთუ მიემსგავსა დიდთა მათ მოციქულთა—პეტრეს და პავლეს, რომელთა

განჰკურნეს მკელობელი იგი, რომელი ზინ თხოვად ქვეყლის საქმისა კართა წინაშე შუენიერისა მის ბჭისათა, რომელთა იგი მათ სიტყჳთ კურნებაჲ მიჰმადლეს; და კუალად შეტრე ენება განრდუეული ადადგინა; ხოლო ესე არა უმცირეს არს სასწაულთა მათ მათთა, რომელნი ნეტარმან ამან აღასრულნა: რამეთუ შირველისა მის მკელობელისა განკურნებაჲ რაჲ ენება, რომელი იგი წინაშე სამოთხისა შოვა, უშირატეს ითხოვა მისგან ტკბილი ნაყოფი, რომლისაჲ იგი თჳთ მიცემაჲ ეგულებოდა, და კუალად ურმასა რაჲ ამას განჰკურნებდა, რომელი ესე აწ ვაკსენეთ, ითხოვა შირველად წუალი სასუმლად დედისაგან მისისა, რამეთუ ეგულებოდა, რათა შვილსა მისსა ასუას წუალი კურნებისაჲ, და ეგრეთვე იუოფებოდა რაჲ მთასა მას ულობაჲსსა, ამითვე სახითა განკურნა მკელობელი იგი, რომელი მოართუმიდა ევლოგიასა, რომელსა იგი მისცა ევლოგიაჲ კურნებისაჲ

და ვითარცა შევიდა ურმაჲ იგი დედისა თჳსისა, ვითარცა შირველ ვთქუთ, და წმიდაჲ იგი წარვიდა სხუასა ადგილსა; ხოლო მკევალმან მან აღიტაცა ურმაჲ იგი და მოჰგუარა დედოფალსა თჳსსა და იგი ჰკ თხვიდა, თუ ვითარ განიკურნა ურმაჲ იგი, ხოლო მან წარმოუთხრა ყოველივე სახჱ განკურნებისა მისისაჲ და ნიშანი წმიდისაჲ მის და მოწაფისა მისისაჲ და ენისაცა მათისაჲ; და მუნთქუესვე შევიდა დედოფალი იგი და უთხრა ესე ყოველი ქმარსა 158.
თჳსსა და უჩუენა ურმაჲცა იგი განკურნებული.

ხოლო ვითარცა ესმა ესე მთავარსა, მეყსეულად ბრძანა სწრაფით დაცვაჲ კართა ქალაქისათა და მოძიებაჲ წმიდისაჲ მის; და ვითარცა ეძიებდეს, შოვეს იგი კარსა აღმოსავალით კერძოსა გარე განმავალად. რამეთუ ვერ შესაძლებელ იუო დაფარვად ქალაქისა მთასა ზედა დაშენებულისა და არცა სანთლისა მთებარისა უჩინო უოფად ცხედარსა ქუეშე, რამეთუ რაოდენ წმიდასა მას ენება და-

ფარვაჲ სა'მეთა თჳსთაჲ, ეგეოდენ ღმერთი განაცხადებდა მსახურსა თჳსსა, რომელმან იგი ადიდნის მადიდებელნი თჳსნი.

რამეთუ ვითარცა პოვეს წმიდაჲ იგი კაცთა მათ მეძიებელთა მისთა, მეუსეულად დაცკვეს და თაყუანის სცეს მას წინაშე ფერკთა მისთა წმიდათა და ითხოვდეს მისგან კურთხევასა; ხოლო ნეტარმან მან აკურთხნა იგინი და აღადგინნა და წარჰჳვა მათ თანა. მაშინ მთავარსა მას, ვითარცა ეუწყა მისლვაჲ წმიდისაჲ, გამოვიდა შემთხვევად მისდა და ამბორს უყოფდა წმიდათა ფერკთა მისთა; არამედ წმიდამან ულოცა მას, და აღადგინა იგი, და ჰქუა მას: „ძრი'ტემან, ყოველთა მოყუარეთა მისთა მცველმან, დაიცევინ ღუთის მოყუარებაჲ შენი!“ ხოლო მთავარმან წარიყვანა წმიდაჲ იგი სახედ თჳსად და ევედრა მას, რათა გამოირჩიოს ადგილი, რომელიცა ინებოს და იყოფოდის მას შინა; მაშინ წმიდამან, ვითარცა იხილა სალუთოჲ იგი და ღუთის მოყუარჱ გონებაჲ მთავრისაჲ მის, მიუშუა ამისა ყოფად, და გამოირჩია ადგილი მარჯჳ და მუნდროჲ,
159. ვითარი შეაშუნდა სიწმიდესა მისსა. და აღუშენეს ეკლესიაჲ შუენიერი ადგილსა მას და ამცნო წმიდამან, რათა არა აწყინებდენ ზედაჲსზედა, და კუალად ამცნო, რათა არა რას წარმოსცემდეს მისა, თჳნიერ პაქსიმადისა კმელისა და ცერცჳსა დამბლისა. ხოლო მთავარმან მან აღასრულა ყოველივე ბრძანებული მისი.

მაშინ განითქუა ჰამბავი მისი ყოველსა მას ქუეყანასა ილურიკიისასა, და მოვიდოდეს ურიცხუნი სულნი და აღეშენებოდეს სწავლითა მისითა და მიიღებდეს წმიდათა ლოცვათა მისთა, და ეგრეთ წარვიდოდეს სახედ თჳსად. ხოლო მუოფთა ქალაქისათა მრავალთა შიშურდა სალმრთოჲ იგი მოქალაქობაჲ და უბიწოჲ ცხორებაჲ მისი და კელითა მისითა იქმნნეს მონაზონ, და წარემატნეს ანგელოზებრსა ქცევასა და მოღუაწებასა შინა.

მას ჟამსა დიაკონი ერთი თესალონიკელი განვიდა მოხილვად ვენაკსა თჳსსა, ჲ შეიშურეს იგი წარმართთა ჲ წარიყვანეს ქუეყანად თჳსად, და ვითარ იგი მიჰყვანდა, მგზავრ მოეკსენა წმიდაჲ ილარიონ ყოვლითურთ სასოწარკუეთილისა კაცობრივისა ცხორებისაგან და იწყო ვედრებად მისა ცრემლითა მკურვალითა და თანაშემწედ ხადოდა წმიდათა ლოცვათა მისთა; და მას ოდენ ჟამსა, ვითარცა ეძინა მრჩობლ შეკრულსა ჯაჭუთა მიერ რკინისათა, ეჩუენა წმიდაჲ იგი და ჰქუა მას: „აღდეგ, ჯ დიაკონ, და ნუ გეშინინ, რამეთუ მე ვარ, რომელსა იგი შევედრებოდე“. და, ვითარცა განიღჳძა, იპოვა, რამეთუ განკსნილ იყო საკრველთაგან; აღდგა მეყსეულად და განვლო ყოველი იგი ლაშქარი უშიშად და არავინ ცნა საქმჲ ესე, ვიდრემდის მოვიდა ქალაქად თესალონიკედ და მიუთხრობდა ყოველთა საკჳრველებასა ამას დიდებულსა. და მოვიდა წმიდისა მის და ამბორს უყოფდა წმიდათა კელთა მისთა, რომელთა მიერ განიკსნა საკრველთაგან, და მადლობით მიუთხრობდა საკჳრველებასა მას, მის მიერ მის ზედა აღსრულებულსა. ჰქუა მას: „შვილო! ენება ღმერთსა კსნაჲ შენი, ამისთჳსცა ანგელოზი თჳსი მოავლინა ხატითა ჩემითა, ვინაჲთგან შენ სარწმუნოებით ჩემ ცოდვილისა სახელსა ხადოდე, და გამოგიკსნა მწარისა ტყუეობისაგან. ამისთჳსცა ჰმადლობდი ღმერთსა, მოქმედსა საკჳრველებათასა“. ხოლო იგი წარვიდა სახედ თჳსად განთავისუფლებული და ადიდებდა ღმერთსა.

და დაყო წმიდამან ილარიონ ქალაქსა შინა თესალონიკესა ბუნებათა უადრესითა მოღუაწებითა ჟამი რაჲოდენიმე, რამეთუ ყოველთა მათ ზემო კსენებულთა სიწმაბუკისა ღუაწლთა დაივიწყებდა, და ვითარცა ახლად შემავალი სტადიონსა მას მოღუაწებისსა უმკურვალეს ჳირველისა სურვიელ იყო, რამეთუ სიტყჳსაებრ მოციქულისა, ჳირველ გარდასრულთა მათ შრომათა ყოვლადვე არა იკსე-

160.

ნებდა, და შემდგომთა მიწთომად მოსწრაფე იყო; ამის-თჳსცა ღმერთმან სასწაულთა მიერ და გურნებათა ცხორე-ბასავე ამას შინა ადიდა, რამეთუ რომელთამე კორციელთა სნეულებათაგან განჰკურნებდა, ხ კუალად რომელთამე სულიერთა ვნებ თა და სალმობათაგან იკსნიდა; და ესრეთ, ურიცხუნი სულნი შეაწყნარნა ღმერთსა.

ხოლო ვითარცა მოწია ეამი აღსრულებისა მისისაჲ, ამიერ წარსლვისა და ღუთისა მხოლოჲსა მისლვისაჲ, რომლისაცა სურვიელ იყო და სახელისა მისისათჳს იდუა-წა სიყრმითგან ჰასაკისა მისისაჲთ, უწყებულ იქმნა უკუე
161. ღუთისა მიერ, და იცვალა სახჱ ჳრისა თჳსისაჲ და მხია-რულ იქმნა სულითა, ვითარცა მუშაკი კეთილი, მიმავალი ნაყოფსა მას ზედა სათნოებათა თჳსთასა, ვითარცა იტყჳს დავით, ვითარმედ: „მოსლვით მოვიდოდეს და უხაროდა რომელთა მოაქუნდა მჭელეულები მათი“, გინა თუ ვითარ-ცა მაედარი ძლევა შემოსილი, მომწყუედელი წინა აღმდ-გომთაჲ და მიმავალი მეუფისა თჳსისა, ანუ თუ ვითარცა მენავეთ მოძღუარი კელოკანი წიაღმუვანებელი მრავალთა სულთაჲ დაულტობელად ღელვათა შინა სოფლისა ამის ზღჳსათა და ღუთისა შემჳრველი.

მაშინ მოუწოდა მთავარსა მას ჲ ჰქუა: „ჯ მთაკარო, კეთილად ჰყავ, რამეთუ შემწყნარე გლახაკი ესე და უცხოჲ; მოგეცინ შენ ოჯუალმან სასყიდელი სიუარულისაჲ, რომელმან იგი უცხო ქმნულნი ესე უცხოებითა თჳსითა დამაგნა ღმერთსა მამასა; ამიერითგან ისწრაფე შეწყნარე-ბად გლახაკთა და მონაზონთა და უმეტესად უცხოთა, ეგრძალე მოხუეწისაგან გლახაკთაჲსა და ყოვლისავე უმ-შჯავროჲსა და უსამართლოჲსა საქმისა, რათა მოწყალე-ბამან ღუთისამან დაგიფაროს ცხორებასა ამას შინა და სა-უკუნედ ზიარგუყოს სუფევასა წმიდათა თანა; რამეთუ მე, აჰა ესერა, წარვალ გზასა მამათა ჩემთასა და მოიწია ჟამი აღსრულებისა ჩემისაჲ“. მაშინ მთავარმან იწყო ტირი-

ლად და ამბორს უყოფდა წმიდათა კელთა და პირსა მისსა; ხოლო წმიდამან ადიპურნა კელნი ღუთისა მიმართ, ულოცა მას, აკურთხა და წარგზავნა სახედ თჳსად.

და ვითარცა მოიწია შაბათი დღჱ, მოუწოდა წმიდამან მოწაფეთა თჳსთა და ჰქუა მათ: „შვილნო ჩემნო! უწყოდეთ, რამეთუ მოიწია ჟამი ჩემი და, აჰა ესე რა, დატევებად მიც საყოფელი მიწისა კორცთა ჩემთაჲ, ვითარცა იტყჳს 162. მოციქული პეტრე; ამიერითგან იხილეთ თავისა თქუენისათჳს და იზრუნეთ კეთილად ცხორებ სათჳს სულთა თქუენთაჲსა, ვიდრეცა უკუანაჲსკნელად აღმოუშჳნვადმდე უწყოდეთ გონიერად, რამეთუ მტერი ჩუენი, ვითარცა ლომი მჯრალი, მიმოვალს და ეძიებს, რათამცა შთანთქა ვინმე ჩუენგანი, არამედ განგუარინენ პირისაგან მისისა მარჯუენემან ღუთისამან უძლეველმან; აწ, შვილნო ჩემნო, ეკრძალენით თავთა თქუენთა და იუარებოდეთ ურთიერთას და მშჯდობამ ნ ღუთისამან, რომელი ჰმატს ყოველთა გონებათა, დაგიცვენინ საფარველსა ქუეშე დიდებისა თჳსისასა და მადლი და წყალობაჲ მისი იყავნ სულისა თქუენისა თანა ამინ“. და ულოცა და ასწავა ფრიად ცხორებისათჳს სულთა მათთაჲსა.

ამისა შემდგომად ეზიარა წმიდათა საიდუმლოთა ქრისტეს ღუთასათა, აღიშურნა კელნი და შეწირა მადლობაჲ და მისცა სული თჳსი წმიდათა ანგელოზთა, თჳნიერ ქმობისა და ტკივილისა.

მაშინ აუწყეს მთავარსა; და მოვიდა მთავარეპისკოპოსისა თანა ყოველითა ერითა, სიმრავლითა მდდელთა და დიაკონთაჲთა პატივად წმიდისა მის გუამისა; და ვითარცა ეუწყა მკჳდრთაცა ქალაქისათა, მოვიდეს მეყსეულად ყოველივე ჰასაკი შაბუკთა და მოხუცებულთაჲ ურმათა თანა და დიდებისა, სიმრავლითა სანთელთა და საკუმეველთაჲთა; და ფსალმუნითა და გალობითა მოსწრაფე იყვნეს ყოველნი თითოეულად, რათამცა შევინმეახლა წმი-

დასა მას გუამსა მისსა, ანუმცა მირაამეიშოვინ ნაწილი ევლოგიად სამოსლისაგან მისისა. და უბრძანა მთავარმან მოდებად ლუსკუმაჲ მარმარილოჲსა, რათა მას შინა შთაუსუენონ წმიდაჲ იგი გუამი.

და ვითარცა ეგულებოდა დამარხვაჲ მისი, მეესეულად მოვიდეს ორნი ეშმაკეულნი და იტყოდის: „ელარიონ ქართველო! რაჲსათჳს განგუასხამ ჩუენ საყოფელთაგან ჩუენთა?“ და ვითარცა მიეახლნეს წმიდასა მას გუამსა მისსა, მუნთქუესვე განიკურნეს იგინი; და იხილა რაჲ ყოველმან ერმან საკჳრველი ესე დიდებული, ყოველნი ჰმადლობდეს დმერთსა. მაშინ შემურეს წმიდაჲ იგი გუამი მისი და ძლივ დაჲდვეს ლუსკუმასა მას შინა ტენებისაგან ერისა მის: რამეთუ მოსრულიყო სიმრავლჱ მჴდელთა და დიაკონთა, მონაზონთა და ერის კაცთაჲ, ვითარცა პირველ ვთქოთ, პატივად წმიდისა მის გუამისა მისისა. და მას დღესა შინა მრავალნი სასწაულნი და კურნებანი აღასრულნა დმერთმან მის მიერ ქალაქსა მას შინა თესალონიკესა, რამეთუ იყო რაჲ წმიდაჲ ესე კორცთა შინა, არა ინება კაცთაგან დიდებისა მიღებაჲ, არამედ ღმერთი, რომელი აღიდებს მადიდებელთა თჳსთა, შემდგომად სიკუდილისა აღიდა იგი.

ხოლო აღესრულა მამაჲ ჩუენი წმიდაჲ ელარიონ თუესა ნოემბერსა 10-სა, დღესა შაბათსა, ჟამსა მეხუთესა დღისასა, მეფობასა ბასილი მაკედონელისასა, რომელმან იგი შემდგომად მიქაელისსა მიიღო მეფობაჲ; ხოლო ესე მიქაელ იგი იყო, რომელმან დაამტკიცა თაყუანისცემაჲ წმიდათა ხატთაჲ, ვითარცა ზემო ვთქუთ, და მეორედ ეწოდა მოძრთვლჱ.

ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ. მიიცვალა წმიდაჲ ესე წლისა ორმეოცდაათცამეტისაჲ, ქალაქსა შინა თესალონიკესა, და აღასრულებდეს წლითი წლად
164. ჯსენებასა მისსა მგჳდრნი ქალაქისანი ჟამსა მას ზემო წერილსა, რომელსაცა შინა მიიცვალა; ხოლო იქმნებოდეს

სამარხვოსა მისსა ზედა სასწაულნი და კურნებანი მრავალნი.

რამეთუ შემდგომად მიცვალებისა მისისა დასნეულდა ძე მთავრისაჲ მის, და განუსივდეს სარცხჳნელნი მისნი და მუცელიცა მისი, და განწირეს იგი მკურნალთა, ვიდრემდის მიიწია სიკუდილად. მაშინ ადიდეს იგი მშობელთა მისთა და დააგდეს იგი წინაშე ლარნაკსა წმიდისსა, და მას ღამესა გამოუჩნდა წმიდაჲ ელარიონ და ჰქუა ესრეთ განწირულსა მას: „ჯ ბროკოპი, — რამეთუ ესრეთ ეწოდებოდა ურმასა მას — გრწმენინ ჩემი: უკუეთუ არა აღმითქუა მე, რათა არა ხუდოდი უწესოდ, ვერ განიკურნო სენისა მაგისაგან". ხოლო მან ფიცით აღუთქუა ესე უოფად; მაშინ წმიდამან დასდვა კელი მისი მუცელსა მისსა ზედა და ჰქუა მას: „სახელითა იჳსო ქრისტესითა ცოცხალ იქმენ", და ჯუარი დასწერა; ხოლო იგი მუნთქუესვე განიკურნა და, ვითარცა განიდჯძა, ადიდებდა ღმერთსა და წმიდასა მას, რამეთუ უოვლადვე არა იუო ვნებაჲ მის თანა, და ამბორს უყოფდა ლარნაკსა მისსა წმიდასა, და მიუთხრობდა უოველსა ერსა საკჳრველსა ამას დიდებულსა, და რომელთა ესმოდა, ადიდებდეს ღმერთსა.

მოწაფეთა ამის წმიდისათა მისცეს ფლასი ერთი წმიდისაჲ მის ქურივსა ერთსა გლახაკსა, ხოლო მან უმეტეს უოველთა საფასეთა და თუალთა პატიოსანთაჲსა მიიღო იგი მათგან სასოებითა და სარწმუნოებითა დიდითა, და ჳისცა სნეულსა დაჰბურის, პოვის მან ლხინებაჲ, და მიუთხრობდა კაცად კაცადი საკჳრველებათა ამათ ურთიერთას და ჰმადლობდეს ღმერთსა, რომლისაჲ არს დიდებაჲ თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ, და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ. 165.

—

მოციქულებისათჳს ნაწილთა წმიდისა ილარიონისთა თესალონიკით კოსტანტინებოლედ.

მას ჟამსა შინა, ვითარცა განითქუნეს ნიშნი და საკჳრველებანი ნეტარისა მამისა ჩუენისა ილარიონისნი ყოვლით კერძოვე, ესმნეს უკუე ღუთის მსახურსაცა მეფესა ბასილის, რომელნი იგი დღითი დღე აღესრულებოდეს ქალაქსა შინა თესალონიკესა, და რამეთუ წიგნიცა მიუწერა მთავარმან ქალაქისამან და მთავარეპისკოპოსმან, რომელი აუწყებდა გარდაცვალებასა წმიდისასა და კურნებათა და სასწაულთა მისთა, რომელნი აღესრულებოდეს წინაშე სამარხჳსა მისსა წმიდასა. ხოლო, ვითარცა აღმოიჩინა მეფემან წიგნი იგი, მოუწოდა ყოველთა მთავართა პალატისათა და აუწყა მიზეზი წიგნისა მის მიწერილისაჲ თესალონიკით; ხოლო მათ ვითარცა ესმა, ჰმადლობდეს ღმერთსა.

და მათვე დღეთა შინა ინება ღუთისმსახურმან მეფემან შემოკრებაჲ ყოველთავე მამასახლისთა მთისა ულომბოჲსათაჲ საქმისა რომლისათჳს მე სათანადოჲსა ქალაქად სამეუფოდ. და იყო დღესა ერთსა მოვიდეს ყოველნი პალატად; და ვითარცა შევიდეს წინაშე მისსა, ყო მეფემან სულიერი სიხარული მათ თანა ხილვისათჳს მათისა; ხოლო მათ იწყეს სიტყუაჲ სიტყუათა სულიერებთა წინაშე მეფისა. მაშინ მეფემან იწყო თხრობად მათდა საქმეთა და სასწაულთა ამის წმიდისაჲთა და ვითარ იგი მიეწერა მისდა თესალონიკით მთავარსა ქალაქისსა და მთავარეპისკოპოსსა; ხოლო ვითარცა ესმა ესე მამასახლისსა მას ულომბელსა,
166. რომელმან იგი პირველად შეიწყნარა წმიდაჲ ილარიონ და რომლისა იგი დისწული მკელობელი განეკურნა, მეუსეულად იწყო თხრობად მეფისა საქმეთა წმიდისა ილარიონისათა და საკჳრველებათა მისთა, რომელნი ექმნნეს მონასტერსა მისსა, და მიუთხრა ჩუენებაჲცა იგი ყოვლად წმიდისა ღუთისმშობელისაჲ. ხოლო მეფე ჰკითხვიდა, თუ:

„არიანდა ვინ მოწაფეთა მისთაგანნი მთასა მას?“ და მან მიუგო: „ჰე, წმიდაო მეფეო, არიან სამნი მოხუცებულნი მოწაფეთა მისთაგანნი, ღირსნი და სათნონი ღუთისანი“. მაშინ ღუთის მსახურმან მეფემან ბრძანა სწრაფითა დიდითა მოყვანებაჲ მოწაფეთა მისთაჲ დრომონითა სამეუფოჲთა ვალატად, პატივითა დიდითა, შემსგავსებულად ღირსებისა მათისა.

ხოლო ვითარცა მოიწინეს წმიდანი იგი მამანი სამეუფოდ და ეუწყა ესე მეფესა, მეუსეულად ბრძანა შეყვანებაჲ მათი წინაშე მისა; და, ვითარცა შევიდეს იგინი, განიხარა მეფემან სიხარულითა დიდითა, იხილა რაჲ ანგელოზებრივი სახჱ მათი; რამეთუ იყვნეს წმიდანი იგი მოხუცებულნი დღითა და მკოვანნი ჭასაკითა და შეუნიერებაჲ იგი გარეშისა სახისა მათისაჲ შინაგანსა სულისა ბრწყინვალებასა ცხადად აჩუენებდა, და შემუსრვილი იგი და მდაბალი სიტყუაჲ მათი სიმშჯდესა და მუდრობასა გონებისა მათისასა გამოაჩინებდა. და ევედრებოდა მეფჱ ლოცვისა უოფად მისთჳს და უოვლისა სამეუფოჲსა მისისა, ხოლო ნეტართა მათ კელითა აღჴყრობილითა ულოცეს მეფესა უოვლისა თანა სამეუფოჲსა მისისა.

მაშინ თქუა მეფემან: „ჭეშმარიტად აჴა მოწანი ღუთისანი და სულისა ჩემისა მეოხნი წინაშე ღუთისა. დიდებაჲ 167
შენდა, ქრისტე მეუფეო, რომელმან ღირს მყავ უღირსი ესე მეჯჳ ხილვად ღირსთა და სათნოთა მეუფებისა შენისათა“. მაშინ, ვითარცა რაჲ ნიშნი სამეუფონი, მიუვლინნა იგინი წმიდასა პატრიარქსა ეკნატის, რომელი იგი სიწმიდისა და ღირსებისა მისისათჳს იყო იგი მას ქამსა პატრიარქად სამეუფოსა ამას ქალაქსა ზედა.

და მიუმცნო ესრეთ, ვითარმედ: „იხილენ კაცნი ანგელოზთა სწორნი და მიიღე ლოცვაჲ მათი, რამეთუ მე ვიხილენ და დიდად განვიხარენ ხილვისაგან მაჴრ მათისა; რამეთუ მიხედვაჲ სახისა მათისა პატიოსნისაჲ უაღრეს უბ-

ნობისა სხუათაჲსა იყო, და კუალად სიტყუანი მათნი საწადელნი და სულიერნი გონებისა მათისა უმანკოებასა და
სიწრფოებასა აჩუენებდეს".

ხოლო პატრიაქმან, ვითარცა იხილნა წმიდანი იგი მონანი, მოიკითხნა იგი მოწყლედ სიუარულითა ძმებრივითა, და განიხარა ფრიად, და აკურთხნა იგინი, და მიიდო ლოცვაჲ მათი, და ეზრახა პატრიაქი ნეტართა მათ, ეპისკოპოსთა თჳსთა თანა, სულიერითა სიტყჳთა, და ცნა ღირსებაჲ მათი და სარწმუნოებაჲ მართალი, და ჰქუა ეპისკოპოსთა მათ ესრეთ, ვითარმედ: „ჭეშმარიტად ესენი არიან სულიერნი საუნჯენი, რომელთა მჳრავი არა მეხების; ამათმან ხილვამან დღეს დიდი მადლი მომანიჭა მე". და მიუმცნო მეფესა ესრეთ, ვითარმედ: „ჲ ღუთის მოყუარეო მეფეო, დიდი კეთილი მეყო მე დღეს შენ მიერ ხილვითა წმიდათა ამათ მამათაჲთა; და ჭეშმარიტად ესენი არიან
168. მსახურნი ოჳფლისანი და მეოხნი სულთა ჩუენთანი; ამითითა ლოცვითა იყავნ მტკიცე და შეუშფოთებელ ღუთივ გჳრგჳნოსანი მეფობაჲ თქუენი უკუნითი უკუნისამდე ამინ".

პოვნაჲ შენებისათჳს ჰრომანისა.

ხოლო ღუთის მსახურმან და ღუთის მოყუარემან მეფემან მოუწოდა წმიდათა მათ და ჰქუა: „ჲ პატრიოსანნო მამანო, გამოირჩიენ ღირსებამან თქუენმან მონასტერი, სადაცა გეღებოს თქუენთჳს და ნათესავისა თქუენისათჳს!" ხოლო მათ მიუგეს: „ჲ მეფე, არა შესაძლებელ არს ესე ჩუენ მიერ, რათამცა სხუათა აღშენებული ჩუენ დავიშურათ, უცხოთა კაცთა, და იგიმცა განვასხენით, რომელთა აღუმენებიეს, და ესრეთმცა ნაცვლად ლოცვისა, წყევაჲ მოვატყუთ მეფობასა თქუენსა, არა ვყოთ ესრეთ, ჲ მეფე, არა ვყოთ, არამედ, უკუეთუ გნებავს, განვიდეთ ადგილსა უდაბნოსა და ვიძიოთ ადგილი მყუდროჲ, საცა ჯერ იყოს აღშენებაჲ მონასტრისაჲ; და თუ ენებოს ღმერთსა, მუნ

ადგაშენე ეკლესიაჲ სალოცველად ღუთის მსახურებისა შენისაჲ".

ხოლო, ვითარცა ესმა ესე ღუთის მსახურსა მეფესა, აღივსო იგი სიხარულითა და ჰქუა მათ: „კეთილ, კეთილ, პატრიოსანნო მამანო! წარვედით უკუჱ და იძიეთ ყოველგანვე და რომელი ადგილი შეაშუნდეს სიწმიდესა თქუენსა, იგი მაუწყეთ და მე ვყო ყოველი ბრძანებისაებრ თქუენისა". და წარმგზავნნა იგინი სამეუფოჲსა კაცითა მოხილვად, ვინაჲცა ენებოს. და გამოვიდეს იგინი პალატით და მივიდეს ადგილსა ტყეანსა და უდაბნოსა და პოვეს ველესა შინა წყაროები, ადგილი ვაკე და შუენიერი; განიხარეს ფრიად და აუწყეს ღუთის მსახურსა მეფესა; ხოლო მას, ვითარცა ესმა, მოვიდა ერითურთ თჳსით ადგილსა მას და მოაქუნდა ქვაჲ თჳთ მეფესა და ყოველსა 169
ერსა მისთანა; და იწყეს შენებად ეკლესიისა და მონასტრისა, და აღასრულეს შჯდ თთუე ყოველი საქმჱ მონასტრისაჲ.

და მოვიდა მეფჱ პატრიაქისა თანა, და ყო სატფურებაჲ და დასხნა ნაწილნი წმიდათა მოციქულთანი თთუესა ოკდომბერსა თ, და შეწირა მეფემან ჯურჯელი ოქროჲსა და ვეცხლისაჲ, და სოფელნი და ქულბაგნი და მეტოქი ქალაქსა შინა, და მისცნა ტყენი, რომელნი იყვნეს გარემოჲს ადგილსა მას, და მისცა ყოველივე საკმარი, ვითარცა შეჰგავს მონასტრისათჳს უხუებით, და შექმნა მეფემან მცირჱ სენაკი თავისა თჳსისათჳს და დადგა მას შინა ლოგინი თავისა საგებლითურთ, და დადგნა საწიგნენი და დასხნა წიგნნი, სახარებაჲ და პავლჱ, და თქუა ესრეთ, ვითარმედ: „ესე იყოს საუოფელი ჩემი მახლობელად ღირსთა ამათ მამათა, რათა ლოცვითა მათითა ღირსმან ყსნაჲ ჩემი მოსაგებელისაგან ცოდვათა ჩემთაჲსა"; და უწოდა ადგილსა მას ქართველთა მონასტერი, რომელსა პირველითგან სახელი ეწოდა ჰრომანაჲ.

მაშინ ჰქუა მეფემან დირსთა მათ მამათა: „წმიდანო მამანო, ითხოეთ, რაჲცა საჯმარ არს თქუენდა მეფობისაგან ჩემისა!“ ხოლო მათ ჰქუეს, ვითარმედ: „ვითხოვთ შენგან, ჯ ღუთის მოყუარეო მეფეო, რათა აღიღო ყოველი უმშჯავროებაჲ სამეუფოჲსაგან შენისა, რათა არა განარისხო შენზედა ოჯფალი და ცუდ იქმნას კეთილის ყოფაჲ შენი ჩუენდა მომართ“.

და ვითარცა ესმა ესე მეფესა, განიხარა სიტყუათა ამათ
170. ზედა და შესძინა უმეტესი სარწმუნოებაჲ მათდა მიმართ და უყუარდეს იგინი უმეტეს ყოველთა მის ქამისა კაცთაჲსა, და მოჰგუარნა ორნი ძენი თჳსნი, ღეონ და ალექსანდრე, და ჰქუა მათ: „ლოცვა ყავთ ამათთჳს, წმიდანო მამანო, და ასწავეთ წიგნი და ენაჲ თქუენი, რათა იყვნენ ეგე შვილნი ლოცვისა თქუენისანი“. და ამისა შემდგომად წარვიდეს მეფჱ და პატრიაქი ქალაქად.

ხოლო ვითარცა აღასრულა ესე ყოველი კეთილად ღუთისმოყუარემან მეფემან, მაშინ სათნო იყო ღმერთმან კეთილი საქმჱ მისი და გამოუცხადა ჩუენებით შეყუენებულსა დიდსა ეფთჳმის მოდუაწესა, რომელი იყო მას ქამ'სა კაცი წმიდაჲ და ღმერთ შემოსილი და უწყოდა მან ყოველივე გულის სიტყუაჲ მეფისაჲ და მიუწერა ესრეთ მეფესა,

ვითარმედ: „ვიხილე მე ჩუენებით ცეცხლისა კუამლი საშინელი და მესმა კმაჲ, რომელი იტყოდა, ვითარმედ: „ესე არიან ცოდვანი ბას-ლი მეფისანი“, და მე ვთქუ, ვითარმედ: „ვინ შემძლებელ არს დაშრეტად ამისა?“ და კუალად მესმა კმაჲ, ვითარმედ: „ცრემლნი და კეთილისა საქმენი!“ და მუის მოიხუნეს კეთილისა საქმენი შენნი კაცთა ბრწყინვალეთა და შთაყარნეს ცეცხლსა მას შინა და იწყეს დაშრეტად დიდითა შრომითა; მაშინ ესმა კმაჲ, რომელნი იყვნეს საკმილსა მას ზედა, ვითარმედ: „მოიღეთ უცხოთა შეწუნარებაჲცა!“ და მოიღეს მცირჱ, ვითარცა მარცუალი იფქლისაჲ, და სჳეტაკი, ვითარცა თოვლი, და შთააგდეს

იგი მას შინა; მაშინდა იწყო კუამლმან მან და ცეცხლმან სრულიად განქარვებად. აწ უკუე, ჴ მეფე, ისწრაფე უცხოთა, და გლახაკთა, და, უმეტესადღა, მონაზონთა შეწყნარებად".

და ვითარცა წარიკითხა მეფემან წიგნი იგი დიდისა მის შეყენებულისაჲ, პირველად მისცა მადლი მოწყალესა 171.
ღმერთსა და მერმე მოუწოდა ეპარხოსსა მას თესალონიკელსა, რომელი გარდაედგინა ხარკისათჳს სამეუფოჲსა, რომელსა იგი მოეწერა პირველად მიცვალებაჲ წმიდისა ილარიონისი და სასწაულთა საქმჱ და მისცა მას უზეშთაესი პატივი და წარავლინა თესალონიკედ, რათა დიდითა პატივითა მოჰგუარნეს ნაწილნი ნეტარისა მამისა ილარიონისნი.

რამეთუ ჯერვე ესრეთ იყო წმიდისა ამისთჳს, რომელმან იგი სიჩჩოჲთგანვე თჳსით სულნი და კორცნი თჳსნი უბიწოდ განწმედილნი დამბადებელისა თჳსისა უნაგლულოდ შეწირნა და რათა ეგრეთვე სულით და კორცით მრჩობლ პატივცემულ იყოს; რამეთუ განრაჲვიდა საყოფლისა მისგან წმიდათა მათ კორცთა თჳსთაჲსა უხილავი იგი სული წმიდისაჲ მის, მეუსეულად უხილავსა მას ქალაქსა პირმშოთასა ზეცისა იერუსალემსა უხილავმან მეუფემან უოველთამან ადიუვანა და დიდებით დაამკჳდრა და გუალად შემდგომად მცირედისა, ვითარცა განეფინნეს დიდებულებანი ნიშთა ჴ საკჳრველებათა მისთანი, მეფემან ქუეყანისამან და ხილულმან ახალსა ამას იერუსალემსა და ხილულსა ქალაქსა სამეუფოსა ხილულნი იგი ნაწილნი მისნი სახიდველად ქალაქისა და ერისა დიდებით აღუვანებად ჯერ იჩინნა სასოდ და მეოხად სიმტკიცისა თჳსისა და მფარველად ქალაქისა და ერისა; და ესრეთ, მრჩობლ განუოფილი მარჩობლ პატივცემულ იქმნა მოსაგებლად სათნოებათა და ღუაწლთა მისთა. ხოლო ჩუენ პირველსავე

172. სიტყუასა აღვიდეთ. და მიწერა წიგნი სახლ ესე ვითარი თესალონიკედ დუთისმსახურმან მეფემან ბასილი, ვითარცა პირველ ვთქუთ:

„ბრძანებს მეფობაჲ ჩუენი თესალონიკელთა მიმართ, რათა სწრაფითა დიდითა და დიდებითა სამეუფოჲთა წარმოჰგზავნნეთ ნაწილნი წმიდისა ილარიონ ქართველისანი, თჳნიერ უოვლისა მიზეზისა და წინააღდგომისა, და ცოცხლებით იუვენით!“. და მიწერა თჳსითა კელითა წმიდისა მიმართცა ესრეთ:

„ბასილი, მეფჱ ცოდვილი, მონაჲ ცათა მეუფისაჲ, გევედრები, წმიდაო მამაო ილარიონ, აღმოვედ ქალაქად სამეუფოდ, დაღაცათუ არა ღირს ვიქმენ პირისპირ ხილვად შენდა, გარნა აწ ღირს მყავ ამბორის უოფად წმიდათა ნაწილთა შენთა, და იხაროს ქალაქმან ამან სამეუფომან შემთხუევითა მათითა, და მადლი შენი იყავნ ჩუენთანა ამინ“.

და ვითარცა მიიწინეს მივლინებულნი იგი და წარიკითხეს ბრძანებაჲ იგი სამეუფოჲ წინაშე უოვლისა ერისა, მაშინ, ვითარცა გულის კმა უვეს ძალი წიგნისაჲ მის, მეუსეულად იქმნა ამბოხი და შფოთი ქალაქსა მას შინა და შეიზრახნეს უოველნივე ერთბამად, რათა ქვაჲ დაჰკრიბონ სამეუფოთა მათ კაცთა, ხოლო მთავარმან ქალაქისამან ძლივ დააცხრო აღტეხაჲ იგი ერისაჲ მის და აღუთქუეს მივლინებულთა მათ, რათა არა უონ ესე ესრეთ, ხოლო ანთიპატრიკი იგი აღდგა და განვიდა გარემოჲს სოფლებსა და მოვლინებულთა მათ უბრძნა, რათა დამით აღიხუნენ ნაწილნი წმიდისანი უცნაურად ერისა; და მათ უვეს ეგრეთ და შთასხნეს ლუ'კუმასა მცირესა, ხოლო ლარნა-
173. კი იგი, რომელსა შინა ისხნეს წმიდანი იგი ნაწილნი, დაჰკრძალეს ეგრეთვე და წარვიდეს უცნაურად უოველთა.

ხოლო, ვითარცა განთენა, ცნეს ესე ყოველი მკჳდრთა ქალაქისათა და იწყეს მწუხარებად და ურვად განშორებისათჳს წმიდისა მის: რომელნიმე ლარნაკსა მას ცალიერსა მოეხუეოდეს, რომელნიმე ზღუად მიმართ ხედვიდეს და რეცა ჰგონებდეს წუთ არა წარსლვად მიერ, სხუანი, ვითარცა ცხოველსა, აბრალებდეს ჴ ეშჯოდეს დატევებისათჳს ქალაქისაჲ მის, ვინაჲთ იგი გარდაცვალებაჲ მისი იქმნა ჴ მისლვაჲ წინაშე ღუთისა და ესრეთ უნუგეშინის ცემოლთა მწუხარებათაგან აღვსებულნი ლარნაკად წმიდათა მათ ნაწილთა მისთა მივლტოდეს და ყოველსა ცხორებასა მათსა შეჰვედრებდეს და მიერ ნუგეშინის ცემასა მოიღებდეს.

ხოლო ვითარცა მიიწინეს ღუთივ დაცულსა მას სამეუფოსა ქალაქსა ნაწილნი იგინი წმიდისანი, ეუწყა ესე ღუთის მსახურსა და მორწმუნესა მეფესა. მაშინ უბრძანა პატრიაქსა ეპისკოპოსთა თანა და მღდელთა და დიაკონთა და ყოველთაგე მთავართა, და ერსა ქალაქისასა, რათა ყოველნივე ერთბამად გამოვიდენ მიგებებად წმიდისა მის. და განვიდა მეფჱ პატრიაქისათანა და ყოველისა ერისა, ვიდრე ზღჳს პირამდე გალობითა და ლიტანიითა, სიმრავლითა სანთელთაჲთა და საკუმეველთა სულნელებითა და წარიყვანეს იგი პალატად სამეუფოდ, ჴ დაუსუენა იგი 174.
მეფემან ეკუტერსა შინა პალატისა თჳსისასა და განიზრახვიდა გონებასა თჳსსა, თუ რომელსა ადგილსა აღუშენოს სანაწილჱ წმიდასა მას.

და ვითარცა მიიწია მესამჱ დამს, ვინაჲთგან მოიყვანეს წმიდაჲ იგი, ეძინა მეფესა სარეცელსა ზედა თჳსსა და, აჰა ესერა სული სულნელებისაჲ საკჳრველი განეფინა ყოველსა მას პალატსა შინა; და მეუსეულად განეღჳძა მეფესა ძილისაგან და ეუნოსა სულნელებაჲ მიუთჳრობელი და იგონებდა თჳსაგან, თუ რაჲმე არს ესჱ ანუ რომელთა საკუმეველთაგანი არს, და, ვითარ ვერ შეუძლო ცნობად, ჰკითხა საჭურისთა, რომელნი წვეს გარემოჲს მისსა, ვი-

თარმედ: „რაჲ არს სულნელებაჲ ესე?“ ხოლო მათ ჰქუეს, ვითარმედ: „ვფუცავთ მეფობასა თქუენსა, არა სადა გჯნილავს ესე ვითარი სულნელებაჲ“. და ცნა უოველმან პალატმან და ჰკითხვიდა მოუუასი მოუუასსა თჯსსა, ვითარმედ: „რომელთა სულნელებათაგანი არს?“ და ვერ შეუძლეს ცნობად.

ხოლო განგებითა ღუთისაჲთა კუალადცა მიერულა მეფესა და მეუსეულად გამოუჩნდა წმიდაჲ Ილარიონ, შემოსილი ზეწრითა სამდდელოჲთა და ჰქუა მას: „კეთილად ჰუავ შეწუნარ,ბაჲ ჩემი, ჯ მეფე, უცხოჲსა ამის და გლახაკისაჲ, გარნა სულნელებაჲ ესე, რომელ იუნოსე, არა მომიგიეს მე იგი ქალაქთა შინა, არამედ უდაბნოთა. აწ, უჯუეთუ გნებავს, რათა სრულებით მადლი გაქუნდეს, წარ-
175. მიუვანე მე უდაბნოსავე ადგილსა“.

და ვითარცა განიღჯძა მეფემან, აღდგა მეუსეულად და შეწირა მადლი წმიდისა მის, რომელმან გამოუცხადა ნებაჲ თჯსი, და მიუთხრა ესე უოველი, რომელნი მუოფ იუვნეს პალატსა შინა და აღდგეს უოველნივე ვიდრეცა განთენებადმდე გალობად წინაშე ლარნაკსა წმიდისსა.

ხოლო, ვითარცა განთენდა, მოუწოდა მეფემან პატრიაქსა და უოველთა მთავართა პალატისათა და აუწყა მათ სულნელებისა მისთჯს და ჩუენებისათჯს წმიდისა მის და ჰქუა ესრეთ: „უწუოდეთ, ვითარმედ უდაბნოსა ჰნებავს უოფაჲ წმიდასა“. და განიზრახა წარუვანებაჲ მისი მონასტერსა მას, რომელი აღეშენა მოწაფეთა მისთაჯს და მეუსეულად უოლიტანიაჲ და უბრძანა ახუმად ნაწილთა წმიდისათა და შეჯდა იგი ადრართა სამეუფოთა და წარემართა ზემოკსენებულსა მას მონასტერსა და შევიდა პირველად ეკლესიასა მთავარ ნგელოზისა მიქელისასა სუსთენს და შეიუვანნა ნაწილნიცა წმიდისანი, და ვითარცა იღოცა წინაშე დიდებულისა მის ძალთა მთავრისა, გამოვიდა მიერ და

აღმკედრდა სამეუფოთა ეტლთა და მივიდა ჰრომანად, რომელი იგი თჳთ აღეშენა მოწაფეთათჳს ამის წმიდისა-სათა, ვითარცა პირველ ვთქუთ; და ვითარცა შევიდა ეკ-ლესიად, თაყუანისცა პირველად ნაწილთა წმიდათა მო-ციქულთასა და მერმე ყო ლიტანიაჲ და ლოცვაჲ, და დაუსუენნა მითვე მცირითა ლარნაკითა ნაწილნი წმიდისა ილარიონისნი,

თუესა დეკემბერსა ზ-სა; ხოლო მოწაფეთა წმიდისა-თა, ვითარცა იხილნეს ნაწილნი მოძღურისა თჳსისანი, 176. ვითარცა შვილთა მამის მოყუარეთა და მრავალით ქამითგან სურვიელთა, იწყეს ცრემლით ამბორის ყოფად მათდა და კელითა აღპურობილითა ჰმადლობდეს ღმერთსა, სრულ მუოფელსა ყოველთა კეთილთასა; და მერმე ულოცეს ღუ-თის მოყუარესა მეფესა.

ხოლო მეფემან შეწირა: რაჲ თუე, იბ დრაჰკანი ეკლე-სიასა მას, რათა მარადის ენთებოდის ექუსი კანდელი ნა-წილთა ზედა წმიდათა მოციქულთასა, და კანდელი სამი წმიდისა ილარიონის ნაწილთა ზედა, და რათა პალატით სეფესკუერი ორი მოეცემოდის ყოველთა დღეთა, და მო-ნაზონთა სასამოსლედ მიეცემოდის პალატით ორი ლიტ-რაჲ ოქროჲ თუესა დეკემბერსა ზ-სა; და უწოდა სახელად თჳსი მონასტერი. მაშინ ღუთის მსახურმან მეფემან და პატ-რიაქმან თაყუანისცეს და ამბორს უყვეს ნაწილთა წმი-დისათა და მოიქცეს ქალაქადვე და ჰმადლობდეს ღმერთსა.

ხოლო ბასილი პროტო ასიკრიტმან და ფილოსო-ფოსმან და ღირსმან მონაზონმან აღწერა ცხორებაჲ წმი-დისაჲ ამის, ვითარცა ისწავა მოწაფეთაგან წმიდისათა, კაცთა უტყუველთა და ჭეშმარიტთა. არამედ ჩუენ ამის ყოვლისათჳს ვჰმადლობდეთ ღმერთსა, მოქმედსა საკჳრვე-ლებათასა, რომლისაჲ არს დიდებაჲ, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და ყოველთა საუკუნეთა უკუნით უკუნისამდე ამინ.

ლოცვა უავთ, ქრისტეს მოუუარენო, მამისა გრიგოლისთჳს, რამეთუ ამის წმიდისა ცხოვრებისა დასაწერელი ეტრატი მან მიბოძა. ქრისტემან შეაწიენ წმიდაჲ ესე მამაჲ.

და ლოცვა უავთ ჩემ უღირსისათჳსცა, რომელმან დავ-

177. ჩხრიკე.

Ⴇუესა მაისსა ႨႦ წმიდისა მამისა ჩუენისა Ⴄფთჳმესი ქართველისაჲ Ⴂანგებაჲ ესრეთ აღესრულენ*.

Ⴘემდგომად აკურთხევსისა თქუან ნეტარ არს კაცი; უფალო ღაღატყავსა თქუნენ აღდგომისნი და მერმე წმიდისნი. წარდგომაჲ ღღისაჲ. საკითხავნი ვითა სწერიან წმიდისა გრიგოლ ღუთისმეტყუელისასა. სტიქარონნი აღდგომისნი და წმიდისანი. უჴითად და ღმერთი უფალსა ზედა აღდგომისაჲ, დ̃ დიდებასა ზედა ღმერთო მამათა ჩუენთაო. ჴოლო სერობისაჲ ილოცონ სამარტჳლოსა წინაშე წმიდისსა, შეამკონ სამარტჳლოჲ წესისაებრ და აღანთნენ კერეონნი დიდნი აჴუსებისანი ოთხნი წინაშე სამარტჳლოსა და ეგრეთვე ზედა სამარტჳლოსა წურილნი სანთელნი რავდენნიცა იყვნენ, და დაწყებასა ლოცვისსა აღენთნენ წურილნი სანთელნი და გალობათა ზედა დიდნი კელაპტარნი დაენთებოდიან ვიდრე დასასრულადმდე ლოცვისა. ჴოლო გალობანი თქუნენ პირველად ღუთის მშობლისანი სასწაულთანი და ამასვე ზედა წმიდისნი და უფსკრულნი წმიდისნი. განრომასა ზედა წარდგომაჲ და კითხვაჲ სჯნაქსარისაგან. ღაღატყავსა ზედა წარდგომაჲ დ̃ აღასრულენ სერობისაჲ. ჴოლო ცისკრად შემდგომად დაწესებულთა თქუან ღმერთი უფალი და ზედა უჴითაჲ აღდგომისაჲ, დიდებასა ზედა ღმერთო მამათა ჩუენთაო. ჴოლო კანონი თქუან: ა ფსალმუნი, იხარებდით მართალნი უფლისაჲ; ფსალმუნი ბ, კეთილ არს აღსარებაჲ უფ-

*) ეს თავი დატეულია ერთს კაბადონზე და წვნიკი ნაწერი ფრიად ამომქრალა.

ლისაჲ; ჲ ფსალმუნი: ნეტარ არს კაცი, რომელსა ეშინის ჯუფლისა, და შეუდგინონ აქებდით ღმერთსა წმიდათა მორის; დიდებასა და აწდა მარადისსა დასდებელი წმიდისაჲ, წარდგომაჲ, ადდეგ მისაჲ, და იკითხონ წიგნი ცხონრებისაგან წმიდისა, და შემდგომად კითხვსა წმიდისა სახარებისაჲ განეფინა მადლი შა... დიდებული ადმორჩეული (?) ცხონრებით განწმედილი; სახარებაჲ იოანეს თავისაჲ, თქუა ჯუფალმან: მე ვარ კარი. თუესა (?) ოკდონბერსა ლ: და წარდგომაჲ(?) ბრძნისი(?) ვიხილეთ და მიწყალე და მოგუნი(?) წინასწარმეტყუელებისაებრ; პირველად ადდგომისაჲ კმაჲ დ, მერმე წმიდისანი ქართველთა(!) მეოხისაჲ (?) სათნო უაკთ(?) ხოლო წმიდისათანა დასდებელი გამარჯვებაჲ გძღუნა(?) ღმერთმან. ხოლო იოსი(?) ჲ კითხვაჲ, დალატუავსა ზედა გალობანი წმიდისაჲ აქებენ(?) ციერნი (?) ძალნი (?) მისნი, დიდებანსა, (?) ჲ აწ ჲ მარადისსა დიდება...მისთაჲ და წმიდაო ღმერთოჲ, და კუერექსი ზეგარდამოჲ, ჲ მოგუმადლენთაჲ, ჲ ადასრულონ ლოცვაჲ, სამხრად, ფსალმუნთა წილ, წმიდისა ადსარებაჲ, ჯუფალი სუფევს, მოდით, უგალობდეთ ჯუფალსა, წარდგომაჲ იხარებდით უოველნი, დასდებელი შენ წმიდაო; ეპისტოლე ებრაელთაჲ: ძმანო, დაემორჩილენით ღმერთსა,
178. მომნიჭებელსა...სახარებაჲ მარკოზისი, თავი მე ე...*)

---

*) ბოლო სტრიქონი მთლად გადალეულია.

ცხორებაჲ

და ქადაგებაჲ წმიდისა და ოვლად ქებულისა მოციქულისა და მახარებელისა Იოანე ღუთისმეტყუელისაჲ, აღწერილი პროხორეს მიერ, მოწაფისა მისისა, ერთისა შჯდთაგანისა, ძმისწულისა წმიდისა სტეფანე პირველ მოწამისა.

Თარგმნილი წმიდისა მამისა და განმანათლებელისა ჩუენისა, ახლისა ოქროპირისა, Ეფთჳმე მთაწმიდელისაჲ.

Გუაკურთხენ, მამაო!

Ესე კაცი, ღმერთ შემოსილი, უზეშთაესი ანგელოსთაჲცა, შეყუარებული ყოველთა მეუფისაჲ, განმანათლებელი დაბნელებულთა წარმართთაჲ, ნესტჳ კმა მაღალი ღუთის მეტყუელებისაჲ, ღირსქმნული ძედ წმიდისა ქალწულისა, დედისა ოჯოსლისა და ძმად ჭრისტესა, თანა ზიარი და თანა მზრახვალი დიდთა მათ და მიუწდომელთა საიდუმლოთაჲ,—მომიწოდს ჩუენ სიტყუად მისთა მათ საკჳრველებათა, რომლისა თჳსცა ჯერარს მოჴუაწებაჲ და თქუმაჲ ძალისაებრ; გარნა მისთა მათ დიდებულებათა კმა 179.
მაღალი ქადაგი არს თჳთ წმიდაჲ სახარებაჲ, რომელი გამოაჩინებს სუყუარულსა, რომელი აქუნდა ოჯოსლსა მისა მიმართ; ხოლო კეთილ არს, რათა მეცა ვთქუა მისთჳს, რაოდენი მიხილავს მის მიერ ქმნული საქმჱ, და ძალისაებრ ჩემისა აღვწერო, რომელი ესე პირველითგან შეუდეგ

მას; რამეთუ, დადაცათუ ვითარცა იგი თავადი იტყჳს მისსა მას სახარებასა შინა ქრისტესთჳს, ვითარმედ: „უკუეთუმცა ყოველნი მისნი საკჳრველებანი აღიწერნეს, არცამცა სოფელმან დაიტია აღწერილი წიგნები“,—ეგრეთვე მე ამის ნეტარისათჳს ვიტყჳ, ვითარმედ, უკუეთუმცა ყოველნი მის მიერ ქმნულნი სასწაულნი და ქადაგებულნი აღიწერნეს, უზომოდმცა და გარდარეული სიმრავლჱ აღწერილისა მის იქმნა; გარნა რომელსა უძლო აღწერად, არა უდებ ვიქმნა.

ესე უკუჱ, კმაჲ სიტყჳსა ღუთისა, მჯ ქუჱყნისაჲ, რომლისა კმაჲ ქადაგებისაჲ განკდა ყოველსა ქუეყანასა და
180. კიდეთა სოფლისათა სიტყუათა მისთა ძალი, იყო ნათესა ვით გალილეველი, რომლისა თჳს იტყოდეს ფარისეველნი და მწიგნობარნი, ვითარმედ: „გალილეაჲთ წინასწარმეტყუელი არა აღდგომილ არს“, რომლისაგან აღმოეცენა ესე ნერგი ღუთის მსახურებისაჲ და ნაყოფი სიმართლისაჲ; ხოლო კელოვნებით იყო მეთევზჱ, მამისა და ძმისა თჳსისა თანა; და სწავლაჲ მწიგნობრობისა და ფილოსოფოსობისა კაცობრივისაჲ არა ესწავა, გარნა სათნოებითა და სიწმიდითა და ღუთის მოყუარებითა შემკულ იყო სიჩჩოჲთ გან.

ჟინაჲთგან უკუჱ აჩრდილი იგი ძუელისა შჯულისაჲ განქარდებოდა და ჭეშმარიტებაჲ გამობრწყინდებოდა; რამეთუ არა უგულებელს ყო ღმერთმან კაცთა ნათესავი, არამედ ინება კსნაჲ ჩუენი ცოდვისაგან და სიკუდილისა, და განუშორებელად ღუთეებისაგან იქმნა ჩუენთჳს კაც, ყოვლითა მსგავს ჩუენდა თჳნიერ ცოდვისა, და საუდართა-
181. ცა მამისათა არაჲ დააკლდა, და ქუეყანასა ზედაცა იქცეოდა კაცთა შორის, და ჯერ იყო შეწუნარებაჲ მოწაფეთაჲ— ქადაგებად ღუთეებისა და განგებულებისა მისისაჲ.

მაშინ უკუჱ მოუწოდა პეტრეს და ანდრეას, და მოუწოდა ამასცა ნეტარსა, ძისა თჳსისა Იაკობის თანა, რო-

მელთაცა დაუტევეს მამაჲ მათი ნავსა შინა და შეუდგეს
ოჯუალსა. მიერითგან უკუჳ ისწავა მოძღურისა მის მიერ
და მეუფისა ყოველივე საიდუმლოჲ და სწავლაჲ ცხო-
რებისაჲ, და იქმნა მოწაფჱ მისსა საყუარელ, ქადაგ, ღუ-
თის მეტყუელ.

მთად აღვიდოდა რაჲ მეუფჱ ყოველთაჲ, მის თანა
აღვიდა, და იქმნა მხილველ ხილვათა უადრესთა ბუნებისა
და სიტყჳსა, რაჟამს გამოუჩნდა მათ ნათელი ძრისტეს 182.
დუთეებისაჲ, და კმაჲ ესმა მამისაჲ, რომელი ჰედ საყუარელად
უწოდდა; ესრეთ განათლდა საიდუმლოთა მათ ხილვითა
და სმენითა, და იქმნა სჲყუარელ ძრისტესა; ამისთჳსცა სე-
რობასა მას დიდსა ენება რაჲ ჰეტრეს, თავსა მას მოციქულ-
თასა, ცნობის, თუ ვინ არს, რომელსა საშინელისა მის
განცემისა ქმნაჲ ეგულებოდა, არა იკადრა თჳთ კითხვაჲ,
არამედ ამას ნეტარსა წამუყუნა კითხვად: რამეთუ იცო-
და სიყუარული, რომელ აქუნდა ოჯუალსა მისსა მიმართ.
და იხილე კადნიერებაჲ იგი, რომელი აქუნდა! რამეთუ
მიეყრდნა მკერდსა მას საშინელსა და შესაძრწუნებელსა
და დიდებულსა, და ესრეთ ჰკითხა, ვითარმედ: „ოჯუალო,
ვინ არს, რომელი მიგცემს შენ?“ რომლისათჳსცა აუწყა
მას ოჯუალმან მიცემითა მით შურისაჲთა.

ხოლო მირაჲ იყვანებდეს იჳსოჲს დაშჯად, თანა უვი-
დოდა იოანე, და მდდელთ მოძღურისა ეზოდ შევიდა,
რამეთუ მეცნიერ იყო მისა; ამისა შემდგომად მოიწია ქამი 183.
ვნებისა მის ცხოველს მყოფელისაჲ, და მეუფე ყოველთაჲ
დამსჯუალულ იყო ჯუარსა ზედა, და იოანე დედასა თანა
ოჯუალისსა დგა წინაშე ჯუარსა. მაშინ ჰემან მან და დამ-
ბადებელმან დედასა თჳსსა ჰქუა მოწაფისა მისთჳს საყუა-
რელისა, ვითარმედ: „აჰა ძჳ შენი!“ და ამას კუალად ჰქუა:
„აჰა დედაჲ შენი!“ და მიერითგან ქალწულმან მან კორცი-
თაცა და სულითა და გონებითა დედაჲ იგი ქალწული

მიით უალა და წარიყვანა თჳსთა თანა, და ჰმსახურებდა მას მოსწრაფებით.

ხოლო ადრაჲ დგა ოჯუალი საფლავით, ყოველთა უპირატესად მირბიოდა შეტრესთანა საფლავად: და იხილნა ტილონი იგი და სუდარი, და ამისა შემდგომად თავადიცა ოჯუალი; და იხილა რაჲ, თაყუანის სცა, და სულისა წმიდისა მადლი მიიღო, და სოფლისა მოციქულად იკურთხა
184. ქრისტეს მიერ ოჯუალისა; მერმე მჯდომარე იყო რაჲ სხუათა მოციქულთა თანა ქორსა მას ზედა, სული წმიდაჲ მიიღო და ცეცხლისა ენითა იტყოდა თითო სახეთა მათ ენათა, და ესრეთ მიმო დასდებდა სიტყუასა მას ცხორებისასა.

ხოლო შემდგომად ამისა ინება განსლვაჲ წარმართთა მიმართ ქადაგებად და განათლებად დაბნელებულთა; ამისთჳს განვიდა ჴურიასტანით და წარმიყვანა მე მის თანა, რამეთუ პირველითგან მისთანა ვიყავ.

გამოვედით უკუჱ იერუსალემით და შთავედით იოპედ და მუნ დავადგერით სამ დღჱ ტაბითას თანა, და მიერ შევსხედით ნავსა, მოვიდეთ ლიდას, რომელი წარვიდოდა დასავალისა კერძოთა, და მივიწიენით ასიას; და მრქუა მე მოციქულმან ქრისტესმან იოანე: „შვილო პროხორე, მოვედ, შევიდეთ ეფესოდ, რამეთუ მუნ მიბრძანა სულმან წმიდამან შესლვად და ქადაგებად“. და შევედით ეფესოდ, და
185. დავუყავთ მუნ მცირედ დღჱ, და მრქუა მე წმიდამან მოციქულმან იოანე: „შვილო პროხორე, მცირედთა დღეთა უჩინოდ ვიყვნეთ, ვიდრემდის ოჯუალმან გამოგუაცხადნეს ჩუენ“; და შემდგომად მცირედთა დღეთა მივედით ბჭეთა თანა ქალაქისათა, ადგილსა, რომელსა ეწოდების „ადგილი არტემისაჲ“.

და იყო მუნ აბანოჲ დიოსკორიდაჲსი, წინამძღურისა მის ქალაქისა, და შენებასა მისსა ქმნილ იყო საქმე საეშმაკოჲ, რამეთუ კმიანობისა თჳს და სიმაგრისა კამარასა შინა მისსა ურმაჲ ვინმე დაეკრძალა ქვითა, და მიერითგან

მათ დღეთა ეშმაკი აბანოთა მათ შინა ჭაბუკსა ერთსა ანუ ქალსა მოაშთობდა.

ხოლო დიოსკორიდე, ოჯფალმან მის აბანოსამან, იცოდნა დღენი იგი, და ესუა ძე შუენიერი, ვითარ ათურამეტისა წლისაჲ, სახელით დომნოს, და აკრძალებდა მათ დღეთა და თჳთცა ეკრძალებოდა მუნ მისლვად; ხოლო მაშინ შემოვიდა ურმაჲ იგი აბანოსა მას, რამეთუ არა ჰგონებდა მამაჲ მისი, თუ მას დღესამცა წაეკიდა რაჲმე; ხოლო, შერაჲ ვიდა აბანოდ, უშურა მას ეშმაკმან და მოაშთო, და ესე რაჲ იქმნა, ივლტოდეს მიერ მონანი მისნი, და გამოვიდეს ტირილით და გოდებით; და შეკრბა მუნ ერი მრავალი, და იქმნა მუნ გლოვაჲ დიდი; მაშინ მიეახლა Იოანე მას ადგილსა და ჰკითხვიდა ვიეთმე, თუ რაჲ არს გოდებაჲ ესე? ხოლო მათ ჰრქუეს, ვითარმედ: ,,სული უკეთური დამკვდრებულ არს აბანოსა ამას შინა და, რაჲ წელ, მოაშთობს ჭაბუკსა ერთსა, და აწ მოაშთო დომნოს, ძჲ დიოსკორიდესი, წინამძღურისა ამის ქალაქისა.'' 186.

ხოლო ესე რაჲ ესმა Იოანეს, შევიდა აბანოსა მას და შეჰრისხნა სულსა მას უკეთურსა და განდევნა მიერ, და უშურა კელი ურმისაჲ მის და აღადგინა იგი, და შეუვრდეს ყოველნი და ეტყოდეს მას: ,,გევედრებით, გჯთხარ ჩუენ, ვინა ხარ შენ? დმერთი ხარ ანუ ძჲ დუთისაჲ?'' ხოლო Იოანე მიუგო და ჰქუა მათ: ,,მე, კაცნო, მონაჲ ვარ Იჯსო ჳრისტესი, ძისა დუთისა ცხოველისა, და არცა დმერთი ვარ, არცა ძჲ დუთისაჲ, არამედ მონაჲ მისი, და მოსრულ ვარ ქადაგებად სახელისა მისისა''. 187.

ხოლო Დიოსკორიდეს, მამასა დომნაჲსსა, ესმა რაჲ სიკუდილი ძისა მისისაჲ, მწუხარებისაგან მისისა დაეცა და მოკუდა; ხოლო მირაჲ ვიდა ერთი მონათა მისთაგანი ხარებად მისდა აჲდგომასა ძისა მისისასა, პოვა იგი მომკუდარი და მოიქცა ტირილით დომნაჲს მიმართ და უთხრა მას სიკუდილი მამისა მისისაჲ; ხოლო იგი წარვიდა და

იხილა მამაჲ მისი მომგუდარი; და მოიქცა გოდებით იოანესსა და ევედრებოდა მას: შეუვრდა ფერჳთა მისთა და ეტყოდა: ,,კაცო ღუთისაო, გევედრები, ვითარცა მე მომგუდარი აღმადგინე, აღადგინე მამაჲცა ჩემი ჩემთჳს მომგუდარი; თუ არა, უმჯობეს იყო ჩემდა სიკუდილსა შინა ყოფაჲ,
188. ვიდრე ხილვაჲ სიკუდილისა მამისა ჩემისაჲ''. ხოლო წმიდამან მოციქულმან აღადგინა იგი და ჰრქუა: ,,ნუ მწუხარე ხარ, შვილო, რამეთუ სიკუდილი მამისა შენისაჲ ცხოვრებისა მომატჳებელ ექმნას მასცა და შენცა''. და წარვიდა მისთანა და ერი მრავალი შეუდგა მას; და მირაჲ ვედით სადა იყო დიოსკორიდე მდებარჱ, ილოცა იოანე და უჱურა კელსა მისსა და ჰრქუა: ,,სახელითა იჳსო ქრისტჱს, ძისა ღუთისაჲთა, აღდეგ?'' და მეყსეულად აღდგა; და ყოველნი განკჳრვებულ იყვნეს, და რომელნიმე იტყოდეს, ვითარმედ: „დმერთი არს", სხუანი იტყოდეს, ვითარმედ: „მოგჳ არს".

ხოლო დიოსკორიდე, იხილა რაჲ საკჳრველებაჲ დიდი, ჰრქუა მოციქულსა: „შენ ხარ, კაცო ღუთისაო, რომელმან ძეცა ჩემი ცხოველ ჰყავ და მეცა?" ხოლო იოანე ჰრქუა მას: „იჳსო ქრისტე არს ძჱ ღუთისაჲ, რომელსა მე ვქადაგებ, რომელმან მოგცა თქუენ ორთავე ცხორებაჲ, და უკუეთუ გრწმენეს მისი, საუკუნესაცა ცხორებასა დირს იქმნეთ".
189. დიოსკორიდე შეუვრდა ფერჳთა იოანესთა და ჰრქუა: „აჰა ესე რა მე და ძჱ ჩემი და ყოველი ესე ფრიადი მონაგები ჩემი კელთა შენთა არს, მიიღე ესე ყოველი და გუყვენ ჩუენ ღუთისა შენისა მონა". მიუგო იოანე და ჰრქუა: „მე არა რაჲ ამათგანი მეკმარების, არცა ღმერთსა ჩემსა, რამეთუ ჩუენ ყოველივე დაუტევეთ და ეგრე შეუდეგით მას". დიოსკორიდე თქუა:, „და სადა შეუდეგით მას?" ჰრქუა მას იოანე: „ისმინე, დიოსკორიდე, საიდუმლოჲ ღუთისაჲ:

,,სახიერმან და კაცთმოუუარემან ღმერთმან, იხილა რაჲ კაცთა ნათესავი შეჴურობილი ბოროტითა საცთურითა დამონებითა ეშმაკთაჲთა, და დანთქმული უგულისხმოებითა,

შეიწუალნა თჳსნი დაბადებულნი და მოავლინა ძჲ თჳსი
სოფლად და განკორციელდა იგი სულისაგან წმიდისა და
მარიამისაგან ქალწულისა, და სათნო იყო კორცთა ბუნე-
ბითა ადზრდაჲ ჲ უოფაჲ, ვითარცა კაცმან, და მოგჳწოდა 190.
ჩუენ ათორმეტთა მოწაფეთა, რომელთაცა დაუტევეთ უო-
ველი და შეუდეგით მას; და ვხედევდით საკჳრველებათა
მისთა: რამეთუ ჰკურნებდა უოველსა სენსა და უოველსა
ცისად ცისად გუემულებასა; ხოლო წინამძღუარნი ჰურიათა-
ნი შეიწუნეს შურითა ბოროტითა და დასაჯეს იგი ჯუა-
რითა; ხოლო მან ივნო კორცითა ნეფსით, და მოკუდა
ჩუენთჳს, და შემუსრა ჯოჯოხეთი, და განათავისუფლნა
მუნ შეყენებულნი სულნი, და აღდგა მესამესა დღესა ღუ-
თივ შუენიერად, და გამოგჳჩნდა ჩუენ ათორმეტთა მოცი-
ქულთა, და ჭამა ჩუენ თანა და სუა, და გჳბრძანა ჩუენ
წარსლვად უოველსა სოფელსა—ქადაგებად და ნათლისცე-
მად უოველთა სახელითა, მამისაჲთა და ძისაჲთა, და სულისა
წმიდისაჲთა; რომელსაცა უკუე ჰრწმენეს და ნათელ იღოს,
ცხონდეს, ხოლო რომელი ურწმუნო იქმნას, დაისაჯოს".

მიუგო პიოსკორიდე და ჰქუა მას: „გაცო ფუთისო, ნა- 191.
თელ გუეც ჩუენ სახელსა ზედა ღუთისა შენისასა". ჰქუა მას
იოანე: „განავლინე უოველნი სახლისაგან შენისა?" და ვითარ-
ცა ესე იქმნა, მოიღო წუალი ჲ ნათელსცა პიოსკორიდეს და
ძესა მისსა პომნოსს; და მოიღო ჳური, აკურთხა, და აზიარა
მათ ქრისტეს წმიდაჲ საიდუმლოჲ; და შევედით სახლად
და დაგჳგო პიოსკორიდე ტაბლაჲ; და მოვიდეთ საზრდე-
ლი და ვჰმადლობდით ღმერთსა. და დავადგერით მიერით-
გან სახლსა პიოსკორიდესსა, და მიერ ვქადაგებდით სი-
ტჳასა ღუთისასა.

ერთსა უკუე დღესა იყო დღესასწაული მთესოს არ-
ტემი კერპისათჳს, და უოველნი სჳეტაკითა მოსილ იყვნეს;
ხოლო იოანე შეიმოსა კუართი შავი და ძუელული, და
დადგა ადგილსა მაღალსა, სადა იყო კერპი არტემისი;

ხოლო, იხილეს რაჲ იგი ერთა, ადივსნეს გულის წყრო-
192. მითა და ადიდეს ქვები, რათამცა დაჰკრიბეს მას; ესროდეს უკუჱ ქვებითა მით, ხოლო ძალი ღ უთისაჲ ჰფარვიდა მას, და ვერ შეეხო მას ერთიცა, არამედ ყოველი კერშსა მას ეცემოდა, ვიდრემდის შეიმუსრა.

მაშინ Იოანე ჰქუა მათ კმითა მაღლითა: „კაცნო ეფესელნო! რაჲსათვის შეცთომილ ხართ საცთურსა შინა არა წმიდათა კერშთასა და დაგიტევებიეს ყოველთა დაბადებულთა შემოქმედი და მეუფჱ დმერთი, რომელმან დაგბადნა თქუენ, და სულსა შირმეტყუელსა დირს გყვნა, ხოლო თქუენ დაემორჩილენით ეშმაკთა ნიბასა, რომელთა უხარის წარწყმედაჲ თქუენი; განიფრთხვეთ უკუჱ ბოროტისა მაგის მორვალობისაგან, და სიბნელჱ უგულისკმოებისაჲ განიშორეთ თქუენგან, და განეყენენით ამაოჲსა მაგის ეშმაკთა მონებისაგან და მამულისა ცთომილებისა, და იცანთ ჭეშმარიტი დმერთი, რომლისა მიერ მოგეცეს შენდობაჲ ცოდვა-
193. თაჲ და ცხორებაჲ საუკუნოჲ“.

ხოლო რათა გრწმენეს, ვითარმედ ამაო არიან დმერთნი თქუენნი, აჰა ესე რა, კერში თქუენი შეიმუსრა ქვათა მაგათ მიერ, რომლითა მესრით(?) მე; აწ შეეწიენით მაგას, რათა აღდგეს და იქმნას, ვითარცა შირველ იყო, ანუ თუ, ილოცეთ, რათა მტანჯოს მე, და აჩუენოს ძალი მისი, რათა ვიხილო!“ ხოლო იგინი კუალად გულისწყრომით ესროდეს მას ქვითა, და ვერცა ერთი ქვაჲ შეეხებოდა მას, არამედ ცუდად შურებოდეს და განიხერხებოდეს გულისწყრომითა და დაიშებდეს სამოსელთა მათთა.

ხოლო Იოანე, იხილნა რაჲ ესრეთ ეშმაკისა მიერ აღბორგებულნი, ჰრქუა მათ: „დასწუნარდით, კაცნო ეფესელნო, რასა ჰბორგთ? რამეთუ საქმენი ეგე, რომელთა თქუენ იქმნთ, არა არს შირმეტყუელისა ბუნებისა საქმე; გულისკმა-
194. უავთ და იხილეთ დ უთისა ჩემისა ძალი?“ და მიიქცა აღმოსავალით, აღიშურნა კელნი თჳსნი დ უთისა ზეცად, სულთითქუ-

ნა და თქუა: „ოჳფალო იჳსო ქრისტე, ძალითა შენითა მიუწდომელითა დაარწმუნე ამათ კაცთა, ვითარმედ შენ ხარ ღმერთი მხოლოჲ და გარეშე შენსა სხუაჲ არა არს“. და სიტყუასა ამას ზედა ძრვაჲ იქმნა დიდი და დუღილი ქუეყნისაჲ და დაეცნეს სიმრავლისა მისგან ორასი კაცი და მოკუდეს, და სხუათა მათ ზედა დაეცა შიში დიდი და დაჴუეს ქუეყანასა ზედა, და ევედრებოდეს Იოანეს, რათა ყოს მათ ზედა წყალობაჲ: რამეთუ ქუეყანაჲ იგი ირყეოდა. ხოლო კუალად Იოანე ილოცა და დადგა ძრვაჲ იგი. მაშინ ყოველნი შემინდეს და ევედრებოდეს მოციქულსა და ეტყოდეს: „აწ გურწამს, რამეთუ ჭეშმარიტისა მეტუელ ხარ, გევედრებით უგუს, აღადგინენ ესენიცა, რომელ მოსწყდეს, რათა გურწმენეს შენ მიერ ქადაგებული ღმერთი“. 195.

ხოლო Იოანე აღიხილნა ზეცას, ევედრებოდა ღმერთსა და თქუა: „რომელი ეგე სამარადისოჲ ღმერთი ხარ, სამარადისოჲსა მამისა თანა, ოჳფალო Იჳსო ქრისტე ძეო ღუთისაო, რომელი გამოჩჩინდი ცხორებისათჳს კაცთაჲსა და შეგჳნდვენ ჩუენ, რომელთა შენდა გურწმენა, ყოველნი შეცოდებანი ჩუენნი, შეუნდვენ ამათცა მომწყდართა და აღადგინენ ყოვლად ძლიერითა კელითა შენითა და განახუენ გულნი მათნი შენისა ჭეშმარიტებისა ცნობად, და მომეც მეცა მონასა ძალი კადნიერებით ქადაგებად სიტყუასა შენსა“. და ესე რაჲ თქუა Იოანე, კუალად ძრვაჲ იქმნა დიდი და აღდგეს მომკუდარნი იგი და შეუვრდეს ფერეთა Იოანესთა და ევედრებოდეს მას, რათა ღირსიყვნეს იგინი სალმრთოსა მას ცხორებასა. ხოლო წმიდამან მოციქულმან Იოანე ასწავა მათ მუუვარ ქამ სიტყუაჲ ჭეშმარიტებისაჲ და ნათელსცა ყოველთა და შემიყვანნა ჩუენ Დიოსკორიდე სახლსა თჳსსა და დამიგო ტაბლაჲ, და ვი- 196.
ხარებდით ცხორებისათჳს ძმათაჲსა.

და ამისა შემდგომად გამოვედით სწავლად ერისა, ადგილსა, რომელსა ეწოდების „ჰედი ქალაქისაჲ“, და ვჳო-

ვეთ მუნგან რღუეული, რომელსაცა აქუნდა უძლურებასა მას შინა ათორმეტი წელი; და ვითარცა იხილა Იოანე, ჰმა ყო: ,,შემიწყალეს, მოწაფეო ღუთისაო!'' ხოლო Იოანე მიხედნა მას და ჰქუა მას: „სახელითა Იჴსო ქრისტესითა აღდეკ უძლურებისაგან შენისა!“ და მეყსეულად აღდგა და ჰმადლობდა ღმერთსა, და ნათელ იდო სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა.

ხოლო ვითარცა სხუანიცა სასწაულნი იქმნებოდეს Იოანეს მიერ და სახელი მისი ყოველსა ადგილსა განითქუა, იხილა ესე ეშმაკმან, რომელი იყოფების Არტემის ბომონსა შინა, ვიხარმედ ყოველნი Იოანესსა მივიდოდეს, შეეშინა სრულიადისა მისისა მოკრებისაგან, შეიმოსა უც-
197. ნებით სახეს მკედართაჲ და დაჴდა ადგილსა ერთსა ქალ ქისასა და ტიროდა; ხოლო წარჰვლიდეს ორნი მკედარნი და იცნეს სახჱ მისი, ვითარმედ მხედარი არს, და შეეწუა(?) იგი მათ და მიეახლნეს და ჰკითხეს, თუ რომლისა მიზეზისათჳს არს გოდებაჲ მისი.

ხოლო ეშმაკი იგი არა რას მიუგებდა; ხოლო იგინი ევედრებოდეს და ეტყოდეს: ,,გჳთხარ ჩუენ მიზეზი გოდებისა შენისაჲ და მოსწრაფებით შეგეწივნეთ შენ''. ხოლო ეშმაკმან მან მიუგო და ჰქუა: „მეფუცენით მე ძალსა დიდისა Არტემისსა, რათა შემეწივნეთ მე ყოვლითა ძალითა თქუენითა და გითხრა თქუენ ყოველი ჭირი ჩემი, რამეთუ ბოროტსა შინა დიდსა ვარ“. და უჩუენა ოქროჲცა ფრიადი და ჰქუა: „ესე ყოველი თქუენ მიგცე, უკუეთუ ჰყოთ ჩემ ზედა, უცხოსა ამას, წყალობაჲ“. ხოლო იგინი ეფუცნეს, რათა შეეწინენ და, ვითარცა თჳსი, იზრუნონ საქმე მისი.

მაშინ ტირილით ჰქუა მათ, ვითარმედ: „მე ვარ კასა-
198. რიით პალესტინისაჲთ მკედარი სამშჳავროჲსა, და მერწმუნეს ორნი მოგუნი კელოანნი იპრუსალიმელნი სამარხვოდ, Იოანე და Პროხორე სახელით, ხოლო წარმოადგინნეს რაჲ იგინი სამშჳავროჲსა, იპოვნეს მათ ზედა ურიცხუნი

ბოროტნი; ხოლო მთავარმან მან, იხილა რაჲ სიმრავლჱ ბოროტთაჲ მათ, ბრძანა საპყრობილესა დამარხვაჲ მათი ვიდრე მეორედ ბჭობადმდე; ხოლო მივითუალენ რაჲ იგინი და შევაყენნენ საპყრობილესა, გრძნებისა მათისა კელოვნებითა განმერნეს კელთაგან ჩემთა; ხოლო მესაპყრობილეთ უხუცესმან ყო ჩემთანა წყალობაჲ და მრქუა მე: „წარვედ, უბადრუკო, და სდევდი მათ, და უკუეთუ არა ჰპოვნე, ნუცადა შენ მოიქცევი აქა, თუარა ბოროტად მოჰკუდე, რამეთუ ვიცი მე გულისწყრომაჲ მთავრისაჲ“.

„ხოლო მე აღვიღე ესე საფასე და წარმოვედ, და დაუტევე სახლი, შვილნი და ცოლი ჩემი; ხოლო მესმა მრავალთაგან, ვითარმედ ამას ქალაქსა არიან და ამისთჳს მოვედ აქა; არამედ, გევედრები, შეიწყალეთ უცხოებაჲ ჩემი“. 199.

ჰრქუეს მას მკედართა მათ: „ნუ ჰგოდებ, ძმაო, რამეთუ კაცნი იგი აქა არიან.“ ჰქუა მათ ეშმაკმან: „მეშინის, ნუ უკუღ კუალად გრძნებისა მათისა კელოვნებითა გამოგერნენ! არამედ ესე უავთ, ჯ მეგობარნო, შეაყენნით იგინი სახლსა ერთსა, რათა ვერვინ ცნას და მოკლენით და მიიღეთ საფასე ესე, რომელ მაქუს“. ჰქუეს მას მკედართა მათ: „უფროჲსად უმჯობეს არს, რათა შევიპყრნეთ იგინი, თუარა, უკუეთუ მოვკლნეთ, შენ ვითარდა მიიქცე ქალაქად შენდა?“.

ჰრქუა მათ ეშმაკმან: „ოდენ მოკლენით იგინი, საყუარელნო, და არდარა მნებავს მამულისა ჩემისა ხილვაჲ“. ხოლო მათ აღუთქუეს ამისი კმნაჲ და აღებად მისგან უცნებით გამოჩინებულისა მის საფასისაჲ.

ხოლო იოანე ცნა ესე ყოველი სულითა და მრქუა მე: „შვილო პროხორე, უწყებაჲ შენი მნებავს, რათა განჰმზადო თავი შენი განსაცდელად, რამეთუ შფოთი აღუძრავს ჩუენ ზედა ეშმაკსა მას, რომელი დამკვდრებულ არს არტემის ბომონსა და აღუდგენიან ჩუენ ზედა ორნი მკე- 200.

დირნი; ხოლო უკუფალმან იკსო მაუწუა ესე და უოველი, რავდენ ჰქუა ეშმაკმან მკედართა მათ''.

და შემდგომად მცირედისა ქამისა მოვიდეს მკედარნი იგი და შემიშურნეს ჩუენ და არა იყო დიოსკორიდე ჩუენ თანა; ხოლო იოანე ჰრქუა მათ: „რომლისა მიზეზისათჳს იქმთ შეშურობასა ჩუენსა?“ ხოლო მათ ჰქუეს: გრძნებისათჳს თქუენისა!“ ჰქუა მათ იოანე: „და ვინ არს შემასმენელი ჩუენი?“ ჰრქუეს მას მკედართა მათ: „წარმოვედით წუთ ერთ საშურობილედ და იხილოთ შემასმენელიცა!“ ჰქუა მათ იოანე: „ვერ ძალგიც იძულებაჲ ჩუენი, არა თუ წინაშე პირსა ჩუენსა მოვიდეს შემასმენელი იგი ჩუენი!“ ხოლო იგინი
201. სცემდეს იოანეს, და იძულებით მიგჳვანნეს არა საშურობილესა მას დიდსა ქალაქისსა, არამედ სახლსა ერთსა, რათამცა მოგუკლნეს სიტჳსაებრ ეშმაკისა.

ესმა ესე დიოსკორიდეს და მეუსეულად სრბით მოვიდა და განგჳტევნა ჩუენ და სიტჳთა ფიცხლითა გინებისაჲთა წარიოტნა იგინი და ეტუოდა, ვითარმედ: „ვითარ იკადრეთ კაცთა უბრალოთა თჳნიერ შემასმენელისა და მოწამეთაჲსა შეშურობაჲ და არა ცხადსა ადგილსა, არამედ ფარულსა მიუვანებად! რათამცა რაჲცა გენება, და ჰუავთ! აჰა ესერა კაცნი ესე ჩემ თანა არიან, უკუეთუ რაჲმე ვის ჰნებავს მათი, მოვედინ და იტჳოდენ!“ ხოლო მკედარნი იგი მივიდეს ადგილსა მას, სადა იგი ჯდა ეშმაკი იგი სახითა მკედრისაჲთა, და ვერ პოვეს და დიდსა მწუხარებასა შთაცჳვეს, და იტჳოდეს, ვითარმედ: „უკუეთუ შემასმენელი არა იპოოს,
202. ჩუენ ცილის მწამებელად შევირაცხნეთ დიოსკორიდეს მიერ, და მრავალი ჭირი მოაწიოს ჩუენ ზედა, რამეთუ ფრიადი ძალიცა აქუს და სიფიცხეცა''.

ხოლო ვითარცა ფრიად ეძებდეს, მოვიდა ეშმაკი იგი მითვე ხატითა, და მიუთხრეს მას მკედართა მათ რაჲ იგი ექმნა, და ვითარმედ სახლსა დიოსკორიდესსა არიანო და აწ უკუეთუ მოხჳდე ჩუენ თანა, შევიშურნეთ იგინი''. ხოლო

იგი შეუდგა მათ გოდებით და აქუნდეს ქარტანი უცნებისანი, ვითარცა მთავრისა მიერ დასამჯელნი ჩუენნი. ხოლო შეკრბა ერი ფრიადი და უოველთა უთხრობდა ეშმაკი, რაჲ მკედართადა ეთხრა, და ეწამებოდეს მას მკედარნიცა იგი; და ადივსნეს ერნი იგი გულისწურომითა და მიჰმართეს სრბით სახლად Დიოსკორიდესად, კმობდეს და ამბოხებდეს, და განახუნეს ბჭენი და იტუოდეს: ,,ანუ მოგუნი ეგე მოგუცენ, თუარა შენცა დ› სახლსა შენსა დავსწუავთ ცეცხლითა,

„რამეთუ შენ თავი ხარ ქალაქისა ჩუენისაჲ და არა 203.
ჯერ არს შენდა ესე ვითართა ბოროტთა კაცთა კელის აშურობაჲ“.

ხოლო Იოანე, იხილა რაჲ შფოთი იგი სიმრავლისაჲ მის, ჰქუა Დიოსკორიდეს: „ჩუენ, ძმანო, გჯსწავიეს, რათა არცა საფასეთა ვჰრიდოთ, არცა თავთა ჩუენთა, არამედ რათა მარადდს ჯუარი გუეტჯრთოს და ქრისტეს შეუდგეთ“. მიუგო მას Დიოსკორიდე და ჰქუა: ,,აჰა ესერა არს სახლი ჩემი, დაიწუენ ცეცხლითა, და მე და ძჯ ჩემი ცეცხლითა დამწუარ ვიქმნეთ, ოდენ ძრისტესა მივემთხჯნეთ“.

ჰრქუა მას Იოანე: „არცა შენ, არცა ძჲ შენი, არცა სხუაჲ რაჲ შენთაგანი წარწუმდეს, არამედ ჩუენ მიგუცენ ამათ კაცთა“. ხოლო Დიოსკორიდეს არა ენება ესე, არამედ Იოანე ჰრქუა: „შფოთი ესე ამის ერისაჲ უმეტესთა მათგანთა ცხორებად მოიუვანებს, განგჯუვანენ ჩუენ უკუჲ მათა მიმართ და თქუენ დასხედით სახლსა შინა თქუენსა და იხილოთ დიდებაჲ ღუთისაჲ“.

ხოლო გარდამოგჯუანნა და მიგუცნა კელთა მათთა; ჲ შეგჯურნეს და მიგჯუანებდეს მთავრისა. ხოლო ვითარცა წარჰვლიდით ტაძარსა თანა Არტემისსა, ჰკითხვიდა Იო- 204.
ანე, თუ: ,,ვისი არს დიდი ესე ტაძარი?“ და უთხრეს, ვითარმედ: ,,Არტემისი“. ხოლო Იოანე ევედრა, რათა მცირედ დადგენ მას ადგილსა.

და აღიშურნა ზეცად კელნი და ევედრებოდა ღმერთსა სულთქუმითა უსიტყუელითა, რათა და ეცეს ტაძარი იგი და კაცსა არცა ერთსა ევნოს; და მეუსეულად დაეცა ტაძარი იგი დიდი და კაცსა არცა ერთსა ევნო.

მაშინ ჰრქუა იოანე ეშმაკსა მას, რომელი მუნ დამკჳდრებულ იყო: „შენ გეტყჳ, სულო არა წმიდაო, რომელი მკჳდრ ხარ მაგას ტაძარსა შინა!“ ხოლო მან თქუა: „რაჲ არს?“ ჰქუა მას მოციქულმან ჯოფლისამან: „რაოდენი წელი გაქუს ამას ადგილსა, თქუ? და უკუეთუ შენ აღსძრენ მკედარნი ესე ჩუენ ზედა, ადიარე?“ და ეშმაკმან კმა უო და თქუა: „ამას ადგილსა მაქუს ორას ორმეოცდა ცხრაჲ წელი“.

ჰქუა მას იოანე: „გამცნებ შენ სახელითა იჳსო ქრისტეს
205. ძისა ღუთისაჲთა, რათა არდა რა იშოო ამას ქალაქსა შინა?“ და განვიდა იგი მეუსეულად ქალაქისაგან. და შეიშურნა უოველნი განკჳრვებამან, და მრავალთა ჰრწმენა ჯოფალი, რაოდენნიცა იუვნეს ნაწილსა მას ცხორებისასა; ხოლო სხუათა მათ შეგვშურნეს ჩუენ და მიგჳყვანნეს ანთჳპატისა, და აქუნდა შემწედ მარეონ ვინმე ჰურიაჲ, რომელი დაამტკიცებდა, ვითარმედ მოგუნი არიანო: „რამეთუ კესარიით მკედარი მოვიდა, რომელსა აქუს წერილიცა მთავრისაჲ, საშჯელი გრძნებისა მათისაჲ“. ხოლო შევიუენენით რაჲ საუროპილესა, ბრძანა მთავარმან ძიებაჲ შემასმენელისაჲ მის.

და ეძიებდეს მას სამ დღე ქადაგითა ქალაქსა შინა; და მოუწოდეს გამოჩინებულსა მას მკედარსა და არა იშოვა, რამეთუ მოციქულმან წარდევნა იგი.

მაშინ ჰრქუა მთავარმან, ვითარმედ: „მე კაცთა უცხოთა, რომელთა შემასმენელი არა იშოების და წერილი არა არს მთავირისა, ვის ტანჯვად არა თავს ვიდებ, ანუ დილეგსა შინა დამჭირვად“. და მოავლინა, და განგჳტევნა ჩუენ. ხო-
206. ლო ურიცხუნი სასწაულნი იქმნებოდეს კელითა იოანე-

სითა, და ურიცხუსა სიმრავლესა ჰრწმენა ოჳფალი, და შეურაცხუვეს კერპთა საცთური.

ხოლო მათ ქამთა შინა მეფობდა დომენტიანოს, ძჳრ უესპასიანესი, რომელი შემდგომად ტიტესსა და ჯდომილ იყო მეფედ, და ვინაჲთგან განმრავლდეს ჭურიანი ჰრომს შინა, ინება მათი მიერ განდევნაჲ; მაშინ შეკრბეს ურიანი და მისცეს მას წიგნი, რომელსა შინა წერილ იყო ესრეთ:

„დომენტიანე კეისარო და მეფეო ყოვლისა ქუეყნისაო! რავდენნიცა ჭურიანი ვართ, გევედრებით შენ და შეუვრდებით ძლიერებასა შენსა, რათა არა განგუასხნე წმიდისა და კაცთმოუუარისა შირისა შენისაგან, რამეთუ ვჭმორჩილობთ წესთა და რჩულთა შენთა და ბრძანებათა, და თანა მოქალაქენი ვართ ჰრომთანი, და არა რას ვის ვავნებთ, 207.

„არამედ სხუაჲ არს ახალი და უცხოჲ ნათესავი, რომელი არცა თქუენსა რჩულსა შემოდგომილ არს, არცა ჭურიათასა,—ნათესავი წინა დაუცუეთელი და უშჯულოჲ, რომელთა სახელიცა უცხოჲ ეწოდების,—ქრისტჱანე, რომელნი კაცსა ღუთად ქადაგებენ და შეურაცხჰყოფენ შჯულსა ღუთისა მიერ მოცემულსა. ხოლო ძედ ღუთისა ქადაგებენ კაცსა, ჩუენგან და ჩუენ შორის შობილსა, სახელით ჱსოს, რომლისა მშობელნი, და ძმანი, და ყოველი ნათესავი ჭურიათაგან არს; რომელი გმობისა მისისათჳს,—რამეთუ იტყოდა თავსა თჳსსა ძედ ღუთისა, მამათა ჩუენთა ჯუარს აცუეს და მოკლეს; ხოლო მოწაფეთა მისთა პირველსა მას გმობასა ზედა სხუაჲცა ტკუვილი მესძინეს, და ჯუარცუმულისა მისთჳს და დაფლულისა ქადაგეს აღდგომაჲ მკუდრეთით და ამაღლებაჲ ზეცად". 208.

ესე რაჲ ესმა დომენტიანეს, განრისხნა და უბრძანა მთავართა მისთა, რათა, რომელთაცა აღიარნენ თავნი მათნი ქრისტჱანედ, მოსწყდენ.

და რომელთაცა ადიარეს მას ქამსა შინა ქრისტე და თავს იდვეს ღუაწლი სიმართლისათჳს, შეიწუნარნა იგინი საუკუნემან მან განსუენებამან.

ხოლო მიუწერეს ეფესოჲთცა ვიეთმე იოანესთჳს, ვითარმედ: „არს კაცი ვინმე, ჰურიაჲ ნათესავით და შჯულითა ქრისტეანე, რომელმან გარდააქცია ქალაქისა ამის ერი რჩულისა ამისგან მამულ-სა ქრისტეს მიმართ, და ქადაგებს ჰრომთა მეფობისა დაკსნასა და სხუაგან მიცვალებასა მის მეფობისასა“. ხოლო განრისხნა ამისთჳს დომენტიანე და წარავლინა ასის თავი ერთი მგედრებითურთ მიუვანებად იოანესა ჰრომედ; და მორაჲ ვიდეს მოვლინებულნი იგი ეფესოდ და გამოიკითხეს საყოფელი იოანესი და პოვეს
209. რაჲ ვითარცა მივიდეს ბჭეთა სახლისათა, პოვეს იოანე მუნ და ჰგონებდეს, თუ მესაჳურობილე არს, ჰკითხეს მას, ვითარმედ: „სადა არს იოანე?“ ხოლო მან ჰქუა მათ: „მე ვარ“.

და მათ, იხილეს რაჲ ხატი მისი შემუსრვილი, შეურაცხუეს და ეტყოდეს: „გჯთხარ, სადა არს იოანე?“ ჰქუა მათ კუალად: „გარქუ პირველად, ვითარმედ „მე ვარ“. და ეწამებოდეს თანამდგომელნიცა, ვითარმედ: „ეგე არს“. მაშინ გამოუცხადეს მას ბრძანებაჲ მეფისაჲ; ხოლო იოანე მიბრძანა ფინიკისა აღებად საგზლად ჩუენდა. და ესრეთ მოჰმზადა ასის თავმან სამეუფონი იგი განწესებულნი ეტლნი და წარვემართენით.

ხოლო მირაჲ ვედით პირველსა მას სავანესა, ეამი იყო სამხრისაჲ, და ევედრებოდა ასის თავი იოანეს, რათა განმხიარულდეს და მიიღოს მათ თანა ზჳამადი; ჰქუა მას იოანე: „სულითა მხიარულ ვარ, ხოლო საზრდელი ჯერეთ არა მიკმს“; და ესრეთ მათ ზჳამეს და ვლეთ მწუხრადმდე, და
210. მწუხრსა ევედრებოდა ასის თავი ზჳამად იოანეს, ხოლო იგი მიზეზობდა დაშრომასა, და ვითარმედ უფროჲს ყოველისა ძილი მიკმსო; ესრეთ იქმოდა პარადდე, და ყოველნი

იგი მაედარნი განკურვებულ იუვნეს და ეშინოდა, ნუ უკუნ მოკუდეს და ბოროტსა შთაცვენ იგინი მეფისა მიერ.

არამედ მის შორის დამკვდრებული იგი სული წმიდაჲ უფროჲსად განაბრწუინვებდა მას; და მეშვდესა დღესა კურიაკესა ჰქუა მათ Iოანე: „დღეს ქამი არს ჩემდაცა მოდებაჲ საზრდელისაჲ“. და იღოცა და აღიღო ფინიკთა მათგანი და ჭამა მათ თანა, და ესრეთ იქმოდა ვიდრე ჰრომამდმდ. ხოლო მირაჲ ვიწიენით ჰრომს, მოუკდა ასის თავი იგი მეფესა და ჰქუა: „კეისარო დიდო დომენტიანე, Iოანე მოგუგანებია შენ წინაშე უკორცოჲ და არა კაცი, რამეთუ ეფესოჲთგან აქამომდე შურისა გემოჲ არა უხილავს, არა- 211.
მედ შვდსა დღესა შინა ერთ გზის მიიღებს ფინიკთა რავდენთამე“.

ამას ზედა განკურდა დომენტიანე და ბრძანა შემოყვანებაჲ მისი და ამბორს უყო მას და ჰქუა: „შენ ხარა Iოანე, რომელი იტყჳ მეფობისა ჩემისა დაკსნასა და სხჳსა მეფისა დაჯდომასა ჩემ წილ, სახელით Iჯსო?“

მიუგო Iოანე და ჰქუა მას: „შენ ჰმეფობდე ქუეყანისა ამის ოდენ ხანსა, რაოდენნიცა ბრძანებულ არიან შენდა ღუთისა მიერ, და შემდგომად შენსა სხუანი მრავალნი მეფენი; ხოლო რაჟამს აღსრულნენ ქამნი ქუეყანისნი, მერმე ზეცით მოვიდეს მეუფჱ საუკუნოჲ ჭეშმარიტი, რომელი იგი მეფჱ არს, იყო და იყოს უკუნითი უკუნისამდე, მსაჯული ცხოველთა და მკუდართაჲ, რომელსა ყოველმან ნათესავმან, ტომმან და ენამან აღუვაროს, რომლისა მიერ ყოველი კელმწიფებაჲ და მთავრობაჲ ქუეყანისაჲ დაიკსნას,

„რამეთუ ყოველი პირი, დიდად მეტყუელი, დაიყოს; იგი არს Ოჳფალი ძლიერი, მეუფე ყოვლისა სულისა და ყოვლისა კორცისა, სიტყუაჲ და ძჱ ღუთისა ცხოველისაჲ, 212.
რომელ არს Iჯსო ჶრისტე“.

ხოლო დომენტიანოს ჰქუა მას: „რაჲ არს ამის ყოვლისა სასწაული, რამეთუ სიტყუათაჲ ოდენ არა მრ-

წამს! რაჲ ძალ გიც გამოჩინებად სასწაული, ზეცით გინა ქუეყნით, მეუფისა მის თჳს, რომელსა ეგულების მოსლვად, რამეთუ ძალ უც მას ყოვლისავე ქმნაჲ, უკუეთუ, ვითარ შენ იტყჳ, ძჱ არს იგი ღუთისაჲ?“ ჰქუა მას მოციქულმან ქრისტეს მან: „ითხოვე სასწაული ვითარი გნებავს და გიჩუენო შენ, ვითარმედ ყოველივე ძალუც სახელსა ოჳფლისა იჳსოჲსსა?“ ხოლო მეფემან ბრძანა წამლისა სასიკუდინოჲსა მოდებად სასტიკისა ფრიად და ჰქუა იოანეს: „უკუეთუ შემძლებელ არს ღმერთი შენი ყოვლისა სასწაულისა ქმნაჲ, მიიღჱ წამალი ესე და სუ, შეძიუძლოსა ღმერთმან შენმან კსნად მაგისგან, რათა არა მოგაკუდინოს“.

ხოლო იოანე მიიღო წამალი იგი და დასწერა სასწაული ჯუარისაჲ და თქუა: „სახელ-თა შენითა, ოჳფალო იჳსო ქრისტე, ვსუამ წამალსა ამას სასიკუდინესა, რომელი ესე შენ დაატკბე და წმიდითა სულითა შენითა განზავე, რათა არა რაჲ სავნებელი იპოოს მას შინა“. და ესე რაჲ თქუა, შესუა, და ყოველნი მოელოდეს, თუ ოდეს დაეცეს და მოკუდეს; და იოანე მხიარულად დგა და უვნებელად. ხოლო დომენტიანე განრისხნა მომდებელთა თჳს წამლისათა, ვითარმედ: „არა სადმე სასიკუდინე მოიღეს!“ და იგინი ფუცვიდეს ცხორებასა მეფისასა, ვითარმედ: „არა არს სხუაჲ ამის უძლიერესი წამალი“.

213.

მაშინ ბრძანა, მეფემან ერთისა, სიკუდილად დაშჯილისა კაცისაჲ, მოყვანებაჲ საპყრობილით, და მოიყვანეს რაჲ, განზავებად ბრძანა წამლისა მისგან წყლითა და მიცემად მისა; ხოლო მან შესუა რაჲ, მეყსეულად დაეცა და მოკუდა, და განკჳრდეს ყოველნი იოანეს თჳს და შიშმან შეიპყრა დომენტიანოს, და ადდგა და შევიდოდა შინა განსაცხაძარსა; ხოლო იოანე ჰქუა მას: „მეფეო, რასა ჰბრძანებ მომკუდრისა მისთჳს?“ და ბრძანა მეფემან განგდებაჲ მისი გარე. მაშინ ჰქუა მას მოციქულმან ქრისტესმან: „მეფეო დომენტიანე, ნუ იყოფინ ეგე, რათამცა მიზეზითა ჩე-

მითა მოკუდა კაცი.“ ესე რაჲ თქუა, მოუკდა გუამსა მას კაცისსა და თქუა:

„ღმერთო, ყოველთა შემოქმედო, და უფალო ანგელოზთაო, უფლებათა და მეუფებათაო! სახელითა იესო ქრისტეს მხოლოდ შობილისა ძისა შენისაჲთა მოეც ამას, რომელი მიზეზითა ჩემითა მოკუდა, სული ცხოველი ცხორებისაჲ, რათა ცნას დომენტიანე, ვითარმედ სიტყუაჲ ღუთისაჲ წამლისაცა უძლიერეს არს და სიკუდილისა და ცხორებისა უფალ არს;“ და უპყრა კელი კაცისაჲ მის და აღადგინა იგი; ხოლო ადიდეს ღმერთი ყოველთა და და უკჳრდა სარწმუნოებაჲ იოანესი; და მეფესაცა და უკჳრდა საქმე მისი, გარნა სარწმუნოებისა იგი ქრისტეს ნათელი არა შეიწყნარა: რამეთუ უფლებულ იყო ბნელისა მიერ, ხოლო მოკლვად იოანესსა არა შეუნდობდა სიტყუჲ იგი მაცხოვრისაჲ, რომელი ჰქუა პეტრეს, ვითარმედ:
„უკუეთუ მინდეს მაგისი ყოფაჲ ვიდრე მოსლვად ჩემდამდე, 215
რაჲ არს შენდა?“ არამედ ექსორიობაჲ ბრძანა მისი და თქუა:

„ბრძანებაჲ დამიც ყოველთა ზედა მთავართა ჩემთა, რათა ყოველნი ქრისტეანენი განუკითხველად მოისრნენ, არამედ ვინაჲთგან შენ მიერ ვჰპოვებ მათ უბრალოდ, ამისთჳს არა მოგკლავ შენ, არამედ ექსორია გყოფ შენ პატმოს ჭალაკსა.“ მაშინ მოციქულმან ითხოვა დამჯილისა მის კაცისა განტევებაჲ, რომელი აღადგინა მკუდრეთით; და ბრძანა მეფემან განტევებაჲ მისი; ხოლო მოციქულმან ქრისტესმან ჰრქუა მას: „წარვედ და ჰმადლობდი ღმერთსა, რომელმან დილეგისაგან და სიკუდილისა გიკსნა შენ.“

ხოლო ვითარცა განაჩინეს წარსლვაჲ იოანესი პატმოდ, შევსხედით ნავსა ათთა თანა პროტიკტორთა და შეუსხნეს იოანეს ბორკილნი, და ჯაჭჳ დასდვეს მას ზედა, ხოლო მე დამიტევეს ფლობილად, და მოგუცემდეს ჩუენ
მარადღე ათექუსმეტსა უმკიასა პურსა, და ბაკნითა ძმარსა 216

და გუტლითა წყალსა, ხოლო Ⴈოანე არა რას მიიღებდა, გარნა კჳრიაკესა დღესა მცირედსა რასმე და სხუასა მას მე მომცემდა; და არა ვიდოდეს სამეუფონი იგი კაცნი მართლიად, არამედ ყოველთა ქალაქთა შევიდოდეს შუ-ბისა და განცხრომისათჳს.

ხოლო დღესა ერთსა, ვიდოდეთ რაჲ ზღუასა შინა, და სხდეს იგინი სუმად და ჭამად, და იმღერდეს და იტყ-უელვიდეს კელთა, ხოლო ჭაბუკი ერთი მივიდა წინა კერძო ნავისა საქმისა რაჲსა თჳსმე და შთაიჭრა იგი ზღუასა; და იყო მამაჲ მისი ნავსა შინა და ენება მასცა შთაგდებაჲ თავისა თჳსისაჲ ზღუასა შინა ძისა თჳსისა თანა, არამედ არა შეუნდვეს სხუათა მათ ამისი ქმნაჲ; და იყო მათ შორის გოდებაჲ და ტირილი დიდი ყრმისა მისთჳს, და მოუკდეს და ჰრქუეს Ⴈოანეს:

„აჰა ესერა, კაცო, ჩუენ ყოველნი ვიგლოვთ ბო-
217. როტისა ამისთჳს, რომელი იქმნა ჩუენ შორის და ვითარ შენ უფროჲსად მხიარულ იქმენ?“ ჰრქუა მათ Ⴈოანე: „და რაჲ გნებავს, რათა ვყო?“ ხოლო მათ ჰრქუეს: „რაჲცა ძალ-გიც, შეგუეწიე!“ ხოლო Ⴈოანე ჰრქუა უხუცესსა მათსა: „რო-მელსა Ⴖმერთსა ჰმსახურებ?“ მიუგო მან და ჰრქუა მას: „Ⴀპოლონს და Ⴃიოსს.“

ჰკითხა შემდგომსაცა მისსა: „შენ ვის ჰმსახურებ?“ მიუ-გო და ჰრქუა მას: „ასკლიპიოსს დ҃ Ⴄრმეს და Ⴈრას;“—დ҃ ეს-რეთ თითოეული თჳსსა საცთურსა იტყოდა. ჰრქუა მათ Ⴈოანე: „და ესოდენნი ეგე ღმერთნი თქუენნი ვერ შემძ-ლებელ არიან ყრმისა ამის მოცემად თქუენდა, რათა არა იგლოვდეთ?“ მიუგეს და ჰრქუეს მას: „რამეთუ არა სიწმიდით ვჰმსახურებთ მათ, ამისთჳს გუტანჯვენ ჩუენ.“

ხოლო მოციქულმან Ⴍჳფლისამან, იხილა რაჲ სიბ-ნელე გონებათა მათთაჲ, შეწუხნა წარწყმედისა თჳს ყრმი-საჲ და მიბრძანა მე, რათამცა: „უპყარ კელი?“ ხოლო

უშუარ კელი, და აღდგა და დადგა კიდესა ნავისასა, სულთ- 218.
ითქუნა და აღიხილნა ზეცას და თქუა:

„ღმერთო საუკუნეთაო, უოველთა შემოქმედო, რომლისა წამისუოფასა უოველნი დაბადებულნი ჰმონებენ, მხოლოო უოვლად ძლიერო და უოველთა მეუფეო, იჯსო ქრისტე, რომელი მარადის განაგებ კეთილსა ჩუენთჯს, რომელმან სათნო იუავ ზღუასა ზედა სლვაჲ, ვითარცა კმელსა, დაულტოლველითა ფერკითა, რომელმან გგბრძანე ჩუენ თხოვად შენდა უოველითა გულითა ჩუენითა, და მოლებად უხუებით, შენ მეუფეო, ისმინე ვედრებაჲ შენისა იოანესი და მომმადლე ურმაჲ ესე, რომელი წარიტაცა ზღუამან: რამეთუ ძალსა მკლავისა შენისასა ვინ წინა აღუდგეს!“ ხოლო ვიდრეღა ამას ილოცვიდა მოციქული, იქმნა ოხრაჲ ზღვასაჲ და ღელვაჲ, ვიდრე კნინდა ნავი იგი გარდაიქცეოდა, და ამაღლდა ღელვაჲ ერთი მარჯუენით კერძო ნავისა და შთამოაგდო ურმაჲ იგი ცოცხალი ნავსა, ფერკთა თანა იოანესთა.

ხოლო იხილეს რაჲ ესე უოველთა, შეუვრდეს ფერკთა 219.
იოანესთა, თაუანის სცეს მას და თქუეს: „ჭეშმარიტად ღმერთი იგი შენი არს ღმერთი ცისა ჲ ქუეყანისა ჲ ზღვსაჲ.“ მაშინ აღიხუნეს უკუჲ ჯაჭუნი იგი და ბორკილნი მისგან; და ვიუენით მიერითგან მათ თანა კადნიერებით.

და მას დღესა განვედით დაბასა ერთსა, რომელსა ეწოდების ძატიკიონ, და მუნ დავადგერით ვიდრე მიმწუხრამდჲ, და მიმწუხრი ინებე: მენავეთა წარმართებაჲ და აღუდგეს აფრაჲ და ვიდოდეთ; ხოლო მეათესა ოდენ ქამსა დამისასა იუო არმური დიდი ზღუასა ზედა და ღელვაჲ ქარისა სასტიკისაჲ, ვიდრეღა დაინქოდა ნავი იგი, და, ვითარცა უოველნი სიკუდილსა მოელოდეს, ჰრქუეს პროტიკტორთა მათ იოანეს:

„ძაცო ღუთისაო, ვითარცა ურმაჲ იგი საკჯრველებით ზღჯსაგან აღმოიუვანე, აწცა ევედრე ღმერთსა შენსა კუა-

ლად, რათა დააცხვროს ფრიადი ესე დელვაჲ, რათა არა
220. ყოველნი ერთბამად წარვწყმდეთ.“ ჰრქუა მათ Iოანე: „დასწუნარდით თითოეული თჳსსა ადგილსა?“ და ვითარცა დელვაჲ იგი უფროჲსად ამაღლდებოდა და განძჳნდებოდა, აღდგა და იღოცა, და მეყსეულად დაუუდნა ქარი იგი და ზღუაჲ, და იხარებდეს ყოველნი. ხოლო მივედით მას ლამესა მჯრონ ქალაქსა, და ხვალისა დღჱ შეპყრობილ იქმნა ერთი პროტიკტორთა განი სენითა ფიცხლითა მკურვალებითა და მუცლითა; და დავადგერით მუნ შჯდ დღჱ, ჲ მერვესა დღესა იცილებოდეს ურთიერთას: რომელნიმე იტყოდეს წარსლვად, და სხუანი იტყოდეს:

ვითარმედ: „ბოროტარს დატევებაჲ მოყუსისა ჩუენისაჲ, ანუ შეყვანებაჲ ნავად ესე ვითარითა სნებითა შებურობილისაჲ!“ ხოლო Iოანე მრქუა მე: „შვილო პროხორე, აღდეგ და წარვედ სნეულისა მის მიმართ და არქუ მას, ვითარმედ: „ესრეთ იტყჳს Iოანე, მოციქული ქრისტესი: „სახელითა Iჴსო ქრისტესითა აღდეგ და მოვედ ჩემდა ცოცხალი და
221. განკურნებული“; ჲ ვითარცა წარვედ ჲ ვარქუ მას ესრეთ, მეყსეულად აღდგა და შემოჰიდგა და მოვიდა Iონესსა ვითარმცა არაჲ მოწევნულ იყო მის ზედა სენი, და ჰრქუა მას მოციქულმან: „წარვედ და არქუ მოყუასთა შენთა, რათა წარვიდეთ ამიერ?“ და წარვიდა იგი, რომელსა შჯდ დღჱ არა მიელო საზრდელი და იყო შიშსა შინა სიკუდილისასა და აწუევდა სხუათა მათ სლვად; ხოლო ყოველთა მათ, იხილნეს რაჲ საკჳრკელებანი იგი მოციქულისანი, შეუვრდეს მას და ეტყოდეს:

„აჰა ესე რა ყოველი ქუეყანაჲ შენ წინაშე არს, ვიდრეცა ჰბრძანებ, ხჯდოდე, რამეთუ გუეუწყა, ვითარმედ ჭეშმარიტისა ღუთისა მსახური ხარ;“ მიუგო მოციქულმან და ჰრქუა მათ: „არა ეგრე, შვილნო, არამედ სადა იგი ბრძანებულ არს თქუენდა, მუნ მიმიყვანეთ, რათა სთნდეს მომავლინებელსა თქუენსა.“

ხოლო მათ მას დღესა ისმინეს სწავლაჲ მოციქულისაჲ და იქმნნეს ქრისტეანე და ნათელიღეს; და წარმოვედით მიერ და მივედით პატმო წალაკასა, და შევედით
222. ფთოლრა ქალაქსა, ჲ მიგუცნეს ვიეთდა მიმართ იყო ბრძანებაჲ მეფისაჲ მითუალვად ჩუენდა; და ენება პროტიკტორთა მათ ყოვლითა გულითა ჩუენ თანა ყოფაჲ, ხოლო იოანე ჰრქუა მათ: „შვილნო, მადლსა მაგას, რომელ დირს იქმნენით, ნუ განეშორებით, და ადგილმან ვერ რომელმან გაგნას თქუენ!“ და დაუვეს ჩუენთანა ათი დღე, იხარებდეს და ისმენდეს სწავლასა მოციქულისასა, და მერმე ულოცა მათ და აკურთხა თითოეული მათი და წარგზავნნა, და შეჰვედრნა იგინი ღმერთსა, რომლისაჲცა ჰრწმენა მათ.

ხოლო იყო ფთოლრა ქალაქსა კაცი ვინმე, სახელით მირონ, და ეხსნეს სამნი ძენი ფილოსოფოსნი; და იყო კაცი იგი მდიდარ ფრიად; ხოლო უხუცესსა ძესა თანა იყო სული პითონი, და გჳხილნა რაჲ მირონ, შეჳწუნარნა სახლსა თჳსსა; და ცნა რაჲ ესე ძემან მისმან, რომელსა თანა იყო სული იგი პითონი, წარვიდა მიერ სხუად ადგილად,
223. რამეთუ სულმან მან წარიყვანა იგი, რათამცა არა განიდევნა მოციქულისა მიერ.

და, ცნა რაჲ ესე მირონ, ჰრქუა ცოლსა თჳსსა: „უკუეთუმცა კეთილნი იყვნეს ესე კაცნი, შემოსლვასა მათსა ზედამცა არა შემთხუეულ იყო ჩუენდა ბოროტი ესე, არამედ ვითარცა ვიეთნიმე იტყჳან, მოგუნი არიან სადმე, ჲ შევრძნიბეს სახლი ჩუენი ჲ განიოტეს ამიერ ძჳ ჩუენი.“ ჰრქუა მას ცოლმან მისმან: „ჲ უკუეიუ ეგე ეგრეთ არს, რად არა განასხამ მაგათ სახლით ჩუენით? ნუუკუე სხუათაცა ძეთა ჩუენთა რაჲმე ავნონ!“ ჰრქუა მას მირონ: „არა განვასხნე იგინი, არამედ შევიუენნე იგინი ჭირსა, რათა იძულებით მოყუანებად ვსცე ძჳ ჩემი, და მერმე ვტანჯნე იგინი ბოროტად.“ და იყო მირონ სიმამრი მთავრისა პატმოჲსა.

ხოლო იოანე ცნა სულითა რაჲ იგი ჰრქუა მირონ

ცოლსა თჳსსა, და მრქუა მე, ვითარმედ: „შვილო პროხორე, უწყოდე, რამეთუ მირონ ბოროტსა იგონებს ჩუენთჳს, არამედ მადლობით თავს ვისხნეთ განსაცდელნი, რამეთუ ესრეთ ჩუენ სასუიდელი განგჳმრავლდეს, ხოლო ამათ ნათელი ქრისტესი აღმოუბრწყინდის.“

და ვიდრედა ჩუენ ამას ვიტყოდეთ, ეპისტოლე მოვიდა მირონისსა ძისა მისისაგან, რომელსა შინა იყო სახჱ ესე ვითარი, ვითარმედ: „მეუფისა და მამისა ჩემისა მიმართ, აპოლონდის მიერ, ძისა შენისა, უწყებულ იყავნ თქუენდა, რამეთუ იოანე მოგუმან, რომელი იგი თქუენ შეიწუნარეთ, ბოროტი ბრძანებაჲ იკმარა და შვილი თქუენი დაგაბრკოლა თქუენ ნაცვალად თქუენისა ქველის მოქმედებისა: რამეთუ სულმან ამან, რომელი მან მოავლინა ჩემ ზედა, არა მცირედ აღმაშფოთა, და ვიდრე აქამომდე მიოტა, ხოლო მივემთხჳე უოვლად წმიდისა ჰჯნოჱს და უთხარ მას საქმე იგი და მან მრქუა, ვითარმედ: „შეუძლებელ არს შენი სა-
225. ხედვე თჳსად მიქცევაჲ და მამისა შენისა და ძმათა თანა უოფაჲ, ვიდრე არა მამამან შენმან მგეცთა საჭმელ უოს იოანე, ექსორია ქმნილი, ქრისტეანეთა მოძღუარი იგი და მოგჳ;“

„აწ უგუჱ ისწრაფე, მამაო, მოკლვაჲ მისი, უგუეთუ გნებავსდა ძისა შენისა ხილვაჲ, და ცოცხლებით იუოფვოდე უოვლით სახლით შენითურთ.“

ხოლო მირონ, აღმოიკითხა რაჲ ეპისტოლე იგი, მეუსეულად შეგუაუენნა ჩუენ დილეგსა, და წარვიდა იგი მთავრისა და უჩუენა მას ეპისტოლე იგი; ხოლო მან, აღმოიკითხა რაჲ, ფრიად განრისხნა ჩუენთჳს, და უფროჲსად, რამეთუ ესმა სიტყუაჲ ჰჯნოჱისი; რამეთუ უოველთავე, რომელნი იყვნეს პატმოს შინა, ღუთად ჰჳვა იგი კელოვნებათა თჳს გრძნებისა მისისათა, და ბრძანა ჩუენი მეცთა საჭმლად მიცემაჲ, და წარგჳყვანნა სახლისაგან მისისა და შე-

გუაყენნა დილეგსა, და შემდგომად სამისა დღისა წარმოგუადგინნეს სამშჯავროსა შინა, და ჰკითხა Იოანეს და ჰრქუა: 226.

„დიდებულმან მეფემან არა ინება მოკლვაჲ შენი, დაცათუ ღირს იყავ სიკუდილისა, არამედ აქა ექსორია გუო, რათამცა შეშინდი და დასცხერმცა ბოროტთა შენთაგან, ხოლო შენ, ვითარცა ყოველნი ხედვენ, უძვრესისა მიმართ წარემატები, ვიდრეცა ქუელის მოქმედთა შენთაცა ბოროტსა უზამ; ხოლო აწ აღიარე, პირველ ტანჯვათა შევრდომისა, თუ ვინაჲ ხარ, ანუ რომლისა შჯულისა, ანუ რომლითა კელოვნებითა განიოტე ცოლის ძმაჲ ჩემი სახლით თჳსით?“ მიუგო მას და ჰრქუა Იოანე:

„იწრუსალემით ვარ მე, მონაჲ იჳსო ქრისტესი, ძისა ღუთისა, რომელი ჯუარსეცუა ცოდვათათჳს კაცთაჲსა და აღდგა მესამესა დღესა, და მომავლინა მე ხარებად ყოველთაცე ნათლისა და მეცნიერებისა მისისა.“

ჰრქუა მას მთავარმან: „მაგის ბოროტისა მეტყუელებისა თჳს შთაჰვარდი შენ ექსორიობასა და გუალად მასვე 227.
ზედა ჰგიე? დასცხერ, უბადრუკო, ცუდისა მაგისგან სწავლისა, და ისწრაფე პატივი უკუდავთა ღმერთთა, და ნუ ჰქადაგებ ღმერთად კაცსა მომკუდარსა, გარნა აწ მწრაფელ მოიყვანე Პოლონდი, თჳსი ჩემი?“

მიუგო იოანე და ჰრქუა მას: „ქადაგებისა ამისგან არა დავსცხრები, რამეთუ მისთჳს დამარხულ არს ჩემდა მერმისა მის სასოებაჲ, ხოლო Პოლონდის თჳს არაჲ უწყი ბრალი ჩემი; გარნა, უკუეთუ გნებავს, წარვავლინო მოწაფე ჩემი და მოიყვანოს იგი შენდა, და, რაჲცა აქუს ჩუენდა მომართ, იტყოდენ.“ და ბრძანა მთავარმან ამისი ქმნაჲ; და წარავლინა Იოანე საპურობილედ და ბრძანა შეკრვაჲ მისი ჯაჭჳთა; ხოლო Იოანე, პირველ შეკრვისა, დაწერა წიგნი ესრეთ:

„მითარმედ: „Იოანე, მოციქული ქრისტესი, გიბრძა- 228.
ნებს სულსა მაგას პითონსა, რომელი მკუდრ ხარ Პო-

ლონდის თანა ფილოსოფოსისა, სახელითა Iჳსო ძრისტესითა განსლვად დაბადებულისაგან ღუთისა, და არღარა შესლვაჲ კაცსა თანა, არამედ უდაბნოთა უვალთა შინა ყოფად მარადის!“ ხოლო ადვიდე მე წიგნი იგი და წარვედ, სადა აპოლონიდე იყო, და მოვიძიე იგი და, ვპოვე რაჲ და მივახლე მას, მეყსეულად სული იგი არა წმიდაჲ განვიდა მისგან, და მან მრქუა მე: „რად მოშუერ აქა, მოწვათეო სახიერისა მის მოძღურისაო?“ ხოლო მე ვარქუ მას: „ძიებად შენისა სიბრძნისა მოვედ, რათა მშჯდობით მოიქცე მშობელთავე თჳსთა მიმართ.“

ხოლო იგი სიხარულით აღდგა და შემოიდგა მე, და, მირაჲ ვიწყიენით, მკითხა, ვითარმედ: „მოძღუარი სადა იყოფვის?“ და ვარქუ მას, ვითარმედ: „დილეგსა, შებორკილებული მთავრისა მიერ, შენისა წარსლვისა თჳს.“ და ესე რაჲ ესმა, სრბით მოვიდა ჩემთანა საშურობილედ, და, იხილა რაჲ იგი მესაშურობილემან, თაყუანისსცა და განუღო კარი საშურობილისაჲ. 229.

შერაჲ ვიდა და იხილა Iოანე შეკრული ჯაჭჯთა, დავარდა პირსა ზედა და თაყუანისსცა მას, და აღდგა და განჰკსნა Iოანე და გამოიყვანა საშურობილით, და ჰრქუა მესაშურობილესა, ვითარმედ: „არქუ მთავარსა ჩემთჳს, ვითარმედ მან გამოიყვანა Iოანე;“ და წარგჳგანნა ჩუენ სახედ მათა, ხოლო მშობელნი და ძმანი მისნი იგლოვდეს მისთჳს; და, იხილეს რაჲ იგი, განიხარეს სიხარულითა დიდითა, და აღდგეს და მოიკითხეს იგი ცრემლით, და ჰკითხვიდა მამაჲ მისი თუ: „რომლისა მიზეზისათჳს განგუეშორე და შეგუაწუხენ ჩუენ?“

ხოლო მან უთხრა ყოველივე და თუ ვითარ შევიდა მისთანა ეშმაკი იგი პითონისაჲ, და თუ ვითარ შემოსლვასა ზედა Iოანესსა იოტა იგი სულმან მან, რამეთუ უჩუენებდა იგი Iოანეს, ვითარმცა მოკლვაჲ მისი ეგულებოდა; და იტყოდა, ვითარმედ: „არა შემინდობდა ეშმაკი იგი მოქცევად 230.

აქა, არამედ, რაჟამს ვიხილე ოდენ მოწაფე იოანესი, მუნთქუესვე აღმისუბუქდა სიმძიმე იგი ეშმაკისაჲ, და სიხარულად და მუუდროებად მოვიდა სული ჩემი,

„რამეთუ ვითარ სახედ მეხილვა შემოსლვაჲ სულისა მის ბოროტისაჲ ჩემთანა, ეგრეთვე ვიხილე განმავალი ჳრითა ჩემით.“ და ჰრქუა მას იოანე: „ხედავა, შვილო, ძალსა მას ჯუარცუმულისასა? რამეთუ არა თუ ოდენ ჩუენ ვიოხტებთ ეშმაკთა ჳირისჳირ, არამედ ეჳისტოლეებითაცა ძალითა ქრისტესითა ვსდევნით მათ!“ და უჩუენა წიგნი იგი, რომელი დაეწერა და მოეცა ჩემდა საოხტებელად სულისა მის ბოროტისა; ხოლო მან, აღმოიკითხა რაჲ იგი, და თმ- 231.
ჭირა თავისა თჳსისა თანა,

აღდგა მამისა და ძმათა თჳსთა თანა, და ჩუენ თანა, წარვიდა მთავრისა და მიუხრა ყოველივე მოწევნული მის ზედა, და თუ ვითარ იოანეს მიერ განერა სულისა მისგან არა წმიდისა.

ხოლო, ესმა რაჲ ესე მთავარსა, დაუკრძალა, და შეიქუარა იოანე და ჰრწმენა სიტყუაჲ მისი. და, ვიკუენით რაჲ სახლსა მირონისსა, ყოველნი, რომელნი იყვნეს სახლსა მას შინა, ჰრწმენა ქრისტე იოანეს სწავლითა და ევედრებოდეს, რათა ნათელს-იცეს მათ; და ასწავა მათ და ნათელ სცა სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა, და დიდი სიხარული იყო ქრისტეს მიერ სახლსა მას შინა.

ხოლო ცოლი მთავრისაჲ ასული იყო მირონისი, და იხილნა რაჲ მშობელნი და ძმანი თჳსნი, ვითარმედ ჰრწმენა ქრისტე, შური კეთილი აღიდგა და ჰრქუა ქმარსა თჳსსა: 232.
„აჰა ესერა ყოველ-სავე სა-ხელ-სა მამისა ჩემისა-სა ჰრწმენა ჯუარცუმული, იოანეს მიერ ქადაგებული, ინებე შენცა ამისი ქმნაჲ, რათა იდიდოს სახელი ჩუენი სახლსა თანა მამისა ჩემისასა!“

ჰრქუა ლავრენტი მთავარმან ცოლსა თჳსსა ხრჳსიოსს, — რამეთუ ესრეთ ეწოდებოდა მათ, — „ვიდრემდის ვიყო მთა-

ვრობასა ამას შინა, ვერ ძალ მიც ამისსა ქმნად.“ ჰრქუა მას ცოლმან მისმან, ვითარმედ: „უფროჲსად კელმწიფებასა ამას შინა ძალ გიც ზღუდჱ მორწმუნეთა ყოფად!“ ჰრქუა მას მთავარმან: „უწყოდე, რამეთუ ყოველთა საძაგელად უჩნს ქრისტეანეთა რჩული, და იქმნენ შფოთნი და შეკრბენ ერნი და დაგუწუნენ ჩუენ, ანუ კეისარსა მიუთხრან ჩუენთჳს,

„არამედ აწ ვიჩემებდე წარმართობასა ცხადად და ფარულად მრწმენეს ქრისტე, და, აღესრულოს რაჲ წელიწადი ესე კელმწიფობისა ჩემისაჲ, მერმე ვიქმნე განცხადე-
233. ბულად სრული ქრისტეანე, ხოლო შენ აღიდე ძჳ ჩუენი და წარვედ სახედ მამისა შენისა და ისწავე ქრისტეანობაჲ, და ნათელიდე შვილისა შენისათანა, და იხილე, ნუ შეურაცხჰყოფ ერთსაცა სიტყუათაგანსა იოანესჲსა, ნუცა მე მითხრობ საიდუმლოთა, რომელთა იგი გასწავებდეს, ვიდრე არა ნათელ ვიღო.“

ხოლო, ესმა რაჲ ესე ცოლსა მისსა, აღდგა და წარიყვანა ძჳ მისი და მივიდა სახლსა მამისა მისისასა, და, შერაჲ ვიდა, თაყუანისსცა პირველად იოანეს და მერმე მამასა თჳსსა; და ჰრქუა მას იოანე: „რაჲ არს, შვილო, მიზეზი შენისა აქა მოშრომისაჲ?“ ხოლო მან ჰრქუა: „მრწამს, მამაო, ვითარმედ უწუებულ არს შენდა ღუთისა მიერ მიზეზი ჩემისა მოსლვისაჲ, გარნა მეცა მიგითხრა, ვითარმედ: შურითა ღუთის მსახურებისაჲთა მოვედ და რათა იდიდოს სახლი ჩემი სახლსა თანა მამისა ჩემისასა;“ ჰრქუა მას მოციქულმან:
234. განამტკიცენ ოჳფალმან გული შენი ამას ზედა და ქმრისა შენ-საჲ, და ძისა შენისაჲ, და ყოვლისა სახლისა შენისაჲ!“ ხოლო იგი დავარდა, თაყუანისსცა მას და ჰრქუა: „გეევედრები შენ, მოძღუარო სახიერო, მომეც მე ძრისტეს მიერი ბეჭედი, რათა შევირაცხო სახლსა თანა მამისა ჩემისასა, რამეთუ ამისთჳს მომავლინა ქმარმან ჩემმან!“

და განიხარა მოციქულმან, რამეთუ მთავარსაცა ენება

იგი; და ასწავლნა მას მცნებანი ძრისტესნი, და ნათელ-
სცა მას ძისა მისისა თანა. ხოლო მირონ ჰრქუა ასულსა
თჳსსა: „აჰა, შვილო, საკმარი, რავდენიცა გნებავს, და ტაბ-
ლასა ჩემსა ჭამდით შენ და ძე შენი, და ნუდარა განეშო-
რებით სახლსა ჩემსა, ნუ უგუჳ, ქმრისა შენისა თანა თუ
იყო, შეურაცხჰყუნე მცნებანი ძრისტესნი.“

ხოლო მოციქულმან ჰრქუა: „არა ეგრეთ, არამედ წარ-
ვიდეს ასული შენი ძისა თჳსისა თანა სახედ თჳსად და
მრწამს მოძღვრისა ჩემისაჲ, ვითარმედ ქმარიცა მა-
გისი ადრე იქმნეს ქრისტეანე, ხოლო საფასე თუ გაქუს, 235.
მიეც გლახაკთა, რამეთუ რომელი სწუალობდეს გლახაკ-
თა, ავასხებს იგი ღმერთსა.“ და ასწავა ცოლსა მთავრისასა
ფრიად და წარავლინა ძისა მისისა თანა სახიდ თჳსა.

და ხვალისა დღჱ ოქროჲ დიდძალი მოართუა მი-
რონ იოანეს და ჰრქუა: „მიიღე ესე, მოძღუარ, და მიეც გლა-
ხაკთა!“ ჰრქუა მას მოციქულმან: „აჰა შემიწუნარებიეს გულს
მოდგინებაჲ შენი, რამეთუ სადმროთა არს, არამედ მნებავს,
რათა თჳთ მისცე შენი ეგე გლახაკთა“; ხოლო მირონ მის-
ცემდა მარადღე, გლახაკთა, და ღმერთმან განამრავლა უო-
ველი კეთილი სახლისა მისისაჲ, და ვითარცა წუაროჲ იყო
სახლი მისი მადლითა ოჯფლისაჲთა, და უოველთა მუნ
მუოფთა უხაროდა მსახურებაჲ გლახაკთაჲ.

ხოლო იყო სხუაჲ ვინმე კაცი მას ქალაქსა, სახელით
ბასილი, მდიდარი ფრიად, და იყო ცოლი მისი ბერწ; და 236.
მივიდა ბასილი დღესა ერთსა რომდონს თანა, ძმისწულსა
მირონისსა, რომელი ჯერეთ წარმართ იყო და ჰრქუა მას:
„რაჲ იქმნა მირონის ზედა, მამის ძმასა შენსა, რომელ ეს-
რეთ დაეუუდა უოვლით სახლეულით მისითურთ ამას
უცხოსა თანა, ჲდ არცადა დაჯდების ჩუენ თანა, არცა ჩუ-
ენ გჳწოდს სახლსა თჳსსა, რაჲ არს სწავლაჲ ამის კაცი-
საჲ, მითხარ მე?“

ჰრქუა მას რომდონ თუ: „რაჲ არს სწავლაჲ მისი, არა-

უწყი, გარნა მრავალნი იტყჳან, თუ რაჲ თქუას, სიტყუაჲ მისი ყოველივე იქმნების.“ ჰქუა მას ბასილი: „თქუნდა, რათა მესუას შვილი, იქმნას ძი სიტყუაჲ მისი!“ ჰრქუა მას რომდონ: „იტყჳან, ვითარმედ ესეცა ძალუც.“ ესმა რაჲ ესე ბასილის, მივიდა მოციქულისა და თაყუანისსცა მას. ჰრქუა მას მოციქულმან: „აღასრულენ ოჳფალმან ყოველი თხოვაჲ შენი, და ნეტარ არს კაცი, რომელმან არა გამოცადა ოჯფალი გულსა შინა თჳსსა, რამეთუ ჰურიანი ესრეთ გამოსცდიდეს ღმერთსა, ხოლო სახიერი იგი უმადლოთა მათ ყოველსავე უხუად მისცემდა: კლდისაგან წყალსა, და ზეცით პურსა, და მწყერ მარკილსა, და ამას ყოველსა ზედა არა ჰრწმენა მისი უგულისხმოთა მათ;

„ხოლო შენ, ბასილი, ნუ გამოსცდი ღმერთსა, რათა არა გამოიცადო ბოროტისაგან, არამედ გრწმენინ იგი და მოგეცეს ყოველი თხოვაჲ შენი.“ ხოლო ბასილი, იხილა რაჲ, რამეთუ ყოველი, რაჲ იყო გულსა მისსა, უთხრა, და განკჳრდა და ჰრქუა მას: „მრწმენა და მრწამს, არამედ გევედრები, მოძღუარ, რათა ევიდრო ღმერთსა შენსა, რომელ მესუას შვილი!“ ჰრქუა მას იოანე: „უკუეთუ გრწმენეს, იხილო ძალი ქრისტესი.“ და ფრიად ასწავა მას მოციქულმან, და წარვიდა სახედ თჳსა და მიუთხრა ცოლსა თჳსსა; და ხვალისა დღჱ მოვიდეს ორნივე იოანესსა და თაყუანის
238. სცის მას, და ასწავა მათ მოციქულმან ყოველი სწავლაჲ სამართოჲ; და ევედრნეს, რათა ნათელსცეს მათ; ხოლო ნათელსცა რაჲ, მოვიდა მათ ზედა მადლი ღუთისაჲ.

და ევედრნეს მოციქულსა, რათა შევიდეს სახლსა მათსა და აკურთხოს იგი; და წარვიდა სახლსა მათსა და აკურთხა იგი და მოიქცა სახლადვე მირონისა. ხოლო მუცლად იდო ცოლმან ბასილისმან და შვა ძჱ და უწოდა სახელი მისი იოანე; ხოლო მოართუა ბასილი მოციქულსა პეტროჲ ფრიადი მისაცემელად გლახაკთა; ჰრქუა მას

მოციქულმან: „წარვედ, შვილო, და თჳსითა კელითა განუ-
უარ ეგე გლახაკთა და გაქუნდეს საუნჯჱ ცათა შინა.“

ხოლო გარდა რაჲ კდა ორი წელი, გარდადგა მთა-
ვრობისაგან ლავრენტი, ქმარი მირონის ასულისაჲ, და მო-
ვიდა მოციქულისა, მოიკითხა იგი და ჰრქუა მას: „მოძღუარ,
უცალოებამან სოფლისა საქმეთამან დამაკლო შენ მიერისა
სარგებელისაგან, ხოლო აწ გევედრები, რათა მომცე ძრი- 239.
სტეს მიერი ნათელი, რათა ადიკოცნენ უსჯულოებანი ჩე-
მნი;“ ხოლო მოციქულმან ასწავა და ნათელსცა, და წარ-
ვიდა იგი სახიდ თჳსა სიხარულით.

ხოლო იყო მას ქალაქსა შინა კაცი ვინმე, სახელით
ხუასრო, და ესუა მას ძჳ მხოლოდ შობილი, სულისა მი-
ერ არა წმიდისა შეჳყრობილი; და იყო ხუასრო ქალაქ-
შეტი; და ესმა რაჲ, ვითარმედ იოანე დიდთა სასწაულთა
იქმს, ადიდო ძჳ თჳსი და მოვიდა მოციქულისა; ხოლო
იოანე, იხილა რაჲ იგი, ჰრქუა მას: „ხუასრო, ცოდვანი შენნი
მოგაგუდინებენ შენ და ძესა შენსა, მოიძულენ უკუჱ ქრ-
თამნი და თუალთ ღებაჲ, რათა ჰხედო წუალობაჲ!“ ჰრქუა
მას ხუასრო: „ოჯთალო, რაჲცა არს სახლსა ჩემსა, ადიდე,
და ოდენ განდევნე სული ესე უკეთური ძისა ჩემისაგან,
რათა არა ბოროტად მოკუდეს!“

ჰრქუა მას მოციქულმან: „ჩუენ არა გჳკმს საფასჱ, არა- 240.
მედ შენ გჳკმ და ძჳ შენი!“ ჰრქუა მას ხუასრო: „ოჯთალო,
და რაჲ ჯერარს ჩემდა უოფად, რათა განიკურნოს ძჳ ჩე-
მი?“ მიუგო მოციქულმან: „გრწმენინ ჯუარცუმული და იხი-
ლო ძალი მისი!“ ჰრქუა მას ხუსრო; „მრწამს, ოჯთალო,
ოდენ განკურნე ძე ჩემი!“

და უჳურა იოანე კელსა ძისა მისისასა და ულოცა, ჴ
დასწერა სამგზის ჯუარი, და განდევნა სული იგი ბო-
როტი მისგან; და, იხილა რაჲ ხუასრო სასწაული იგი, და-
ვარდა პირსა ზედა თჳსსა, თაყუანისსცა მოციქულსა და
თქუა: „ჭეშმარიტად, მამაო, შენ თანა ღმერთი არს.“

და ხვალისა დღე მოვიდა ცოლისა და ძისა თჳსისა თანა და მოიდო საფასე ფრიადი და ჰრქუა მოციქულსა: „ოჳფალო, მიიღე ესე და მოგუეც ჩუენ ძრისტეს მიერი ბეჭედი?“ ჰრქუა მას მოციქულმან: „ქრისტეს ბეჭედისათჳს არა
241. საკმარ არს საფასე, არამედ სარწმუნოებაჲ კეთილი, აწ უკუჱ საფასე ეგე გლახაკთა მიეცით, და თქუენ მიიღეთ მადლი ღუთისაჲ უსასყიდლოდ;“ და ასწავა მათ და ნათელ სცა სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და წმიდისა სულისაჲთა, და წარგზავნა მშჳდობით სახიდ თჳსა.

და დავუავთ ქამი ფრიადი სახლსა მირონისსა და მიერ ასწავლიდა და ნათელ სცემდა ერსა; ხოლო გარდაჲდა რაჲ ათი წელი და მრავალსა სიმრავლესა ჰრწმენა ძრისტე და ნათელიდო, და ერთსა დღესა წარმიუვანა მოციქულმან და წარვედით ადგილსა საჩინოსა, სადა იგი იყო ტაძარი აპოლონისი; და შეკრბა მუნ ერი ფრიადი და დადგა იოანე და ასწავებდა ერსა მას ძრისტესთჳს; და რომელთამე ჰრწმენა მისი და რომელთამე არა, ხოლო
242. მდდელთა აპოლონისთა ჰრქუეს ერსა მას: „კაცნო, რად ისმენთ ამის მაცთურისასა? არა გრძნებათა მისთა თჳს ექსორია ქმნილ არსა? რად უკუჱ ისმენთ უგუნურისა და ექსორია ქმნილისა კაცისსა და აგინებთ უკუდავთა ღმერთთა?“

ესმა რაჲ ესე იოანეს, ჰრქუა მათ: „აჰა ესე რა, სახლი თქუენი დარჩეს ოკრად სახელითა ძრისტესითა.“ და ესე რაჲ თქუა, მეყსეულად დაეცა ტაძარი იგი და არცა ერთი კაცი მოიწყალა; ხოლო მდდელთა მათ შეიჳურეს იოანე და დასხნეს მის ზედა წყლულებანი, და მიიყვანეს მთავრისა და ჰრქუეს, ვითარმედ: „იოანე, ექსორია ქმნილმან, გრძნებისა კელოვნებითა დასცა ტაძარი დიდისა აპოლონისი.“ ესმა რაჲ ესე მთავარსა, შეწუხნა, და ბრძანა შეურაჲ ჩუენი საჳურობილესა; შეგუაუენნეს უშინაგანესსა დილეგსა და
243. შეგუკრნეს ბორკილითა.

ხოლო ესმა რაჲ ესე მირონს, მივიდა მთავრისა მი
მართ ძისა თჳსისა აპოლონიდის თანა და ჰრქუა მას: „გევე-
დრებით იოანესთჳს უცხოჲსა, რათა მოგუცე ჩუენ იგი, ჲ,
უგუეთუ ვის მისი ენებოს სარჩელი, ჩუენ წარმოვადგინოთ
იგი წინაშე საყდართა შენთა;“ ჰრქუა მათ მთავარმან: „მასმი-
ეს მრავალთაგან, თუ მოგჳ არს, და, უგუეთუ გრძნებითა
წარვიდეს თქუენგან, რაჲ ჰყოთ?“ ჰქუეს მათ მთავარსა: „იყვ-
ნენ თავნი ჩუენნი იოანეს ნაცვალ და სახლი ჩუენი ყოვ-
ლითა მონაგარითა ჩუენითურთ.“

ხოლო შეჰრცხუენდა მათგან მთავარსა, რამეთუ იყვ-
ნეს ყოველთა მიერ შერაცხილ და მიანიჭა მათ იოანე; და
შემოვიდეს საპყრობილედ და წარგჳვანნეს სახლად თჳსა.
და ჰრქუა მირონ იოანეს: „ჯედ სახლსა მონისა შენისასა, და
ნუ განხუალ ერსა მორის, რამეთუ ბოროტნი და ფიცხელ-
ნი გაცნი არიან ამის ქალაქისანი და ნუ უგუჱ მოგკლან შენ.“ 244.

ჰრქუა მას მოციქულმან: „ძმაო მირონ, არა მომავლინა
მე ძრისტემან სახლსა შინა დაუყუდებად, არამედ მომავ-
ლინა ბოროტთა და ფიცხელთა გაცთა მომართ, ჲ თქუა: „აჰა
წარგავლენ თქუენ, ვითარცა ცხოვართა, შორის მგელთა;“
და მრავლითა ჭირითა გჳღირს ჩუენ შესლვად სასუფე-
ველსა ცათასა, და მე მზაჲ ვარ სახელისა თჳს ძრისტესი-
სა მარადღე ცემად, და გინებად, და მარადღე სიკუდილა-
დცა და ყოველსავე მადლობით თავს ვიდებ.“

და ხვალისა დღე წარმიუვანა მოციქულმან და წარ-
ვედით ქადაგებად ერსა მორის; და წარრაჲვჰვლიდით, ვპო-
ვეთ განრდუეული ერთი, და ჰრქუა მან იოანეს: „მოძღუა-
რო ძრისტეანეთაო, ნუ თანა წარმჴდები მონასა შენსა, რა-
მეთუ უცხოჲ ვარ, ვითარცა თქუენვე, და ნუ თავმიდიდებ-
დე, რამეთუ არს ჩემდა ჳური და ერბოჲ მცირედ, დირს
მყავ, რათა ჩემთანა მიიღოთ საზრდელი.“ შეეწუალა იგი 245.
მოციქულსა და ჰრქუა: „დღეს შენთანა მივიდო საზრდე-
ლი და ვიხაროთ შენთანა.“

და წარრაჲველეთ, შეგუემთხჳა დედაკაცი ვინმე უცხოჲ, ტიროდა და გუკითხვიდა, ვითარმედ: „სადა არს ტაძარი აპოლონისი?“ ჰრქუა მას იოანე: „და რად ეძიებ ტაძარსა მას?“ ხოლო მან ჰრქუა, ვითარმედ: „ძჱ მხოლოდ შობილი მივის და სული არა წმიდაჲ შეუკდა და აშთობს მას; აჰა ესერა ათ ცამეტი დღე არს, და მოველ, რათა ვჰკითხო დმერთსა მას, თუ რაჲ უყო, და არა უწყი ადგილი ტაძრისაჲ, რამეთუ არა ოდეს მოსრულ ვარ ქალაქსა ამას;“ ჰრქუა მას იოანე: „მიიქეც სახედ შენდა, რამეთუ სახელითა ძრისტესითა განკურნებულარს ძჱ შენი.“ ხოლო მას ეგონა, ვითარმედ აპოლონის მდდელთა განი არს იოანე და
246. ჰრწმენა და მიიქცა რაჲ, პოვა ძჱ თჳსი განკურნებულად.

ხოლო იოანე უქადაგა მრავალთა სიტყუაჲ შეშმარიტებისაჲ, და მოვიქეცით კუალად განრღუეულისა მის და ჰრქუა მას იოანე: „აჰა, მოვედით, ვინ არს აწ, რომელმან გუმსახუროს ჩუენ?“ ჰრქუა მას გან რღუეულმან მან: „უფალნო, შრომად მოგიუვანენ თქუენ, რათა თქუენ მემსახუროთ მონასა თქუენსა.“ ჰრქუა მას იოანე: „არა, არამედ სახელითა იჳსო ძრისტეს ძისა ღუთისაჲთა შენ ადდეგ და გუმსახურენ ჩუენ!“ და უჳურა კელსა მისსა და აღადგინა იგი, და გუმსახურა ჩუენ სიხარულით და ადიდებდა ღმერთსა; და შეუვრდა მოციქულსა და ჰრქუა: „გევედრები, რათა ვითარცა კორცნი ჩემნი უკურნებელისა მისგან სენისა განჰკურნენ, ეგრეთვე სულიცა ჩემი განჰკურნო;“ და ასწავა მას ფრიად მოციქულმან და ნათელსცა სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმი-
247. დისაჲთა, და ამცნო დამარხვად მცნებათა ოჯფლისათა, რათა არა პირველსავე სენსა შთავარდეს; და ქადაგებდა იგი სახესა განკურნებისა მისისასა, და ყოველთა უკჯრდა, რომელნი ხედვიდეს მას.

ხოლო მოვიქეცით სახლსა მირონისსა და გპოვეთ შუნ როდონ, ძმის წული მისი, რომელი ევედრებოდა

მოციქულსა, რათა ჴოს იგი ქრისტეანე. და ასწავა მას მუცვარემ და ნათელსცა მას სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა.

და ხვალისა დღე განვედით ზღჳს კიდედ და ვპოვეთ მუნ ჭურიაჲ ვინმე მეშრატაკე, სახელით კაროზ; და წარმოიღო სიტყუაჲ წიგნთაგან მოსესთა იოანეს მიმართ. ხოლო მოციქული სულითა წმიდითა აჳცხნიდა მას სიტყუათა მათ წერილისათა და გამოუთარგმნიდა, ვითარმედ: „ძისა თჳს ღუთისა, და ჯუარცუმულისა და აღდგომილისა ჩადაგებდეს ყოველსა წინასწარმეტყუელნი“; ხოლო ჭუ- 248.
რიაჲ იგი ეგო ცილობასა ზედა, და უგუანაჲსკნელ იწყო სიტყუათა გმობისათა. ჰრქუა მას მოციქულმან: „და იყავნ შირი შენი?“ და მეყსეულად დაადგრა ურუდ და უტყუად; და ყოველთა რომელთა იხილეს ესე, და უკჳრდა, ვითარ სიტყუასა თანა მოციქულისასა უტყუ იქმნა, და მრავალთა ჰრწმენა ჳჯუალი.

ჰრქუა მათ იოანე: „კაცნო, რად გიკჳრს ამისთჳს, რომელმან თჳთ მოაწია თავსა თჳსსა ზედა საშჯელი: რამეთუ მგმობარნი ესრეთ განისწავლნენ!“ ხოლო დგა მუნ არეოტი ფილაფოზი, რომელი ქრისტეანე ქმნულ იყო იოანეს მიერ, და ჰრქუა მოციქულსა: „მოძღუარ, თაფლმან სიმწარე არა იცის და სძესა სიბოროტე არა აქუს!“ და წამუცვნა ფილაფოზმან ჭურიასა მას, რათა შეუვრდეს იგი მოციქულსა; და შეუვრდა რაჲ, ჰრქუა ფილაფოზმან მოციქულსა: „მამაო, რომელი შეჰკარ ჯეროვნად, განჰკსენ წუალობით!“ ხოლო მოციქულსა შეეწუალა იგი 249.
და ჰრქუა: „სახელითა იჳსო ქრისტესითა, რომლისა მიერ დაიყო შირი შენი, აღდეგ იგი კუალად“, და მეყსეულად იწყო მან სიტყუად; და ყოველთა, მუნ მყოფთა, უკჳრდა და ჰრწმენა ჳჯუალი და ევედრებოდეს მოციქულსა, რათა ნათელ სცეს მათ. და კაროზცა შეუვრდა მოციქულსა და ჰრქუა: „მოძღუარ, მრწამს, ვითარმედ მამათა ჩუენთა განა-

რისხეს ღმერთი, და მისცეს წარმართთა ცხორებაჲ მათი ქრისტე, და მეცა აწ შევსცოდე ღმერთსა და შენ, მის მიერ მოვლინებულსა, არამედ გევედრები, შემინდვე და მომეც მე ქრისტეს მიერი ბეჭედი.“ ხოლო მოციქულმან ასწავა და ნათელსცა მას და სხუათა მრავალთა სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა.

ხოლო იყო პატმოს შინა ჭალაკსა კაცი ვინმე გრძნეული, და სახელი მისი ქჳნოჳ. ესე მკუდრ იყო ადგილსა უდაბნოსა, სამკუდრებელსა სულთა არა წმიდათასა, მრა-
250. ვლით ქამითგან; და ყოველთა, მას ჭალაკისა კაცთა, ჰკუა იგი ღუთად უცნებათა მათ თჳს, რომელთა იქმოდა იგი ეშმაკთა მიერ. ხოლო მდდელთა მათ აპოლონისთა, იხილეს რაჲ, რამეთუ კადნიერებით ქადაგებდა იოანე ქრისტესა და არაჲ ევნო მთავრისა მიერ მოკრებისა თჳს ტაძრისა მის, მივიდეს იგინი ქჳნოჳისსა და ჰრქუეს მას: „მრავლით ქამით გან გუკავ შემწედ ჩუენდა, ქჳნოჳ წმიდაო, და აწ გევედრებით, რათა შეგუეწიო ჭირსა ამას, მოწევნულსა ჩუენ ზედა იოანეს მიერ უცხოჲსა, აქა ექსორია ქმნილისა: რამეთუ გრძნებისა კელოვნებითა შეკრნა თავნი ქალაქისა ჩუენისანი და მისსა მიიდრიკნა, და მათითა მინდობითა დიდსა უწესოებასა იქმს,

„და დიდი ტაძარი აპოლონისი დაარღჳა და მოუკედით მის თჳს მთავარსა და ბრძანა მისი დილეგსა შეგდე-
251. ბაჲ. და მირონ და აპოლონიდი განტევებად სცეს, და სახელი შენი არღარა იკსენების, არამედ ყოველნი მას შეუდგეს. აწ უკუჱ გევედრებით, შემოედ ქალაქად და შეგჳწყალენ ჩუენ.“

ჰრქუა მათ ქჳნოჳ: „თქუენ უწყით, ვითარმედ არა გამოსრულ ვარ ამის ადგილისაგან, და აწ არა გამოვალ უნდოჲსა კაცისა თჳს, არამედ ხვალე მივავლინო ანგელოზი უწყალოჲ და გამოიყვანოს სული მისი და მოგუაროს, რათა მივსცე იგი სატანჯველად საუკუნოდ!“ და

დავარდეს მღდელნი იგი და თაყუანისსცეს მას და წარ-
ვიდეს. და ხვალისა დღეს მოუწოდა ქჳნოჳ ერთსა მთა-
ვარსა ბოროტთა ეშმაკთასა და ჰრქუა: „წარვედ სახლსა
მირონისსა და დააბრმე იოანე ექსორია ქმნული და გა-
მოიყვანე სული მისი და მომგუარე, რათა ვსაჯო, ვითარ-
ცა მნებავს“. და მოიწია ეშმაკი იგი სახლსა მირონისსა.
ხოლო იოანე ჯდა ადგილსა ერთსა მხოლოჲ დაყუდებით 252.
და შექცეულ იყო ხედვათა მათ მაღალთა. და მიიწია ეშ-
მაკი მას ადგილსა; ხოლო იოანე ცნა სულითა და ჰრქუა
მას: „გამცნებ სახელითა იჳსო ქრისტესითა, რათა ვერ
განხჳდე ადგილისა ამისგან ვიდრემდის მითხრა, თუ რად
მოხუედ აქა?“ და მეუსეულად დადგა ეშმაკი იგი შეკრული
სიტყჳთა იოანესითა და თქუა: „მღდელნი აპოლონისნი
მოვიდეს ქჳნოჳისსა და მრავალი ბოროტი თქუეს შენ
თჳს, და ევედრნეს, რათა მოვიდეს ბრძოლად შენდა, ხო-
ლო მან არა თავსიდვა ამისი ქმნაჲ, არამედ მე მომავლი-
ნა, რათამცა მოგგკალ შენ და მივჰგუარე მას სული შე-
ნი!“ და ჰრქუა მას იოანე: „და წარვლინებულცა ხარ მის
მიერ და გამოგიუვანებიეს სული კაცისაჲ და მიგიგურია მი-
სდა?“ ჰრქუა მას ეშმაკმან: „წარვლინებულ ვარ და მომი-
კლავს კაცი, ხოლო მიარამიგურია მისდა სული!“ ჰრქუა
მას მოციქულმან: „და რად ჰმოჩილობთ მას?“ ჰრქუა მას 253.
ეშმაკმან: „ყოველი ძალი დიდისა სამაელისი მის თანა მკჳ-
დრ არს, და ადთქუმაჲ უქმნიეს და ერთობაჲ ყოველთა
მთავართა ჩუენთა თანა, და ისმენს იგი ჩუენსა და ეგრე-
თვე ჩუენ ვისმენთ მისსა!“

ჰრქუა მას იოანე: „ისმინე, სულო უკეთურო, გიბრძა-
ნებს იოანე, მოციქული იჳსო ქრისტეს ძისა ღუთისაჲ, რა-
თა ვერდარა მიეახლო შენ კაცსა, არცადა მიიქცე ქჳნო-
ჳისსა, არამედ განედ სრულიად ამის ჭალაკისაგან?“ და გან-
ვიდა ეშმაკი იგი ჭალაკისა მისგან.

ხოლო იხილა რაჲ კჳნოჳ, რამეთუ არა მოვიდა ეშმა-

კი იგი, მოუწოდა სხუასა ეშმაკსა და ჰრქუა მას, რაჲ იგი პირველსა მას ჰრქუა, და წარავლინა. და მორაჲ ეახლა იოანეს, ჰრქუა მას მოციქულმან: „რად მოხუედ აქა?“ ჰრქუა მას ეშმაკმან: „ჯნოჳ მოავლინა ერთი მთავართა ჩუენთა განი,
254. რათამცა მოგაკუდინა შენ და არდარა მოიქცა იგი. და აწ კუალად მე მომავლინა მისვე პირისათჳს!“ ჰრქუა მას მოციქულმან: „გიბრძანებს სახელითა იჳსო ქრისტესითა, რათა არდარა მიაქციო მუნ, არამედ განჰჯდე სრულიად შვალაკისა ამის გან?“ და განვიდა იგიცა პატმოჲთ. ხოლო იხილა რაჲ ჯნოჳ, ვითარმედ არცა იგი მოვიდა, მოუწოდა ორთა ეშმაკთა ფიცხელთა და ჰრქუა: „წარედით იოანესა და მოაკუდინეთ იგი? გარნა ორნივე ნუ შეხუალთ მისსა, არამედ ერთი შეედინ და ერთი გარე დადეგინ და ისმენდინ, თუ რაჲძი იქმნას!“ მოიწინეს უკუჱ ორნივე და ერთი დადგა გარე, და ერთი შევიდა იოანესა. ხოლო ცნა იოანე სულითა და ჰრქუა მას: „რად მოხუედ სახლსა ქრისტეანეთასა, არა წმიდაო ეშმაკო?“

ჰრქუა მას ეშმაკმან მან: „ჯნოჳ ორნი მთავართა ჩუენთა განნი მოავლინა მოკლვად შენდა და არცაღა ერთი
255. მოიქცა მისა; და აწ მოგუავლიინნა ორნი, მე და ერთი სხუაჲ, და გუამცნო, ვითარმედ: ერთი შეედინ მისა და მეორე დეგინ გარე და ისმენდინ, თუ რაჲ იქმნას!“ ჰრქუა მას მოციქულმან: „გამცნებ სახელითა იჳსო ქრისტესითა, რათა არდარა მიიქცე ჯნოჳისსა, არამედ განჰჯდე ამის შვალაკისა გან?“ და მეყსეულად წარვიდა იგი.

ხოლო იხილა რაჲ მეორემან მან, რომელი დგა გარეშე, ვითარ ექსორია კო მოუუასი მისი მოციქულმან, ივლტოდა მიერ და მივიდა ჯნოჳისსა და მიუთხრა საქმე იგი; მაშინ ჯნოჳ ალივსო გულისწყრომითა, და მოუწოდა სიმრავლესა ეშმაკთასა და ჰრქუა მათ: „აჰა ესერა, მოუუასნი თქუენნი ექსორია უვნა იოანე, და ბოროტი მოწევნად არს მის მიერ ჩუენ ზედა, და ჯუაწლი დიდი წინა გჳც; არა-

შედ მოვედით და ყოველნი შევიდეთ ქალაქად, და თქუენ
იყვენით ადგილსა ერთსა, რათა იქმოდით, რაჲცა მიკმდეს, 256.
ხოლო მე შევიდე და აღვძრა ერი და მოვაკლვიო იგი.“

და აღიხუნა ჰკნოჳ ეშმაკთა იგი გუნდნი და მოიწია
ქალაქად და დაუტევნა ყოველნი გარეგან ქალაქისა, და
სამნი ოდენ შემოიყვანნა თანა და შემოვიდა ქალაქად. და
შეკრბა ყოველი ქალაქი მისა და თაყუანის სცემდეს მას:
რამეთუ არაოდეს შემოსრულ იყო ქალაქად, და ყოველთა
მიუგებენ, რაჲცა ვინ ჰკითხის.

და მრქუა მე მოციქულმან: „შვილო პროხორე, ახოვ-
ნად თავსიდევ და ნუ სულმოკლე იქმნები, რამეთუ ჰკნოჳ
ჭირისა მოწევნად ჩუენ ზედა ისწრაფვის!“ და შემოკრბეს
ყოველნი ძმანი, რომელნი ქრისტეანე იყვნეს, სახლსა მირო-
ნისსა ჲ ასწავლიდა ყოველთა მოციქული. ჲ დავყავთ სახლ-
სა შინა ათი დღე და არა განვედით ქალაქად. და ევედრებო-
დეს ძმანი იოანეს, ვითარმედ: „შეოთი დიდი არს ქალაქსა
შინა და ნუ განხუალ მუნ!“

ჰრქუა მათ იოანე: „სულგრძელ იქმნენით, შვილნო, და
იხილოთ ძალი ღუთისაჲ, რამეთუ, ვითარცა აწ შეკრებულ 257.
არს ყოველი ქალაქი და უკჳრს სიტყუათა თჳს ჰკნოჳისთა,
ეგრეთვე შეკრბენ და უკჳრდეს წარწყმედასა ზედა
მისსა.“

და მრქუა მე: „აღდეგ, შვილო, და განვიდეთ ქალაქად?“
და განვედით და დავსხედით ადგილსა ერთსა; და შემო-
კრბა ერი მრავალი და იწყო იოანე სწავლად მათდა. ხო-
ლო ესმა რაჲ ჰკნოჳს, ვითარმედ იოანე ასწავებს, მოიწია
მუნ და, იხილა რაჲ ერი იგი, ვითარმედ ყოველნი ისმენდეს
იოანეს სიტყუათა, აღივსო გულისწყრომითა და ჰრქუა
მათ: „კაცნო ბრმანო და შეცთომილნო, ისმინეთ სიტყუაჲ
ჭეშმარიტებისაჲ! უკუეთუ მართალი არს იოანე და კეთილ
არიან სიტყუანი მისნი, უავნ რაჲ ვთქუა და მეცა მრწმენეს
მისი.“ უშურა ჭაბუკსა ერთსა და ჰრქუა: „ცოცხალარსა

მამაჲ შენი ანუ მოკუდა?“ ჰრქუა მას ჭაბუკმან მან: „მოკუდა.“
258. ჰრქუა მას ძჯნოჳ: „რომლითა სიკუდილითა?“ ჰრქუა მას ჭაბუკმან მან: „მენავე იყო და ზღუასა შინა დაინთქა.“

მაშინ ძჯნოჳ ჰრქუა იოანეს: „აჰა აწ გამოაჩინე, უკუეთუ ჭეშმარიტსა იტყჳ და აღმოიყვანე მამაჲ ამის ურმისაჲ ზღჳთ და წარმოგჳდგინე ცხოველად?“ ჰრქუა მას იოანე. „არა მოუვლენიე მე ქრისტესა მგუდართა აღდგინებად, არამედ მომავლინა მე სწავლად კაცთა შეცთომილთა!“ მაშინ ძჯნოჳ ჰრქუა ერსა მას: „აწცა არა გრწამსა, კაცნო, ვითარმედ მაცთური არს იოანე და გაცთუნებს თქუენ? აწ უკუჱ შეიჳართ ეგე, ვითარმედ მე აღმოვიყვანო ამის ურმისა მამაჲ ზღჳთ და ცხოველი წარმოგიდგინო!“ და შეიჳურნეს ერთა მათ იოანე, და მივედით ზღჳს კიდედ: და განიჳურნა ძჯნოჳ კელნი და შეიტყუელნა და იქმნა კმაჲ დიდი, ვიდრემდის ყოველთა შეეშინა, და უჩინო იქმნა თუალთაგან ყოველთაჲსა, და კმა ყვეს ყოველთა: „დიდ ხარ, ძჯნოჳ, და
259. არაჲ ვინ არს სხუაჲ შენსა გარეშჱ!“ და მეყსეულად აღმოვიდა ძჯნოჳ ზღჳთ და ჴყვა ეშმაკი ერთი სახითა მამისა მის ურმისაჲთა; და იხილეს ყოველთა და უკჯრდა რაჲ, და ჰრქუა ძჯნოჳ ჭაბუკსა მას: „ესე არსა მამაჲ შენი?“ ხოლო მან ჰრქუა: „ჰჳ, ოჳფალო, ეგე არს!“ ჲ ყოველთა თაყუანისსცეს მას. და უნდა ერსა მას მოკლვაჲ იოანესი.

ხოლო ძჯნოჳ ჰრქუა მათ: „აცადეთ წუთ ერთ, რათა უზეშთაესნი სასწაულნი უჩუენნე და მერმე იტანჯოს ბოროტად!“ ხოლო მოუწოდა ძჯნოჳ სხუასა კაცსა და ჰრქუა მას: „გივის ძჳ?“ ხოლო მან ჰრქუა მას: „ჰჳ, ოჳფალო, მესუა და შურიითა სხუამან მოკლა იგი.“ ჰრქუა მას ძჯნოჳ: „აღდგეს ძჳ შენი?“ და კმა უო ძჯნოჳ და მოუწოდა სახელით ძესა მისსა და რომელსა მოეკლა იგი, და მეყსეულად წარმოდგეს ორნი ეშმაკნი: ერთი სახითა ძისა მისისაჲთა ლ მე-
260. ორე სახითა მკლველისა მისისაჲთა; და ჰრქუა მას ძჯნოჳ: „ესე არსა ძჳ შენი?“ ხოლო მან ჰრქუა მას: „ჰჳ, ოჳფალო,

ეგე არს ძე ჩემი და ეგე, რომელმან მოკლა იგი.“ ჰრქუა ჯუნოჳ Იოანეს: „რად გიკჳრს, Იოანე?“

ჰრქუა მას Იოანე: „მე ამათ საქმეთა თჳს არა მიკჳრს, ცუდად სტყუი!“ ჰრქუა მას ჯუნოჳ: „უკუეთუ არა გიკჳრს, სხუანი უზჱშთაესნი საქმენი ვქმნე, რათა და გიკჳრდეს, რამეთუ, უკუეთუ არა განგაკჳრვო სასწაულთა მიერ, არა შეგინდობ სიკუდილად!“ ჰრქუა მას Იოანე: „სასწაულნი შენნი შენ თანა დაიკსნენ და წარწყმდენ ადრჱ!“

Ესმა რაჲ ესე ერსა, ჰრქუეს Იოანეს: „რად იტყჳ გმობათა დიდისა ჯუნოჳის თჳს?“ და ზედა მიუკდეს, ვითარცა მკეცნი, Იოანეს ჴ დააკუეთეს იგი ქუეყანად ჴ გუემეს უწჳალოდ, ვიდრე იქმნა ვითარცა მკუდარი; და ჰგონებდა ჯუნოჳ, ვითარმედ მოკუდა, ჰრქუა ერსა მას: „დაუტევეთ ეგე დაუმარხველად, რათა მფრინველთა შეჭამონ ეგე და ვიხილოთ, თუ 261.
მოძივდეს ძრისტე და ადადგინოს იგი!“ და დაუტევეს Იოანე და წარვიდეს ჯუნოჲის თანა სიხარულით და აქებდეს მას.

ხოლო მეორესა საკუმილავსა დამისასა მივეახლე მას და მრქუა მე, ვითარმედ: „შვილო პროხორე!“ და მე ვარქუ ცრემლით: „რაჲ არს, ოჯოჳალო!“ და მან მრქუა მე: „წარედ სახლსა მირონისსა, რამეთუ ძმანი მუნ შეკრებულარიან და არქუ, ვითარმედ: „Იოანე ცოცხალ არს და არაჲ შჯირს, და შენ კუალად მოედ აქა.“ ხოლო წარვედ რაჲ, ვპოვენ ყოველნივე სახლსა მირონისსა და იგლოვდეს Იოანეს თჳს; და შერაჲვედ შინა, და უკჳრდა, რამეთუ ჩემსაცა სიკუდილსა ჰგონებდეს; ხოლო მე ვარქუ მათ: „ნუ სწუხთ, ძმანო, არამედ იხარებდით Ოჯოჳლისა მიერ: რამეთუ მოძღუარი ჩუენი ცოცხალ არს და მან მომავლინა.“

Ესმა რაჲ მათ, ვითარმედ ცოცხალ არს, სხუაჲ არდა- 262.
რაჲ მკითხეს, არამედ ადდგეს და შემოჰიდგეს მე. და მივედით სადა იყო Იოანე და ვპოეთ იგი: რამეთუ დგა და ილოცვიდა; და შემდგომად ლოცვისა მოიკითხნა ყოველ-

ნი და ყოველთა ცრემლით მოიკითხეს იგი სიხარულისაგან და ადიდებდეს ღმერთსა. და ჰრქუა მათ მოციქულმან: „იხილეთ, ძმანო, ნუ უკუე ვინმე სცთეს საქმეთა თჳს ძჯნოჳისთა, რამეთუ ყოველსა უცნებით იქმს!

„სულგრძელ უკუე იქმნენით და დასხედით სახლსა მირონისსა და იხილოთ ძალი ძრისტესი.“ და სხუაჲ მრავალი ასწავა მათ და ნუგეშინისცა და მოიკითხნა და განუტევნა.

263. და ხვალისა დღე გჳხილნეს ვიეთმე ადგილსა, რომელსა ეწოდებოდა „ქვის სატყორც“, და წარვიდეს და მიუთხრეს ესე ძჯნოჳს; ხოლო მან მოუწოდა ეშმაკსა მას, რომლისა მიერ იქმოდა მკუდართა მისნობასა და ჰრქუა მას: „განემზადე ძლიერად, რამეთუ Ioანე ცოცხალ არს!“ და წარმოიუვანა ეშმაკი იგი მის თანა და მოვიდა, სადა ჩუენ ვიუვენით, და ერი მრავალი შეუდგა მას; და ჰრქუა მან Ioანეს: „ამის თჳს დაგიტევე შენ ცოცხლად, რათა უმეტესი სირცხჳლი მოგატუუა;

„აწ უკუე მოვედ ზჳსს კიდედ და იხილო ძალი ჩემი და გრცხუენეს!“ და ჰრქუა ერსა: „შეიპყართ ეგე, რათა უჩუენო ძალი, უმეტესი პირველისა, და მერმე მივსცე ეგე საშჯელსა!“ და შეიპურეს Ioანე, და მიუვიდით ზჳსს პირად, სადა იგი პირველნი უცნებანი ექმნეს, და ვითარ მუნცა ერი ფრიადი; და იხილეს რაჲ ძჯნოჳ, საკუმეველითა მოეგებვოდეს მას და თაყუანისსცეს; და თანა იუვნეს სამნიცა იგი ეშმაკნი, რომელნი სახედ მკუდართა მათ იუვნეს.

264. და ჰრქუა ძჯნოჳ ერსა მას: „ნუ განუტეობთ მაგას, ნუცა ვინ თქუენგანი წარვალს აქაჲთ, ვიდრემდის მოვიდე მე დიდებით!“ და შეიტყუენა კელნი და შთაიგდო თავი თჳსი ზჳსად, და იქმნა უჩინო, და ყოველთა კმა უვეს: „დიდ ხარ, ძჯნოჳ, და არა ვინ არს შენსა გარეშე!“

ხოლო Ioანე დასწერა ჯუარი და განიშურნა კელნი, ილოცა და თქუა: „ღმერთო მამაო ტჳფლისა ჩუენისა იჯსო

ქრისტესო, რომელმან ამით სახითა მოსეს ზე ამალლეგი
უგუნ აქციე, აწცა დაანთქ მაცთური ძჯნოვ უფსკრულთა
ზღჯსათა. და ნუღარამცა უხილავს მზჱ ესე, ნუცამცა შე-
რაცხილ არს ცხოველთა კაცთა თანა!" და მეესეულად იქ-
მნა ოხრად ზღჯსად და მოქცევი ადგილსა მას, სადა შთა-
ვარდა კჯნოვ, და არღარა აღმოვიდა იგი ზღჯთ; ხოლო
Იოანე ჰრქუა სამთა მათ ეშმაკთა, რომელნი, ვითარცა მკუ-
დრეთით აღდგომილად შერაცხილ იყჳნეს, ვითარმედ: „გამც-
ნებ სახელითა Იჯსო ქრისტესითა, რათა განხჯდეთ ამის ჭა-
ლაკისაგან?" და მეესეულად უჩინო იქმნნეს იგინი.

ხოლო იხილა რაჲ ერმან მან, ვითარმედ სიტყუასა
მისსა თანა წარწყმდეს, გან რისხნეს Იოანეს თჯს, და უფ-
როჲსად: რომელი იგი ჰგონებდა, თუ მამაჲ მისი არს, და 265.
რომელსა იგი უჩნდა, თუ ძჱ მისი არს, და ერთი იგი ეტ-
ყოდა: „მაცთურ, მომეც მამაჲ ჩემი?" და მეორე იგი ეტყო-
და: „მომეც ძჱ ჩემი?" და ყოველნი ეტყოდეს, ვითარმედ:
„უკუეთუმცა კეთილი კაცი იყავ, შენმცა წარწყმედულნი შე-
მოჰკრიბენ, ხოლო აწ, რომელნი დიდსა ძჯნოვს აღედგინ-
ნეს, იგინიცა წარსწყმიდენ!"

და ენება მოკლვაჲ მისი; და სხუათა ჰრქუეს, ვითარმედ:
„ველოდით, ვიდრემდის დიდი ძჯნოვ აღმოვიდეს!" და დგეს
ზღჯს კიდესა მას სამდღჱ და სამღამჱ დედებითურთ და ყრმე-
ბით სიტყჳსა თჯს ძჯნოვისა, და კმობდეს: „დიდო ძჯნოვ,
გუეწიე!" და იყო სიცხჱ და შემჭირდა ერსა მას: და კმა-
თა მათგან და სიცხისა და სიუზმისა სამნი ურმანი მოკუდეს.
ხოლო Იოანე შეწუხნა სიფიცხესა ზედა გულთა მათთაჲსა,
და ცრემლით იღოცა და თქუა:

„შემოქმედო ყოვლისა სულისაო და მომცემელო ცხო- 266.
რებისო, Იჯსო ქრისტე, მოდრიკე გული ერისაჲ ამის, რა-
თა არა წარწყმდენ." და იწყო სწავლად მათდა და ეტყო-
და: „კაცნო ძმანო, ისმინეთ ჩემი: აჰა აწ მეოთხე დღე არს,
ვინაჲთგან სდგათ სიცხესა ამას და ელით წარწყმედად

წარსრულსა; გევედრები, წარედით აწ უკუჱ სახედ თქუენდა და მიიღეთ საზრდელი, რამეთუ ჯჯნოჳ თუალთა თქუენთა უკუნისამდე არღარა იხილონ; არცა რომელთა ჰგონებდით, თუ მკუდრეთით აღადგინნა: რამეთუ ეშმაკნი სახედ წარსრულთა მათ მოეყვანნეს მას.“

და ესე რაჲ თქუა, მივიდა მოიმკუდართა მათ ურმათა ზედა და თქუა: „რომელი უკუანაჲსკნელითა მით საუკრითა განაღჯებ საუკუნითგანთა დაძინებულთა, იჳსო ძრისტე, მომმადლენ სულნი სამთა ამათ ურმათანი, რათა იდიდოს სახელი შენი ერსა ამას ზედა.“ და მეცხეულად აღდგეს მკუდარნი იგი; და იხილეს რაჲ კაცთა მათ საქმე იგი, მოვიდეს გონებასა თჳსსა და შეუვრდეს იოანეს და თქუეს: „აწ
267. უწყით, რამეთუ ვსცთებოდეთ, რამეთუ შენ ხარ ჭეშმარიტებისა მოციქული.“

ხოლო მოციქული ხედვიდა მათ ჭირვეულად, ჰრქუა: „წარვედით თითოეული სახიდ თქუენდა და მე წარვიდე სახლსა მონისა ღუთისა მირონისსა, და ხვალე მოედით და გასწაო თქუენ.“ და ულოცა მათ და განუტევნა; ხოლო ჩუენ შევედით სახლსა მირონისსა, და იქმნა მუნ სიხარული დიდი და ყოველთა ნუგეშინის სცა მოციქულმან სიტყუათა მათ სულისა წმიდისაჲთა; და დაგვგეს ტაბლაჲ და მივიღეთ საზრდელი და ვჭმადლობდით ღმერთსა. და ხვალისა დღე ერი ფრიადი შემოკრბა კართა ზედა, და განვიდა მოციქული რაჲ, ყოველნი ეტყოდეს მას: „შენ ხარ კეთილის მყოფელი სულთა ჩუენთაჲ, შენ ხარ, რომელი განგუანათლებ უკუდავითა მით ნათლითა.“

ხოლო იოანე ჰრქუა მათ: „მე, ძმანო, კაცი ვარ თქუენებრი უძლური, ხოლო მომავლინებელი ჩემი, იჳსო ძრისტე ძჱ ღუთისაჲ, იგი არს ჭეშმარიტი მაცხოვარი და განმანათლებელი სულთა მორწმუნეთა მისთჳს: მას შეეწუალა კაცთა ნათესავი, უფსკრულსა უმეცრებისასა დათქმული
268. და საცთურითა ეშმაკისაჲთა ცთომილი, სათნო იყო გარდა-

მატებულითა სახიერებითა განკორციელებაჲ ქალწულისაგან წმიდისა, და თავს იდვა ჯუარცუმაჲ და სიკუდილი, რათა დაჰკსნას იგი; და ჯოჯოხეთი წარმოტყუენა და სიკუდილი მოაკუდინა, და სულნი განათავისუფლნა, და აღდგა მესამესა დღესა, და ჩუენ, მოწაფენი, წარგუავლინნა ქადაგებად სუფევისა მისისა ყოველსა სოფელსა, და მოგუცა კელმწიფებაჲ ეშმაკთა ზედა, და კურნებად სენთა და ქმნად სასწაულთა სულითა წმიდითა, ვითარცა ხედავთ, რათა ესრეთ წარმართთა ჭრწმენეს და მოიქცენ ჭეშმარიტისა ღუთისა; და თქუენ, ჯ შვილნო, ნუ დაამძიმებთ ყურსა გულთა თქუენთასა, არამედ ივლტოდეთ საცთურისაგან ჳნათელსა ჭეშმარიტებისსა მიეახლენით." და მრავლითა სიტყჳთა ასწავლიდა მათ და ნუგეშინის სცემდა.

მრავალთა უკუე ჭრწმენა მას დღესა და ნათელიღეს სახლსა მირონისსა. ხოლო იყო ჭურიაჲ ვინმე სახელით Ფილონ, რომელმან იცოდა შჯული წიგნისაებრ, და ესუა 269.
ცოლი კეთროვანი; და იწყო სიტყუაჲ Იოანეს თანა წიგნთა გან მოსესთა, ხოლო Იოანე სულიერად გამოუთარგმნიდა ყოველსა; არამედ იგი წერილისაებრ გულის ხმა ჰყოფდა და ძალსა მათ სიტყუათასა არა ირწმუნებდა, არამედ აცილობდა; და ორსა დღესა დილეულით გან ვიდრე მწუხრადმდე ეტყჳნ და ვერ დაარწმუნა, ხოლო მესამესა დღესა, იხილა რაჲ Ფილონ განგიცხებული, ჰრქუა მას მოციქულმან: „Ფილონ! წმიდათა წერილთა გულისხმისყოფასა გული წმიდაჲ უკმს და არა სიმრავლე სიტყუათაჲ!" და დაუტევა იგი და ენება წარსლვად.

Და მეუსეულად მოჰგუარეს კაცი მკურვალებითა შეპყრობილი მძაურითა, ჳ ევედრებოდეს, რათა განკურნოს იგი; ხოლო მოციქული მიეახლა მას და ჰრქუა: „სახელითა Იჳსო Ქრისტესითა აღდეგ და წარვედ სახედ შენდა!" და მეუსეულად განიკურნა იგი და აღდგა და თაყუანისსცა მას და წარვიდა სახიდ თჳსა და ადიდებდა ღმერთსა. 270.

იხილა რაჲ ესე ფილონ, უშურა კელი იოანეს და ჰრქუა: „მოძღუარ, რაჲ არს სიუარული?“ ჰრქუა მას იოანე: „სიუარული ღმერთი არს, და რომელსა აქუნდეს სიუარული, ღმერთი აქუს.“ ჰრქუა მას ფილონ: „აწ უგუჶ ქმენ სიუარული და შემოედ სახლსა ჩემსა და ვჭამოთ პური და იყოს ღმერთი ჩუენ თანა;“ და შეუდგა იოანე, და შერაჲ ვედით სახლსა მისსა, განწმდა ცოლი მისი გეთრისაგან; და იხილა რაჲ ესე ფილონ, ჭრწმენა, შეუვრდა იოანეს და ჰრქუა: „მოძღუარ, გაფუცებ ღმერთსა, ნუ განჭრისხნები ჩემ ზედა სიტყუათა მათ თჳს, რომელთა ვიტყოდე ცილობად სალთოჲსა სწავლისა შენისა, არამედ მომეც მე და მეუღლესა ჩემსა ქრისტეს მიერი ბეჭედი!“ ხოლო მოციქულმან ასწავა მათ და ნათელსცა ყოვლით სახლეულით მისითურთ. და დავუვენით მუნ დღენი რავდენნიმე, და განვედით სახლისა გან მისისა და მივედით ზღჳს კიდედ; და შემოკრბა ერი ფრიადი, და ასწავლიდა მათ იოანე; და
271. მოვიდეს მუნ მდდელნი იგი აპოლონისნი, რომელნი მივიდეს ძჯნოპისსა იოანეს თჳს; და ჰრქუა ერთმან მათ განმან გამოცდით: „მოძღუარ, ძს მივის და მკელობელი არის ორითავე ფერკითა, განკურნე და მეცა მრწმენეს ჯუარცუმული!“ ჰრქუა მას იოანე: „უგუეთუ გრწმენეს ქრისტე, განიკურნოს ძჯ შენი.“ ხოლო მან ჰრქუა: „პირველად განკურნე და მერმე მრწმენეს!“

ჰრქუა მას იოანე: „ნუ გამოსცდი გამოუცდელსა მას, რამეთუ აჰა ესერა სახელითა ქრისტესითა იყო შენცა დავრდომილ ორთავე ფერკთაგან!“ და მეყსეულად დაეკსნნეს ნასხმანნი ფერკთანი და დაეცა ქუეყანასა ზედა; და ჰრქუა იოანე მეორესა მდდელსა: „წარვედ, უჩუენე ძჯ მაგისი მოწაფესა ჩემსა!“ ხოლო მე წარვედ და ვარქუ მას: „ბრძანებს იოანე, მოციქული ქრისტესი, ვითარმედ აღდეგ და მოვედ ადრე აქა?“ და აღდგა და შემოიდგა და მოვიდა და თაყუანისსცა მოციქულსა.

ხოლო მამამან მისმან, იხილა რაჲ, ვითარმედ ძლ მისი განიკურნა, ღაღადყო და თქუა: „შემიწყალე, მოწაფეო ქრისტესო!“ ხოლო იოანეს შეეწყალა იგი, მიეახლა და 272.
დასწერა ჯუარი, და მეყსეულად აღდგა და ყოველთა უკჯრდა, და მრავალთა ჭრწმენა, და ნათელიღო მან, და ძემან მისმან, და ყოველმან სახლეულმან მისმან. და განვედით ადგილსა, რომელსა ეწოდების „დომეტიაჲ,“ და ასწავლიდა იოანე ერსა; და იყო მუნ კაცი ერთი, ვინმე წულით მანკიერი, რომელსა ზრახვაჲცა ვერ ეძლო, ხოლო ითხოვა ქარტაჲ და მოუწერა მოციქულსა ესრეთ: „მოციქულსა და მოწაფესა ქრისტესსა საწყალობელი ესე გეეედრები, შემიწყალე და აღმადგინე უძლურებისაგან ჩემისა!“

ხოლო მოციქულმან წარიკითხა რაჲ, შეეწყალა და მიუწერა ესრეთ წულით მანკიერსა მას: „იოანე, მოციქული ქრისტესი, მოგიწერ: სახელითა მამისა და ძისა და სულისა წმიდისაჲთა განიკურნე!“ და აღმოიკითხა რაჲ უძლურმან მან წიგნი იგი, მეყსეულად აღდგა მრთელი, ვითარმცა არაჲ ოდეს შჭირვებოდა; ხოლო ერმან მან კმაყო: „დიდ არს ღმერთი იოანესი, რომელი იქმს საკჳრველთა!“ და მრავალთა ნათელ იღეს და მანცა, რომელი განკურნებულ იყო. 273.

ხოლო მათ დღეთა მეუღლე მთავრისაჲ მიეახლა შობად და განუძნდა შობაჲ და იგუემებოდა სამდღე და მიეახლა სიკუდილად; და მიუმცნო მთავარმან იოანეს: „კაცო ღუთისაო, მსწრაფელ მოვედ აქა და შეგჯწყალენ ჩუენ!“ და წარვიდა იოანე; მიეახლა რაჲ სახლსა მას, შვა დედაკაცმან მან; ხოლო ჰრქუა მთავარმან იოანეს: „მოძღუარ, აკურთხე სახლი ჩუენი?“ ჰრქუა მას იოანე: „უკუეთუ გრწმენეს ქრისტე, იყოს ცხორებაჲ სახლისა შენისაჲ.“ ჰრქუა მას მთავარმან მან: „მრწმენა და მრწამს მომავლინებელი შენი ღმერთი;“ და ას-

წავა მას მოციქულმან და ნათელსცა სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა.

ხოლო მთავარმან მოართუა საფასე ფრიადი იოანეს და ჰრქუა: „მიიღე ესე, მამაო, შვილისაგან შენისა და აკურთხე სახლი ჩემი!“ ჰრქუა მას იოანე: „წარვედ და განუკაც ეგე გლახაკთა და იყოს სახლი შენი კურთხეულ!“ და დავყავთ მუნ სამი დღე და განვედით და მივედით სახლსა მირონისსა, და შეკრბა მუნ ერი ფრიადი და ასწავლიდა
274. მათ მუცვარ ქამ; და დაადგინნა ხუცესნი, და აღასრულა ქამის წირვაჲ და აზიარნა უოველნი წმიდათა მათ საიდუმლოთა, და განტეხა პური და მიიღო საზრდელი, და შეჰვედრნა იგინი ოჯოფალსა. და განვედით ქალაქისა მისგან

და შევედით მირონოსე ქალაქსა, იყო თჳსთავი ლოოზ თჳსაჲ; და მივედით ადგილსა ერთსა, სადა იგი შეკრებულ იუვნეს თავნი იგი მის ქალაქისანი, და ურმაჲ შებორკილებული მდებარე ქუეყანასა ზედა, და ჰკითხა იოანე ვისმე მუნ მდგომარესა, ვითარმედ: „რაჲ არს მიზეზი შებორკილებულისა ამის ურმისაჲ?“ ხოლო მან ჰრქუა: „უოვლისა თჳსთავსა შეიპურობენ ურმასა ერთსა ანუ ჭაბუკსა და შესწირვენ მას მსხუერპლად ქველის მოქმედისა მის მგლისა.“ ჰრქუა მას იოანე: „და რაჲ არს მგელი იგი?“ ჰრქუა მას კაცმან მან: „მეოთხესა ქამსა მოვლენ მდდელნი და წარიყვანებენ ურმასა მას და უოველნი შეუდგან მათ, და უკუეთუ
275. შეუდგე მათ, იხილო მგელი იგი;“ ჰრქუა მას იოანე: „გხედავ შენ კაცსა გონიერსა და უკუეთუ მიჩუენო მგელი იგი, მიგცე ნიჭი დიდი ამის საქმისა თჳს!“ ხოლო მან გჳქადა ამისი ქმნაჲ.

და მირაჲ ვედით ადგილსა მას, ვიტყოდეთ რაჲ კაცისა მის თანა, აჰა ესერა გამოვიდა მდინარით ეშმაკი იგი, რომელსა ეწოდებოდა მგელი, შემკული თითო სახითა ფერითა, და ჰრქუა მას იოანე: „შენ გეტყჳ, სულო უკეთურო!“ და მეყსეულად დადგა ეშმაკი იგი, და ჰრქუა მას მოცი-

ქულმან: „რაოდენი წელი გაქუს ამას ადგილსა?“ ჰრქუა მას ეშმაკმან: „ასსამეოცი წელი.“ ჰრქუა მას Iოანე: „გამცნებ სახელითა Iჯსო ქრისტესითა განსლვად ჭალაკისა ამისგან და უდაბნოთა უვალთა შინა ყოფად?“ და მეყსეულად უჩინო იქმნა იგი თუალთაგან ჩუენთა; და იხილა რაჲ კაცმან მან საქმე ესე, შეუვრდა მოციქულსა და ჰრქუა: „გევედრები შენ, მითხარ, თუ ვინ ხარ შენ, რომელ დმერთთა უბრძანებ და ძრწოლით გმოჩრილობენ შენ!“ ჰრქუა მას მოციქულმან: „მე ვარ Iოანე, მოციქული Iჯსო ქრისტესი, ჲ ესე, რომელსა მგლად უწესთ, სული არს უკეთური, წარმწყმედელი კაცთაჲ; და მოვალინა მე ქრისტემან, რათა ეშმაკნი განვდევნნე, ჲ კაცთა ვასწაო გზაჲ ჭეშმარიტებისაჲ; ხოლო კაცმან მან ჰრქუა: „კაცო ღუთისაო, გევედრები, რათა მოო მეცა მონა ქრისტესა.“ 276.

და ასწავა მას მოციქულმან სარწმუნოებაჲ მართალი და ნათელსცა მდინარესა შინა, და ვიდრეღა იგი სიტყუა სულისა წმიდისაჲთა განამტკიცებდა მას, აჰა ესერა მდდელნი იგი სიცრუისანი მოვიდეს, და ჰუვა მათ თანა ურმაჲ იგი; ხოლო პირველ ეშმაკი იგი ეჩუენებოდა საშინლად და ეკრე დაკლიან ურმაჲ იგი; ხოლო მაშინ, მოვიდეს რაჲ, განემზადნეს დაკლვად, მოელოდეს ეშმაკისა მის გამოჩინებასა; და მიეახლა მათ Iოანე და ჰრქუა: „კაცნო, ეშმაკისა მიერ ცთომილნო! რომელი იგი თქუენ ღუთად გუგა, ეშმაკი, მე განვდევნე ჭალაკისა ამის გან სახელითა ღუთისა ჩემისაჲთა! რაჲსა თჳს უკუჱ ცნობა მიჰებულ ხართ? განკსენით ურმაჲ ეგე და განუტევეთ წარსლვად? და მე გითხრა ეშმაკისა მისთჳს, რომელი აცთუნებდა სულთა თქუენთა!“ ხოლო მდდელთა მათ, ესმა რაჲ, განკჳრდეს, რამეთუ მას ქამსა ვერვ-ნ იკადრებენ სიტყჳსა თქუმად შიშისაგან ეშმაკისა მის. 277.

ჯუალად უკუჱ ჰრქუა Iოანე: „ირწმუნეთ ჩემი, კაცნო, და განკსენით ურმაჲ ეგე და დასცხერით ხატად ღუთისა

ქმნულთა კაცთა მსხუერპლად ეშმაკთა შეწირვად: რამეთუ თქუენი იგი მგელი მე განვდევნე ბნელად გარესკნელად სახელითა Ⴖ~თისა ჩემისაჲთა.“ ხოლო მღდელნი იგი არა იტყოდეს სიტყუასა; მაშინ მიეახლა Ⴈოანე და განჴსნა ყრმაჲ იგი დ~ ჰრქუა: „წარედ მშობელთა შენთა თანა?“ რამეთუ ვერვინ მივ~დოდა მუნ თჳსთაგანი დაკლვადისა ყრმისათა; დ~ განჰკჳრდეს ყოველნი საქმესა ზედა Ⴈოანესსა, გარნა არაჲ ვინ ჰრქუა მას; და ვითარცა მყუვარ ჟამ ელოდეს ეშმაკსა მას და არაჲ გამოჩნდა, მერმე მოიქცეს ყოველნი ქალაქადვე Ⴈოანესთანა, და დადგა იგი ადგილსა ერთსა და შემოკ-
278. რბა მუნ ერი ფრიადი, და იწყო Ⴈოანე ქადაგებად Ⴕრისტესა; და მრავალთა ისმინეს და ჰრწმენა და ადიდებდეს Ⴖმერთსა ცხორებისათჳს ყრმისა მის და განდევნისა თჳს ეშმაკისა მის.

ხოლო მღდელნი იგი ჰრისხვიდეს Ⴈოანეს; და ერთსა უკუჱ მათგანსა ესუა ძჱ და მოიშთო იგი აბანოსა შინა ეშმაკისაგან; ხოლო მამამან მისმან, რაჲ ცნა ესე, ჰრქუა მოციქულსა: „მოძღუარო ქრისტეანეთაო, აწ მოიწია ჟამი, რათა, უკუეთუ გნებავს, მრწმენეს შენი, რამეთუ აჰა ესერა ძჱ ჩემი მოკუდა აბანოთა შინა და, ვიცი, რომელ უკუეთუ ოდენ გნებავს, ძალგიც მისი აღდგინებაჲ: რამეთუ გუასმიეს ყოველი, რაოდენი ჰქმენ ქალაქსა Ⴔოთრას.“ და შეუდგა მას მოციქული; და მირაჲ ვიდეს აბანოდ და იხილა მოციქულმან მკუდარი იგი, უპყრა კელსა დ~ ჰრქუა: „სახელითა Ⴈჳსო Ⴕრისტე ძისა Ⴖ~თისაჲთა აღდეგ?“ და მეყსეულად აღდგა; და ჰრქუა მას Ⴈოანე: „რაჲ წაგეკიდა შენ?“ ხოლო მან
279. თქუა: „ოჳფალო, ვითარ ვიბანებოდე მე, კაცი ჰინდოჲ მოვიდა და მომაშთო მე.“ შევიდა უკუჱ მოციქული აბანოსა და თქუა: „შენ გეტყჳ, სულო ბოროტო, მითხარ, რაოდენი წელი გაქუს აქა?“ ხოლო მან ჰრქუა: „ექუსი წელი, რამეთუ მე ვარ, რომელი აბანოჲსაგან Ⴃიოსკორიდე ეფესელისა განმდევნე; არამედ გაფუცებ, ნუ განმდევნი ამიერ!“ ჰრქუა მას

მოციქულმან: „სახელითა Iჱსო ქრისტესითა გამცნებ, რათა განხჳდე ამიერ და არღარა დაემკჳდრო შორის კაცთა, არამედ უდაბნოთა უვალთა!“ და მეუსეულად ივლტოდა ეშმაკი იგი.

ხოლო მდდელმან მან, ესე უოველი რაჲ იხილა, ჲ შეუვრდა მოციქულსა, და შემიუვანნა სახედ მისა და ნათელიღო მან და ძემან მისმან უოვლით სახლით მათითურთ, და დავუავთ მუნ შჯდი დღჱ და მერმე განვედით მიერ; და დადგა მოციქული შორის ქალაქისა და ასწავებდა ერსა; და აჰა დედაკაცი ვინმე მოვიდა და კმობდა: „გაფუცებ,მოძღუარ,ღმერთსა,რომელსა ჰქადაგებ,შემიწუალე!“ ჰრქუა მას მოციქულმან: „რაჲ გნებავს, ჲ ვუო?“ ხოლო მან თქუა: „ძჱ დარჩა ჩემდა ქმრისაგან ჩემისა სამისა წლისაჲდა ძლით აღვზარდე იგი და აწ შეიპურა ეშმაკმან და აშთობს მას, და უოველი, რაჲ მედვა, წარვაგე მრავალთა ზედა ღმერთთა მტუუვართასა და ვერაჲ უვეს!“ ჰრქუა მას მოციქულმან: „წარვედ, მოიგუარე იგი აქა და განვკურნო!“ ხოლო იგი წარვიდა და ვითარცა ჰრქუა მას, ვითარმედ: „მოვედ, წარვიდეთ ქრისტეს მოციქულისა, რათა განდევნოს ეშმაკი ეგე,“ მეუსეულად ივლტოდა სული იგი ბოროტი; და მოიუვანა მან ძჱ თჳსი განკურნებული და თაუუანის სცემდეს მოციქულსა, და ჰრწმენა ქრისტე და უოველთა უკჱრდა საქმე Iოანესი, და მრავალთა ჰრწმენა და ნათელიღეს, და დედაკაცმან მანცა ძითურთ.

ხოლო ხვალისა დღე ცნა მოციქულმან, ვითარმედ დღესასწაულსა აღასრულებდეს Ꭰიონის კერპისასა, და წარვიდა ტაძარსა მას და პოა გარეგან მისა ერი ფრიადი, და იწუო სწავლად მათდა და ახარებდა მოქცევად ღუთისა და სინანულად, და ეტუოდა, ვითარმედ: „არა ღირს არს, ვითარმცა ხატად ღუთისა ქმნულნი ეგე და გონებისა უფალნი პირუტუუთა ჰბაძვიდეთ და ბუნებისა გარგანთა 281. საქმეთა იქმოდეთ!“

და ვიდრელა იგი სიტყუათა ამათ იტყოდა, მოვიდეს მღდელნი იგი მის ტაძრისნი და ეტყოდეს Ⴈოანეს, ვითარმედ: „განვუეშორე ამიერ და ნუ შეაშფოთებ ერსა ამას, რათა აღვასრულოთ დღესასწაული ჩუენი!“ ხოლო იგი უფროჲსად მტკიცედ ასწავლიდა ერსა მას; და იხილეს რაჲ ათორმეტთა მათ მღდელთა სიცრუვისათა, ვითარმედ Ⴈოანე არა დასცხრების სწავლისაგან, იწყეს ერისა მის ბირებად ქენებით, და უმრავლესნი წარიყვანნეს მიერ და Ⴈოანეს სცეს ცემაჲ დიდი და წარითრიეს ადგილისა მისგან და დაუტევეს.

ხოლო ტაძარსა მას იყო წესი შეგინებული: რამეთუ შეწირიან კერპისა მის მსხუერპლად საჭამადი ფრიადი და ღვნოჲ, და ჭამიან და სჳან, და მერმე აღერინიან ურთიერთას ვითარცა ცხენნი მცბიერნი; ხოლო მაშინ შერაჲ ვიდეს მღდელნი იგი სირცხჳლისანი, რათამცა იწყეს მსხუ-
282. ერპლისა მის ქმნად, ილოცა Ⴈოანე და თქუა: „ღმერთო და მამაო Ⴍჳფლისა ჩუენისა Ⴈჳსო ქრისტესო, სათნო იყავ, რათა დაეცეს ტაძარი ესე ბილწებისაჲ!“ და ვიდრელა იგი ამას იტყოდა, იძრა ქუეყანაჲ და ტაძარი იგი დაირღუა ვიდრე საფუძვლადმდე, და მოკუდეს მას შინა ათორმეტნი იგი მღდელნი ოდენ.

და იყო მუნ კაცი ვინმე, სახელით ნოიტიანე, და იყო იგი კელოვან გრძნებითა და მრავალნი წიგნნი გრძნებისანი აქუნდეს; ამან იხილა რაჲ დაცემაჲ ტაძრისაჲ Ⴈოანეს ლოცვითა და სიკუდილი მღდელთაჲ მათ და ვითარმედ ყოველი ერი Ⴈოანეს შეუვრდა, შეწუხნა ფრიად და საეშმაკოჲთა გულის წყრომითა აღივსო, და მოვიდა Ⴈოანესსა და თქუა: „აჰა ყოველთა გვყუარ და გისმენთ შენ და არა შფოთ ვართ დარღუევისა თჳს ტაძრისა მის, არამედ აწ გულსავსე გუყავ სრულიად, ვითარმედ არს სიწრფოებაჲ გულსა შენსა და ვითარმედ ჭეშმარიტისა ღუთისა მოწაფე ხარ, და აღადგინენ ათორმეტნი იგი მღდელნი, რო-

შელნი მოკუდეს!“ ჰრქუა მას Იოანე: „უკუეთუმცა დირს იუნეს
აღდგომისა, არამცა იგინი ოდენ მომკუდარ იყვნეს!“ ჰრქუა
მას Ნოიტიანე: „მე დიდებულსა მოგატყუებდი შენ და ამის- 283.
თჳს გარქუ შენ ესე; აწ უკუჱ ანუ აღადგინენ ანუ აღვა-
დგინნე, და უწყოდე, ბოროტსა სატანჯველსა შეჰვარდე!“

მაშინ ჰრქუა მას Იოანე: „ნუ ესავ, Ნოიტიანე, გრძნება-
თა შენთა?“ მაშინ განრისხნა იგი და წარვიდა და მოვლო
ნარდუევი ტაძრისაჲ მის და მოუწოდა ეშმაკთა; და წარ-
მოუდგეს ათორმეტნი ეშმაკნი სახითა ათორმეტთა მათ
მღდელთაჲთა და ჰრქუა მათ Ნოიტიანე: „შემოჰიდეგით მე
და მოვაკლვიოთ Იოანე?“ ჰრქუეს მას ეშმაკთა მათ: „ჩუენ
ვერ მივეახლებით მას, არამედ ვიუვნეთ აქა და შენ წარ-
ვედ და მოიყვანე აქა ერი და გჳხილნენ ჩუენ და წარვი-
დენ და მოკლან Იოანე!“ ხოლო Იოანე ცნა სულითა და
ჰრქუა მე: „რაჟამს მოვიდეს Ნოიტიანე, შენ წარვედ სხჳთ
გზით და მივედ უკუანა დარდუეულისა მის ტაძრისა და
ჰჳოვნე მუნ ათორმეტნი ვინმე სახედ ათორმეტთა მათ მღ-
დელთა და არქუ, ვითარმედ: „მოციქული ჴრისტესი გიბ-
რძანებს, ვითარმედ უჩინო იქმნენით აღგილისა ამისგან 284.
და აღგილთა ურწყულთა ივლტოდეთ!“ და ვიდრეღა ამას
მეტყოდა, მოვიდა Ნოიტიანე და კმობდა და იტყოდა: „კა-
ცნო ძმანო, რად ისმენთ მაგის მაცთურისა სიტყუათა, რა-
მეთუ აჰა ესერა მე აღმიდგენიან მღდელნი იგი, რომელ-
თა ეგე იტყოდა უღირსად ცხორებისა, და მეგულების ტა-
ძრისაცა აღმართებაჲ, უკუეთუ ეგე მოჰკლათ; მოვედით
უკუჱ გარეშე მაგისსა და იხილენით მღდელნი!“ და ესმა
რაჲ ერსა მღდელთა აღდგომაჲ, შეუდგეს Ნოიტიანეს, და,
მივიდოდეს რაჲ, განაზრახებდა Ნოიტიანე, თუ ვითარითა
სიკუდილითა მოკლან Იოანე.

ხოლო მირაჲ ვიდეს, სადა ეშმაკნი იგი დგეს, არაჲ
ვინ ჰოვეს მუნ, რამეთუ მე სიტყჳსაებრ Იოანესა წარსრულ
ვიუავ და უჩინო მექმნეს იგინი! ხოლო Ნოიტიანე კმობ-

და და ხადოდა ეშმაკთა მუუვარ ქამ და ვერა რას იქმოდა;
და დიდქამ რაჲ დგა ერი იგი და ვერარაჲ უჩუენა ნოი-
285. ტიანე, მაშინ იწყეს გინებად მისა, ვითარმედ: „მაცთური ხარ და განგუაშორენ სწავლისა მისგან ცხორებისა, და აწ რომლითაღა თუალთა მივხედნეთ მას, რომელთა შემდგომად ესოდენისა სწავლისა დაუტევეთ იგი და შენ მაცთურსა შემოგიდეგით!“ და სხუანი ეძიებდეს მოკლვად მისა და იტყოდეს, ვითარმედ: „რასა ეგე მოძღურისათჳს განგუაზრახებდა, მაგას უყოთ!“ და სხუანი იტყოდეს, ვითარმედ: „არა ჯერ არს თჳნიერ მოციქულისა ამისი ქმნაჲ!“ მოვიდეს უგუჱ იოანესა და ჰრქუეს: „მოძღუარ, ვევედრებით შენსა სახიერებასა, ნუ განჰრისხნები შვილთა შენთა თჳს, რომელ ესე უგუნურად დაუტევეთ წუაროჲ სიტკბოებისაჲ და შეუდეგით სიმწარესა; აწ უგუჱ, რაჲცა გნებავს, უყოთ ბოროტსა ნოიტიანეს, რამეთუ თანამდებ სიკუდილისა არს.“

ჰრქუა მათ მოციქულმან: „შვილნო, მიუშჯთ ბნელსა, რათა ბნელად წარვიდეს, ხოლო თქუენ შვილნი ხართ ნათლისნი და ბნელი ვერ გეწიოს!“ და არა შეუნდო მო-
286. კლვად ნოიტიანესა, და ერსა მას ასწავა და ნათელსცა ორასოცსა კაცსა მას დღესა. ხოლო ნოიტიანე კუალად აბრკოლებდა, რომელთა ჴნებავნ ნათლისღებაჲ; მაშინ იოანე ილოცა და თქუა: „ოჯთალო ღმერთო, მოწყალენ ნოიტიანეს კორციელნი თუალნი, რათა აღეხილნენ სულიერნი!“ ჲ მეუსეულად დაბრმდა ჲ წინამძღურითა მოვიდა მოციქულისა და ევედრებოდა, რათა შეიწყალოს და ღირს უყოს ქრისტეს სარწმუნოებასა.

ხოლო იოანე ძჯრუკსენებლად ჰრქუა: „ვჰმადლობ ღმერთსა, რომელმან განამრავლა წუალობაჲ მისი შენ ზედა და ვერ შეგიძინა ეშმაკმან.“ და ფრიად ასწავა და ნათელსცა მას; და მეუსეულად აღეხილნეს თუალნი და ევედრებოდა მოციქულსა, რათა შევიდეს სახლად მისა. და შერაჲ ვიდა, იუვნეს მუნ კერპნი მრავალნი, ყოველნი და-

ეცნეს და შეიმუსრნეს; და უმეტესად ჭრწმენა მას ძრისტე, და ნათელიდეს ცოლმანცა მისმან და შვილთა, და ჰმადლობდეს ღმერთსა.

ბანვედით უკუნ ქალაქისა მისგან და შევედით ძარო ქალაქსა; და შეგჯწუნარნა კაცმან, მეცნიერმან ჭურიამან, სახელით ფავსტო, რომელსაცა ჭრწმენა და ნათელიდო 287. ყოველით სახლით მისითურთ. და დავუავთ მუნ ჟამი ფრიადი, და ყოველთა ჭრწმენა. და ესრეთ, ქალაქად ქალაქად და სოფლად სოფლად ვიდოდეთ, და ყოველნი მოიქცეოდეს ღუთისა, სიტუჯთა იოანესითა, რამეთუ საქმეთა მიერ მისთა იძლეოდეს. და განამრავლა ოჯუალმან იჯსო ძრისტემან მადლი თჯსი და ჭრწმენა ყოველთა პატმელთა სადმრთოთა სიტუუათა მიერ იოანესთა და დიდთა მათ სასწაულთა, რომელთა იქმოდა ღმერთი მის მიერ.

ხოლო მოკუდა დომენტიანე მეფე და მიიდო მეფობაჲ ნეროა, რომელმან ბრძანა ყოველთა, დომენტიანეს მიერ ექსორია ქმნულთა, განთავისუფლებაჲ, და შემდგომად მცირედისა ჟამისა მიიდო კუალად ტრაიანე მეფობაჲ, და დაამტკიცა იგივე სიტუაჲ; და მოიწია ჩუენდაცა უკუე ბრძანებაჲ იგი; და ვიუვენით მაშინ ფთორა ქალაქსა. და იხილა რაჲ მოციქულმან, ვითარმედ ჭრწმენა ჭალაკსა მას ძრისტე, ინება კუალად ეფესოდ მიქცევაჲ; ხოლო ძმათა ესე რაჲ ცნეს, შემოკრბეს ჲ ცრემლოოდეს ჲ ევედრებოდეს მოციქულსა და ეტყოდეს: „ნუ დაგჯტევებ, მამაო, 288. ობლად, ვევედრებით სიწმიდესა შენსა, არამედ იყავ შვილთა შენთა თანა მარადის.“ ჭრქუა მათ მოციქულმან: „რასა იქმთ, შვილნო, რად სტირთ და შეაწუხებთ სულსა ჩემსა? რამეთუ ძრისტემან ესრეთ გამომიცხადა, რათა მივიქცე ეფესოდ უძლურებისა თჯს მუნ მყოფთა ძმათაჲსა.“ ხოლო იხილეს რაჲ ძმათა, ვითარმედ არა დადგების, ჭრქუეს მას: „და უკუეთუ ესრეთ ინებე ქმნად, ესე გჯსმინე, გევედრებით, რათა დაგჯწერო ყოველი საქმე განგებუ-

ლებისა ჯუთლისაჲ და განკაცებისა მისისაჲ, რათა მას
ალმოვიკითხვიდეთ და მტკიცედ ვეგნეთ სარწმუნოებასა.“

ჰრქუა მათ მოციქულმან: „წარვედით სახედ თქუენდა,
შვილნო, და ნებაჲ ჯუთლისაჲ იქმნას და თხოვაჲ თქუენი
აღესრულოს!“ და იკურთხნეს მის მიერ და წარვიდეს. და
იუო მუნ მახლობლად მთაჲ მაღალი, და განვედით და ავე-
დით მთასა მას, და ვიუვნით მუნ სამდღჱ და იუო იოანე
უჴმელად და ევედრებოდა ღმერთსა მოწიჭებისათჳს სახა-
289. რებისა წმიდისა; და მესამესა დღესა მრქუა მე: „შვილო
პროხორე, შეედ ქალაქად და შემდგომად ორისა დღისა
აიღე ქარტაჲ და მელანი და მოედ აქა?“ და ვუავ ეგრე. ხო-
ლო რაჟამს იგი მე ვიუავ ქალაქსა და იგი მხოლოჲ მთასა,
მაშინ იხილა ხილვაჲ იგი დიდი აღსასრულისათჳს სოფ-
ლისა და საქმეთათჳს მომავალთა; ხოლო შემდგომად ორი-
სა დღისა მივედ მე, ვითარცა ებრძანა, და ვპოვე იგი მდგო-
მარე, და ილოცვიდა, და მრქუა მე: „აღიღე ქარტაჲ ეგე და
საწერელი და დადეგ მარჯუენით ჩემსა?“

და მეცხრეულად იქმნა ნისლი და ქუხილი დიდი და
ელვაჲ, ვიდრეცა შეიძრა მთაჲ იგი; და მე შევძრწუნდი და
დავვარდი პირსა ზედა, და მიპყრა კელი და აღმადგინა
და მრქუა მე: „დაჯედ მარჯუენით ჩემსა და, რაჲ გესმოდის
პირისაგან ჩემისა, წერდი?“ და დადგა და ილოცვიდა კელ-
განპყრობით, და კმანი იგი და ქუხილნი და ელვანი გან-
დიდნებოდეს და აღორძნდებოდეს; და მერმე, ვითარ იუო
290. მდგომარე და ხედვიდა ცად მიმართ, აღიღო პირი თჳსი
და იტყოდა:

„პირველითგან იუო სიტყუაჲ და სიტყუაჲ იგი იუო ღუ-
თისა თანა და ღმერთი იუო სიტყუაჲ იგი,“ და შემდგომი
ამისი; და დავყავთ ესრეთ ორი დღე და ექუსი ჟამი, და იგი
დგა კელგანპყრობით და იტყოდა და მე ვწერდი; და აღვა-
სრულენით რაჲ სიტყუანი იგი საღუთონი, უო ლოცვაჲ,
და შთავედით ქალაქად, სახლსა მირონისსა, და მოვიღეთ

საზრდელი. და ხვალისა დღე მიბრძანა კუალად დაწერაჲ წმიდისა სახარებისაჲ; და დავჯედ და ვწერდი. ხოლო მოციქული დააბგენდა ეპისკოპოსთა და ხუცესთა ქალაქად ქალაქად. და რაჟამს დავწერე წმიდაჲ სახარებაჲ, ბრძანა შემოკრებაჲ ძმათაჲ, და წარვიკითხეთ წმიდაჲ სახარებაჲ უოველთა ზედა და უოველნი იხარებდეს.

ხოლო ბრძანა მოციქულმან ერთისა მის წერილისაჲ დატევებაჲ პატმოსს და მეორისაჲ წარღებაჲ ეფესოდ. და უბრძანა ძმათა, რათა დაწერონ წმიდაჲ იგი სახარებაჲ და დადგან უოველთა ეკლესიათა. და მე მრქუა: „მოედ, მვილო, 291.
და მოვლინეთ სოფელნი ამის ჭალაკისანი და მოვიკითხნეთ ძმანი, ვიდრე არა განსრულვართ ამიერ.“ და განვედით და მოვჰვლიდით სოფლებსა, და ასწავლიდა უოველთა.

და დაბასა ერთსა იყო მდდელი დიოჲს კერპისაჲ, სახელით ევხარი, და ესუა მას ძე ბრმაჲ. დადგა ურმაჲ იგი და ისმენდა სწავლასა იოანესსა; და ვითარცა აღასრულა სწავლაჲ, ჰრქუა მან: „მოძღუარ, გევედრები, აღმიხილენ თუალნი, რათა ვიხილო პირი შენი და განვიხარო!“ ხოლო იოანე იხილა, რამეთუ სარწმუნოებაჲ აქუს, შეეწუალა და დასწერა თუალთა მისთა ჯუარი და მეყსეულად აღეხილნეს. და იხილა რაჲ მამამან მისმან, ჰრწმენა, და ნათელსცა მათ მოციქულმან სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა.

და ხვალისა დღე მოვიკითხენით უოველნი ძმანი და ვპოვეთ ნავი მიმავალი ასიაჲთ კერძოთა, შევედით მას შინა და ათოთხმეტ დღე შევედით ეფესოს, და მივედით სახლსა დომნოჲსსა, რამეთუ მამაჲ მისი დიოსკორიდე მომკუდარიყო. და მოვიდოდეს ძმანი და მოგჯკითხვიდეს 292.
სიხარულით, და მარადღე ისმენდეს სიტყუათა იოანესთა. და განავლინნა მოციქულმან ეფესოჲთ უოველნი იგი მგელნი წვალებისანი, რომელნი იგი შემოსრულ იყვნეს მუნ, და უოველნი მოაქცინა მართალსა სარწმუნოებასა. და ვი-

თარცა ყოველნი იგი ქალაქნი დაამტკიცნა ქრისტეს სარწმუნოებასა, და განვიდა გარემო სოფლებსა და ქალაქებსა და ქადაგებდა ქრისტესა.

ხოლო მივედით ზმჯრნე ქალაქსა და დავუავთ მუნ ფრიადი ქამი; და მოიქცა ქალაქი იგი ქრისტეს სარწმუნოებასა.

ხოლო პოა მოციქულმან მუნ ჭაბუკი ერთი, შუენიერი ხილვითა და დიდი ჭასაკითა და სულისა მისისა სიწრფოებაჲ სულისა თჳსისა თუალითა იხილა, და ძალითა სიტყუათა თჳსთაჲთა მოაქცია იგი ქრისტესჲ; და რამეთუ მიერ წარსლვაჲ ეგულებოდა, შეჰვედრა იგი ეპისკოპოსსა მის ქალაქისასა მოწაფებითა ქრისტესითა წინაშე ეკლესიასა და ფრიად ამცნო სულისა მისისა ზრუნვაჲ; ხოლო
293. მან მეიყვედრა გულსმოდგინედ და ზრუნვაჲ მისი უქადა. და ესრეთ, ჩუენ წარვედით ეფესოდ, ხოლო ეპისკოპოსი ასწავლიდა ჭაბუკსა მას მცნებათა ღუთისათა და აკრძალებდა ყოველისა სავნებელისაგან, და, გარდარაჲკდა ქამი რაოდენიმე, ნათელსცა.

და ვითარცა ოჯფლისა იგი ბეჭედი მცველად მისცა, მიერითგან ფრიადი იგი სწავლაჲ და კრძალვაჲ დაუშუა ეპისკოპოსმან, ხოლო ჭაბუკნი ვინმე, თანა მოჰყვასაკენი მის ძმისანი, შეემოყუსნეს მას, ბოროტნი და უკეთურნი; და პირველად მათ თანა ხადილობითა დააჩუეს მათდა მისლვასა, და მერმე ასწავეს ყოველი ბოროტი, და დამით წარიყვანიან მათ თანა საფლავთა ჭკუერვად; და ვითარცა არს წარწყმედისა გზაჲ ადვილ, მცირედ მცირედ შეუდგა მათ და უკუანაჲსკნელ სრულიად იქმნა ავაზაკთა მთავარ,
294. და შეიკრიბა გუნდი ავაზაკთაჲ და იყო მათ ზედა მთავარ.

ხოლო შემდგომად ქამისა რაოდენისამე მოვედით კუალად ზმჯრნედ. და ვითარცა მოიკითხა მოციქულმან ეპისკოპოსი და ძმანი და ასწავა ყოველთა ცხორებაჲ სულისაჲ, უკუანაჲსკნელ ჰრქუა ეპისკოპოსსა: „აწ მომეც, ეპის-

კოპოს, ნამარხევი ჩემი, რომელი იგი მე და ძრისტემან მწამებითა ყოვლისა ეკლესიისაჲთა შეგვედრეთ!“ ხოლო ეპისკოპოსი საფასესა ჰგონებდა თუ სთხოვს, და განკჳრდა, და კუალად ურწმუნოებაჲ Იოანესი უცხო უჩნდა; ხოლო მეორედ ჰრქუა მოციქულმან: „ჭაბუკისა მის სულსა ვითხოვ შენგან!“ ხოლო ეპისკოპოსსა ესმა რაჲ ესე, სულთითქუნა და ცრემლით თქუა: „მოძღუარ, იგი მოკუდა!“ და ჰრქუა Იოანე: „ვითარ ანუ რომლითა სიკუდილითა?“ ჰრქუა მას ეპისკოპოსმან: „სულითა მოკუდა, რამეთუ ღუთისა და ეკლესიისა წილ და ჩუენთა სწავლათა დამარხვისა ავაზაკებაჲ ირჩია და უღმრთოთა თანა ყოფაჲ მთასა ზედა!“ ხოლო Იოანე შეწუხნა და ჰრქუა: „კეთილი რაჲმე მცველი დაგიტევე სულისა მის ძმისა და ვითარ არა დასცევ იგი?“ 295.

და მეუსეულად ითხოა საკედარი და წინამძღუარი გზისაჲ და წარვიდა ძებად სულისა მის წარწყმედულისა. და ვითარცა ადვიდა მთად, შეემთხჳნეს ავაზაკთა მათ-განჩი და შეიპყრეს იგი; ხოლო მოციქულმან ჰრქუა მათ: „მიმიყვანეთ მე მთავრისა თქუენისა?“ და მათ მიიყვანეს იგი მისა; ხოლო მან იხილა რაჲ შორით Იოანე, იცნა და იწყო სივლტოლად მისგან სირცხჳლისა თჳს, ხოლო Იოანე სდევდა მას და ეტყოდა: „რად შრომასა შემამთხუევ მე, შვილო, რად მევლტი მამასა შენსა, შეიკდიმე მკცეთა ჩემთაგან, შეიწყალე სული შენი, რამეთუ ცხორებისა სასოებაჲ არს შენდა ჯერეთ, მე მიუგო შენთჳს ღმერთსა სიტყუაჲ, მე დავდვა სული ჩემი შენ თჳს, დადეგ, შვილო, და მელოდე, რამეთუ ძრისტემან მომავლინა!“ ხოლო მას ესე რაჲ ესმა, მოიქცა და საჭურველი განაგდო კიდე და იწყო გოდებად და ტირილად, და შეუვრდა მოციქულსა და უჩუებდა მარჯუენესა თჳსსა სისხლითა გაცთაჲთა შეღებულსა, რამეთუ ტირილისაგან სიტყუად ვერ ეძლო. 296.

ხოლო მოციქული, ვითარცა მამაჲ სახიერი, უქადაგებდა შენდობასა და უთხრობდა ძრისტეს სიტკბოებასა,

და მარჯუენესა მისსა ამბორს უყოფდა. და ესრეთ, წარმოიყვანა იგი და მოიყვანა ეკლესიადვე, და დაიმჭირა მისთჳს მრავალ ქამ მარხვაჲ და ლოცვაჲ დიდი, და მარადჟე სწავლად მისა არა დასცხრებოდა, ვიდრემდის მოიყვანა იგი პირველსავე მას სიმრთელესა სულისსა, და დიდად სახედ ქრისტეანეთა დაუტევა იგი. და ესრეთ წარვიდა Oფესოდ.

ხოლო იყო Oფესოს შინა კაცი ვინმე მორწმუნეთაგანი და ნათელღებული, და პირველად აქუნდა საფასე არა მცირედი, ხოლო უკუანაჲსკნელ მოიწია მას ზედა სიგლახაკჱ, ვიდრეჟა შთავარდა ვალსა ფრიადსა და შეაიწრებდეს მას მოვალენი, ხოლო იგი შეჭირვებული სიგლახაკისაგან და მოვალეთა, სიკუდილი ირჩია, ვიდრეჟა რა ბოროტად ცხორებაჲ, და წარწუმედაჲ სულისაჲ არა გულისხმა ყო, არა-
297. მედ მივიდა მწამლველისა ერთისა ჰურიისა და გამოუცხადა საქმე იგი და სთხოა მას წამალი სასიკუდინე, ხოლო მან მისცა და მან მიიღო და წარვიდა სახედ თჳსა.

და იყო იგი შეშურობილ ორითა გულის სიტყჳთა: რამეთუ საქმისა მისგანცა ძრწოდა, და კუალად ვალთა და სიგლახაკესაცა მინა ყოფაჲ უმძიმდა, უკუანაჲსკნელ იძლია იგი ბოროტისა მის გულის სიტყჳსაგან და შთაასხა წამალი იგი ჭიქასა და კელად მიიღო; და ვითარ იგი სულსა მის არა ჳნდა და ორგულობდა, უკუანაჲსკნელ ჯუარი დასწერა, ვითარცა აქუნდა ჩუეულებაჲ ქრისტეანობისაჲ და თუალნი დაიხუჭნა და შესუა, და ქრისტეს ძალითა უვნებელად ეგო: რამეთუ მადლმან მან ჯუარისამან ძალი წამლისაჲ მის განაქარვა.

და ვითარ იგი კუალად პირველსავე ჭირსა შინა იყო,
298. მოვალეთა და სიგლახაკისაგან, კუალად მივიდა ჰურიისა მის და სთხოა სხუაჲ უფიცხელესი წამალი: რამეთუ პირველსა მას ბუნებამან ჩემმან ძლიაო, და ვერ გულისხმა ჰყოფდა, თუ ძალმან ჯუარისამან ყო იგი! კუალად უკუჴ

მწამლველმან მან მისცა უბოროტესი წამალი, და ვითარცა წარიღო იგი შინა და შთაასხა ჭიქასა და ენება შესუმად, და შიშსა და ორკერძოთა მათ გულის სიტყუათა შეეშურა, გუალად ჩუეულებისაებრ ჯუარი დასწერა და შესუა და უვნებელად ეგო, და თჳთცა უკჳრდა და საქმესა მას ვერ გულისხმა ჰყოფდა.

და მივიდა გუალად ჰურიისა მის და უთხრა საქმე იგი; და განკჳრვებულ იყო ჰურიაცა იგი და ეძიებდა, რათამცა ჴოა მიზეზი საქმისაჲ მის: და ჰკითხვიდა, თუ რასა იქმს, რაჟამ წარვიდეს მისგან, ანუ ვითარ შესუამს მას; ხოლო იგი იტყოდა, ვითარმედ: „სხუასა არა რას ვიქმ, არამედ შინა რაჲ წარვედ და კელად მოვიდე და შიშსა შევე- 299.
ჳარ და ჯუარი დავსწერე და თუალნი დავიხუჭენ და შევსჳ.“

ხოლო ჰურიასა მას ჯუარისა რაჲ სახელი ესმა, ცნა, ვითარმედ იგი არს განმაქარვებელი ძალისა მის წამლისასა, და უმეტესისა გულსავსებისა თჳს მისცა წამლისა მისგან ძაღლსა და მეუსეულად, შერაჲ ჭამა, მოკუდა; ხოლო ჰურიამან მან ესერაჲ იხილა, მამული იგი შჯული დაუტევა და ჭეშმარიტებასა მოუკდა და იქმნა წამალი იგი მწამლველისა მის ცხორება, ხოლო მწამლველობისა სიკუდილი. და მოუკდა ქრისტეს მოციქულსა იოანეს და მიუთხრა უოველი იგი საქმე და ევედრებოდა, რათა უოს იგი ქრისტეანე; ხოლო მან ასწავა ქრისტეს სარწმუნოებაჲ და ნათელსცა მას და შეაწუნარა იგი ღმრთსა; ხოლო არა უგულებელსყო იგიცა, რომელი ჰურიასა მას მიზეზ ცხორების ექმნა, არამედ მოუწოდა და მიზეზი საქმისაჲ მის ბოროტისაჲ ისწავა, რომლისათჳს ესე ვითარი უბადრუკი 300.
საქმე გამოჩრჩია; და ვითარცა მამამან სახიერმან ნუგეშინისცა მას სიტყუთა სწავლისაჲთა და არა კმა უო სიტყუთა ნუგეშინისცემაჲ, არამედ საქმითაც ინება სიგლახაკისა მისისა და მრავალთა ვალთა განქარვებაჲ; და ვინაჲთგან

ოქროჲ გინა ვეცხლი არა აქუნდა, რათამცა მისცა, იდვა ადგილსა მას თივაჲ; უბრძანა, რათა აღიღოს თივაჲ რაჲ ზომიცა ორითავე კელითა ძალუც; ხოლო მან არა იცოდა, თუ რაჲ ჰნებავს მოციქულსა ქმნად.

Ⴃა დადრკა და, რაჲ ზომი ძალედვა, ორითავე კელითა თივაჲ აღიღო; ხოლო მოციქულმან ყო ლოცვაჲ და დასწერა თივასა მას ჯუარი, და მეყსეულად გარდაიქცა თივაჲ იგი ოქროდ ფრიად წმიდად; და უბრძანა კაცსა მას, რათა წარიღოს იგი და ვალნიცა გარდაიკადნეს და
301. სხუაჲ იგი, ვითარცა ენებოს, იკმაროს. ხოლო მან იხილა რაჲ საკვრველი იგი საქმე, ჰმადლობდა Ⴖმერთსა და მოციქულსა მისსა, და წარიღო ოქროჲ იგი სახიდ თჳსა და განერა სიგლახაკისაგან და ვალთა.

ხოლო დაჰყავთ Ⴈესოს შემდგომად პატმოსით მოსლვისა ოც და ექუსი წელი, და პატმოს ჭალაკსა დაჰყავთ ათხუთმეტი წელი, და პირველ მუნ წარსლვისა დაგუეყო Ⴈესოს ცხრაჲ წელი; და იყო Ⴈოანე, მირაჲ ვედით ႨႤრუსალემით Ⴈესოს ორმეოც და ათექუსმეტისა წლისაჲ და შვდისა თჳსაჲ, და მე ვიყავ ოცდაათისა წლისაჲ. ხოლო თუ ვითარ სახედ იყო აღსასრული მისი და კაცთაგან მიცვალებაჲ, თქუმად ვერვინ შემძლებელ არს; ხოლო რომელსა შემძლებელ ვარ თქუმად, მიგითხრა:

Ⴐამეთუ დღესა ერთსა კჳრიაკესა შემოკრბეს ყოველნი ძმანი ჟამის წირვისა ჟამსა, და იწყო მოციქულმან სიტყუ-
302, ად და თქუა: „ძმანო და ჩემთანა მონანო და ჩემთანა ზიარნო დ̃ მკვდრნო Ⴕრისტეს სასუფეველისანო! თქუენ უწყით, თუ რაოდენნი ძალნი გიჩუენნა თქუენ Ⴍჳფალმან ჩემ მიერ, რავდენნი სასწაულნი, დ̃ კურნებანი, და მადლნი და სწავლანი დ̃ ნიშნი, დ̃ მართალი სარწმუნოებაჲ, დ̃ ზიარებაჲ მის თანა; რაოდენი იხილეთ ჩემგან საქმე, აწ უკუჱ იგი ყოველი გაკსოვდედ და მტკიცედ ეგენით და ქრისტესა ივსენებდით ყოლადვე, და გულისხმა ჰყოფდით დიდსა მას სა-

დუმილოსა განგებულებისა მისისასა, რომელი ქმნა კაცთა
ზედა, და ნუ შეაწუხებთ მას ბოროტად ქცევითა, სახიერსა
მას, და მოწყალესა, მხოლოსა, მართალსა, წმიდასა და ყოვ-
ლისა სახელისა უზეშთაესსა იჳსო ქრისტესა, არამედ ახა-
რეთ მას კეთილად ქცევითა, რამეთუ მე აწ საქმე ჩემი აღმი- 303.
სრულებიეს და მისსა მივალ და თქუენ გევედრები, რათა
არა მისდრკეთ ბოროტისა მიმართ;

„რამეთუ უკუეთუ ამიერითგან ცოდვაჲ მოიძულოთ,
პირველ უმეცრებით ქმნულნი შეგინდვნეს, უკუეთუ კულა
შემდგომად მისისა მოქცევისა და მისისა წყალობისა კუა-
ლად პირველთავე საქმეთა შინა იქცეოდით, პირველთა
თჳსცა დაისაჯნეთ და წყალობაჲ მის მიერი არა ჰპოოთ.

და მერმე ილოცა და თქუა: „რომელი ქებაჲ ანუ რო-
მელი მადლობაჲ შევწიროთ შენდა, უფალო იჳსო ქრის-
ტე, მრავალთა მათ კეთილთა შენთა თჳს! არამედ ვადი-
დებდეთ სახელსა შენსა დიდსა, რომელი მამისა მიერ გე-
წოდა; ვადიდებდეთ შენ მიერ მოცემულსა ჩუენდა აღდგო- 304.
მასა; გადიდებთ შენ სიტყუასა დაუსაბამოსა, თესლსა კეთილ-
სა, მადლსა ჭეშმარიტსა, მარგალიტსა, საუნჯესა, გჳრგჳნ-
სა, ჩუენთჳს ძედ კაცისად წოდებულსა, ძალსა, ჭეშმარი-
ტებასა, განსუენებასა, გულისხმის ყოფასა, აზნაურებასა,
შესავედრებელსა, რამეთუ შენ წყაროჲ უხრწნელებისა და
საფუძველი საუკუნეთაჲ, რომელი იწოდე ჩუენთჳს ამით
ყოვლითა სახელითა, რათა ამათ რაჲ გიწოდდეთ შენ, ვიკ-
სენებდეთ ძალსა შენსა და სახიერებასა.

„და აწ, უფალო მკურნალო და მაცხოვარო მონათა
შენთაო, მხოლოო სახიერო მოწყალეო, მხოლოო კაცთ-
მოყუარეო და მართალო, რომელი ყოველგან და ყოველსა
შინა ხარ, ღმერთო და უფალო, იჳსო ქრისტე, რომელი
წყალობითა შენითა ჰფარავ მოსავთა შენთა, რომელმან 305.
უწყნი მზაკუვარებანი წინააღმდგომისა ჩუენისანი, შენ დაი-

ცვენ მოწაფი ესე შენნი ყოველთა ბოროტთაგან, რამეთუ სახიერ ხარ და კაცთმოყუარე უკუნითი უკუნისამდე ამინ.“

დაესერაა თქუა, მოიღო ჳური, ჰმადლობდა, და აკურთხა, და განტეხა, და აზიარა ყოველთა წმიდაჲ კორცი და სისხლი ქრისტესი; და დაადგინა პოლიკარპოს მოწაფე მისი ეპისკოპოსად ნაცვალად თჳსა, და ჰრქუა მას: „აჰა ესერა, შეგვედრებ შენ ეკლესიასა ქრისტესსა! იკსენებდი უკუჱ ოჯფლისა წუალობათა და სწავლათა და უკუეთუ მოიწინენ შენ ზედა განსაცდელნი, მოითმინენ: რამეთუ შენ იწამო ქრისტეს თჳს!“ და მკუეთე დაადგინა დიაკონად და ჰრქუა: „ეკრ-
306. ძალე!“ და წარვედით გოდებით ქალაქად და უთხართ ძმათა საქმე იგი და, ვითარცა განუენა, გამოვიდეს ძმანი და წარვედით ყოველნი ხილვად, უკუეთუ მოძღუარი ძი ჯერეთ ცოცხალ არსა!

ხოლო მირაჲ ვედით საფლავად, მუნ არაჲ ვიპოვეთ, გარნა სანდალნი მისნი და სამოსელი და სულნელებაჲ დიდი ადგილსა მას და ევლოგიაჲ აღმოეცენებოდა საფლავსა მას სგავსი ფქვილისაჲ, რომლისა სულნელებაჲ დიდი იყო, რომელი იგი ვიდრე აქამომდე ყოველთა წელთა დღ სა კსენებისა მისისასა აღმოსცენდების და ყოველი ერი მიიღებს მისგან და არს იგი საკურნებელ ყოვლისა
307. სენისა.

ხოლო ჩუენ მიმოვიდოდეთ და გოდებით ვეძიებდით მას, ვითარცა ოდესმე ელისეს ზე ელიას; უკუანაჲსკნელ მოვიკსენეთ სიტყუაჲ იგი ოჯფლისაჲ, რომელი ჰრქუა პეტრეს, ვითარმედ: „უკუეთუ მენებოს მაგისი ყოფაჲ ვიდრე ჩემდა მოსლვადმდე შენდა რაჲ არს?“ და გულისხმა ვუავთ, ვითარმედ ენუქის და ელიაჲსებრ მიიცვალა ამიერ, თუ ვითარ, ღმერთმან უწყის! და აღვიწერენით სიხარულითა და ვუავთ ლოცვაჲ და ყოველნი ღმერთსა ვადიდებდით, რომელმან საუუარელი თჳსი ესრეთ ადიდა. და სიხარულით შევედით ქალაქად მადლითა უფლისა ჩუენი-

სა იესუ ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმ-
ტკიცჱ თანა დაუსაბამოჲთ მამით და ყოვლად წმიდით 308.
სულითურთ, სახიერით და ცხოველს მყოფელით, აწ
და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ.

—

შეწევნითა ყოვლად წმიდის სამებისაჲთა და მეოხებითა წმიდისა ღუთის მშობელისაჲთა, ლოცვითა და მადლითა წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთჳმი მთაწმიდელისაჲთა, მე, გლახაკმან სულითა და უნდომან კორცითა, მიქელ დადალისონელმან, სახითა ხოლო მონაზონმან, დავწერე ცხოვრებაჲ განმანათლებელისა ჩუენისა ეფთჳმე ქართველისა ახლისა ოქროპირისაჲ; და მერმე, ვინაჲთგან იგი მისისა ხატისათჳს იწამა, ქადაგებანი ჱ მიმოსლვანი დიდებულისა ღუთის მეტყუელისაჱ მახარებელისა იოანესნი,—მამასახლისობასა გიორ-
გი ოლთისარისასა, დეკანოზობასა იაკობ მღდელისასა, განზრახვითა 309.
მისითა, თჳნიერ სასყიდლისა და ყოვლისავე საფასოჲსა. აწ, წმიდანო ღუთისანო, რომელნიცა აღმოიკითხვიდეთ, ნუმცა დავიწყებულვართ წმიდათა შინა ლოცვათა თქუენთა! ეტრატი იაკობ დეკანოზმან მოიღო, ფარჩხად წერისა თჳს შემინდევით: რამეთუ მესამესა წელსა ბოსტანსა მას და დასასრულსა ჭასაკთასა შინა ვიქცეოდე; აწ თუ ესეცა გარდავლო და მიწად მივიქცე და ყოვლითურთ უკმარ ვიქმნა, ხოლო თქუენ ნამუშაკევი რაჲ იხილოთ, მუშაკი გეკსენედ, რათა თქუენცა მოგიკსენნეს ქრისტემან სასუფეველსა მისსა ამინ!
ქორონიკონი იყო, ოდეს დაიწერა: ორას ოთხმეოც და ათო- 310.
თხმეტი*).

დაიწერა ამასვე წმიდასა ლავრასა წმიდის ეფთჳმის მიერ აღშენებულსა ბურღოსა**) შინა, სადა თჳთ მას წმიდასა დაუყოფვია. და ვინცა ვინ ესე წიგნაჲ ამას წმიდასა ეკლესიასა რაჲთაცა მიზეზითა გამოაკუას, რომელსა შინა სწერია წმიდისა მამისა ჩუენისა ცხორებაჲ, ჱ მერმე ჯდაჭნი, ჱ მერმე ქადაგებანი მოციქულისანი,

---

*) 780+294=1074 წ.

**) ბერძნული purgos კოშკი, გუშაგთი [illegible] პირღოსადაც იხმარება.

იგიმცა ნუ არს კურთხეულ! და ვინცა ვინ რაჲთაცა არგოს და შეაშფოთოს, კურთხეულ იყავნ იგი ამინ! და ვინაჲთგან ვიხილეთ საქმე საშინელი: ოზხან ვინმე, რომელ შეცებულ არს და წმიდისა ეფთჳმეს სახარებისა თარგმანისაგან და ლოცვნისაგან*) და ღუთისმეტყუელისაგან აუკოცია და ჩაურთავს, იგი ამასმცა ჭრიდა! აწ თჳნიერ აკოცილისა სხუაჲ ვინცა ვინ რაჲ ანუ ჩაურთოს ანუ ამოკოცოს, ამცაკოცილარს სახელი მისი წიგნისა მისგან ცხოველისა! მასაჲ ეფთჳმე ესრეთ გურწამს, ვითა იოანე ოქროპირი, სინანულისა
311. ქადაგი **).

*) აქ ნაწერი მეტად გადალეულა და „და ლოცვნისაგან“-ის მაგიერ შეიძლება წერებულ იყო „დავითნისაგან.“

**) მე 312 კაბადონი ცალიერად დატოვებული ყოფილა; და მასზედ მხედრულად მიუწერია ვიღაც ი. ბერძნიშვილს: „ყოველად წმიდაო პორტაიტისა ღუთისმშობელო! შენ გევედრები, რომელმან უწყნი ყოველნივე უჩინონი ცოდვანი ჩემნი, შენ მიღვაწე და განმკურნე ვედრებათა შენთა წინაშე ქრისტესა წამლითა, ვინაჲთგან ვერ ღირს ვიქმენ ხილვად წმიდისა საყოფელისა შენისა სიმრავლისათჳს ცოდვათასა, აწ მხილველ ვიქმენ წიგნისა ამის პატიოსნისა, რომლისათჳსცა სამადლობელსა შევსწირავ შენდა ღირს ყოფისათჳს ხილვად ამისა ჩემ ცოდვილისა. და თქვენცა, მხილველნო, შენდობას მიბრძანებდით. მონა ღუთისა იოანე ბერძენოვი. ჩყჲბ წელსა, ფებერვლის იე.“

ᲓᲐᲡᲓᲔᲑᲔᲚᲜᲘ

წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა Ⴈლარიო-ნისნი, რომლისა თავნი იტყჳან: Ⴄსე აწ ღმრთშემოსილი Ⴈლარიონ იქებოდენ დღეს ჯერისაებრ ამინ.

ႭჃႴႠႪႭ Ⴖ̃ႶႲႷႠ კ̃Ⴡ: Ⴃ: Ⴂ̃Ⴈ: ႠႶႻႰႥႠႡ Ⴘ:.

Ⴄლვად ნათლისა საღმრთოჲსა მოგუეფინა დღეს კსე-ნებაჲ ყოვლად დიდებულისა მოღუაწისა Ⴈლარიონ ახ-ლისა მნათობისა. მოვედით მოსწრაფედ, Ⴥ ქრისტეს სამწყსონო, და განვნათლდეთ სათნოებათა მისთა ბრწყინვა-ლითა ნათლითა, რომელი ქრისტეს მიერ განბრწყინდა.

სიყრმით შენითგან, მამაო, სულისა შენისა სლვანი სათნოებათა მიმართ მაღალთა მოსწრაფედ წარჰმართენ, ღმრთშემოსილო, და ძალითი ძალად აღსლვითა, ნეტა-რო, არაჲ შეგიბრკომა ცხორებისა გზათა, ვიდრემდის აღიწიე ზეცისა საღმრთოსა ნავთ საყუდელსა.

ატყინებოდე საღმრთოჲსა სიყუარულისა ცეცხლითა, რომლითა დასწუენ მთავარნი ბნელისანი, ღმრთშემოსი-ლო ღირსო Ⴈლარიონ, და ყოველი ძალი ფარაოჲს მძ-ლავრისა დაანთქ უფსკრულსა ცრემლთა შენთასა და მწ-ყობრი მოღუაწეთაჲ წიაღიყვანე ღელვათა სოფლისათა.

არმური ჴორცთაჲ წიაღჰკვეთე მოღუაწებათა ნათლი-თა, უაღრესისა მონა ჰყავ უდარესი და ფიცხელნი ჴორც- 313.
თა იგი კრთომანი აღჳრთა მათ მიერ შიშისა Ⴖუთისათა დაუმორჩილენ მთავარსა გონებასა და, ვითარცა ეტლითა, აღიწიე კამარათა ცისათა.

წარგეძლუ ჩუენცა, მამაო, ალაგთა ცხორებისთა, ვინაჲ იგი აწ მკჳდრ ხარ ცათა შინა, უდელვოთა მათ საღუთოთა სავანეთა და დააცხრვე კორცთა უფლებაჲ ჩუენ ზედა და დაჰჳსნენ ბრალთა ჩუენთა საკრველნი და, ვითარცა მამამან ტკბილმან, გვდუაწენ წინაშე სამებისა.

გალობანი წმიდისა ილარიონისნი, კ"დ, გ"ი: ეტლთა მფ:

ღუთისა მამისა ნათელო, ნათლითა მით სულისა წმიდისაჲთა არმური ვნებათაჲ გონებისაგან ჩემისა აწ განაქარვე და ნათელი სიწმიდისაჲ მომმადლე, რათა ღირსებით შევამკობდე დღეს მსახურსა უბიწოსა სიწმიდეთა შენთასა.

მსგავსადვე სამოელისსა აღთქუმით იშევ, ღმერთშემოსილო მამაო ღირსო ილარიონ, და სიყრმითგანვე შეიწირე ყოველთა შემწირველისა, ვითარ კრავი უმანკოჲ აღზრდად ბაჯსა მას მეცთ შეუვალსა მწყემსთ მთავრისა ქრისტესა, რომელი დიდებულ არს.

ეტრფიალე შენ, მამაო, მარგალიტსა მრავალ სასყიდლისასა, რომლისა ძებნად განხუედ სიჩჩოითგან, ნეტარო, და ახოვნითა სულითა უვარჭუავ ყოველივე სოფლი-
314. საჲ მონაგებნი და თჯსნი და იგი მოიყიდე დიდებით დიდებული.

რომელი ჰგიე ერთარსად, სამებაო, შუენებით მიუწდომელო, არსთა შემოქმედო, შენ უმიზეზოო მიზეზო, ყოველთა დამბადებელო და სიბრძნით მმართებელო, მამაო, ძეო და სულო წმიდაო, გიგალობ და გაკურთხევ და ძრწოლით აგამაღლებ.

თავადი სიტყუაჲ მამისაჲ საშოდ შენდა გარდამოკდა, უსძლოო, ვითარცა რაჲ წჯმაჲ გონიერსა საწმისსა ზედა, დაგუალული კაცთა გონებაჲ ცუართაგან მადლისათა მო-

რწყო და აღაყუავილა ჩუენ შორის ნაყოფი სიმართლისაჲ, რამეთუ დიდებულ არს.

გ҃ძა: განმაძლიერებელ:

შიში უფლისაჲ მოიგე თავად სიბრძნისა საღუთოჲსა და მას შეემსჭუალე სიყრმითგანვე და მთავარი გონებაჲ მფლობელ ჰყავ კორცთა ბუნებისა და ვნებათა აღძრვანი სიბრძნით დაუმორჩილენ სულსა.

ემსგავსე შენ, ღმერთშემოსილო მამაო, დიდსა აბრაჰამს და დაუტევე ქუეყანაჲ შენი და უცხო იქმენ მისთჳს, რომელი ჩუენთჳს უცხო იქმნა, რათამცა უცხო ქმნულნი მამისა წყალობით დამაგნა.

მოწყლული ტრფიალებათა საუფლოთა ვნებათაჲთა წარხუედ, ღმერთშემოსილო მამაო, ვინაჲ იგი თავს იხსნა ვნებანი სოფლისა კსნისათჳს ღუთეებით უვნებელმან ღუ-
თისა მამისა სიტყუამან. 315.

უჟამოდ მშობელო მამაო, სიტყჳსა უჟამოჲსაო, უჟამოდ გამომავლინებელო ცხოველისა სულისა თანა სწორისა შენისაო, მათ თანავე გადიდებ სამგუამოვნად და ერთ ღუთეებად.

საკჳრველნი და სასწაულნი მუცლად ღებისა შენისანი და კუალად უხრწნელად შობისანი განმაკრთობენ, უსძლოო, ვითარ დედაჲ ხარ და ქალწული, ვითარ აწოებ სძესა ყოველთა მზრდელსა უფალსა.

მ҃სა: აჰმკედრდი:

იწურთიდი სიყრმითგანვე წერილთა ღუთივ სულიერთა და ემსგავსებოდე მოქალაქობასა მას და ცხორებასა პირველთა მათ მამათასა და აწ მათ თანა ჰსუფევ წინაშე ღუთისა, ღირსო მამაო!

ლოცვათა შენთა საკუმილითა, ღმერთშემოსილო, მკეცთა მათ ღერწმისათა საყოფელნი დასწუენ და მდინა-

რითა ცრემლთაჲთა დაშრიტენ შენ განკურვებულნი იგი ვნებათა ისარნი, Iლარიონ!

Iხილე ჩუენებით, ჯ ღმერთშემოსილო მამაო, დედოფალი ყოველთა დაბადებულთაჲ და გიბრძანებდა წარსლვად ქუეყანად თჳსად, რათა შესწირნე ღუთისა სიძრავლენი ერთა ურიცხუთანი.

Iხილეთ და გრცხუენოდენ თქუენ, მწვალებელთა კრებულნო, ვითარ ერთარსებით ვჰმონებთ სამებასა და
316. სამთჳებით ვქადაგებთ ჩუენ ღუთეებასა და თქუენ შეჩუენებულ გყოფთ თანა ეშმაკით მამით თქუენითურთ.

ესხინებაჲ და გამოკსნაჲ შენ მიერ მიიღო Aდამ, რაჟამს მეორე Aდამ გჯშევ კორცითა და წუევისა მისგან მამულთა ურჩებათა განთავისუფლებულნი სამართლად დედად ღუთისად გქადაგებთ.

ღ-გა: რაჲსათჳს გ-ნ:

Aღასრულე, მამაო, ბრძანებული შენდა, ვითარცა სარწმუნომან და გონიერმან მნემან Uფლისა თჳსისამან, დაუმზადე თავადსა სერი სულიერი სულთა მათ ცხოვნებულთაჲ, რომელნი შესწირენ მეუფისა.

რომელმან დაითმინა ჯუარცმაჲ კორცითა უცოდველმან, კაცთათჳს ჯუარსეცუმის, თჳს მამაო, და სოფელი ჯუარსაცუ შენდამი, ბრძენო, ვითარცა ახოვანმან ძრისტესმან, ღმერთშემოსილო, და განაქიქენ მთავარნი ბნელისანი.

Iმენ, ღმერთშემოსილო, სარკე სათნოებისა მხილველთა მათ შენთათჳს და ძეგლი მოღუაწებისა შემდგომთა ნათესავთა საბაძველად და სუეტად ცეცხლისა უბრალოჲთა მით მღდელობითა აღწევნულად კამარათა ცისათა.

Oჯკორცოთა კრებულნი ძრწოლით აღამაღლებენ სამებასა წმიდასა სამწმიდითა შესხმითა და ერთ უფლებით
317. ღუთისმეტყუელებითა და ესრეთ სამითა გუამითა ერთსა ღმერთსა გჯქადაგებენ, სამებით ერთარსებად ცნობილსა.

ნეტარ არიან პირნი, ღუთის მშობლად მქადაგებელნი შენნი, დედოფალო, და ვაჲ მათდა, რომელნი არა აღვიარებენ ღუთის მშობლად და ხატსა შენსა წმიდასა არაჲ თაყუანის სცემენ,—უკეთურნი მწვალებელთა ერნი!

ღ~ტყა: მომიტევენ სახ~რ:

Ⴈვლტოდე შენ შფოთთაგან სოფლისათა, ღირსო Ⴈლარიონ, და ცუდსა დიდებასა სრულიად განეშორე და, ვითარცა მთიები, აღმოსავალით დასავალეთად მიიწიე.

ქრისტეს თჳს უცხო ქმნილმან და მსგავსადვე მისა მოწყალემან არა უგულებელს ჰყავ ტკივნეული ფერკითა, და ლოცვითა შენითა, ღმერთშემოსილო, მკელობელსა სლვაჲ მიანიჭე.

ეჩუენა საშინელად დედაჲ ყოველთა შემოქმედისაჲ ჵ უთქუმიდა სასტიკად არაჲ შემწყნარებელსა შენსა, ღმერთშემოსილო, და აუწყებდა სათნოებათა შენთა ძალსა.

ბუნებით ერთად ვიცნობ ჵ გუამითა სამად ღუთის ვმეტყუელებ სამებასა წმიდასა და ერთსა ღუთეებასა, ერთსა მეუფებასა, ერთ მთავრობასა და ერთსა კელმწიფებასა.

ოჳცვალებელმან ღმერთმან შენგან კორცნი მიიხუნა, უსძლოო, და ერთ გუამად იხილვა ორითა ბუნები- 318
თა და ორითა ნებითა ღმერთი და კაცი, რომლისა მიმართ მეოხ გუეყავ.

ძხ~სა: ღუთისა გარდა:

Ⴃიდთა მათ მოციქულთა სურვილითა, ღირსო, აღეგზენ შჳდ წილად და მიიწიე ჰრომედ წინაძღომითა სულისა წმიდისაჲთა და სრულ ჰყავ საწადელი გონებისა შენისაჲ და ჰქადაგებდი: ღმერთო შენ კხ~რ.

ეწყვე, ღმერთშემოსილო, სულთა უკეთურთა, ვითარცა რჩეული მკედარი მეუფისაჲ, ქუეყნითი ქუეყნად მიმო-

სლვითა და სათნოებათა და სასწაულთა შენთა დათარვითა და სიმდაბლით უჩინო ქმნითა.

ნათლად ღუთივ მოცემულად გიცნობს დასავალი, ნეტარო მამაო, და მხიარულარს ჰრომი და უფროჲსად განსცხრების თესალონიკე, რამეთუ მას შინა განხუედ სოფლით და მიხუედ წინაშე ღუთისა, მამაო ილარიონ!

დიდებულებაჲ ნიშთა შენთაჲ, სანატრელო, უფროჲს ადემატა, რამეთუ მკელობელთა სლვაჲ მიანიშნე პირველ სიკუდილისა და კუალად შემდგომად სიკუდილისა შენისა თავისუფლებაჲ მიანიშნე ტუუე ქმნულთა.

ღუთისმეტყუელებ ერთარსად მხოლოსა მამასა და მხოლოსა ძესა და მხოლოსა წმიდასა სულსა, არა თუ სამთა მხოლოსა, არამედ მხოლოსა ერთსა ღმერთსა ბუნე-
319. ბით ღმერთად აღვიარებ და ძრწოლით თაუუანის ვსცემ.

ეტლად სიტყუსა ღუთისა სახელ გდებთ, ქალწულო, დედაო ღუთისაო, და დიდებულებათა, რომელნი უვნა შენთანა მადალმან, კმა მადლად ვქადაგებთ და ნისტორ შევაჩუენებთ და უოველთავე წინააღმდგომთა შენთა.

აკ^ხა: ძეგით აკ^ხთ:

სრულ ჰყავ რაჲ სრბაჲ შენი, ღმერთშემოსილო მამაო, და მიიცვალე წინაშე ოჯთლისა, ადიდა განსლვაჲ შენი მეუფემან, სასწაულთა მიერ და ნიშთა შეგამკო, რაჟამს შეუურობილნი სულთაგან არა წმიდათა შეხებითა შენითა განთავისუფლდეს.

ზერ იყო, ვინაჲთგან სული შენი მეუფემან წინაშე თჯსა დიდებით მიცვალა და რათა გუამი შენი ქუეყნისა მეფემან მიიღოს ძალად და სიმტკიცედ, და სამეუფოდ ქალაქად ამოსლვაჲ შენი იდიდოს შემდგომად ზეცად ადსლვისა.

ეჰა, სანატრელო, ვითარ არაჲ სათნო იყავ შემდგომად სიკუდილისაცა შენისა ვალატთა სამეუფოთა მკჳდრო-

ბაჲ, არამედ ჩუენებით აუწყე მეფესა საწადელი შენი უდაბნოჲ, რომელსა შინა სულნელებად სულისა გამოსჩნდი.

რომლითა ცხოველ ვარ და რომლისა მიერ ვიშუებ ემბაზისაგან მეორედ შობითა, ვადიდებ სამებასა, ერთსა ღმერთსა მამასა მშობელსა და ძესა შობილსა და გამომავალსა სულსა სახიერსა მამისაგან და ძისათანა ქებულსა. 320.

იხილვნეს შენ შორის საკჳრველნი სასწალნი მუცლად ღებაჲ უთესლოდ და შობაჲ უხრწნელად და შობილი სიტყუაჲ ღუთისაჲ და დედაჲ ქალწული; ეჰა საკჳრველი! არამედ ვინაჲცა ინებოს ღმერთმან, მიერცა ბუნებითნი წესნი იცვალებიან.

ადგა: განკჳრდეს ზესკნელს ცანი:

საუფლოთა მათ ქადაგთა სიტყჳსათა თანაზიარი იქმენ, წმიდაო მამაო ილარიონ, ზეცისა სუფევასა და ქუეყანასაცა ზედა თანა მოსაგრე მათდა გამოსჩნდი დასხმითა მით ნაწილთა შენთა უბიწოთაჲთა კელთა მიერ ღუთის მსახურთა მეფეთაჲთა.

აწ მოიხილე ჩუენ ზედა მოწყალებით, ჯ ღმერთშემოსილო მამაო, მგალობელთა ამათ წინაშე ლარნაკსა შენსა, შვილთა და სამწყსოთა შენთა, და ევედრე ჩუენთჳს მაცხოვარსა ნებტსა დღეთა ჩუენთასა აღსრულებად მშჯდობით, ოხითა შენითა, ილარიონ!

ეჰა, წყალობის მოუყარეო სულო, შეიწირე ძღუენი ულირსთაგან ბაგეთა და ნუ დასაშჯელად ჩემდა იქმნებინ შესხმაჲ შენი, წმიდაო, არამედ მომიტევე წარმდებად კადნიერსა ძალისა უალრესსა კელუოფაჲ.

ბუნებით ერთხარ, ჯ ღმერთო სამებაო, ხოლო გუამითა სამად იცნობები, განუყოფელი განიყოფვი განუყოფელად, ხოლო თჳთებანი შენნი შეურევნელად ჰგიან მარადის, მამაო უშობელო, ძეო მხოლოდ შობილო, და 321.
სულო წმიდაო გამომავალო.

რომელთა არა ჰრწამ შენ ღუთისმშობლად და ხატსა შენსა არა ჰმონებენ, დედაო და ქალწულო უქორწინებელო, უტყუ იყვნედ ბაგენი მათნი! ხოლო ჩუენ ზედა, მოსავთა შენთა, მადლი შენი მოვედინ და მოწყალებაჲ შენი იყავნ ჩუენგან განუშორებელ.

აქ̃ბსა: სარწმუნოებით ყოველნი:

აჰკაედ სიმაღლედ, მამაო, გონიერითა ფრთითა, საქმისა და ხედვისა მრჩობლიად წარმართებითა გონებაჲ წარადგინე წინაშე ღუთისა გუნდთა თანა წმიდათა ზეცისა განწყობილთასა და ღირს იქმენ შენ ხილვად დიდებასა ღუთისასა, რომელსა განუკუთნე თავი თჳსი სიჩჩოჲთგან; მისა მიმართ, ოხად ნუ დააცადებ სამწყსოთა შენთათჳს, ილარიონ!

მღჳძარედ იპყრენ, მამაო, თუალნი გონებისანი და მიურულებელად დასცევდ სულისა ნაყოფთა წარპარვისაგან ავაზაკთა ზუაობისათა და სიმდაბლით მარხვითა ლოცვასა თანა წმიდისა სიყუარული მოყუსისა მოწყალებისა თანა და ყოველივე მწყობრი წმიდაჲ სათნოებათაჲ, ვითარცა რაჲ მუშაკმან სულიერმან, ზეცისა საუნჯეთა შეჰკრიბე.

იქცეოდე, სანატრელო, სოფელსა ამას შინა, ვითარ
პირველ ელია, იწროებითა ჴორცთაჲთა, რომლისა იგი შემ-
დგომად ამაღლებისა ხალენითა მისითა მოწაფე იგი მისი
სასწაულთა იქმოდა, ხოლო აქა შემდგომად სიკუდილისა
322. შენისა სამოსელიცა შენი პირადპირადთაგან სენთა გუე-
მულთა მადლითა შენითა განჰკურნებდა.

ნუ დამივიწყებ, მამაო ნეტარო ილარიონ, სამწყსოთა ამათ შენთა წინაშე ქრისტეს მჴსნელისა დედასა თანა ცათა მეუფისასა და ყოველთა წმიდათა ზეცისა უჴორცოთა წინასწარმეტყუელთა და საღმრთოთა მოციქულთა, ნეტართა მღდელთმოძღუართა, მამათა და მრტჳლთა, რომე-

ლთა თანა ადრაცხილ ხარ, რათა დავიცვნეთ განსაცდელთაგან.

სტეფანოზნი ამისვე წმიდისა მამისანი. კმაჲ: ბ: გ̾ი: ყოველი სასოებაჲ:

მოვედით ერთი ხოროზი, ხილული და უხილავი, საფლუთოჲ და სულიერი ზეცისათა თანა, დღეს განვაწყოთ, ერნო, და შემოვკრბეთ ქებად ქრისტეს მოდუაწისა ახოვნისა, რომელი იგი შრომითა ოფლთაჲთა ეწყო სიყრმითგან მტერსა ბოროტსა ჳ შემუსრა ძალი მისი საჭურველითა უძლეველითა და ვევედრნეთ მას, ჯ საგზის სანატრელო Ილარიონ, ნუ დასცხრები მეოხებად სამწყსოჲსა შენისათჳს.

სხ̾ჲ: ბ: გ̾ი: მჯდოლმარეთაჲ:

წმიდა გუო ღმერთმან საშოჲთგანვე დედისაჲთ, ვითარცა პირველ დიდი იერემია და ჭურად სიწმიდისად გამოგაჩინა, მამაო, და სასწაულთა ნიშებითა განგაშუენა და შენ მიერ სოფლისა მჴურობელი ბელიარ სირცხვლითა ადავსო ყოველით დასით მისითურთ და სიდრმესა ბნელისასა დაანთქა, ხოლო შენ, ნეტარო, გჯრგჯნი ძლე- 323.
ვისაჲ ბრწყინვალე დაგადგა, ვითარცა მოდუაწესა თჳსსა, ღმერთშემოსილო!

სხ̾ნი: დ: გ̾ი: ედემთა ზედა:

სათნოებათა დიდთა საუნჯედ გამოსჩნდი, სანატრელო, და მიემსგავსე პირველთა გამოცდილთა, რამეთუ შეიტკბე სიყრმითგან სიმშჯდე იგი მოსესი და დავითისი ძჯრუასენებლობაჲ, და ელიასი მოდუაწებაჲ და სრული უპოვარებაჲ, და მსგავსად პავლესსა სიუარული ყოველთა მიმართ მოგეგო, მამაო, და ესრეთ საქმითა მოდუაწებათა შენთაჲთა, ვითარცა რაჲ ეტლითა, აჰმაღლდი წინაშე სა-

მებისა; მამაო ილარიონ, მეოხ გვეყავ ჩუენ, შემსხმელთა შენთა.

ვითარცა მოციქულთა მეგუარი და მათ თანა მოსაგრე და ცათა შინა მათთანა მოდასე, ქუეყანასაცა ამას ზედა მათთანავე ზიარ იქმენ ზოგადსა სახლსა ღუთისასა მკვდრ ყოფად, რომელსა იგი შინა წმიდანი ნაწილნი შენნი მადლისა მომცემელად ჩუენდა და სენთა საკურნებელად. და აწ, სანატრელო, მათ თანავე ევედრე სამებასა წმიდასა ღუთისმშობლისა თანა და ყოველთა წმიდათა კრებულსა მონიჭებად მშჳდობაჲ და სულთა ჩუენთა დიდი წყალობაჲ.

ლოცვა ყავთ, წმიდანო მამანო, ქრისტეს მოყვარეთა პატიოსანთა ძმათათჳს, რომელთა სიტყჳთა ვიიძულე გალობად მამისა ჩუენისა ილარიონისა მე უღირსი ზოსიმე, რომელი ესე არცათუ სახელის დებად მისა ღირს ვიყავ; თუ კეთილ იყვნენ, სასყიდელი მათი არს, ხოლო ნაკლულევანებაჲ ჩემისა უსწავლელობისა მიერ არს.

წმიდაო ილარიონ, შეიწყალე მონაჲ შენი იაკობ, მღდელი ქრი-
324. სტესი, და მწერალიცა შეიწყალე.

Თუესა ივნისსა: იდ წმიდისა მამისა ჩუენისა Იოანე ქართველისაჲ, რომელმან აღაშენა Მთაწმიდას დიდი ლ̃ავრ̃აჲ ქართველთაჲ.

კ̃ჲ: დ: მანეონი:

Ახალი შუენიერებაჲ ეკლესიასა ქრისტესსა დღესასწაული შენი, მამაო Იოანე, ბრწყინვალედ შეუმოსიეს დღეს და ყოველთა ახარებს ახალსა სიხარულსა, რამეთუ შეერთებულ ხარ Წმიდათა მწყობრსა ძისა შენისა თანა და ერთობით იხარებთ წინაშე Ღუთისა, მეოხ გუეყვენით სულთა ჩვენთა თჳს.

Ოჳღელსა ტკბილსა ქრისტესსა ქედი შენი მოუდრიკე და მიუდრეკელად წარჰმართენ სლვანი შენნი Ზეცისა სუფევისა მიმართ, მამაო Იოანე, და ურნატი სულისაჲ შრომათა შენთა ოფლითა განაპოხენ შენ და ნაყოფი კეთილი გამოიღე და მიართუ Ოჳფალსა შენსა, რომლისაგან ნიჭნი მოგეცნეს.

Განაბრწყინვენ ჟამნი შენნი კეთილად მოღუაწებითა, რაჟამს ყოველივე დიდებაჲ ქუეყანისაჲ დაუტევე, ღმერთშემოსილო მამაო Იოანე, და Ღმერთი შეიყუარე, სიმდიდრე წარუპარველი, რომლისა მიერ იდიდე საუკუნოდ; მისა მიმართ მეოხ გუეყავ, რომელნი დღეს კსენებასა შენსა ვადიდებთ. 325.

ს̃ხჲ: კ̃ჲ: გ̃ი: რ.....

Ღირსო მამაო Იოანე, ტრფიალ იქმენ Ოჳფლისა და აღიღე ჯუარი მისი და მოსწრაფედ შეუდეგ კუალსა მისსა სურვილით და ნებაჲ კორცთაჲ სრულიად განჰყიდე და

მოიყიდე მარგალიტი იგი უსასყიდლოდ და აწ წინაშე მისსა მდგომარე ხარ; მეოხ გუეყავ სულთა ჩუენთათჳს, სამკაულო მოძღუარეთაო!

ღირსო მამაო Იოანე, მიიწიე უდაბნოდ, ვითარცა სალმრთოდ მუშაკი, და მიერ მოისთულენ ნაყოფნი ყოვლადვე შუენიერნი და აჭმაღლდი ღუთისა მიმართ სურვილითა და მისა შესწირე ძღუნად პატიოსნად მდდელი უბიწოდ, სანატრელი ძე შენი დიდებული Ეფთჳმი, რომლისა თანა მეოხ გუეყავნ ჩუენ.

ნეტარო მამაო Იოანე, განხუედ რაჲ მოძღუაწებად, არა ეც ჭრელი თუალთა შენთა, ვიდრემდის მიიწიე უდაბნოდ, დიდებულო, და აღაშენე მონასტერი და მას შინა შეჰკრიბენ მონაზონთა სიმრავლენი, მადიდებელნი წმიდისა სამებისანი, სანატრელო, მეოხ გუეყავ ცხორებად სულთა ჩუენთათჳს.

სტჳძაროჲნი. კ᷾დ: გ: გ᷾ი: მჯდოჲმარე:

326. წესი შჯულისაჲ მამათა პატივისა შვილთა თჳსთა მიერ ჩუენდამდე მოიწია, მამაო Იოანე, ვინაჲ თანამდებ ვართ მიცვალებისა შენისა დღესასწაულსა აღსრულებად დიდებითა და პატივითა შვილნი და მოწაფენი შენნი და გევედრებით, გჳთხოვენ ჩუენ სამწყსოსა ამას შენსა სწავლათა შენთაებრ და წესთა სალუთოთა დამტკიცებად, დიროჲ(?) ქრისტეს მიერ მეუფისა და სულთა ჩუენთა უხუად დიდი წყალობაჲ.

დიდებაჲ მსოფლიოჲ განხრწნადი დაუტევე და იწროსა მას გზასა მავალ ჰჳვენ ფერანი შენნი, მამაო Იოანე, ხოლო უცხოებაჲ გექმნა შენდა წინამძღურად გზისა მის ჭეშმარიტისა, და სავანედ შუენიერად მიიწიე მაღლისა სიმდაბლისა და საშუებელად ჰპოე მორჩილებაჲ უზაგუველი, წმიდაო. რომელთა მიერ აწ აღიწიე, ღირსო, სრულ-

სა სისრულესა ზეცისა სუფევისასა; მომიჴსენენ ჩუენ მადიდებელნი შენნი.

ყოველნი ღირსად შეგასხამთ დღეს, იოანე, გალობითა და შესხმითა სულიერითა ძისა შენისა თანა, ნეტარისა ეფთჳმესი, რამეთუ იქმენ ჭეშმარიტად შვილსა ზედა სიხარულევან, რომლისა მიერ განამრავლენ შვილნი უდაბნოჲსანი და წიგნნი სულიერნი დაუუნჯენ ეკლესიათა ჩუენთა და აწ პირმშოსა მას ზეცათა სიონსა ერთობით იხარებთ წინაშე სამებისა წმიდისა, მეოხ გუეყვენით მადიდებელთა თქუენთა. 327.

სხ̃ჲ: ედემთაჲ:

მოვედით, ჵ მწყობრნო მგალობელთანო, და განვაწყოთ ჩუენ ხოროჲ ტაძარსა შინა ღუთისა დედისასა და ვადიდებდეთ ქრისტესა ღმერთსა, რომელმან გამოაჩინნა ნეტარნი ესე და მკნენი მოღუაწენი, იოანე და ეფთჳმი, რომელთაცა აღაშენეს ლავრაჲ ესე დიდებული და წმიდაჲ ეკლესიაჲ, რომელსა შინა მდგომარე ვართ და სურვიელად აღვასრულებთ დღესასწაულსა მათსა და მათ მიერ ვითხოოთ ქრისტესაგან მოტევებაჲ ცოდვათაჲ და კსნაჲ განსაცდელთაგან და სულთა ჩუენთა დიდი წყალობაჲ.

წარდგომაჲ: დ: გ̃ი:

სათნოებითა განჰმსდიდრდი, მამაო, და უფროჲს ყოველთასა სიგლახაკე შეიყვარე და უცხოებასა მიეც თავი შენი და ჰმწირობდ, ვითარცა რაჲ მამათმთავარი, ხოლო განმაძლიერებელმან შენმან, ქრისტემან ღმერთმან გამოაცხადნა სიმკნენი ღუაწლთა შენთანი და განჰფინნა ყოველთა კიდეთა სოფლისათა; ამისთჳსცა იხარებს კრებული ქართველთაჲ და იქადიან შენთჳს და განსცხრებიან სიხარულით, განსწავლულნი ძისა შენისაგან. არამედ, ჵ ნეტარნო მოღუაწენო და ყოვლად ქებულნო მამანო, იოანე და ეფთჳმი, სამკაულნო და სიქადულნო ნათესავისა ჩუენისანო, ევედრენით ქრისტესა ღმერთსა, რათა ცოდვათა შენ- 328.

დობაჲ მოგუანიჭოს, რომელნი სურვილით ვდღესასწაულობთ საჴსენებელსა თქუენსა.

იპაკოჲ. ჴ̃ჲ დ: ბ̃ი:

Სიმაღლედ საღუთოთა ხედვათა აღიწიე და სიღრმესა Ღუთისა სიბრძნისასა შთაიხედე და გულისჴმის ყოფაჲ საღმრთოჲ მიერ აღმოივსე და ეკლესიაჲ Ღუთისაჲ ღუთივ შუჱნიერად განამდიდრე საუნჯეთგან დაულევნელთა Სულისა წმიდისათა, რომლისა დამარხვად ღირს მყვენ, ღმერთშემოსილო Ეფთჳმი, მადიდებელნი დღესასწაულისა შენისანი.

Ოჴდაბნოჲ კორცთა ბუნებისაჲ მოღუაწებათა ერქუნითა ანეულ ჰყავ და თესლი სათნოებათაჲ მდიდრად დასთესე მას შინა და წჳმითა ცრემლთაჲთა და ოფლთა შრომითა კეთილად მოჰრწყე იგი და სიმდაბლისა მიერ და სიმშჳდისა შეუხებელად დასცევ და სიყუარულით და წყლო-

329\. ბითა (?) თავ წარსხმულად კუვილად აღაორძინე და მოსწრაფებისა მიერ საღუთოჲსა ზეცისა საუნჯეთა შეჰკრიბე, რომლისაცა ზიარყოფად ღირს მყვენ ჩუენ მარადის, ჱ ღმერთშემოსილო Ეფთჳმი, მადიდებელნი დღესასწაულისა შენისანი.

სტიქარონნი წმიდისა მამისა ეფთჳმესნი: ჴ̃ჲ: ბ: ბ̃ი: მჯდომარე:

Ვითარცა სამოთხე სავსე სურნელებითა შემკული არისა ბრწყინვალებითა და რტო გარდაფენილი მრავალფერთა ყუავილთაგან, რომელსა იგი მომრწყველად აქუს Სული წმიდაჲ, აჰა ესერა წინაშე ჩუენსა განღებულ არს. მოვედით, მოსურნენო საღუთოთა შუებათანო, და ვიშუებდეთ დღესასწაულსა ამას, მოვისთულნეთ ყუავილნი სათნოებათანი და ესრეთ ვიტყოდით: ჱ ღმერთშემოსილო Ეფთჳმი, სამწყსოთა შენთა ოხად ნუ დააცადებ.

სხ˘ნი: დ: გ˘ი: ედემი:

ვითარცა ორთა მზეთა შორის ღუთივ ბრწყინვალე მთიები აღმოჰკვდა, ბრძენო, დღესასწაული შენი, რამეთუ აღდგომისა მიერ ერთ კერძო განბრწყინვებულ არს, ხოლო სულისა წმიდისა მოსლვითა განშუქნდების ელვარედ ცეცხლისა ენათა განუოფითა, რომელსა შენცა ღირს იქმენ მოღებად, ჯ სანატრელო, აჰკედ რაჲ სიმაღლედ ქორსა მას ზედა სალუთოთა სათნოებათასა, ბრწყინვალეო 330.
მამაო ეფთჳმი, ყოვლად საგალობელო, ჩუენცა განგუანათლენ აწ შემსხმელნი შენნი და მგალობელნი.

მოგუხედენ მაღლით, ღმერთშემოსილო, და დააცხრვენ აღძრვანი უხილავთა და ხილულთა ვნებათანი, გარე წარგუკადენ განსაცდელნი და ეშმაკთა კუსთებანი სამწყსოთა ამათ შენთა ჲ მგალობელთა, მდგომარეთა წინაშე სამარხოჲსა ნაწილთა შენთასა და შეწირე ვედრებაჲ ჩუენი დედასა თანა ღუთისასა წინაშე ქრისტესსა თანაშეწევნითა ზეცისა მკედრობათაჲთა და წინამორბედისა და იოანე ღუთის მეტყუსლისაჲთა, სანატრელო ეფთჳმი, სოფლისათჳს მშჯდობაჲ ითხოვე.

უგალობასა: კ˘დ ბ: ზღჳსა ღე:

ეწრო არს ჩემდა, ნეტარო იოანე, ყოვლით კერძოვე შესხმად შენდა კელუოფად, არამედ ვხადი ყოვლისა შეძლებულსა ოხასა შენსა, რათა მომეცეს სიტყუაჲ აღებასა ვირისა ჩემისასა.

დასაბამსაე სოფლით გამოსლვისასა დასაბამი სიბრძნისა შიში ღუთისაჲ, გულისკმა კეთილ, რომლითა მოიძულე საწუთროჲ ესე, მამაო იოანე, აღიღე ჯუარი და შეუდეგ ქრისტესა.

იქადის ტაოჲ, ქუეყანაჲ იგი თქუენი თანა მკჳდრითურთ თქუენთჳს, ყოვლად ქებულნო, რამეთუ მიერ აღმოსცენდით, წმიდანო, იოანე და ეფთჳმი სანატრელნო, და განა- 331.
ნათლეთ ნათესავი ქართველთაჲ.

დარაჲ ემკჳდრა შენ თანა მადლი ღუთისაჲ, მოგაძუ-ლა შენ საწუთროჲსა დიდებაჲ, და შეიყუარე სიმდაბლე, უცხოებაჲ, რომლისა მიერ აღიწიე სიმაღლედ სასუფევე-ლისა, წმიდაო იოანე!

ევაჲს ცთომითა სიკუდილი დაგუსაჯა, ხოლო შენ მიერ, წმიდაო ღუთისმშობელო, ცხორებაჲ ვპოვეთ, რა-მეთუ ღმერთი გჳშევ, მადიდებელი აღმსარებელთა შენთაჲ და ღირსთა თჳსთა გჳრგჳნოსან მყოფელი.

გ̃ძა: განხსნილნი:

ბრწყინვალებითა მადლითა შენისაჲთა განგუანათლენ მადიდებელნი შენნი, ღმრთშემოსილო მამაო იოანე, რა-თა ვაქებდეთ დღესასწაულსა შენსა, განათლებულსა და ღირსსა ქებისასა.

უცხოებამან შენმან, ღმრთშემოსილო, და სივლ-ტოლამან კაცთა დიდებისამან დაგადგინა შენ სასანთლესა მაღალსა, რათა ჰნათობდე სათნოებათა შენთა ელვარებითა ყოველთა ცისკიდეთა.

დავიწყებისა მიზეზი არს სიკუდილი, ხოლო შემდგომად სიკუდილისა შენისა მაუწყებელ არს მოღუაწებათა აწ ღვა-რაჲ შენი და კმა მაღლად ქადაგებს შრომათა შენთა, მამაო იოანე!

ერჩდი ნებასა მამისა შენისასა, ბრძენო ეფთჳმი, და კე-
332. თილად განაგენ სამწყსონი შენნი, მის მიერ რწმუნებულ-ნი შენდა, მამაო, და წესი სულიერი შემდგომთა ბრწყინ-ვალედ დაუტევე.

ნეტარებასა ძისა შენისა მიერ ღირს იქმნებიან აღ-მსარებელნი შენნი დედად მკსნელისად და ნეტარ არს, რომელმან იცის გალობაჲ და ჯეროვანი შესხმაჲ შენი, ქა-ლწულო, ყოველთა დედოფალო.

მ̃სა: საქმენი.

არა ჯერ იყო, მამაო იოანე, შვილთა შენთაგან დუ-მილით თანა წარსლვაჲ მიცვალებისა შენისა კსენებასა,

ამისთჳს სურვიელნი ვდღესასწაულობთ და ვქადაგებთ გე-
თილთა შენთა მადლსა.

Ⴜამის ყოფამან საღუთოჲსა ნებისამან სათნოებათა შენ-
თა მაუწყებელად მოგანიჭა შენ მეფეთა განბჭობითა ძე
შენი სანატრელი, რაჟამს სულითა გიცნა შენ ყრმამან მცი-
რემან მშობელი თჳსი.

მოსწრაფე იყავ Ⴖუთისა მიერ აღძრვითა, ძისა შენისა
სწავლად თარგმანებასა, და აღაღო რაჲ პირი თჳსი Ⴄფთჳ-
მი, მიიღო სული Ⴖუთისაჲ და განჰმარტნა ღუთის მეტყუ-
ველებანი, ძნიად მისაწთომელნი.

აბრაჰამისებრ ჰმწიროდ რაჲ, Ⴈოანე, Ⴈსაკ მეორედ
შესწირე შვილი შენი, არაჲთუ დაკლვით, არამედ მღდე-
ლობისა მადლითა შემკობილი საკსრად სოფლისა შემ- 333.
წირველად სისხლისა სამეუფოსა.

მიჰრონის სახედ სურნელ ჰყოფენ მადლითა ტაძარსა
შენსა შემომავალთა ერთა, Ⴖუთისა დედათა, ნაწილნი წმი-
დათანი, სიწმიდით მდებარენი, ყოვლად წმიდანი, ეზოთა
შინა სახლისა შენისათა.

Ⴖ̃ზა: გ̃ნვიბა

Ⴀღავსენ გულნი მგალობელთა შენთანი მდინარეთა
გან მადლისა შენისათა, მამაო Ⴈოანე, და წარჰმართენ
სლვანი ჩუენნი მცნებათა მიერ საღუთოთა Ⴕრისტეს მიმართ
მეოხებითა შენითა.

Ⴈჳტებიან ეშმაკთა სიმრავლენი ძუალთა შენთაგან
ყოვლად პატიოსანთა, ვინაჲცა მათ მიერ ფრიად ვნებულ-
მან, სამარხოსა შენსა სარწმუნოებით შეეხო რაჲ, მყის პო-
ვა თავისუფლებაჲ.

Ⴈხარებენ დღეს დღესასწაულსა შენსა სამგზის ნეტარ-
ნი, სამებისა მსახურნი Ⴀრსენი, Ⴈოანე და Ⴈოანე, რამეთუ ხედ-
ვენ დიდებასა შენსა, თანა ზიარნი მადლისა შენისანი.

Ⴓცხო არს სმენაჲ სხჳთა ენითა ზრახვაჲ მღდელ

შუწნიერისა ბაბრიელისა, რაჟამს ენაჲ, რომელი არა იცოდა, ესმა; ეჴა ნიშთა მათ შენთა, ძრისტე, სიმრავლე, რომელმანცა ჰყავ ნებაჲ მოშიშთა შენთაჲ.

ვკმობ შენდამი, ქალწულო ღუთის მშობელო, ვითარცა ბრმაჲ იგი, ძისა შენისა მიერით შემიწყალე, ასულო დავითისო, და აღმახილენ თუალნი სულისანი, ცოდვათა
334. მიერ ურიცხუთა დაბრმობილნი.

ღღ-ჟა: წინასწარმეტყუელმან მან

აწ არაჲ თუ იგავით, არცადა მოლოდებით, არამედ ცხადად ჴხედავ ნათელსა ძრისტეს ღუთისასა წმიდათა საშუწბელსა, წმიდაო იოანე, მომიკსენენ ჩუენ, შემსხმელნი დღესასწაულისა შენისანი.

ნაცვალად ედემისა სამოთხედ განღებულად აქუს ლავრაჲ შენი ქართველთა ერსა და ჯუარითა მით საშუბელთა მისთაჲთა, ოხუბით აღვსებულნი, განათლდებიან და მადლსა შენსა ქადაგებენ კმა მადლად.

ევლტოდე, იოანე, ამბოხთა სოფლისათა და დიდებასა კაცთა მიერსა, ხოლო ვერვე დაფარნა სათნოებანი შენნი ადგილთა ცვალებამან, არამედ უფროჲს ნათლის ბრწყინვენ აწ საქმენი შენნი.

ოჯუსკრულად მოძღურებათა გამოგაჩინა მადლმან ყოვლად წმიდისა ღედუფლისამან, ჯირსო, რაჟამს იგი ლოცვითა მამისა შენისათა სიმრთელე სულიერი და სული სიბრძნისაჲ ოხუბით მოგმადლა შენ.

კ'ხა: რომელმან პირველ:

ღამისა იგი საქმენი განიშორენ და დღესა შინა შუბნიერად ვიდოდე სოფელსა ამას შინა, მამაო იოანე, და ძე ნათლისა საუკუნოჲსა იქმენ; ნათელსა შენსა ჯირს მყვენ მოსავნი შენნი.

იობის მსგავსად გამოიკურვე, ჯირსო, ბრძმედსა შინა მძაფრთა სალმობათასა, ჯმერთ შემოსილო მამაო იოანე,

ვითარცა ოქროჲ განწმედილი შჯდ წილად და ჰღადადებ- 335.
დე: დმერთო, შენ გურთხეულხარ.

რაბამ შუენიერ არიან საყოფელნი ღუთისანი, წმიდათა სამკჯდრებელნი, რომელსა შინა სურვიელი სულითა დამკჯდრებულხარ; მამაო Იოანე, მოიკსენენ ჩუენ, მადიდებელნი შენნი!

სარკედ ბრწყინვალედ აღწერით დაგჯტევა ცხორებაჲ თქუენი მუშაკმან მან სიბრძნისამან და შთამხედველ გუჳნა ელვარებასა თქუენსა, რომლისა იგი ზიარ იყო სულითა და მობაძავი თქუენდა სათნოებითა.

Исарни თჯსნი განმაწონნა ბელიარ გულის თქუმათა მიერ და მომწყლა სასიკუდინედ; ღუთისა დედაო, დაჰკსნენ მანქანებანი მისნი ბოროტნი, არცხჯნე მტერსა ჩემსა და მაცხოვნე მადიდებელი შენი.

აკ~ხა: დგდ~ბლნ

Сათნოებათა საუნჯედ დიდძალად დაუუნჯენ შენ სულსა შენსა, მამაო, წარუშარველნი სასოებაჲ, სიყუარული, და მოწყალე (?), და მათი იგი მცველი სარწმუნოებაჲ, ნეტარო Იოანე.

Асწილ მოიდე სოფელსა ამას შინა და მერმესა მას ცხორებაჲ საუკუნოჲ, უცხო რაჲ იქმენ თჯსთაგან, Იოანე, და თჯსნი შენნი უცხოსა ქუეყანასა ადიდებენ, ღირსო, უფროჲს ადგილისათა.

Элиаჲს მსგავსად მოგეცა კელმწიფებაჲ დრუბელთა ზედა, დიდებულო Ეფთჳმი, რაჟამს სიტყოთა (?) მამისა შენისაჲთა შესწირე ლოცვაჲ ღუთისა მიმართ ძალთაჲსა და 336.
მოსცა წჯმაჲ სამკჯდრებელსა თჯსსა.

Ზეცათა შინა წმიდათა მწყობრსა თანა შეერთებულხარ, წმიდაო Იოანე, მოიკსენენ ჩუენ, მადიდებელნი შენნი და მოწაფენი, და გჯთხოვე შენდობაჲ შეცოდებათაჲ და კსნაჲ განსაცდელისაგან.

რომელი ესე დუაწლითა ძლიერითა შესაკრებელი მამათაჲ აღაშენე, მეოხებითა შენითა განარინე ბარბაროზთაგან ლავრაჲ შენი, წმიდაო, და ნავნი მათნი სავსებითურთ დაანთქენ.

Აღვიარებ შენ ბრალთა ჩემთა, ქალწულო, რამეთუ თავსა ჩემსა აღმემატნეს მე ცოდვანი ჩემნი, არამედ აწ ევედრე განმსუჱნებელსა მაშურალთასა—ქრისტესა, რათა აღიღოს ჩემგან ტჳრთი ცოდვათაჲ.

ად̃ბა: ოპზეშთ.

Ⴈხარებს ღირსად ბანაკი მონაზონთაჲ შენთჳს, წმიდაო მამაო Ⴈოანე, რამეთუ სიმკნე დიდი შესძინე მათ და სირცხჳლითა აღსავსე არს ეშმაკი, მოღუაწეთაგან დამკობილი სრულიად.

საძნაურთაგან ამის საწუთროჲსათა განრომაჲ ჩუენი იღუაწეთ, მოღუაწენო ქრისტეს Ⴖუთისანო, რომლისაცა წინაშე კადნიერებით მდგომარე ხართ, მამანო Ⴈოანე და Ⴄფთჳმი სანატრელნო.

მხიარულებით სულებმან მართალთამან შეიწყნარეს დღეს სული შენი უბიწოჲ, რომელთა შორის იშუებ, ღმერთშემოსილო! საწადელისა შენისა ქრისტეს თანა მომიკსენენ ჩუენ მადიდებელნი შენნი.

Ⴈთხოვე, ღირსო, ყოვლისა სოფლისათჳს მშჳდობით
337. დაცვაჲ და მეფესა ჩუენსა ძლევაჲ და დამტკიცებაჲ მართლ
მადიდებლობისაჲ ქრისტეს Ⴖუთისაგან, წმიდაო Ⴈოანე, და სულთა ჩუენთა ოხუად დიდი წყალობაჲ.

Ⴄკლესიაო ქრისტესო, იხარებდი და შეიწყნარე დღესასწაული ესე ყოვლად ღირსისა Ⴈოანე Ⴋართლისა და საკსენებელად საუკუნოდ დაჭმარხე და ახარებდი წლითი წლად შვილთა შენთა.

რომელმან უტყჳ ენაჲ ჩემი მეტყუელ ჰყავ გალობად შენდა, მამაო Ⴈოანე, შენ შეიწირე გულს მოდგინებაჲ ჩემი

და მოტევებაჲ ცოდვათაჲ მითხოვე მე ქრისტეს Ⴖუთისაგან, შემსხმელსა ამას შენსა.

შიში მერმისა საშჯელისაჲ განმლევს მე, რამეთუ უწყი სიმრავლე ბრალთა ჩემთაჲ, Ⴖუთისა დედაო, პირველ აღსასრულისა ლმობიერებაჲ ჯეროვანი მომმადლე, რათა განვერე მე მერმისა რისხვისაგან.

ႱႾႳႠႬႨ ႢႠႪႭႡႠႬႨ ႼႫႨႣႨႱႠ ႫႠႫႨႱႠ ႨႭႠႬႤႱႬႨ:

ჴ̃ჲ: Ⴁ: Ⴁ̃Ⴈ: ႼႠႫႨႱႷႭႴႨႧႠ

Ⴜინასწარმეტყველისა Ⴄლისეს თანა ვიქადებდეთ კაცსა Ⴖუთისასა დღეს Ⴈოანეს Ⴋართალსა ღირსად შესხმითა საღმრთოჲთა, რომელი იგი მარადის საგალობელარს.

Ⴋსგავსად Ⴈორდანისა განაღე ღელვაჲ სოფლისაჲ ზეგარდამო მადლითა საღუთოჲთა მრჩობლ შემოსილმან, ღირსო, და დაულტოლველად განჰვლენ უფსკრულნი საცთურებისა მისისანი.

Ⴃღესასწაული შენი ქადაგად სათნოებათა შენთა შეიწ- 338.
ყნარა, მამაო Ⴈოანე, Ⴖუთისა ეკლესიამან დღეს და შვილ-
თა თანა უგალობს მადიდებელსა შენსა.

Ⴁ̃ႬႻႱႠ: ႶႫႤႰႧႭ ႫႠႺႾႭႥႠႰႭ

Ⴘეურაცხჰყავ ყოველივე ამაოებაჲ სოფლისაჲ, და ვითარცა თივაჲ, დასთრგუნე ცუდი დიდებაჲ, ღირსო Ⴈოანე, და სიგლახაკისა მიერ სიმდიდრე დაულევნელი სასუფევლისაჲ ჰპოვე ზეცათა შინა.

აბრაჰამისებრ, მამაო, დიდისა მამათ მთავრისა, მწირობდ უცხოსა ქუეყანასა და Ⴈსაკის წილ, აღთქუმით შობილისა, Ⴖუთისა მიერ მოგემადლა ყოვლად ქებული Ⴄფთჳმე, — ვითარცა ბუნებით, ეგრეთვე განგებულობით.

Ⴈოსების მსგავსად, ღირსო, განისყიდე ნეფსით თჳსით სჳნიდისისა წამებითა უცხოდ ქუეყნად, რომლისაცა მსგავ-

სებითა გადიდა ძრისტემან ღმერთმან, გამომზრდელად ნათესავთა იფქლითა მით ღუთის მსახურებისაჲთა.

მ-სა: სმენაჲ მესმა

მოტევებაჲ ცოდვათა ჩუენთა ურიცხუთაჲ ძრისტეს მიერ გჳთხოვე, მამაო იოანე, რომელნი ვაქებთ დღესასწაულსა შენსა.

განაბრწყინვენ ქამნი შენნი, სანატრელო, ძლიერად მოდუაწებითა, რომლითა მიეახლე ბრწყინვალებასა საღუთოსა, იოანე.

სიმშჳდისა სახე იყო, იოანე, უმანკოებით ცხორებაჲ და ქცევაჲ შენი, ამისთჳსცა ქუეყანაჲ მშჳდთაჲ დაიმკჳდრე, მართალო.

ღ-გსა: ღამე გნელი

პეთიელთა მათ წარუვალთა სასოებითა, მამაო, დაუტევე დიდებაჲ წარმავალი და ჯუარი შენი იტჳრთე მჳართა შენთა და შეუდეგ კუალსა ძრისტესსა.

სიუარულითა ღუთისაჲთა შეჭურვილმან, იოანე, სიმდაბლისა და მორჩილებისა მიერ არცხჳნე მჳდომსა ამჳარტავანსა და დიდებაჲ უკუდავი დაიმკჳდრე.

წამებენ სათნოებათა შენთათჳს, იოანე, აღმოსავალი და დასავალი და მთაჲ ულუმბოჲ იქადის შენთა შრომათათჳს მის შორის აღსრულებულთა.

ღღ-ჲა: დანთძუმით

გწადდა, მამაო, უადრესთა სათნოებათა მოგებად და მთათა ზედა სურვილით იცვალებოდე, ვიდრემდის მიიწიე მთასა მას წმიდასა სათნოებათა საუნჯესა და მიერ აჰმაღლდი სიმაღლედ ცათა ზეშთა მოქალაქობითა.

აბრამეანითა გონებითა განშუენებულმან აღჰმართე კარვად სულიერად ლავრაჲ შენი დიდებული—შემწყნარებელად ერთა და ნათესავთა, რომლისა მიერ უხილავად შეიწყნარე სამებაჲ წმიდაჲ შენ შორის, ღმერთშემოსილო.

შჯულსა ქრისტეანობისასა თანა წარჰკდების ქებულებაჲ შენი დდეს, რამეთუ უალრესა მითხრობად ძალსა სათნოებათა შენთასა, ხოლო ჩუენ, მსგავსად უძლურებისა ჩუენისა, სარწმუნოებით ვაქებთ დუაწლსა შრომათა შენ- 339.
თასა

ეხ~ლო: ო~ვ დდ~გე

ალეგზენ, წმიდაო, სადუთოჲთა სურვილითა უმძაფრეს საკუმილისა და შესწუენ გარემოჲს შენსა, ვითარცა ქალდეველნი, კორციელნი ვნებანი, ხოლო სული შენი უვნებელად დაიცევ.

ძირმან კეთილმან ნაყოფი კათილი აღმოაცენე, მამაო, ღირსი ეფთჳმე, რომელმან აღმოაცენნა ნაყოფად სულიერად წიგნთა სიმრავლენი ეკლესიასა შინა.

ნუ დამივიწუებთ მოსავთა თქუენთა წინამე სამებისა წმიდისა, ვითარცა გაქუს კადნიერებაჲ მისა მიმართ, მამანო სანატრელნო, რომლისა წინაშე სუფევთ განბრწყინვებულნი.

აკ~ხა: რომელი მხოლოჲ არს.

ესგავსად იობისა კორცთა შენთა სალმობაჲ სიმკრით მოთმინებითა მიითუალე, მამაო, და სულითა განჰბრწყინდი შჯდ წილად, ვითარცა ოქროჲ, და აკურთხევდი ღმერთსა მადლობით უკუნისამდე და უკუნითი უკუნისამდე.

ძლიერად იღუაწე დუაწლი მოდუაწებისაჲ და სარწმუნოებაჲ უბიწოდ დაიმარხე და მართალთა ძილი დაიძინე, რომელთა თანა გკრძგნოსანი აღამაღლებდ.

სარწმუნოებით მვედრებელსა მას შენსა ეშმაკისა მიერ ვნებულსა მიჰმადლე კურნებაჲ შეხებითა გუამისა შენისაჲთა და აკურთხევდა ქრისტესა ღმერთსა შენ მიერ, ღირსო, უკუნისამდე.

ად-ბა: მტკრთველმან.

მონაზონთა სიქადულსა და დიდსა დიდებასა, მოდუაწეთა შორის საჩინოსა და ახოვანსა, ხოლო მშობელთა შორის უსახარულევანესსა იოანეს ყოველნი გალობითა სადუთოდთა ძისა მისისა თანა დღეს ვადიდებთ.

სარწმუნოებისა მიერ მიემთხვე, ყოვლად ნეტარო, საწადელსა შენსა, ვითარ იგი ესევდი, რამეთუ სახენი რაჲ ნივთიერნი განქარდეს, სადუთოსა სიყუარულსა უნივთოსა შეეყავ და მადლით განდმრთობილი ჰსუფევ საუკუნოდ.

წმიდამან უცხოებაჲ ქრისტესთჳს ნეფსით შეიყუარე მიმსგავსებით მისითა და გამოსჩნდი, მამაო, უცხოთ შემწუნარებელად; მე, უცხო ქმნული, ესე კეთილთა საქმეთაგან საკუთარ მუავ წმიდათა მცნებათა მისთა მეოხებითა შენითა.

ვინაჲთგან ქრისტე გაქუს მაქებელად შენდა, ღმერთ შემოსილო, და აღსარებულხარ წინაშე მამისა ზეცათაჲსა, უძლურ არს შენ წინაშე შემსხმელთა მეტყუელებაჲ, არამედ შეიწირე წადიერებაჲ ჩემი და მითხოვე მისგან მოტევებაჲ ცოდვათაჲ.

იბაკონი: არაჲ დააკ

თხოვად შეიწყნარე, ვითარცა დიდმან აბრაჰამ, ზეცით ხარებაჲ მაღლისა მიერ განმრავლებად ნათესავისა შენისა, დარაჲემკვდრე შენ, ყოვლად სანატრელო იოანე, უცხოსა ქუეყანასა და შენ მიერ მოგუეცა შვილთა შენთა კურთხევაჲ საუკუნოჲ.

ედემი.

მთად მიმართ უვნებელობისად მიივლტოდე, მამაო, მსგავსად ლოთისა, რომლითაცა განერი სოფლისა ამის საცთურთაგან ცეცხლებრ შემწველთა ვნებათა და გულისთქუმათა აღგზებულებასა, იოანე, რამეთუ მიუდრეკელად წარჰმართენ სლვა(ნი) შენნი აღსლვად მთასა სათნოებათასა სარწმუნოებისა, სასოებისა და სიყვარულისა მიერ, რომლი-

თა დაიმკჳდრე სამკჳდრებელი მამათ მთავართაჲ და შენ მიერ მოგუეცა შვილთა შენთა კურთხევაჲ საუკუნოჲ.

საზდვრად სადუთოჲსა ცხორებისა განგჳწესე მოგებად სამწუსოთაშენთა, ნეტარო Იოანე, სიმშჳდე და სიწრფოებაჲ, ურთიერთას სიყუარული, და მორჩილებაჲ სიმდაბლით უზაკველი, ხოლო მაცთურმან, გჳხილნა რაჲ *) 340. დაკსნილობითა შესულებულნი, ულმობელობაჲ სახედ დუარძლისა ადმოაცენა ჩუენ შორის, და ალმოჰფხორნა ჩუენგან სიყუარულისა და ლმობიერებისა ძირნი; გევედრებით, წმიდაო, კუალად დირსმყვენ გამოღებად ნაყოფსა სადუთოჲსა და მოცემად შვილთა შენთა კურთხევაჲ საუკუნოჲ.

*) ტექსტის 339 და 340 კაბადონები დაწერილია ათონურისავე ხელით, გარნა წვრილი ასოებით და ფრიად მჭიდროდ. ზოგიერთგან ნაწერი საკმაოდ გადალეწულა და ძნელად გასარჩევი გამხდარა.

Ⴇუესა მაისსა: **ივ:** წმიდისა მამისა ჩუენისა Ⴄფ-
თჳმი მთაწმიდელისაჲ დასდებელნი: Ⴍჳფალო ღაღად-
ყავსა: ჴმაჲ: **ა:** რომელთა თავნი იტყჳან: Ⴄსე ახალი
ოქროპირი იქებოდენ დღეს ჩუენ მიერ ჵმინ.

ეჰა დიდებული

Ⴄრნო მორწმუნეთანო, მოვედით, წმიდა ვყვნეთ ჩუენ გულნი და განვნათლდეთ სულითა და ვდღესასწაულობდეთ შესხმითა სადღუთოჲთა დღესასწაულსა ამას, ყოვლად ბრწყინვალესა და განათლებულსა ღირსისა Ⴄფთჳმისსა, და სულიერითა ჴმითა უღაღადებდეთ: გუაკურთხენ, მოღუაწებისა თუალნო ბრწყინვალენო, ზეცისა სუფევასა მეოხ გვეყავ სულთა ჩუენთა თჳს.

სახელის მოდგამ სიხარულისა იქმენ, სანატრელო,
341. და მოგუართა სიხარული და სულიერი არს ყუავილ შემ-
კობილი მრავალ სულნელებითა ყუავილითა სათნოებათაჲთა, რამეთუ ხილულისა არისა თანა მოგუეფინა ჩუენ დღესასწაული შენი წმიდაჲ, ვითარცა მზისთუალი, და განიოტებს ჩუენგან ვნებათა ზამთარსა მძიმესა.

ეტლითა მით სათნოებათაჲთა აჰმაღლდი, მამაო, ზეცისა კამარათა, ვითარ პირველ **ე**ლია, და აჰკედ სიმაღლედ **ს**ამებისა წმიდისა განცდად ხედვათა მიერ მაღალთა თუალითა სულისაჲთა და განიცადენ განგებულებისა Ⴖუთისა საიდუმლონი დაფარულნი და ეკლესიისა შვილთა მიჰფინე მდიდრად ნათელი მეცნიერებისაჲ.

უ̄გა: სასწაულითა.

Ⴑდახუენ თუალნი სულისა ჩემისანი განცდად ბრწყინ-

ვალებასა მადლთა შენთასა, ღირსო მამაო, ორდანოდ ენი-
სად აღძარ დიდებად შენდა, რათა ჯეროვნად გიგალობ- 342.
დე შენ, მამათა სიქადულო.

ხატებაი სამრთოდ სიჩჩოდთგან დაიმარხჳ ტრფიალე-
ბითა ჩუენთჳს ჩჩულ ქმნულისადთა, იწყლა რად გული შე-
ნი, ღმერთ შემოსილო, და ჰასაკისა თანა აჰმადლდებოდე
ძალითი ძალად სულისა სრულებითა.

აღძრვად ვნებათად სიურმითგანვე დასთრგუნე ფერკთა
მათ ქუეშჱ სულისათა, ნეტარო, და სიტკბოებად, საცნო-
ბელთა მღიქნელი, უოვლად არად დაგიტკბა მოლოდები-
თა წარუვალთა მათ ტკბილთა საშუებელთადთა.

ლამპრად ბრწყინვალედ მუოფთა თჳს სოფლისათა
გამოგაბრწყინვა ნათელმან მამისამან და ელვარებად სათნო-
ებათა შენთად მიჰფინე ცისკიდეთა, ვითარცა მზისა შარავან-
დედი, სანატრელო მეფეთჳმი!

იხილა, ძალო, შენგან შობილმან ღმერთმან ერთგუ-
ლი მონად დიდებისა თჳსისად და მოგანიჭა ნაწილად 343.
მკჳდრობისა სიწმიდისა შენისად და ადგასო სულითა
წმიდითა მგალობლად შენდა მიმართ

გ-ძა: ღ-ო, მოხედენ მონათა გალო..

მჳსხეულოთა გუნდსა თანა აჰმადლდი, რაჟამს შრო-
მათა დუაწლი ეტლ უყავ სულსა და ადიწიე საქმით ხედ-
ვათა მიმართ მადალთა, სანატრელო, და უხილავთა ხილ-
ვად ღირს იქმენ, დიდებულო მეფეთჳმი!

ძნარად სულისა ცხოველისჲ გამოსჩნდი, მორთულ
ძალთაგან სულისათა, მამაო, და გამოჰბრწყინდი ახალი
ოქროპირი და სიტყუათა საუნჯჱ, ვითარცა ოქროდ, და-
უუნჯჱ შენ ღუთისა ეკლესიასა.

რტო ნაყოფიერ იქმენ, ღმერთ შემოსილო, ადმოცე-
ნებულ ძირთაგან ღუთის მსახურთა, დარაჯენერგე თანა წარ-

სადინელსა სალმრთოთა წერილთასა და გამოიდე ნაყო-
344. ფად ტკბილად გულისხმის ყოფად მათი.

ოკაცრეს იქმენ ქერობინთა საუდართა, რაჟამს მეუფემან მათი გჯშევ კორცითა, რომლისა თჯსცა მოდუაწემან ეფთჯმი, ვითარცა დედუფალი დაბადებულთაჲ, შეგიუარა შენ და ჯეროვნად პატივგცა.

მ-სა პირველ აუწ

პატიოსანმან მშობელმან შენმან, ღირსო, მიგითუალა შენ ბჭობისაებრ მეფეთა თჯთ მჯრობელთაჲსა, რაჟამს იგი სიჩჩოჲსა ჭასაკსა შინა იცან ნეტარი იგი, ვითარცა სრულმან განგებითა სალმრთოჲთა.

იწურთიდ სიურმითგან წიგნთა ღუთივ სულიერთა და ადიწიე თავსა სრულებათასა, რაჟამს გონებაჲ წმიდა ჭუავ ვნებათაგან და სიწმიდითა სულისა შენისაჲთა ექმენ სავანჱ სულსა ყოვლად წმიდასა.

რათა სიბრძნისა დასაბამი მოიგო, დასაბამსავე სიურმისა შენისასა შიშსა ოჯფლისასა შეჰმსჭუალენ შენ კორცნი, ღმერთ შემოსილო, და მიერ ადიწიე სიუარულსა მას უშიშსა წმიდათასა.

იუავ რაჲ დაკსნილ კორცთა უძლურებითა, ძლიერი
345. იგი სასოჲ ქრისტეანეთაჲ მოვიდა შენდა და განგკურნა, წმიდაო, და პირსა შენსა მოგცა ენაჲ ცეცხლისაჲ და საკუთარ გულ დიდებისა თჯსისა.

ღ-გა: საცთურთა გნელ:

იწყალა გონებაჲ შენი ტრფიალებითა საუფლოთა მათ ვნებათა მჯსნელისათა, ამისთჯს ჯუარსეცუ სოფლისა და სოფელი ჯუარსაცუ შენდამი, მამაო სანატრელო, და მით ღირს იქმენ შენ ჯუარცუმულისა თანა.

ძველსმოქმედ მან, ყოველთა მწყალობელმან, მოგცა სიმდიდრედ ნათესავსა კლახაკსა და პირსა შენსა მოსცა

სული ცხოველი მსგავსად წმიდათა მოწამეთა თჳსთა და გული შენ მეათცამეტედ მოციქულად.

ეტრფიალე შენ სიბრძნესა, სანატრელო, და შეიყუარე იგი უფროჲს ყოვლისა, რომლისათჳსცა განისუენა შენთანა და ვეცხლ რჩეულყო ენაჲ შენი ბრწყინვალჱ, ღირსო, და განამდიდრენ შენ ცისკიდენი.

ბაგეთა შენთა ოქრო ღუთივ ბრწყინვალეთა გარდა- 346.
მოეცა წყაროჲ უხრწნელებისაჲ, უხუად მომრწყველად ურწყულსა ქუეყანასა, რაჲამს წყარომან წყლისა ცხოველისამან გასუა სიბრძნჱ—დედუფალმან ღუთისმშობელმან.

ღ҃ყა: შთაკდა იონა

Ⴍჳმადლოთა მათ ნათესავთა რაჲ შვილი, რაჲამს გმობასა მადლისასა იტყოდა, ცეცხლმან შურისა Ⴍჳფლისამან აღაგზნა გონებაჲ შენი და უტყუ ჰყავ პირი მისი მგმობარი ღუთისაჲ, და სრულიად წარსწყმიდჱ.

დიდებულებაჲ სახელისა შენისაჲ საქმეთა მიერ სრულ ჰყავ, ღმერთ შემოსილო, რამეთუ სეხნა სიხარულის იწოდე და გვწდიე ჩუენ ღვნოჲ სიხარულისაჲ, გულისხმისყოფაჲ წიგნთა ღუთივ სულიერთაჲ.

ელვარესა მას დღესა ღუთივ ბრწყინვალესა, შესწირევდი რაჲ მსხუერპლსა მას უსისხლოსა, ელვაჲ ნათლი-
საჲ ბრწყინვალჱ მოგეფინა, რათა გადიდოს მადიდებელი 347.
თჳსი და საცნაურ ჰყოს წმიდათა ტომთა შორის.

ნეტარებისა ღირსმან მამამან შენმან შეგწირა შენ ძღუნად ყოველთა დედუფლისა, ვითარცა კრავი წმიდაჲ ღუთივ გონიერი, რომლისა მიერ აღივსე შენ მადლითა მის თანა, ღირსო, მეოხ გუეყავ მარადის!

კ҃ხა: სიყუარულითა

Ⴃღესასწაულობს ლავრაჲ შენი, ნეტარო, და სულიერნი შვილნი შენნი ღაღადებენ შენდა მიმართ, მოგუხედენ

ჵ მამაო, ზეცით გარდამო და გჳჴსნენ სოფლისა ღელვათა-
გან დაუნთქმელად, ღმერთ შემოსილო!

ღრუბელთა წვმად უბრძანე შენ, მამაო, ვითარ პირ-
ველ ელია, შესწირე რაჲ მსხუერპლი სიტყვერი, და ლო-
ცვითა შენითა დაათრვენ მდიდრად ურნატნი, ეფთვმი სა-
ნატრელო, და მოსცა ქუეყანამან ნაყოფი.

ეშმაკთა გუნდნი აღშჭრენ, ღმერთ შემოსილო, ვი-
348. თარცა ახოვანმან მკედარმან ქრისტეს მეუფისამან შრო-
მათა მახჳლითა და საკუმილითა ლოცვათა შენთაჲთა და-
სწუენ ცეცხლებრ ბანაკნი მათნი, ღირსო ეფთჳმი!

სულსა წმიდასა ექმენ ტაძარ უბიწო, ამისთჳს აღა-
შენე ტაძარი ყოველთა დედუფლისა, რომელსა თანა ჩუენ-
თჳს ნუ დააცადებ ოხასა, სანატრელო მამაო, რათა ვიჴს-
ნნეთ განსაცდელთაგან.

ა̃კა: ყრმანი ბაბილ..

ჩუეულებისა თჳსისა ებრ აღეზნა ეშმაკი წყობად შენ-
და, ღმერთ შემოსილო, და ეპოვა მას ჭურჭელი სიცრუ-
ვისაჲ, ვითარცა პირველ იუდა მიმცემელი, და განეწონა
მასვე მახჳლი თჳსი.

უწყალოდ მოსრნა ყოვლად საწყალობელმან, გან-
ჩემებულმან ეშმაკისა სადგურმან მოწაფენი იგი შენნი,
ღმერთ შემოსილო, ხოლო იგინი მოწამეთა კრებულსა
თანა შეერთნეს წინაშე ქრისტეს ღუთისა.

ენამან შენმან, ყოვლად ღუთივ შუენიერმან, თარ-
349. გმანებითა საღუთოთა წერილთაჲთა აღავსო მდიდრად
ეკლესიაჲ ქრისტესი საუნჯეთაგან სულისა წმიდისათა და
მორწმუნენი აკურთხევენ ქრისტესა.

ნუ დაგჳვიწყებ შვილთა შენთა, მამაო, დედასა თანა
ცათა მეუფისასა, ვედრებაჲ ჩუენთჳს შეწირე სამებისა, რომ-
ლისაცა წინაშე მდგომარე ხარ, რათა დავიცვნეთ მტერისა
საფრკეთაგან.

ა҃და ჯერარს დუ

მოშურნისა რაჲ მტერისა გუეთებითა, ვითარცა იობ, განიცადე, ნეტარო, და წყლულებათა შინა უკურნებელთა მიეც უფალსა უბიწოჲ სული შენი და აღიწიე ზეცისა ტალავართა.

იხილე, ღირსო, კრებული შვილთა შენთაჲ, გარემოჲს მდგომარენი ლარნაკსა შენსა, და შეწევნა ყავ ჩუენ თჳს წინაშე ღუთისა, რათა განვერნეთ ტანჯვათა მერმეთაგან და სავანეთა ზეცისათა ღირს ვიქმნნეთ.

ენისა ამის უძლურისა გალობაჲ შეიწირე შენ, მამაო 350.
სანატრელო, და მომიტევე წარმდებად კადნიერსა უაღრესსა ამას ძალისასა ჴელყოფაჲ და განმარინე მტერისა საფრჴეთაგან.

რომელმან გჳშევ ნათელი და ცხორებაჲ, შენ გევედრებით, ქრისტეს ღუთისა დედაო, ჩუენ, მოწაფენი და სულიერნი შვილნი მსახურისა მის შენისა წმიდისანი, მოგუეც შენდობაჲ შეცოდებათა ჩუენთაჲ.

აქ҃ბა: წ҃ნო მარტჳლ

აღიღე, მამაო, ტკბილი უღელი იგი ქრისტესი სიყრმითგან ქედსა მას ზედა სულისა შენისასა და მიემსგავსე შენ, მოღუაწებათა მათ მიერ მაღალთა, დიდსა ეფთჳმეს, და აწ ჰსუფევ ქრისტეს თანა; მეოხ გუეყავ ჩუენ, რომელნი შენ გალობასა შევასხამთ.

მამაო ეფთჳმი, სულსა დაუმორჩილენ შენ აღძრვანი ჴორცთანი და უჩინო ჰყვენ ვნებათა ბანაკნი ყოვლით ძალით მათით ოფლთა მიერ მოღუაწებისა შენისათა, ღმერთ შემოსილო, აწცა ნუ დასცხრები ოხად სულთა ჩუენთა 351.
თჳს, ძლიერო!

იღუაწე ახოვნად, წმიდაო, ვითარცა მკნემან მჴედარმან მეუფისამან და სპარაზენნი სულთა ბოროტთანი ძლიერად შეჰმუსრენ, ამისთჳსცა მიიხუენ ნიჭნი ღუთისაგან

შემსგავსებულად შრომათა შენთა; მეოხ გუეყავ სულთა ჩუენთა თჳს, რომელნი შენ გალობასა შეგწირავთ.

ნუ დასცხრები, დირსო, ვედრებად წინაშე ყოველთა მეუფისა სამწყსოთა შენთა და მადიდებელთა განრინებისათჳს უხილავთა და ხილულთა ბარბაროზთაგან და აღსრულებად ნეშტსა ამას დღეთა ჩუენთასა მშჳდობით და მგზდრუოფად ზეცისა სუფევასა.

ლოცვა ყავთ, წმიდანო დუთიანო, იაკობ მდდელისათჳს, რომელმან აიძულა უდირსი ესაჲ ჩემი გალობად წმიდისა მფოთჳმესა, რომელი არცა თუ სახელისდებად დირს ვიყავ მე, უდირსი ზოსიმე *) ქრისტე, შეიწყალე იაკობ. ამინ.

---

*) გვგონია, ეს ზოსიმე ის ზოსიმეა, რომელსაც 1042 წელს დაუჩხრეკია წმ. გიორგი მთაწმიდელის მიერ თარგმნილი სტოდიერი. მასში სწერია: ლოცვა ყავთ, წმიდანო მამანო, გიორგისთჳს მთაწმიდელისა წინამძღურისა, ვისაცა მოიწინენ სწავლანი ესე სულთა განმანათლებელნი, ნეტარისა მამისა თეოდორე აღმსარებელისა, სტუდიელთა მამასახლისისა თქუმულნი:. დიდითა გულს მოდგინებითა, ფრიადითა ხარკებითა და მადლითა მამისა ეფთიმესითა ვთარგმნე წმიდაჲ ესე წიგნი მე, გლახაკმან გიორგი ახლად მთაწმიდას, ქართველთა მონასტერსა; შრომისათჳს ლოცვა ყავთ, წმიდანო მამანო, ხოლო ითარგმნა მიხაელ მეფობასა, ქრონიკონსა: ⳉⳒⳃ. დიდებაჲ ღმერთსა უკუნისამდე ამინ.

წმიდანო მამანო, ლოცვა ყავთ უღირსისა ზოსიმესთჳს, რომელმან დაჭხრიკე წმიდაჲ ესე წიგნი წმიდისა ამის მონასტრისათვის. კურთხეულ არს ღმეროი, რომლისა შეწევნითა გავსრულე. ამინ. (საეკლ. მუზ. № 471)

სხუანი გალობანი მისვე წმიდისანი

კ˘დ: დ: გ˘ი, რომლისა თავნი იტეჯან: ჩჯუალო

ღ˘ყა მ˘ძლთა:

ღირსმყვენ ჩუენ მეოხებითა შენითა, ღმერთ შემოსილო ეფთჯმი სანატრელო, შენ, ღირსად საგალობელო, ბრწყინვალეო ნათელო მდდელობისაო, სუეტო და სიმტკიცეო მონაზონთა კრებულისაო, ახალო მოციქულო, ღუთივ სულიერთა სწავლათა მაუწყებელო ჩუენდა, და წარმდეგნელო ბნელსა მას უმეცრებისასა ნათლითა მით ქადაგებისა მის შენისაჲთა.

მადლი ღუთისაჲ დაემკჳდრა შენთანა, ღმერთ შემოსილო, და ალგავსო სიბრძნითა და გუო შენ ქადაგ კმა მაღალ, მეტჯუელ საიდუმლოთა მათ დაფარულთა, და საცნაურად ბრწყინკვალე უო სახელი შენი ყოველთა ტომთა შორის და, ვითარცა მზჱ ბრწყინვალჱ, ჴნათობ ეკლესიისა სამყაროსა, ნეტარო, და, ვითარცა ორდანოჲ, პირი შენი კმა ტკბილად ოხრის სწავლათა ტკბილთა. 353

ეკლესიასა ღუთისასა სწავლანი შენნი, ვითარცა ოქროჲსა სამკაულნი, ბრწყინვალედ შეუმოსიან ჲ, ვითარცა გჳრგჳნი სამეუფოჲ შემკული ბრწყინვალედ თუალთაგან მრავალ სასუიდლისათა, დაუდგამს თავსა თჳსსა, რათა ჴნათობდეს ყოველთა, რომელნიცა შევლენან მას შინა სიხარულით, და ქრისტესა წარუდგინენ ყოველნი განბრწყინვებულნი ღუთისა მადლითა.

რამეთუ ტალანტი იგი, რომელ გერწმუნა, ღირსო, ვითარცა სარწმუნომან და სახიერმან მონამან, არა დაჰფა-

რჱ ქუეყანასა, არამედ განამრავლე და მიართუ ღუთისა ეკლესიასა ბევრ წილად, სანატრელო, და იხარებს შვილთა თანა, აღვსებული ბრწყინვალედ სადუთოჲთა მით სიბრძნითა, ჴსენებასა შენსა აღასრულებს და ქრისტესა ღმერ-
354 თსა ქებით ადიდებს.

უ̃გა: პ̃ჲ: გ: გ̃ი: უფსკრულთა.

Თავი სიბრძნისაჲ—შიში უფლისაჲ მოიგჱ, მამაო სანატრელო, და განაბრწყინვე სული შენი ნათლითა სამებისა წმიდისაჲთა.

შეაყავ გონებაჲ შენი წყაროსა საღმრთოთა წიგნთასა, სანატრელო, და ფრთოვან ჰყავ სლვაჲ სიმაღლედ მიმართ ზეცისა, რომელსაცა დაემკჳდრჱ.

ეძიებდი სურვილით სასუფეველსა ჵ აწ მიცვალებულ ხარ და იხარებ, შეერთებული კრებულსა წმიდათასა, სანატრელო!

მადლისა გან სადუთოჲსა განათლებულ იქმენ და მოგეცა გონებაჲ მაღალი. მხედველი სადუთოთა სიბრძნეთა, ღმერთ შემოსილო მამაო!

უფროჲს თაფლისა ტკბილნი სწავლანი შენნი ეკლესიასა შინა, ორღანოჲს სახედ, ტკბილად ოხრიან და განანათლებენ გულსა მგალობელთასა.

შენ ხარ სასოჲ:

გ̃ძა: შენ ძ̃ე ღ̃თისა.

Სათნო იყო სიკეთჱ მღდელობისა შენისაჲ, ღირ-
355 სო, მეუფემან ჩუენმან და განაბრწყინვა გონებაჲ შენი ნათლითა დაუღამებელითა და ქადაგ, კმამაღალ მეტყუელ საიდუმლოთა ზეცისათა გამოგაჩინა.

Იხარებს ძირი იგი, რომლისაგან აღმოსცენდი შენ, მორჩი ნაყოფიერი, გამომღებელი ნაყოფსა ტკბილსა, და იშუებს სიკეთითა შენითა და სიხარულით განსცხრების და ადიდებს ღმერთსა, მადიდებელსა შენსა.

ლამპრითა ბრწყინვალითა სათნოებათაჲთა განჰბრ-

წყინდი და სიყუარული ღუთისაჲ ეგზებოდა გულსა შინა შენსა მოუკლებელად, ვითარცა საკუმილი, და მით შესწუენ ეკალნი ცოდვისანი და ზეცათა სიმაღლედ აღიწიე.

სანთელი ხარ, მნთებარე სასანთლესა ზედა მაღალსა მღდელობისასა, ღირსო, და ჰნათობ, ვითარცა მზჱ, ბრწყინვალედ, და იოტე ცოდვისა ბნელი, ვითარცა უკორცომან, და დაიმორჩილენ ვნებანი კორცთანი, მამაო! 356

ალგიარებ:

მ̄სა: რაჟამს ესმა მოს..

აჰმაღლდი ზეშთა სიმაღლედ ფრთითა სულიერითა და მიიწიე, ღირსო, დიდებასა მას გამოუთქუმელსა, რომელსა სურვიელ იყავ; ნუ დამივიწყებ ჩუენ, მგალობელთა შენთა!

ენამან შენმან, ღირსო, ღუთისმეტყუელმან ყოველი სოფელი მოძღურებითა, მდინარის სახედ, აღავსნა და მორწყუნა გულნი უმეცართანი და მოიყვანნა ღუთის მეცნიერებად.

ფართოჲ იგი და ვრცელი, წარწყმედად მიმყვანებელი, გზაჲ დაუტევე, ღირსო, და იწროსა მას ხჳდოდე, მიმყვანებელსა ფართოებასა ზეცისა სასუფევლისასა.

თანა ხატ ექმენ ვნებათა ჩუენთჳს ვნებულისათა და იტჳრთენ ვნებანი მისნი კორცითა, რამეთუ ჯუარსაცუ თავი შენი სოფლისაგან, სიტყუსა მისებრ მოციქულისა.

ცათა უ...

ღ̄ვა: სული მაცხო..

იხილა მხედველმან გონებათამან ღმერთმან წინაჲსწარვე სიწმიდე სულისა შენისაჲ, ამისთჳსცა ნათელ 357
გარდამოფენილყო გონებაჲ შენი და აღავსო სიბრძნითა მით საღუთოჲთა და მეტყუელებაჲ დაფარულთა საიდუმლოთაჲ მოგანიჭა.

მადლმან ღუთისამან დაიმკჳდრა შენთანა და ქადაგად

კმამადლად გამოგაჩინა შენ დაგლახაკებულისა და მდაბლისა ნათესავისა ჩუენისა, რამეთუ სიდრმესა უმეცრებისასა დანთქმულნი, სწავლითა შენითა ნათლად აღმოიუვანენ.

ეკლესიად ღუთისად შვილთა თჳსთა თანა შეიმკვების ბრწყინვალედ თქმულთა შენთა სიმრავლითა და მგალობელნი მას შინა დიდების მეტუუელებენ შ, ვითარცა ორღანოჲთა, კმითა ტკბილითა მადლობისა გალობასა ღუთისა შესწირვენ.

საშოჲთ განვე დედისაჲთ წმიდა გუო შენ სულმან წმი-
358 დამან, სამკჳდრებელად თჳსად გამოგარჩია შენ და აღგავსო სიბრძნითა და მნათობად ბრწყინვალედ ეკლესიასა დაგადგინა, რათა ჰნათობდე ბნელსა შინა უმეცრებისასა დანთქმულთა.

ცანი და ქუეყანაჲ.
ღ-ყა: დანთქმული ღ..

გონებაჲ მდაბალი, გული წმიდაჲ და შემუსრვილი გაქუნდა შენ, ფმერთ შემოსილო მამაო, შ სიმდაბლე უზეშთაესი ბუნებათა, სიუარული და მოწყალებაჲ, და უცხოთა შეწუნარებაჲ და უძლურთა კურნებაჲ.

ლოცვაჲ ლმობიერი და დაუცადებელი მოიგე, ღირსო, მფჳძარებაჲ და ზე დგომაჲ კელ განშურობით, უკორციოთა მიმსგავსებული, და ესრეთ აღასრულე სრბაჲ შენი და სიხარულით წარმოუდეგ ქრისტესა.

არაჲ კმა არიან ენანი კაცთანი მადლისა მიცემად კეთილთა მათ შენთა, რომელნი ჰჳვენ ჩუენ ზედა, სანატრელო მამაო, რამეთუ უმეცრებისა ბნელსა დანთქმულნი, სწავლითა შენითა აღმოიუვანენ.

ხატი და დიდებაჲ მამისაჲ სიტყუაჲ თანა დაუსაბამოჲ
359 და სული წმიდაჲ თანა მფლობელი, განუყოფელი ერთი ღუთეებაჲ ჰქადაგე თჳთებითა თჳსითა განუყოფელად და შეურევნელად, ღირსო!

ႼႨႬႠႢႱ..

Ⴉ҃ႾႠ: ႷႰႫႠႬႨ ႡႠႡႨႪႭႳႱႠႬႨ:

აღეგზნა ცეცხლი საღმრთოჲ გულსა შენსა, მამაო, და შეწუნა ეკალნი გულის სიტყუათა მწინკულევანთანი და, ვითარცა ოქროჲ, გამოგაკურვა შენ ბრძმედსა შინა კორცთასა.

კრებული ესე, შენ მიერ განათლებული, დღესასწაულსა შენსა სიხარულით შემოკრბებიან და გალობენ და ადიდებენ Ⴖმერთსა, რომელმან შენ მიერ ცხორებაჲ მოგუანიჭა.

Ⴈხარებდ, ღირსო მამაო, ბრწყინვალეო მნათობო მღდელობისაო, და წესო და კანონო მონაზონთაო, სიბრძნისა საუნჯეო და ეკლესიისა ბრწყინვალეო მნათობო!

ბრწყინვალებითა საღუთოჲთა განათლდა გონებაჲ შენი, მამაო, და მიიწიე ზეშთა მეტყუელებასა და სწავლითა
საღუთოჲთა მორწმუნეთა ერსა მოჰრწყევდი შენ უხუ- 360
ებით.

ႢႳႠႩႳႰႧႾႤႬ ႸႤႬ.

ႠႩ҃Ⴀ: ႸႤႳႼႳႥႤႪ:

აჰმკედრდი ეტლსა სათნოებათასა სულისა მიერ წმიდისა, განათლებულო მამაო სანატრელო, და განსწმიდე გონებაჲ შენი წურთითა საღმრთოთა წერილთაჲთა და დეგჳწერენ სწავლანი ტკბილნი, რომელთაგან მოვისთულეთ ნაყოფი აღმავსებელად სულთა ჩუენთა წყურილსა.

სრბაჲ შენი აღასრულე მიუდრეკელად გზასა Ⴖუთისა მცნებათასა და მყუდროდ ნავთ სადგურად მიიწიე, და აწ შეერთებულ ხარ შენ კრებულსა თანა წმიდათასა, ცხორებასა მას უცვალებელსა, ნათელსა დაუღამებელსა და სუფევასა დაუსრულებელსა.

Ⴈხარებდ, ღმერთ შემოსილო ღირსო მამაო Ⴄფთჳმე, ყოვლად ნეტარო, რამეთუ ანგელოზებრ იღუაწე შენ ქუეყანასა ზედა კორცითა, და აწ უკორცოთა გუნდსა თანა, ცა-

361 თა შინა სდგა შენ წინაშე ღუთისა, შემოსილი დიდებითა, და იხარებ შრომათა შენთა ზედა.

ლამპრითა ბრწყინვალითა სათნოებათაჲთა განჰბრწყინდი შენ, სანატრელო, ბრწყინვალებითა სულისა წმიდისაჲთა და მომბერენ ჩუენ ნიავითა საღუთოჲსა მადლისაჲთა სწავლანი სულიერნი და შესცვალენი ცნობანი სულელნი სიბრძნედ. ნეტარო, და უმეცრებისა ბნელი განაქარვე.

იხარებდ, ბრწყინვალეო, სულითა ღირსო, რამეთუ მიცვალებულ ხარ სუფევასა ზეცისასა და შუებასა სამოთხისასა შეერთებული წმიდათა კრებულსა თანა, ჲ დღესასწაულობ მათთანა დიდებასა მას გამოუთქუმელსა; მომიკსენენ მგალობელნი დღესასწაულსა შენსა!

სამთა...

დ-და: მტბრთველმან.

ჩენ, საღუთოჲსა მის სიბრძნისა საუნჯეო, ღირსო და ბრწყინვალეო მნათობო ეკლესიისაო, რომელმან სწავლი-
362 თა შენითა გუალვეულნი გულნი ჩუენნი მოჰრწყენ და ჯეჯლი სიმართლისაჲ ურნათა გულისათა ადაუუავილწ.

ენაჲ მეტყუელი კაცობრივი ვერ შემძლებელ არს მითხრობად მადლთა შენთა, რომელნი ჰქმნენ ჩუენ ზედა, რამეთუ განგკხუენ საუნჯენი წიგნთანი და წარჰმართენ ენანი ჩუენნი გალობად ღუთისა, ღმერთ შემოსილო მამაო ეფთჯმე!

არაჲ მაქუს სიტყუაჲ ღირსი სათნოებათა შენთაჲ ბრწყინვალეთა შემკობად, მამაო სანატრელო, არამედ შემნდობელ მექმენ უღირსსა ამას და შეიწირე კნინი და უძლური გალობაჲ და ნაცვალად მადლი შენი მომეც.

სიყუარულითა ღუთისაჲთა შეზღუდვილ იქმენ შენ და სიწმიდით ადასრულე ცხორებაჲ შენი ქუეყანასა ზედა და

თანა წარჰკედ ყოველთა საფრკეთა მტერისათა და ძლევა 363.
შემოსილი ნათელსა ღუთეებისასა დაემკჳდრე.

ძუელი:

ა-ძა: შეუხებელმან.

ჳდოდე გზათა უვნებელობისათა, ნეტარო, დაამდაბლენ შენ ვნებათა იგი ადძრვანი, ღირსო, რამეთუ ძრისტე თანაშემწედ გაქუნდა შენ, ყოვლად ქებულო ღირსო მამაო!

აწ იხარებდი, ღმერთმემოსილო ღირსო მამაო, შენ იოანე, რამეთუ ნაყოფი შენი ადორძნდა და რტონი მისნი გარდაეფინნეს კიდეთა ქუეყნისათა—საგრილად მორწმუნეთა.

მსხუერპლად სულნელად შესწირე ღუთისა, ღირსო მამაო იოანე, ღმერთ შემოსილი ღირსი ეფთჳმი და რწყვითა ცრემლთა შენთაჲთა ადაორძინე და ნაყოფიერი ღმერთსა მიუშუარ.

სულთა ჩუენთათჳს გამოკსნაჲ ითხოვეთ, ღმერთ შემოსილნო განბრწყინვებულნო, მადლითა მით ზეგარდამოჲთა და გჳძლოდეთ ჩუენ სლვად გზასა მას მცნებათასა და 364
თქუენ თანავე ღირს ყოფად სასუფეველსა.

სახელითა მამისაჲთა

და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა: ესე არიან აღაპნი მონასტრისა ჩუენისანი, ვინაჲთგან აღშენებულ არს ვიდრე აქამომდე.

1 *) თუესა დეკემბერსა: იე: აღაპი არს იოანე სჳნგელოზისა, მაშენებელისა ამის დიდებულისა ლავრისაჲ.

ოჯუალო დადადუაჳსა ზედა თქუენ დასდებელნი წმიდისანი და სტიქარონად სულისანი, და სერობასა ტრაპეზს შესუან ძმათა სამსამი კრასოვული, და, ვითარცა ჴრეკონ სერობისაჲ, ილოცონ:

რომელი დამკჳდრებულ არს; და ჩუენთანა არსი; და გაასრულონ ქამი სერობისაჲ, და იწყონ დაწესებულთა ჯე თქუან ალილუაჲ, და მოიკსენენ, ოჯუალო, ვითარცა, ჯე ნეტარ არიანნი, და იტყოდიან დიაკონნი კუერექსთა და ხუცესნი ლოცვათა; ნეტარ არიანთა ზედა თქუან: წარდგომაჲ სულისაჲ, და მიწყალჱ, და სულისა გალობანი; განძლიერდასა ზედა წარდგომაჲ სულისაჲვე; დადადუაჳსა ზე-
365 და იბაკოჲ სულისაჲვე და სამნი შედეგნი: ზამოავლინე სულისაჲ, აქებდითი, დიდებაჲ მაღალთაჲ, სტიქარონნი სულისანი, წმიდაო ღმერთოჲ ლიტანისაჲ, სულისაჲ კუერექსი ზეგარდამოჲ, კირიელეისონი ჳ. და აღასრულონ ქამი.

ცისკრად: ღმერთი ოჯუალსა ზედა წმიდისაჲ და სამნი გალობანი წმიდისანი, პარაკლიტონი და სულისანი,

*) აღაპთა აღსარიცხვი ნიშნები დედანში არ არის.

განძლიერდასა ზედა წარდგომაჲ წმიდისაჲ; ღაღადყავსა ზედა იბაკოჲ სულისაჲ და ზეგარდამოსა ზედა კუალად: მ კირიელეისონი.

სამხრად რავდენნიცა ხუცესნი იყვნენ, თჳსთჳსად ქამი უწირონ ყოველთა — შინა და სოხასტერთა; და ეკლესიას ზეგარდამოსა ლოცვასა კუალად თქუან: მ კირიელეისონი.

და სამხრად ნუგეშინის სცენ ძმათა, რაჲცა ღმერთსა ებოძოს, და სუან ძმათა ხუთხუთი კრასოვული.

ესე კულა საცნაურ იყავნ ყოველთა: რამეთუ ოდესცა საკსე-
ნებელი ვისიმე ძმათაგანისაჲ იყოს, სერობად სამსამი კრასოვული 366.
ხუდების ძმათა, რათა სუან.

2 თუესა დეკენბერსა: ა: აღაპი არს **ლეონ ეპისკოპოსისა სტლანიწელისაჲ**, ამისთჳს, რამეთუ განგჳტევა ნასესხები ხუარბალი, დიკაჲ და ქერი, ექუსასი მოდი, ქამსა ჭირისასა. აღესრულებოდენ ძალისაებრ ყოველივე.

3 თუესა დეკენბერსა: კთ: აღაპი არს **შაკ არსენისი**: მოსცნა ეკლესიასა ორნი ჯუარნი, ას ოთხმოც დიმიტრატად ფასებულნი. ამისთჳს აღესრულებოდენ აღაპი მისი ყოვლითა გულს მოდგინებითა ძალისაებრ, ნუგეშინის ცემითა ძმათაჲთა.

4 მასვე დღესა აღაპი **არსენი ყივჩაყისაჲ**: მოსცა ეკლესიასა დრაჰკანი დუკატი: ქ. ღმერთმან გაუსუენენ სულსა მისსა.

5 თუესა დეკენბერსა: კს: ორთა ბევრთაჲ აღაპი განუწესეთ **სჳმეონს ხერკელსა** ამისთჳს, რომელ ერთ დიდი მეტაფრასი, დაერთნა განყოფილნი დავითნი, ორი **სათუწ**-თაჲ — მარტი და აპრილი, დაწერნა და მოაკსენნა ყ̃დ წმი-

დასა; და გარდაიკადებოდის მისთჳს აღაპი, ვითა სხუათა
367 ყოველთა შემომწირველთათჳს აღესრულების.

6 Ⴇუესა დეკენბერსა: **Ⴃ**: დღესასწაულსა წმიდისა ბარბარასა განუწესეთ პანაშჳდი **თეოდორეს დიდსა კონომსა**, მსახურებათა მისთა ზედა აღაშენა **ქ**არიას კელინი მისითა საკმრითა განსასუენებელად ძმათა და მოსცა ეკლესიასა ცხენი: **Ⴀ** კარგი. **Ⴀ**მისთჳს დავაწესეთ საკსენებელი მისი მე, მამამან მიქელ, და ყოველთა ძმათა, და ვინ არა გარდაიკდიდეს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი.

7 Ⴋასვე დღეს განუწესეთ აღაპი **ავქსილსა, დედასა მახარებლისსა**: რამეთუ მოსცა დუკატი: **Ⴕ** მას ქამსა, ოდეს **ქონდო სტეფანე** სოფელთა გუერჩოდა **ქოსტანტიპოვლეს**, დიდად საკმარ გუეყო ჩუენ ქამსა ჭირისასა; ვინ არ გარდაიკდიდეს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი ქამსა ჭირისასა.

8 Ⴇუესა დეკენბერსა: **Ⴃ**: დღესასწაულსა წმიდისა ბარბარაჲსსა, აღაპი განუწესეთ **ნიკონ ნაპიდოსსა** და დედა მამათა მისთა, **კოსტანტის** და **ანნას**: ნავისათჳს, რომელ შეგჳქმნა ოთხასისა მოდისაჲ **ბუქაჲს** ძისობასა **ბ**არდაიკდებოდის პანაშჳტი მისი ლოცვითა, ქამისწირვითა ანაფორაჲთა; ეწდიოს ძმათა მწუხრსა: **Ⴂ** და სამხრად ოთხი:

9 Ⴇუესა დეკენბერსა: **Ⴅ**: პანაშჳდი არს **ნიკოლა პეტრიწონელისა** მამისაჲ. (და ჰპოო: ამის წიგნისა ბოლოსა აღ-
368 მოიკითხე).

10*) წმიდისა **საბაჲსსა**გე აღაპი განუწესეთ **საბა მონომახ ყოფილსა**: რამეთუ მსახურებასა შინა მიიცვალა და

---

*) ძველი ნაწერი გაუფხეკიათ და ეს ჩაუწერიათ.

რაჲცა საქონელი ჰქონდა, ყოველი ეკლესიამან იკმარა. ამისთჳს აღესრულებოდენ აღაპი მისი ამათვე ძმათა თანა.

11 მუესა დეკემბერსა: ე წმიდისა მამისა **საბას** დღესასწაული კანგჳწესებია აღაპად **საბაჲსთჳს** და ძმისა მისისა **იოანე მუჴვცაჲსა** თჳს, — მამან მეოდორე და ძმათა ყოველთა, რათა ყოვლითა მოსწრაფებითა აღესრულებოდის ყოველთა წელთა საკსენებელად მათდა; მწუხრსა სამსამი კრასოვული და სამხრად ოთხოთხი, ამისთჳს, რამეთუ დარჩა ეკლესიასა: რ დრაჰკანი აღსრულებისა ქამსა.

12 მუესა დეკემბერსა: ვ აღაპი არს **ბაბანისა:** ყოველივე ზემო წერილი წესი ლოცვისაჲ აღესრულენ და ქამის წირვაჲ და ოთხოთხი კრასოვული ეწდიენ ტრაპეზსა

13 მუესა დეკემბერსა: ზ აღაპი არს **გიორგისი დიდისაჲ,** და, ვითარცა სჯნგელოზი სასა სწერია და **იოანესსა** ბ **მეფთჳმესსა,** იგივე წესი აღესრულენ ლოცვისა და ქამის წირვისა, და ძმათა ნუგეშინის ცემისაჲ.

14 მუესა დეკემბერსა: თ დაუწესეთ შანაშჯდი **იოანე ბანჯუასა:** რამეთუ სიყრმითგან ნამუშაები მისი ოთხმეოცდა ათი ძირი ზეთისხილი შემოსწირა საჭიროსა ქამსა, **იე** ვერშერაჲ, და უფროჲსდა მსახურეულობისთვის მონასტრისა. ამისთჳს გაუწესეთ აღაპი და ამას დღესასწაულსა... დიდითა... ამასვე დღესა **გიორგი აბაზ** ყოფილისა და დედა 369 მამ... *)

15 მუესა დეკემბერსა: იგ: წმიდათა **ევსტრატეთ** დღე-

*) ერთი სტრიქონი წაჰრილია მკაზმავის მიერ და აქვე აშიაზე რავდენიმე სიტყვა მეტად ამომჭრალა.

სასწაული, პეტრიკისდა და ძმისა მისისა იოანესდა აღაპად განგვწესებიეს: ოდეს დედოფალმან ბაგრატის დედამან ლიტრაჲ ერთი სოლიმნი შეგვქმნა და ბაგრატ დიმოსი მოგვწყვდა, ორივე ესე დიდი საქმე მათითა თანა დგომითა და მოღუაწებითა სრულ იქმნა; და ვინ მათი აღაპი ყოვლითა გულსმოდგინებითა არა გარდა იკადოს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი.

16 Ⴇუესა დეკენბერსა: ႨႥ: აღაპი არს ი͞ე მონაზონისაჲ და აბუჯარბისი და თორნიკისი: წესი ლოცვისაჲ ყოვლივე ეგრეთ აღესრულოს და ჟამისწირვაჲ, ვითა სჳნგელოზისასა სწერია, და სამხრად წდიონ ოთხოთხი.

17 Ⴇუესა დეკენბერსა: ႨႦ: აღაპი არს კოსტანტინესი,
370. ბაგრატისი, მიქაელისი და სჳმეონისი: და იგივე განგებაჲ იქმნას, ვითა სჳნგელოზისასა სწერია ყოველი, დ͞ სამხრად სუან ძმათა ოთხოთხი.

18 Ⴇუესა დეკენბერსა: Ⴉ: აღაპი არს მამისა ეგნატისი და ყოველი დაუკლებელად აღესრულებოდენ, ვითა ზემოწერილ არს, და ოთხოთხი კრასოვული ტრაპეზსა.

19 Ⴇუესა დეკენბერსა: ႩႠ: აღაპი არს მარიამ ენკრატისისაჲ: და ყოვლივე ზემო წერილი ლოცვისა წესი აღესრულოს და სამკრად წდიონ ოთხოთხი.

20 Ⴇუესა დეკენბერსა: ႩႤ: შობაჲ ქრისტესი აღაპად განგვწესებია სანანო ქველის მისადა: ლიტრაჲ ერთი განძი მოგუცა და ბაგრატს, აფხაზთა მეფესა, მრავალჯერ მოაკსენა ჩუენი საურავი. და ვინ ყოვლითა გულსმოდგინებითა არა გარდაუკადოს მისი აღაპი, ღმერთსა მან გასცეს პასუხი:

21 *) Ⴀმასვე თუესა: კვ პანაშვდი არს იოანესი (ბო-
ლოსა ჴმითა, ვითარცა ზემო პირველ ვთქუ).

22 **) Ⴇუესა დეკენბერსა: კ: აღაპი არს მიქელ მამა ყო-
ფილისაჲ: მოსცა ეკლესიასა სახარებაჲ მოჭედი, პავლე გან-
თჳსული და პერპერაჲ: ლბ.

23 ***) Ⴃეკენბერსა: ლ: (აღაპი ბოლოსა ჴმითა).

24 Ⴇუესა დეკენბერსა: კზ აღაპი არის სტეფანე ხარტუ- 371
ლარისაჲ: ეგრეთვე ყოველი წესი მისთჳსცა აღესრულენ და
ოთხოთხი კრასოვული ძმათა ეწდიენ.

25 (Ⴀმასვე თუესა): ით: შავ არსენისი: ღამე (?) მოუკლე-
ბელად (?) ნთია სანთელი. ****)

26 Ⴇუესა იანვარსა: ა: აღაპი არს ბასილი ეპარხოზი-
საჲ, მოურნისა ჩუენისაჲ, და ბასილი პრონოიტრისაჲ:
დიდი კეთილი უქმნია ამის ეკლესიისადა: მოსცა სამი ლი-
ტრაჲ პროხარატი წესი ლოცვისაჲ ყოველი აღესრუ-
ლენ და ოთხოთხი კრასოვული ეწდიენ ძმათა.

27 Ⴇუესა იანვარსა: ვ:ნათლისღებაჲ****) კოსტანტი მო-
ნომახისა აღაპად განგჳწესებიეს: სოლიმნი ჩუენი ყოველი
მან შეგჳქმნა და დიმოსი მოგჳწყჳდა. წესი ყოველი აღე-
სრულენ, ვითა ზემო სწერია.—Ⴃა ეგრეთვე ამაღლებაჲ ამა-

*) განის აშიაზე სხვა ხელით.

**) ბოლო აშიაზე სხვა ხელით.

**) განის აშიაზე მიწერილია ტექსტის ხელით.

***) განის აშიაზე მიწერილია, ცხადად გაირჩევა მხოლოდ სიტყვე-
ბი: „ით: შავ არსენი“.

****) ნათლისღების დღე.

თვე ქველის მოქმედებათა თჳს მისდავე აღაპად განგჳწესებიეს.

28 Ⴕმის თჳსსა: ზ იანვარსა აღაპი არს ქუნსიარის (?) (განგებაჲ ბოლოსა ჴპოო).

29 Ⴇუესა იანვარსა: ႨႤ აღაპი არს Ⴈ˝Ⴄ წიფორელისაჲ და ყოველივე წესი ლოცვისა და ჟამისწირვისაჲ აღესრუ-
372. ლებოდენ და ოთხოთხი კრასოვული ტრაპეზსა.

30 Ⴇუესა იანვარსა: ႨႣ, დღესასწაულსა წმიდათა მამათა სინელთასა განვაწესეთ აღაპი **იოანესთჳს და მიქელისთჳს** მე, მამამან **ნიკოლა** და ყოველთა ძმათა: ესე ძმანი **კახელნი** მოვიდეს დიდითა სიყვარულითა მონასტერსა ჩუენსა და დაყვეს რაოდენიმე ჟამი, და მოსცეს ეკლესიასა ლიტრაჲ ერთი დრაჰკანი ვოტანიატი; ხოლო მსწრაფლ ანო-
წარემართნეს Ⴈჱრუსალიმად, რათა თაყუანის სცენ საფ- ფო-
ლავსა **მაცხოვრისა** ჩუენისა Ⴈჳსო ქრისტესა და სხუათა რიაჲ.
წმიდათა ადგილთა; ხოლო ვითარცა მოილოცნეს და აღუსრულა Ⴖმერთმან ნებაჲ მათი, მიიცვალნეს; ხოლო შემდგომად მიცვალებისა მათისა, მივეცით ეკლესიასა და ხუცესთა და ტრაპეზსა ასი დრაჰკანი სტამენონი. ამისთჳს **აღესრულებოდის** აღაპი მათი საკსენებელად საუკუნოდ პანაშჳდითა, ჟამისწირვითა დ̃ ძმათა ნუგეშინის ცემითა, წესისაებრ.

31 *) Ⴇუესა იანვარსა: Ⴈ აღაპი არს იბნიანისაჲ: შემდგომად სიკუდილისა მისისა დაუტევნა ეკლესიასა ორნი ცხენნი. ამისთჳს განუწესეთ: გარდაიკდებოდის ჟამისწირვითა დ̃

*) ამოფხეკილის მაგიერ.

ლოცვითა, და უწდიან ძმათა მწუხრსა სამი და სამხრად ოთხი, და ვინ შეცვალოს ესე, ღმერთსა მან გასცეს პასუხი. 373

32 მუსა იანვარსა: 13: ადაპი განგგწესებია პეტრე ხუტისათჳს მე, მამამან იოანე და ყოველთა ძმათა: შემოწირწა ეკლესიასა ამან, კურთხეულმან ძმამან ჩუენმან, პეტრე ხუცესმან სათუეონი ათორმეტთა თუეთანი, თავისა მოგებულნი და თჳსითა კელითა დაწერილნი შჯდად წიგნად, ყოველითურთ სრულნი, სიტიქარონითა და ყოველითა საგალობელითა, ვითარცა წმიდისა მამის ზიორგის ნუსხათა შინა სწერია, უნაკლულოდ; და ამისა უწინა შემოეწირნეს კურთხევანი სრულნი, მისვე სანატრელისა მამისა ზიორგის თარგმნილნი და ამის ყოველისათჳს განვაწესეთ: დღესასწაულსა წმიდისა და ყოვლად ქებულისა მოციქულისა პეტრეს ჯაჭუთა თაუანისცემისასა, რათა საუკუნოდ აღესრულებოდის ადაპი მისი ყოველითა მოსწრაფებითა: პანაშჯდითა და ყოველისა ლოცვისა წესითა, წესისაებრ, და ანაფორითა, და ქამისწირვითა და ძმათა ნუგეშინის ცემითა. და ეწდიოს მწუხრსა სამი და სამხრად ოთხი; და ვინცა ვინ შემდგომად ჩუენსა უდებ იქმნას და უგულებელს ყოს და არა გარდაიკადოს წლითი წლად, ანუ დააკლოს რაჲ ვინ ანუ ლოცვასა, ანუ ქამის წირვასა, ანუ ძალისაებრ ნუგეშინისცემასა ძმათასა, ღმერთსა მან გასცეს პასუხი.—ძუალად ამან მიქელ მოგუცა პერპერაჲ: ი: სასნეულოჲ საშენებლად და აღაშენა კალაეროჲ სახლი საძირკველითა, და ვენაკი და რაჲდა არის ყოველი უანდერძა ეკლესიასა, რომელი ყოველად აღარაჲ იყო. აწ ღუთისა თჳს ნუვინ დააკლებთ, რათა... *)

33 ამასვე თუესა იანვარსა: იგ, წმიდისა ათანასის და

*) ერთი სტრიქონი მკაზმავს წაუკრია.

ქჳრიკეს დღესასწაულსა განუწესეთ **მიქელ ხუცეს კანანახსა**, რათა გარდაეკდებოდის, ვითარცა სხუათა ყოველთა განწესებულთა: სამწუაროდ გალობითა და კუწრექსითა და კრასეულითა, და დილასა წირვითა და ეგრეთვე კრასეულითა და ლოცვითა; და ვინცა შეცვალოს და დაჭკსნას ესე ჩუენი განწესებული, **ღ**მერთმან იგი შეცვალოს ქრისტეანობისაგან! **ა**მან ძმამან ჟამსა დიდად საჭიროსა
374 მოსცა: **ლ** პერპერაჲ, რამეთუ კელინთა დამწუართა ვაშენებდით და მას ჟამსა დიდად გუწკმარებოდა.

34 Ⴇუესა იანვარსა: იზ, წმიდისა **ა**ნტონის დღესასწაული ალაპად განგჳწესებია **ლიპარიტისათჳს**: რამეთუ მოვიდა წმიდასა ამას მონასტერსა და მოსცა ეკლესიასა წმიდისა ღუთის მშობლისასა ასი დრაჭკანი, მამასახლისობასა **მამისა თეოდორესსა**, და მოგუცა ყოველსა ძმობასა სხუაჲ ორმეოც და ათექუსმეტი დრაჭკანი — სამთა ერთი **სამასსა სულსა**; და რაჟამს მიიცვალოს ესე, დღესასწაული წმიდისა მამისა **ა**ნტონისი საკსენებელად და სალოცველად სულისა მათისა დავაწესეთ, რათა აღესრულებოდის ყოვლითავე მოსწრაფებითა, ვითარცა მაშენებელთაჲვე; ხოლო ეწოდებოდა სახელი მონაზონებისაჲ **ა**ნტონი; **ქ**რისტემან სანატრელ ყავნ სული მათი. ამინ იყავნ.

35 Ⴇუესა იანვარსა: კა: წმიდისა **მ**აქსიმესსა ალაპი არს **პროხორე იკონომოსისაჲ** და აღესრულებოდენ ყოვლითა გულსმოდგინებითა, წესისაებრ.

375. **36** *) Ⴀმასვე თუესა: **ით**. დღესასწაულსა წმიდისა მაკარისა (ბოლოსა ჭპოვოჲ).

---

*) აშიაზე გაკრულის მხედრულით და იქვე ხუცურით „ქ: ეფთიმეს“.

37 Ⴇუესა იანვარსა: კბ: აღაპი არს სულაჲსი, ფარსმა-
ნის და ხორჩანელისა მამისაჲ, და ქანქოზისი და ცუარისაჲ.
იგივე ზემო წერილი წესი ლოცვისაჲ აღესრულენ და ჟა-
მის წირვაჲ და ოთხოთხი სასუმელი ტრაპეზსა.

38 Ⴇუესა იანვარსა: კთ: აღაპი არს გრიგოლ და აბაზ
ბაკურიანის მეთაჲ. და ყოვლითა გულსმოდგინებითა გარდა-
იკდებოდენ, ძალისაებრ, მათისა მზე გრძელობისათჳსცა და
ცოდვათა შენდობისა: მოსცა ეკლესიასა — გრიგოლ ორასი
დრაჰკანი, და ორასი — აბაზ; ვითა ზემო სწერია წესი ლო-
ცვისა და ჟამის წირვისაჲ და სამხრად ტრაპეზსა ოთხ-
ოთხი კრასოვული.

39 Ⴀმასვე თუესა: კთ: აღაპი დაუწესეთ ჭოჴულის მეთა,
გრიგოლს და იოანეს: დიდთა თჳს ქველი'ს მოქმედებათა
მათთა, რომელნი ქმნნეს ჟამსა შჭირისასა წმიდასა ამას ზე-
და მონასტერსა: რამეთუ მოსცეს პერპერაჲ ცხრაასი;
ხოლო ვითარ წარეო, ბოლოსა ჰპოო. — მე მამასა პაკ-
ლეს ამიღია ჩემითა კელითა ესე ყოველი და მისგან, რო-
მელი ძმანი აღმოსავლეთს გავგზავნეთ — Ⴈოსებ, Ⴈოანე და
ბასილი; ამისგნით მათცა (?) გამოეგზავნა...

40 Ⴇუესა იანვარსა: კთ აღაპად განგჳწესებია გრიგოლ
ერისთავთ ერისთავისა აბუსერის მისა თჳს და გრიგოლ შაბუჲსას
ძისა: წყალობათა და ქველის მოქმედებათა მათთა თჳს 376
და ეგრეთვე, ვითარცა მაშენებელთაჲ, გარდაიკდებოდენ ყო-
ვლითა მოსწრაფეებითა საკსენებელად მათდა საუკუნოდ ამინ.

41 Ⴇუესა იანვარსა: კზ: აღაპი განუწესეთ ბერსა
კლიმის მე, მამამან იოანე და ნიკოლა პროტო სინგელოზმან
თანა წამებითა ყოველთა ძმათაჲთა: მოსცნა ეკლესიასა ორ-

ნი ცხენნი ლაგამ უნაგრითა, და ლიტრაჲ ერთი ქინატი დრაჰკანი, და ხატი წმიდისა კლიმისი, მოჭედილი შიგან ნაწილითა; ამის ყოვლისათჳს დღესასწაული წმიდისა კლიმისი მისთჳს აღაშად განვაწესეთ: აღესრულებოდენ დაუკლებელად ანათორაჲთა, პანაშჯდითა და ქამისწირვითა, მერტიკონითა და კრასოულითა, და, რაჲცა ძალედვას, ძმათა ნუგეშინისცენ; და ვინცა ესე დაწერილი შეცვალოს, ღმერთსა მან გასცეს პას'უხი.

42 წუესა იანვარსა: **კზ**: აღაპი განგჳწესებია მამისა **იოანე სასიკონელისა** და ძმათა მისთაჲ, **გრიგოლის და გიორგისდა** დიდთა მსახურებათა მათთათჳს: **რამეთუ**, ვინაჲთგან მოვიდეს წმიდასა ამას უდაბნოსა, ქამნი მათნი ერთგულად მსახურებასა შინა გარდავლნეს; მერმე მოსცა ეკლესიასა დრაჰკანი სტამენონი ალექსატი—ორას ოთ'მოცი. ამისთჳს განუწესეთ აღაპი, რათა გარდაიკდებოდის ყოვლითა გულს მოდგინებითა, ლოცვითა, პანაჰჯდითა, ანათორაჲთა, მერტიკონითა, და ყოვლითა ნუგეშინის ცემითა, და ეწდიოს: მწუხრი: **ზ** და სამხრად: **ი**, და ვინ არა გარდაიკდიდეს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი.

43 წუესა იანვარსა: **კთ**, წმიდისა **ეგნატის** ნაწილთა მოყუანებასა, აღაპი განგჳწესებია მამისა **იოანესთჳს ბუქაჲსძისა**: მოსცა ეკლესიასა საამარი დრაჰკანი დუკად მიხაჲლატი: **ძდ**, და კუალად სამეფოს გაყიდა თავისა ჯუარი ოქროჲსაჲ
377 და აიღო ტარტარონი: **სნ**, და კუალად სხუაჲ დრაჰკანი ალექსატი სტაჳენონი: **რმდ**, და მონასტერსა შინა დადგა კოშკი ზღუდისაჲ კარგი და სხუანი მრავალნი კეთილნი, სულიერნი და კორციელნი, ქმნა, მრავალნი ნაშენებნი შინა და გარე აღაშენნა. **აჲ**ისთჳს აღესრულებოდენ აღაპი მათთჳს, ვითა მაშენებელთა თჳს სწერია, ლოცვითა, პანაშჯდი-

თა, ანათორაჲთა, და ძმათა ყოველთა ნუგეშინისცემითა, და ეწდიოს: მწუხრი: გ, და სამკრად: ე; და ვინცა ვინ არა გარდაიქდიდეს ყოვლითა გულსმოდგინებითა, ღმერთსა მან გასცეს პასუხი.

44 მუესა იანვარსს: ია, დღესასწაულსა წმიდისა თევდოსისა, აღაპი განუწესეთ ბერსა გიორგი ჯუბაელსა: შემდგომად მიცვალებისა დაუტევა ეკლესიასა დრაჰკანი დუკატ მიხაილატი: ნ. ამისთჳს აღესრულებოდენ აღაპი მისი, წესისაებრ, ლოცვითა, პანაშჳტითა, ანათორაჲთა, მერტიკონითა, კრასოულითა მწუხრი და სამკრად —საკსენებელად მათდა საუკუნოდ.

45 მასსე დღესა აღაპი თევდოსი სოლონაკელისა, დუკატოფილისაჲ: მოსცა ეკლესიასა ვერშერატი: რ. აღესრულებოდენ ყოვლითავე წესითა, ლოცვითა, ანათორაჲთა, მერტიკონითა, კრასაულითა—საკსენებელად მათდა საუკუნოდ. ღმერთმან ჴირს ყავნ სული მისი ჯუბაელსა თანა.

46 მუესა იანვარსს: ზ: აღაპი არს ესაჲა ასურისაჲ: მოგუცა წყლისა მოსაყვანებელად დრაჰკანი. აღესრულებოდენ ყოვლითა გულსმოდგინებითა, ვითარცა სხუათა შემომწირველთაჲ სწერია, ძალისაებრ.

47*) მუესა იანვარსს: კზ, აღაპი ე რუს ყოფილისაჲ: მოსცნა ეკლესიასა წიგნნი. აღესრულებოდინ ყოვლითა გულს მოდგინებითა, ვითარცა სხუათა შემომწირველთაჲ წერია, ძალისაებრ. წიგნნი ხუთნი არიან იოანე რუსყოფილისა მოცემულნი: სადღესასწავლონი ორნი, დიონოსი ერთი, ლავსაიკონი ერთი და თეოდორიტე ერთი. და ვინცა

378

*) ჩაწერილია სხვა ხელით.

თა, ანათორაჲთა, და ძმათა ყოველთა ნუგეშინისცემითა, და ეწდიოს: მწუხრი: გ, და სამკრად: ე; და ვინცა ვინ არა გარდაიკდიდეს ყოვლითა გულსმოდგინებითა, ღმერთსა მან გასცეს პასუხი.

44 Თუეს იანვარს: ია, დღესასწაულსა წმიდისა თევ-
დოსისა, ალაპი განუწესეთ ბერსა გიორგი ჯუბიელსა: შემ- ანა-
დგომად მიცვალებისა დაუტევა ეკლესიასა დრაჰკანი დუ- ფო-
კატ მიხაილატი: ნ. ამისთჳს აღესრულებოდენ ალაპი მისი, რაჲ
წესისაებრ, ლოცვითა, პანაშჳტითა, ანათორაჲთა, მერტიკო-
ნითა, კრასოულითა მწუხრი და სამკრად —საჴსენებლად
მათდა საუკუნოდ.

45 მასვე დღეს ალაპი თევდოსი სოლონიკელისა, დუკ ყოფილისაჲ: მოსცა ეკლესიასა პერპერატი: რ. აღესრულებოდენ ყოვლითავე წესითა, ლოცვითა, ანათორაჲთა, მერტიკონითა, კრასაულითა—საჴსენებლად მათდა საუკუნოდ. ღმერთმან დირს ყავნ სული მისი ჯუბიელსა თანა.

46 Თუეს იანვარს: ზ: ალაპი არს ესაჲა ასურისაჲ: მოგუცა წყლისა მოსაყვანებელად დრაჰკანი. აღესრულებოდენ ყოვლითა გულსმოდგინებითა, ვითარცა სხუათა შემომწირველთაჲ სწერია, ძალისაებრ.

47*) Თუეს იანვარს: ძზ, ალაპი ი҃ე რუს ყოფილისაჲ:
მოსცნა ეკლესიასა წიგნნი. აღესრულებოდინ ყოვლითა
გულს მოდგინებითა, ვითარცა სხუათა შემომწირველთაჲ
სწერია, ძალისაებრ. წიგნნი ხუთნი არიან იოანე რუსყოფი- 378
ლისა მოცემულნი: სადღესასწავლონი ორნი, დიონოსი ერ-
თი, ლავსაიკონი ერთი და თეოდორიტე ერთი. და ვინცა

*) ჩაწერილია სხვა ხელით.

ამას ეკლესიასა გამოკუას ერთიცა, ღმერთსა მან მისცეს პასუხი.

48 მუესა ფებრვალსა: ბ: ალაპი არს გაბრიელისი, ეგვნეზას მმისად, რომელსა მონაზონებასა ნიკოლა ეწოდა: და, ვითა მორნიკისთჳს სჳნგელოზისა ს წერია, ყოველივე წესი ლოცვისად და ქამისწირვისად ეგრეთვე აღესრულებოდენ, და ტრაპეზსა ხუთხუთი სასუმელი, და ყოველთა შჳდეულთა ორი დღე ქამისწირვად ხუცისა ერთისა მიერ. რომელი იყოს წინა მძღუარი, ქამითი ქამად გამოჩინებადი, აღასრულებდინ, რათა ბრალსა არა მთავარდეს; რამეთუ არსენი მამამან დაუდვა ესე მისისა საფასისა და კუმაშისა თჳს, სიმტკიცითა დიდითა და წუევითა.

49 მუესა ფებრვალსა: ბ: გაბრიელ ეგნეზის ძმისავე
379 აღაპი არს, რომელსა მონაზონებასა ნიკოლა ეწოდა; და ესე აღაპი მისისა აღაპისა შემდგომად გარდაიკდებოდენ ყოველითავე ზემო წერილითა წესითა, და ოთხოთხი კრასოვული ტრაპეზსა უწდიან.

50 მუესა ფებრვალსა: იგ: აღაპი არს გიორგი ჩორჩანელისად, ფარსმანის მმისად: და ვითარცა სჳნგელოზისა და ი ე მაშენებლისა და მფუთჳმეს თჳს სწერია, ყოველი ეგრეთ აღესრულებოდენ: ლოცვად, და ქამისწირვად, და ძმათა ნუგეშინისცემად ტრაპეზსა ხუთხუთითა სასუმლითა, და ყოველთა შჳდეულთა ორი დღე ქამისწირვად, რომელი ესე მამისა არსენას თანა ჩუენ ყოველთა ძმათა დავაწესეთ დიდთა განძთა და კუმაშთა მათთათჳს, რომელნი სიცოცხლესაცა და შემდგომად აღსრულებისა ჩუენ ზედა წაეგნეს. და აწ ვინცა ვინ მამასახლისი იყოს, ხუცესსა ერთსა
380 გაუწესებდეს, რომელ ამას ორსა დღესა ქამსა უწირვი-

დეს, და ზეგარდამოთა ლოცვათა მაშენებელთავე თანა ელოცვებოდენ ორთავე ძმათა, **არსენის** და **გიორგის**.

51 თუესა ფებერვალსა: **იზ**, დღესასწაულსა წმიდისა თეოდორესსა, განვაწესეთ აღაპი **თეოდორე ასურისათჳს**: მოსცა ეკლესიასა დრაჰკანი ჰრომანატი: რ; გარდაიკდებოდის ყოვ- ანა-
ლითა გულსმოდგინებითა, ანაფორაჲთა, პანაშჳდითა, ქამის- ფო-
წირვითა, მერტიკონითა; ეწდიოს ძმათა მწუხრსა: გ და რაჲ
სამხრად: დ, და ვინ არა გარდაიკდიდეს ყოვლითა გულს-მოდგინებითა, ღმერთსა მან გასცეს პასუხი.

52 დღე შაბათი უძღებისაჲ აღაპად განგჳწესებია **სჳმონ ბერძნისა ხუცისაჲ**: მოსცა ეკლესიასა: **რ** დრაჰკანი. ამისთჳს გარდაიკდებოდის ყოვლითა გულსმოდგინებითა, ეწდიოს ძმათა: მწუხრი გ: და სამხრად: დ, და ვინ არა გარდა იკადოს, ღმერთსა მან მისცეს სიტყუაჲ.

53 პირველსა შაბათსა წმიდათა მარხვათასა წმიდისა მოწამისა თეოდორეს დღესასწაული, განგვიწესებია საკსენებელად სულისა თ̃სისა: მოსცა ეკლესიასა ლიტრაჲ ერთი განძი და ორნი საკედარნი. აღესრულებოდენ პანაშჳდი მისთჳს და კრასოული: მწუხრსა: გ და სამკრად: დ, და ვინ არა გარდაიკადოს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი.

54 *) მეორესა შაბათსა წმიდათა მარხვათასა ბანაშკდი **არიშაანისაჲ**. პანაშკდი დაიბარეს და მოგუცეს ეკლესიისა საბურავად დრაჰკანი: რმი.

---

*) აშიაზედ მიწერილია სხვა ხელით.

55 მეორესა შაბათსა წმიდათა მარხვათასა აღაპი არს **ლიპარიტისი, ივანეს ძისაჲ**: მოგუცნა ორნი ცხენნი, ტაიჭნი კარგნი; გარდაიკდებოდის ყოვლითა მოსწრაფებითა, ლოცვითა, ჟამისწირვითა და ანათორაჲთა, ძმათა მიეცემოდის კრასოვოლი: სამი მწუხრი და ოთხი სამკრად; ესე წესი დაუკლებელად აღესრულებოდენ.

56 სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა
381 წმიდისაჲთა. მე, მამამან **ნიკოლა** პროტოსჳნგელოზმან და
ყოველთა ძმათა ერთობით განვაწესენით აღაპნი და საკსე-
ნებელი სანატრელისა **გიორგი მაგისტროსისათჳს** დიდთა
მათ ქველის მოქმედებათა მათთათჳს, რომელნი აჩუენნა
ჩუენზედა; დავთუალეთ და დავაფასეთ საკმარი მისი, რაჲ-
ცა მოეღო ამას ეკლესიასა სიცოცხლესა მისსა და რო-
ან:- მელ შემდგომად სიკუდილისა მისისა დაუტევა: განძი, სტავ-
ფო- რანი, და ჭურჭელი ვეცხლისაჲ და საკედარნი,—ყოველივე
რიაჲ ჯუმლად **მ**-სა ლიტრისა განძისა საკმარი, და განვაწესეთ
ამის ყოვლისა თჳს სალოცავი სულისა მისისათჳს: პირვე-
ლად ხუცესი დავაყენეთ ჟამისმწირველად, ლიტრითა ერთი-
თა პურ სყიდული, რათა ყოველსა მსგეფსსა შინა **ბ** დღესა
ჟამსა წირვიდეს მისთჳს დაუკლებელად, ვიდრემდის ეგოს
წმიდაჲ ესე ეკლესიაჲ, და ყოველთა კათოლიკეთა კუერექსთა
შინა იკსენებოდის ჟამისწირვისათა და მწუხრისათა და
ცისკრისათა მაშენებელთა თანა, და ვინცა ვინ ესე ჩუენი
განგებული შეცვალოს, რამანცა კაცმან რასაცა ჟამსა.
ღმერთსა მან მისცეს სიტყუაჲ.

დღე დიდი ხუთშაბათი მისთჳს აღესრულოს ყოველი წესი ლოცვისაჲ, ვითარცა მაშენებელთათჳს სწერია, და უწდიონ ძმათა ღჳნოჲ—მწუხრი: **ბ** და სამხრად: **ე**. ეგრეთვე დღე მიცვალებისა მისისაჲ მაჲსსა: **ძ** აღაპი გარდაიკადონ ზემოწერილითა ლოცვისა განგებითა, ვითარცა

მაშენებელთაჲ, ანათორაჲთა, და უწდიან მწუხრსა: გ და სამხრად ე: ე: *).

ეგრეთვე ივლისსა: კზ, ოდეს დავჭმარხენით ძუალნი მისნი მის მიერ განწესებულსა საფლავსა, გარდაიკდან ალავი ზემო წერილითა განგებითა, ანათორაჲთა და უოვლითავე ფერითა, და უწდიან: მწუხრი: ზ და სამხრად: ე.

57 **) მუესა მარტსა: თ: განვაწესეთ შანაშჯდი ძმისა ჩუენისა ათანასესთჳს: რამეთუ მოსცა ეკლესიასა დრაჭკანი შერშერაჲ დიდითა სასოებითა, და ამისთჳს აღესრულებოდენ საკსენებელი მისი უოვლითა წესითა, ვითა სჩუათა შემომწირველთაჲ, და ღმერთმან აღმასრულებელთა მადლი მისცეს, ხოლო დამვიწუებელთა ბრალი აქუს. 382

58 ლაზარობად ალავი არს დავით კოშკიაჲსაჲ და ზაქარიაჲსი: მოსცა ეკლესიასა დრაჭკანი ალექსატი: ს; ამისთჳს აღესრულებოდენ უოვლითა გულს მოდგინებითა, წესისაებრ, შანაშჯდითა, ანათორაჲთა, შიტითა, თესლითა და ქამისწირვითა, და ეწდიოს მწუხრსა: ზ და სამხრად: ხუთი, და ვინ არა გარდა იყოდოს, ღმერთსა მან გასცეს შასუხი. ანა- ფო- რაჲ

59 ხარებად მარტსა კე: ალავი განუწესეთ სულიერსა ძმასა ჩუენსა დავით ხუცესსა: მოსცა ეკლესიასა დრაჭკანი დიმიტრატი ორასი; აღესრულებოდის უოვლითა გულს მოდგინებითა, წესისაებრ, ქამისწირვითა, და, რაჲცა ძალ ედვას, ეწდიოს მწუხრსა: ზ და სამხრად ღ; და ვინცა რაჲთაცა მიზეზითა შეცვალოს, ღ-ა მან გასცეს შასუხი.

**) ხუთხუთი.

***) მიწერილია ბოლო აშიაზე.

60 Თუესა აპრილსა: ლ: აღაპი განვაწესეთ კურთხეუ-
ლისა **მარიამ ბასილაკისა ასულისა, სუმბატ კულა პარატისა
მეუღლისათჳს:** რამეთუ ამას კურთხეულსა დედაკაცსა პირ-
ველითგან დიდი სასოებაჲ აქუნდა წმიდისა ამის უდაბნოჲ-
სა მომართ, და მრავალი შესაწირავი შემოწირა შემდგო-
მად სუმბატის მიცვალებისა წმიდასა ამას ეკლესიასა—საკსე-
ნებელად მათდა საუკუნოდ; რომლისათჳს საუკუნომცა
არს საკსენებელი და კურთხევაჲ მათი! და კუალად კურთ-
ანა- ხეულმან ამანვე დედაკაცმან ჟამსა მიცვალებისა თჳსისა
ფო- ანდერძი ქმნა და შემოსწირა წმიდასა ამას ეკლესიასა სო-
რაჲ ფელი როდოლივი—საკსენებელად და სალოცველად სუ-
ლისა თჳსისა; ამისთჳს განუწესეთ, რათა აღესრულებოდის,
რაჲ წელიწად, საკსენებელი მათი ყოვლითა გულს მოდ-
გინებითა, ლოცვისა წესითა, ვითარცა მაშენებელთათჳს
სწერია, პანაშჳდითა, ჟამისწირვითა, ანათჳრაჲთა, მერტიკო-
ნითა და, რაჲცა ოდენ ძალედვას, მოუწოდდენ მამასახლის-
თა და მონაზონთა მთისათა, და ესრეთ მაღლად და ბრწყინ-
ვალედ აღესრულოს საკსენებელი მათი, და იკსენებოდიან
ზეგარდამოჲთა კურექსთა შინა მაშენებელთა თანა; და ესე,
ვითა დაგჳწერია და დაგჳწესებია, საუკუნოდ აღესრულე-
383 ბოდენ, ვიდრემდის ეგოს წმიდაჲ ესე ეკლესია; და ვინ,
რაჲცა მიზეზითა, არა გარდაიკდიდეს, მან გასცეს ღმერთსა
პასუხი.

61 Თუესა აპრილსა: კზ: აღაპი არს მამისა ჩუენისა
გიორგი ოლთისარისაჲ და ძმისა მისისა **მიქელისი:** მრავალ-
თა კეთილთა მისთათჳს, რომელ ამას მონასტერსა ზედა
ანა- ქმნნა; რამეთუ მრავალნი მონასტერნი და პრასტინნი
ფო- დაჰჭარნა, მრავლით ჟამითგან წახუმულნი, და ზღუდენი
რაჲ მოავლნა მონასტერსა, და ოქრო ბეჭედი აიღო, მრავალთა
ზრუნვათა და ჭირთა გარე წარმკდელი; გარდაიკდებო-

დენ ვითარცა წმიდათა მამათა ჩუენთა მაშენებელთათჳს წე-რილ არს.

62 Ⴇუესა აპრილისა: ქჱ: აღაპი განგჳწესებია ძმისა ჩუ-ენისა მნელისათჳს: ასი დრაჰკანი მოგუცა და ყოვლადვე მოგუცემს, და ვინ ესე მისი აღაპი ყოვლითა გულსმოდგი-ნებითა არა გარდაიკადოს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი. ანა-ფო-რაჲ

63 Ⴇუესა აპრილსა: ქჟ: აღაპი არს სკმონ ნოტარისა ქარ-თველისაჲ: გარდაიკდებოდის ყოვლითა გულსმოდგინებითა, პანაშჳდითა და ჟამისწირვითა, და ყოვლითა ნუგეშინის ცე-მითა ძმათაჲთა: რამეთუ სიცოცხლესა მისსა დიად ჰმსახურა ეკლესიასა და შემდგომად სიკუდილისა მოგუცნა ცხენნი და კარნი და ნაშრომი, ტანის სამოსელი და ყოველივე, რაჲცა აქუნდა, ეკლესიასა დაუტევა. ღ˜ნ მოიკსენენ სული მისი ამინ.

64 *) Ⴇუესა მაისსა: ა: წმიდისა იერემიაჲსსა და წ˜ისა ფილიპე მჳდთაგანისსა: აღაპი განუწ'ეთ თეოფილახტეს მკერ-ვალსა: მოსცა ეკლესიასა პროტოხარაგი: მბ; აღესრულე-ბოდენ ყოვლითა გულსმოგინებითა, ანათუორაჲთა, მერტი-კონითა, კრასოულითა, პანაშჳდითა, და ყოვლითავე წესითა, ვითარცა სხუათათჳს სწერია.

65 **) Ⴀმასვე თუესა: ჱ სა: აღაპი არს ირისე ფურთუკა-ლად ყოფილისაჲ, ბორანაჲს დისაჲ: რამეთუ ჟამსა ჭირი-სასა მოსცა მონასტერსა პერპერაჲ: მჱ, სტამენონი ახალი ლიტრაჲ: ჸ; და გარდაიკდებოდის ჟამისწირვითა და კრა-სოულითა, და ვინცა უდებყოს, ღმერთსა..... 384

---

*) სხვა ხელით და სხვა მელნით.

**) ძველის გაკრულის მხედრულით, აშიაზე.

ა᾽ა- ფო- რაჲ 66 Ⴇუეს მაისს: ი: ალაპი არს იოანე კოპანაძისაჲ: მოსცა ეკლესიასა დრაჰკანი პროტოხარატი ასი. გარდაიკდებოდის ყოვლითა გულს მოდგინებითა, ლოცვითა, ჟამისწირვითა, ანაფორაჲთა; მიეცემოდის ძმათა კრასოოლი: მწუხრსა: გ და სამხრად: დ; ესე წესი დაუკლებელად აღესრულებოდენ!

ანა- ფო- რაჲ 67 Ⴇუეს მაისს: ზ, დღესასწაული ჯუარისაჲ და ალაპი ძმათაჲ დაიდვა საკსენებელად საუკუნოდ ყოველთათჳს, რომელთა მოიღეს საშენებელად ზღუდისა დრაჰკანი, ვისცავის რაჲცა ძალედვა, ყოვლითა გულსმოდგინებითა გამოიღეს თავისა ნებითა, და რათა გარდაიკდებოდის ლოცვითა, და ჟამისწირვითა დ̃ სასუმლითა (მწუხრსა სამსამი და სამხრად ხუთხუთი), და ვინ არა გარდაიკადოს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი.

68 Ⴇუეს მაისს: ჱ: დღესასწაული ი̃ე მახარებელისაჲ: განგჳწესებია ალაპად კოსტანტი პროტო სპათარ მანგლავიტისა ანდრაპოლელისაჲ; შეაწიენ ღმერთმან!

69 *) ამასვე დღეს მელეტისათჳს: მისცა მონასტერსა: ქ პერპერაჲ.

70 Ⴇუეს მაისს: ი: ალაპი განვაწესეთ ძმისა ჩუენისა ბასილისთჳს: დიდთა მსახურებათა მისთათჳს, რომელ სიცოცხლესა მისსა ემსახურა ეკლესიისა და ძმათადა, და შემდგომად მიცვალებისა შემოწირა ეკლესიასა ორი თუალი წისქჳლი და ბ ცხენნი, და ქ დრაჰკანი; გარდაიკდებოდის ალაპი მისი ყოვლითა გულსმოდგინებითა, უწდიონ ძმათა: გ: მწუხრი და ოთხი სამხრად.

---

*) მიწერილია სხვა ხელით.

71 Ⴇუეს მაჲსსა: იზ: ალაპი არს წმიდისა მამისა ჩუენისა ანა-
დ მაშენებელისა ეფთჳმესი, და ყოველივე სჳნგელოზისა გან- ფო-
გებაჲ აღესრულოს, და სამხრად წდიონ ხუთხუთი კრასა- რაჲ
ული.

72 Ⴇუეს მაჲსსა: იჱ: ალაპი განგჳწესებიეს ქრისტე-
ფორე ლალკო ყოფილისათჳს: შემოიტანა, ოდეს მოკუდა,
ლიტრაჲ: ა განძი, სკარამანგი: ა, და ჯორი: ა; გარდა-
იკდებოდენ გულსმოდგინედ. 385

73 Ⴇუეს მაჲსსა: კ: ალაპი არს გიორგი მაგისტროსი-
საჲ; განგებაჲ დიდსა ე: შაბათსა სწერია, გარდაიკდებოდენ,
ვითარცა მაშენებელთაჲ.

74 Ⴇუეს მაჲსსა: კა: ალაპი განგჳწესებიეს კოსტანტი ანა-
პროედროსისად: მისითა შუამდგომელობითა დიდნი წყა- ფო-
ლობანი მოგუფინნა წმიდამან მეფემან, აღესრულებოდენ რაჲ
ყოვლითა გულსმოდგინებითა.

75 Ⴀმასვე დღეს ალაპი არს არსენი თეგდორაკნისაჲ:
დიად ჰმსახურა ეკლესიასა და ფიცით დაჰყარა ზღვარი ანა-
მელჲინძათაჲ და გუალად მოსცა დრაჰკანი ორასი დიმი- ფო-
ტრატი; ამისთჳს აღესრულებოდენ ალაპი მისი ყოვლითა რაჲ
გულსმოდგინებითა, ჟამისწირვითა, ანაფორაჲთა, მწუხრსა
ეწდიოს: გ და სამხრად ოთხი, და ვინ არა გარდაიკდი-
დეს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი.

76 Ⴇუეს მაჲსსა: კდ: ალაპი არს სჳმეონ ელადაჲსაჲ
და ძისა მისისა გიორგისი და დედისა მისისა სტრატიღოჲ- ანა-
სა: რამეთუ ამან გიორგი შემოწირნა ფურნი სამნი კბოვრე- ფო-
დნი, დავათესენით დრაჰკნად ახლად ლიტრად: გ; და აღე- რაჲ
სრულებოდენ, წესისაებრ, ლოცვითა, ანაფორაჲთა, ჟამის-

წირვითა, ეწდიოს ძმათა მწუხრსა: გ და სამხრად: დ, და
ვინ არა აღასრულებდეს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი.

77 Ⴇუესა მაისსა: კე: დღესასწაულსა წ~სა Იოანე ნათ-
ლისმცემელისა თავისა პოვნისასა: აღაპი განუწესეთ **გიორ-**
ანა- **გი** (გ~ი) **დედოფლეურსა** და მამასა მისსა ი~ესა, მე, მამამან Ი~Ე
ფო- და ყოველთა ძმათა: მოსცა ეკლესიასა დრაჰკანი ლიტრაჲ:
რაჲ დ; აღესრულებოდენ ყოვლითა გულსმოდგინებითა, პანა-
შჳდითა, ანათორაჲთა, ქამისწირვითა, მერტიკონითა, ეწდიოს
ძმათა მწუხრსა: გ და სამხრად: დ, და ვინ არა გარდაიკა-
386 დოს ყოვლითა გულსმოდგინებითა, ღ~ა მან გასცეს პასუხი.

78 Ⴇუესა ივნისსა: ა: აღაპი განვაწესეთ **ჯერასიმეს-**
თჳს, ძმისა ჩუენისა, ამისთჳს: რამეთუ ხარტინნი **ბოლბონისა**
და **ნისინისანი** ძმამან ვინმე ქართველმან, სახელით ქოზმან,
მოიპარნა და ბერძენსა ვისმე გასცნა, და მრავალნი ადგილ-
ანა- ნი და ზღვარნი წაჴდებოდეს ამით მიზეზითა, ანუ უნდა
ფო- მიცემად მის ბერძნისადა დრაჰკანი პროტოხარაგი: რ;
რაჲ ამან ჯერასიმე შრომაჲ თავსიდვა, და წავიდა, და დიად იღუა-
წა, და საკმარი ყოველი თავისაჲ წააგო და ხარტინნი დაჰ-
ყარნა; და გუალად სხუაჲ მოსცა ამის აღაპისათჳს განძი
სტამენონი ლიტრაჲ ერთი; ამისთჳს აღესრულებოდენ აღა-
პი მისი, წესისაებრ, ლოცვითა, პანაშჳდითა, ქამისწირვითა
და ძმათა ნუგეშინისცემითა, უწდიონ ტრაპეზს — მწუხრი: გ
და სამხრად: ე, და ვინ არა გარდაიკადოს, ღ~ა მან გასცეს
პასუხი.

79 Ⴇუესა ივნისსა: ბ: აღაპი განგჳწესებიეს **თეოდო-**
ანა- **რესდა**: მოგუცა ორი ლიტრაჲ პროტოხარაგი ალექსისაჲ;
ფო- გარდაიკდებოდენ ანათორაჲთა. პანაშჳდითა და ქამისწირვი-
რაჲ თა, უწდიონ მწუხრსა: გ და სამხრად: დ; ვინ შეცვალოს
ესე, მან მისცეს სიტყუაჲ ღმერთსა.

80*) თუესა ივნისსა: ია: პანჩუდიარას ბართლომეოსს ჲ ბარნაბისსა, გიორგი ქართველისაჲ (განგებაჲ ბოლოსა მოიძიე).

81 თუესა ივნისსა: იბ: დღესასწაულსა წ~სა ონოფრესსა: ი~ე ღუღუ ყოფილსა განუწესეთ ადგილი სხუაჲ: მოსცა ეკლესიასა კუალადცა ცხენი უკეთესი და სხუაჲ მესამოსელი კარგი; აღესრულებოდენ ადგილი მისი, ვითარცა პირველ დაგუწერია, ყოვლითა გულსმოდგინებითა, ლოცვითა, პანაშუდითა, ანაფორაჲთა, ქამისწირვითა, მერტიკონითა, ეწდიოს ძმათა მწუხრსა: გ: და სამხრად: დ, და ვინ არა გარდაიადოს, ღმერთსა მან მისცეს სიტუაჲ. ანაფორაჲ

82**) ამასვე დღესა წმიდისა ონოფრესსა: ძმათა განუწესეთ გაბრიელსაცა, რათა, ვითარცა (იოანე?), ეგრევე გაბრიელ მოიკსენებოდეს არა კიდეგნად მისითავე, ამისთჳს, რამეთუ დიად საჭიროსა ქამსა მოსცა ათი პერპერაჲ...

83 თუესა ივნისსა: იდ: წ~სა მამისა ჩუენისა ი~ე ეფოჯმეს მამისაჲ და ვითა სჯნგელოზისასა სწერია ყოველივე წესი ლოცვისა ჲ ქამისწირვისაჲ ჲ ნუგეშინისცემისაჲ, ეგრეთ აღესრულენ და სამხრად ხუთხუთი წდიონ.

84 თუესა ივნისსა: ით: აღგილი განვაწესეთ თეოფანესთჳს პეტრიწოწელისა მამასახლისისა: ბრძანებითა მამისა ეგ- 387
გუნისითა მოგუცა: ბ: ლიტრაჲ სტამენონი და კუალად ასი დრაჰკანი სხუაჲ; ამის ყოვლისათჳს გარდაიკდებოდის საკსენებელი მისი ყოვლითა გულსმოდგინებითა, პანაშუდითა, ქამისწირვითა, ანაფორაჲთა და ძმათა ნუგეშინისცემი-

*) აშიაზე სხვა ხელით მიწერილია.

**) აშიაზედ მიწერილია და ძნელადღა იკითხება.

თა, ეწდიოს მწუხრსა: გ: და სამხრად:დ; და, ვინ არა გარ-
დაიკადოს, ღმერთსა მან მისცეს სიტყუაჲ.

85 თუესა ივნისსა: კდ: აღაპი არს ი~ე ენჩაყოფილისაჲ:
ყოველივე ზემო წერილი წესი ლოცვისა და ჟამისწირვი-
საჲ დაუკლებელად აღესრულენ და ოთხოთხი სასუმელი
ძმათა ეწდიენ.

86 თუესა ივნისსა: კთ: დღესასწაულსა წმიდათა მო-
ციქულთასა: აღაპი განუწესეთ რაჲსელსა და გაროზს: მოს-
ანა- ცეს ეკლესიასა დრაჭკანი ახალი: რ: კელითა იაკობისითა;
ფო- ამისთჳს აღესრულებოდენ ყოვლითა გულსმოდგინებითა,
რაჲ ლოცვითა, პანაშჳდითა, ანაფორაჲთა და ყოვლითა ნუგე-
შინისცემითა ძმათაჲთა, ეწდიოს—მწუხრი სამი და სამხრად
ოთხი, და ვინ არა გარდაიკადოს, ღმერთსა მან გასცეს
პასუხი.

87 თუესა ივნისსა: ლ: აღაპი არს წმიდისა მამისა ჩუ-
ენისა გიორგი თარგმანისაჲ, და ვითა სწერია სჳნგელოზი-
ან.- სათჳს და იოანე ეფთჳმეს მამისაჲ და დიდისა გიორგისთჳს,
ფო- ყოველი წესი ლოცვისა, და ჟამისწირვისაჲ და ძმათა ნუ-
რაჲ გეშინისცემისაჲ აღესრულებოდენ, ანაფორაჲ, ვითა მოას-
წავებს, და სამსამი მწუხრსა და ხუთხუთი სამხრად; ესე მე,
მამამან გიორგი განვაწესე მისთა წიგნთათჳს, რომელ ამას
ეკლესიასა დარჩეს საკსენებელად მისდა საუკუნოდ.

88 თუესა ივლისსა: ბ: აღაპი ბოლოსა ჭპოო.

89 თუესა ივლისსა: ც: წ~ა პროკოპისი აღაპად განცვ-
წესებია ფარსმან ომოგუელისად: ყოვლითა მოსწრაფეებითა

აღესრულებოდენ: რამეთუ მრავალნი წყალობანი ქმნნა ჩუენ ზედა წინაშე ბაგრატ აფხაზთა მეფისა.

90 Ⴇუესა ივლისსა: თ: ალაპი განგჳწესებია ბაგრატ კურაპალატისათჳს: აღესრულებოდენ ლოცვითა და ჟამისწირვითა და ყოვლითა ნუგეშინისცემითა ძმათაჲთა საკსენებელად მათდა საუკუნოდ.

91 Ⴇუესა ივლისსა იბ: ალაპი არს ევსტათი იკონომოსისაჲ და იგივე ზემოწერილი წესი აღესრულენ და 388
სუან ოთხოთხი კრასაული ძმათა.

92 Ⴇუესა ივლისსა: იე: ალაპი განვაწესეთ ძმისა ჩუე-
ნისა კახისა კე̃სთჳს: დაუტევა ეკლესიასა სტავრანი და ანა-
აკაზმულობაჲ, რომელ ვაფასეთ სამ ლიტრად განძად. ფო-
ამისთჳს აღესრულებოდენ, წესისაებრ, პანაშჳდითა, ანაფო- რაჲ
რაჲთა, და ჟამისწირვითა, და ეწდიოს ძმათა მწუხრსა სამი და სამხრად ხუთი; და ვინ არა აღასრულებდეს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი.

93 Ⴇუესა ივლისსა: ით, ალაპი განუწესეთ ლეონტა და
ნიკოლა ბერძენთა: დაუტევეს ეკლესიასა ორთავე სამოცი ანა-
დრაჰკანი პერპერატი ჟამსა მიცვალებისა მათისასა. ამის- ფო-
თჳს აღესრულებოდენ საკსენებელი მათი, წესისაებრ, პანაშ- რაჲ
დითა, ანაფორაჲთა, ჟამისწირვითა, ეწდიოს მწუხრსა სამი და სამხრად ოთხი, და ვინ არა გარდაიკადოს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი.

94 Ⴇუესა ივლისსა: კბ: ალაპი არს ანასტასიაჲსი და მარიაჲსი, დედისა მისისაჲ. და ყოველივე, ზემო წერილი, აღესრულენ, და ოთხოთხი სასუმელი ეწდიენ ტრაპეზსა.

95*) თ უესა იგლისსა: კე: აღაპი არს თამარ დედოფლისაჲ (განგებაჲ ბოლოსა ძებნე).

96 თ უესა იგლისსა: კზ: აღაპი არს გიორგი მაგისტროსისაჲ: ოდეს დავჭმარხენით ძუალნი მისნი მის მიერ განწესებულსა საფლავსა, გარდაიაღონ, ვითარცა მაშენებელთაჲ ანათორაჲთა, უწდიონ მწუხრსა სჱმი და სამხრად: ე სხუაჲ განგებაჲ დიდსა: ე: შაბათსა ჰჳოო. ანა- ფო- რაჲ

97 თ უესა იგლისსა: კე: დღესასწაულსა წ̃ს ფებრონიაჲსსა: აღაპი განუწესეთ გიორგი კოშკინასა: მოგუცა დრაჭკანი წულისათჳს, დოკატმიხაჲლატი: კ; აღესრულებოდენ, წესისაებრ, შანაწჯდითა, მერტიკონითა, კრასოულითა, და ყოვლითავე გულს მოდგინებითა საკსენებელად მისდა საუკუნოდ.

98 მასვე დღესა დეონ ეპისტატისაჲ: ამისთჳს, რომელ შემდგომად სიკუდილისა, რაჲცა ჰქონდა, ყოველი ეკლე- 389 სიასა დაჰრჩა.

99 თ უესა აგვსტოსა: ვ: აღაპი განეაწესეთ კოსტანტი მონამახისათჳსვე: ქკელის მოქმედებათა მისთათჳს, რომელ ქმნა ჩუენ ზედა. ანა- ფო- რაჲ

100 თ უესა აგვისტოსსა: იე: მარიამობაჲ: მარიამ დედოფალმან, ბაგრატ კუროპალატისა დედამან, ლიტრაჲ ერთი სოლიმნი შეგჳქმნა ბერძენთა მეფისაგან სალოცველად და საკსენებელად მისდა საუკუნოდ; და განგჳწესებია მათთჳს აღაპად ესე დღე, ვითარცა მაშენებელთა და მეფეთა ანა- ფო- რაჲ

*) მიწერილია სხვა ხელით.

ჩუენთადა, რათა ყოვლითა მოსწრაფებითა გარდაიკდებოდის, მსგავსად ძალ-სა ჩუენისა, და ლოცვაჲ და ქამისწირვაჲ მის დიდებულისა დღესასწაულისა სულსა მისსა მიეცინ ქრისტემან.

101 თუესა აგვისტოსსა: კ: ადაპი განგჳწესებია **სამოელ ქუთათელ მთავარ ეპისკოპოსისაჲ:** ქველის მოქმედებისა და წყალობისა მათისათჳ'; ვითარცა მაშენებელთაჲ, ეგრეთ გარდაიკდებოდენ ყოვლითა მოსწრაფებითა სალოცველად მათდა საუკუნოდ ამინ.

102 თუესა აგვისტოსსა: **კთ:** ადაპი განუწესეთ **მიღვრასა** და ძესა მისსა **ქობ*ულს:** მოსცნა ეკლესიასა ორნი ჯორნი და ერთი ცხენი და **6** დრაჰკანი; გარდაიკდებოდის ჳანაშჳდი, ეწდიოს—**8** მწუხრი და ოთხი სამხრად.

103 თუესა აგვისტოსსა: **ლა:** ადაპი განვაწესეთ **მარიამისთჳს:** უწინაცა სასოებაჲ აქუნდა ამის უდაბნოჲსა მომართ—ჳურ სყიდული იყო და შემომწირველი, და კულად მოგუცა დრაჰკნისა ორასისაჲ, სკუტელი ა ვეცხლისაჲ დიდი და სხუაჲ დრაჰკანი, და მივეცით კრიტისსა; და ამისთჳს დავაწესეთ: აღესრულობოდენ, ვითარცა სხუათა შემომწირველთა და კეთილისმყოფელთაჲ, მისთჳს ადაპი სალოცველად საუკუნოდ; და ვინ არა გარდაიკადოს, ღ-ა მან გასცეს პასუხი.

104*) თუესა აგვისტოსსა: **კა:** განგჳწესებია ჳანაშჳდი **ვაჩეოფილასა ბასილისთჳს:** რამეთუ მოსცა მონასტერსა მოძღურისა მისისა, ბერისა **ზაქარიაჲს** კელიოთა სამას ოცი-

*) სხვა ხელით აშიაზე.

სა დრაჴკნისა პერპერისაჲ—ხატად, დრაჴკნად და სტავრად;
და ამისთჳს განვაწესეთ, რათა საუკუნოდ აღესრულებოდის
მისთჳს პანაშჳდი აგჳსტოსსა კა; და ვინ არა გარდიკდი-
390 დეს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი.

105*) Ⴑეკდენბერი პირველი: ალაპი არს ჩუონდიდელისა, გაზრდილისა ნიკოლოზისა. (იხილე, ნუ თანა წარჴკდები: წმიდაო ღმერთოჲსა ბოლოსა ჴპოო).

106 Ⴇუესა სეკდენბერსა: ვ, დღესასწაულსა წმიდისა
მიქელ მთავარანგელოზისასა: ალაპი განვაწესეთ მიქელის-
თჳს, აბრაჴამის მისა: მოგუცა სამასი დრაჴკანი სტამენონი;
ანა- და ამისთჳს განვაწესეთ, რათა ესრეთ გარდაიკდიდენ: ანა-
ფო- ფორაჲთა, პანაშჳდითა და ჟამის წირვითა, მერტიკონითა
რაჲ და კრასაულითა, და უწდიონ ძმათა მწუხრსა ჱ და სამ-
ხრად დ; და ვინ არა გარდაიკდიდეს, ღ~ა მან გასცეს პა-
სუხი.

ანაფო- 107 Ⴇუესა სეკდენბერსა: თ. ალაპი არს მიხაელ მეფი-
რაჲ საჲ; და აღესრულებოდი'ს ზემო წერილითა მით წესითა.

108 Ⴇუესა სეკდენბერსა: იე: ალაპი არს ნიკიტა დრონ-გალისა სხოლისაჲ: ჩუენდა მოურნედ გამოჩნდა; უოვლითა გულმოდგინებითა აღესრულებოდენ ალაპი მისი.

109**) Ⴀმასვე თუესა იე: მოიკსენებოდის ბაბაჲ მანოელ: რამეთუ მოსცა ჟამსა სიკუდილისა მისისასა პერპერაჲ კ.

---

*) მიწერილია სხვა ხელით აშიაზე.

**) სხვა ხელით აშიაზე.

110 Ⴇუესა სეკდენბერსა: ით: აღაპი არს მამისა არსე-
ნისი, ფარსმან ყოფილისაჲ, რამეთუ ამას დღესა მიიცვა-
ლა. Აღესრულებოდის ყოვლითა მოსწრაფებითა, ვითარცა
Თორნიკისსა სწერია და მამისა Იოანესსა; მწუხრსა სამ-
სამი და სამხრად, ანათორაჲ და რაჲცა Ღმერთსა მოეცეს,
სამხრად ნუგეშინის საცემელი ძმათაჲ და ხუთხუთი სასუ- ანა-
მელი და მსგეფსსა შინა ერთი დღე ჟამისწირვაჲ, ვითა ზე- ფო-
მო სწერია მისივე განწესებული, და ზეგარდამოთა ლოც- რაჲ
ვათა შინა ყოვლადვე კსენებაჲ: დიდთა განძთა მათთათჳს,
რომელნი წაეგნეს ამას ეკლესიასა ზედა; და რამეთუ მათი-
თა საკმრითა დაიყარა; და ვინ ამას დაწერილსა შეჰმატოს,
საუკუნომცა არს საკსენებელი მისი, და ვინ დააკლოს,
Ღმერთსა მან გასცეს პასუხი.

111 Ⴇუესა სეკდენბერსა: კ: აღაპი არს აბაზის ბაკუ-
რიანის ძისაჲ დიდთა კეთილთა და ქველის მოქმედებათა
მისთათჳს: რამეთუ მოსცა სიცოცხლესა მისსა მონასტერსა
დრაჰკანი სტამენონი ექუსთავი: ფ, და კუალად, შემდგომად
მიცვალებისა მისისა, მოსცა მონასტერსა ცხენად და ჯორად
საკედარი: ზ და სტავრაჲ შესამოსელი; ამისთჳს განვაწე- 391
სეთ აღაპი მისი ერთად ამას დღესა, მიცვალებისა მისისასა,
მის მხოლოჲსა აბაზისი ხოლო, და კუალად იანვარსა: კე
თავისა ძმისა გრიგოლის თანა ზოგად, რათა ყოვლითა
გულს მოდგინებითა აღესრულებოდის, წესისაებრ, ლოც-
ვითა, და ჟამისწირვითა, და ანათორაჲთა; და ვინ არა გარდაი-
კადოს, Ღმერთსა მან გასცეს პასუხი. Ეგრეთვე. ჟამისწირვასა,
ყოველთა დღეთა, მღდელმან, ერისა ზიარებისა შემდგო-
მად, სასმენელად ყოველთა სული აბაზისი მოიკსენოს,
და ყოველთა ძმათა კმამაღლად ულოცონ; და ესეცა ლოც-
ვაჲ მისთჳს საუკუნოდ აღესრულებოდის!

112 თუესა სეკდენბერსა: კგ: აღაპი არს ფანტაინესი, ბასილ წმიდელისაჲ: აელო ბასილ წმიდაჲ ორსა პირსა ზედა, და ერთი პირი გაუტევა, ვიდრე ცოცხალ იყო, ააშენა, ხუთასისა მოდისა ყანაჲ შეჰმატა სუიდით, და იყიდა ვენაკი ათისა მოდისაჲ, სახლი და ეკლესიაჲ ჭურჭლითა მოაშენა, და მოგუცა ორასი დრაჰკანი; ამის ყოვლისათჳს გარდაიკდებოდის აღაპი მისი, ძალისაებრ, ყოვლითა მოსწრაფებითა.

113 თუესა სეკდენბერსა: კდ: აღაპი არს იოანე ხარტულალისაჲ: ყოველი წესი ლოცვისა და ქამისწირვისაჲ აღესრულენ და ოთხოთხი კრასოოლი ეწდიენ ძმათა,

114 თუესა ოკდონბერსა: ვ: აღაპი არს ოფი დოფაჲსაჲ: მოსცა ეკლესიასა დრაჰკანი: სმვ; გარდაიკდებოდის ვანაშჳდი, და ეწდიოს სამი მწუხრსა და ოთხი სამხრად.

115 თუესა ოკდონბერსა: იც, დღესასწაულსა წმიდისა ლუკა მახარებელისაჲ: აღაპად განუწესეთ პროკადრასსა ღუღუს, მე, მამამან იოანე და ყოველთა ძმათა: რამეთუ პირველითგან დიდი სიყუარული აქუნდა წმიდისა ამის უდაბნოჲსა მოძართ და ყოვლადვე კეთილის მყოფელი იყო; ხოლო უკუანაჲს მონაზონ იქმნა და ძმად ჩუენდა შეიქმნა; მოსცა ეკლესიასა ჯორი ერთი და გავყიდეთ ჩჯდმეტ პერპერაზად, და თასი ერთი ვეცხლისაჲ, რომელსა შინა იყო სამოცი ექსაგი და ერთი შესამოსელი ექსამიტონი, და ტრაპეზსა მისცა ცხენი უუერული კარგი; ამისთჳს აღესრულებოდის აღაპი მისი ყოვლითა გულმოდგინებითა, ლოცვაჲთა, ვანაშჳდითა, ანაფორაჲთა, ქამისწირვითა და ყოვლითა ნუგეშინისცემითა ძმათაჲთა, ეწდიოს კრასოოლი მწუ-

392

ხრსა სამსამი და სამხრად ოთხოთხი, და ვინ არა გარდა-
იკადოს, Ⴖმერთსა მან გასცეს პასუხი.

116 Ⴇუესა ოკდონბერსა: კა, დღესასწაული წ~სა
Ⴈლარიონისი: აღაპად განკუწესებია ილარიონ პროტისადა
და სტეფანე იკონომოსისადა; აღესრულებოდენ, წესისაებრ,
და ოთხოთხი კრასოული წდიონ.

117 Ⴇუესა ოკდონბერსა: კვ, დღესასწაულსა წ~სა
Ⴃიმიტრისსა: აღაპი არს მირდატისი, და ვინ ყოვლითა გულს
მოდგინებითა არა გარდაიკადოს მისი აღაპი, Ⴖმერთსა მან
გასცეს პასუხი.

118 Ⴇუესა ოკდონბერსა: კზ: აღაპი არს დავით ვაჭ-
რისაჲ: პირველ მოგუცა დრაჰკანი რი, და კუალად შემო-
წირა ეკლესიასა ბარძიმ ფეხუშემნი ვეცხლისანი. და ვედ-
რებით ითხოვა, რათა არა გამოეკუნენ წმიდასა ამას საკურ-
თხეველსა ესე მისი სარწმუნოებით შემოწირული ბარ-
ძიმ ფეხუშემი; ხოლო მე, მამამან Ⴈ́Ⴄ და ყოველთა ძმა-
თა საეკლესიოჲთა კანონითა დავჰბეჭდავთ და დავამტკი-
ცებთ, რომელ არავინ იკადროს და გამოაკუნეს ამის წმი-
დისა ტრაპეზისაგან, და უკუეთუ ვინმე იკადროს და გა-
მოაკუნეს სასჯელსამცა Ⴖუთისასა შევარდების, ვითარცა
წარმდებებით შემხებელი შეუხებელთაჲ; ხოლო მისი ლო-
ცვაჲ და კურთხევაჲ სამარადისოდ იყავნ, და აღაპი მისი
აღესრულებოდენ გულსმოდგინედ, ძალისაებრ, ნუგეშინის
ცემითა ძმათაჲთა.

119 Ⴇუესა ოკდონბერსა: კგ, წ~სა იაკობ ძმისა ანა-
Ⴓფლისასა აღაპი არს იაკობ იაყუთ ყოფილისაჲ: მოსცა ფორ-
ეკლესიასა დრაჰკანი სტავრო ვოტანატი: რ; აღესრულებო- რიაჲ

დენ აღაპი მისი, წესიწაებრ, ლოცვითა, პანაშჳდითა, ანაფო-
რაჲთა, ჟამისწირვითა და ნუგეშინისცემითა ძმათაჲთა, და
393 ეწდიოს სასუმელი მწუხრსა სამი და სამხრად ოთხოთხი.

120 Თუესა ნოენბერსა: **ა**: აღაპი არს **ს**უმბატ კულაპა-
რატისა (რომელსა ეწოდა **ს**აბა) და ცოლისა მისისა **მ**ა-
რიამისი (როდაღივისა შემომწირველისა *). **Ე**სე აღაპი მე, მა-
მამან **Ი̃Ე** და ყოველთა ძმათა განვაწესეთ, რამეთუ მოეცა
მონასტრისა ჩუენისადა განძი, ლიტრაჲ ერთი სტამენონი,
და კუალად სხუაჲ ხუთასი დრაჰკანი სტამენონი, და კუალად,
შემდგომად მიცვალებისა მისისა, მეუღლემან მისმან **მ**არი-
ამ მოსცა ეკლესისა: სტავრაჲ ერთი კარგი ოქროქსოვილი,
ანა- სკუტლი ვეცხლისაჲ დიდი: **ა**, ხუცესთა სკუტელი: **ა**, სხუაჲ
ფო- დრაჰკანი სტამენონი ლიტრაჲ: **ა**, სხუაჲ სტავრაჲ შესამო-
რაჲ სელი: **ა**; და კუალად, ოდეს პრასტინნი ჩუენნი ყოველნი
აიხუნეს და ჭირსა შინა ვიყვენით, მოგუცა დრაჰკა ქინატი
ლიტრაჲ: ზ. **Ა**მათ ქველის მოქმედებათა მათთათჳს აღეს-
რულებოდის საუკუნოდ აღაპი მათი ყოვლითა გულს მოდ-
გინებითა, წესისაებრ, ვითარცა მაშენებელთა, პანაშჳდითა,
ანაფორაჲთა, ჟამისწირვითა და ყოვლითავე ძმათა ნუგეში-
ნისცემითა; ეწდიოს ტრაპეზსა—მწუხრი: ვ და სამხრად
ხუთი.

121 Და კუალად თუესა აპრილსა: **ლ**, დღესასწაულ-
სა წ̃სა **Ი**აკობ მოციქულისასა: აღესრულებოდენ საკსენე-
ბელი მათი ყოვლითა მოსწრაფებითა, ვითარცა მაშენე-
ბელთათჳს სწერია; და კუალად განუწესეთ ხუცესი მწირ-
ველი, რათა კჳრიაკესა შინა უწირვიდეს ორსა დღესა—
ერთსა **ს**უმბატს და ერთსა **მ**არიამს; და ხუცესსა მიეცემო-

*) ფრჩხილებში ჩასმული სხვა ხელით ჩამატებულია.

დის პურისყიდულისაჲ მოწფითა სრული, ყოველი დაუკლებლად, და ამას ყოველსა თანა, ვითარცა თჳთ სიცოცხლესავე თჳსსა სუმბატს ეთხოა, ეკლესიასა შინა წმიდათა მთავარ-ანგელოზთასა შევჰმზადეთ საფლავი მარმარილოჲთა, რათა შემდგომად სიკუდილისა მის დედაკაცისა, ორთავე ანა-
ძუალნი მას შინა დაისხნენ და, ვითა თჳთ დაუწერია, რაჲცა ფო-
რაჲ საქონელისა მისისაგან დარჩეს, ყოველივე თანა შემოი- რაჲ
ტანოს, და ჩუენ, ესე რომელ დაგჳწესებია, ვიდრემდის ეგოს წმიდაჲ ესე ეკლესიაჲ, დაუკლებელად აღესრულებოდენ და ვინ არა აღასრულოს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი. და ესე საცნაურ იყავნ ყოველთადა, რომელ ორნივე მონაზონ იქ-
მნნეს. 394

122*) Ⴇუესა იგნისსა: ქ3, დღესასწაულსა წმიდისა დავით თესალონიკელისასა: აღაპი განუწესეთ დავით ასურსა: მოსცა ეკლესიასა დრაჰკანი პერპერატი: მ. აღესრულებო- ანა-
დენ საკსენებელი მისი ყოვლითა გულსმოდგინებითა, ლო- ფო-
ცვითა, პანაშჳდითა, ანაფორაჲთა, მერტიკოჩითა, კრასაუ- რაჲ
ლითა, და ყოვლითა ნუგეშინისცემითა ძმათაჲთა—საკსენებლად მათდა საუკუნოდ; და ვინ არა გარდაიკადოს, ღმერთსა მან მისცეს სიტყუაჲ.

123)** Ⴇუესა ნოენბერსა: ბ (?) დღესასწაულსა წმიდისა გიორგისსა: აღაპი განუწესეთ გიორგი მჭედელსა ქართველ- ანა-
სა: დიად ემსახურა ეკლესიისად მისა სიცოცხლესა და შემდ- ფო-
გომად სიკუდილისა მოსცა ეკლესიისა: მ პროტო ხარაგი. რაჲ
ამისთჳს აღესრულებოდის ყოვლითა გულსმოდგინებითა; და ვინ არა გარდაიკადოს, ღმერთსა მან მისცეს სიტყუაჲ.

*) სხვა ხელით.

**) სხვა ხელით.

124 *) ამასვე დღესა ჯერასიმესი და იოანე ხუცისაჲ: მოსცეს ეკლესიასა ოცოცი დრაჰკანი ვერცერატაჲ. მოიკ-
395 სენებდით, ძმანო!

125 ამასვე თუესა სამსა **) წი~სა მოწამისა გიორგისსა: ადგილი არს ძმისა ჩუენისა **გიორგისი**: შემოწირა ეკლესიასა სტავრანი **ას** დრაჰკნად ვრცელი ხარაგად ფასებულნი: აღესრულებოდენ, წესისაებრ, ლოცვითა, ქამისწირვითა, და ნუგეშინის ცემითა ძმათაჲთა, ეწდიოს მწუხრსა სამი და სამხრად ოთხი.

126 თუესა ნოენბერსა: **ც**, დღესასწაულსა წი~სა მიქელ ანა- მთავარანგელოზისსა: ადგილი არს **კე~სი**, **დიმიტრისი** და ფორ- **ბართლომესი**: მოსცეს ეკლესიასა დრაჰკანი ლიტრაჲ **დ**. რაჲ **ამისთჳს** აღესრულებოდენ, წესისაებრ, ლოცვითა, ანაფორაჲთა, და ქამისწირვითა, და მერტიკონითა, და ეწდიოს ძმათა მწუხრსა **ზ** და სამხრად **დ**.

127 თუესა ნოენბერსა: **ი**: ადგილი არს **გიორგი მეფისაჲ**. **ზ**არდაიკდებოდენ ყოვლითა მოსწრაფებითა და ყოველნი ხუცესნი მას დღესა ქამსა მისთჳს წირვიდენ. **დ**ა **ქ**რისტემან წმიდათა თანა დააწესენ სული მათი ამინ.

128 ***) თუესა ნოენბერსა: **იბ**, დღესასწაულსა წ~ისა **ი~ე** მოწყალისასა: ადგილი არს **იოანე ფოფხაჲსძისაჲ**: რამეთუ მოსცა ეკლესიასა წყლისა მოსაყვანებლად დრაჰკანი ვერ-
პერატი **რძ**; და ამისთჳს განვაწესეთ შანაშჳდი მისი ნოენ-

---

*) სხვა ხელით.

**) „ამასვე თუესა სამსა“ მიწერილია სხვა ხელით.

***) ჩაწერილია სხვა ხელით ამოფხეკილის მაგიერად.

ბერსა იბ, რათა სამარადისოდ გარდაიკდებოდის ყოვლითა გულსმოდგინებითა, ჟამისწირვითა და ძმათა ნუგეშინისცემითა—სალოცველად მათდა საუკუნოდ, და ვინ არა გარდაიკდიდეს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი. და კუალად მოსცა: ასი ტრიაკეფალი და ცხენი ბ. 396

129 **თ**უესა ნოენბერსა: **იზ**: დღესასწაულსა წ̃სა **ი̃ე** ოქროპირისასა: აღაპი განუწესეთ მე, მამამან **ი̃ე** და ყოველთა ძმათა **სევასტოსსა ი̃ქს** და **მეუღლესა** მისსა **მარიამს**: დიდთათჳს ქველის მოქმედებათა მისთა, რომელ აჩუენნა ჩუენ ზედა. **მას** ჟამსა, ოდეს ჴრასტინნი ჩუენნი ყოველნი წაგჳხუნეს და ბერწსა მისცნეს, ჩუენ სამეფოს შევედით და დავესამართლენით; მეფემან ამას უბრძანა ჩუენისა საქმისა დაურვებაჲ და მიწათა გაზომაჲ; ხოლო ამან მას ჟამსა დიდი გულს მოდგინებაჲ და წყალობაჲ აჩუენა ჩუენ ზედა: რამეთუ თჳსი საურავი და საქმე ყოველი გაუშუა და სამ თუე ჩუენსა საურავსა იურვოდა, ვიდრემდის ყოველი გარდასწყჳდა და, რომელ გჳხუდებოდა, გაგჳჩინა და სიმტკიცენი და დაწერილნი შეგჳქმნნა, და ესრეთ, რომელ სხუასა არავის მიენდო, არამედ უფროჲსნი თავისა კელითა დაწერნა და თჳსითავე კაცითა სამეფოს გაგზავნნა და დაგჳმტკიცნა. **ა**მათ ყოველთა მისთა ქველის მოქმედებათა ნაცვლად ამას დღესასწაულსა მათთჳს ლოცვასა დაგჳვენუკვა; ამისთჳს განუწესეთ აღაპი ესე, რათა გარდაიკდებოდის ცოცხალთა თჳსცა და შემდგომად მიცვალებისა ყოვლითა გულს მოდგინებითა, პანაშვიდითა, ჟამისწირვითა, ანაფორაჲთა და ყოვლითა ნუგეშინისცემითა ძმათაჲთა, და იკსენებოდიან სამარადისოდ ზეგარდამოთა კუერექსთა შინა მაშენებელთა თანა, რამეთუ მკორედ მაშენებელად და მოურნედ ჩუენდა გამოჩენილ არს.

ანა- ფო- რაჲ

130 **თ**უესა ნოენბერსა: **იჱ**: აღაპი არს წ̃სა მამისა

ანა- **ჩუენისა გრიგოლისი:** და ვითარცა სჳნგელოზისათჳს სწე-
ფო- რია, ყოველივე დაუკლებელად აღესრულობოდენ, წესი
რაჲ ლოცვისა და ჟამისწირვისაჲ და ნუგეშინის ცემაჲ ძმათაჲ
ტრაპეზსა და ხუთხუთი სასუმელი.

131 Ⴃა ამასვე დღეს მოიკსენებოდიან ზაქარია და არ-სენი.

132 *) Ⴇუესა ნოენბერსა: ႨႧ, ႼႫ. Ⴈლარიონისსა: პანა-შვდი არის ოქროპირისა, ძმისა ჩუენისაჲ (განგებაჲ ბოლო-სა ჴპოლო).

133 Ⴇუესა ნოენბერსა: ႩႠ: აღაპი არს **დედოფლისა ჩუენისა მარიამ მართა ყოფილისაჲ** და ძისა მათისა კოს-ტანტინე პორფიროგენისაჲ: დიდთა და მრავალთა ქველის მოქმედებათა მათთათჳს, რომელ აჩუენნეს ჩუენზედა: პირ-ველად განგუათავისუფლნეს სიკრიტონისაგან, რომელნი მე სო-
397 ლიმნისათჳს გუთხოვდეს ხუთსა ლიტრასა, მათ მისცეს განძი ესე და აღმოკოცეს მისოლიმნი სიკრიტონისაგან. და კუალად სხუათა პრასტინთათჳს და მელინძათათჳს დიად
ანა- იღუაწეს მეფეთა თანა, და მერმე მოსცეს ძმათა გასაყოფლად
ფო- ლიტრაჲ: **Ⴂ**. Ⴀმის ყოვლისათჳს გარდაიკდებოდის აღაპი
რაჲ მათი, ვითარცა მამის დედისა მათისათჳს სწერია მით წე-სითა, ანაფორაჲთა და ყოვლითა ნუგეშინის ცემითა ძმა-თაჲთა, ეწდიოს მწუხრსა ⴂ და სამხრად ხუთხუთი.

134 Ⴇუესა ნოენბერსა: ႩႣ, დღესასწაულსა წმიდისა Ⴄკატერინესსა: აღაპი არს **მიქელ ლაკლაკისაჲ** და **გიორგი ფოჩოლიკაჲსაჲ:** დიდთათჳს მსახურებათა ეკლესიისათა, რო-

---

*) სხვა ხელით აშიაზე.

მელ სიცოცხლესა ყოველი მსახურებასა შინა დაეყო და, შემდგომად მიცვალებისა, მოსცეს ეკლესიასა: **რკ** დრაჰკანი ძუელი. ამისთჳს აღესრულებოდენ აღაპი მათი პანაშჳდითა, ანაფორაჲთა და ყოვლითავე ნუგეშინისცე̃ითა ძმათაჲთა, ეწდიოს — მწუხრი: გ და სამხრად დ. ანა-ფო-რაჲ

135 *) Ⴇუესა ნოენბერსა: კჱ, დღესასწაულსა წი̃სა სტეფანე ახლისსა: განუწესეთ პანაშჳდი ძმასა ჩუენსა **გიორგის; ციხის ჯვარელსა**, ამისთჳს:რამეთუ იყიდა **Ⴀღროჲ**, **Ⴀწიანური** და პური. **Ⴀღრუაჲ** აოკრებული და აშენებული მოუთუალა მონასტერსა. **Ⴀღრუაჲ** და პური და ჯური **ა** და ესე ყოველი შეიქნა: **ნ** პერპერატად და უფროჲსღა ესე, რამეთუ დადვა სული და თავი მონასტრისა სამსახურად ვიდრე ცოცხალ იყჳს; და ამისთჳს განუწესეთ პანაშჳდი ნოენბერსა კჱ, ვითა სხუათა ყოველთა შემომწირველთაჲ, ეგრეთ აღესრულებოდის ყოვლითა წესითა, და ვინ არა აღასრულებდეს, Ⴖმერთსა მან გასცეს სიტყუაჲ. 398

136 Ⴇუესა ნოენბერსა: კზ აღაპი არს **ნიკოლას ხუცისაჲ**: მოსცა ეკლესიასა **სამასი** დრაჰკანი დიმიტრატი. ამისთჳს აღესრულებოდენ აღაპი მისი, წესისაებრ, ლოცვითა, ჟამისწირვითა, ანაფორაჲთა, პანაშჳდითა და, რაჲცა ძალედვას, ნუგეშინის ეცეს ძმათა, ეწდიოს მწუხრსა სამი და სამხრად ოთხი. ვინ არა გარდაიკადოს, Ⴖმერთსა მან გასცეს პასუხი. ანა-ფო-რაჲ

137 Ⴀმასვე დღესა აღაპი **არსენი მონაზონისაჲ**: დარჩა ეკლესიასა დრაჰკანი დუკატი: **ლბ**; Ⴍჳფალმან გაუსუენენ სულსა მ.სა ამინ.

---

*) სხვა ხელით.

138 *) Ამასვე თუესა: ლ აღაპი განუწესეთ მამასა კალა-
ჭაღას ი~ეს, მაშენებელთა სწორსა: სხუათავე მისთა კეთილ-
თა დამსახურებათა თანა მოსცა სიკუდილისა ჟამსა ეკ-
ლესიასა. ასოცი ძუელი დრაჭკანი, და **ი~ე დეკანოზისა
თაბლაჲს მისაჲ**: ამანცა მოსცა ეკლესიასა ოც და ათი ქია-
ნატ პროტოხარაგი. საუკუნომცა არს საკსენებელი მათი
და აღესრულებოდენ ამათი აღაპი ჟამისწირვითა და სხჳთა
ყოვლითა წესითა; და ღ~მან სასჯელი მიჭკადენ, ვინ ესე
ჩუენი განწესებული არა აღასრულოს.

139 **) Ამისვე **გიორგი ციხისჯვარელისა** წიგნნი: პა-
რაკლიტონი, მარხვანი და სადღესასწაულოჲ აწანს დავ-
ხსენით სალოცველად სულისა მისისათჳს. შენ, მამაო დე-
მანოზო, ვინცა მანდა მკმარებელი იყოს წიგნთაჲ, ნუ დაუ-
ჭირავ, მისცემდი და, რაჲსაცა მიზეზისათჳს გამოაკუნეს,
399 იყავნ წყეულ და შერუენებულ.

140 Თუესა სეკდენბერსა: **დ**, დღესასწაულსა წმიდისა
მოსე წინასწარმეტყუელისა აღაპი განუწესეთ **მოსეს ქართ-
ველსა**. შვილ იყო ეკლესიისაჲ და ჟამსა მიცვალებისა
მისისასა დაუტევნა ეკლესიასა სამნი ცხენნი კარგნი და
სხუაჲ მეოთხედი ყოვლისა საქონელისა მისისაჲ. ამის-
თჳს აღესრულებოდენ აღაპი მისი ყოვლითა გულმოდ-
გინებითა, ძალისაებრ, ლოცვითა, ჟამისწირვითა, პანაშ-
ტითა, ანაფორაჲთა, მერტიკონითა, ნუგეშინისცემითა ძმათა-
ჲთა—**საკსენებელად** მისდა საუკუნოდ; ეწდიოს მწუხრსა
სამი და სამხრად ოთხოთხი.

---

*) სხვა ხელით.

**) სხვა ხელით, ამოფხეკილი აღაპის ადგილას.

141 *) Ⴇუესა დეკენბერსა ვ, დღესასწაულსა წმიდისა ნიკოლაოსისსა: განუწესეთ საკსენებელი ნიკოლას პეტრიწონელსა მამასა: მოგუცა ეკლესიისა საბურავად ნ პერპერატი, და კუალად გამოგზავნა სხუაჲ ქ, და მოვიდა მონასტერს და მოგუცა პურისათჳს დუკატი მ და ბ ჯორნი ლაგამ უნაგრითა, და კუალად მოსცა ეკლესიასავე სხუაჲ დუკატი იბ და ტრიაკეფალი ახალი ნ. ამისთჳს დავაწესეთ მე, მამამან ი~ე და ყოველთა ძმათა, რათა გულსმოდგინეთ გარდაიკდებოდის საკსენებელი მისი ნუგეშინისცემითა ძმათაჲთა; და ვინ უგულებელს ყოს, ღმერთსა მან 400
გასცეს პასუხი.

142 Ⴇუესა ივლისსა: ია, დღესასწაულსა წმიდისა ევფიმიაჲსსა: ალაპი განუწესეთ ევფროსინეს პროტო სევასტესა, მეუღლესა მიხაელ პროტო სევასტოსისა, მოყურნისა ჩუენისასა; აღესრულებოდენ ყოვლითა გულს მოდგინებითა, ლოცვითა, პანაშჳდითა, ჟამისწირვითა; შეიქმოდიან ორთა სეფისკუერთა დიდთა, მიეცემოდის — ერთი ბერძენთა ნათლისმცემელისასა და ერთი დიდსა ეკლესიასა, და მისთჳს ამოეკუეთებოდიან ყოველთა დღეთა. მოსცა ეკლესიასა... **) ამისთჳს აღესრულებოდენ ესე ყოველი — სახსენებლად მათდა საუკუნოდ.

143 ***) Ⴇუესა დეკენბერსა: კვ, კრებაჲ ყ~დ წმიდისა ღუთის მშობელისაჲ: განუწესეთ ალაპი იოანეს კოჯიხის მესა. აღესრულებოდის წესი ლოცვისაჲ და ძმათა ნუგეშინისცემისაჲ, ვითარცა მაშენებელთაჲ სწერია: მოსცა ეკლესიასა ევლოგიაჲ კელითა დიდისა ბერისა და მოძღუარისა

*) სხვა ხელით.

**) ჩაუწერავად დატოვებულია ნახევარი ბწკარი.

***) სხვა ხელით.

ანოფრი გარეშჯელისაჲთა: დრაჰკანი ასოცი და ჯოარი ერთი; ამისთჳს აღესრულებოდის ყოველითა გულსმოდგინებითა, და ვინცა უგულებელს ყოს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი; და მერმე სამარადისოდ, შეჳწყალენსა შინა, იკსენებოდის მით, რომელ ჩუენ შეუძლებელთა დიდად ნუგეში-
401 ნის გუცა.

მე, მამასა ჳასიღის, და ყოველთა ძმათა დაგწესია: ეკლესიასა შინა არიშაანისა ძმაჲ და თჳსი იყო; აწ ვინცა არიშიანსა თანა კსენებაჲ ივანე ქოჯიხის ძისაჲ დააკლოს, იგიცამცა დააკლდების საუკუნეთა კეთილთა. ოქროჲ იგი ეკლესიასა და ზღუდეთა ზედა წაგებულა, არა კორცთა საკმრად.

144*) სეკდენბერსა: ა, დაწუებაჲ ინდიკტიონისაჲ: განუწესეთ პანაშჳდი ნიკოლოზს, სჳმეონ ჭეონდიდელისა გაზრდილსა—მამამან პავლე და ყოველთა ძმათა: ვინაჲთგან მოიწია წმიდასა ამას უდაბნოსა, დიდი ერთგულობაჲ და გულსმოდგინებაჲ აჩუენა ამას ადგილსა ზედა: რამეთუ ეკლესიაჲ მთავარანგელოზთაჲ აღაშენა ყოველითურთ მოხატჳთ, გამოჭიქვით, დაჭრელებით; და მერმე, გარეთსა ლაკუასა დამართებით, იგი კუთხი ბურლოდ აღამაღლა, რამეთუ დიამდაბალი იყო, და სხუაჲ შემოსწირა ეკლესიასა პერპერაჲ: კდ; ამის ყოველისათჳს განგჳწესებია სეკდენბერი პირველი, რათა ყოველითა გულს მოდგინებითა გარდაიკდებოდის—მწუხრსა ლოცვითა, ხილითა და კრასოვულითა და სამხრად ქამისწირვითა და ძმათა ტრაპეზის დია ნუგეშინისცემითა; და ვინცა უდებ ყოს ესე განწესებული ჩუენი, თანამდებ არს სასჯელსა და გეჰენიასა, ჳ აღმასრულებელთა ზედა კურთხევაჲ იყოს საუკუნოდ.

ძ: ამანვე ძმამან*) ჩუენმან ნიკოლოზ ამასვე სეკდენბერსა

*) აშიაზე მიწერილია ძველის გაკრულის ხელით.

ერთსა დაწესებულისა პანაშჳდისათჳს მოსცნა ეკლესიასა
ჩუენსა მუტრუკი, ნასყიდი პერპერად: იე, და უღელნი კარ-
ნი, ნასყიდნი პერპერად: ზ, და ამასვე თანა საუკუნოდ აღეს-
რულებოდის საკსენებელად კურთხევაჲ მისი მიუკუნისამ-
დე ჟამთა, რამეთუ დიდითა გულს მოდგინებითა და სასო- 402
ებითა შემოწირა ესე ყოველი... *)

145 **) Ⴇუეს იანვარსა: ႩႤ, დღესასწაულსა წ̃სა გრიგოლი ღუთისმეტყუელისსა: აღაპი არს **ქობულის ძეთა, გრიგოლ** და **იოანესი**; გარდაიკდებოდის ყოვლითა გულს მოდგინებითა, ფსალმუნებითა და დიდების მეტყუელებითა, და რაოდენნიცა მღდელნი იყვნენ, ყოველნივე მას დღესა მათ თჳს შეიმოსნენ, რათა დიდი ნუგეშინისცემაჲ იქმნას ძმათაჲ მას დღესა შინა და რათა ეწდიოს ძმათა სამწუხროდ კრასაული ოთხოთხი და დილასა ხუთხუთი.

რამეთუ დაღაცა თუ ყოველთა დღეთა წელიწდისათა სალოცავი მათი განგჳწესებია, არამედ ესე უბრწყინვალეს გარდაიკდებოდის; ხოლო მათ მიერ შემოწირული ოქროჲ ესრე წარევგო: პირველად მიეცა ძმათა მისგან ევლოგიაჲ და გაიროქნეს მუშანი მონასტრისანი სამსა ჯერსა, რომელთა დავასხმევინეთ ვენაკი ႩႤ სა მოდისაჲ, და მის ვენაკისაგან დავაწესეთ, რათა ძმათა ეწდეოდის ყოველთა დღ;თა, რომელთაცა პანაშჳდი არა იყოს, თჳთო კრასეული—სალოცველად მათდა; ხოლო რათა უწყოდით რიცხჳ დარჩჳნისა, მათგან მოსრულისაჲ—პირველ და შემდგომად რომელ მოსრულარს, ყოველი **ჩჳ** და უფროცა.

ხოლო დავაწესეთ მათთჳსვე ეკლესიასა შინა, რათა აღმოიკუწთებოდის ყოველთა დღეთა თჳთოჲ სეფე და

---

*) ნახევარი ბწკარი წაჰრილია.

**) სხვა ხელით.

ქამისწირვათა ყოველთა, ვითარცა მაშენებელთა, მოიკსენებდეს მღდელი ყოველთა სასმენელად, და ეგრეთვე ცისკრისა და სამწუხროჲსა ლოცვათა, და ყოველნი ძმანი იტყოდიან კირიელეისონსა სამსამსა.

ხოლო ვინაჲთგან რავდენსამე კერძსა მონასტრისასა, სიგრძითა ქამთაჲთა, დაძუელებული კელინები, დაცემად მიახლებული, მათთავე საკმრითა აღეშენა, რიცხვით კდ, და კუალად ნიკოლწმიდაჲ, მეტოქი ღა სოფელი, უურსალთა მიერ სრულიად აოკრებული, მათითავე საკმრითა აღეშენა ბურღოჲსა დადგმითა, რათა უშიშ იყვნენ მბრძოლთაგან.

ამ[ათ] ყოველთა ქველის მოქმედებისათჳს ესე ყოველი განუწესეთ; ვინცა რაჲცა დააკლოს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი დღესა მას სასჯელისასა; და დავაწესეთ კანდელი წ[სა] ი[ე] მახარებელისა ხატსა წინაშე, რათა დაუვსებელად ენთებოდის დღე და ღამე, და ზეთი სამი ლიტრაჲ სათუჲოჲ.. მოსაკსენებელი ამისივე იყოს სამარადისოდ
403 კვრილეისონი ჲ.

146 *) წუესი ნოენბერსა: კ, წმ. ილარიონისსა: აღაპი გაოწესეთ ძმასა ჩუენსა **ოქროპირსა** ხარაზსა: მოსცა ეკლესიასა სტამენონი ეჭუსი და პერპერაჲ: ჩ. გარდიკდებოდის ყოველითა გულსმოდგინებითა, ვით[ა] სხუათა შემომწირველთა, თესლითა, კრასეულითა, ქამისწირვითა, და ვინცა უდებ ყოს, ვითა ესე ჩუენ დაგჳწერია, და არა გარდაიკდიდეს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი და თანამდებ იყოს სასჯელსა საუკუნესა:

ამისვე **) ოქროპირისა ნაშენებნი ზეთისხილნი განუწესენით სასნეულოს წმიდისა ირინეს ხატსა, რათა შემდგო-

*) სხვა ხელით.

**) მიწერილია აშიაზედ სხვა ხელით.

მად მისსა ვინცა მესნეულე იყოს, იგი ეურვოდის, დასნეულებულთა აკმარებდის, და ვინცა შეცვალოს, ღმერთსა მან გასცეს შესუხი.

147*) დეკენბერსა: თ, ვითა ზემო დაგჳწესებია ირე ბანტუაჲსათჳს, ორი ლიტრაჲ ზეთი მიეცემოდის, უფროჲსითა, ვინცა მას დღესა ქამსა წირვიდეს მისთჳს; ვინცა და დეკანოზი იყოს, ტრაპეზარსა უთხრობდეს, ხუთთა მამასახლისთა ქუეშე მორჩილი უოფილა და დიად მსახურეული; ხუთავემცა მათ მამათა მადლითა კანონსამცა ქუეშე არს, ვინცა ესე ჩუენი გაგებული შეცვალოს და აწყინოს რაჲსათჳსცა პიზეზისა თჳს; ვინცა კარგად მისცემდეს, ღმერთმან აკურთხოს.

148**) მუესა იანვარსა: ზ: ადაპი განუწესეთ არსენი მარდეზის მესა, თფილელსა ხანბაბურსა; ამისთჳს ადესრულებოდენ უოვლითა გულს მოდგინებითა, ლოცვითა, პანაშჳდითა, ანათორაჲთა და უოვლითა ნუგეშინისცემითა ძმათაჲთა, 404
ეწდეოდის—მწუხრი სამი და სამხრად ოთხი; და ვინ არა გარდაიკადოს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი. მოგუცა ვერვერაჲ ძ და იც; მემსგეფსე მისთჳს მას დღესა ქამსა უწირვიდეს.

149***) მუესა დეკენბერსა: კთ, დდესასწაულსა წმიდათა ჩჩვლთა ურმათასა: ადაპი პბულასან ქუთათელისაჲ ამისთჳს, რამეთუ შემოსწირა ვერვერაჲ მ, და ადესრულებოდის ადაპი მისთჳს, ვითა სხუათა შემომწირველთჲჲ, რამეთუ მო-

*) სხვა ხელით.
**) იმავე ხელით.
***) აგრეთვე.

გუცა კელითა ნიკოლოზ გულაბერისძისაჲთა, და განუწესე მე, მამამან პავლე და ყოველთა ძმათა.

150 *) Ⴇუესა ივლისსა: ბ, დადებაჲ სამოსლისაჲ ყ̃დ წმიდისაჲ ვრაქერნას: ამას დღესა განუწესეთ აღაპი ვარდანს კოსტანტის ძესა და მეუღლესა მისსა მარიამს და შვილსა მათსა გიორგის: მოსცეს ეკლესიასა პერპერაჲ: უა, სტავრაჲ ა, და სამი ზოლო ორხოჲ; და ამათთჳს გარდაიკადებოდის ყოვლითა გულსმოდგინებითა, ვითარცა შემომწირველთაჲ, რომელთაჲ შემოუწირავს ჶ დრაჰკანი.

151 **) Ⴇუესა დეკენბერსა: ლ, დღესასწაულსა წმიდისა ანოსიაჲსსა: განუწესეთ აღაპი ძმასა ჩუენსა იანიკსა, მორფიტიან ყოფილისასა, მისისა მრავალთა ჟამთა მსახურებისათჳს და შემდგომად სიკუდილისა მისისა პერპერაჲ მ; აღესრულებოდის ყოვლითა გულსმოდგინებითა, ვითარცა სხუათა შემომწირველთაჲ; ვინ არა გარდაიკ˚დოს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი.

152 ***) Ⴇუესა იანვარსა: ით, წმიდისა ათანასეს დღესასწაულსა: დავაწესეთ აღაპი იოსებ (?) კანანახისაჲ, რათა გარდაიკდებოდის, ვითა სხუათა შემომწირველთაჲ... ამან,
ძმამან იოსებ... და დაკუიწერნა მისსა სიცოცხლესა... კურ-
405 თხევაჲ.

153 ****) Ⴇუესა ივლისსა: ქე, მიცვალებასა წ̃ისა ანნაჲსსა განგჳწესებია თამარ დედოფლისად აღაპი: რამეთუ ოდეს კელინნი დაგუტ̃ჭუნეს და მონაზონნი აღმოსავლეთს

*) იმავე ხელით.

**) აგრეთვე.

***) აღაპი ვიღასაც გადუფხეკია და ძნელადღა იკითხება.

****) წვრილის ნუსხურით.

გავგზავნენით, თამარს მიეცა ევლოგიად: კ: დუკატი და ორნი დიდნი სტავრანი, რომელნი ოცოცსა დრაჰკანსა სჯობდეს, და ჴუალად ნიკოლოზ გულაბერისძემან მოგუცა მისივე: კ: პერპერაჲ რუჲსა წაკდომილისა შესაკაზმავად და წისქჳლისა და ბოსტნისა შესაქმნელად; და ამისთჳს ამას დღესა განუწესეთ, რათა გარდაეკდებოდის ყოვლითა გულსმოდგინებითა, ლოცვითა, და მწუხრი სამხამითა კრასეულითა, და დილასა წირვითა, და ძალისაებრითა ტრაპეზითა. და ვინ ესე განწესებული არა აღასრულოს ღ~ მეცვალოს, შემცაცვალებულ არს შჯულისაგან ქრისტეანეთაჲსა.

მას სხუაჲცა უფროჲსი განეწესა ამის მონასტრისათჳს, უკუეთუმცა ჭავთა ღორთა კაცთა არ დაეკლო.

154 *) Ⴇუესა იგნისსა: ია, წ~სა ბართლომესსა და ბარნაბაჲსა: პანაშუდი არის გიორგი ქართველისაჲ: მოსცა ეკლესიასა პერპერაჲ: კგ. ამისთჳს გარდაიკდებოდის ყოვლითა გულსმოდგინებითა, ვითარცა სხუათა შემომწირველთაჲ; Ⴌ~ო ღაღადყავსა ზედა მოკსენებაჲ, კირიელეისონი: მ, სერობისა ლოცვასა სლ~ისა გალობანი და მოკსენებაჲ, ცისკრისა ლოცკასა ზედა მოკსენებაჲ, ჟამისწირვასა სეფისკურისა აღმოკუეთაჲ და მოკსენებაჲ, და თესლი ტრაპეზს 406
და ლოცვაჲ და კრასეული.

155 **) Ⴇუესა სეკდემბერსა: ქვ, მიცვალებაჲ წ~სა ი~ნე მახარებელისა:

სახელითა Ⴖუთისაჲთა, მამისაჲთა, ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა, მეოხებითა უ~დ წმიდისა ღუთისმშობელისაჲთა, მეოხებითა და მეწევნითა წმიდათა ზეცისა ძალთაჲთა, წ~სა

---

*) სხვა ხელით.

**) არა დედნის ხელით, წვრილნუსხურით. იქვე აშიაზე მიწერილია: „იოანე მწიგნობართა უხუცესისა სალოცავი არს ამას დღესა."

Ⴈ̃ანე ნათლისცემელისაჲთა, და წმიდისა Ⴈოანე ღუთისმეტ-
ყუელისა და მახარობელისაჲთა, და მეოხებითა და მადლი-
თა წმიდათა მამათა ჩუენთა—Ⴄფთჳმე და Ⴂიორგისითა, და
ყოველთა წმიდათაჲთა: ვინაჲთგან უკუე თჳთ ყოვლისა სი-
ბრძნით განმგებელმან, სახიერმან და ყოველთათჳს კაცთ-
მოყუარებით წყალობის მეძიებელმან, არა არსობისაგან არ-
სად მომყვანებელმან ყოველთამან Ⴍ̃ნ ჩ̃მნ Ⴈ̃ჳ ქ̃ნ, რო-
მელნი უკუე ესე სახელის მოდგამობასა მისსა ღირს ვიქ-
მნენით, რომელნიცა აღვიბეჭდენით წმიდითა ბეჭდითა მი-
სითა, და აღნიშნულ ვიქმნენით წმიდითა სისხლითა მისითა,
არა თუ ოდენ ხოლო სიტყჳთ და არცა წინასწარმეტყუ-
ელთა და მოციქულთა მიერ გუაუწყა და განგჳწესა სახე
და კეთილმოქმედებისა მიმართ მარადის მოძრავობაჲ ცხო-
რებისა მისთჳს საუკუნოჲსა, რათა შვილ ნათლის ვიპოვნეთ
დღესა მას აღდგომისა Ⴓჳფლისა ჩუენისა Ⴈ̃ჳ ქ̃ა, არამედ
უკუე ტკბილმან მან და სახიერმან, მოქმედმან წყალობისა-
მან ათასამდე, თჳთ უკუე თავადმან მან ჯერიჩინა ყოვლი-
სავე კეთილმოქმედებისა სახის ჩუენებით მაწუევლობაჲ
გზასა ჭეშმარიტებისსა, ესე იგი არს სიმდაბლე, სიმშვდე,
სიტკბოებაჲ და სიყვარული, გლახაკთა წყალობაჲ, უსასყიდ-
ლოდ ლოცვაჲ, და მარხვაჲ, და ღუწაჲ ყოველთაჲვე სა-
ხიერებით, მოთმინებაჲ, ვნებაჲ, და სიკუდილი, და ყოვლივე,
ვითარცა წერილ არს წმიდასა შინა სახარებასა. Ⴀმის უკუე
ყოვლისა სიბრძნით და გონიერებით გამომკულეველმან და
მარადის მეძიებელმან სასუფეველსა და სიმართლესა მისსა
ნათესავსა შორის ჩუენსა თავისა თჳსისა ბრწყინვალედ სა-
407 ცნაურ მყოფელმან, იოანე მწიგნობართ უხუცესმან, ყოველ-
თა უკუე კეთილმოქმედებათა მისთა თანა, აღმოსავლურ-
თა და დასავლურთა და პალესტინისა ქუეყნისათა, უმეტე-
სადღა უკუე ჩუენ შორის საცნაურყო კეთილმოქმედებაჲ
თჳსი, და არა დავიწყებულ ვიქმნენით სიშორისათჳს, არა-
მედ სიშორესა გზისასა და სივრცესა ზღჳსასა აღჳრ·ასხნა

გულსმოდგინებამან შიშისა და სიუარულისა ღუთისამან, სიტყუსა მისებრ, ვითარმედ: „მახლობელთა კელისა ამჳყრობელ ვექმენ და შორიელთა წყალობით ვეწიეო“; არამედ უკუე სიუარულითა საღუთოჲთა, რომელი იგი დაუუენებელი არს და განმკუდრთელი ზღჳსა და კმელისაჲ და ეთერისაჲ, ჩუენ შორიელთა უმახლობელეს გუჳქმნა მახლობელთაჲსა ვერარაჲს დამახრწუევლობით.—რამეთუ მას ქამსა, ოდეს მანქანებითა, ბოროტთ დასაბამისა, ეშმაკისაჲთა კელინნი მონასტრისა ჩუენისანი გარდამწუარ იქმნეს, მაშინ უკუჳ, ვითარცა უღონობისა თჳრიადისაგან მოცჳულთა, სამნი ძმანი აღმოსავლეთს გავგზავნენით, რომლისათჳსცა უკუე არა სირცხჳლეულ იქმნა სასოებაჲ ჩუენი, და გამოგჳჩნდა შემწე კეთილი მიჯირვებულობისა ჩუენისაჲ და ქველის მოქმედი სახიერი, უჭეშმარიტესი ითქუმოდენ, ვითარმედ ერთგული საკუთარი და საუარელი მონაჲ ძრისტესი და უ˙დ წმიდისა დედისა მისისაჲ, იოანე, მწიგნობართ უხუ- 408
ცესი, და მოუძღუანა უ˙დ წ˙ა ევლოგია: შერჳერაჲ, ლიტრაჲ: დ, ჲ შემდგომად კუალად მისსა თ˙რჩი ა ოქროჲსაჲ, და მისგან განსრულდა ხუთად ნუგეშინისსაცემელად უღონობისა ჩუენისა და საუნჯედ სულისა მათისა საუკუნოდ; რათა მერმესა მას ასეულად და ბევრეულად კუალად უკუმოეგოს მისდავე, რომელი ესე შეწევნითა ღუთისაჲთა ჲ˙უ˙დ წ˙ისაჲთა კეთილად კეთილად მოიწია მსგავსად გულსმოდგინებისა მისისა, ვითარცა წერილარს, ვითარმედ: „მხიარულად მისაცემელი უუარს ღმერთსაო“. ამისთჳს უკუე ჲ ჯერიუო ჩუენდაცა, რათამცა ძალისაებრი ნაცვლისგებაჲ ჩუენგანცა მიელო აქა განჩინებითა საუკუნოდ გებისა მომატუებელი, რათა კსენებაჲ მართლისაჲ ქებით აღესრულებოდის მარადის, რომელსა უკუე და იგიცა წადიერ იყო. ამისთჳს უკუე განუჩინეთ მე, მამამან ჰაგიე, მოძღუარმან, დეკანოზმან და ყოველმან კრებულმან, შინა მყოფთა და გარეთ დაუუდებულთა უდაბნოჲსათა, ყოველთა ერთითა

სიტყჳთა და ერთითა განზრახვითა, უმჯობესად გამორჩე-
ვითა, ესრე სახედ: რათა ყოველთა წელიწდისა მოქცევთა
შჳდეულთა ამათ შინა, ვითარცა არს წესი მონასტერთა მსგე-
ფსისა ქმნისაჲ ხუცესთა მიერ, ვითარცა ხუცესმან მსგეფსი
გაასრულოს დიდისა ეკლესიისაჲ, პარასკევამდის აღასრულე-
ბდეს მ;მსგეფსე და იგივე ხუცესი შაბათსა წარვიდოდის ცოტა-
სა ეკლესიასა, რომელი განგჳწესებია **იოანე მწიგნობართ უხუ-
ცესისად**, და მას შინა იოანესთჳს წირვიდეს მემსგეფსე, და
მასვე შაბათსა დიდ'სა ეკლესიასა სხუაჲ მემსგეფსე დაცაიწყებ-
დეს და წირვიდესცა, და ესრეთ აღესრულებოდის ყოველთა
შჳდეულთა; და უკუეთუ შაბათსა პარაკლისი ვისიმე ესეთი
მიხუდებოდის, რომელ ხუცესთა ერთობით ვერ ელეოდიან,
პირველად გამოიკითხოს და ცნას მემსგეფსემან, რათა პირ-
ველადვე სხუასა დღესა წიროს ხუთშაბათსა ანუ თუ პარა-
სკევსა იოანესთჳს, და რომელმანცა ხუცესმან თანა წარიკა-
დოს უწირავად დატეობითა, ღმერთმან მას დიდსა დღესა
მოჰკადოს სულსა მისსა; და ამის სიმტკიცისათჳს განვაწე-
სეთ, რათა თითო ლიტრაჲ ზეთი მიეცემოდის ხუცესსა,
409 ოდეს შაბათსა წიროს იოანესთჳს.

და კუალად მეორედ განგჳწესებია, რათა წელიწადსა
შინა ერთგზის გარდაიკდებოდის პარაკლისი იოანესთჳს
ყოვლითა გულსმოდგინებითა: თუესა სეკდენბერსა **ქ3**, დღე-
სა წი́სა ი́ნე მახარებელისა და ღუთისმეტყუელისასა: მწუ-
ხრი გალობითა, ფსალმუნებითა დ დიდებისმეტყუელებითა,
და შემდგომად გამოლოცვისა მოერთუმოდის ძმათა ხილი,
რაჲცარაჲ დახუდეს მის ჟამისაჲ, და ეწდეოდეს ღჳნოჲ
ოთხოთხი; და ეგრეთვე თავადსა მეორესა დღესა, რაოდენ-
ნიცა ხუცესნი იპოვნენ, ყოველნივე დაუკლებელად მისთჳს
შეიმოსნენ, და ტრაპეზი განემზადოს ყოვლითა გულს-
მოდგინებითა, და ეწდეოდის ღჳნოჲ ხუთხუთი. ეგრეთვე
კუალადცა განვაწესეთ, რათა ყოველთა დღეთა ცისკრისა
ლოცვასა და ჟამისწირვასა და მწუხრისა ლოცვასა მისთჳს

ბუსრექსი ითქმოდის შეგჳწყალენისაჲ, ვითარცა სხუათა დიდთა შემომწირველთა და მაშენებელთათჳს ითქუმის. Ⴄსრეთ უკუჱ განვაწესეთ, ყოველთა ერთობით სიმტკიცისა და უქცეველობისათჳს, რათა მისმან ჩუენდა მომართმან საღუთომან გულსმოდგინებამან მიიღოს ჩუენმიერიცა ნაცვლისგებაჲ. Ⴃა ვინ ესე, ჩუენ მიერ განწესებული, შეცვალოს, მამამან ანუ თუ ძმათაგანმან ვინმე, დეკანოზმან გინა თუ კონომოსმან, დიდმან ანუ თუ მცირემან, შემცაცვალებუარს წესისაგან ქრისტეს მიერისა და ღ~ნ საშჯელი მიჭკადენ დღესა მას დიდსა განკითხვსასა ამინ. 410

156 *) Ⴇუესა იანვარსა: ႨႤ, წ~სა პავლე თებელისსა: განუწესეთ ჰანაშჳდი პავლეს ქუთათელსა, ვითა სხუათა შემომწირველთა, ამის ესოდენისა ევლოგიისათა: რამეთუ მოსცა დრაჭკანი ჰერპერაჲ: **მ**, მამისა პავლეს კელითა, ინდიკტიონსა **ა**; ამისთჳს გაუწესეთ სალოცავი: მწუხრისა ლოცვასა მოკსენებაჲ, კირიელეისონი **მ**, სერობისა ლოცვასა ზედა გალობანი და კირიელეისონი **მ**, ცისკრისაჲ ლოცვასა კს~ნი **მ**, წირვასა ამოკუჱთაჲ სეფისკუჱრისაჲ, კსო~ნი **მ**, ძ თესლი და ტრაპეზ დალოცვაჲ. ვინცა უდებ ყოს, ღმერთსა მან გასცეს ჰასუხი.

157 **) Ⴜინადღე განცხადებისაჲ: განუწესეთ აღაპი ივანეს სხალთგაწჳესა, და აღესრულებოდის ესრე სახედ: მიმწუხრ ჰანაშჳდითა, საგალობლითა ღუთისმშობლისაჲთა და სულისაჲთა, ეკლესის კარს ძმათა ნუგეშინისცემითა, ხილითა და ღჳნითა,—საწდევითა სამსამითა, ხოლო დილასა ქამისწირვითა და წელიწდისა დღეთა სამარიდისოდ სეფისკუერისა ამოკუეთითა და ტრაპეზისა გარდაკდითა და ძმა ყოვლი-

*) არა დედნის ხელით.

**) აგრეთვე.

თურთ ნუგეშინისცემითა, და წდევითა ხოთხუთითა კრასა-
411 ულითა, ყოველთა დღეთა ტრაპეზსა შიგა დალოცვითა.

158 Ⴇუესა აპრილსა: კთ-სა, ინდიკტიონსა **ბ**: დაუტევა მამამან **პავლე** მამობაჲ, შეჰვედრა პირველად ღმერთსა ⴃ მერმე ყ̃დ წმიდასა და კრებულსა ყოველთა ძმათასა, და მათ ყოველთა ერთობით, ერთჴმობით, თანა დგომითა მამისა პავლესითა გამოარჩიეს დიდ კონომოსი **გიორგი** და დაადგინეს მამად, ⴃ მითულნა ეკლესიანი უნაკლულოდ ყოვლითურთ, სანთლითა და ყოვლითა სამკაულითა, და სახუარბლე ხუარბლითა, ვითარ ათას ხუთასითა მოდითა დიდითა, და საფქველე სავსე ფქვილითა, სავაჯინე ღჳნითა საყოფინელითა ქამამდენ, და საზეთე ზეთითა ვითარ ხუთასითა მეტრითა, საკონომოსოჲ ჭურჭლითა, სამე'ითოჲთა, და კანაფითა, ფისითა, ოლროჳ და რკინითა, ჭედილითა და უჭედელითა, და ამლახტითა, სამამოჲ საგებელითა ახლითა, ლაფანჩითა მელისაჲთა ახლითა, სადომიარონს, რომელ მივათუალეთ პერპერაჲ: **მ**, ტრიაკეფალი: **ჩ**, და სხუანი შვდას სამოცი; და ნავითა მოიღო ი̃ე ლობერდმან პორიოსით პერპერაჲ ი, და კანაფი პერპერისაჲ **ვ**-ასისა (?), ნავი უფროჲსი მოდისა ათასისაჲ, სრული ყოვლითა ჭურჭლითა, შედეგი მისი სანასტიკონი, მოდისა ხუთასისა ყოვლითა ჭურჭლითა და სხუაჲ მოდისა ორასისა აკაზმულობითა მისითა ახა-
412 ლი.

159 *) Ⴈანვარსა, დღესასწაულსა წმიდისა სილიბისტროჲსა: განუწესეთ აღაპი **ანასუილის** და შვილსა მისსა ია**დის**; ესრე სახედ გარდაეკადებოდის: მწუხრი გალობითა ⴃ კჳრიალესონითა, და ძმათა ეკლესის კარსა ნუგეშინისცემითა, ხილითა, სამსამითა წდევითა ღჳნითა, ხოლო დილა-

*) აღაპები №-ები 159, 160 ⴃ 161 ერთის ხელით დაწერილია.

სა ამოკუეთითა და ქამისწირვითა, კურალესონითა მ·ცითა, და ჯერისაებრითა აღაპისა გარდაკდითა, ხუთხუთისა კრასაულისა წდევითა, და ლოცვითა ტრაპეზსა ზედა, — ამისთვს, რამეთუ მოსცა მონასტერსა დრაჰკანი ბოტანოტი ასი.

160 Ⴍღესა ღაზრობასა: განუწესეთ აღაპი აბულასანისძესა ოქროპირსა და კოლსა მისსა ტო (?) ესე სახედ: მიმწუხრი პანაშუიდითა, დილასა ამოკუეთილითა და ქამისწირვითა, და ტრაპეზსა გარდაკდითა ჯერისაებრითა, ხუთხუთისა კრასეულისა წდევითა და ლოცვითა ტრაპეზსა ზედა, — 413
ამისთვს, რამეთუ მოსცა მონასტერსა პერპირაჲ სამოცი.

161 Ⴇუესა ივნისსა: ით, დღესასწაულსა წმიდისა თეოდორესსა: განუწესეთ აღაპი თეოდორე ჭილაკისძესა და დედასა მისსა ხარებას; გარდაეკადებოდის ესრე სახედ: მწუხრი პანაშუიდითა და ძმათა ეკლესის კარსა ნუგეშინისცემითა, ხილითა და სამსამითა წდევითა ღუნითა, ხოლო დილასა ამოკუეთილითა დ ქამისწირვითა, და ტრაპეზსა, ძალისაებრ, გარდაკდითა და ხოთხუთისა კრასეულისა წდევითა, ლოცვითა ტრაპეზსა ზედა, და ამისთჳს, რამეთუ მოსცა მონასტერსა ოთხმოცი პერპერაჲ, რომლითა ვიყიდეთ
ტყუაჲვი სართულთათჳს ეკლესიისათა. 414

162*) პატრონსა ქაიხოსროს ყოველნი ცოდვანი მისნი შ̃ნს ღ̃ნ:
მეორედცა პატრონსა ქაიხოსროს შეუნდნეს ღმერთმან:
მესამედცა პატრონსა ქაიხოსროს შეუნდნეს ღმერთმან:
მეოთხედცა პატრონსა ქაიხოსროს შეუნდნეს ღმერთმან:

Ⴄსე საცნაურ იყავნ, წმიდანო მამანო და ძმანო, რომელ ესე ქუემოთცა სწერია: დიდი და სახელგანთქმული

**) წვრილი ნუსხურით და არა დედნის ხელით.

საქართველოსა, ათაბაგი სამცხისა, სპარსალარი, ჯაყელ
ციხის ჯუარელ და დიდად წარჩინებული პატრონი ყუარ-
ყუარე, ნებიერად და ღუთის მსახურებით ცხორებდა, და
დღეკეთილობით აღასრულნა ყოველნი დღენი მისნი, და
სიბერითა კეთილითა ღვთისა მიერ მიიცვალა ქ~ნსა:
რპვ. *) პატრონსა ყუარყუარეს ცოდვანი მისნი შ~ნ~ს ღ~ნ.
და შემდგომად მისა პირმშო ძე მისი ქაიხოსრო ეპა-
ტრონა ყოველსა საკელმწიფოსა მამისა მისისსა, ღუთის
მსახური და ყოვლითურთ სრული საღუთოჲთა და საკა-
ცობითა ზნე უკლები, გლახაკთა, ობოლთა ჲ დაღონებულ-
თა კელისა ამპყრობელი, და ამა სოფლისა პატრონობა
ზედა არღარასა ხანისა დამყოფელი, სიტყუითა ღუთისათა
ამა საწუთოჲთ, ჵ მე, საუკუნოჲდ მიიზიდა, და დიდი მწუ-
ხარებაჲ და გლოვა მოატყუა მამულსა სახლსა მისსა, და
უფროჲსსა ძმაჲსა მისსა პატრონსა მზეჭაბუკს, რამეთუ
ფრიად სიყუარული აქუნდა ურთიერთი ერთას, და დიდად
იზრუნვა სულისა მისისათჳს, რამეთუ უხუად მიჰფინა სა-
ხსენებლად სულისა მისისათჳს თჳსთა ქუეყანათცა და უცხო-
თაცა. და შემდგომად ამისა მე, სავაგლახო, აღზრდილი
გურთხეულისა და სულ დიდებულისა პატრონის ქაიხოს-
როსი, ამბროსი წარმომავლინა პატრონმან ძმამან მათმან
მზეჭაბუკ სრულად საბერძნეთად, იერუსალიმს და სინას-
ცა, მრავლითა საქონლითა; დაუწყეთ გაცემა ტრაპიზონ-
415 ტით კოსტანტი პოლემდის და კოსტანტი პოლითგან
ვიდრე ამა წმიდასა მთამდე, და მოვლეთ ყოველნი მთისა
ამის მონასტერნი, სადაყუდებულონი და მესენაკენი, და წე-
სისაებრ მოვაკსენეთ მოსაკსენებელი და სალოცავი, და
სრულად მლაჯისა და მაკიდონის თემსა, მონასტერთა, მი-
ტრაპოლიტთა, ებისკოპოზთა, ხუცესთა, გლახაკთა და ტყუჱ
უფალთა, ყოველთავე ზედა დიადი გავეცით, ეკრეთვე ჩუენ-

---

*) 1498 წ.. ქართლის ცხოვრებით 1500 წ. 1 იანვარს.

სა ამას მონასტერსა მოვაკსენეთ ოცდახუთი ათას ხუთასის ოთმანურისა, ზოგი ფლურად და ზოგი თეთრად; და მამამან და სრულად კრებულმან მონასტრისამან გააჩინეს და შეგვკუთეს სულდიდებულისაჲ პატრონის ქაიხოსროსთჳს: ყოველთა პარასკევთა მწუხრი, კოლიო, და შაბათსა წირვა, რასდომიცა მღდელი იყოს, და ტრაპეზს შესულაჲ და მისთჳს ლოცვაჲ,—ესე სამარადისო ყოველთა შაბათთა, და ერთი აღაპი დღესა მიცვალებისა მისისსა მაის ექუსსა წირვითა, რაჲსდომიცა მღდელი იყოს, ბერძენი ჲ თუ ქართველი, მწუხრი პანაშჯდითა, ტრაპეზს შესულითა, შეგჯწუალენთა ზედა მოხსენებითა და სამარადისოჲ ლოცვითა, ვითარცა აღმაშენებელთა მოიკსენებდენ; და ვინ ესე უდებ ყოს და ესე გაჩენილი მოშალოს და გულსმოდგინებით არა აღასრულოს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი.

163*) ეგრეთვე აღზრდილი პატრონის ქაიხოსროსი, ამბროსი დიდად შეეწია ამა მონასტერსა: პორტიატისა დუთისმშობლისა ხატი მოჭედა მძიმედ, მისსავე ეკლესიასა ზედა პირდო აღაშენა და გამაგრა თოფითა, და საუძლურე აღაშენა მისით აკაზმულობითა, და ღომატო მეტოქი მისით წყალობითა აშენდა; და ამისთჳს გაუჩინეთ ჩუენ, მონასტერმან, მამამან და სრულად კრებულმან ძმათამან: ყოველთა სამშაბათთა პორტატესა ხატს წინაშე წირვა მისის სულისათჳს, ტრაპეზს შესულაჲ და მისის სულისა მოხსენებაჲ ყოველთა ძმათაგან, ვითარცა აღმაშენებელთათჳს წერილ არს. ვინ ესე დააკლოს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი ამინ. 416

164*) პატრონსა ბაჭადურს ყოველნი ცოდვანი მისნი შ'ნს დ'ნ:

---

*) იმავე ხელით.

*) სხვა ხელით.

მეორედცა პატრონსა ბაჭადურს შეუნდნეს დმერთმან:

მესამედცა პატრონსა ბაჭადურს შეუნდნეს დმაერთმან: ამინ:

დიდსა და მაღალსა ქართველთა ათაბაგსა და სამცხისა სპასალარსა ჯაყელ ციხის ჯუარელსა პატრონსა ყუარყვარეს ცოდვანი მისნი შეუნდნეს დმერთმან:

და მათსა მეუღლესა პატრონსა დედისიმედსა შეუნდნეს ღ~ნ:

და მათსა ძესა ბერმშოსა პატრონსა ქაიხოსრო შ~ნს: ღ~ნ:

პატრონსა მზეჭაბუკს შეუნდნეს დმერთმან:

და კუალად მეოთხედ პატრონსა ბაადურს შ~ნს დმერთმან:

და პატრონსა იანქოს შ~ნს ღ~ნ და ეგრეთვე პატრონსა ორაგუანდას, მანუჩარს და მარ~თლიხონს შეუნდნეს დმერთმან:

და ამათთა დაჲთა პატრონსა დედოფალსა პატრონსა რაოდენს და პატრონსა გულბუდახს შეუნდნეს დმერთმან:

საცნაურ იყავნ, ჩუენთა ამათ პატრონთა აქა აღწერასა მიზეზი ესრეთ იქმნა: პატრონი ბაჭადურ, რომელი პირველ სწერია, და მერმე ძმათა თანა რიგსა ზედა თუ რათა იყო უმრწემეს ანუ უდიდეს; ესე პატრონი ჩუენი ბაჭადურ განეყო მშობელთა და ძმათაგან და, უფროსდა ვთქუა, სოფლისაგან ღ წარვიდა გზასა მას საუკუნესა, ჭაბუკი, ყოვლითურთ სრული საღუთოთა შინა, ხოლო ჴსაკითა ოცისა გინა თუ
417 ძა-ისა წლისა, და აღავსო სახლი მამული მწუხარებითა გამოუთქმელითა; მაშინ დიდებულთა მშობელთა და ძმათა ამისთა ღუთის მსახურობისა ძლით თჳსსავე თემსა და ქუეყანასა თანა უცხოთა ქუეყანათა უხუად მიჰფინეს საკუნებელი ღ სალოცავი, ვითარ იგი იერუსალიმს ღ სინაჲსცა, და ეგრეთვე ჩუენ მოგუცეს საქონელი და წარმოგუალინნეს საბერძნეთისა ქუეყანასა, და წარმოვედით და, ვითარცა ჯერიუო, განვჰკოფდით ებისკოპოზთა, მონაზონთა, მღდელ-

თა დ̃ გლახაკთა ზედა—ტრაპეზონთასა ჴოსტანტინე პოლედ-
მდე და ვიდრე ამა წმიდად მთამდე, და მოვლეთ ყოველი
მთისა ამის მონასტერნი და, წესისაებრ, მოვაკსენეთ მოსაკ-
სენებელი და სალოცავი, და ეგრეთვე განვიცადეთ ჩუენი
ესე მონასტერი, რამეთუ ყოველთაგან უმეტეს დაგლახა-
კებულიყო და ეკლესია ფრიად დაძუჳლებულიყო, და სენა-
კები და ზღუდენი და პირლოსნი უმეტესნი დაქცეულ იყვ-
ნეს და ფრიად უნუგეშინის ცემოდ გასრულიყო; და ამას,
ესე ვითარსა უპოვარებაჲსა შინა, მოვაკსენეთ ამა ჩუენსა
მონასტერსა **ოცაათასისა** ოთმანურისა—რომელიმე ფლუ-
რად და რომელი თეთრად, და ეგრეთვე ორნი ცხენნი, და
გავაჩინეთ ერთი აღაპი პატრონისა **ბაადურისათჳს** დღესა
მიცვალებისა მისისა'ა, **ოკდონბერსა ათსა**, რათა რაჲოდე-
ნიცა მღდელი იყოს, ბერძენი თუ ქართველი, ჟამსა წირვი-
დენ და ტრაპეზად შეკიდოდენ და ყოველთა სეფის ამო-
გუჳთათა მოიკსენებდენ და სახარებისა და სამოციქულოსა
და სკნაქსარსა ზედა მოიკსენებდენ, და ყოველთა ლოცვათა,
ვითარცა აღმაშენებელნი მოიკსენებოდენ, და ვინ ესე უდებ
ყოს და ესე განჩენილი მოშალოს, ღმერთსა მან გასცეს
პასუხი.

ხოლო ამის საქმისა მსახურნი, რომელნი **სამცხით** მოი-
წივნეს, ერთი ბერძენი იყო, მღდელმონაზონი, სახელით
სჳმონ, რომელი დიდით ხანით ყმა მათდა ქმნილიყო, და
ერთი ქართველი მონაზონი, სახელით აკაკი, სიყრმითგან 418
მათთანა აღზრდილი და მონა.

165 სახელითა ღუთისაჲთა და ბრძანებითა ყოველ-
თა ძმათაჲთა დავაყენეთ მამაჲ პავლე თუე'სა მარტსა, ინდიკ-
ტიონსა: ზ, და მივათუალეთ მონასტერი, ეზომ გლახაჲ
და ვალთა ოჯფალი (ო̃ი), რომელ ხუთასი დრაჰკანი
იპოა გარდუკდელი და სოფელნი დაჭირულნი, როდო-
ლიოპგან და ვიდრე **ნიკოლწმიდადმდე** დიდისა აღმწერა-

ლისაგან სამეუფოჲსათა ბრძანებითა; ამისთჳს წარვიდა ქოს-
ტანტინეპოლის თუესა ფებერვალსა, დიდითა ჭირითა და
მრავლითა ხარკებისაჲ განათავისუფლა და აიღო წიგნი სი-
მტკიცისაჲ, რომელსა ჰქჳან **დაბდნოსი** ალმწერალისაჲ და
სიმაომაჲ მეფისა ბჭეთაჲ, რომელსა ზედა არის ბეჭედი
ტჳფვისაჲ—**პროტონატარისაჲ: ა**, და დიდისა ალმწერა-
ლისაჲ: **ა**, ერთგან შეკიდულნი, და არა რაჲ იკმარა მო-
ნასტრისაჲ, **ი** თუესა შინა ყოველი თხოვით და ჭირით
გარდაიკადა, და მას ქ̃მსა შინა იყო იოქსლი, მოდი დრაჲჰ-
კნად. **შ**ოვლად წ̃ისა შეწევნითა მიერითგან იწყო შენებად
მონასტრისა, და აღაშენა დიდისა ბურღოჲსა ბასილაჲ-
თურთ ვიდრეცა სასნეულოდმდე, და პორტისა კარნი, და
ეკლესიაჲ ყ̃დ წმიდისაჲ, გებით და მოხატვით ყოვლად
419 სრულებით. **ა**მანვე აღმაღლნა ზღუდენი მონასტრისანი,
რომელნი იყვნეს ფრიად მდაბალნი; და აღაშენნა კელინ-
ნი ქარიაჲსანი; და მოიგო მონასტერი ქანისკაჲსაჲ დიდი-
თა წასაგებელითა, რომლისაგან იყო მონასტერი ჩუენი
ყოვლადვე შფოთსა შინა და დიდსა ფელვასა; ესე ყოვე-
ლი **მ**თასა შიგნით, ხოლო გარეგნით აღაშენა **ბ**ოლბოლი-
სა მეტოქი სრულებით, და სოფელს (სფ̃ლს) ეკლესიაჲ
წმიდისა **თ**ეოდორესი მოხატვით და ყოვლითურთ სრუ-
ლებით, წისქჳლი—ორი თუალი მუნვე, და ახორი დიდი
ბისონას, და **თ**სალონიკს, მეტოქს ნათლისმცემელს, საენი-
კონი სახლნი, ერთგერძოდა ქალამ̃კოპისა მონასტერი, ვინ-
ცა იკმარებდეს, იგიცა ყოვლად წმიდისაჲ, და აღაშენა ეკ-
ლესიაჲ **მ**ელიონძათა ყ̃დ წმიდისაჲ სრულებით ყოვლი-
თურთ და მოხატვით, და მეტოქი **რ**ოდოვილს სავაჭრ-
როჲთ ვიდრე სამზარევლოდმდე, მრგულივ ყოველი, და
დობროიკს ეკლესიაჲ წმიდისა მთავარ მოწამისა **გ**იორგი-
სი, ეგრეთვე სრულებით, მოხატვით და ყოვლითურთ.
ამანვე მოიგნა მეგობრად **ქ**ომნიანოსი **კირ ალექსი** და ცო-
ლი მისი **მ**არიამ; ეგრეთვე **ჭ**უაბულის შენი, **ი**ოანე და **გ**რი-

გოლ, რომელთაგან არა მცირედი შემოსავალი მოვიდო- 420
და მათ ქამთა საღუაწად და ნუგეშინის საცემელად ამის
მონასტრისა, ქამსა ჭირისა და სიგლახაკისსა. ამანვე მამა-
მან მოიგო ეზოჲ დიდთა კართა ეკლესიისათაჲ აბრებუმი-
საჲ, და დიდი საკურთხეველი შემოსა და შეამკო ყოვლი-
თა სამკაულითა ოქრო ქსოვილითა, და პორტის კართა,
ეგრეთვე ბურღოს და ნიკოლ წმიდის, ყოველი სრულე-
ბით ახლად; და ესე ყოველი წასაკებელი, რომელ სწერია,
ნუთუ ვის მონასტრისა შემოსავალთაგან გეგონოს! ღმერთ-
მან უწყის და ჳდ წნ, რომელ თხოვითა და რუდუნები-
თა და ყოველთა ქენებითა და მუდარებითა მიშოებია და
მითა მიქნია ყოველი, ვითარცა ყოველთა ძმათა უწყიან.
ამის ყოვლისათჳს განუწესეთ, ერთითა ერთობითა და ყო-
ველთა ძმათა განზრახვითა, დიდი დღესასწაული—ამაღ-
ლებაჲ პანაშჯადად გარდაიკდებოდის, მწუხრი კერასითა
სამსამითა და ხილითა, რაჲცა მას ქამსა დაჰხუდეს, და
სამხრად ტრაპეზს, წესისაებრ სხუათა მამენებელთაჲსა, ეწ-
დიოს ხუთხუთი.

დაგუწესებია პორტის კართა ყოველთა დღესასწაუ- 421
ლთა და კჳრისა ძალთა გასულაჲ ჳდ წ̈ა წინაშე
და დასდებლისა თქუმაჲ და შეგუწყალნესა და ოდესცა ხა-
ტი დაესუჲნებოდის და მამისა პავლეს მოკსენებაჲ სამარა-
დისოდ, ვიდრე ამას წმიდასა ადგილსა ქართველთა მჯდ-
რობაჲ იყოს. აწ, მამაო დეკანოზო, ნეფსით ნუ ოდეს უდებ
ჰყოფ და ოდესცა ქამსა ვინ წირვიდეს, ყოვლად მოკსენე-
ბაჲ სამითა კურიელესონითა, და ვინცა უდებ ყოს, ღმერთ-
სა მან გასცეს პასუხი.

და ესეცა დავაწესეთ, რომელ ყოველთა ძმათა ახალ-
მიცვალებულთა, ვიდრე ორმოცამდე მოიკსენებდენ დილა-
მწუხრ: მ კურიალესონითა, ცისკრისაჲ წირვასა, მწუხრისა-

სა და სერობისასა, და ყოველთა შაბათთა თესლი; ესე და-
წესებული ყოველი ერთბამად — მამასა-ძმათა დაგჳმტკიცებია
და არარაჲ არს ამას შინა უსამართლოჲ და უწესოჲ, და
ვინცა, რაჲცა აქა წერილი, რაჲ ვინ შეცვალოს, ღმერთსა
მან გასცეს პასუხი.

და არს, რომელ ყოველთა დღესასწაულთა, რაჲ
422 ზომიცა მწირველი იყოს, რომელ ყოველნი მაშენებელ-
თათჳს შეიმოსებოდიან და ახალ მიცვალებულთა ყო-
ველთა ძმათა, ყოველთა მღდელთა ერთი დღე უწირონ
და ერთი პანაშჳდი ნეტარ არიანითა(!) და წდევითა და ყოვ-
ლითავე მონასტერმან გადაიკადოს, და ვინცა ნეფსით თანა
წარჭკდეს, ღმერთსა მან გასცეს პასუხჳ; რომელთა ესე
დაიმარხონ და აღასრულონ, კურთხევაჲ და მადლი იყავნ
ღუთისაჲ და წმიდათა მამათაჲ ამინ.

და ესეცა მე, მამამან პავლე გავაწესე, რომელ ყო-
ველსა ჟამსა იყუნენო, რომელნი მესულენი სარწმუნო-
ნი კაცნი, რომელ იუროდიან ყოველსა, რაჲცა რაჲ იყოს
სასულე, გარეთ შემოსრული ანუ შინა ძმათაჲ, და არა
იყოს მაცილობელ მათდა, და ვინცა გამოჩნდეს ამისი მაცი-
ლობელი, ღმერთსა მან გასცეს პასუხჳ, და ვინ განამტკი-
ცოს ესე, იგი იყავნ კურთხეულ.

ეკლესიისა შტოსა დაუვსებელი კანდელი ღ და მთა-
ვარანგელოზთა ეკლესიასა კანდელი ხუთი, პორტისა ყ̃დ
423 წმიდისა ეკლესიასა კანდელი ზ, ამასვე(?) დაუვსებელი ა.

ფარ̃შეს დილა მიმწუხრ პანაგისა აყვანაჲ ზედგო-
მით და ღუნისა შესუმაჲ ზედგომითვე გინა წყლისაჲ.
პორტისა ყ̃დ წმიდისა წინაშე მისულაჲ ყოველთაჲ ერ-

თობით, რავდენჲაცა ძალედვას ხუცეს მემკრეთა და ყო-ველთაჲ, და ყოველთა ოთხშაბათთა გალობათა გარდაკდაჲ და ცისკრისა ლოცვასა, ოდესცა სახარებაჲ წაიკითხვოდის, გინა კჳრიაჲ იყოს, გინა დღესასწაული იყოს, დაგჳწესებია თუსაგან რეკაჲ დიდსა სარეკელისა, რათა ყოველნი მოვი-დოდიან სახარებისა სმენად, ვისცა ოდენ ზე აღვომაჲ შეეძლოს, და სამარადისოდ იპიტრიტი ერთი და მარხვა-თა ორნი; ესე გავაწესეთ, ვითარცა სამართალი არს; წირ-ვისათჳს არარა ვჭპატიყობთ,—აჰა იგინი და ღმერთი! და სხუაჲ, რაჲცა ვინ შეცვალოს იგიცამცა შეიცვლების ქრის-ტეანობისგან,მ... ბესოჲ არაჲ დაგჳწესებია.

ქ. ესე ყველაჲ ჩემითა ჴელითა დამიმტკიცებია ზე-მოითა დაწერილი. ვინ შეცვალოს, ღმერთმან სჯული-საგან შეცვალენ. მე პავლეს დამიწერია ქრისტეს აქეთ 224
ქნს ტჟ*).

166 ლოცვა ყავ, ძმაო დეკანოზო, უნდოჲსა და უღირსისა **იოანე თფილაჲს ძისათჳს**, რამეთუ ესე ალაპნი იქიაქა დაფანჩულად ეწერნეს და საჭირო იყვ-ნეს საძებნელად. ხოლო მე, ბრძანებითა წმიდისა მა-მისა ჩუენისა იოანესითა, ჩემსა შავ დეკანოზობასა გარ-დავწერენ დაწყობით, ვითა ჯერ იყო: არარაჲ შეგჳ-მატებია და არცა რაჲ დაგჳკლია; თჳნიერ ცუდთა სი-

*) ათონის მამის პავლეს ხელმოწერა, ძველის გაკრულის მხედრუ-ლით, ვიღაცას წაუბღალია და ზოგიერთი სიტყვა და ქორონიკონი ძნე-ლად გასარჩევი გამხდარა. და, საზოგადოდ, ალაპი № 165 დაწერილია ჯერ ტექსტისა და მერე სხვა ხელით, და ბოლოს ნაწერი აქა-იქ წაბღა-ლული აქვს. ქორონიკონი ტჟ უდრის 1170 წ.

ტუათ, სხუად ოველი ჰირველისაებრ სწერია—ანაფორაჲთა და ოველითა, ვითარცა მუნ ეწერა და ვითარცა ბრძანებად მოგუელო; ამისთჳს გულსაჳსე იქვენით, და ვინ სხუასა ადაჰსა დასწერდეთ, აშლით ნუ დასწერთ: ადგილი ოველგან დაგჳტეობია. და ჩუენთჳს ლოცვა უაგთ.

167 *) მე, მამამან პაგლე ოველთა ძმათა კითხუთა განვაწესენით ამათ წმიდათა კანდელნი დაუვსებელად სამარადისოდ: ჳ˘დ წმიდისსა სადიაკონოჲსა კართა ზედა, წმიდათა მამათა ქართველთაჲ, წ˘ისა **ი**ოანე **მ**ახარებელისაჲ, წ˘სა **გ**იორგისი, და წმიდისა დიმიტრისი**); ამისთჳს დაგვწესებია, რომელ ჳ˘დ მეოხნი არიან ჩუენისა ნათესავისანი; ვინცა, რაჲსაცა მიზეზისათჳს, შეცვალოს დაუვსებელობაჲ, შემცაცვალებულარს შჳლთაგან ქრისტჱანეთაჲსა, და ჰრისხავსმცა **მ**ამაჲ, ძე და **ს**ული წმიდაჲ, და ესე ოველნი წმიდანნი, რომელ ზემო დაგვწერიან, და ვინაცა ესე წერილი ამოაოცოს, ამცაკოცილ არს საკჱნებელი მისი წიგნისა მისგან ცხოველთაჲსა, და შეჩუწნებულ იყოს **ნ**ის-
425 ტორს და **ო**რიგინეს თანა და ოველთა მწვალებელთა თანა ***).

---

*) № 167 გაგრძელებაა № 165, და უადგილობისა გამო მოუქცევიათ წიგნის 425 კაბადონზე.

**) აქ მიწერილია აშიაზე: „ერთი სადიაკონოსა მთავარანგელოზისა წინაშე“.

***) წიგნის უკანასკნელს კაბადონზე (მე-426 გვ.) მიწერილია: „ქ: ფრიად ცოდვილსა ონოფრეს და მისა მეუღლეს შ˘ნს ღ˘ნ ა˘ნ, და ვინცა ბრძანონ, სუფევასაჲცა შეენდობის“.

ღმერთო მაღალო და სატო დიდებულო პორტატისაო, შეიწყალე ცოდვილი, ქუთათელ ეოფილი და არქიეპისკოპოსი ქართლისა, ტიმოთე, რომელიცა მოვიწიე მთასა ამას, მონასტერსა ქართველთასა. ქრონიკონი იყო: უმგ:—1733:-*)

ღმერთო და პორტაიტისა ღუთის მშობელო, შეიწყალეთ უღირსი მონა ჩუენი, ტფილელ ეფისკოპოზი ალისე, რომელი მოვიწიე მთასა ამას წმიდასა. ქრონიკონი იყო: ტკბ ამინ **).



***)

შეწევნითა ****) წმიდისა სამებისა და ერთარსებისა და ერთ ღუთეებისა მამისა ძისა და წმიდისა სულისათა და მეოხებითა დედოფლისა ჩუენისა ღუთისმშობელისათა მე, გლახაკი და უნარჩევესი ყოველთა კაცთაჲ, ცოდვილი და უღირსი, სახით ოდენ მღდელმონაზონი, საფლავი განგოზილი, უღირსი ფილიპე შაქარაშვილი, ქამთა ამათ უკანასკნელთა მრავალთა ცოდვათა ჩემთა შენდობის მოსაღებელად წარმოვედ ქუეყანით ჩუენით სამცხით ათქუმისა ქუეყანად, ცხორებისა ჩუენისა წმიდაჲა ადგილთა, წმიდად ქალაქად იერუსალემად—წელთა ჩოგ ****), ხოლო

*) ეს თვით ტიმოთეს ხელით დაწერილია წიგნის პირველს ჩამატებულს ფურცელზე (გვ. 2).

**) ეს მიწერილია ელისეს ხელით იმავე ფურცელზე (გვ. 2).

***) ჯუარი ქრისტესი ძლევა მასა.

****) ეს ჩამატებულს ფურცელზე სწერია ხუცურად (გვ. 3—4).

*****) 1565 წ.

მუნით წარმოსლვასა ჩემსაჲ სურხანის შვიმლმან, პატრონმან, თამაზ ყოფილმან, თადეოზ მისის სულის საკრად სამლოცველო წამომატანაჲ, ფლური თუ ოქროჲ — ყოველივე ხუთასის დრაჭნასა უმცროჲ იყო; წარმოვედ ჩუენითა ქუეყანით და კმელთათ წმიდად ქალაქად მშჯდობით მივწიე, და მოვილოცენ ყოველნივე წმიდანი ადგილნი და, რაცა ოდენ ძალმედვა, წმიდათა მონასტერთა და ძმათა და დათა საწირავი და სამლოცველო მოვაკსენე, და მოსაკსენებლები, ჩასაწერელი და ადაპები უკავ, და ას ფლურად ბოლგოთას კანდელი დაუკიდე საუკუნოჲ, ოცდა ათრვამეტის ფლურის წინდი ბარძიმ ფეშხუმები დავიკსენ, კიდევე ვაგე: ორთ პატრიაქთ მათის კრებულით ქამი ვაწირვე, ორგზის ტრაპეზი უკავ და ჯეროვანი საწირავი მოვაკსენე; ეგრეთვე საბას ლავრას ჩასაწერელი და საწირავი და ცალკე ყოველთა ძმათა სამლოცველოჲ მივეც, და სინელთა ოქროჲს საყური ჩასაწერელად და სამლოცველოდ თორმეტის მიტყლის წონა და სინის მამას ორი ფლური. ერთი წელი და ნახევარი იერუსალემს ჯურის მონასტერმი დავყავ მე, უღირსი და ქუაბ ავაშაკ ქმნილი, იმ საშინელთა წმიდათა ადგილთა ღირს ვიქმენ თაყუანისცემად და ორი წმიდაჲ ნათელი ვიხილე: მუნამდის მთავარდიაკონი ვიყავ და ვეკურთხე მღდელად საფლავსა ზედა საუფლოსა, ბერმანეს მიერ პატრიარხისა; ამისა შემდგომად წარმოვედ წმიდით ქალაქით და წმიდასა ამას მთაჲსა ათონისასა მშჯდობით მოვიწიე, მონასტერსა ამას ცათა მობაძავსა ქართველთასა, ვიხილე ეკლესია სასოჲსა ჩუენისა პორტიადისა ღუთის მშობლისა ფრიად ძუძლი და მოშლილი, დაქცეული, ცუარისა და წჯმისა არა დამჭირველი. ასის დრაჭნის ოქროჲ მქონდა, შევხუძწე მამასა და ყოველთა ძმათა, თუ: „ეს აღმაშენებიეთ თამაზის სულისათჳს“-მეთქი; გაცვალეს ოქროჲ და ესე ყოველად წმიდისაჲ ეკლესია ახლად აღვაშენებინე და ტუჯთა

გარდავაბურვინე და ორი ხატი—ერთი მაცხოვრისა და მეორე ჩუენთა მამათა ...*)

. Იოვანეს მიცვალება ივნისს იდ. ამ ქორონიკონს ქრისტეს აქეთ ჩყიბ. ღირს ვიქმენ მე არა ღირსი და ცოდვილი ბერი იმერელი მღდელ მონაზონი ლავრენტი აქა მოსვლად და ამ წმიდათა მამათა Იოვანე და ეფთიმის ცხოვრების ხილვასა და წაკითხვასა. და ახლა ვინც ღირს იქმნეთ აქ მოსვლად და ამისა ხილვად, ვსტიროდეთ სიმრავლისათვის ცოდვათა ჩვენთასა და დაკარგვისათვის მონასტრისა ამის ნათესავისა ჩვენისა. ლავრენტი შეიწყალე უფალო. ჩყიბ იხილეთ... **)

---

*) დანაშთენი არ არის ჩაწერილი (ეტრატი ცარიელია).

**) ესე მიწერილია შიგნით ფურცელზე, დანაშთენი არ არის.

დამატება*)

I

თუესა ივნისსა :ლ: წმიდისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმინდელისა**)

ებისტოლე, მიწერილი გიორგის მიერ დიდისა მის შეუნებულისა, რომელი მკჳდრ იყო მთასა საკჳრველსა, მონასტერსა წმიდისა სჳმეონისსა, რომლისადა ეთხოვა, რათა აღუწერას ცხორებაჲ და მიცვალებაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმინდელისა. ზედა წერილი ესრეთ იტჳს:

ღუთივ სანატრელსა, სათნოებაჲთა შინა განთქმულსა, მოძღვარსა მოძღვართასა და სულიერსა წინამძღვარსა ჩუენსა გიორგის შეყენებულსა ოჯფლისაჲ მიერ გიკითხავ, მთით წმიდით მთასა საკჳრველსა ქრისტეს მიერ ღუთისაჲ ჩუენისაჲ გახარებ.

ზეშთა ბუნებისა მაღალთა მათ მიერ მოღუაწეობაჲთა ეტლი სულისა შენისა ზეცად მიმართ აღამაღლე, ნივთთა და ნივთიერთა სიზრქეთა, და ქუეყნად მიმართ დამზიდველთა გონებაჲ შენი სრულად განაშორე, ვინათგან საქმე დასაბამ ჰყავ ხედვისა და შიში ღუთივ შუენიერი მიზეზ უშიშოებისაჲ. რაჟამს დაყუდებისა მიერ და დუმილისა მხოლო მხოლოსა მას შეესაკუთრე, თავსა თჳსისა თანა მკჳდრობითა თავსა მას

*) ითონელ მამათა ცხოვრებ ს შესავებლად ამავე წიგნის დამატებად ვბეჭდავთ გიორგი მთაწმინდელისა და ილარიონ ქართველის ცხოვრებას, მუზ. ხელნაწერიდამ № 170.

**) მწუხრსა და ცისკარს გამოეტოვებთ (გვ. 208—211).

ყოველთა საწადელთასა მიემთხვე. ჲ კაცო საკჳრველო და ზეშთა კაცებისა საგონებელო! რომლისა თჳსცა სიმდაბლითა მით ღმერთ მყოფელითა ეგე ვითარი მაღალი და დიდი საქმე ძიებაჲ ჰყავ ჩუენგან, რომელსა თჳო შენ უმეტეს მეცნიერ იყავ ჩუენგან, გლახაკთა ამათ და ულირსთა, რომელნი ესე უწყით: კნარცუსა მას ვნებაჲთა მიერ აღმოგუედით, მღჳძისაგან გლახაკობისა და თიკისაგან უყისაჲ კლდესა ზედა სათნოებათაჲსა ფერკნი ჩუენნი დავამტკიცენით და გზათა მათ, ზეცად მიმყვანებელთა, დაუბრკოლებელად სლვად წარვემართენით, ვითარცა იტყჳს დიდი დავით: „და მერმეცა აღივსენ პირი ჩუენი გალობითა, რათა ქებაჲ ღუთისაჲ ჩუენისა
212 იხილონ მრავალთაჲ“.

ხოლო რაჲ არს ქებაჲ ღუთისაჲ, დიდებაჲ და შესხმა წმიდათა მისთა? მითხრობაჲ ცხორებისა და მოღუაწებისა მათისა წერით და უწერელად. რათა ცნას ესე თესლმან სხუაჲმან, და შვილნი, რომელ იშვებოდიან, აღდგენ და მიუთხრობდენ მამანი მათნი შვილთა თჳსთა.

ჲრამედ რათა არა უღელი იგი ტკბილი მორჩილებისა განვაგდოთ ქედსა მას ზედა, სულისა ჩუენისასა მდებაჲრე. ნუ უკუე პარეხთა მათ და ჴღაღთა ურჩებისათა შთავცჳვეთ, ვინა იგი აღმოსლვა შეუძლებელარს, ამისთჳს წმიდისა ბრძანებისა თქუენისა საქმით აღსრულებად ვისწრაფოთ შეწევნითა წმიდათა ლოცვათა თქუენთათა.

ბარნა, ვითარცა ვთქუ, ჲ წმიდაო, არა თუ შენ უმეცარ ხარ ცხორებაჲსა განთქმულისა ამის კაცისსა სიჭაბუკითგან მისით ვიდრე სიბერედმდე, არამედ ეგრეთ მეცნიერ ხარ, ვითარცა დიდი ანტონი ცხორებაჲსა ნეტარისა მაკარისასა, რომელი იგი მოწაფე საყვარელი იყო მისი, და, ვითარცა ნების მყოფელი შვილი მისი, სათნოებაჲთა მისთა მკჳდრად გამოჩნდა, და შემსგავსებული ქებაჲ მის მიერ მოიღო; და რომლისა თჳსცა არა უჯერო არს და შემსგავსებული თქუენისა ამის შვილისა საყვარელისა თანასწორებით და სახის მეტყუჱლებით თანა ხატ ქმნად ზემოკსენებულისა მის სახისა.

ხოლო ვინათგან კუალადცა მეორედ მოიწია წმიდაჲ ეპისტოლე თქუენი სიგლახაკისა მომართ ჩუენისა, ვითარცა მრავალ ჟამ ყოფილისა მის მიერ განათლებულისა და ღუთის მსგავსითა სიყვარულითა მ ს მიერ შეყვარებულისაჲ, და, უმეტესადღა ვთქუათ, თუ ჟამსა მას სოფლით განსლვისა და ღუთისაჲ მიმართ მისლვისა მისისა, რომელსა იგი სუროდა და წადიერ იყო, მის თანა დახუჱდრებულისა, და კუალად ღუთის მოყვარისაცა მის მიერ მთავარ ეპისკოპოზისა—იოანეს, ვიტყჳ, ჰყოინდელსა, ძმასა ნეტარისა პატრიკისასა. მორავიდა სამეუფოდ ქალაქად, მოციქულად მოვლინებული ბაგრატ აფხაზთა მეფისა მიერ სევასტო-

სისა, ამის პირისათჳს დიდად იძულებულ იქმნა უღირსებაჲ ჩუენი, ვითარცა შვილისაგან მამის მოყვარისა და, უფროსღა ეთქუათ, ქრისტეს მოყვარისა, რათა ყოველი სახე აღსრულებისა და სოფლით განსლვისა წმიდისა ამის მამისა ჩუენისა უნაკლულოდ მიუთხრათ; და მერმე კუალად სხუაჲთაცა ვიეთმე, ღვთივ სულიერთა მამათა და ძმათაგან, დღითი დღე ვიიძულები და სიტყუაჲ მიმეცადების: არა თუ მიცვალებისათჳს, არამედ სრულად ცხორებისაცა და მოჭალაკობისა მისისა აღწერისათჳს.

ხილო უმეტეს ამათ ყოველთასა მორჩილებაჲმან ბრძანებისა თქუენისამან, ვითარცა რაჲნამან ცეცხლი ქჳსი მიერ აღანთის, ეჯერეთე კსენებაჲმან ღუთივ განათლებულისა ამის კაცისსა, და მერმე, რათა არა დავიწყებულ იქმნეს მომავალთაგან, შემდგომთი შემდგომთა ნათესავჲსა, ვითარცა მრავალთა წმიდათა, ნათესავსა შორის ჩუენისასა გამოჩინებულთა, ცხორებაჲნი აღუწერველობითა დავიწყებისა სიღრმესა მიეცნეს, არა თუ მათდა რაჲმე საკმარ არს ესე: რამეთუ იგინი წინაშე ღუთისაჲ მდგომარე არიან, არამედ, რათა ჩუენ მოკსენებითა შრომათა და ღუაწლთა მათთაჲთა დღითი დღე ფრთოვან ვიქმნებოდეთ, ბაძვად სათნოებათა მათთა წარვემატებოდეთ. ამისთჳს კელთა ბრძანებისა თქუენისათა თავი ჩემი მორჩილებად მივეც. არამედ ყოვლითურთ განცჯფრებულ ვარ და არა უწყი, თუ რაჲ ვყოთ, კადნიერებისა ბრალსა შთავარდები, და უკეთუ არა ურჩებისა სასჯელისაგან მეშინის, რამეთუ იტყჳს:

„რომელთა უწყოდიან სიტყჳთ გინა სმენით, საღმრთოჲთა წერილთაგან, გინა თუ მხილველ ქმნილ იყვნეს და აჰუნდეს მეცნიერებაჲ სულისა 213
სარგებელთა და ღმრთისაჲ სათნოთა ცხორებაჲთა და მოღუაწებაჲთა, რომელნი წმიდათა მამათა აღსრულნეს, პირველად ესრეთ ჯერ არს, რათა მაგვსად ძალისა ბაძვად მათდა მოსწრაფე იყუნენ, და სათნოებაჲთა მათთა ეშურებოდენ, და განჰმართონ ენა ბრგჳნილობაჲ იგი სულისა, და ვითარცა ღმრთისაჲ მიახლებად ყოველითურთ წმიდაჲ იქმნენ, და პირი იგი უხილავი თავთა თჳისთა მოატყუან სარგებელი; რომელთა ესე ყონ, არამედ მსმენელნიცა იგი ბაძვად სათნოებაჲთა მათთა აღლესნენ, ხოლო რომელთა უწყოდიან ესე ვითარი სარგებელი სულისა და არა ინებონ მითხრობად, არამედ მისცენ სიღრმესა დავიწყებისასა, გინა მცნებისა მიერ, გინა ჟამთა დროებისა, გინა თუ ჴურითა ვიეთმემე უკსენებელ ყონ, ესე ვითარი ესე სულისა სარგებელი თხრობაჲ, ითქუას მათდა მიმართ, ვითარცა იტყჳს დიდი ბასილი, ვითარმედ: „სიბრძნე დაფარული და საუნჯე უჩინო ვინ ირგოს მისგან?“ და კუალად: „ტალანტისა დამფლველთა და წყაროსა დამყოფელთა და საუნჯისა უჩინო მყოფელთა თანა დაისაჯოს“.

ესე არიან მიზეზნი ჩემისა მეტყუელებისანი, რომელთა მიერ ვიიძულები და, ვითარცა დეზითა პირუტყუთ მსგავსი ესე გონებაჲ ჩემი შინაგან იწერტების და აღმძრავს სიტყუად, რამეთუ არა თუ ღირსებისაებრ არა თქმა საბრალოებელ,

ვითარცა იტყჳს გრიგოლი ღუთის მეტყუელი, ვითარმედ: „ყოველივე, ძალისაებრ ქმნილი, მითვალულ არს ღმრთისაჲ მიერ“. ხოლო მე ვიწყო სიტყუად უნდოსა ძალისა ჩემისაებრ და, რაჲოდენ უძლო, მარტივად და სულ მცირედ აღვსწერო, არა თუ სხუაჲთაგან სმენილი, არამედ, უმეტეს ყოვლისა, წმიდისა და უტყუელისა პირისა მისისაგან მოთხრობილი სიყრმისა და სიჰაბუკისა მისისა, რომელსა იგი, ვითარცა ერთგულსა შვილსა, არა დამიფარვიდა სარგებელსა თჳს სულისა ჩემისა. ხოლო შემდგომი სარჭმუნოთა და წმიდათა უწყებული, რათა ესრეთ ერთობით, შევკრიბოთ საწადელი ესე და სასურველი თხრობაჲ და, ვითარცა ჯაჭჳ ოქროსა ერთობით შეთზული, წარმოვსცეთ წინაშე სიწმიდისა თქუენისა, საკჳრველსა მაგას და სასურველსა მთასა, რომელსა შინა თავს ისხნა მრავალნი შრომანი და ღუაწლნი კაცმან მან ღუთის შეყვარემულმან თარგმანებისათჳს წმიდათა წიგნთასა. ხოლო რომელი იპოოს ნაკლულევანება მიზეზითა ჩუენ მიერ აღწეოილობისათა, განემართოს თქუენ მიერ მადლითა სულისა წმინდისათა, რომელ მკჳდრ არს თქუენ თანა—სადიდებელად მამისა და ძისა და წმიდისა სულისა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ.

ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმინდელისა. გუაკურთხენ, მამაო!

„ხსენებაჲ მართალთა ქებით აღესრულების“, იტყოდა ბრძენი სოლომონ. შესხმასა მას შინა მართალთასა, რომელსა სულითა წმიდითა წინათვე მოასწავებდა გამოჩინებაჲთა მათ წმიდაჲთჳს, რომელნი შემდგომად ქრისტეს მოსლვისა გამოჩნდეს: მოციქულნი, მღვდელთ-მოძღუარნი, მოწამენი და მამანი და ყოველნი წმიდანი და მართალნი, რომელთა მიერ აღივსო ყოველი სოფელი დიდებითა ღუთისაჲთა, ვითარცა იტყჳს წინასწარმეტყუელი, ვითარმედ: „წინასწარმეტყუელთა მრავალთა დაფარონ პირი ყოვლისა ქუეყანისა“; და კუალად იტყჳს ესაია განკჳრვებით: „ვინ არიან ესენი, რომელნი, ვითარცა ღრუბელნი, საქმეთაგან ამაღლებულისა

და გონიერთა და საცნაურთა ღრუბელთა თანა შერთვისა"; რომელთა ზე-
და მჯდომარე იხილვოს მომავალად თჳთ თავადი, ვითარცა იგი ამაღლდა 214
თავთაგან მოწაფეთასა.

რამეთუ ესე ვითართა მათთჳს იტყოდა დიდი პავლე, ვითარმედე:
„ქრისტესთა მათ ჯუარს აცუნეს კორცნი მათნი ვნებითურთ და გულის-
თქმით": რომელთათჳს იგი ნაყოფთა სულისათა წარმოიტყჳს, და კუალად
თჳთ მაცხოვარი ეტყოდა მოწაფეთა თჳსთა აღებად ჯუარისა და შედგო-
მად მისა, რამეთუ კორცთა ჯუარცმითა კორციელთა მათ უკორცოებასა
მოასწავებდა რაჟამს იგი თჳსთა და ნათესავთა უვარის ყოფითა ასსა წილ- 9
სა მიღებად აქათ აღუთქმიდა, დასასრულსა ცხორებაჲსა საუკუნესა მიანი-
ჭებდა. რომელსა იგი ტრფიალ ყუნა მოყვარენი სათნოებისანი და მეძიე-
ბელნი სასუფეველისანი, და მის მიერითა მით ბრწყინვალებითა აქავე
განათლებულნი, რომელთა თანა შეერთო ახალი ესე მოღუაწე და ჩუენ
მიერ საქებელად წინა მდებარე, რომლისა იგი ღუაწლთა და შრომათა არა
უდებ ხართ, რომელთა იგი თჳთ თუალითა გიხილავს, და რომელთადა
სმენით უწყებულ არს, და კუალად ყოველნიე ერთობით ნაშუაკევსა მას 16
და ნაყოფსა გონებისა მისისასა თუალთა მიერ განცდითა და ყურთა სმე-
ნითა, ვითარმცა მას თავადსა თჳთ ხედვიდით.

რომლისა დაღაცათუ დავიდუმოთ სიმრავლისაგან ზოგად მაღალთა
მათ ღუაწლთა მისთა, რომელნი ღუთისაჲ ეკლესიისათჳს მან თავსისხნა;
გარნა ვაკსენოთცა, რომელთა იგი კსენებაჲ წმინდაჲ არს და სარგებელ,
და სათნოებაჲთა და მოღუაწებაჲთა მიმართ მაწუსველ, ვითარცა იტყჳს
გრიგოლი ღუთის მეტყველი, ვითარმედე: „კაცსა რაჲცა რაჲ უყვარ და
აქებ, მისსა მიმართ მიისწრაფინ", და ვითარცა სხვათა ყოველთა მკნებაჲ-
თა აღსრულებად თანამდებ არს კეთილთა კაცთათჳს, ეგრეთვე ჟამსა სი-
ტყჳსასა სიტყვაჲ და მოყვარეთა სათნოებისათა ქებაჲ.

რამეთუ არა დააცადნა მოწყალებამან ღუთისამან ჟამითი ჟამად გამო-
ჩინებად ღირსთა მისთაჲ—ნუგე შინისაცემელად უძლურისა ამის და დაკ ნი-
ლისა ნათესავისა ჩუენისა განმაძლიერებელად და განმამკნობელად, რათა
ხედვითა და სმენითა სათნოებაჲთა მათთათა შურად და ბაძვად ღირეს-
ბისა მათისაჲ აღვიძრვოდით და ძალსა მას საცნაურსა სულისა ჩუენისასა,
ვითარცა ორბისა სიჭაბუკესა, განვაჭაბუკებდეთ და, ვითარცა მთოვარესა,
ეგრეთ განვაახლებდეთ, რომელ დამესა შინა ამის ცხორებისასა, ვითარცა
დღესა შინა, შუენიერად ვიდოდით, და ყოველთაენე ბნელის მოყვარეთა
მყოფთა სულთა ჩუენთაგან განვიოტებდეთ, და ესრეთ სათნოებაჲთა მიერ
წარმატებულნი შემომავალსა მას და ბრწყინვალესა დღესა უკანასკნელსა,

ვითარცა ცისკარსა განთიადისასა, აღმოსლვად განმზადებულნი მოველოდით.

რაჟამს ბრწყინვალე იგი მნათობი ნათესავისა ჩუენისა, დიდი ეფთჳმი აღმოგვბრწყინდა ნათლად, და სიხარულად, და დიდებად, და გჳრგჳნად, გონიერ მყოფელად ნათესავისა ჩუენისა, და განმაბრძნობელად უგუნურებისა ჩუენისა, რომელმან იგი უმეცრებისა საშურველი მოსძცარცვა გონებათა ჩვენთა, და, ვითარცა ღმერთმან ღუთივ განათლებულმან, მჭჳნვარე იგი ნისლი უგულისჴმოებისა განკადა სულისაგან ჩუენისა, და სიწმიდითა და სიმაღლითა ღუთივ თარგმნულთა მათ წმინდათა წიგნთა მისთათა ნაკლულევანებად ენისა ჩუენისა აღავსო, და რომელნი ესე ბარბაროზად წოდებულ ვიყვენით ელენთა მიერ უსწავლელობისათჳს და უმეცრებისა ჩუენისა, მათთანავე აღგვრაცხნა ღუთისა მიერ მოცემულითა მით სიბრძნითა თჳსითა,

ხოლო რაჟამს წმიდად ესე სოფლით აღივსო და ღუთისად მიიცვალა, და წმიდათა ბრწყინვალებასა შეემატა, და არა სრულ იქმნად სიხარული ჩუენი, მყისსა შინა სოფლით განსლვისა მისისათჳს, და ეგრეთ ინება განგებულებამან ღუთისამან ჩუსულებისაებრ თჳსისა, ვითარცა იგი მრავალ
215 გზის ყო, რათა არა ერთსა ოდენ ზედა გინა ორსა მოჰფინოს შარავანდედი მადლთა თჳსთა, არამედ რათა დღითი დღე აღორძინდებოდის და განვრცელდებოდის ღუთისად ეკლესიად და უმაღლესისა მიმართ წარემატებოდის, ვითარცა იტყჳს წინასწარმეტყველი:

„და იყოს უკანასკნელთა მათ დღეთად მივჰფინო სულისაგან ჩემისა ყოველსა ზედა კორციელსა, და წინასწარმეტყველებდეს ძენი თქუენნი და ასულნი თქუენნი ხილვასა იხილვიდენ, და მოხუცებულთა თქუენთა ჩვენებით განვეცხადო“. და კუალად მოციქული განყოფასა მას შინა მადლთასა ნიჭად საღმრთოდ და ნაწილად სულისა მიმართ მოცემულად თარგმანებასა ენათასა უწოდს უშურველად და უხვებით მიფენილ ყოველსა ზედა ნების მყოფელთა მისთა, ვითარცა იგი მოსე ისოს ეტყოდა, ვითარმედ: „ვინ მომცეს მე ესე ვითარი წინასწარმეტყველად ღვთისად?“ რამეთუ იცოდა მან ნებად ოჳფლისად და უხუებით მისცემდად მადლთა მისთა.

რომლისა თჳსცა, რად წმინდად მამა ჩუენი დიდი ეფთჳმე სოფლით განვიდა, ვითარცა პირველ ვთქუთ, შემთგომად რადოდენთამე ჟამთა კუალადცა სახიერებამან ღუთისადმან და მადლმან მამისად ჩუენისამან ჟამსა თჳსსა გამოაჩინა დიდი ესე მუშაკი საღმრთოდსა მადლისა, წმიდად მამა ჩუენი გიორგი, რომლისათჳს არს სიტყუად ჩუენი და წინა მდებარე არს აღწერად და მოთხრობად — შემდგომად ნათესავთა საწურთელად და გულისჴმის საყოფელად, ვითარცა მან ნეტარმან დიდისა ეფთჳმის ცხორებად

აღწერა სახედ და ხატად სათნოებისა მომავალთა ნათესავთა თჳს, რომელი ესე არცა ჩუენ დავიცოსნოთ შეწევნითა ღუთისაჲთა, არამედ ყოველივე აღვწეროთ სახე ცხორებისა მისისა შობით მისითჳან და ვიდრე აღსრულებაჲდმდე. ხოლო იყავნ ჩუენთანა ღმერთი იგი მის მიერ შეყვარებული და მისი შემყვარებელი, და ლოცვა წმიდისა მის მამისა, რომელმან ამისი კელყოფა ჩუენ გუაიძულა, სადიდებელად ღუთისაჲ, რომლისა არს დიდებაჲ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ.

ესე წმიდაჲ მამა ჩუენი გიორგი იყო ნათესავით ქართველი, ხოლო ვინათგან ღუთის მსახურებისა საიდუმლოსა შინა ერთი სამოთხე წმიდისა მის მამისა ჩუენისა საყოველი და ერთი ქალაქი, რომელ არს ზეცისა იერუსალიმი, ცხოველთა მათ ქვათა მიერ აღშენებული, რომლისა შემოქმედ და ხუროთ მოძღვარი ღმერთი არს, და ერთი ნათესაობაჲ, რომელ არს თჳსებაჲ ღუთისაჲ. არამედ ნუ ვინ ჰგონებთ, თუ არა რაჲ გუაქუს პატიოსანთაგანი მამისა ჩუენისათა მითხრობაჲდ და რეცა ჩემებით მოვიპარავთ ჰეშმარიტებაჲსა საქმეთა მიერ საყუჱდრელთა!

რამეთუ იყო ნეტარი ესე, ვითარცა ვთქუთ, ნათესავით ქართველი, ხოლო მამის მამეულად ღუთის მსახურისა მისგან და ღუთივ დაცულისა ქუეყანისა, რომელსა სამცხე ეწოდების; ხოლო თჳთ აღმოეცენა იგი ქუეყანასა თრიალეთისასა, ვითარცა პირმან საქმისაჲან გაუწყოს.

რამეთუ მშობელნი მისნი იყუნეს ღუთის მსახურნი. და ეწოდებოდა მამასა მისსა იაკობ, ხოლო დედასა მარიამ. ესე იაკობ იყო ერთგულთაგანი და საკუთართა ღუთის მსახურისა მეფისა გიორგისთა, და საქმისა, რომლისა თჳსმე საერთგულოსა მოციქულად წარიგზინა მეფისა მიერ სპარსეთს; და, ვითარცა წარემართა, ნებითა ღუთისაჲთა სავანე ყო დაბაჲსა მას და სახლსა, რომელსა იყოფოდეს მშობელნი ამის წმიდისა დედისანი. ხოლო იაკობ, ვითარცა იხილა წესიერი იგი და სათნო ცხორებაჲ მათი და, უმეტესადღა ვთქუათ, თუ ღუთისაჲ სიყუარული გონებაჲ მათი, და ეტრფიალა კეთილსა ცხორებაჲსა მათსა. ხოლო შვილად მხოლოდ შობილად ესუა მათ მარიამ და სიყუარულისათჳს მისისა არა ვისდა მიეთხოვა, დაღაცათუ მრავალთა მიერ ძიებულ იყო სძლად მიყუანებად საჴედ თჳსად.

ხოლო იაკობ, იხილა რაჲ შუენიერება ხატისა მისისა და ნარნარი იგი და დაწყნარებული ქცევა მისი და განკრძალული სახე, ჰრქუა მშობელთა მისთა: „დამიჰარხეთ შვილი ეგე თქუენი კეთილად; მოთუვქცე მშჳდობით, მე ვიქორწინო ეგე და სრულიად თქუენთანა დავემკჳდრო". და ნები-

თა ღუთისაჲთა კეთილად განემარჯვა და მშჳდობით მოიქცა, და მეფე დიდად მოიმადლა. და ესერაჲ მოვიდა ზემოკსენებულთა მათ თანა მშობელთა ქალწულისათა, და იქორწინა შჯულიერითა და წმიდითა ქორწინებითა, ვითარცა იტყჳს მოციქული: „წმიდა არს ქორწილი და საწოლი შეუგინებელი“. და ესრეთ აკურთხნა ღმერთმან, ვითარცა დიდი იაკობ და რაქაელ, რამეთუ კორციელსაცა თანა სიმდიდრესა შვილიერებითაცა პატივსცა, რამეთუ ესხნეს სამნი ძენი და სამნი ასულნი.

ხოლო ნეტართა მათ მეუღლეთა კეთილად განიზრახეს, რათა პირველი ნაყოფი თჳსი ღმერთსაჲ შესწიროონ. ხოლო, მიეცა რაჲ ასული პირველი, უწოდეს სახელი თეკლა და პატივსცეს სახელითა პირველ მოწამისათა. და ვითარცა იქმნა იგი შჳდისა წლისა, შეწირეს იგი ღმერთსაჲ, ვითარცა აღეთქუა, და წარიყვანეს იგი სამცხეს მონასტერსა სადედოსა, რომელსა ტაძრისი ეწოდების, და მისცეს იგი კელთა წინამძღვარსა მის მონასტრისასა, რომელსა საბიანა ეწოდებოდა, დედაკაცსა ღირსსა და წმიდასა, რომელმანცა შეიწყნარა იგი, ვითარცა შვილი თჳსი, და კეთილად აღზარდა. და კუალად ჴუეს ცხუაჲ წული შვილი, რომელსა უწოდეს თევდორე. და ესრეთ განიზრახეს კუალად კეთილთა მათ მშობელთა, რათა, უკუეთუ იშვეს მათდა ცხუაჲ წული, შეწირონ იგი ღმერთსაჲ: რამეთუ „ვერძისა ჯერ არსო შეწირვად“.

ხოლო მარიამს ეძინა თჳსაგან ღამესა ერთსა. ეჩუენა მას ბრწყინვალე ვინმე და დიდებული, რომელი ეტყოდა: „აჰა ესერა, შვე ყრმაჲ წული, ვერძი რჩეული ღუთისაჲ; შეწირე იგი მისა, რომლისადა აღგითქუამს, და სახელი უწოდე მას გიორგი“. და, ვითარცა განიღჳძა დედაკაცმან მან, მიშითა და სიხარულითა მიუთხრა ესე ყოველი ქმარსა თჳსსა; და აღდგეს ორნივე ერთობით და ცრემლით მადლობაჲ შეწირეს ღმერთსა და მოელოდეს აღთქმასა მას საღმრთოსა

იხილეთ, ჲ მორწმუნენო, ვითარ სახელის წოდებითა პირველითგანვე ყოფადი მის მიერ ჩუენებაჲსა მას ღამისასა ცხადი და განმარტებული საქმე მოესწავებოდა, რამეთუ საღმრთოჲსა და სულიერსა მუშაკობაჲსა დედასა ყრმისასა მახარებელი იგი მისი წინასწარ აუწყებდა, რამეთუ ორნატთა ეკლესიისათა მის მიერ მუშაკობაჲდ მოასწავებდა, და საუნჯესა მორწმუნეთასა ღუთის მსახურებისა იფქლისა აღვსებაჲდ ახარებდა: რამეთუ ბერძულითა ენითა გიორგი მუშაკად გამოითარგმნების.

ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ. შეჰდგომად დღეთა რაჲოდენთამე იშჳა მათდა ღუთისაჲ მიერ აღთქმული იგი ნიჭი. და იჴრ-

დებოდა კორკიელისა თანა ჰასაკისა სულიერითაცა ჰასაკითა, და განიპოხებოდა მადლითა სულისა წმიდისათა. და იყო იგი სიყრმითგან სავსე შიშითა და სიყვარულითა ღუთისაჲთა, და, ვითარცა წერილ არს, დღე და ღამე სჯულსა ოჯფლისასა იყო ნებაჲ მისი, და სჯულსა მისსა ზრახავნ იგი დღე და ღამე. ამისთჳსცა იქმნა იგი, ვითარცა ხე, დანერგული თანა წარსადინელსა წიგნსა ღუთივ სულიერთასა, და გამოსცა თჳსსა ჟამსა ნაყოფი შუჱიერი და ზეცისა საუნჯეთა ღირსი.

რამეთუ, ვითარცა იქმნა იგი შჯდისა წლისა, აღთქმა იგი აღასრულეს მშობელთა მისთა, და, მასვე ზემო ჴსენებულსა მონასტერსა ტაძრისსა, 217
დისა თჳსისა თანა წარგზავნეს და შეჰვედრეს ღმერთსა, მომცემელსა კეთილისა მის ნაყოფისა.

ჲრამედ, ვინათგან სიყრმესავე თჳსსა მშობელთა მოღვაწებისაგან დაჲკლდა, და, ვითარცა მორჩი კეთილი, აღმოცენებაჲსავე თანა თჳსსა ყოფადსა მას წარმატებაჲსა აუწყებს ქუეყნის მოქმედთა, ვითარცა იტყჳს დავით: „მართალი, ვითარცა ფინიკი, აყვავდეს და, ვითარცა ნაძვ ლიბანისა, განმრავლდეს, დანერგული სახლსა შინა ოჯფლისასა, ეზოთა სახლისა ღუთისა ჩუენისათა ყუაოდის“. და ესრეთ, ვითარცა ახალნერგი შუჱნიერი, იზრდებოდა მონასტერსა მას შინა, და ისწავლიდა წერილთა საღმრთოთა დედაკაცისა მისგან ღირსისა, დისა თჳსისა; მოსწავებდა წინასწარვე გამოღებად ნაყოფსა მას, რომელი ყოჟად იყო, რამეთუ სიმახჳლითა და მოსწრაფებითა გონებისათა, საგონებელ იყო მხილველთაგან, თუ: „აღყუავებასა თანა მეყუსეულად ნაყოფსა გამოიღებსო“.

რამეთუ, ვითარცა მოსესთჳს წერილ არს, სიჩოთგანვე თჳსით მკრცხლ იყო ღუთისა ყრმა იგი; და, ვითარცა დაყო მონასტერსა მას შინა სამი წელი და იქმნა ჰასაკითა ათისა წლისა, ხოლო გონებითა, ვითარცა მკაცოვანი და მოხუცებული იხილვებოდა საკჳრველად მხილველთა და მსმენელთაგან.

ხოლო მნებავს, რათა სიჩოთგანვე ფარვა ღუთისა და შეწევნა მისი გაუწყო ყრმასა მას ზედა: ვითარცა არს ჩუჱულებაჲ ყრმათა ველად განსლვისა მღერად და განცხრომად, ხედჳდა კეთილის მოძულე იგი, მტერი ნათესავისა ჩუენისა ბოროტი ეშმაკი, ვითარმედ დამთრგუნველად ძალისა მისისა იზრდებოდა ყრმაჲ იგი წმიდა,

შეძრწუნდა, ნუ უკუე სრულიად განჰჭნეს მის მიერ სიბოროტე მისი, ამისთჳსცა სიჩოთგანვე იწყო ბრძოლად: რამეთუ გჳთხრობდა თჳთ წმიდაჲ ესე, ვითარმედ: „ვიყავ რაჲ მდინარისა მის დიდი'ა პირსა, რომელსა ქცია ეწოდების, წიაღკერძო მდინარესა ვიხილე ყრმა, შეშოსილი ცეცხლის ფერითა, და მიკმობდა: „მოვედ და ვიმღეროთ!“ და,

ვითარცა წარვემართი, ყრმა შეცნიერი, სპეტაკითა მოსილი, მომეკიდის კელთა და მეტყჳნ: „იყავ აქა ჩემთანა, რამეთუ მე უმჯობესი მოყუასი ვარ შენი“. ხოლო ესე საცნაურ არს, რომელ წიაღ კერძო მდინარისა ცეცხლითა მით საუკუნოთა შემოსილი ბოროტი ეშმაკი იყო, და ეგულებოდა წყალთა მათ შინა წარწყმენდა ყრმისაჲ მის. ხოლო სპეტაკითა მოსილი ანგელოზი იყო, რომელი სიჩოთგან დაუდგინა ღმერთმან, რათა სცვდეს მას, ვითარცა იტყჳს დავით, ვითარმედ: „დაიბანაკებს ანგელოზი ოჳფლისა გარემოს მოშიშთა მისთა ზედა და იცხნნეს იგინი“. და კუალად წამებს დიდი ბასილი, ვითარმედ: „ყოვლისა მორწმუნისადა მიცემულარს ანგელოზი მცველად ცხორებაჲსა მისსა“.

და კუალად, იყო რაჲ წმიდაჲ ესე წუთ მონასტერსა მას შინა ზემო კსენებულსა, შურითა ეშმაკისათა აღეძვა ცეცხლი მონასტერსა და სრულად შემრგუალდა, ხოლო ყრმასა მას ნეტარსა ეძინა ღრმად. და მოვიდა კუალად გამოჩინებული იგი სპეტაკითა მოსილი, განაღჳძა და უპყრა კელსა და შორის ცეცხლისა მის ჳნებელად განავლო. და იყო მონასტერსა მას მახლობელად ეკუტერი ერთი, ვითარ ჴეტევან ერთ; მუნ მიიყვანა ანგელოზმან მან და თჳთ მიეფარა. ხოლო, ვითარ ვჰგონებ, სასწაული ესე არა უმცირეს არს სასწაულსა მას სამთა ყრმათასა.

Ⴀრამედ მე სარბიელსავე სიტყუათა ჩემთასა ვიდოდი და აქა სრულ
218 ვჰყო სამცხეს ზრდილობისა მისისათჳს სიტყუაჲ და მერმე მოვიცვალო გონებითა და ხახულის მისლვისა და სწავლისა მისისა, და ვთქუა თუ სრულად განათლებისა მისისათჳს ყოველივე სულმკირედ და მოკლედ მიგითხრა, ვითარცა ოჳფალმან ძალი მომცეს, რამეთუ იგი ეჭვნა მიზეზ ყოვლისა კეთილისა, ვითარცა იტყჳს გრიგოლი ღუთის მეტყუელი ათინისათჳს, ვითარმედ: „რომელი იგი ოჳროსა ქალაქ მექმნაო“; არამედ, დაცათუ მან ათინისათჳს თქუა, არამედ კითილად გულის კმის მყოფელმან სულიერსა ზედა გულისჴმა ჰყვენ!

ესხნეს ნეტარსა მას ორნი მამის ძმანი ხახულს, ორნივე უხუცესნი მამისა მისისანი, კაცნი ღმერთ შემოსილნი და სავსენი საღმრთოჲთა მადლითა; უხუცესისა მის სახელი გიორგი მწერალი, რომელი ყოფილ იყო მწერალთა ზედა მთავრად კურაპალატისათა; ხოლო მეორისა მის სახელი საბაჲ, კაცი წრფელი და უმანკო. ესენი მკჳდრ იყუნეს ხახულს, ორთავე ცხორებითა შეზავებულად: რამეთუ სიმდიდრესა თანა საღმრთოჲსა მოქალაქობისასა კორციელიცა სიმდიდრე უხვებით აქუნდაჲ.

Ⴀმათ ღირსთა ბერთა, ვითარცა ეუწყა ყრმისა გიორგის სიკეთე, და

ტარსა შეჰვედრეს შვილი თჳსი და მონაზონებისა წარმართებად ეკედრებოდეს. ხოლო წმიდამან მან, ვითარცა ღუთი[illegible]ად მიერ მოცემული კეთილი შვილი, ეგრეთ შეიწყნარა, და წესიერებისა მიმართ და სათნოებისა წურთად იწყო; და ესრეთ წარემატებოდა ნებითა ღუთისათა, და ვითარცა ნერგი კეთილი, დანერგული თანა წარსადინელსა ღუთივ სულიერთა წერილთასა, დღითი დღე აღორძინდებოდა.

ხოლო აუწყეს სწავლათაცა საეკლესიოთა და სამღვდელოთა, რომელთაჲ შინა, უმეტეს ყოველთა ჰასაკის სწორთა მისთასა, წარემატა, და საგალობელნი იგი საწელიწდონი და შეწყობილებაჲნი იგი გალობათანი ყოველნივე მეყსა შინა ზეპირით დაისწავლნა. სალმრთოთა კულაჲ წიგნთა კითხვისათჳს რად საკმარ არს სიტყუაჲ! რომელთა იგი შინა უაღრეს ძალისა თჳსისა დაშურა და გამოიცადა, რომელსა შინა არა სცემდა ძილსა თუალთა, განსუბნებასა კულაჲ კორცთასა ყოვლადვე არა თავს იდებდა და მაშინდელი იგი წერილთა გულის კმის ყოფა, ვითარცა წინდი რაჲმე, მომავალთა საქმეთათჳს მიიღო და, ესრეთ, ყოველნივე საღმრთონი წერილნი ძუელისა და ახლისა სჯულისანი, რომელნი ოდენ ჩუენსა ენასა პოვნა, ყოველნივე კეთილად გულად იხუნა.

ხოლო უწყი, ვითარმედ მრავალთა გსურის სმენად, თუ ვინა ისწავა ბერძული სწავლაჲ, გინა ვინა დაგჳუნჯა საფასე ესე მოუკლებელი? — ფერის ჯოჯიკის ძემან, დის სიძემან ბასილი ბაგრატის ძისამან. რაჲსათჳს მე ვკსენე დაჲ ბასილისი? ამისთჳს, რამეთუ იტყოდა წმიდაჲ იგი, ვითარმედ: „არა უდარეს იყო ღირსი ესე დედაკაცი ღუთის მსახურებითა ძმასა თჳსსა ნეტარსა ბასილისაო“. ამან ფერის და მეუღლემან მისმან განიძრახეს კეთილად, რათა კაცი საღმრთოჲ იძიონ სულისა მათისა კეთილისა მასწავლელად, და უწესოებისაჲ დამაყენებელად, და რათა ყოვლადვე მახლობელად მათდა იყოს. ამის პირისათჳს ორთავე გამოიძიეს და დაამტკიცეს, ვითარმედ გიორგი წერილისა უგონიერესსა ვერვის ჰპოებენ. ამისთჳს დიდითა ვედრებითა და ქენებითა გიორგი მწერალი წარიყვანეს და ყოველი საქმე მათი, სულიერი და კორციელი, მას დაამორჩილეს. ხოლო ამან გიორგი. ნეტარი ძმისწული თჳსი, ყრმა გიორგი თანა წარიტანა: რამეთუ ფრიად ეკმარებოდა ზეპირით კანანახობასა, რამეთუ თჳთ მოხუცებული იყო.

ხოლო ვითარ იხილეს კეთილთა მათ მეუღლეთა, განიხარეს ფრიად, და სალმრთომან მან დედაკაცმან შვილად თჳსად აღიარა გიორგი. და დაყვეს მრავალი ჟამი კეთილსა და ღუთისაჲ სათნოსა ცხორებასა შინა. ხოლო ამისა შემდგომად რისხჳთა ბასილი მეფისათაჲ ფერსოს თავი წარეკუსთა: რამეთუ განდგომილებაჲ დასწამეს; და ესრეთ, ბრძანებითა სამეფოთა ესე

ღირსი დედაკაცი ერითურთ თჳსით კოსტანტინეპოლედ წარიყვანეს, ვინა იგი დაყვეს ათორმეტი წელი. ხოლო მათსა მუნ ყოფასა მამის ძმამან საკჳრველისა ყრმისამან და, უფროსღა ვთქუა, თუ საღმრთომან მან დედაკაცმან სასწავლოდ მისცეს ყრმაჲ იგი გიორგი—კაცთა ფილოსოფოსთა და რიტორთა, ორითავე ცხორებითა შემკობილთა, არა ერისკაცთა, არამედ მოწაზონთა და ღუთის მოშიშთა და ყოველთა მიერ წამებულთა; და ესრეთ, ათორმეტსა მას წელსა ყოველივე მოსწრაფებაჲ და გულს მოდგინებაჲ ერთბამად შემოიკრიბა, ვიდრეღა სიმახჳლითა გონებისათა და მრავალ 220
ჟამ გამოცდილთა მოსწრაფებითა წარემატა, და მოსწრაფეთა და გულს მოდგინეთა სიმახჳლითა გონებისათა აღემატა, და ორკერძოვე სრულ ქმნილთა ერთ კერძო თანა წარჰკდა, ვიდრეღა დიდად განკჳრდეს ყრმანი იგი ბერძენთანი მისსა მას ეგოდენსა მოსწრაფებასა და სიმახჳლესა გონებისასა აღიძროდეს.

და, დარაჲყო სწავლასა მას შინა, ვითარ ვთქუთ, ათორმეტი წელი, და ვითარცა ქუეყანამან კეთილი თესლი სწავლულობისა შეიწყნარა ორ- 15
ნატთა შინა სულისა თჳსისათა, რომელი იგი ჟამსა თჳსსა გამოღებად ედვა აღსებად სულისა მშიერთასა და განმამდიდრებელად ღუთისაჲ ეკლესიასა,

ამისა შემდგომად ბრძანებითა სამეუფოთაჲ კუალად თჳსთავე პრასტინთა მიიქცა საღმრთოჲ ესე დედაკაცი—ტვარწატაფს, და თანა წარიყვანა ყრმაჲ გიორგი მამის ძმისავე თჳსისა; ხოლო ეუწყა, ვითარმედ დედა მისი მიცვალებულ იყო, ხოლო მამაჲ მისი წუთ ცოცხალ იყო. რომელი იგი ძჳამან მისმან გიორგი თავისა თჳსისა თანა მოიყვანა, ტვარწატაფს და ერთბაჲმად იყოფოდეს.

ხოლო ყრმა იგი წარვიდა ხახულს მამის ძმისა თჳსისა თანა საბაჲსა. და, ვითარცა იქმნა ოცდა ხუთისა წლის, ტკბილსა მას უღელსა მონაზონებისასა ქედი თჳსი მოუდრიკა: რამეთუ დაღაცა თუ მონაზონი იყო სიყრმითგან, ხოლო წუთ კურთხევაჲ მონაზონებისა არა მიეღო., რამეთუ მოძღუარი მისი სულიერი და ღუაწლთა მიმართ მონაზონებისათა მწურთელი, დიდი ილარიონ წუთ ხორცთაღა შინა იყო, და კელთაგან მისთა მიიღო კურთხევაჲ მონაზონებისა,—რამეთუ იგი იყო პირველ მოძღუარი მისი და მიზეზი ყოვლისა კეთილისა. ამისა შემდგომად, აღძრვითა ზეგარდამოთა, მოუკდა სურვილი უცხოებისა და სიგლახაკისა, და თჳსთა და მეგობართაგან განშორებისა, და, უფროსღა ვთქუა, თუ სურვილი თაყუანისცემისათჳს წმიდათაჲ მათ და განმაცხოველებელთა ადგილთა, ვინა იგი აღასრულა ყოველი განგებულებაჲ ცხორებისა ჩუენისა სიტყუამან მამისამან, მოსრულმან ცხორებისათჳს ჩუენისა. ხოლო იყოცა განგებულებაჲ ღუთისაჲ

საქმესა ამას შინა, რომელი იგი წინასწარ ყოველსავე მეცნიერ არს და
ყოფადთა, ვითარცა ყოფილთა, ხედავს; ვითარცა იგი მოსეს, რაჲ წინასწარ-
მეტყუელად განმზადებდა, პირველ ყოვლისა თჳსთაგან გამოიყვანა, და აბ-
რაჰამს, რაჲ თანა აღთქმასა დასდებდა, ქუეყანისა თჳსისა დატევებაჲ
უბრძანა; ეგრეთვე მრავალთა წმიდათა თჳს წერილარს: ჰნებავს რაჲ მია-
ხლებაჲ ღუთისაჲ, პირველ ყოვლისა თჳსთაგან და მეგობართა განეშორ-
ნიან და ჭეშმარიტი იგი თჳსებაჲ—ზრახვა ღუთისაჲ მაშინღა პოვიან. ვი-
თარცა ვიტყოდი წმიდისა ამისთჳს: მოუკდა სურვილი უცხოებისა და თჳს-
თაგან განშორებისა, და ფარულად ყოველთა მეგობართაგან და მეცნიერ-
თა სივლტოლა იკმია და წარემართა იერუსალიმით კერძო.

ხოლო ვითარცა ცნაჲ მამამან მ ა კ ა რ ი და ყოველთა მათ ღმრთ-
შემოსილთა ბერთა, შეწუხნეს ფრიად და ყოვლით კერძო მეძიებელნი და-
შემპყრობელნი განავლინნეს, და ყოველნი გზანი მოიცვნეს. მაშინ, ვითარ-
ცა გულის კმაჲყო, რამეთუ შეიპყრობდეს, საღუთო ღონე იკუმია, ვითარცა
დიდმან ათანასი, და შესამოსელი თჳსი, ფრიად კეთილი, მისცა იგი გლა-
ხაკსა ვისმე. და მისი იგი დაბებკული შეიმოსა. და პოვა მწუხარე ერთი
წინამძღვრისაგან დატევებული, უპყრა წინა და წარემართა გზასა თჳსსა.
და ესრეთ განეშორა დამხრწეველთა გზისა მის კეთილისათა, რამეთუ და-
221 ლაცათუ სიყვარულითა იქმოდეს, არამედ არა კეთილ იყო მომავალთა სა-
ქმეთათჳს.

ხოლო იტყოდა ოჳთ წმიდაჲ იგი, ვითარმედ: „უდაბნოსა ადგილსა
22 შევვლამდაო ტყეთა შინა, და იყო ელვა, ქუხილი და ჰაერი ბოროტი, და
შჳდგზის დააკუშთა მწუხარე იგი მას ღამესა ეშმაკმანო, და პეროვინ და
ილრჰენ და ყივინ; ხოლო მე ვილოცევდიო". იხილეთღა უშიში ესე სუ-
ლითა და ახოვანი გონებითა, ვითარ არა შეძრწუნდა, არამედ ღამე ყო-
ველ ევედრებოდა ღმერთსა განკურნებისა მისისათჳს, ვიდრემდის განიოტა
კაცისა მისგან სული იგი ბოროტი და ყოვლითურთ უვნებელი მონას-
ტერსა ერთსა მიიყვანა, სადა იგი განკურნებულსა მას ენებაჲ; და მადლობ-
და ღმერთსა, რომელმან იჴსნა სულისა მისგან არა წმიდისა. და ესრეთ,
მხოლო წარემართა გზასა თჳსსა მრავლითა შრომითა და ღუაწლითა:
რამეთუ დაჰმენჯნიდა და აპირვებდა კორცთა თჳსთა, ვითარცა მოციქული
იტყჳს, ვითარმედ: „აღვკრძალავ კორცთა ჩემთა და დავიმონებ, რათა არა
სხუათა უქადაგებდე და მე გამოუცდელ ვიყო". ეგრეთვე ჰყოფდა წმიდაჲ
ესე: რამეთუ ძაძა შეემოსა და უკამლო და თავ ლია, ულვნო და უწყლო
ვიდოდა გზასა მას იწროსა; რამეთუ დღესა შინა ერთგზის მიიღის პური და
წყალი. და ესე ვითარითა შრომითა და მოღვაწებითა შემკული მიიწია
შავსა მთასა და მერმე ალვდა მთასა საკვრველსა, თაყვანისცა და

ამბორს უყო ლარკანსა (?) წმიდისა და საცხოველთ მოქმედისა სჯმეო-
ნისსა, და ღირსისა დედისა მისისა ნეტარისა მ ა რ თ ა ს ს ა. და ყოველნი
მონასტერნი მოიღოცნა და წმინდანი მამანი მოიკითხნა და ყოველთაგან
ლოცვაჲ მიიღო.

ხოლო ყოველისა პირველად იწყო ძიებაჲდ წინამძღვრისა და მო-
ძღვრისა სულიერისა, რამეთუ უწყოდა, ვითარმედ თჳნიერ მოძღვრისა არა
არს ცხორებაჲ სულისა და წარმართებაჲ მონაზონებისა. და პოვა მთასა
საკჳრველსა, ნაპრალსა შინა კლდისასა, ბერი წმიდაჲ, შეყენებული, ვი-
თარცა გვრიტი, უბიწო და ტრედი უმანკო, კაცი ზეცისა და ანგელოზი
ქუეყანისა, ყოვლითურთ უცხო და განშორებული კორცთაგან და კორ-
ციელთა ზრუნვათაგან და გონებითა ღუთისაჲ მიცვალებული,—

გ ი ო რ გ ი ს, ვიტყჳ, დაყუდებულსა, დიდსა მას მნათობსა ნათესავი-
სა ჩუენისასა, კაცსა ყოველთა მიერ გულისსათქმელსა, რომელმან ესე ჩუენ
უნდოთა მიერ ა მ ი ს ი ა ღ წ ე რ ა გ უ ა ი ძ უ ლ ა. ამას დაემოწაფა ნეტარი
ესე, ვითარცა ოდესმე მთასა სინასა ნეტარი იოანე დიდსა მარტჳლის. 15

ხოლო მან, ვითარცა იხილა სიკეთე სულისა მისისა და განიცადა ტა-
ლანტი იგი მის შორის დაუჯებული, განიხარა სიხარულითა დიდითა,
და სულითა გულის კმაჲყო, რაჲ იგი ყოფად იყო: რამეთუ სურვიელ იყო
წმიდაჲ ესე ბერი, რათამცა კუალად გამოვინმეჰინა მოწყალებაჲთან ღუთი-
საჲთან ნათესავსა შორის ჩუენსა კაცი, რომელმანცა სრულყო ნაკლულე-
ვანებაჲ ენისა ჩუენისა, რომელი იგი წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთჳმესაგან
დაშთომილიყო; და ნებითა ღუთისაჲთა პოვა, რომელსა იგი ეძიებდა, და
მადლობაჲ შეწირა ღმერთსა, რომელი არა ოდეს უგულებელს ჰყოფს სი-
გლახჯესა ჩუენსა მეოხებითა წმიდისაჲ ღუთის მშობელისათა.

ხოლო დაამკჳდრა იგი რ ო მ ა ნ წ მ ი დ ა ს. და დაყო მას შინა ს ა-
მ ი წ ე ლ ი დიდითა შრომითა და მოღვაწებითა, მარხჳთა და მღჳძარები-
თა, და, უფროს ხოლო, სიმდაბლითა და მორჩილებითა, რომელნი ესე 222
ფრთე ექმნებიან მონაზონსა აღსლვად ოჯფლისაჲ თანა, რამეთუ ყოველთა
უძლურთა იგი ჰმსაბურებდა. ესრეთ, ყოვლითა სათნოებითა შემკული,
ხორციელითა ჰასაკითა იქმნა იგი ო ც დ ა ა თ ი ს ა წლისაჲ, ხოლო სული-
ერითა მკჳრთან და მოხუცებულ. და, ვითარცა იხილა ნეტარმან მან ბერ-
მან გიორგი შეყენებულმან, მოძღუარმან მისმან, ვითარმედ ყოვლითა
სრულ ქმნილარს ჰასაკსა თანა სიბრძნითა და გონიერებითა, სქემა შეჰმოსა
და ყოვლითურთ სრულყო მონაზონებისა, მოღვაწებაჲ. და სქემისა გჳრ-
გჳნითა, და მერმეღა იჩრუსალიმად წარგზავნა.

იხილეთღა სახიერებაჲ ჩუენთჳს განკაცებულისაჲ მ ს უ ფ ი ს ა, რომელ-
მან იგი არა უღირს იჩინა თანა ზიარყოფად მ ნ ი ს ა თჳსისა სარწმუნოსა,

რამეთუ, ვითარცა მან ოცდა ათისა წლისამან კორციელითა ჰასაკითა ნათელ იღო, ეგრეთვე მონა თჳსი ღირსყო მოღებად მეორისა მას ნათლისღებასა, რომელ არს მადლი წმიდისა სქემისა, მითვე ჰასაკითა, და მიერ აღსლვად ხილულსა მას იჱრუსალიმსა, რათა გონებითა უხილავსა მას ზეცისა იჱრუსალიმსა მიიცვალოს.

და, ვითარცა მიიწია ნეტარი ესე წმიდაჲდ ქალაქად, მოილოცნა ყოველნივე წმიდანი და თაყუანისაცემელნი ადგილნი, სულისა სურვილითა და გონებისა სიმკურვალითა, და მარადის ცრემლთა მიერ ილტობვინ, იხსენებნ რაჲ ვნებაჲთა მჱუფისათა, რომელმან იგი მუნ ჩუენისა ცხორებისათჳს ადგილთა მათ შინა წმიდათა თავსისხნა, რამეთუ ესრეთ არნ გონებაჲ მისი, ვითარმცა მას თავადსა თუალთა წინაშე ხედვიდა. და დაყო მცირედი ჟამი ესე ვითარითა ყოფითა, და მერმე, განგებითა ღუთისაჲთა, კუალად მოძღვარისავე თჳსისა მოიქცა. და ესრეთ, ყოვლითურთ სრულქმნილსა, საღმრთოჲ ესე ტალანტი კელთუდვა, რომელ არს თ ა რ გ მ ა ნ ე ბ ა ჲ წიგნთა საღმრთოთა, ბერძულისაგან ქართულად.

ხოლო ესე ნეტარი არა თავსიდებდა, არამედ ესრეთ იტყოდა, ვითარმედ: „შეუძლებელ არს ესე ჩემგანო, და ესე ვითარი წმიდათა და ღუთის მოშიშთა შუჱნის, ვითარცა იყო წმიდაჲ მამაჲ ჩუენი ეფთჳმე". ხოლო ბერი ეტყოდა, ვითარმედ: „შვილო, რომელმან წმიდაჲ იგი სიკუდილისაგან იკსნაჲ და ქართული ენა განუმარტა, იგივე შემძლებელ არს შენდაცა შეწევნად, რამეთუ მას დიდად ეწყალის და უყვარს ნათესავი ჩუენი; და თჳთ მას წმიდასა მამასა ეფთჳმის ვევედრნეთ, რათა შეგეწიოს, რომელ ნეშტი დარჩომილი მისი შენ სრულყო მადლითავე მისითა, ვითარცა პავლე ქრისტესი.

და ესრეთ, დიდითა იძულებითა ძლით დაარწმუნა და წმიდის სჳმეონის და მართას მადლითა შეზღუდვილი მ თ ა წ მ ი დ ა ს ათონს წარმოგზავნა და, ვითარცა მოწაფე სარწმუნო და შვილი ერთგული, და ძლუჱნი შემზადებული სიწმიდისა მისისა, წმიდასა მამასა ეფთჳმის მიუძღვანა, რათა, ვინა იგი წყაროს თუალი სიბრძნისა, აღმოეცენა მომრწყველად ნათესავისა ჩუენისა, მიერვე აღმოივსნეს ნეკტარი გულის კმის ყოფისანი, კაცმან ამან ღუთისამან და მდიდრად დაათროს სამყარო ეკლესიათა ჩუენთა; და ვითარცა იტყჳს წინასწარმეტყუელი ესაია, ვითარმედ: „გამოვიდეს სჯული სიონით, და სიტყუაჲ ღუთისა იჱრუსალიმით სჯიდესო"; ეგრეთვე დაღაცათუ პ ი რ ვ ე ლ ი თ გ ა ნ ვ ე გუაქუნდეს წ ე რ ი ლ ნ ი ც ა და სარწმუნოებაჲ ჭეშმარიტი და მართალი, გარნა ქუეყანა ჩუენი შ ო რ ს იყო ქუეყანისაგან საბერძნეთისა, და, ვითარცა ღვარძლნი რაჲმე, დათესულ იყუნეს ქუეყანასა ჩუენსა ბოროტნი იგი ჱ ს ლ ნ ი ს ო მ ე ხ თ ა ნ ი, გულარძნილ-

ნი და მანქანანი; და ამის მიერ ფრიად გუსვნებოდა: რამეთუ ნათესავი ჩუენი წრფელ იყო და უმანკო, ხოლო იგინი, რეცა მიზეზითა წესიერებისათა, რეცა ცთუნებად გუაზმნობდეს, და რომელნიმე წიგნნიცა გუაკუნდეს მათგან თარგმნილნი.

ამათ ესე ვითართა მიზეზთათჳს მოხედნა მოწყალებამან ღუთის ჲმან ნათესავსა ჩუენსაჲ და აღადგინა ახალი ოქროპირ, წმიდაჲ მამა ჩუენი ეფ- 223
თჳმე, და, ვითარცა მეათცამეტემან მოციქულმან, ქუეყანა ჩუენი ამათ ზემოკსენებულთა ღუარძლთაგან სრულიად განწმინდა, მრავლად თარგმანებითა წმიდათა წერილთათა, ვითარცა დასაბამსავე სიტყჳსა ჩუენისასა ვთქუთ, და წესნი და კანონნი საეკლესიონი, დამამტკიცებელნი სარწმუნოებისა ჩუენისანი — ესე ყოველნი აღწერილად დაგჳტევნა, რომელნი იგი წმიდისა ამის მთისაგან და ღუთივ აღშენებულისა ლავრისა, ვითარცა მდინარისაგან ედემიანისა, ნაკადულნი ცხოვრებისანი პირსა ზედა ქუეყანისა და ნათესავისა ჩუენისასა მიეფინნეს.

ხოლო, ვითარცა პირველვე ვთქუთ, ადრე მიცვალებითა მამისა ჩუენისათა, არა სრულ იქმნნეს წერილნი ჩუენნი. ამისთჳს სახიერებამან ღუთისამან კუალადცა მოგვანიჭა, შემდგომად მოსესა — ისო, და შემდგომად არონისსა — ელიაზარ, შემდგომად ელიას — ელისე, შემდგომად პავლესსა — ტიმოთე. და მსგავსადვე მათისა ნაკლულევანებაჲ მოძღურისა თჳსისა და ყოველი მის მიერ დაკლებული ამან ნეტარმან მამამან გიორგი სრულ ყო. 17

ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ. წარმოემართა წმიდაჲ ესე, შეპურვილი ლოცვითა, მოძღურისა თჳსისათა მითვე პირველითა მოღუაწებითა და ფრიად უფიცხესითაცა. ხოლო მიიწია მდინარესა დიდსა ერთსა, რამეთუ მარტო იყო. და ვითარცა შეჳდა მდინარესა მას, ვერ უძლო წიაღსლვად სიმდიდრისაგან მისისა, რამეთუ დიდრო იყო. მაშინ იხილა წიაღკერძო ჰაბუკი შუენიერი, ამკედრებული ცხენსა ზედა სპეტაკსა, და ჰრქუა: „შემოველ, ნუგეშინინ“. და უსყრა კელსა მისსა და წიაღ იყვანა მშჳდობით. ხოლო იგი თჳთ უჩინო იქმნა. და იტყოდა თჳთ წმიდაჲ იგი, ვითარმედ: „გულსავსებით ვიცან, ვითარმედ გამოჩინებული იგი, რომელმან წყალთა შინა სიკუდილისაგან მიჰსნა, დიდებული მთავარმოწამე გიორგი იყო“.

და ესრეთ, ნებითა ღუთისაჲთა, მშჳდობით მოიწია წმიდასა ამას მთასა, თაყუანისცა წმიდასა ღუთის მშობელსა და მადლობაჲ შეწირა, და მერმე სურვილით ამბორს უყო სამარხოსა წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთჳმესსა. ხოლო ძმათა სიბარულით შეიწყნარეს და განუსუენეს და დიდი პატივი მიუპყრეს, და მადლობდეს ღმერთსა, რომელი მიუძღა, ხოლო იგი იყოფებოდა მოღუაწებითა, გონებაჲთა უაღრესითა, მარხვითა და

ლოცვითა, სიმდაბლითა, სიმშჯდითა, და მორჩილებითა, და მოთმინებითა, და, უმეტეს ყოვლისა, თავისა თჳსისა შეურაცხ ქმნითა: რამეთუ ვიდრე ჟამ რაოდენიმე, ვითარცა ლიტონი და უსწავლელი საგონებელ იყო ყოველთაჲ მიერ, რამეთუ მისცა თავი თჳსი მსახურებასა და მორჩილებასა ძმათასა, და წელიწადსა შჯდსა შეურაცხად საგონებელთა საქმეთა სიმდაბლით ჰმსახურებდა, და არნ ყოვლადვე მგლოვარე და თავ დადრეკ'ლ, რამეთუ კორციელითა თუალითა ყოველადვე ქუჱყანად ხედავნ, ხოლო თუალნი სულისანი მარადის უხილავსა მას დიდებასა ღუთისასა უხილავად განიცდინ, რომელი ესე მცირეთა მიერ მოსაპოვნებელ არიან, საქმე ბუნებითი და მრავალთაგან ძნიად საგონებელი, რათამცა თჳნიერ საჭიროთა საქმეთა არავინ აჳედევებდა თუალთა თჳსთა, რომელი იგი მან, ვითარცა ბუნებითი შეითჳსა სიყრმითგან ვიდრე სიბერედმდე.

224

რამეთუ მას ჟამსა, ოდეს იგი აღმოსავლეთს*) ვიყუენით, დღესა ერთსა იწება ღუთის მსახურმან მეფემან ბაგრატ გამოცდად ნეტარისა ამის მოხუცებულისა, და ჰრქუა მთავართა თჳსთა: „გნებავს, რათა გ'ჩუენო საქმე მაღალი? მოვიდეს ჩუენდა გიორგი მთაწმინდელი, და დაიცადეთ ყოველთა, ვიდრეცა განსლვადმდე მისა, რათა არა მოგუხედნეს, და არცა განიცადოს ხატი ჩუენი". მაშინ უბრძანა წინაშე მდგომელთა მოლოდებად ბერისა, და, ვითარცა შემოვიდა სამეუფოსა მას კარავსა, აღდგეს ყოველნივე დიდებულნი და აწკეს ბერსა, რათა უმეტესნი თჳთ მოწაფენი იყუნეს მისნი; და, ვითარცა დაჯდა, იწყო მეფემან უბნობად მისა მრავალ სახედ, სარგებლისათჳს სულისა; და ეგრეთვე ეპისკოპოსთა და მთავართა, ხოლო ნეტარი იგი თჳთოეულად ყოველთავე პასუხსა მისცემდა, და სწავლათა მიერ სულთა მორწყვდა, და ქუჱყანად მიმართ ხედვიდა, და აღასრულეს დღე იგი ეგრე ვიდრე ეჭუს ჟამადმდე.

ხოლო ბერი იგი იჯმნიდა წარსლვად, ჰრქუა მას მეფემან: „მამაო, ჰყავ სიყუარული და განმიცადე, თუ ვითარი ვარ?" ხოლო ბერმან, რეცა ღიმილით, მცირედ მიხედნა და ჰრქუა მას: „ჭ მეფეო, აჰა ესერა, ვხედავ პირსა შენსა, ვითარცა პირსა ქრისტესსა, რამეთუ ყოველითურთ ღუთის მსახურ ხარ და ღუთივ დაცულ". და ესე ამისთვის ვაჳსენეთ, რათა სცნათ, ვითარმედ არა ხოლო თუ ოდენ სიჰაბუკესა არა განიცდიდა ხატსა უცხოსა, არამედ მოხუცებულებასაცა. ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ. ვითარცა იყო წმიდაჲ ესე დიდსა ლავრასა შინა ეგე ვითარითა შეურაცხებითა თავისათა და მოღვაწებითა ფიცხელითა,

*) „აღმოსავლეთად" ძველს წიგნებში, მეტადრე თუ ათონსა და, საზოგადოდ, საბერძნეთს დაწერილან, მუდამ იწოდება საქართველო.

ეუწყა ნეტარსა მას ბერსა მოძღვარსა მისსა გიორგის, ვითარმედ წუთ არცა მღდელობისა პატივი მიუღებიეს, და არცაჲ წერილთა თარგმანად უწყიეს; შეწუხნა ფრიად, და წარმოავლინა შავით მთით მოწაფე თჳსი, კაცი ღირსი და სახიერი, სახელით თეოდორე, დიდი მდურვა მოუმცნო არღა აღსრულებისათჳს ნებისა მისისა; ხოლო ნეტარი ესე არა ურჩებით იქმოდა ამას, არამედ ყოვლითურთ არა რად და უნდოდ შეერაცხა თავი თჳსი, რამეთუ ეკსენა სიტყუაჲ იგი უფლისაჲ, ვითარმედ: „ვინ რომელმან დაიმდაბლოს თავი თჳსი, იგი ამაღლდეს“. და კუალად იტყჳან მამანი, ვითარმედ: „დედა არს ყოველთა ვნებათა ცუდი დიდებაჲ“. ხოლო წმიდაჲ ესე არა ნებსით მიიღებდა, არაჳედ იძულებით, ბრძანებითა მოძღურისათა. მაშინ მრავლითა ცრემლითა და სულთქმითა მოწიწებით და შიშით მიიღო პატივი მღდელობისა; არა იყო ეგე ვითარი ვითარ ესე აწ: მრავალნი, პირუჳლ თავისა თჳსისა განწმენდისა, სიტყჳთ განწმენდილ იქმნებიან, და, ვითარცა უნდოსა რაჲსამე საქმისა მიმართ, ეგრეთ მღდელობისა მიმართ მიისწრაფიან, და პირუჳლ წუხართა გამოსლვისა მოხუცებულთა უმოძღვრიან, ვითარცა იტყჳს გრიგოლ ღუთისმეტყუჳლი. ხოლო წმინდამან ამან მცირედ-მცირედ შედგა ფუკი ხარისხსა მას ზედა კიბისასა, და ეგრეთ აჰკდა თავსა ზედა, და რამეთუ პირველად დასახის თავთა მისთა ხარისხთა მანათა და საბელთა მისთა და მერმე ტურპელთა სამღდელოთა, მერმე კიდობნისა მტკრთველ იქმნაჲ, სხუაჲთა მიერ აღსრულებულად შემზადებულსა, და რაჲსაღა მრავალსა ვიტყოდე! მცირედ-მცირედ შინაგან წმიდასა წმიდათასა წარდგა მღდელი წმიდაჲ, სხუათაცა წმიდაჲ მყოფელად იპოვა.

რ მეთუ, ვითარცა ვთქუთ, მიიღო რაჲ პატივი მღდელობისა, შემდგომად მცირედისა მთავრად ეკლესიისა განიწესა, უხუცესად მღდელთა და მგალობელთა დაიდგინა, და ამას შინა დაყო რაჲ მცირედი ჟამი, მოეკსენა პატივი იგი ტალანტის დამფულველისა მის, და უფროსადღა შეეშინა ურჩებისათჳს მოძღურისა თჳსისა; ამისთჳსცა, ვითარცა ბრძენმან ხუროთ მოძღუარმან, პირველად კეთილი საფუძველი დადვა: იწყო რაჲ შენებად ღუთისაჲ ეკლესიასა, და პირველ ყოვლისა სკნაქსარი თარგმნა, რამეთუ ესე არს საფუძველი ეკლესიათა, რომლისაჲ თჳნიერ შეუძლებელ არს წარმართებაჲ ეკლესიისა: რამეთუ რომელსა ეკლესიასა სკნაქსარი არა ჰჳნდინ, დაღაცათუ ყოველნი წიგნი ჰჳნდინ, თაფლსა ჰგმს, ხოლო სიტკბოებასა სასა ვერ სცნობს,—ესე არს, ვითარცა ვთქუთ, პირველი სამკაული ეკლესიათა; რამეთუ დაღაცათუ ეთარგმნა წმიდასა მამასა ეფთჳმესცა სკნაქსარი, გარნა ფრიად სულ მცირედ

აღეწერა სხუათა წიგნთა თარგმანებისა უცალოებითა, რომელ უკეთუმცა ყოველნი დღენი მისნი სხმოდესღა, სრულებით თარგმნიდა.

ძუალად თარგმნა წმიდამან მამამან გიორგი შემდგომად სჳნაქსარისა სახარებაჲ გამოკრებული საწელიწდო, პავლე შემკობილი საწელიწდო, საწინასწარმეტყუელო საწელიწდო; მერმე დიდი კურთხევანი, თარგმანი დაბაჲდებისა, რომელ არს ცხოვრებაჲ აბრაჰამისი, თუს სეკდენბერი, რომელი თჳთო გალობითა პირველ მამასა ეფთჳმეს ეთარგმნა, იგი სრულ ყო, ხოლო თარგმნა დიდი პავლე სრული და კათოლიკენი წმიდათა მოციქულთანი,—ესე რვა თავი წიგნი თარგმნა მთაწმიდას თავისა საკრძითა, და ყოველნი ესე ეკლესიისა მსახურებასა შინა, რამეთუ, ვთქუთ, დეკანოზად დაედგინაჲ.

ხოლო შემდგომად ამისსა, ვითარცა გამოიცადა მრავალთა შინა საქმეთა, და ყოველსა შინა იპოვა წმიდაჲ და უმანკო, ვითარცა ოქრო მრავალთა ბრძმედთა მიერ გამოცდილ-თა გამოცდილი, მაშინ ყოველთა ძმათა ერთნებაობითა და განზრახვითა, მაღალსა მას კიბესა წინამძღვრობისასა აღიყვანეს და საყდარსა წმიდისა მამისა ეფთჳმესსა დასუბს: „და სანთელი სასაუთლესა ზედა დგეს, სიტყჳსა ბრ სახარებისა, რათა სავსებასა ძმათასა უნათლობდეს". ესრეთ აღამაღლებს სიმდაბლე მომგებელთა თჳსთა, ადიდებს აქაცა და უფროს-დ საუკუნესა.

ხოლო ნუ ვინ ჰგონებს ესრეთ, თუ ადვილად და უსიტყჳოდ შეიწყნარა უღელი იგი წინამძღვრობისა,—ნუ იყოფინ! არამედ ყოველითა ძალითა თჳსითა წინა აღუდგებოდა: რამეთუ სამგზის წილ უგდეს ძმათა სხუაჲთა თანა, ვითარცა იყო წესი მონასტრისა შეწირვითა უსისხლოსა მსხუპრპლისათა, ქუსე წმიდასა ტრაპეზსა დასხმითა წილთათაჲ; სამგზისვე მას ხუდა, და ამისმიერ გულის კმაჲ ყო, ვითარმედ „არს ნებაჲ ღუთისაჲ", და, ზეგარდამო გულსავსე ქმნილმან, მიიღო კუსრთხი მწყჳსობისა.

ხოლო ამიერითგან ნიტარისა მის ღუაწლნი და შრომანი აურაცხელ და მიუწდომელ არიან, რამეთუ მისცა თავი თჳსი ფიცხელსა მოღუაწებასა უფროს პირველისა, რომელსა ოდენ დაიტევს კაცობრივი ბუნებაჲ, რამეთუ იჯმნა სრულიად ღჳნისაგან და წუსლისა, და ჰმოსიედ სამოსლად მისა—ქუსე ძაძა ფიცხელი, ხოლო მას ზედა საფარველად ჩაჯაჲ ერთი, და, რათა არა განჳგრძოთ სიტყუაჲ ჩუსნი, ყოველნივე სათნოებანი თავსა შორის თჳსა დაიუნჯა და თავი თჳსი ყოველთა სახედ დაუდგაჲ, არა სიტყჳთა ასწავა, არამედ საქმითა უჩუენნა გზანი საუკუნოჲსა ცხორებისანი სამწყსოთა თჳსთა.

რამეთუ უკეთუ არა პოოს კელოვანმან ნივთი შემსგავსებული საქმისა თჳსისა, ვითარ გამოაჩინოს ბრწყინვალებაჲ საქმეთა თჳსთა! ანუ ვი-

თარ საცნაურ იქმნეს მენავეთ მოძღვარი, უკეთუ ღელვათა შინა ზღუსათა არა გამოიცადოს! გინა მკედარი ვითარ გკრძკნოსან იქმნეს და იდიდოს, უკეთუ განწყობილთა არა ეკვეთოს მრავალგზის! ეგრეთვე წმინდამან ამან 226
ოდეს მიიღო კუბრთხი მწყემსობისა, მაშინღა საცნაურ იქმნა სრულად დაფარული იგი სიბრძნე სულსა შინა მისსა, და ყოვლისა პირველად ესე ყო ყოვლითა გულსმოდგინებითა და ფრიადითა სარწმუნოებითა, ესრეთ მკურვალედ შეუდგა კვალსა წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთჳმესსა, და ყოველნი წესნი და კანონნი და განწესებანი მისნი ესრეთ შეიტკბნა, ვითარცა პირისაგან ღუთისაჲ გამოსრულნი, და წმიდათა მოციქულთაჲ მიერ დამტკიცებულნი.

რამეთუ პირველითგანვე, ვინაჲთგან მოვიდა იგი წმიდასა ამას მთასა, მოსწრაფებითა, და წადიერებითა, და გულსოდგინედ გამოწულილვით გამოიკითხა და გამოიძია მოწაფეთაგან და მეგობართა წმიდისა მამისა ჩუენისა დიდისა ეფთჳმესთა უსხეულოთა მიმსგავსებული და კაცთა ბუნებისა აღმატებული ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ მისი, და ნეტარისა მამისა მათისა იოანესი, და სხუათა წმიდათა ბერთა, და დიდებულისა ამის ლავრისა შენებაჲ და განგებანი, რომელნი წმიდასა მამასა ეფთჳმეს დაესხნეს; ესე ყოველნი აღწერით დაჰკჳეევნა, და ხატად ცხოველად და ძეგლად პირმეტყველად მომავალთა ნათესავთა აღგჳმართა, რომლისა იგი მკითხველ მსმენელნი სულით და კორცით განათლდებიან, და ესე აღწერა, ვიდრეღა იყო დიკანოზად, გარნა რომელი იგი გონებასა შინა დაეუნჯა და დაეწერა, მას ჟამსა აღწერასა მისსა თანა წარჰკჳა, რათა, რაჟამს საქმით აღასრულოს, მაშინ აღწეროს: ესე იგი არს შენებაჲ სამარტკლოსა და შემკობაჲ მისი ყოველითა სამკაულითა, რომელსა აწ ყოველნი ხედავთ, რამეთუ ამან ნეტარმან, რაჟამს კუბრთხი წინამძღრობისა მიიღო, ყოველისა პირველად იღუწა და პატიოსანი ესე ლარნაკი შეჰმზადა საუნჯედ, შემწყნარებელად მზისა უბრწყინვალესთა და მარკალიტისა უწმიდესთა მათ ნაწილთა წმიდისა და ღმერთ შემოსილისა მამისა ჩუენისა ეფთჳმესთა, ვინა იგი წყაროჲ კურნებათა და მადლი სასწაულთა უხუბით აღმოდის, და ესენი დიდითა პატივითა, ფსალმუნითა და გალობითა, სულნელებითა საკმეველთაჲთა და კეროვნებითა ბრწყინვალებითა, ყოველად დიდებულად და ღუთივ შუენიერად მოცვალნა ნათლისმცემელისა ეკლესიით დიდებულსა ამას ეკლესიასა შინა ყოველად წმიდისა ღუთის მშობელისასა, რამეთუ ჯერეთცა ესრეთ იყო, ვინათგან უწყით ყოველთა, ვითარმედ ყოველნი წმიდანი შემდგომითი შემდგომად ამაღლდებიან უხილავსა მას შინა დიდებასა, ვითარცა ანგელოზთათჳს წერილ

ბრს, ვითარმედ „ძალითი ძალად წარემატებიანო“—ეგრეთვე ნეტარი ესე მამა ჩუენი, ხილულად ყოველთა შემდგომითი შემდგომად მოიცვალა ტჳრთული კელთაგან კაცისა ამის საკჳრველისათა; წმიდაჲ იგი აჰრონ სამღდელთოთა მით სამკაულითა აღმკულ იყო არა აჩრდილსა შინა დაშთომადთა, არამედ მადლსა შინა განბრწყინვებადითა, და, ვითარცა კიდობანი სიწმიდისა, თავს ეტჳრთა გვამი იგი წმიდაჲ, მტჳრთველი საღმრთოთა მათ სიწმიდეთა; და ესრეთ, შინაგან წმიდისა ამის ტრაპეზისა შემოიყვანნა, და წმიდასა ამას ლარკანსა დაუსუენნა, ვითარცა ესე ყოველნი ხედავთ.

და მერმე, მეორემან ამან ელისე, არა თუ ხალენი მოიღო ელიასი, არამედ ფრიად უმაღლესი და უზეშთაესი მარჯუენე იგი განმაცხოველებელი, მწერალი მაღალთა მათ ღუთის მეტყუელებათა; ესე აღიღო ნაწილად მკჳდრობისა თჳსისა მრჩობლსა მას და განმაცხოველებელსა სულსა, არა თუ იორდანე განაპო სამგზის ცემითა ხალენისათა, არამედ ფრიად იორ-
227 დანისა უმდიდრესნი და ულრმესნი მდინარენი საღმრთოთა წერილთანი მადლითა მით წმიდისა მის მარჯუენისათა განაპნა, და ნოტიობისაგან უგულისკ ოებისა დაულტოლველად განვიდა, და წყალნი იგი მწარეთა მათ მოძღურებათანი სიტყუათა თჳსთა მარილითა დაატკბნა, და ყრმებრ მბასრობელნი იგი და ძჳრის მზრახველნი უგუნურთაჲ ენანი დაადუმნა, რამეთუ, ვითარცა ეტყოდა მაცხოვარი თჳსთა მოწაფეთა, ვითარმედ: „მრავალთა გული უთქმიდა ხილვად, რომელსა ესე თქუენ ხედავთ და ვერ იხილეს“.

ესე, ვითარცა პირველ ვთქუთ, ღუთივ განბრძნობილმან წმიდამან მამამან გამოიყვანა მარჯუენე იგი განმაცხოველებელი, რომელმან ჩუენ განგვანათლა და უქმნა გვადრუცი გონიერი და მას შინა შთაასუენა, სხუაჲთა წმიდათა ნაწილთა თანა წმიდისა სტეფანე პირველ მოწამისა, წმიდისა ეგნატი ღმერთშემოსილისა, წმიდისა იაკობ დაჭრილისა, წმიდათა კოზმან და დამიანესთა ვრაბიელთა, წმიდათაჲ ორმეოცთა, წმიდისა პანტელეიმონისი, სხუაჲთა წმიდათა მართალთაჲ ევლოგიები და ცხოველს მყოფელისა საფლავისა.

ამათ ყოველთა წმიდათა მართალთა თანა დაუსუენა კელი მარჯუენე წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთჳმესი და თჳთ თავით თჳსით მსახურებნ, და ოდეს გზასა ვალნ, თჳთ თავით თჳსით უტჳრთავნ წმიდაჲ იგი გუადრუცი; ამით, ესე ვითარითა სახითა, კნინღა და ყოვლისა სოფლისა სახილველ და თაყუანისაცემელ ყო, მთა წმიდითგან ვიდრე შავსა მთასა და ყოველსა ასურეთსა, და იერუსალიმსა და აღმოსავლადმდე წმიდაჲ მამა ჩუენი ეფთჳმი მარჯუენისა მიერ თჳსისა, მეფეთაგან და მთავართა, მღდელთ მოძღვართა და მღდელთა და ყოვლისა ერისა. ხოლო ჩუენ პირველსავე

სიტყუასა მოვიდეთ. და ვითარცა დაუსუსნნა ნაწილნი მამისა ჩუენისა კეთილმან მან მუშაკმან სიბრძნისამან, განიზრახა ღუთივ შუსნიერი განზრახვა, შემოგავსებული სიბრძნისა თჳსისა, რათა მიზეზი იგი ყოველთა კეთილთა, დასაბამი წყალობათა ღუთისაჲთა, თუალი წყაროჲსა და ძირი უკუდავებისა წმიდაჲ მამა ჩუენი იოანე, მამაჲ წმიდისა მამისა ჩუსნისა ეფთჳმესი, არა დაუტეოს გარე სამარტჳლოსაგან ძისა თჳსისა ეფთჳმესსა, რამეთუ ესუსნა იგი პირველ ეკლესიასა წმიდათა მთავარ ანგელოზთასა, და ეგრეთვე სხუანიცა წმიდანი იგი ბერნი: ნეტარი არსენი ნინოწმიდელი ეპისკოპოზი, და საღმრთოჲ ბერი იოანე გრძელის ძე, რამეთუ იგი გარეგან მონასტრისა სოხასტრისა, ერთსა შინა ეკლესიასა წმიდისა სჳმეონ მოხუცებულისასა ესუსნნეს, რამეთუ მუნ დაყუდებით ცხონდებოდეს; ესენი დიდად თანამწე ექმნეს წმიდასა მამასა ჩუსნსა ეფთჳმეს—თარგმანებასა შინა წმიდათა წერილთასა, და მოშურნე და მობაძავ წმიდათა სათნოებათა მისთა იქმნნეს, და მრავალნი წიგნნი ეკლესიისანი ჭამსა სიბერისასა თჳსითა კელითა აღწერნეს. პირველ აღმოიყვანნა ნაწილნი წმიდისა მამისა იოანესნი, ვითარცა ვთქუთ. და ჴელსა თჳსსა თანა დაჰკრძალნა, და მერმე იწყო ძიებად ზემოხსენებულთა ამათ წმიდათა მამათაჲ ნაწილსა, ხოლო არა უწყოდა ადგილი და დიდად მწუხარე იყო; ხოლო განკებითა ღუთისაჲთა ესე ვითარითა სასჴაულითა ჰპოვნა საწამებელად და პატივად წმიდათა ნაწილთა მათთა ღირსებისა: ხოლო ხენი ფინიკისანი აღმოსრულ იყუნეს საფლავსა მათსა ზედა, ხოლო ძირი ხისანი ქუსშე შთასულ იყუნეს, და გარემოს წმიდათა მათ ნაწილთა მოხუსულ იყუნეს ესრეთ, ვითარცა ცხოველთა ზედა ეტკრთნეს პატიოსანნი იგი ნაწილნი მათნი და სულნელებაჲ ფრიადი იყოსებოდა; და ესრეთ აღმოიყვანნა და დაუსუსნნა ჭუსშე კერძო ნაწილთა წმიდისა მამისა ჩუსნისა ეფთჳმესჲ, და დაჰკრძალა სამარტჳლო 228
იგი განუწყებელად ვიდრე დღემდელად დღედმდე, და შეამკო იგი ყოველითა სამკაულითა, ხატითა და ჯუარითა, ქორკანდლითა, სასანთლითა და ეზოთა და სხჳთა ყოველითაჳე ბრწყინვალებითა, ვითარცა შუსნის წმიდათა მათ.

და განეწესა, რათა მოუკლებელად სამი კანდელი ენთებოდის, და ყოველივე წესი შეუცვალებელად აღესრულებოდის, მადლითა წმიდისა მამისა ჩუსნისა ეფთჳმესითა და მოკზებითა წმიდისა ღუთის მშობელისათა, ამინ.

3/5 და ვითარცა დიდი ესე და მაღალი საქმე ესრეთ ღუთივ ბრწყინვალედ და ღუთივ შუსნიერად სრულ ყო, კუალად იწყო მოღუაწებად ეკლესიისათჳს: რამეთუ ზედა ტყჳე არა იყო და წყალი შთადიოდა; ვი-

თარცა წამებენ ხატნი, რომელ აღკოცილ არიან. რამეთუ ჩუჱნი შუჱნებაჲ ესე ეკლესია არს, და ესე ესრეთ უშუჱრ იქმნებოდა; ხოლო ამან ნეტარმან კეთილი ღონე მოიპოვა: რამეთუ წარვიდა წინაშე ღუთის მსახურისა მეფისა კოსტანტი მონამახისა, ქალაქად სამეუფოდ, და ვითარცა შევიდა წინაშე მისსა, ჯეროვანი მოკითხვა მიაგება ბერსა მეფემან, რამეთუ დიდი სარწმუნოებაჲ აქუნდა მისა მიმართ, და ესვიდა წმიდათა ლოცვათა მისთა; და ჰრქუა მას: „რაჲსათჳს მოშურა სიწჳდე თქუჱნი, კაცო ღუთისაო, ჩუჱნისა მომართ კელმწიფებისა?“ ჰრქუა მას ბერმან: „გიხაროდენ ქრისტეს მიერ, ბრწყინვალეო ჵ თჳთმპყრობელთა შორის, გიბრძანებს ჩემ მიერ გლახაკისა, ყოვლად წმიდაჲ სასო იგი და შესავედრებელი ღუთის მსახურებისა შენისა წმიდაჲ ღუთის მშობელი, რათა მარადის სადიდებელი ტაძარი მისი არა განირყუნას წყალთაგან, რომელი ჩამოდის ზედა უბურაობითა მონასტერსა ჩუჱნსა, აწ ბრძანენ მეფობამან შენმან მოცემად ტყჳი, რომლისა მიერ დაებუროს წმიდაჲ ეკლესია, რათა მას შინა ელოცვებოდის წმიდასა მეფობასა შენსა“.

ხოლო მან სიხარულით სრულ-ყო თხოვნა იგი ბერისა, და ნივთთაგან სამეუფოთა უბრძანა მოცემა ტყჳისა, რომელი იგი მოიღო და დაბურა წმიდაჲ ეკლესია, ვითარცა ყოველნი ხედავთ, თუ რაბამ შუჱნიერ არს, და ამას ზედა შესძინა და გჳრგჳნი — შტო აღაშენა და ესრეთ, ყოვლითურთ სრულ-ყო წმიდაჲ ეკლესია, და ამისა შემდგომად იღუაწა შეწევნითა საღმრთოჲთა, და აღიხუნა ოქრო ბეჭედნი მტკიცენი, ღუთის მსახურთა მეფეთაგან დამტკიცებულნი ოქრო ბეჭედთა ჩუჱნთანი, და მერმე შესძინნა ზღუარნი არა მცირედნი პრასტინთა მონასტრისა ჩუჱნისათა, და უმეტეს ყოვლისა ზღუარი მისოპამინისა, სადა იგი ყოველი ხუასტაგი ეკლესიისა უხუჱბით გამოიზრდების, და კუალად რამეთუ დიმოსისგან დიდსა შინა ჭირსა იყუნეს პრასტინნი ჩუჱნნი ესრეთ მოსცა უფალმან ჟამი მარჯუჱ:

მას ჟამსა, ოდეს ღუთის მსახური ბაგრატ, აფხაზთა მეფე, და დედა მისი მარიამ დედოფალი სამეუფოდ ქალაქად *) მოვიდეს, აღვიდა წმიდაჲ ესე მამა ჩუჱნი ღუთის მსახურთა მათ მეფეთა თანა, და, იხილა რაჲ მეფემან და დედოფალმან და ყოველთა მთავართა და წარჩინებულთა მათთა, განიხარეს სიხარულითა დიდითა: რამეთუ ასმიოდა საღმრთოჲ იგი მოქალაქობაჲ მისი, და მიიღეს წმიდაჲ ლოცვა და მადლი მისი, და სულიერი სარგებელი ფრიად მოისთვალეს, და მადლობდეს ღმერთსა; და ესრეთ, ყოველივე საქმე მონასტრისა, რაჲცა უნდა, ყოველი კეთილად იურვა, და დიმოსისა საქმე მაშინ გარდასწყჳდა: რათა მედიმოსენი პარასტინთა ჩუჱნთა ვერ შემოვიდენ, არამედ, რათა გარეს გარე, სეკრეტონსავე შინა მიეცე-

*) კოსტანტინეპოლს.

მოდის როქისაგან ჩუენისა ლიტრა ერთი დიმოსად, ვითარცა თჳთ განაწესა 229
ღუთის მსახურმან მეფემან ქოსტანტი მონამახმან, და ამას ზედა ოქრო
ბეჭედი შექმნა მტკიცე და უქცეველი.

ამისა შემდგომად დაემოწაფა მარიამ დედოფალი, დედა ბაგრატ მე-
ფისა, და იკურთხა მის მიერ სქემითა, და გამოითხოვა მონამახისაგან
ლიტრა ერთი როქად წმიდისა მონასტრისათჳს და შემოწირა ეს საუ-
კუნოდ საკსენებელად სულისა თჳსისათჳს წმიდასა ამას ეკლესიასა; და
ეგრეთვე არსენი მოწაფე იყო ბისი და ლიტრა ერთი მან შემოწირა წმი-
დასა ამას ეკლესიასა თავის პატივთაგან, დაღაცათუ სხუანი ურიცხუნი
კეთილნი მოიხუნა ამან კეთილად კსენებულმან არსენი, ფარსმან ყოფილ-
მან, გარნა ესე ლიტრა ერთი განზრახვითა წმიდისა ამის მამისათა შე-
მოსწირა და ოქრო ბეჭედსა შინა დაეწერა.

ესე სამი ლიტრა განძი და სხუანი ზემო კსენებულნი საქმენი ამის
ნეტარისა მამისა ჩუენისა მოღუაწებითა წმიდასა ამას ლავრასა შეეძინნეს,
და ვიდრე უკუნისამდე მტკიცედ და უკუნისამდე შეეძინებოს.

ხოლო რომელი იგი არა ღირს არს დუმილი, არამედ ღირს კსენე-
ბისა და შუენიერებაჲ აღწერისა, და მიწთომელ მადლსა მას სამოციქუ-
ლოსა და მაუწყებელ მრჩობლსა ძალსა საკჳრველებათასა, რომელი აქუნ-
და კაცსა ღუთისაჲ შეყვარებულსა, რომლისა მიერ პირველი იგი ხა-
ტად ღუთისად დაბადებულებაჲ თჳსი გამოაჩინა, ვინათგან უწყით ესე ყო-
ველთა, რომელ მოწყალებაჲ ბუნებით არს კაცსა თანა, ხოლო ვინათგან
მცნებისა გარდასლვითა ბუნებითი იგი შჯული და ხატებაჲ ღუთისაჲ ორ-
კერძო განიყო, არა ხოლო თუ მოწყალებაჲ, არამედ ყოველნივე საუნოება-
ნი—რომელნიმე სრულიად კეთილისაჲან ბოროტად შეიცვალნეს, და რო-
მელნიმე მცირისა ნაწილსა ზედა დაადგრეს.

ხოლო ღუთის მსგავსი მოწყალებაჲ ესე არს, რათა კაცი არა ხო-
ლო თუ ზიართა ბუნებისა თჳსისათა სწყალობდეს, არამედ, რათა პირუ-
ტყუთაცა ზედა მისწუთეს მოწყალებითა, ვითარცა ესე წმიდაჲ და სა-
კჳრველი მამა ჩუენი, რომელმან იგი მის შორის ღუთივ ბრწყინვა-
ლედ გამოაჩინა.

რამეთუ ჟამსა მას, ოდეს იგი ღუთის მსახური ბაგრატ მეფე სამეუ-
ფოსა ქალაქსა შინა იყო, ესმა მას საქმე საკჳრველი და ყოვლად არა დასა-
ჯერებელი, ვითარმედ: არს ნათესავი სამარიტელთა, ტომისაგან სიმეონ
მოგჳსა, რომელთა აწინკან ეწოდების, განთქმულნი გრძნებათა შინა და
უკეთურებათა, ხოლო ფილოპატსა მეფისასა მკეცნი შეჩუულ იყუნეს და
ჰამდეს ნადირთა მათ, რომელნი არიან მას შინა სანადიროდ მეფისა; ცნა ესე
დიდმან მეფემან მონამახმან, უბრძანა მოყუანებაჲ აწინკთა მათ, რათა კე-

ლოვნებითა გრძნებისა თჳსისათა მოსწყვდნეს მკეცნი იგი, ნადირთა მათ მომსრველნი.

ხოლო მათ ბრძანებაჲ მეფისა საქმით აღასრულეს და მრავალნი მკეცნი მოსწყვდნეს. ცნა ესე მეფემან ბაგრატ, ვითარცა ზემო ვთქუთ, და მოუწოდა აწინკანთა მათ და ჰრქუა: „ვითარითა სახითა მოსწყვედენით მკეცნი იგი, მაუწყეთ?“ ხოლო მათ ჰრქუეს: „ჵ მეფეო, ესე ვითარსა ჴელოვნებასა მიწდომილ ვართ, ვიდრემდა კორცსა შევგრძნავთ და დავსდებთ ადგილსა მას, რომელსა მკეცნი იგი მოვიდოდიან, და ჩუენ ხესა ზედა აღვჴდებით და მკეცებრივითა კმითა უკმობთ, და იგინი კმასა ჩუენსა შემოკრბებიან, კორცსა მას ჭამენ და მოკუდებიან მეყსეულად, ხოლო დიდსა შაბათსა
230 შობილი მკეცი არა გუსმენს და არცა ჭამს, არამედ გუეტყჳს: „თუ კარგი არს, თქუენ სჭამდით და ჭამეთო“, და მშჳდობით წარვალს“. ხოლო მეფემან ჰრქუა: „ვიდრე თუალითა არა ვიხილო, არა მრწამს!“ ევედრნეს მეფესა, რათა უბრძანოს მოყვანებად მკეცი ერთი, რათა თუალითა უჩუენონ; ხოლო ვინათგან სხუაჲ მკეცი ვერვინ პოვა, ბრძანა მოყვანებაჲ ძაღლისა, რომლისა უწყოდეს, თუ სხუაჲსა ჟამსა შობილ იყო და არა ზემო კსენებულსა მას დღესა, და მიუგდეს კორცი იგი შეგრძნებული.

ხოლო მას ჟამსა წმიდაჲ ესე ბერი მუნ იყო, წინაშე მეფისა, და აღიძრა წყალობითა ბუნებითითა, ვითარცა ზემო ვიტყოდით ხატებისათჳს და მსგავსებისა ღუთისაჲ, და მერმე არა ხოლო თუ შეეწყალა, არამედ შურითაცა საღმრთოჲთა აღივსო, რათა არა ქრისტიანეთა შორის ესე ვითარი საქმე იხილვებოდის და, უმეტესად, მეფეთა და სადა იგი თჳთ ნეტარი დახუდის.

მაშინ მეყ'ეულად, რეცა გამოსახა სასწაული პატიოსნისა ჯუარისა კორცსა მას ზედა მიგდებულსა; ვითარცა აღიღო პიოუტყუმან მან მეყსეულად თქჳს განყვანებაჲ მისი, რათა არა დაეცეს და მოკუდეს; და, ვითარცა განიყვანეს, ყოვლადვე არა რაჲ ევნო; ულონო იქმნნეს გრძნეულნი იგი და ევედრნეს მეფესა, რათა შინაგანსა სახლსა შეავლინოს ბერი და ბრძანოს მოყვანებაჲ სხჳსა ძაღლისა; და ვითარცა შევიდა წმიდაჲ იგი და მოიყვანეს სხუაჲ ძაღლი, და ვითარცა მიუგდეს კორცი შეგრძნებული, მსწრაფლ ხოლო დაეცა და მოკუდა, და გულის კმაჲ ყვეს ყოველთა, ვითარმედ წმიდისა მის მიერ იყო პირველი იგი სასწაული.

ხოლო ბაგრატ მეფემან, ვითარცა იხილა ესე ყოველთა თანა მთავართა თჳსთა, აღივსო სიხარულითა, და მიუთხრეს სასწაული ესე ღუთისმსახურსა მეფესა კოსტანტის მონამახსა, და დიდად განიხარა და ჰმადლობდა ღმერთსა; ხოლო ბაგრატ მეფე იტყჳნ ყოვლადვე, ვითარმედ: „უკეთუ

მიახლოს წმიდაჲ ესე, არა მეშინის არცა გრძნებათაგან და არცა წამალთა სასიკუდინეთა.

ამისა შემდგომად, ვითარცა იხილა ღუთის მსახურმან მეფემან ბაგრატ ესე ვითარი ესე მოკლაკობაჲ მისი და უსხეულოთა მსგავსი ცხორებაჲ და ზემო წერილისა ამისცა სასწაულისა ხილვითა ყოვლითურთ იწყლა სული მისი სიყუარულითა მისითა, და ღონესა ეძიებდა, რათამცა თჳსსა მამულსა წარიყვანა.

ხოლო არს მამულსა მისსა წარჩინებული სამღდელთ მოძღრო საყდართა შორის სამეფოსა მისისათა—საყდარი ჰ ყ ო ნ დ ი დ ი ს ა, სადა იგი მრავალთა წმიდათა მარტკლნი დაუსუენებიან და თჳსი საფლავი მუნ განემზადა, რათა, რაჟამს აღესრულოს, მუნ დაემარხოს; ამის საყდრისა მღდელთმოძღუარი მას ოდენ ჟამსა აღსრულებულ იყო; ამან ღუთის მსახურმან მეფემან ბაგრატ დიდად აიძულა ნეტარსა მამასა გიორგის, რათა მიითვალოს გარგებაჲ მისი და იქმნას ეპისკოპოს; ხოლო მან ყოვლადვე არა თავს იდვა, რაჳთუ ყოვლითა მოსწრაფებითა ველტოდა დიდებასა კაცთასა და შფოთსა სოფლისასა, და სიმდაბლესა შეიტკბობდა; და ესრეთ, დაყო სამეუფოსა ქალაქსა რაოდენიმე ჟამი, და ყოველნი საქმენი მონასტრისა თჳსისანი განჰმართნა, და ნებითა ღუთისაჲთა კუალად თჳსადვე ლავრად მოიქცა, და დიდითა სიხარულითა და სიყუარულითა შეიწყნარეს ძმათა; და განაგებდა და იპყრობდა მონასტერსა ამას ჟამ რაოდენმე.

ხოლო ჯერ არს ხსენებად დიდისა მის და სამოციქულოსა კელმწიფებისა, რომელი წმინდამან ამან აჩუენა, რომელ არს შემუსვრა კერპთა და მსახურებისა მათისა უჩინო ყოფა, რომელი ესე ნეტარმან ა მ ა ნ, ჟამთა ჩუენთა, მაღლად და ღუთივ ბრწყინვალედ აღასრულა. 231

რამეთუ არს მთა წმიდისა პრასტინთა შინა სოფელი ერთი, რომელსა ლივსდია ეწოდების, ადგილი რაჲმე, მოქცეული ყურე, ყოვლად უდაბნო, მთანი უღაღ მაღნარნი, და, ვჰგონებ, თუ არავინ წმიდათაგანი მიმწუთარა მუნ; ხოლო კაცნი მკჳდრ არიან ბორღალნი, რომელთა სკლავ*) ეწოდების, ყოველითურთ უკუნჯრნი და პირუტყუთ სახენი, წარმდებნი და არა წმიდათა ქუჱწარმავალთა მჭამელნი.

ამას პრასტინსა შინა, ვითარცა ვთქუთ, კერპი ერთი დაშთომილ იყო პირველითგანვე აქამომდე, მარმარილოსა, სახითა დედაკაცისათა, ამისი, ვითარცა ვთქუთ, კაცნი იგი უგუნურნი წუთლა მსახურებდეს და იტყო-

*) „სკლავ" ბერძნული წოდებაჲ სლავიანთა.

დეს: „მზე და წჳმა, და ყოველი კეთილი მისგან მოგუსცემისო, რამეთუ კელმწიფებაჲ აქუს სიკუდილად და ცხორებად, ვისიცა ენებოს“. ესე ვითარსა რაჲ უკეთურებასა შინა წარმატებულად იხილნა კაცნი იგი, მსახურნი მისნი, ელმოდა და ეჭვნებოდა სულსა მისსა წყალობისათჳს მათისა, და აღვიდოდა რაჲ იგი ოდესმე კუალადცა სამეუფოდ ქალაქად, და მივიდა მგზავრ პრასტინსა მას ზემო კსენებულსა, მოვიდეს შეცთომილნი იგი კაცნი და ეტყოდეს წმიდასა მას: „უკეთუ გნებავს, რათა განმარჯუსებით შემოიქცე ყოვლითა საურავითა შენითა, ევედრე ღმერთსა ჩუსნსა, რათა შეგეწიოს წინაშე მეფისა!“ ხოლო წმიდამან ჰრქუა მათ: „კეთილ, კეთილ, გუალეთ და მიჩუსნეთ, და მადლიერ ვარ თქუსნდა ესე ვითარისა ამის კეთილისა თხრობისათჳს“. წარიყვანეს ბერი კაცთა მათ ყრუსა მის მიმართ და უსულოსა ღმერთისა მათისა, და, ვითარცა იხილა იგი, ჰრქუა მათ: „იყოს ჟამისად, ხვალე თჳსაგან მივიდე და ვეზრახო“.

და ხვალისაგან, ვითარცა განთენა, მოღებად სცა ურო მჴედლისაგან, და წარვიდა თჳთ ბერი იკონომოსითურთ ორთა თანა სხუათა კაცთა, და, ვითარცა მიეახლა, გამოისახა სასწაული პატიოსნისა ჯუარისა შუბლსა თჳსსა და იწყო თქმად სახარებაჲსა იოანეს თავისა:

„ჰირველითგან იყო სიტყუაჲ“ და შემდგომი. ხოლო კაცნი იგი ეტყოდეს: „აჰა ესერა, მოგკლავს!“ ხოლო ბერმან განიცინნა, და, ვითარცა აბოვანი, შეჴურვილი ჯუარითა ქრისტესითა, მოუხდა მეყსეულად კერპსა მას, აღიღო ურო იგი და უხეთქნა, და ეს[ა]ეთ წურილ წურილად შემუსრა, რომლისა ნამოშაკევი სახილველად წუო იხილვების, და საღმრთოჲსა მას შურსა კაცისა მის ღუთისასა წამებს.

ხოლო, რამეთუ წინასწარმეტყუსლებისაცა მადლი აქუნდა წმიდასა ამას კაცსა, რომელი ესე დღესამომდე, ვითარცა ნათელი მზისა, ბრწყინავს, და ღუთივ შუსნიერად აღსრულებულად იხილვების, რამეთუ მას ჟამსა, ოდეს იგი თეოდორა დედოფალსა ეჴყრა ბერძენთ მეფობაჲ, ითხოვა ბაგრატ მეფისაგან, რათა მოსცეს ასული თჳსი მართა და შვილად თჳსად აღზარდოს.

ხოლო მეფემან ბაგრატ სიხარულითა დიდითა წარმოგზავნა შვილი თჳსი მართა კაცთა თანა საკუთართა თჳსთა; ხოლო მათ დღეთა შინა, განგებითა საღმრთოჲთა, თეოდორა დედოფალი აღესრულა, და მასვე ჟამსა მარიამ დედოფალი, დედა ბაგრატ მეფისა, მუნ იყო, და წმიდაჲცა ესე მამა ჩუსნი მუნვე იყო, მიზეზითა რათამე საქმეთათა.

ხოლო, ვითარცა ვთქუთ, მირაიცვალა თეოდორა დედოფალი, მეყ-
232 სეულად მართა, ასული ბაგრატისი, სამეუფოდ შემოიყვანეს, და, ვითარცა იხილა წმიდამან ამან მართა, სასმენელად ყოველთა წინასწარმეტყუსლა

და თქუა, ვითარმედ: „უწყოდეთ ყოველთა, ვით.რმედ დღეს დედოფალი განვიდა*) და დედოფალი შემოვიდა“. ხოლო მაშინ დაყო მცირედი ჟამი და კუალად ზემოვე წარიყვანეს მართა, ხოლო ოდეს მოიწია ჟამი, კუალად მოსთხოვა დუკიწმან და სძლად თჳსად სამეფოსა ამას ქალაქსა შემოიყვანა**).

მაშინ, რომელთა ასმიოდა წინასწარმეტყუელებაჲ ბერისა, იხილეს რაჲ აღსრულებულად, ყოველთა დაუკირდა და მადლობდეს ღმერთსა, რომელი წინასწარ ყოველსავე გამოუცხადებს ნების მყოფელთა თჳსთა, და ეგრეთვე მარიამ დედოფალმან რქუა წმიდასა მას, იყო რაჲ იგი აღმოსავლეთს, ვითარმედ: „მამაო, აღესრულა წინასწარმეტყუელებაჲ შენი, რაჲ იგი ოდესმე წინასწარმეტყუელე მართასთჳს.

ესრეთ რაჲ იყო და ესე ვითართა ცხორებითა ბრწყინვიდა, და ესრეთ განაგებდა მისდა რწმუნებულთა მათ სამწყსოთა: რამეთუ ოდესმე სამეუფოთა არნ წინაშე ღუთის მსახურთა მეფეთა საჭიროთათჳს და სათანადოთა საქმეთა, და კულად ოდესმე მონასტერს არნ, და განაგებნ სამონასტროთა საქმეთა, და ცხორებასა ძმათასა ჰმართებნ და განაწესებნ,—მაშინ გულის კმაჲ ყო და განიხრახა ღუთისაჲ მიერითა განგებითა, ვითარმედ ღუთივ მონიჭებული იგი ტალანტი არა აღორძინდებოდა, რომელ არს ღუთივ სულიერთა წიგნთა თარგმნა, იჯმნა წინამძღურობისაგან, და შენდობაჲ ითხოვა ძმათა ყოველთაგან; ხოლო იგინი დაღაცათუ შეწუხნეს და ფერკთა მისთა შეუერდეს, არამედ არა თაჳსიდეა მორჩილებაჲ, ვითარცა ზეგარდამო ღუთისაჲ მიერ აღძრულმან და გულსავსე ქმნილმან; და ესრეთ, გამოვიდა მონასტრით, რომელ ვიდრე ყოველადმდეცა არა რაჲ აღიღო მონასტრისა, და წიგნნი, რომელნი ეთარგმნნეს დეკანოზობასა შინა გინა წინამძღურობასა, ყოველნივე ეკლესიასა შინა დაუტევნა: სკნაკსარი დიდი, სახარებაჲ გამოკრებილი, პავლე გამოკრებული, კურთხე-

---

*) თეოდორა † 1056 წ.

**) მუზ. ტყავზე ნაწერი წიგნი № 134 (გვ. 591): „...მე უღირსი მამაჲ გელასი ჩემსა წინამძღურობასა ღირს ვიქმენ აღწერებად წმ დასა ამას და სულთა განმანათლებელსა კლემაკსსა და ცხორებასა წმ. მოციქულთა სწორისა ბაგრატისა სადიდებელად და სალოცველად ღუთივ დალოცვილისა და ძლიერისა აფხაზთა და ქართველთა მეფისა ბაგრატისათჳს და ძისა მათისა გიორგი კურატპალატისათჳს,—ადიდენ ღმერთმან! და სალოცველად სულისა ჩემისა და მშობელთა ჩემთათჳს და ყოველთა მამათა და ძმათა ჰრომანაელთათჳს. დაიწერა კელითა სჳმეონ დვალისაჲთა მონასტერსა შინა ჰრომანაჲსასა ანა წმიდას, მეფობასა დოკიანესა, მას ჟამსა, ოდეს ბაგრატს ასული მართა სამეფოს იყო, ქრონიკონსა სპვ (1066 წ.).

ვანი, სტოდიელი და სხუანი რაჲოდენნიმე წიგნნი, და ესრეთ, ცალიერი გამოვიდა მონასტრით, რომელ გარე ღუთის მოყუარეთა კაცთა მისცეს საგზალი, რამეთუ ორ გზის იქმნა სივლტოლა მისი, ხოლო უკანასკნელ ესე იყო:

რამეთუ მიზეზი პირველისა სივლტოლისა ესე იყო: ვინ:თგან არა ენებაჲ წინამძღრობაჲ, არამედ მოსურნე იყო თავისა თჳსისა მყუდროებით ყოფასა და ევლტოდა შფოთთა და ამბოხებაჲთა, ამისთჳს ფარულად ყოველთაგან სივლტოლა იკუმია და შავსა რაჲ მთასა მივიდა, დიდად იბრალა Გიორგის მიერ, თჳსისა მოძღურისა, დატევებისათჳს პირ მეტყველთა ცხოვართასა და მოაკსენებდა სიტყუასა მაცხოვრისასა, რომელსა ეტყოდა მოციქულსა პეტრეს, ვითარმედ: „უკეთუ გიყვარ მე, დამწყსენ ცხოვარნი ჩემნი". ამის მიზეზისათჳს, ბრძანებითა მოძღურისა თჳსისათა, კუალადცა მთაწმიდას მოვიდა, და იძულებითა ყოველთა ძმათათა კუალად კელყო, საქმესა წინამძღურობისასა, და დაყო ჟამ რაჲოდენმე პირველ აღწერილითა ამით განგებითა, და მერმეღა იქმნა მეორე წარსლვა მისი თარგმანებისათჳს წმიდათა წიგნთასა, და ესრეთ შევიდა ქალაქად სამეუფოდ და მეფისაგან თავისუფლებაჲ მიიღო, დაღაცათუ უნდა მეფესა, რამეთუ დიდად ესვიდა, არა წინააღუდგა, არამედ თანა შეწევნითა მარიამ ბაგრატის დედისათა, 233 რამეთუ იგიცა მუნ იყო, ვითარცა პირველ ვთქუთ, სამისა კაცისა პური აღიღო სჳმონ წმიდაჲს და ესრეთ წიგნითა სამეფოთა შავსა მთასა მიიწია, ხოლო მათ სიხარულით შეიწყნარეს და დიდი სიყუარული წინა უყვეს და ყოველითურთ აღაშენეს.

ხოლო ამისა შემდგომად მარიამ დედოფალი, დედა ბაგრატის მეფისა, ქალაქით სამეფოთ ქალაქად ანტიოქიად მოვიდა: რამეთუ ეგულებოდა წარსლვად წმიდაჲდ ქალაქად ეწრუსალიმად ლოცვად და თაყუანისცემად წმიდათა მათ და განმაცხოველებელთა ადგილთა, და აჴუნდა სამეფო ბრძანებაჲ თავადსა თანა და პატრიაქსა ანტიოქიისასა, რათა ყოვლითა დიდებითა და პატივითა წარგზავნონ; ხოლო პატრიაქმან და მთავარმან განიხარეს და გაიგონეს თანა ზრახვითა მამისა Გიორგისითა, რამეთჳ: „არა კეთილარს აღმოსავალისა მეფეთა დედა, რათამცა სარკინოზეთ წარვიდა, ვინათგან ცოდვათა ჩუენთაგან იგინი უფლებენ ქუჱყანასა მას"; და ესრეთ, პირითა თჳსისა მოძღუარისა Გიორგისითა მოაკსენეს დედოფალსა და წარსლვისაგან დააცხურეს, ხოლო იგი დაღაცათუ შეწუხდა, არამედ ნებაჲსა ღუთისასა ვერ წინა აღუდგა. მაშინ ევედრა წმიდასა მას ბერსა, რათა შეიწყალოს სული მისი, ვითარცა შეუწყალებიაცა, და იღუაწოს ცხორებისათჳს მისისა, ვინათგან თჳთ ვერ ღირს იქმნაჲ შესლვად წმიდათა მათ და თაყუანის საცემელთა ადგილთა, გარნა რათა საფასე იგი, რომელი საგზლად

აღეკზმა, წარიღოს იგი იერუსალიმად და გლახაკთა და დავრდომილთა განუყოს წმიდისა მის ქალაქისათა და მონასტერთა მათ წმიდათა, რომელნი შენ არიან გარემოს მისსა.

ხოლო ბერსა დაღაცათუ შეუძნდა საქმე ესე, ვინათგან წმიდათა წიგნთა თარგმნისაგან დაეხრწეოდა, არამედ უმეტესადღა ცხორებისათჳს სულისა მისისა მოსწრაფე იყო და სიტყუადაცა იგი მოციქულისა ეკსენა, რომელსა იგი მისწერს კორინთელთა მიმართ, ვითარმედ: „აწ ესერა აღვალ იერუსალიმად მსახურებადღ წმიდათა“ და შემდგომი; რომლისათჳსცა აღიღო საფასე იგი წარსაგებელად განმზადებული და შეწევნითა ღუთისაჲთა მოწაფისა ერთისა თანა წარემართა და წმიდად ქალაქად მშჳდობით და უვნებელად მიიწია და წმიდანი იგი ადგილნი მოილოცნა და წმიდათა მამათა ლოცვა მოიღო და საფასე იგი წარცემული ყოველთა გლახაკთა და ნაკლულევანთა და უღონოთა განუყო უხუჱბით და ნეტარი მამა პროხორე მაშინ ოდენ ჯუარის მონასტერსა აშენებდა; ესე იხილა და საფასითა ფრიად შეეწია, ხოლო ღირსი იგი ბერი ევედრებოდა, რათა პირველი ნაყოფი წმიდათა წიგნთა მისთა ცხოველს მყოფელსა ჯუარსა მიანიჭოს, რომელი იგი დაღაცათუ მაშინ ვერ იქმნა, ხოლო უკანასკნელ, შემდგომად პროხორეს მიცვალებისა, მოწაფეთა მისთა ნებაჲ მისი აღასრულეს და სათუჱონი და მარხვანი წმიდასა მას მონასტერსა დასხნეს.

ხოლო ჩუჱნ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ. ვითარცა სრულ ყო ყოველივე ნუგეშინისცემა და მოღვაწებაჲ გლახაკთა წმიდამან მამამან მიოროვი, წარემართა კუალად შავსა მთასა და ნებითა ღუთისათა მშჳდობით მიიწია და ღუთის მსახური იგი დედოფალი განამხიარულა, რომელი იგი შემდგომად მცირედისა მამულად თჳსად სამეუფოდ ძისა თჳსისა თანა ბაგრატ მეფისა წარვიდა.

ხოლო წმიდამან ამან ბერმან მოიცალა ყოველთა მათ შფოთთაგან და საურავთაგან და ყოველისა ზრუნვისა გან თავისუფლებულმან იწყო თარგმანებად წმიდათა წიგნთა, ვითარცა სული წმიდაჲ მოსცემდა. 234

ჩამეთუ ესე ყოველთა უწყით, ვითარმედ ეგე ვითარი თარგმანი, თჳნიერ წმიდისა მამისა ჩუჱნისა Oფთჳმესსა, სხუაჲ არა გამოჩენილა ენასა ჩუჱნსა, და, ვგონებ თუ, არცა გამოჩინებად არს! და უფროსნი წიგნნი ღმრთ უთარგმნიან, და ესრეთ, შეუსუჱნებელად თარგმნინ, და კანონსა თჳსსა დაუკლებელად აღასრულებნ და რაჲთურთით არა სცემდა განსუჱნებასა თავსა თჳსსა, არამედ დღე და ღამე ტკბილსა მას თაფლსა—წიგნსა საღჳრთოჲსა შურებოდა, რომელთა მიერ დაატკბო ენა ჩუჱნი, და წმიდა-

ნი ეკლესიანი განაშუშნნა და წერილთა თჳსთა ოქროთა განამდიდრნა უხვად და გარდარეულად.

რამეთუ ემზგავსა იგი ოქროსა მღებელსა მას კელოვანსა, ვითარცა იგი ქიმიათა თჳს წერილ არს, რომელნი იგი მრავალ ღონეობითა სილრმეთაგან ქუშყანისათა გამოიღებენ და ბრძნედისა მიერ და ცეცხლისა ბრწყინვალებაჲსა მისსა წარმოაჩენენ, ეგრეთვე წმიდისა ამის მამისა ჩუშნისა გონებაჲ სიტყჳერისა ამის ოქროსა ბრძმედ იქმნა, მდნობელ ცეცხლისა, სულისა წმიდისათა განმაჯურვებელ და განმრჩეველ ოქროსა ბრპენისაგან და თიკისა: რამეთუ რომელნიმე წიგნნი, სრულიად არა ყოფილნი და ენისა ჩუშნისაგან უცხონი სილრმეთაგან უმეცრებისათა, ნათლად გამოაბრწყინვნა.

ხოლო სხუაჲნი, ოდესმე თარგმნილნი და წუთ ვერ კეთილად გამოღებულნი, გინათუ ჟამთა სიგრძითა უცებთა და უგუნურთა მჴმარებელთაგან დაგესლებუნი, ვითარცა ვთქუთ, ბრძჱდსა მას შინა წმიდისა გონებისა თჳსისასა გამოადგნა და გამოაჯურვნა, ხოლო კუალად სხუაჲნი წიგნნი წმიდისა მამისა ჩუშნისა ეფთჳმეს მიერ თარგმნილნი და უცალობითა წუთ ვერ სრულ ქმნილნი, არამედ სულ მცირედ აღწერილნი, განასრულნა და განავრცელნა; და კუალად სხუაჲნი რომელნიმე ბერძულსა შეაწამნა, და ყოვლისა ნაკლულევანებისაგან განასრულნა, და სიტყუაჲ დუხპიროზისა და ვერაგობისაგან განაშუშნა და განაბრწყინვნა, ვითარცა თჳთ თავადი სახარებაჲ და პავლე.

ხოლო ჯერ არს, რათა სახელითა რავდენნი მოვიკსენნე წიგნნი, რომელნი მას ნეტარსა უთარგმნიან, რათა მათ მიერ ეუწყოს ქრისტეს მორწმუნეთა მოღვაწებაჲ წმიდისა ამის კაცისა, რამეთუ არა თუ მთაწმიდასა და შავსამთასა ოდენ თარგმნა, რათამცა თჳთოეულად აღვირაცხენით, არამედ სამეუფოსა გზასა, სულუმბრას, ანტიოქიას, სჳიმონ წმიდასა, და ჰალიპოსს და სხუათა ესე ვითართა ადგილთა, რამეთუ რომელნიმე წიგნნი ორკეცად და სამკეცად გარდაწერილ არიან; რომელ ესე მოსაგონებელადცა დიდ არს, ვითარმცა ესე ოდენნი წიგნნი ერთმან კაცმან მზანი თარგმნილნი ცხორებაჲსა შინა თჳსსა აღწერნა, არა რათამცა ბერძულისაგან სრულად თარგმნნა, ვითარ ესე კაცმან საკჳრველმან მაღლად და ღუთივ ბრწყინვალედ აღწერნაჲ.

თარგმნა უკუე, ვითარცა ვთქუთ:

ა) *) დიდი სჳნაქსარი, საფუძველი ეკლესიათა.

ბ) სახარებაჲ გამოკრებული საწელიწდო.

---

*) აღსარიცხაჲ ნიშნები ჩვენ დაგუსვით.

გ) პავლე სრული და საქმე მოციქულთა და კათოლიკენი მოციქულთანი.

დ) პავლე გამოკრებული საწელიწდო.

ე) თვენი ათორმეტნივე სრულად ღუთივ ბრწყინვალედ.

ვ) სტიქაროონნი საწელიწდონი დღესასწაულისანი, რომელნი თუსთაცა თანა სწერიან.

ზ) სტიქაროონი თჳთ ავაჯნი უძლისპირონი, ვითარცა არიან ბერძულად.

235

იე) ძუალად იგივე სტიქაროონნი ძილის პირთა ქუსშე, რომელთა შინა სხუადაცა მრავალნი კეთილნი სწერიან და მათვე შინა მარხვათა სტიქაროონნი.

ივ) დიდი პარაკლიტონი, სამკაული ეკლესიათა, სხჳთა მრავლითა კეთილითაჲ აღსავსე.

იზ) დიდნი მარხვანი.

ი) დ[illegible]ტიკნი მრავალ ფერითა კეთილითა აღსავსე.

თ) წიგნი თეოდორე სტოდელისა, სწავლანი დიდთა მარხვათა საკითხავი.

ი) წიგნი დაბაჲდებისა თარგმანი იოანე ოქროპირისა თქმული.

ია) წიგნი მეექუსის კრებისა, ეპისტოლენი წმიდისა კჳრილესნი და სხუათა წმიდათა მამათა, განკუსთისათჳს ნისტორ უსჯულოსა.

იბ) წიგნი გრიგოლ ნოსელისა, რომლისა შუსნიერებაჲ და ქებაჲ ზეშთა არს ყოვლისა მითხრობისა.

იგ) წიგნი ექუსთა დღეთა წმიდისა ბასილის თქმული.

იდ) წიგნი ეპისტოლენი წმიდისა ეგნატი ღმერთშემოსილისანი.

იე) წიგნი საფსალმუნე დავითი, სამკაული და გჳრგჳნი ყოველთა წიგნთა.

ხოლო უკეთუ ვინმე იყოს მოსწრაფეთაგანი და მამის მოყვარე, და უნდეს ცნობის ძალი თითოეულისა წიგნისაჲ, თუ რაჲ სწერია. ამისვე წიგნის ბოლოსა პოოს აღრიცხულად და განმარტებულად თითოეულისა წიგნისა [illegible]ანდუკი და ანდერძი ღუთივ შუსნიერად, რომელი წმიდამან ბერმან იოანე პატრიკმან, პატრიკ ყოფილმან, აღწერა, რაჟამს იგი თავისა თჳსისათჳს გარდაიწერნა წმიდანი ესე წიგნნი, ყოველი წულილად აღრიცხვა—გალობაჲ და დასდებელი ფრიადითა შრომითა და გულს მოდგინებითა.

ესე ყოველნი და ამისა ფრიად უმრავლესნი მამამან ჩუსნმან გიორგი (?) და ესრეთ აღაორძინა მისდა რწმუნებული იგი ტალანტი.

ხოლო საყოფელად არნ მისა ოდესმე სჯმონ წმიდას და ოდესმე

ქალიპოსს, და ესრეთ არა სცემდა განსუსხებასა თავსა თჳსსა, ვიდრეცა ყოველნი განაკვრნა, არა ხოლო თუ ქართველნი, არამედ ბერძენნიცა და ასურნი, რომლისა თჳსცა ეუწყაჲ მოქალაქობაჲ მისი ნეტარსა Იოანე პატრიაქსაჲ ანტიოქისასა, მოუწოდა და ეზრახა საღმრთოთა წერილთაგან მრავალ სახედ პირველად, და შერმე სულთა სარგებელისათჳს, სათნოებაჲთათჳს და ვნებაჲთა, და ვითარ ყოველსა შინა გამოცდილად პოვა, და მერმე ყოველი ცხორე'აჲ თჳსი მას შეჰვედრა, და მას ჰკითხვენ გულის სიტყუაჲთა თჳსთა და ყოველთავე საეკლესიოთაჲ საქმეთა, და რაჟამს იგი შურითა მტერისათა ცეცხლი აღედვა ღუთისა ქალაქსა და ტაძარი წმიდისა მოციქულისა პეტრესი დაიწვა,

ხოლო პატრიაქი მრავალთა მწუხარებაჲთა და ურვათაგან შეპყრობილ იყო ვიდრემდის ბერი ესე წმიდაჲ მოვიდა და სიტყჳთა ნუგეშინისცემისათა და სწავლითა სულიერითა ყოველი მწუხარებაჲ და გლოვა მისი განუქარვა, რომლისათჳსცა აღიარებდა და იტყოდა: „უკეთუმცა სიწმიდე შენი არა მომაშვრალ იყო, ჱ წმიდაო მამაო, კნინღამცა და მწუხარებაჲთა მიერ ჯოჯოხეთად შთასრულ იყო სული ჩემი!“ ესრეთ, წმიდაჲ ესე პატრიაქი, ესე ვითარითა სიყუარულითა და სარწმუნოებითა აღსავსე კაცისა ამის ღუთისათა, შემდგომად მცირედისა ღუთისა მიმართ მიიცვალა.

236 და შემდგომად მისა დაიპყრა საყდარი მისი თ ე ო დ ო ს ი სამეუფოელმან, კაცმან მაღალმან და ფილოსოფოსმან და ორთავე ცხორებითა გამოცდილმან; ხოლო არა აქუნდა მეცნიერებაჲ წმიდისა ამის ბერისა მიმართ, ვითარცა ახალ შემოსრულსა, და ესე იქმნა მიზეზი დასაბაჲმისა მათისა ურთიერთას შემეცნებისა.

რამეთუ კაცნი ვინმე სჳმონ წმიდელნი შურითა საეშმაკოთა აღიძრნეს ჩუსნ ქართველთა ზედა, და ენებაჲ, რათამცა ნათესავი ჩუსნი ძირითურთ აღმოფხვრეს სჳმონ წმიდით, და განიზრახეს გულარძნილობით, რათა წმიდასა ამას და მართალსა სარწმუნოებაჲსა ჩუსნსა ბიწი რაჲმე დასწამონ, და ესრეთმცა სრულიად აღმოგუფხურნეს, და დიდებულისა ამისგან ლავრისა პირველითგან თჳთ წმიდისა სჳმონის მიერ დამკჳდრებულნი, და ესრეთ ბოროტად შეიზრახნეს,

და წარვიდეს თეოდოსი პატრიაქისა წინაშე, ვითარცა ახლად შემოსრულისა და წუთ უმეცრისაჲ,

დასცჳეს წინაშე მისსა, რეცა მომჰჳრნედ, და ჰრქუსს მას: „შეგუსწიენ, წმიდაო მეუფეო, და გჳსნენ დიდისა ჰირისაგან და განგვათავისუფლენ კაცთაგან ამაოთა და უცხო თესლთა, რამეთუ არს მონასტერსა შინა ჩუსნსა ვითარ სამოცი კაცი, ქართველად სახელსდებენ თავთა თჳსთა და არა

უწყიან, თუ რაჲსა ზრახვენ ანუ რაჲ არს სარწმუნოებაჲ მათი, და ესრეთ, დორასად (?) ზოგი მონასტრისა დაუპყრიეს"; და ესმა რაჲ ესე პატრიაქსა, დაუკჳრდა და ჰრქუა მათ: „და ვითარ ეგების ესე, რომელმცა ქართველნი არა მართლმადიდებელნი იყვნეს!" რამეთუ წუთ უმეცარ იყო ნათესავისა ჩუენისა, ხოლო იგინი დაუმტკიცებდეს, და რეცა უკეთურებისა საფარველად ჰრქუას მას, ვითარმედ: „არა უწყით, თუ ქართველნი არიან ანუ სომეხნი, და ვერცა ხუცესი მათი ჟამსა სწირავს მონასტერსა შინა ჩუენსა!"

ხოლო ესე მართალი თქუეს: რამეთუ ვიდრე აჰამომდე მრავლით ჟამითგან ქართველი ხუცესი სჳმონ წმიდაჲსა ჟამსა ვერ წირვიდა, ამის ზეზისათჳს, რამეთუ რომელსამე ჟამსა სოფლური ვინმე ხუცესი ახლად ჩამოსული წმიდისა სჳეონის სუჱტსა ზედა გასრულ იყო ჟამის წირვად ქალამნითა და საბეჭურითა, თჳნიერ სამღდელოსა შესამოსლისა, ვითარცა იყო პირველად წესი ჩუენი, და ამისთჳს არა უტევებდეს ქართველსა ხუცესსა ჟამის წირვად, არამედ განეწესა, რათა მათთანავე ეზიარებოდიან, და ნუ ვინ ჰგონებს, თუმცა სხჳაჲ რაჲმე მიზეზი ყოფილ იყო, და კაცთაჲ მათ ამაოთა პატრიაქსა ესე გააგონეს, ხოლო იგი განცჳფრდა ამას ყოველსა ზედა და ჰრქუა მათ:

„არავინ არსა ნათესავსა მათსა შორის ბერძულისა ენისა მეცნიერი და წერილთა სწავლული?" ხოლო მათ, უნდა თუ არა, აღიარეს, ვითარმედ: „ჱე, არის ერთი ვინმე მონაზონ ღრმატიკოსი, ბერძულთა წიგნთა ქართულად თარგმნის". მაშინ პატრიაქმან მსწრაფლ ბრძანა მოყვანებაჲ ბერისაჲ.

ხოლო ვითარცა შევიდა ბერი წინაშე მისსა, მოიკითხეს პატივითა და უბრძანა დაჯდომა, და იწყო უბნობად ბერისა ღუთივ სულიერთა წიგნთაგან, და რაჲსა იგი კითკვიდა, ყოველსავე ღუთივ შუჱნიერად მიუგებდა; მაშინ გულის კმაჲ ყო პატრიაქმან, ვითარმედ: „მადლი ღუთისა დამკჳდრებულ არს მის თანა!" და ჰრქუა ესრეთ ბერსა: „პატიოსანო მამაო, კურთხეულ არს ღმერთი, რომელ ვიხილე სიწმიდე შენი, და აჰა ესერა გხედავ მოწყალებითა, დაღაცათუ ნათესავი ხარ ქართველი, სხჳთა ყოვლითა სწავლულებითა სრულად ბერძენი ხარ; ხოლო მითხარ ნათესავისა შენისათჳს—არს რაჲ ნაკლულევანებაჲ სარწმუნოებისა მათთანა? გინა ურთიერთას განყოფილება მათ შორის და ჩუენ შორის?" 237

ხოლო ნეტარმან მან გამოისახა სასწაული პატიოსნისა ჯუარისა პირსა თჳსსა და იწყო წარმოთქმად მართლისა სარწმუნოებისა ესრეთ, რომელ განაკჳრნა მსმენელნი: რამეთუ სული წმიდაჲ იტყოდა პირით მისით.

მაშინ პატრიაქმან ბრძანა: „კურთხეულ არს ღმერთი! ვიეთნიმე ნაკ-

ლულევანებაჲსა სწამებდეს ქართველთა, აჰა ესერა, მრავლითა სახითა უზე-
შთაეს იპოვნეს ჩუენსა და უფროს ხოლო ქალწულებითა, რომელი იგი
მაღლად უპყრიეს მათ". ყოველნივე ეწამებოდეს, რამეთუ იყუნეს მიტრაპო-
ლიტნი და ეპისკოპოსნი და წარჩინებულნი ანტიოქიისანი, ყოველთავე
5 ადიდეს ღმერთი და წმიდასა მას ქებაჲ შეასხეს და ნეტარებაჲ.

ხოლო პატრიაქმან ცუდის მზრახველთაჲ მათ და ამაოთა კაცთა სჯმეონ წმიდელთა ფრიად შეჰრისხნა და კ ნონსა ქუჱშჱ საეკლესიოსა შეყარნა და სხუაჲსაცა მრავალსა ძჯრსა უთქმიდა, ხოლო ნეტრმან ამან უხოიშნა პატრიაქისაგან, და განუტევნეს, და რომელსა იგი რეცა სავნებელად
10 ჩუჱნდა ჰგონებდეს, ესე ჩუენდა სარგებელად იქმნა, და სარწმუნოება ჩუჱ-
ნი ღუთივ ბრწყინვალედ იქადაგა; მიერითგან დაეწესა, რათა ქართველნი სჯმონ წმიდას ჟამსა წირვიდენ, რამეთუ ყოველნი მეცნიერ ხართ, ვიდრე ამის ნეტარისამდე ჟამსა ვერვინ წირვიდეს, და ესე რა ესრეთ ღუთივ ბრწყინვალედ აღასრულა და განაგო, და კუალად სხუაჲ საქმე წინა უყო პა-
15 ტრიაქმან ფრიად დიდი და მაღალი:

რამეთუ კაცთა ვიეთმე მრავალ ღონეთა და მარქანათა მოაკსენეს და აუწყეს პატრიაქსა, ვითარმედ: „ვითარ ესე, მეუფეო, რომელ ეკლესიანი და მღდელმოძღუარნი ქართლისანი არა რომლისა პატრიაქისა კელმწიფებასა ქუჱშჱ ჰრიან და ყოველნი საეკლესიონი წესნი მათ მიერ განეგები-
20 ან, და თჳთ დაისმენ კათალიკოზთა და ეპისკოპოსთა, და არა სამართალ არს ესე, რამეთუ ათორმეტთა მოციქულთაგანი არავინ მისრულ არს ქუჱ-ყანასა მათსაჲ, და ჯერ არს, რათა ქალაქსა ამას ღუთისასა და საყდართა მოციქულთა თავისასა დაემორჩილნენ და ამის კელმწიფებაჲსა ქუჱშე იყუნენ, რამეთუ ნათესავი არს უჱცარი და სამწყსო მცირე, და ჩუჱნდა მახ-
25 ლობელად ჰრიან, და ჯერ არს, რათა კელმწიფებაჲსა ქუჱშე ანტიოქიისა პატრიაქისასა იმწყსებოდინ, და აქა იკურთხეოდის კათალიკოზი მათი, და ვიყუნეთ ჩუჱნ ერთ სამწყსო და ერთ მწყემს!"

ესე ყოველი განიზრახეს და დაამტკიცეს, რეცა უმეცრებისა ჩუჱნი-სათჳს, ხოლო წინა აღმდგომი შეემთხჳა, რამეთუ იწყო პატრიაქმან სი-
30 ტყუაჲდ ბერისა, ვითაცა ესე რა აღგჳწერია; და ეტყოდა რომელსამე ლი-ქნით და რომელსამე მართლდ, ვითარმედ: „შენ, ჲ ნეტარო მამაო, დაღაცა თუ ნათესავით ქართველი ხარ, ხოლო სწავლულებითა და მეცნიერებითა ჩუჱნივე სწორი ხარ, ჯერ არს, რომელ ეკლესიანი და მღდელთმოძღვარნი თქუჱნნი კელსა ქუჱშე სამოციქულოსა ამის საყდრისასა იმწყსებოდინ, და
35 მაჰრთებსცა ესრეთ მიზეზითა მახლობელობისათა, ესე შენჯან შესაძლებელ არს, რამეთუ უწყი, ვითარმედ გისმენს მეფე თქუჱნი, უკეთუ მიუწერო და
238 აუწყო უმჯობესი, ხოლო უკეთუ არა ისმინოს, მიუწეროთ ოთხთავე პატ-

რიაქთა საყდრის მოდგამთა ჩუენთა და ვაუწყო თკთ რჩულობაჲ და ქედ ფიცხელობაჲ თქუენისა ნათესავისა, და ვითარმედ, თკნიერ სამოციქულოსა კანონისა, თკთ იმწყსებიან და მოციქულთაგანი არავინ მისრულ არს ქუეყანასა მათსა, და ესრეთ მრავალსა ღუაწლსა შეგთხინე, ვიდრე არა თკთ მეფე თქუენი წინაშე ჩუენსა მოვიდეს და კელმწიფობაჲსა ჩუენსა დაემორჩილოს!" და ესე ვითარნი რაჲ სიტყუაჲნი წარმოთქუნა ბერისაჲ მიმართ,

ხოლო ნეტარმან ამან დაწყნარებით და ნელიად ჰრქუა პატრიაქსა, ვითარმედ: „ჵ წმიდაო მეუფეო, რაჲსათჳსმე ესრეთ ადვილად კელჰყოფ დიდისა ამის და მაღლისა მოგონებაჲად და აღსრულებაჲად? ვინ არიან უგუნურნი განჭზრახნი შენნი, ანუ რაჲდ ესრეთ უგუნურად შეგირაცხიეს ნათესავი ქართველთა, წრფელი და უმანკო? აჰა ესე რა, ვარ მე უნარჩევესი და უმდაბლესი ყოველთა ძმათა, მე მოგცე მათ ყოველთა წილ პასუხი, მოღებაჲდ ეც წიგნი მისლვა ანდრია მოციქულისა, და მუნით გეუწყოს საძიებელი თქუენი".

ხოლო პატრიაქმან უბრძანა თეოფილეს, ნათესავით ქართველსა, რომელი იგი უკანასკნელ ტარსუს მიტრაპოლიტ იქმნა, მოღებაჲ წიგნისა მის, და ვითარ მოიღეს, პირველ წარკითხვისა, ჰრქუაჲ ბერმან პატრიაქსა: „წმიდაო მეუფეო, შენ იტყჳ, ვითარმედ თავისა მის მოციქულთასა პეტრეს საყდარსა ვზიო, ხოლო ჩუენ პირველ წოდებულისა და ძმისა თჳსისა მწოდებელისა ნაწილნი ვართ და სამწყსონი მის მიერ მოქცეულნი და განათლებულნი, და ერთი წმიდათა ათორმეტთა მოციქულთაგანი—სიმონს, ვიტყჳ, კანანელსა, ქუეყანასა ჩუენსა დაჰარხულ არს—აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდების;

„ამათ წმიდათა მოციქულთა განათლებულნი ვართ; ვინათგან ერთი ღმერთი გჳცნობიეს, არღარა უვარ გჳყოფიეს, და არცა ოდეს წვალებისა მიმართ მიდრეკილ არს ნათესავი ჩუენი, და ყოველთა უვარის მყოფელთა და მწვალებელთა შევაჩუენებთ და დავსწყევთ;

„ამას საფუძველსა ზედა მართლმადიდებლობისასა და მცნებაჲთა და ქადაგებათა ზედა წმიდათა მოციქულთასა მტკიცე ვართ. აწ, უკეთუ ჯერ არს, დაგემორჩილნეთ!" და, რეცა განცხრომით, ჰრქუა პატრიაქსა: „წმიდაო მეუფეო, შუენის ესრეთ, რათა წოდებული იგი მწოდებელსა მას დაემორჩილოს, რამეთუ პეტრესი ჯერ არს, რათა დაემორჩილოს მწოდებელსა თჳსსა და ძმასა ანდრიას, და რათა თქუენ ჩუენ დაგვემორჩილნეთ!" და ესეცა შესძინა, ვითარმედ: „წმიდაო მეუფეო, რომელნი ესე ჩუენ უმეცრად და სუბუქად გუხედავთ და თავნი თქუენნი ბრძენ და მძიმე გიყოფიან,

„Იყო ჟამი, რომელ ყოველსა საბერძნეთსა შინა მართლმადიდებლობაჲ არა იპოვებოდა,

„და Იოანე, გუთელ ეპისკოპოსი, მცხეთას იკურთხაჲ ეპისკოპოსად, ვითარცა სწერია დიდსა სჯნაქსარსა“. ესე ყოველი რაჲ წარმოთქუა ნეტარმან ამან, განკჳრდა პატრიაქი ეპისკოპოსთა თჳსთა თანა სიმახჳლესა გონებისა მისისასა, რამეთუ, ვითარცა მდინარე დაუწყუპდელად, ესრეთ დიოდეს სიტყუანი წმიდათა წერილთანი პირით მისით. განიღიმა პატრიაქმან და რქუა მღდელთ მოძღუართა მათ და ერსა: „ხედავთა ბერსა ამას, ვითარ მარტო ესეოდენსა სიმრავლესა გუპრევის? ვიკრძალნეთ, ნუ უკუპ წინა აღმდგომი შეგუპმთხვიოს და არა ხოლო თუ სიტყჳთ, არამედ საქმით გუამხილოს ძლეულებაჲ ჩუენი და დაგვიმრევლნეს!“

მიერ დღითგან ესრეთ შეიყუარა პატრიაქმან და ყოველთა ანტიოქიელთაჲ, ვითარცა მამა და მოძღუარი სულიერი და თჳთ პატრიაქმან გულის სიტყუაჲთა თჳსითა მისა იწყო კითხვად, და რამეთუ პირველ მისა ყოფილი ნეტარი Იოანე პატრიაქი მასვე წმიდასა ბერსა ჰკითხვიდა, ვითარცა ზემო ვთქუ, და ესრეთ, მრავლითა პატივითა და ნიჭითა ეპყრა წმიდაჲ იგი ბერი, ვიდრე იყო იგი ქუეყანასა ანტიოქიისასა, და ოდეს აქუნდა რაჲმე საჭირო გულის სიტყუაჲ, მსწრაფლ წარმოსცემენ საკედარსა და მოიყვანებენ, და დიდად სარგებელ იყოფნ ხილვასა მისსა.

აქამომდე არს პატრიაქისა მიმართ სიტყჳს გებისა და სიყვარულისა მისისა მიმართ წარმოთქმა.

ხოლო, ვითარცა ცნა ღუთის მსახურმან მეფემან ბაგრატ, ვითარმედ სრულ იქმნა თარგმანებაჲ წიგნთა საღმრთოთა და მოირწყნეს ეკლესიანი შავის მთისანი წიგნთა მისთა შდინარითა, სულთა განმანათლებელითა: რამეთუ ყოველთა მონასტერთა გარდაიწერნეს, და უფროს ყოველთასა დიდად იღვაწა სულითა კურთხეულმან ანტონი ლიპარიტ ყოფილმან, და თჳსისა მონასტრისა (წმიდაჲ ბარალამ აფხაზეთს), ბარალამ წმიდისათჳს, დააწერინა და წმიდასა ამას ბერსა დიდად პატივი უპყრა და ნუგეშინისცა, თჳსისა მის მონასტრისაგან გაკუთილი შეუქმნა, და სიმტკიცე თჳსითა კელითა დაუწერა, და შუენიერი ქებაჲ და მადლობაჲ დაწერა მას შინა ღვაწლთა და შრომათა მისთათჳს. ესრეთ რაჲ ყოველნი ეკლესიანი განშუენდეს სამკაულითა წმიდათა წიგნთა მისთათა, ხოლო ეკლესიანი აღმოსავლეთისანი წუთ ნაკლულევან იყუნეს,

იწყო ღუთის მსახურმან მეფემან ბაგრატ, და ძემან მისმან გიორგი, დედოფალთა და კათალიკოზმან, და ყოველთავე მღდელთ მოძღვართა და მთავართა, ვედრებაჲდ და წუპვად, რათა აღმოსავლეთს განვიდეს, და იხი-

ლონ წმიდაჲ იგი და იკურთხნენ და განათლდენ მის მიერ, და რათა ნამუშაკევი იგი მისი, ღუთივ მოწიჭებული, იხილონ და აღივსნენ სიხარულითა.

და ესრეთ მრავალგზის მოუწერნ ღუთის მოყუარე მეფე ბაგრატ და დედა მისი მარიამ დედოფალი, ვითარმედ: „წმიდაო მამაო, მანდა, შავსა მთასა მცირედნი არიან მონასტერნი ჩუენნი, რამეთუ ქუეყანა არს უცხო, ხოლო ჩემი სამეფო ვრცელ არს და დიდ ფრიად და მაღალ და ეკლესიანი სამღდელთ მოძღროანი და მონასტერნი ფრიად მრავალ და დიდებულ; აწ არწმუნოს ღმერთმან სიწმინდესა თქუენსა, რათა ჰბრძანო და მოშურე, და ჩუენ ვიკურთხნეთ თქუენ მიერ და განვნათლდეთ, და კუალად ეკლესიანი ჩუენნი აღივსნენ მდინარეთა მათგან, სულთა განმაცხოველებელთა წიგნთა თქუენთა ღუთივ სულიერთაჲთა".

ხოლო ნეტარჰან ამან ყოველადვე არა თავსიდვაჲ, რამეთუ ყოვლითა მოსწრაფებითა ევლტოდა დიდებასა კაცთასა და შფოთსა სოფლისასა და სიმდაბლესა ეიტკბობდა, და კუალად ზემო კსენებულისაცა მიზეზისაგან ეშინოდა: ნუ უკუე ჰღდელთ მოძღვრად დაადგინონ, ვიდრე არა კუალადცა თჳსითა კელითა სიმტკიცე მოუწერა ღუთის ცხსახურმან მეფემან, ვითარმედ: არა რაჲ უნებელი შეემთხჳოს, და, ვითარმედ: „წმიდაო, არა თუ ოდენ წიგნთა თჳს ვარ, რათა განათლდენ ეკლესიანი ჩუენნი, არამედ რათა თჳთ მე განვნათლდე ხილვითა თქუენითა, და სული ჩემი კელთა თქუენთა შევევედრო, და ძე ჩემი და ყოველნი თჳსნი ჩემნი სიწმიდისა თქუენისა მიერ იმწყსებოდენ და განისწავლებოდიან, და რათა ღმერთსა ნიჭად მიუპყრნე სულნი ჩუენნი".

ხოლო იხილა რაჲ საღმრთომან ამან მოხუცებულმან სარწმუნოებაჲ იგი და სიყვარული ღუთის მსახურისა მეფისა მისა მიმართ, და მრავალგზის მიწერა და იძულებაჲ წარსლვისა მისისათჳს, და ეძიებდა ცნობაჲდ ნებაჲსა ღუთისასა, რომლითამცა გულსავსე იქმნა მაშინ: წმიდათა მოციქულთა მიერ ქმნილი იგი საქმე კელ ყო, და ეგრეცა იყო ჩუენებაჲ მისი: რაჟამს საქმისა რაჲსათჳსმე უნებენ გულსავსე ყოფის, თუ არსმეა ნებაჲ ღუთისაჲ, წიგნი დაწერნის, საკურთხეველსა ქუეშე დასხნის და მღდელმან ზედა ქამი წირის, და, რაჲცა აღმოკდის, იგიკა დაამტკიცის;

და ეგრეთვე ყო აწცაჲ, რომლითა გულსავსე იქმნა, და ესრეთ მიუწერა მეფესა; ხოლო მას, ვითარცა ესმა, განიხარა ფრიად, და წარმოავლინა საკუთარი თჳსი Iოანე, საკედარი და განძი, რაჲოდენი კმაჲ ეყოფოდა მას; და მოწაფეთა თჳსთა წარმოსცა, და დაწერნა წიგნი პატრიარქისა თანა და დუკისა ანტიოქიისასა წარმოგზავნისა ჩუენისათჳს, და ესე რაჲ მოიწიენეს მწყდებელნი ჩუენნი.

აქამომდე არს სიტყუაჲ ჩუენი ზემოჳსენებულთა ძმათა მიმართ, რომელთა გვაიძულეს შობითგანვე აღწერა ცხორებისა მისისა, ჱ ნეტარო, რამეთუ თქუენ აქამდე ყოველსავე თჳთ მეცნიერ ხართ, და, ვითარმცა არა მეცნიერ იყაჳ, რომელი იგი იოტ ოდენსაცა გულის სიტყუაჲსა არა დაჰფარვიდა თქუენგან! ხოლო ამიერითგან წარსლვისა ჩუენისათჳს აღმოსავლეთად და ვიდრე სამეუფოდ მოსლვადმდე და მიერ სოფლით მიცვალებაჲდ ყოველივე ვაუწყო სიწმიდესა თქუენსა, რომელმან ეგე ფრიად მაიძულე და ჴიბრძანე შეუკადრებელთა შეკადრებაჲდ, და ესე წარმოვეთქუ ფრიად მოკლედ და სულმცირედ, რამეთუ ესე ოდენ შორს ვარ სიწმიდისა მისისაგან, ვითარცა ცაჲ ქუყანისაგან და ვითარცა აჩრდილი მსგავსებისაგან კაცისა; და კუალად მაიძულებს აღწერად ბრძანებაჲ თქუენი, თუ ვითარ წარვედ თ ზე და თუ ვითარ იქმნა ნეტარი იგი მიცვალებაჲ მისი.

ხოლო მე, ვითარცა მოგზაურსა უდებსა, რომელი განზოგებაჲსა გზისასა არა მიწევნულ არნ და დაიკნის, ეგრეთვე მცონის, რამეთუ წუთ ძირსა თანა მთისასა ვიქცევი და თავსა არა აღსრულ ვარ, არამედ ქრისტე ღმერთი ჰეშმარიტი იყავნ ჩემ თანა და წმიდაჲ მადლი თქუენი, რათა უცთომელად წარვემართო გზასა სიტყჳსა ჩემისასა.

რამეთუ, ვითარცა წარვემართებოდეთ საკჳრველისა მაგის მთისაგან, ვილოცეთ სამარხოსა წმიდისა სჳმეონისსა და მართასა, და მადლი მათი და ლოცვაჲ თქუენი საგზლად მოვიღეთ, გამოვედით ანტიოქიით და მოვიწიენით ვიდრე დიდად მდინარედ ევფრატად და მუნ გუსტუწყაჲ, ვითარმედ მიშუებისათჳს ცოდვათა ჩუენთასა თურქთა დაუპყრიეს ყოველი შუამდინარე და ასური და საბერძნეთი, ხოლო ჩუენ, გუსმა რაჲ ესე, შევიქეცით მ ერ და სევასტიით კერძო მივიდოდეთ, გუსგონა, ვითარმედ მათ კერძო მშჳდობაჲ არს;

ხოლო უწინარეს ჩუენსა მისრულ იყუნეს თურქნი, და აღეღო ქალაქი იგი და დაეწვა, და ჩუენ არა უწყოდეთ და მივიდოდეთ, და კნინღა და მცირედ კელთა მათთა შთავარდებოდეთ, უკეთუ წყალობაჲსა ღუთისაჲსა არა აღეპყრა კელი: რამეთუ კმაჲ გუსმა ყოველთა, ვითარმედ: „სადა წარხვალთ?“ და, უწყის ოჳფალმან, კაცი არა გჳხილავს, გარნა თუ კმა ანგელოზისა იყო! ესრეთ შევიქეცით და მთათა მივმართეთ დიდითა შრომითა და ღჳ და ღამე სლვითა ძესარიად მოვედით და მჭნით წარმოვედით და ზღუაჲსა მოვმართეთ, რამეთუ კმელითა არღარა ეგებოდა, და, ნებითა ღუთისაჲთა, ევხაიტს მოვიწიენით, სამარტჳლოსა წმიდისა თეოდოსესსა, ხოლო მღდელთ მოძღვარმან მის ადგილისამან კეთილად შეგჳწყნარნა და

გკსტუმრნა, დიდი სიყვარული გუაჩუნა და რამეთუ კაცი იყო წმიდაჲ და ღმერთშემოსილი, და დიდად ნუგეშინისიცა მისლვითა ჩუნითა განსაცდელთა მათთჳს, და მრავალი წარმოთქუს ურთიერთას სულთა ცხორებისათჳს, და ესრეთ, მოვედით მიერ და მოვიწიენით სამისონს, ქალაქსა ზღუს კიდისასა, და მუნ განვყიდენით საკედარნი ჩუნნი, და ესრეთ ნავითა წარვემართენით კერძოთა აფხაზეთისაჲთა, კეთილითა და ჰმოთა ნავითა მივიწიენით ფოთს, და მიერ საკედრითა ქუთათის ქამსაჲ სთულისასაჲ.

ხოლო აცნობეს მწრაფლ მეფესა, რამეთუ ზემოთა ქუყანათა იყო, და, ვითარცა ეუწყა, განიხარა სიხარულითა დიდითა, და მეყსეულად წარმოგზავნა მწიგნობარი თჳსი, და უბრძანა დიდითა პატივითა წარყვანებაჲ ბერისა; და, ვითარცა მოიწია ჩუნდა, წარმოგჳყვანეს მიერ და თანა გზაჲ გჳყუა მღდელთ მოძღუარიცა ქუთათისისა, სახელით Ილარიონ, რომელი უკანასკნელ მოწაფე იქმნა ბერისა, და წარმოვედით და მოვიწიენით ქუყანად ქართლისა, სადა იგი იყო მეფე მთავართა თჳსთა თანა, და, ვითარცა მოვეახლენით სამ ქამისა სავალ ოდენ, გამოგზავნა მეფემან მგებვრად ჩუნდა მღდელთმოძღუარნი და დიდებულნი თჳსნი, ხოლო თჳთ ღუთის მსახური მეფე კართა თანა კარვისათა წინა მოეგებაჲ, და მოწყლედ მოიკითხა და იკურთხაჲ მისგან და კელპყრობით შეიყვანა კარვად და ინაკით დასუა მახლობელად თჳსა, და თქუაჲ განმხიარულებულმან სიხარულითა დიდითა: „კურთხეულ არს ღმერთი, აჰა დღეს ცხორებაჲ არს ყოვლისა სამეფოსა ჩემისა, რამეთუ ვიხილე ახალი Ოქროპირი!“ და ესრეთ, მისთანა ყოველნი დიდებულნი მისნი იხარებდეს და ჰმადლობდეს ღმერთსა და იტყოდეს: „კურთხეულ არს ღმერთი, რომელმან მოგჳგზინა ესე ვითარი კაცი მაცხოვრად სულთა ჩუნთა!“ და იყო სიხარული დიდი ყოველსა მას სამეფოსა მისსა.

ხოლო მას ქამსა იქმნა დიდი განმარჯუებაჲ მეფისა: ოდეს იგი შეწევნითა ღუთისათა წინა აღმდგომნი თჳსისა მეფობისანი აბაზაჲს ძენი შეიპყრნა, რომელთათჳს ყოველთა უწყით ბეშმარიტებით, ვითარმედ შეპყრობაჲ მეფისა ეგულებოდა; ესე კაცნი ძლიერნი და ახოვანნი, სიმდიდრესა ზედა მკლავისა თჳსისასაჲ მოქადულნი და სიმრავლესა ზედა ერისასა აღზავებულნი, ხუთნი ერთობით, ვითარცა უძლურნი რაჲმე და ყრმანი ჩჩკლნი, ეკრეთ შეიპყრნა, რამეთუ წუთ თუს ერთი არა გამოსრულ იყო შეხდგომად მოსლვისა ჩუნისა, ესე ვითა კელად იხუნა, წარავლინა მწოდებელი ბერისა თანა, და, ვითარ კა შევიდა ბერი და მიჯლოცა გამარჯუბაჲ იგი, და ჰრქუაჲ მას მეფემან, ვითარცა იყო მორწმუნე და ღუთის მსახური: „ჲ წმიდაო მამაო, არავინ არს გამარჯუბაჲ ესე ჩუნი თჳნიერ ლოცვისა და მადლისა შენისა, რამეთუ მრავალგზის კელმეყო და ვერ

242 ოდეს განმემარჯვა, ხოლო აწ უწყი ჰეშმარიტებით, რომელ სასწაული არს მოსლვისა შენისა, და ამიერითგან წარემართოს მეფობაჲ ჩუენი ლოცვითა შენითა!“ და აუწყაჲ ყოველივე განზრახვა მათი, და ბოროტის შემზადებაჲ, რომელსა იგი მისთჳს იგონებდეს.

ამისა შემდგომად, განაგნა რაჲ საქმენი მის ჟამისანი ღუთის მსახურმან მეფემან, რამეთუ მოწევნულცა იყო ჟამი ზამთრისა, და ჩუსულებისაებრ თჳსისა წარვიდა აფხაზეთად და აწჳვა ბერსა წარსლვად, რათა მუნ დაიზამთროს და განისუსნოს: და ვითარმედ არს ქუყანა იგი ბარი და ტფილი; და, ვითარცა წარმოვემართენით და მივიწიენით ჰყონდიდს, მეფე სრულიად აფხაზეთს შთასლვად წარემართა, ხოლო ეპისკოპოსმან ჰყონდიდელმან არა განგჳტევნა, რამეთუ მოწაფე იყო ბერისა.

და ზამთარი იგი მუნ დავყავით, და შემდგომად ზამთრისა, აღმორავიდა ღუთისმსახური მეფე ქართლადმდე, მოუწოდა ბერსა წინაშე მისსა, მისცა ადგილნი შუსნიერი, ლავრანი დიდებულნი განსასუსნებელად და საყოფელად მისად: პირველად ნეძგ ქართლსა შინა და შემდგომად მცირედისა შატბერდი, დიდებული ლავრა ძლარჯეთს შინა; ხოლო შესაძლებელ თუმცა იყო, ყოვლადვე არა ჰნებავნ მეფესა, რომელ ერთსამცა დღესა კიდე იყო მისგან, და ვერ განძლებოდა სმენითა თაფლისა უტკბილესთა მათ სიტყუაჲთა მისთაჲთა, და ესრეთ ეტყჳნ: „წმიდაო მამაო, ამისთჳს მოვაშურეთ სიწმიდე თჳსნი, რათა ნაკლულევანებაჲ და ცთომა უწესო აღმოჰფხურა სრულიად სულთაგან ჩუსთა,

„დაფარული დაფარულად გვამხილო, ხოლო ცხადი თუალ უხავად განგჳმარტე, რამეთუ, რაჲცა მიბრძანოს მამობამან შენმან, ესრეთ შევიწყნარო, ვითარცა პირისაგან წმიდათა მოციქულთასა“. და მოიყვანა ძე თჳსი ბიორგი უფლის წული, და კელი მისი კელსა შთაუდვა და ჰრქუა: „აჰა მოგცემ სულსა ამის ყრმისასა და წინაშე ღუთისაჲ გთხოვ!“ ხოლო მან აკურთხაჲ და ულოცა და ჰრქუაჲ, ვითარმედ: „ოჳფალმან ორითავე ცხორებითა ადიდენ ვითარცა დიდი კოსტანტინე, შიშსა შინა თჳსსა დაუმორჩილენ ყოველნი მტერნი მისნი“, და, ვითარცა შუსნოდა, სწავლანი ღუთივ სულიერნი და მცნებანი საღმრთოჲნი აღუწერნა და მისცნა, რათა სამარადისოდ იკითხვიდეს და იწურთიდეს, და რათა უწესოთა კაცთა უჯერო რაჲმე და დრკუ არა ასწაონ; ხოლო მან სიხარულით შეიწყნარა და დღე და ღამე იწურთინ, და ესრეთ შეუდგა, ვითარცა შვილი საყვარელი მამასა სახიერსა და, ვითარცა მოწაფე ერთგული, მოძღვარსა თჳსსა.

ხოლო მიერითგან იწყეს აღსაარებაჲდ და სინანულად: თჳთ მეფემან, კათალიკოზმან, მღდელთა და დიაკონთა, მონაზონთა, მოწესეთა, დიდებულთა და მთავართა, მდიდართა და გლახაკთა; ესრეთ მკურვალითა სარ-

წმუნოებითა მოისწრაფდეს, ვითარმედ საზრდელსაცა ძლით მივიღებდით, და ესრეთ განანათლა ყოველი აღმოსავლეთი კაცმან ამან განათლებულმან ღუთისაჲ მიერ, და ყოველნივე ცხადნი და დაფარულნი უწესოებაჲნი განჰმართნა.

რამეთუ პირველად ყოვლისა აღლესა მახჯლი მხილებისა მეფეთა მიმართ მრავალთა უწესოებაჲთა თჳს, უშიშად და თვალუხვად, სიბრძნით და გონიერად: რომელ არა ჰყიდდეს საეპისკოპოზოთა კაცთაჲ მიმართ უწესოთა და უსწავლელთა და ყოვლითურთ სოფლისა შემსჭვალულთა და უწესოებაჲთა და მიმოსლვათა შინა აღზრდილთა, არამედ გამოარჩევდეს კაცთა ღირსთა და წმიდათა და მონაზონებაჲთა შინა აღზრდილთა, და 243
ღუთივ სულიერთა მოძღუართა მიერ წამებულთა, და რათა ლოცვითა და მადლითა მათითა მშჳდობით წარემართოს მეფობაჲ მისი, და რათა არა მღდელთა უწესოებითა და ცოდვითა ერის კაცნიცა დაისაჯნენ.

ძუალად ეტყოდა მსჯავრთათჳს და სამართალთა სამეუფოთა: რათა უსჯიდეს ობოლთა და ქურივთა, სიტყჳსაებრ დავითისა: „მდაბალი და გლახაკი განამართლოს“, და რათა არა მისდრეკდეს სასწორსა სიმართლისასა დიდისა მიმართ გინა მცირისა, და რათა უმეტეს ყოვლისა წყალობაჲ შეიტკბოს, რამეთუ წყალობაჲ და სამართალი უყვარს ოჳფალსა, და რამეთუ ყოველი არა წმიდებაჲ და უწესოებაჲ მოისპოს თჳთ მისგან პირველად და მერმე ერისა მისისაგან.

მერმე იწყო მღდელთ მოძღუართა მიმართ: რათა თუალ ღებით კელთ დასხმასა არა ჰყოფდენ, და უღირსთა მღდელთა არა აკურთხევდენ, და რათა ამცნებდენ მათ მიერ კურთხეულთა მღდელთა უღირსთა არა ზიარებაჲდ, და რათა არა შეჰკრებდენ ოჰროსა და ვეცხლსა, არამედ უმეტეს ყოვლისა სწყალობდენ გლახაკთა და უღონოთა, და რათა არა უწესო რაჲმე და სხუაჲთა დამაბრკოლებელი საქმე იხილვებოდის მათ შორის, არამედ მცნებასა მას მოციქულისასა შეუდგენ, ვითარცა მიუწერს ტიმოთეს.

ძუალად იწყო მღდელთა მიმართ და დიაკონთა სწავლად მორჩილებაჲსა ეპისკოპოზისა თჳსისსა და არა ვისა თუალღებით მიცემად განმაცხოველებელსა მას კორცსა და სისხლსა ქრისტესსა, და ყოფად ეჳრეთ, ვითარცა ბრძანებს კანონი მოციქულთა და მაშათა.

ესრეთვე მონაზონთა და მოწესეთა და ყოველსა ერსა შემსგავსებულითა სწავლითა განანათლებდა, უსწაველელთა სწავლიდა, ხოლო სწავლულთა სწავლათა მათ აღუკსენებდა, მდიდართა ასწავებდა წყალობაჲად გლახაკთა, ხოლო გლახაკთა მოთმინებაჲსა ასწავებდა და ქველის საქმითა

წარგზავნიდა, დაცემულთა აღმართებდა, ხოლო დაცემადთა განამტკიცებდა, მოწყლულთა ისრითა უხილავთა მტერთათა განჰკურნებდა, ხოლო მოწყლვადთა მათ მოწყლვისაგან უვნებელად დაიცვიდა, დანთქმულთა ღელვათა შინა ვნებათაჲსა აღმოიყვანებდა, ხოლო დანთქმულთა დანთქმად არა უტევებდა, არამედ, ვითარცა კელოვანი მენავეთ მოძღვარი, ზღუსაგან ამის სოფლისა დაუხთქმელად განარინებდა; რომლისათჳსცა არა უჯერო არს, რათა მოსაკსენებელად ზემო აღწერილთა ამათ საქნოებაჲთა მისთა მცირედი უწყებაჲ წარმოგითხრა ამის პირისათჳს, თუ ვითარი მადლი აქუნდა სულთა კურნებისა, და, უმეტეს ყოვლისა, თუ ვითარი შუამდგომელი იყო ღუთისაჲ მიმართ და მრჩობლ სიმრთელით დაცხსათჳს, რომელი შეეევედრის, და თავი თჳსი წმიდაჲ მას ორითავე ცხორებითა მისცის.

რამეთუ ჟამსა მას, ოდეს ჩუენ ჰყონდიდს ვიყუსნით, ვითარცა ზემო ვაჴსენეთ,

Იყო ვინმე ძმა ერთი საეპისკოპოზოსა მას შინა, სტუმრად მოსრული მთავარ ეპისკოპოზსა თანა, წესითა მთავარ დიაკონი, ხოლო სახითმონაზონი, რომელი იგი უკანასკნელ კელთაგან წმიდისათა აღიკუსცა, რამეთუ წუთ არა აღკუსცილ იყო. ხოლო იყო იგი ჭაბუკი ჰასაკითა, და არა უჩინოთა და მდაბალთა შვილი, და წუთ არა აქუნდა მეცნიერებაჲ ბერისა თანა, არამედ თჳთ იტყოდა, ვითარმედ: „სარწმუნოებაჲ და სასოე-
224 ბაჲ ეგე ვითარი მაქუნდაო, რომელ ვითარცა ქრისტეს ვხედავდი“. ამას ძმასა ზოგადი იგი მტერი ნათესავისა ჩუსნისა ეკუსთა სიჭაბუკისა გულის თქმათა მიერ, რამეთუ თჳსსა მოძღუარსა არა იახლა, რომელსა თანა გულის სიტყუაჲ თჳსი დაედვა, და. პოვა რაჲ იგი თჳნიერ მოძღვრისა, მაშინ ბრძოლა სცაჲ, ხოლო ვინათგან უცხოსა უცხო სარწმუნოებაჲ აქუნდა, კაცსა მას თანა ღუთისასა არა უტევებდა დანთქმად სარწმუნოებაჲ იგი მისი.

ესე მოვიდა ჩემ უღირსისა თანა და მრქუა ესრეთ, ვითარმედ: „ჯერ არს, მამაო, რათა უკეთუ ვინმე მოძღვარსა თჳსსა არა ეახლოს და ბრძოლა მტერისა სჭირდეს, რათა სწუაჲსა მოძღუარსა გამოუცხადოს და ლოცვას ევედროს?“ რამეთუ ესე ვითართა წესთა წუთ უმეცარ იყო; ხოლო მე ვარქუ მას, ვითარმედ: „დიდად სათნო არს ეგე, პატიოსანო ძმაო, წინაშე ღუთისაჲ“. და მომიგო მე ესრეთ, ვითარმედ: „ჰყავ სიყვარული და მიჩუსნე მე ბერი და მოაკსენე ჩირი ესე ჩემი!“ ხოლო მას ჟამსა ბერი საეპისკოპოზოს აღსრულ იყო და, ვითარცა მოვიდა, მოვაკსენე ძმისა მის გულის სიტყუაჲ, და ხვალისგან მიბრძანა მოწოდებაჲ მისი; და, მორავიდა, შევიყვანე პირველად სენაკად ჩემდა და ვამცენ, რათა უშიშად და კადნიერად გამოუცხადოს ყოველივე ბერსა. ხოლო, ვითარცა შევიყვანე წინაშე ბერისა და მე

გამოვედ, გამოუცხადა მას ბრძოლანი თჳსნი; ჰრქუა მას ბერმან, ვითარცა თჳთ ყოველსავე უკანასკნელ მითხრობდა: „შჳლო, ღჳნოსა განეყენე, რათა განთავისუფლდე!“ ჰრქუაჲ ძმამან მან: „მამაო ქუჱყანა ესე ხორშაკეული არს და უმეტესად იგი ადგილი, სადა მე ვიყოფები, ნუ უკუჱ სნეულებისგან დავეცე!“ ჰრქუაჲ მას ბერმან კელმწიფებით განცხადებულად, ვითარმედ: „შვილო, მე ვიყო შორის ღუთისაჲ და შენსა შუამდგომელი, ვითარმედ, უკეთუ შენ მცნებაჲ ჩემი დაიმარხო, არა შეგემთხჳს სულიერი გინა კორციელი სნეულებაჲ“.

ხოლო იგი ეევდრებოდა, რათა სრულიად დაიმოწყალოს, არამედ არა ინებაჲ ბერმან, ვიდრემდის პირველისა მის მოძღურისაგან არა იჯმნას: „რამეთუ არა გუაქუს ეჳე ვითარი ჩუჱულებაო“. ხოლო, მორავიდა ძმაჲ იგი, ესე მაუწყაჲ, და იხილვებოდა, ვითარცა ბრძედისაგან გამოსრული, ყოვლითურთ მხიარული და თავისუფალი; მიერითგან ესრეთ განეყენა ღჳნოსა, რომელ თჳნიერ ზიარებისა წმიდათა საიდუმლოთასა ჟამ რაჲთდენმე გემოსა არა იხილვიდის, და, ვითარცა უკანასკნელ გჳთხრობდა სარგებელისათჳს ჩუჱნისა, ვითარმედ: „ვინათგან შენ ბერსა თანა შემიყვანეო, მიერითგან ესრეთ განვთავისუფლდი, მრავალ ჟამ, რომელ კჳალიცა ვეცა ვპოვე ჩემ შორის პირველთა მათ ბრძოლათა; სიმრთელისათჳს კულა რაჲდღა საკმარ არს თქმად. ვითარ ქუჱყანასა მას შინა ხორშაკსა, ყოველთა ღჳნოსმულთა, უმრთელეს ვიპოვე.“

ესე ამისთჳს წარმოვთქუ, რათა გეუწყოს, თუ ვითარი შუამდგომელი იყო შორის ღუთისაჲ და კაცთა, და თუ ვითარისა სიმრთელისა მიმცემელი იყო სულისა და კორცთა, და თუ ვითარსა სარწმუნოებაჲსა მისცემდა მისდა შეევდრებულთა; ხოლო მდიდართა კულაჲ საფასეთა განბნეისაჲთჳს და თუ ვითარ უმეტეს ყოვლისა გლახაკთა წყალობაჲსა ამცნებდა, ძალმან სიტყჳსამან გამოაცხადოს, რათა გეუწყოს მოწყალებაჲ იგი სულისა მისისა:

რამეთუ იყო ვინმე ეპისკოპოზი, მდიდარი ფრიად და წარჩინებული, რომელსა იგი მარჯულ ჰბრძოდა ეშმაკი, რათა სიმდიდრითა საფასეთა თჳსთათაჲ ეკლესიანი შეამკუნეს და განაშუჱნნეს, და რათა მონასტერთა შინა აღაპი დაიდვას, და ამით მიზეზითა სცვდა სიმდიდრესა თჳსსა, ხოლო გლახაკთა ყოვლადვე არა მიხედვიდა; და ესე დაემოწაფა წმიდასა მას ბერსა და განუცხადა მან თჳსი გულის სიტყუაჲ; ხოლო ბერმან ჰრქუაჲ მას, ვითარმედ: „ჱ მეუფეო, ეგე ბრძოლა ბოროტისა მტერისა არს, რათამცა ეკლესიათა და აღაპთა მიზეზითა გლახაკთა უწყალოებაჲსა შინა მოგკლა, რამეთუ არა თუ ამას გეტყჳს ღმერთი, ვითარმედ ეკლესიანი შეამკუჱნითო, არამედ, რამეთუ: „მშიოდა და არა მეცით მე ჭამადი“, ვითარ-

ცა იტყჳს იოანე ოქროპირი. ესრეთ სწავლათა თჳსთა მიერ მოწყალებაჲდ გლახაკთა მოიყვანაჲ და ფრიად განყოფად იწყო ულონოთა და დავრდომილთა, ვიდრე არღარა სახილველად საკჳრველ იყო, რომელნი იგი იცნობდეს პირველ. ესე ვითარითაჲ სწავლითა განანათლა ქუეყანა ჩუენი და ესრეთ აცხოვნნა სულნი ურიცხუნი და ძლუნად მიუპყრნა სიძესა მას სულთასა.

ხოლო უწყი, ვითარმედ ეძიებ და გსურის მითხრობაჲდ, ჵ წმიდაო, თუ ვითარ იქმნა შემოკრებაჲ ობოლთა ამათ და თუ ვითარ ესეოდენი სიმრავლე ერთობაჲდ მოიყვანა, საქმე ესე ფრიად მაღალი და საკჳრველი, საქმე დამოკიდებული სჯულისა და წინასწარმეტყუელთა, და, ვთქუა, თუ უზეშთაეს სჯულისა, საქმე ახლისა მადლისა შემამკობელი და გჳრგჳნი, რომელი იგი მოსე იხილა და თანა წარკდა, ხოლო აჰრონ ვითარცა შეუძლებელსა განეშორა, არამედ უფსკრულმან მან წყალობისამან ბეჭთა თჳსთა იტჳრთა და ყოველთა სადგურსა მოიყვანა; ესე საქმე კაცმან ამან, მობაძავმან ღუთისაჲ წყალობათამან, სათნოდ ღუთისაჲ კელყო და აღასრულა, რათა, ვგონებ, თუ დასაბამითგან სოფლისათ და ვიდრე აქამომდე ვერვის კელუყოფიეს და ვერცაღავინ კელჰყოფს და შეჰკადრებს, დალაცათუ ვინ სადა კელჰყოს ესე ანუ ქალაქთა შინა გინა სოფელთა, მცირეთგანმან ვინმე წარმართა კუალად ათნი ვინმე გინათუ ათუთხმეტნი, გინა თუ ოცნი შეიწყნარნა, და ესეცა ჰასაკად მოსრულნი:

ვითარცა წამებს წიგნი მეფეთა აბდიასთჳს წინასწარმეტყუელისა, რომელმან იგი ერგასისნი წინასწარმეტყუელნი, ლტოლვილნი დ͠ დამალულნი ეზაბელისაგან ქუაბსა შინა ერთსა, ჟამ რაჲოდენმე გამოზარდნა, და ესე არა საკჳრველარს: ესე ერგასის თავი იყო აქაბ მეფისა, ხოლო იგინი წინასწარმეტყუელნი იყუნეს ღირსნი, რომელთა მიერ მრჩობლსა სასწაულსა მოელოდა.

და კუალად წერილ არს ახალსაცა სჯულსა შინა წმიდისა კლიმისთჳს, და წმიდისა ზოტიკ ხუცისათჳს, და სამფსონ უცხოთ შემწყნარებელისა და წმიდისა ბაბილასთჳს ანტიოქელ პატრიაქისა:

რამეთუ წმიდაჲ კლიმი ასწავლიდა ყრმათა, ხოლო სულიერი დედა მისი, სოფია ნეტარი, ზრდიდა და თანა მოღვაწე იყო; ეგრეთვე ზოტიკი, ხუცესისა ცოლი და შვილნი: მონანი და მკევალნი ჰყუეს და თანა შეეწეოდეს, ხოლო სამფსონ ნამეტნავისაგან სიმდიდრისა ქველის საქმესა იქმოდა,
246 და კუალად წმიდაჲ ბაბილა დიდისა მის ქალაქისა საყდრის მპყრობელი იყო, რომელთა არა არს საკჳრველ ესეოდენსა ფართოებაჲსა შინა უხუებით ქუელის მოქმედებად.

ხოლო ნეტარმან ამან კაცმან საკჳრველმან, კაცთა ბუნებისა უზე-

შთაეს შეუკადრებელთა შემკადრებელმან, რომელი იგი ყოვლითურთ მიემსგავსა ბუნებით სახიერსა მას და კაცთ მოყვარესა, რამეთუ კაცნიერ არს ვიდრე აქამომდე სიტყუაჲ ჩუენი, რამეთუ არათუ ათნი იტკრთნა, გინათუ ოცნი ანუ თუ ორმეოცნი სულნი, რომელთაგანთა წუთ არცა მარჯუენე უწყოდეს და არცა მარცხენე, არამედ მოქნე იყუნეს სძესა დედისასა საზრდელად მათდაჲ, პირველსა მას ჰასაკსა ქცევასა შინა; ხოლო სხუანი მეორესა მას ჰასაკსა შინა შესრულნი სიჩჩოებისაგან მცირედ ოდენ დაკლებულნი და ყრმად სახელდებულნი, კუალად მწყობრნი მესამენი, მესამესა მას ჰასაკსა შინა სიპაბუკისათა მომლოდენი, ხოლო მეოთხენი განწყობილნი ხუცესთა და მოხუცებულთა და ბერთანი, რომელნი იგი ნებსით თჳსით დაემოწაფნეს, ხოლო სხუაჲნი კუალად შვილთა თანა დაადგრეს,—ესე ყოველნი ერთ მწყობრად და ერთრიცხუად შეკრებულნი და რვაჲ ათეულად აღრიცხულად აღრიცხულნი, და ნავთ სადგურსა წყალობისა მისისასა შეევედრებულნი, ვითარცა ცხოვარნი მწყემსისა კეთილისა, ეგრეთ შეუდგეს წმიდასა მას, ხოლო მიზეზი შეკრებისა მათისა ესე იყო:

რამეთუ ჴამსა მას, ოდეს იგი უსჯულოებაჲთა ჩუენთა სიმრავლემან, წყალობაჲ აურაცხელი და სახიერი ღმერთი უწყალოებაჲდ და რისხვად აღძრეს, და სალმობაჲ იგი განმაჴრუებელი სიმყრალისა ღირსად და სამართლად ყოველსა აღმოსავლეთსა ზედა მოიწია,

სიტყჳსაებრ წინასწარმეტყუელისა: მრავალ სახენი და უწესონი საქმენი, კაცთა ბუნებაჲსა ზედა გამოსრულნი, იხილებოდეს, და არა წმიდანი საქმენი, ქრისტიანეთათჳს საქმლად დაყენებულნი, ნიჭად დიდად შიმშილსა მიეძღვანებოდეს, და შვილნი სასურველნი და საყვარელნი მშობელთანი, ლოცვითა მოთხოვილნი ღუთისაგან, საწყინო და საძულველ მშობელთა იქმნებოდეს; ხოლო სხუაჲთა მათთანა წარვეჰდით, რომელი არა ჯერ არს აღწერად, ხოლო ესე აღიწერა მოსაკსენებელად კაცისა მის ღუთისაჲსა, თუ ვითარსა ჴამსა ვითარ მიზეზ ღუთისაჲ წყალობისა ექმნა მრავალთა სულთა და მრჩობლთა მიერ საზრდელთა გამოზარდნა, ვითარცა პირველ იოსებ მეგჳპტენი, და, ვითარცა მოსე ზღჳსაგან სიყმილისა დაუნთქმელად, მისგან შეევედრებულნი იგი სულნი მისგან განარინნა. ესე ნუ ვის უკჳრს, ოდეს მოიწიოს ზეგარდამო რისხვა კაცთა ნათესავსა ზედა, არა ხოლო თუ გლახაკნი შეიწრდებიან, არამედ მდიდარნიცა ნაკლულევან იქმნებიან, ვითარცა იტყჳს დავით, ვითარმედ: „ყოველთავე მიაქციეს ერთბაჲდ და უმარ იქმნესო“: ამისცა ყოველნივე იტანჯნეს.

ხოლო, ვითარცა ზემო ვთქუთ, რომელნი ამას საზარელსა ბოროტსა მძლე ექმნეს და კნინოდენ სიყმილისა სიკუდილსა დაუშთეს და ჴამსა მას

განსაცდელისასა მცირედ თანა წაჰრკვდეს, მას ოდენ ჟამსა მოვიწიენით ჩუენ აღმოსავლეთს, რამეთუ დაღაცათუ მცირედ უმოლხინეს ქმნილ იყო ჟამი, გარნა თუ ნეშტი განსაცდელთა იწრ ოებისა სრულიად არა თანა წარსრულ იყო, და თუცა ვინ დაშთომილ იყო, მრავლითად ჭირითა ცხოვნდებოდეს და შორის სიკუდილისა და ცხორებისა მყოფი იყო, და ესე ყოველი
247 რად იხილა წმიდამან მამამან გიორგი, სულთ ითქუნა მწუხარებით და ცრემლით იტყოდა: „ჱ მე, რასათჳს მე მოვიწიე ამას ქუეყანასა ხილვად ესე ვითართა ამათ ბოროტთა!“

ხოლო, პირველ ყოველთასა, ვპოვენით ამის ნეტარისა თჳსნი მათ ქუეყანათა, ფრიად დაღონებულნი, დისწულნი ორნი და შვილნი მათნი ყრმანი მცირენი; ესენი შეიწყნარნა წმიდამან მან, სიტყჳსაებრ, ვითარმედ: „თჳსი ნათესავისა შენისა არა უგულებელს ჰყო“; ხოლო სხუადნი სხუადთა ადგილთა მათგან შეკრიბნა—რომელნიმე ქალაქთაგან, რომელნიმე დაბადთაგან, სხუანი სრულიად უდაბურთა ადგილთა პოვნა, სხუადნი მონებისაგან გამოიყვანნა, ხოლო სხუადნი უმწარესისა ცხორებისაგან იჳსნნა, და ესრეთ, ჟამსავე სიყრმისა და უმანკოებისასა, ვიდრე ცნობადმდე კეთილისა და ბოროტისა, გამოიკსნნა ნეტარმან მან, და ესე ვითართა შეურაცხთა საქმეთაგან მღედლად უბიწოდ, მნედ სარწმუნოდ ქრისტესა შეწირნა, და ესე ნუ ვის უკჳრს, რამეთუ მამათ მთავარიცა დიდი იოსებ მონა იყო და სიწმიდე მისი ყოველთა შორის იქების, რომელი იგი უკანასკნელ მეფე იქმნა ეგჳპტისა, ხოლო დავით და ამოს არა მწყემსნი იყუნესა, რომელი იგი ერთი მეფე იქმნა, ხოლო მეორე წინასწარმეტყველ? და რათა არა თითოეულსა ვიტყოდი, ესრეთ რად ყოველსა აღმოსავლეთსა განეფინა საქმე ესე საკჳრველი.

იწყეს ყოვლით კერძო შემოკრებადდ, რომელნი მშობელთა თჳსთა მოიყვანიან და ევედრებინ შეწყნარებადდ, და რომელთამე წინაშე კართა დაუტევიან და ივლტოდიან, სხუადნი კუალად, გონებითა მახჳლნი რე, მშობელთა თჳსთაგან თჳთ ლტოლვილნი, წმიდისა ამის ნავთ საყუდელსა შემოევედრნიან; და ესრეთ აღორძნდა ღუთივ შეკრებული ესე კრებული, ვიდრეცა აღვიდა ოთხმეოც რიცხვად, ვითარცა პირველ ვთქუ.

აწ უკუე გულის კმაჲ ყავთ, ჱ მორწმუნენო, საქმე მაღალი და განსაკრთომელი! უწყი, ვითარმედ არა უმეცარ ხართ შვილთა ზრდასა მოყვარენი სოფლისანი, რამეთუ უკეთუ ვის განუმრავლდენ შვილნი უფროს რიცხჳსა, ვითარ არს შჳდისა გინა რვისა, რად ზომ მდიდარი იყოს, დიდსა ჭირსა და ურვასა შთავარდების, ხოლო უკეთუ გლახაკი იყოს, ყოველითურთ მწარე არს ცხორებად მისი და აღსავსე ვაებითა; ხოლო ამან ნეტარმან ესეოდენი სიმრავლე ობოლთა იტკრთა, ვითარცა სხუადმან ერთი

გინა ორი, და ესრეთ აღზარდნა ყოველნივე და ღუთივ სულიერითა სწავლითა სრულ ყვნა, ვითარცა ხათნო უჩნდა, ნებაჲსა ღუთისასა, და აღორძინებაჲსა თანა ჰასაკისასა წერილთა სალმრთოჲთა სიტყბოებასა, ვითარცა სძესა და თაფლსა, ასუმიდა; ხოლო გვამისა ორღანოთა მათ ასოთა განჭაბუკებასა და საცნობელთა გარეშეთა განვრცელებაჲსა თანა შინაგან გონებისა ორღანოთა განაფრთხობდა და განაჭაბუკებდა, და ესრეთ, მრჩობლ აღორძინებულთა დამბაჲდებელსა ღმერთსა მათსა მიუძღვანებდა.

რამეთუ არა სხუაჲთა მოძღუართა მიერ ასწავლიდა ესოდენსა მას სიმრავლესა ანუ თუ სხუაჲთა თანა შემწეთა იკუმევდა, რათამცა თჳთ მცირედ რაჲმე განისუბნა, არამედ ყოვლითურთ თჳთ ასწავებენ და მოძღურინ— მწყობრთა და მწყობრთა, ჰასაკეულთა და ჰასაკ ულთა, ხოლო წესსა და კანონსა ლოცვათა თჳსთასა არა დააცადებდა, არცა მარხვისა და ძოღვაწებისაგან განისუბნებდა, ვიდრემდის უპირატესთა მათ შემდგომნი შეასწორნა, ხოლო შესწორებულთა მათ შემდგომნი მათნი წარსწივნა, და ესრეთ, 248
დაღაცა თუ ჰასაკითა ერთი მეორისა უმეტეს იხილვებოდა, ხოლო სწავლულებისა მიერ ურთიერთას მოჰასაკე იყუნეს.

ხოლო მნებავს სიტყუაჲ შემგავსებული ჟამსა და ადგილსა, რომლისა თქმა არა უჯერო არს საბრალობელად მაბრალობელთა მათ უბრალოსათა, რომელთა თჳს იგივე ვჰგონებ, რომელ არცა თუ კეთილსა მას მთესვარსა ერიდენ ბრალობაჲდ, რომელი იგი გამოვიდა თესვად თესლისა, ვითარცა სახარებაჲსა წერილ არს, გინათუ მეათერთმეტისა მისთჳს მოწაფისა მოძღუარი იგი სახიერი ბრალეულ ყონ, და კუალად მარტო ელისე ერთისა გეზისთჳს, რომელსა იგი ხოლო ჰხოლო ჰყვა მოწაფედ, რამეთუ ესე ვითარითა სავსე არიან წერილნი, ხოლო ჩუბნ მცირეთა მიერ სიტყუაჲთა მიზეზი სიტყჳსა ჩუბნისა საცნაურ ეჰყოთ და ნამეტნავსა თანა წარვჰჴდეთ: რათა არა უნაყოფოებისათჳს რომელთამე ხეთასა შუბნერსა მის სამოთხისა დამსხმელსა აბრალებდეს ვინ, არცა ორნატთ მთესვარსა მას კეღოვანსა მცირისა ღვარძლისა განიკითხვიდეს ვინ, უკეთუ მცირედცა რაჲმე იყოს ნაკლულევანებაჲ ესოდენსა სიმრავლესა შინა.

რამეთუ იყო მრავალი მიზეზი შეკრებაჲსა ამას შინა, ჲ წმიდაო! პირველად ყოვლისა ღუთისაჲ მიმსგავსებული მოწყალებაჲ, ვითარცა ზემო ვთქუ, ჟამისა მისთჳს განსაცდელისა, ხოლო მეორედ, ვინათგან შრომა თავსიდვა და მრავალნი წიგნნი ეთარგმნნეს და ენებაჲ, რათამცა ნათესავმან ჩუბნმან დაისწავა. ხოლო ვინათგან შეუძლებელ იყო ჰასაკითა სრულთა და განმწყსებელთაგან სწავლა, ამისთჳსცა ბუნებაჲ იგი ლბილი და ჩჩვლი, რომელი, ვითარცა ცვლი საბეჭდავსა, ეგრეთ მიიღებს სწავლულებაჲსა, ესე

ვითარი კრებული ორღანოდ, შემწყნარებელად სწავლათა თჳსთა მოიპოვა, რომლისაგან არა განცრუვნა სასოებაჲ მისი.

ხოლო კუალად მესამე მიზეზი ესე იყო, რომელსაცაჲ შინა იყო განგებაჲ ღუთისა, რამეთუ იყო რაჲ წმიდაჲ ესე მთასა ამას წმიდასა—პირველად დიაკონობაჲსა შინა და მერმე წინამძღრობაჲსა, აჳსოვდა მრავალი ღუაწლი და შრომა, რომელი თავსედვა ხუცესთა და მგალობელთა, რამეთუ ქუჱყანა ჩუჱნი შორს იყო ამის ქუჱყანისაგან და მცირედნი მოვიდიან სწავლულნი; ხოლო რომელნი იგი მოვიდიან, შემდგომად მცირედისა კუალადცა წარვიდიან და დიდებული ესე ეკლესიაცა—ლავრა—დაუტევიან. ენებაჲ ნეტარსა ამას, რათა კრებული შჳლთა თჳსთა, ვითარცა ცხოვარნი სიტყჳერნი, წმიდასა მამასა ჩუჱნსა Ეფთჳმის ძღუნად პატიოსნად მიჰგუარნეს მგალობელად და მღდელად წმიდისა ამის ეკლესიისა, რათა ღმერთშემოსილთა მათ საკსენებელი ბრწყინვალედ აღესრულებოდის და, ვითარცა პირველ ვთქუ, ესე სამი მიზეზი იყო მათისა შეკრებისა.

ხოლო ჩუჱნ პირველსავე სიტყუაჲსა მოვიდეთ. Დავყავით აღმოსავლეთს ხუთი წელი ესე ვითარითა ყოფითა, ვითარცა ზემო ვთქუთ: გარდაიწჳრნეს წიგნნი მისნი მრავალთა საეპისკოპოზოთა და მონასტერთა, და მრავალნი საეკლესიონი წესნი განჰმართნა, რომელი რაჲ ნაკლულევანებაჲ პოვა და ყოველთავე მეფეთა და მთავართა, მდიდართა და გლახაკთა, დიდთა და მცირეთა გზანი საუკუნოსა ცხორებისანი ასწავნა, მკნებეჲ და წესნი დაუსხნა წერით და უწერელად; და ესრეთ საღმრთოჲ ბრძანებაჲ აღასრულაჲ და მისდა ბრძანებული იგი ტალანტი ბევრ წილად აღაორძინა,
249 რომელ არს წიგნთა თარგმანებაჲ, და სხუაჲცა ტალანტი შესძინა ფრიად უმაღლესი პირველისა, რომელ არს ესოდენისა სულისა განსწავლა და აღზრდა.

რამეთუ მე, ჲ ნეტარო, არა ესრეთ საკჳრველ მიჩნს და დიდ წიგნთა თარგმნა, ვითარ ესოდენისა სულისა ღუთისაჲ შეწირვა! ხოლო საცნაურ არს ესე, ვითარმედ ამათ ობოლთათჳს წარუძღუა ღმერთი აღმოსავლეთს, და ესრეთ ყოველი აღმოსავლეთი განანათლა, და ნაწილი იგი Ანდრია მოციქულისა და Სიმონ კანანელისა კუალად განამტკიცა: რამეთუ Ანდრია მოციქულმან მოვლო ქუჱყანა ჩუჱნი, ხოლო Სიმონ კანანელმან სრულიად დაამკჳდრა, რამეთუ Ნიკოფსს არიან ნაწილნი მისნი წმიდანი. ხოლო რაჟამს იგი სამხილებელად ცოდვათა ჩუჱნთათჳს ლომი იგი მყჳრალი,

Ბაბილოვნით აღმოსრული სიმტკიცესა ზედა მკლავისა თჳსისასა, მეორე ნაბუქოდონოსორ უსჯულო, სულტანი გამოვიდა საზღვართაგან თჳსთა მომსრველად ნათესავისა ქრისტეანეთასა, მას ჟამსა შინა ვიყვენით

ჩუენ ახალქალაქს ჯავახეთისასა, და მუნ ჰყვეს ყოველნივე ობოლნი თვსნი, და ვსხედით ყოველნივე წინაშე მისსა, შუადღეს ოდენ განკვრვება დაეცა ჟამ რაჲოდენმე და, მეყსეულად განკრთომისა, გვბრძანა ყოველთა, ვითარმედ: „რისხვა ღუთისაჲ მოწევნად არს ამას ქალაქსა ზედა!“ და ბრძანა ალყაზმაჲ ყოველთა; და იყო რაჲ მწუხრი, გამოვედით, და კუალად სამისა დღისა მოიწია რისხვა იგი უგრძნულად, რომელსა ყოველნი მეცნიერ ხართ: რამეთუ არათუ ახალქალაქისა მკვდრნი მოისრნეს, არამედ დიდ დიდნი და წარჩინებულნი მთავარნი და ერისთავნი სამეფოსა ჩუენისანი ძვრძვრად მოისრნეს და წარყმდეს, რომლისა მიერ ღუთის მსახური მეფე ბაგრატ დიდსა მწუხარებასა შთავარდა, ვიდრე არა მივიდა კაცი ესე ღუთისაჲ და სიტყვთა მიერ ნუგეშინისცემისათა და მრავალ სახეთა თხრობაჲთა და უწყებაჲთაგან ალმური იგი მწუხარებისა განუქარვა, ვიდრემდა თვთ აღიარებდა, ვითარმედ: „უკეთუმცა არა მეხილვა სიწმიდე შენი, კნინღამცა და მწუხარებისა მიერ მომკვდარ ვიყავ“.

ხოლო გულის კმაჲ ყო რაჲ ზეგარდამოთა წოდებითა, ჟამი მიცვალებისა თვსისა ჴორცთაგან განსლვისა და ღუთისაჲ მიმართ მისლვისა, განგებულებამან საღმრთოჲმან აღძრა სული მისი წარსვლად მთა წმინდად, რათა ვინა იგი აღმობრწყინდა ნათელი მეცნიერებისა წიგნთა ღუთივ სულიერთა, ვითარცა მრავალგზის ვთქვამს, პირველად წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთვმეს მიერ და მერმე ამის ნეტარისა მამისა გიორგისაგან, რათა მიერვე იქმნას აღვსებაჲ მისი და ზეცისა ნათელსა შემატებაჲ, დაღაცა თუ ქალაქსა მას შინა სამეუფოსა აღესრულა, ვითარცა წმიდაჲ დიდი მამა ჩუენი ეფთვმე, რათა, ვითარცა მდინარე თუალისაგან წყაროჲ გამოსრული, რომელმან მორწყის პირი ქუეყანისა, თავადვე თვსად მიიქცეს და თვსსავე გამოსავალსა შთაედინოს, და რათა, ვითარცა ვთქუთ, ესოდენი ესე სიმრავლე შვილთა თვსთა, ვითარცა ცხოვართა პირ მეტყუელთა, წმიდასა მამასა ჩუენსა ეფთვმეს მიუძღვანნეს და შინაგან ბაკისა მისისა დაამკვდრნეს.

ამათ ესე ვითართა განგებულებაჲთა თვს გულსა მოუკდა წარსლვა მთა წმიდადვე.

და შემდგომად მრავალთა ლოცვათა და ღუთისაჲ მიმართ ვედრებაჲ-
თა გულსავსე ქმნული, წარვიდა წინაშე ღუთის მსახურისა მეფისა ბაგრა-
ტისა, და, ვითარცა შუენოდა სიბრძნესა მისსა, მრავალი სიტყუაჲ მადლოვ- 250
ნობისა და ღუთისაჲ მიმართ ლოცვისა წარმოთქუა მის წინაშე სარწმუნო-
ებისათვს და სიყუარულისა მისისა მიმართ და სწავლათა მისთა კეთილად

შეწყნარებისა, და სიტყუაჲნი ჯმნისნი შეაუღლნა სიტყუათა ძისთა, სავსენი სიბრძნითა საღმრთოჲთა,

ვითარმედ: „ჱ მეფეო, ვითარცა მორჩილ ვიქმენ ბრძანებისა შენისა და დაუტევე ქუჱყანა უცხოებისა და მწირობისა ჩემისა, სადა იგი მრავალთა შფოთთაგან განმესუნა, აწ შენ მორჩილ ექმენ სიგლახაკესა ჩემსა, აწცა, ვითარცა მრავალგზის, განმიტევე ქუჱყანად მწირობისა ჩემისა, წარმგზავნე ლოცვით და კურთხევით მიმაწიე საჳარხოსა მამათა ჩემთა სულიერთასა, ვითარცა მამათ მთავარი იაკობ ეგვპტეს აღსრულებული და აღთქმისა ქუჱყანად წარყვანებული, დასაფლავად აბრაჰმის თანა და ისაკისა, ვითარცა ძუალნი იოსებისნი, მიერვე განკმულნი და მამათა თჳსთა თანა დასხმულნი; უკეთუ შეემატა რაჲ ღუთის მსახურებაჲსა შენსა და წესიერებაჲსა სამეფოსა შენისასა,—ესე მადლი შენი არს, რამეთუ შენ მიწოდე და არა თჳთ მოვედ; მიიღე აღწერილი შენი და იხილე, რომელსა შინა აღგეთქუა უზრუნველ ყოფა ჩემი, მეფემან მაგან ქუჱყანისამან ქუჱყანისავე მეფისა მიმგზავნე, და ქალაქისა ყოველთა შემკრებელისა, დამაშურალთა განმასუნებელისა; ვინა იგი დიდ არს ოჳფალი და ქებულ ფრიად ქალაქსა ოჳფლისა ძალთასა, ვითარცა დავით იტყჳს: „სადა იგი ღუთისა ძლიერნი ქუჱყანით ფრიად ამაღლდებიან“.

ამათ სიტყუაჲსა მიერ ლმობიერ ყო გული მეფისა, ვიდრეცა მრავალი ცრემლი დასთხია მთავართა თჳსთა თანა და ეპისკოპოზთა, და მრავლითა ღონითა და ვედრებითა ვერ უძლო შეპყრობაჲ შეუპყრობელისა მის და იძლია მძლე უძლეველისაგან, მერმე სამეუფოთა წიგნთა მიერ, და მანდატურთაჲ წინაშე ღუთის მსახურისა ქოსტანტინე დუკიწისა წინაშე წარგზავნა მრავლითა ნიჭითა და საფასითა თჳთ მეფემან და ყოველთა მთავართა თჳსთა და ეპისკოპოზთა, და აღივსო ყოველი სამეფო მისი მწუხარებითა და ურვითა, ვითარცა ერთი შვილი დაკლებაჲსა მამისა თჳსისა: რამეთუ კნინღა და უმრავლესნი მოწაფენი იყუნეს მისნი, ვითარცა პირველ გჳთქუამს.

ხოლო წარმოვემართენით მას ჟამსა, ოდეს მართა უფლის წული სძლად თჳსად ქოსტანტინე დუკიწმან მოიყვანა დედოფლად სამეუფოსა ქალაქსა, და ვითარცა დაგჳწერია პირველვე წინასწარმეტყუელებისათჳს ბერისა: რამეთუ ოდეს წარმოჰყვანდა პირველ ჩუენსა, ჰრქუაჲ მარიამ ბაგრატის დედამან ბერსა, ვითარმედ: „აჰა, მამაო, აღესრულა წინასწარმეტყუელებაჲ შენი მართას ზედა!“ და ესრეთ წარმოიყვანეს დიდითა დიდებითა სამეუფოდ; ხოლო მეფისა მიერ წარმოვლინებულ იყო ჰრონი, ხოლო თჳსისა მამისა მიერ ჰყვეს ნეტარი ბერი პეტრე პატრიკ ყო-

ფილი და იოანე ბედიელი მთავარ ეპისკოპოსი და სკნგელოზი და სხუაჲ ერი ფრიადი, რომელნი პირველ ჩუჱნსა მისრულ იყუნეს.

ხოლო ჩუენ წარვემართენით ნავითა, მრავალნი ღელვანი და აღძრვანი ზღვსანი გუჱკუჱთნეს მრავალ დღე, ვიდრე არა სრულიად სასოებაჲ ცხორებისა ჩუენისა წარვიწირეთ, რომლისა აღწერა სიტყვსა ნამეტნავ არს, ხოლო ლოცვამან ამის წმიდისამან მშჳდობით განგვარინნა, და ესრეთ უვნებელად სამეუფოდ ქალაქად მივიწიენით; მაშინ პეტრე ყოველივე საქმე ჩუჱნი ღუთის მსახურსა მეფესა მიუთხრა, ხოლო ხვალისაგან ბრძანა მეფემან აღწოდებაჲ მისი პალატად.

და დღესა მეორესა აღიყვანეს პალატად, და, ვითარცა შევიდა წი-
ნაშე მეფისა, წესისაებრ სამეფოსა თაყვანისცა და ქებაჲ შეასხა და ლოც- 251
ვა და კურთხევაჲ შვილითურთ მიუძღვანა; ხოლო განიცადა რაჲ მეფემან სახე მისი ღუთივ სულიერი, ხოლო სიტყუაჲ პირისა მისისა მდაბალი და შემუსვრილი და მსმენელთა სასმენელსა მკვრცხედ შემავალი: რამეთუ საცნობელთა მისთა დაწყნარებაჲ შინაგანთა სულისა ძალთა აღუძრველობაჲსა წარმოაჩინებდა, ხოლო სიტყუაჲთა მდაბალთა მიერ და მახვლთა გონიერებასა სულისასა წამებდა, რომლისათვსცა ჰრქუაჲ მეფემან პ ტრიკსა, ვითარმედ: „მადრიელ ვარ ოჳფლისაჲ ბაგრატ სევასტოსისდა, რომელ ესე ვითარი კაცი, მიმსგზავსებული ანგელოზთა, წინაშე მეფობისა ჩუჱნისა წარმოავლინა, რამეთუ დაღაცათუ ნათესავით ქართველი არს, ხოლო ყოვლითურთ წესი ჩუჱნი ჰმოსიეს!“ მაშინ წარიკითხნა წიგნნი სევასტოსისნი, რომელთა შინა წერილ იყო, ვითარმედ: „გიხაროდენ, ჵ ღუთის მოყუარეო, მეფეო, წარმომივლენიეს წინაშე მეფობისა შენისა კაცი, მიმსგავსებული უსხეულოთა, და მოძღუარი ჩუჱნი ყოველთა ეგრეთ შეიწყნარე, ვითარცა შუჱნის მეფობაჲსა შენსა, რომლისა ლოცვითა დაამყარენ ღმერთმან ყოვლისა სოფლისა მპყრობელი წმიდა მეფობა შენი!“

მაშინ უმეტეს გულის კმაჲ ყო ღირსებაჲ მისი და დიდითა პატივითა მოიკითხა და ჰრქუაჲ, ვითარმედ: „რაჲცა გნებავს, ყოველსავე აღგისრულებს მეფობაჲ ჩუენი!“ ხოლო, ვითარცა ესრეთ სთნდა ღირსებაჲ მისი, იწყო უბნობაჲდ და კითხვად ბერისა სიტყუათა სულიერთაჲ და წესთა სჯულისათა.

ხოლო იყუნეს მას ჟამსა წინაშე მეფისა მდგომარე კაცნი ვინმე დიდებულნი და წარჩინებულნი, ჰრომნი და სომეხნი, რომელთა თანა იყო ვაგისკარელი და სხუაჲნი თავადნი სამეფოსნი, რამეთუ ჟამიცა მარჯუჱ იყო და დაწყნარებული, და, ვითარცა ვთქუ ზემო, იწყო მეფემან კითხვად სჯულისათჳს მართლმადიდებელთასა ანუ თუ: „არს რაჲ განყოფილებაჲ სარწმუნოებისა თქუენისა სრულსა მას და უცთომელსა სარწმუნოებაჲსა

ბერძენთასა თანა?" ხოლო ნეტარმან მან ესრეთ მაღლად და ღუთივ ბრწყინვალედ წარმოთქუაჲ სარწმუნოებაჲ მართალი ჩუენ ქართველთა ნათესავისაჲ, რომელ განაკვრვა მეფე და ყოველნი მთავარნი მისნი, და ჰრქუაჲ მეფესა: „ესე არს სარწმუნოებაჲ მართალი ნათესავისა ჩუჱნისა და, რაჟამს ერთგზის გჳცნობიეს, არღარა მიდრეკილვართ მარცხულ გინა მარჯულ და არცა მივდრკებით, თუ ღმერთსა უნდეს".

ხოლო განკჳრდა, ესმა რაჲ ესე, ვითარმედ: „არღარა მიდრეკლვართო", და ჰრქუაჲ ბერსა: „მადლი ღმერთსა, ვითარ მრავალი უაღრესი ვიხილე თქუენ შორის, გარნა, პატიოსანო მამაო, მე კაცი ვარ სამკედროთა საქმეთა შინა აღზრდილი და ვერ წულილად მეცნიერ ვარ ყოველსა, ხოლო აწ ვინათგან კუჱრთხი მეფობისა მე მიპყრიეს, მნებავს, რათა ყოველსა მეცნიერ ვიყო ბერძენთა და ჰრომთასა, რამეთუ პირველ ყოვლისა მართლმადიდებლობაჲ იძიების მეფეთაგან; მაუწყე. ვითარ არს ესე, რომელ ჩუენ და თქუჱნ მფუვანითა ვწირავთ და ზედაშესა წყალს ურევთ, ხოლო ჰრომნი კმიადითა და ურწყოთა წირვენ? ფრიად უცხო მიჩნს საქმე ესე და ურთიერთას წინა აღმდგომ! ანუ რაჲ არს ძალი პურის ცომისა და მარილისა, ანუ წყალი, რომელ ურთავთ ზედაშესა? განგჳმარტე და გულის კმაჲ გვიყავ, წმიდაო მამაო!"

ხოლო ნეტარმან მან მიუგო, ვითარმედ: „ჱ მეფეო, ვინათგან ბერძენთა შორის მრავალი წჳალებაჲ შემოვიდა პირველ და მრავალგზის მიდრ-
252 კეს, ამის თჳსცა მსგზავსად თქუენსა ღუთის მსახურთა მეფეთა წმიდანი კრებაჲნი შეკრიბნეს და წულილად გამოიძიეს განგებულებისათჳს ქრისტეს ღუთისაჲ ჩუენისა და კორციელად გამოჩინებისათჳს მისისა, და საუფლოთა მათთჳს კორცთა გამოძიებაჲ იქმნა და დააწესეს, რათა მივიღებდეთ ცომსა სახედ კორცთაჲ ქრისტესთა, ხოლო პურის ცომსა სახედ სულისა გონიერისა, და მარილსა სახედ გონიერებისა. წინა აღმდგომად წჳალებისა უსჯულოსა აპოლინარისისაჲ, რომელი იგი კორცთა მათ ქრისტესთა საუფლოთა უსულოდ და უგონებოდ იტყოდა, უგუნური იგი და უსულო;

ხოლო ღჳნოსა თანა წყალსა ურევთ სახებ სისხლისა და წყლისა, რომელი გარდამოკდა გუჱრდსა მჴსნელისასა, ვითარცა იტყჳს Იოანე ოქროპირი; ესე არს განმარტებაჲ და მიზეზი ამათ საქმეთა! ხოლო ჰრომთა ვინათგან ერთგზის იცნეს ღმერთი, არა ოდეს მიდრეკილ არიან და არცა ოდეს წჳალებაჲ შემოსრულ არს მათ შორის, და ვითარცა იგი მაშინ თავმან მოციქულთამან პეტრე შეწირა უსისხლო იგი მსხუჱრპლი და უმეტესადღა, ვითარცა თჳთ თავადმან ოჴფალმან მისცა მოწაფეთა ღამესა მას სერობისასა, ეგრეთ აღასრულებენ იგინი, და არა რაჲ არს მას შინა განყოფილებაჲ, ოდენ სარწმუნოებაჲ მართალი იყოს". ხოლო მთავართა

მათ ჰრომთა დიდად განიხარეს, რამეთუ კუალადცა ყოფილ იყო ამის პირისათჳს ძიებაჲ მათ შორის და უსწაველელობითა ვერა სიტყუაჲ ეგო მეფისადა და ეტყოდეს წმიდასა: „წარგიყვანოთ წინაშე წმიდისა პაპისაჲ!“

მერმე კუალად ჰკითხა მეფემან სომეხთა თჳს, თუ: „აქუს რაჲმე ნაწილი ქრისტიანეთა თანა?“ ხოლო მიუგო წმიდამან მოკლედ, ვითარმედ: „ბოროტსა სარწმუნოებაჲსა სახელცა ნუ ედებინ!“ ხოლო მათ ყოველთა წინაშე სირცხჳლითა აღავსნა სომეხნი იგი მეფემან.

მაშინ მეფე აღიავსო სიხარულითა და მადლი შეწირა ღმერთსაჲ და ამის ნეტარისათჳს მრავალი ქებაჲ წარმოთქუა წინაშე მთავართა და წარჩინებულთა თჳსთა, თუ ვითარ მაღალნი და ძნიად გულის კმის საყოფელნი იგი სიტყუაჲნი ესრეთ ადვილად და სულ მცირედ განმარტნა, და ფრიად აღშენებულ იქმნა ხიჲვითა და უბნობითა მისითა, და უბრძანა ბერსა, ვითარმედ: „რაჲცა საურავი და საქმე შენი არს, ყოველსავე აღგისრულებს მეფობაჲ ჩუენი!“ ესრეთ გამოვედით მეფისაგან და წარვედით სავანედ ჩუენდა და განვისუენეთ. ხოლო მამასახლისი მთა წმიდისა მას ჟამსა შინა მუნ იყო, იგი სამეუფოსა მას ქალაქსა, კაცი სახიერი და წრფელი; იხილაჲ რაჲ ბერი მოსრული და გულის კმაჲ ყო ძალი მოსლვისა ჩუენისა, განიხარა ფრიად და ჰრქუაჲ ბერსა: „კურთხეულ არს ღმერთი, კეთილად მოგიძღვა ოჳფალი! აჰა ესერა, მონასტერი შენი წინაშე არს შენსა!“

ხვალისა დღე აღგჳწოდეს პალატს, და აღვედით ჩუენცა და მამასახლისი მთაწმიდისა, და შევედით წინაშე მეფისა, ხოლო მეფემან კუალადცა სიხარულით მოიკითხა ბერი და ჰრქუაჲ, ვითარმედ: „წარვედ, კეთილო ბერო, მონასტრადვე შენდა, ვინა იგი ყოფილ ხარ პირველ, და შენნი ეგე ობოლნი მუნ აღზარდენ, რამეთუ ეგრეთ მოუწერია ჩუენდა ძმასა ჩუენსა ბაგრატ სევასტოსსა; ხოლო პირველი ეგე წინამძღუარი კეთილად გვედრი“. ესრეთ მოგჳგლოცა მონატერი და ჰრქუაჲ ბერსა, ვითარმედ: „ობოლნი იგი შენნი უჩუენენ მეფობაჲსა ჩუენსა, რათა წყალობით მიხედნეს და სხუაჲ ყოველივე თხოვა შენი აღგისრულოს, და წარვედ მშჳდობით და, რაჲცა გაკლდესთ, გვაცნობებდი და დაგიურვებდეთ!“ და 25ბ ესრეთცა კუალად გამოვედით პალატით და წარვედით სავანედ თჳსა.

ხოლო ხვალისა დღე მოიწია დღესასწაული იოანეს შობისა, ივნისის კდ, წარვედით ასტოდიას და შევემთხჳნით თავსა იოანე წინამორბედისასა, და ჟამსა ვეზიარენით ცხოველსმყოფელსა საიდუმლოთა, და მიერ წარვედით მეტოქადვე ჩუენდა ძსერლოფად.

აქამომდე არს სიტყუაჲ ჩუენი თჳენდა მომართ, ჲ ნეტარო, ვინათ-

გან შავით მთით წარმოვედით, და ვიდრე აქამომდე მოკლედ და მარტივად მიგითხართ.

ხოლო მიერითგან სასურველი იგი თქუენი და საძიებელი თხრობა მიცვალებისა მისისა: თუ ვითარ იქმნა ანუ ვითარი სნეულებაჲ იყო, გინა რაჲოდენ დღე სნეულებაჲ, და კვალად თუ ვითარნი იყუნეს კურთხევისა და წარგზავნისა სიტყუაჲნი, და თუ ვინ იყუნეს უკანასკნელსა მას ჟამსა მიცვალებისა მისისასა თანამოღუაწენი და მსახურნი; გარნა შეძრწუნებულვარ და შეშინებულ, რამეთუ აქამომდე გზაჲ სიტყჳსა ჩუენისა წრფელ იყო და ადვილ სავალად, ხოლო აწ იწრო და საჭირო და უღონო ჩუენგან სლვისა, რამეთუ ნავთ სადგურსა დუმილისასა მეგულების შესლვა, რამეთუ კელი ჩემი ძრწის და სული შეიწრდების, ხოლო გონებაჲ განცკფრდების, რაჟამს გულის კმაჲ ყო ჟამი სიობლისა ჩუენისა, გარნა შიშითა ურჩებისათა, მოჰრჩილებაჲდ ბრძანებისა თქუენისა მოსრულმან, კუალად აღვძრა უძლური ენაჲ ჩემი და სარბიელსა სიტყჳსა ჩემისასა კუალად ვიწყო სლვად.

Ესე წმიდაჲ მამა ჩუენი ნეტარსა მას დაძინებაჲსა თჳსსა არა უმეცარ იყო, არამედ მეტაღცა მეცნიერ, რამეთუ, ვითარცა იგი ვთქუ ზემო, შობაჲსა წმიდისა Იოანე ნათლის მცემელისასა მოვედით Ასტუდიას, ვემთხვენით რაჲ თავსა წინამორბედისასა, ეზიარა წმიდათა ქრისტჱს საიდუმლოთა და მადლი შეწირაჲ ღმერთსა, წარვედით მეტოქად ჩუენდა, მცირედ ოდენ მჯურვალებაჲ შეემთხვა, თჳნიერ სხჳსა სნეულებისა, ხოლო ჩუენ ვჰგონებდით, თუ გზისაკან არს, რამეთუ ქუეით მომაშვრალ იყო, რამეთუ ესე იყო ჩუსულებაჲ მისი—ქუსით წმიდათა წინაშე ლოცვად, და ესრეთ დავყავით სამი დღე შინა.

ხოლო ხვალისაგან, წინა დღით დღესასწაულთა წმიდათა პოციქულთასა, გკბრძანა, ვითარმედ: „შეეკაზმენით და ობოლნი ეგე აღიყვანენით, რათა წინაშე მეფისა წარვიდეთო“; რამეთუ ბრძანებაჲ გამოსრულ იყო, რათა გარე შილოპატსა გკხილნეს, ხოლო ჩუენ ვაყენებდით, ვითარმედ: „დღეს იყოს და ხვალე თაყუანისვცეთ მეფესა“; ხოლო მან განცხადებულად სასმენელად ყოველთა ბრძანა, ვითარმედ: „უკეთუ დღეს არა ვიხილოთ მეფე, ხვალე კელთა არა გუაქუს!“ ხოლო ჩუსნ ვერ გულის კმაჲ ვყავთ ძალი სიტყჳსა მის, რომელი იგი შემთხუსვად იყო, არამედ წარვემართენით, და იგი თავადი აღკდა საკედარსა თჳსსა თჳნიერ სხჳსა მახლებისა გინა ტჯრთვისა, და ესრეთ მივიწიენით ველსა მას ფილიპატროსსასა და გარდჰკდა საკედარსა, რათა: „მოველოდე მეფესა ვიდრე შემოქცევადმდე!“

და მოვიდა ჩუენდა პეტრეცა, კაცი იგი კეთილად მოკსენებული, და დაწერეს პიტაკი წინაშე მეფისა.

და ესრეთ, მოიქცა ღუთის მსახური მეფე და მოვიდა შვილითურთ, სადა განწყობილ ვიყუენით წესისაებრ; ხოლო ვითარცა მოგუსახლა და დავვარდით და თაყუანისვეცით, და ენითა ჩუსნითა ქებაჲ შევასხით; ხო- 254
ლო მან, კურთხეულმან მეფეთა შორის, გკხილნა რაჲ, მახლობელად ჩუენდა მოვიდა, და დაუკჳრდა სიმრავლე იგი ობოლთა მათ და უასაკობაჲ: რამეთუ რომელნიმე წუთ შჳდისა წლისანი იყუნეს და ყოველნივე საბეჭურითა და წესითა მონაზონთათა; დიდი მადლი გარდაიკადა ბერისა თანა და ჰრქუაჲ მას, ვითარმედ: „დიდი და მაღალი საქმე გიქმნიეს, ჲ ნეტერო, რომელ ამას ჟამსა სხუაჲ ვერვინ შემძლებელ არს!“

ხოლო ბერმან მისცა პიტაკი თჳსითა კელითა და ჰრქუა: „წმიდაო მეფეო, ესე ობოლნი აღმოსავლეთს შემოკრებიან, სახელი ღუთისაჲ მისწავებია და აწ წინაშე მეფობისა თქუსნისა მომიყვანებიან; ვითარცა ჯერ გიჩნდეს, აღზარდენ და შეიწყალენ მლოცველად სულისა თქუენისა და შვილთა თქუენთა მხეგრძელებისათჳს“; რამეთუ თანა უდგეს სამნივე იგი შვილნი მისნი და ზემოკსენებულნი იგი მთავარნი ჰრომაელნი და ბაგიკ ქარელი და უკჳრდა ყოველთა და ნატრიდეს ბერსა მას წმიდასა.

ხოლო, ვითარცა ვთქუ, პიტაკი მისცა მეფესა და ჰრქუაჲ, ვითარმედ: „შემდგომად ღუთისა კელთაჲ შენთა შეველდრებ ობოლთა ამ.თ!“ მაშინ უბრძანა მეფემან, რათა ჟამობაჲ ათჴმიოს ობოლთა მათ თჳსთა; ხოლო მან განცხადებულად ჯმნისა იგი და განტევებისა წმიდისა სჳმეონ მოხუცებულისა გალობაჲ გკბრძანა გალობაჲდ, რომელ არს ესე:

„მჯდომარე ეტლთა ქერაბინთა, მეუფე...“

და აწ „განმიტევე, მეუფეო.“

ესრეთ, გალობისა მიერ განაცხადა ამიერ განსლვა თჳსი, დაღაცათუ მაშინ ვერ გულის კმაჲ ყვეს ვერცა მეფემან და ვერცა სხუაჲმან ვინ, გარნა მეორესა დღესა, მირაიცვალა, ყოველთავე, ვითარცა მძინარეთა, განეღჳძა და ჰმადლობდეს ღმერთსა, რამეთუ არა დაუფარა წმიდასა მას მიცვალებაჲ თჳსი. ხოლო, ვითარცა ვთქუთ გალობაჲ იგი, დიდი მადლი უბრძანა მეფემან ღუთის მსახურმან ბერსა, ვითარმედ: „განგისწავლიან ბერძულსა გუარსა ზედა, კეთილო ბერო, შენნი ობოლნი, და ბრძანა ათასი აგურა მიცემად მათდა ფასუნად, და ბრძანა, ვითარმედ: „დიდად სწყალობს მეფობაჲ ჩუენი, რაჲცა პიტაკსა ამას შინა სწერია, ყოველსავე აღგისრულებს წადიერად!“ ხოლო ჩუსნ თაყუანისვეცით; და ესრეთ, წარემართა მეფე, ხოლო ჩუენ წარვედით შინა, და ბერი აღკდა საკედარსა ზედა, ვითარცა ყოვლად უვნებელი, და მიევედით სავანედ ჩუენდა; და შემწუხრდა დღე იგი,

რომელი განთენდებოდა ოთხშაბაჲთად, დღესასწაული წმიდათა თავთა მოციქულთა—პეტრესი და პავლესი.

ხოლო მწუხრისა ვილოცეთ მათ წინაშე და ჩუენ ყოველნი გუაკურთხნა ჩუსულებისაებრ და თჳთ მიწვა ცხედარსა ზედა და მიიღო მცირედ რაჲმე სასუმელი უძლურებისათჳს და სიმკურვალისა, და ჩუენ გჳბრძნა ყოველთა განსუსნებაჲ, ხოლო ჩუსნ გჳნდა, რათა მათ წინაშე ვიყუნეთ, არამედ მას მსახურებაჲ ჩუსნი არა ეკმარებოდა და ბრძანა, ვითარმედ: „ერთი კმაჲ ხართ და სხუათა განისუსნეთო“.

ხოლო გათენდებოდა დღესასწაული წმიდათა მოციქულთა, ვილო- 10
ცეთ ცისკრისა კეთილად, და განაგებდა წესსა ყოველსა, და ვითარცა განთენდა სრულიად, მოუწოდა ძმათა, რომელთა მსახურებაჲ აქუნდა და ჰრქუაჲ, ვითარმედ: „ნუგეშინისეცით ძმათა, რამეთუ დღეს აღვსებაჲ არს!“ და ესრეთ, ყოველთავე მის დღისა განსასუსნებელი თჳთ განაწესა; ხოლო ძმანი რომელნი წარვიდეს ტაძარსა წმიდათა მოციქულთასა ლოცვად და რომელნიმე შინა დავშთით, და იყუნეს ჩუსნთანა კაცნი მოხუცებულნი და აზნაურნი, პატიოსანი სტეფანე და სჳმეონ.

ხოლო, ვითარცა დღე წარმოიჩინა და სამ ჟამისა ჟამი მოახლებულ 255
იყო, გჳბრძანა, რათა სანთელნი აღვანთნეთ და საკუმეველი ვაკუმიოთ, და სახარებაჲ ვიწყოთ კითხვად, რამეთუ ესრეთ იყო ჩუსულებაჲ მისი: განაწე- 20
სნის ოთხნი მკითხველნი, ოთხთავე სწორად ვიწყით თჳთო თავსა და სწორად დავასრულით; და ვიწყეთ რაჲ კითხვაჲ სახარებისა, იგი ნეტარი ზე ჯდაჲ და ისმენდა კეთილად, და, ვითარცა დავასრულეთ ოთხთავე ერთობით სასარებაჲ, ჯუარი დაგვწერა და თქუაჲ: „დიდება 'მენდა, ოჳფალო!“ და ქუს მიწვა და გურქუა: „იგი საკმარი ესე რა არის?“ რამეთუ იყო ჰურჰელი, რომელსა შინა იდვაჲ დრაჰკანი საკმრად ძმათათჳს, რამეთუ არა თუ თჳთ ეპყრის, არამედ სხუაჲსა ძმასა აქუნ, ხოლო ძმა იგი წარსრულ იყო ლოცვად და იგი მუნ დაედვა და ჩუსნ არა უწყოდით; და ესე იყო ანდერძი მისი;

რამეთუ სხუაჲ ყოვლივე, განწესებული წიგნი მისნი და ძმანი მთა- 30
წმიდას, და ამის პირისათჳს არა აკსენნა, რამეთუ ყოველთა უწყოდეთ, და ვითარცა ცხორებაჲსა მისსა უყუარდა მყუდროებაჲ, ეგრეთვე ჟამსა ნეტარისა მის მიცვალებისა მისისაჲ იყო, რამეთუ, უკეთუმცა გუსცნა, ფრიადიმცა ამბოხი ქმნილ იყო და შფოთი, და, თუმცა შესაძლებელ იყო, კნი- 34
ნღადა შემცაგუსჰყრა სული იგი უმანკო ამის ნეტარისა.

ამის მიზეზისათჳს, მშჳდმან მან და მყუდრომან, ჟამსა მიცვალებისა მისისაჲ, მყუდროებაჲ იკუმია, რამეთუ, ვითარცა კელოვანმან მენაველთ მოძღუარმან, რომელსა მრავალნი უფსკრულნი განეცნიან, და მრავალთა ღე-

ლვათა ბრძოლა ეცის, და ნავთ საყუდელისა მიმართ მხიარული შესლვად
განემზნდის; გინა, ვითარცა მჴედარი ძლევა შემოსილი, რომელსა იგი
უჩინოცხენი სარკინოზნი მოესრნიან და მრავალნი ძლევანი და ბრძოლანი
ექმნიან, და ყოველსავე შინა განმარჯვებული მივალნ მეფისა თჳსისა; ანუ
თუ ვაჭარსა რომელსა მცირითა რაჲმე საფასითა ური ხკ სიმდიდრე შე-
ეკრიბის და საუნჯესა მიმართ თჳსისა მხიარული მიისწრაფინ; გინათუ
ვითარცა მუშაკი ორნატ სავსე ნაყოფთა ზედა თჳსთა მხიარულ არნ — ეგ-
რეთვე წმიდაჲ ესე ჟამსა მიცვალებისა თჳსისასა ამათ ყოველთავე ზემო
წერილთა მიემსგავსა, რამეთუ დალაცათუ იყო რაჲ კორცთა შინა, კორც-
თაგან მიცვალებულ იყო განგებითა; ხოლო აწ ესრეთ იყო სულიერი გან-
სლვა მისი კორცთაგან; რამეთუ განირთხნა წმიდანი ფერჴნი მისნი წესი-
ერად, რომელთა ღუთის მსახურებისათჳს მრავალი შრომა თავს ედვის, და
ჴელნი სანატრელნი, მწერალნი საღმრთოთა მოძღვრებათანი, უმანკოსა და
უბიწოსა გულსა ზედა თჳსსა დაიჯუარედნა, და მცირედ ოფლნი გარდაე-
ცნეს, რომელნი იგი ღუთის მსახურებისათჳს მრავალგზის დასთხინა, ესრეთ
ჯუარი პირსა დაიბეჭდა, რომელი იგი მარადის სასოდ და ზღუდედ აქუნ-
და, და კუალად დადვა წმიდაჲვე იგი მარჯუენე თჳსსავე ადგილსა და
თქუაჲ სიტყუაჲ დასასრულისა, რომელი იგი, ვითარცა შარავანდედი
მზისა, წარიძღვანა ოჳფლისა მიმართ, ვითარმედ: „ჴელთა შენთა, ოჳფა-
ლო, შევვედრებ სულსა ჩემსა!“ და ესრეთ, დიდად რაჲმე აღმოი-
ფშუნნა ერთგზის ხოლო და მისცა წმიდაჲ სული თჳსი წმიდათა ანგე-
ლოზთა.

ხოლო მოხუცებულნი იგი, ზემო კსენებულნი პატიოსანნი, ერთსა
ვისმე მღდელთაგან, თავით კერძო ნეტარისა მის მდგომარესა, ეტყოდეს,
რათა დაახსნეს ჴელნი თუალთა მისთა წმიდათა, განმანათლებელთა ჩუენ-
თა, ხოლო იგი, განცჳფრებული და ვითარცა გონებაჲ წილებული, აქა და
იქი იხედვიდა და მკსინვარედ ეტყოდა ბერთა მათ, ვითარმედ: „სძინავს მა- 256
მასა ჩუენსა!“ ხოლო მას არავისი მსახურებაჲ ეკმარებოდა.

ბარნა ამიერითგან ვითარმე გითხრა, თუ რაბაჲმი ამბოხი და შფო-
თი იქმნა და ტყებაჲ და ყივილი უჭესო! ენაჲ ჩუენი ვერ შემძლებელ არს
მითხრობაჲდ, რაჟამს იგი მოეცვა გვამი მის ნეტარისა მის მიერ ცხოვნე-
ბულთა მათ მღდელთა და დიაკონთა, და ობოლთა მათ წუთ ჩჩჳლთა,
რომელნი იგი წუთ კმითა წულილითა და ენითა მბრგუნვალითა იტყო-
დეს, და მამით და მოძღვრით ხადოდეს, ვითარმედ: „ვაჲ ჩუენდა, ვაჲ
ჩუენდა შენ მიერ, ჲ მამაო! რაჲ ესე შემამთხჳე ჩუენ, ვითარმედ სადაჲ
შემკრიბენ და აღგუზარდენ ანუ აწ სადა დაგჳტევენ და დაგუფან-
ჩჳნ!“

მღდელნი და დიაკონნი კელთა მათ მისთა წმიდათა ამბორს უყოფდეს და თუალთა მათთა ზედა დაისხმიდეს, და რომელნიმე ცრემლთა წილ სისხლთა დასთხევდეს გუამსა მისსა ზედა წმიდასა და იტყოდეს: „ვაჲ ჩუენდა, ვაჲ ჩუენდა, ჲ წმიდაო! რამეთუ ვიდრე შენ ჩუენთანა იყავ, ღამენიცა დღენი იყუნეს, ხოლო აწ, რაჲ განგვეშორე, დღენიცა ღამე არიან!“ ამას და ამისსა უმრავლესსა კმითა საწყალობელითა იტყოდეს და ანასდათსა მას დაქცევასა და უკანასკნელსა ობლობაჲსა იტყოდეს, და ვითარმცა არა იგლოვდეს, რამეთუ ოთხმოცსა სულსა ერთი წინამძღვარი ჰყვანა სულისა და კორცისა, ვითარცა ზემო ვთქუ, რომელთა მარჯუენე და მარცხენე არა უწყოდეს, და წინამძღვარი ესე ვითარი თჳთ იყო, და ესრეთ მეყსა შინა უწინამძღრო იქმნნეს, და ესე სადა? ფოლოცთა შინა სამეუფოთა! დაღაცა, თუმცა ქჳსა ვის აქუნდა გული და ანდამატისა მოეგო სული გარეგან საზღვართა ბუნებისათა განსრული, ვითარმცა არა იხილა, ვითარცა ყოველითურთ დაწყლული მოწყლოდებელისა ამის სმენისაგან, აღძრული ბუნებითისა ტკივილისაგან სიღრმედ მწუხარებათა შთასრული!

Აჰამედ, ეჰა უბადრუკებაჲ ჩემი! ვითარისაღა ჟამისათვის დავიმარხე ყოვლად საწყალობელი! და ვითარიღა წინა ედვა ჰირველსა ცსორებაჲსა ჩემსა სიკუდილისა მითხრობაჲად, რომელი იგი არა თავისა თჳსისათჳს ცხოველ იყო, არამედ ღუთისაჲ.

ჰე ჰეშმარიტად დაიძინა ზიარმან ანგელოზთამან, მამამან მან, რომელსა იგი ფრიად უყვარდით ჩუენ და გვწყალობდა ვითარცა შვილთა ჰეშმარიტთა, ვითარცა მოქმედთა ქრისტეს ვენაკისათა, ვითარცა ძეთა მორჩილებისათა; შეისვენა ზოგადმან მოძღუარმან ჩუენმან, ქუყანისა ანგელოზმან და ზეცისა კაცმან, ტაძარმან მან ქაღწულებისამან უბიწომან, მრავალ ფერმან მან და მრავალ სახემან სიბრძნემან სულისამან, კელოვანმან გულის კმის მყოფელმან და ერთგულმან ქრისტეს მსახურმან, ბრწყინვალემან მან თუალმან ქრისტეს გუამისამან, მოთმინებისა მოღუაწემან, წყალობისა წყაროსმან, და განკრძალულმან ოჳფლისაჲ სჯულის მმარხუელმან, და ფასის საცავმან მან სათნოებისამან, რომელი იგი სიტყჳთ ტკბილ იყო და ზრახვით საწადელ; და ვინ შემძლებელ არს სიტყჳთ აღწერად, რაჲთა დენნი და რაჲბამნი სახელნი მიანიჭნა მას საღმრთომან მადლმან, ყოველთა მათ საქმით აღსრულებითა, და ყოველთა მოციქულებრ შეყვარებითა! ეჰა, ეჰა, მარადის სასურველნო, რაჲ არს ჩუენი ესე, გლახაკთა ამათ საიდუმლო! რაჲ არს სიბრძნე ესე ღუთისა გამოუთქმელი!

აწ მინდეს ცრემლნი იერემიას გოდებისანი, და უკეთუ სხუაჲმანცა ვინმე სანატრელთა მათ კაცთაგანმან სიდიდე განსაცდელისა სადამე იგლოვაჲ! აწ მოვედ ჩემდა, ჲ რაქაელ, დედაოჲ ბენიამენისო, სტიროდე შვილთა

257

შენდა და ნუგეშინისცემასა ნუ მიიღებ, ნუ ვითარცა, ბეთლემის ყრმათათჳს, რამეთუ იგინი ღუთისაჲ შეიწირნეს, არამედ ყრმათათჳს, რომელნი ორსავე სიკუდილსა თუალით ხედვიდენ—სულისა და კორცთასა, და არა აქუს ნუგეშინისმცემელი, რამეთუ ერთი აქუნდა და იგიცა მიეფარა; ამისთჳს სტიროდე, ჱ რაქაელ, ვითარმცა არა არიან, ხოლო მე ესრეთ ვიტყოდე ძმათა მიმართ ჩემთა და ყრმათა მოძღურისა ჩემისათა:

„ვაჲმე, ვაჲმე, ძმანო ჩემნო პატიოსანნო, აწ დაგუსკშა პირი იგი, რომელი გუაწურთიდა დღე და ღამე სჯულსა ოჳფლისაჲსა, წარვიდა გონებისა განზრახვა კეშმარიტად ღუთისაჲ მიერ აღძრული, დაწუხნა თუალი იგი მართლიად მხედველი და განმრჩეველი კეთილისა ბოროტისაგან და უმჯობესსა უდარესთაგან, და დადუმნეს ბაგენი იგი მცველნი სჯულისა ოჳფლისასა, შეიკრა ენა იგი ოქრო სიტყუაჲ და საღმრთოჲთა ბრძანებაჲთა კმაჲ მაღლად მღაღადებელი და ბრწყინვალედ მთარგმნელი ღუთივ სულიერთა წიგნთა, დაყუდნა კელი იგი შუენიერად მწერალი, რომლითა განანათლნა ეკლესიანი ჩუენნი, დადგეს ფერკნიცა იგი შუენიერნი განკაფულნი ღამის თევათა შინა ზედგომითა, დაყუდნა გონებაჲ იგი მხილველი და სიღრმეთა სულისათა გამომძიებელი, დაიფარა მიწასა შინა გუამი წმიდაჲ, მოღვაწებისა შრომითა განლეული!

„ხედავთა, თუ ვითარ არიან საქმენი ჩუენნი? მენებაჲ, უკეთუმცა შესაძლებელ იყო, განძლიერებაჲდ უძლურებაჲ ჩემი და ამაღლებაჲდ სიმაღლესა მას თანა განსაცდელთასა და აღტევებაჲდ კმისა რაჲსამე, ვნებისა ამის შემსგავსებულისა, ვითარცა ყვეს ობოლთა მათ და კმითა მაღლითა განსაცდელსა მოძღვრისასა იგლოვდეს, არამედ რაჲმე ვყო გინა ვითარ ვაიძულო ენასა მსახურებად სიტყჳსა, რათა იგი განსაცდელისა ამის მიერ, ვითარცა მძიმეთა რათამე საკრველითა რკინისათა შეკრულ არს, ანუ ვითარ აღვაღო პირი უტყუბითა შეპყრობილი, ვითარ აღუტეო კმაჲ ვნებითა და გოდებითა ძალისა თჳსისაგან დაკსნილი, ვითარ აღვიხილნე თუალნი სულისანი, განსაცდელისა ამის ალმურითა დაბნელებულნი, ვინმცა განმიბნია უკუნი ესე და წყუდიადი მწუხარებისა ბნელი და მიჩუენამცა სიწმიდესა შინა ბრწყინვალე იგი ნათელი მშჳდობისაჲ, ანუ ვინ მოგუფინოს ჩუენ შარვანდედი, ვინათგან დაკდა მნათობი ჩუენი! ჱჰა ბოროტი ესე სიბნელე, რამეთუ მზე, მნათობი ჩუენი დაჰკდაჲ!

ჱჰა, ვითარღა იქმნეს ჩუენდა ადგილსა ამას წინა უკო სიტყუაჲნი ჩუენნი და საქმენი, აწ და პირველ ამისსა, რამეთუ პირველ, ვითარცა მეჭორწინენი, განვცხრებოდეთ, ხოლო აწ, ვითარცა საწყალობელნი, გლოვისა ამისთჳს სულთ ვითქუამთ! ანუ თუ მცირე არსა ჩუენ ზედა მოწევნული ესე ბოროტი? ანუ ამაოდ ნუ ვიტყებთა და განვიწირვით! ანუ თუ უფ-

როსღა ვერ მივსწუთებით თავსა ამის ვნებისასა, დაღაცათუ უფროს ავამაღლნეთ სიტყუანი და კმანი ჩუსნნი!

გვავასხენით უკუს, ძმანო, გუავასხენით ცრემლნი წყალობისანი, რამეთუ ოდეს იგი იხარებდით თქუენ, სიხარულსა თქუენსა გეზიარენით ჩუსნ! აწ უკუს მომაგეთ ჩუსნ ბოროტი ესე ნაცვალი, სიხარული მოხარულთა თანა მოგუსცით ჩუსნ, ტირილი მტირალთა თანა მომიზღეთ ჩუსნ!

ზ Ცრემლეოდა ოდესმე უცხო თესლი იგი ერი, მამათ მთავრისა Ია-
258 კობისთჳს, და უცხო იგი განსაცდელი, ვითარცა თჳსი, განესაკუთრა, რამეთუ იგი, შემდგომად სიკუდილისა, ძეთა მისთა ეგჳპტით გამოიყვანეს, და ყოველი იგი ერი უცხო ამის განსაცდელისათჳს უცხოსა შინა ქუსყანასა ოცდა ათ დღე და ოცდა ათ ღამე იგლოვდა მას ზედა და მწარედ გოდებდა და ტიროდა.

აწ უკუს, ძმანო, ემსგავსენით უცხო თესლთა მათძმანი ეგე ჩუსნნი და ნათესავნი! ზოგად იყო მაშინ უცხოთა და თჳსთა ტირილი, ზოგად იყავნ აწცა, და რამეთუ გლოვაცა ესე და მწუხარეებაჲ ზოგად არს, ამისთჳსცა, აჰა ესერა, ვითარცა სახილველსა შინა წარმოვიჩინები და წინა ვპიროზ და ვღაღ დებ განსაცდელისა ამის სიმძიმესა და ვიტყჳ: გწყალობ თქუენ, გწყალობ, შვილნო და მოწაფენო ამის ტკბილისა და სახიერისა
ი მამისანო, ხოლო აწ მწარედ დაობლებულნო, მცირედ აღყვავებულნო, ხოლო აწ მსწრაფლ დაჭნობილნო, ბრწყინვალედ განათლებულნო და ბოროტად დაბნელებულნო!

აჰა მე, აჰა, რაჲბამ კეთილ იყო ვიდრე აქამომდე გზაჲ სიტყჳსა ჩუსნისა და, ეჰა, რაბამ სანატრელ იყო, უკეთუმცა ამას პირსა ზედა დასრულდებოდა მოთხრობაჲ ჩუსნი!

ხოლო ამიერითგან, რათა მოუწოდოთ დედათა მტირალთა, ვითარცა იტყჳს ირემია, რამეთუ განსაცდელთა და მწუხარებაჲთა მიერ შეპყრობილისა და აღვსებულისა გულისა სხუაჲთა ოხითა ნუგეშინისცემა შეუძლებელ არს, არა თუ ცრემლთა მიერ და სულთქმათა აღსუბუქნეს!

ჳ Უტევეთ უკუს, ნუგეშინისმცემელნო, უტევეთ და ნუ განამრავლებთ
ნ ნუგეშინისცემასა, რათა წრტიალად და მწარედ იგლოვნ ობოლთა ამათ, და გულის კმაჲ ყონ დაჰირვებაჲ ესე, რომელი დაჰპირდა მათ, დაღაცათუ არა გამოუცდელ არიან განბოროტებაჲსა მისსა, ღვაწლთა მათ მიერ მოღუაწისათა დაჩუსულთა, რამეთუ გაკსოვს განაღა, თუ ვითარ თქუსნდა მომართ თქმულმან ამან სიტყუამან ჩუსნმან ღუაწლნი იგი მაღლისა მის კაცისანი მიგითხრნა თქუსნ!

მწუხარე იქმნეს ოდესმე ისრაჱლნიცა, რაჟამს იგი აღიტაცა ზეცად ელიაჲ, არამედ ნუგეშინისცემდა განშორებაჲსა მისსა ელისე ხალენითა მოძღურისათა შემკობილი, ხოლო აწ სალმობაჲ ესე ზეშთა არს კურნებისა, რამეთუ ელია ამაღლდა და ელისე არა დაშთაჲ, უწყი, რამეთუ არა უმეცარ ხართ სიტყუაჲთა მათ და კმათა იერემიასთა, რომელთა იგი იტყოდა გოდებით მოოკრებისათჳს იჷრუსალიმისა, რამეთუ სხუაჲთა მათ თანა გლოვათა ესეცა შესძინა და თქუაჲ, ვითარმედ: „გზანი სიონისანი იგლოვჲთო“, და ესე სიტყუაჲ მაშინ ითქუაჲ მის მიერ, ხოლო აწ ჩუენ ზედა აღესრულა.

რამეთუ რაჟამს განითქჳს ჰამბავი ესე საგლოველი, მაშინ აღივსნენ 19
გზანი უდაბნოსანი გოდებითა მგლოვარეთათა, და მოწაფენი მისნი, შეწუხებულნი მწუხარებითა, კჳსა მას ნინეველთასა აღუტეობდენ, უფროსღა უმეტეს მათსა ტკივნეულ იყუნენ და საწყალობელ, რამეთუ გოდებაჲმან მათმან შიში იგი დაჰცევისა დაკნინა, ხოლო ამათ ბოროტთა დაკნინისა არცა ერთი აჰუს სასოებაჲ თჳსთა ამათ გოდებაჲთა მიერ.

ვიცი სხუაჲცა რაჲმე გოდებაჲ იერემიასი, შემსგავსებული წიგნსა ფსალმუნთასა, რომელი იგი წარტყუენისათჳს ისრაჱლთასა შემზადა, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: „ძეწნთა ზედა დავკიდენით ორღანონი ჩუენნი“, რამეთუ დუმილისა მიერ თავთა თჳსთა და ორღანონიცა თჳსნი დასაჯნეს. ამას უკუე გოდებასა მეცა განვიჩემებ აწ და ვიგლოვ უფროს 20
მათსა, რამეთუ ვხი მდინარეთა ზედა ცოდვისათა, და მათგან წიაღ მყვა- 259
ნებელი ჩუენი არა მაჰუს, და ორღანოთა წიგნთა საღმრთოჲთასა დავკიდებ დუმილისა ძეწნთა, რამეთუ იტყჳს მოციქული პაჲლე: „უკეთუ თარ- 23
გმანი არა იყოს, მკითხველი დუმენო“; რამეთუ ძეწნი ხე არს უნაყოფო, და, ვინათგან დაკჳვა ტკბილი იგი ცხორებისაჲ ჩუენისა ნაყოფი, არა ძეწნ ვიქმნეთ უნაყოფო. ჰე პეშმარიტად, და უქმად და უჭრავად ორღანონი იგი მეტყველებისა ჩუენისანი დუმილისა მიერ შეშათა ზედა დაჰკიდენით!

ხოლო არავინ არს, რომელმანცა მიიღო ნაწუთი ერთი წყლისა და 30
განაგრილა ენაჲ ჩემ სალმობიერი და შემწვარი ცეცხლითა მწუხარებაჲთა-თა! წარკუდა შუენიერებაჲ იგი საწადელი, და დადუმნა კჳაჲ იგი სავსე სიტკბოებითა, და იყუნეს ბაკენი იგი ღუთივბრწყინვალენი, აღფრინდა მადლი იგი განმაბრძნობელი ჩემი; სადა არიან თუალნი ზეცისა სარდუმლოთა მხედველნი! სადა არიან ყურნი იგი საღმრთოჲსა მის კმისა მსმენელნი! სადა არს ენაჲ იგი წმიდაჲ ტკბილად მასწავლელი ცოდვათა სინანულსა! სადა არს ტკბილი იგი მყუდროებაჲ თუალთა მისთა! სადა არს წესიერი იგი დუმილი ბაგეთა მისთა! სადა არს საწადელი იგი მარჯუენე

მისი, რომელი კურთხევასა მას პირისასა სასურველთა მათ თითთა თჳსთა ჯუარის წერითა დაჰბეჭდვიდა!

არამედ აწ გევედრები, შემაშვრენით მე ცრემლნი ჩემნი, დააცხრეთ გონებაჲ ჩემი, რამეთუ ვაგრძნობ, ვითარმედ უფროს ჯერისა განვალ საზღვართაგან გლოვისათა, და ვნებისა ამის სიმძიმითა დედათა მივემსგავსები, არამედ მოვედით ამიერითგან და განუსუბნოთ სასმენელთა თქუბნთა გლოვისაგან და გოდებისა ობოლთასა, დამაშურალთა და საღმრთოთა თხრობათა და ნუგეშინისცემისა სიტყუაჲთა მიმართ მივაქციო გონებაჲ თქუენი, დაღაცათუ რაჟაელ ღაღადებს, რომელ არს ეკლესია და კმობს ძლიერად და გოდებს დაობლებისათჳს შვილთა თჳსთასა.

ვინაცა ჯერ არს, რათა ამიერითგან მოვაქციო აფრა სიტყჳსა ჩემისა და საეკლესიონი სიტყუაჲნი აღმოვთქუნე.

რამეთუ არა მიგვეღო ჩუბნ მოძღუარი ჩუბნი, არცა წარვიდა ჩუბნგან, არამედ შორის ჩუბნსა მდგომარე არს, დაღაცათუ ჩუბნ არა ვხედავთ მას, და წმიდასა მას შიდა წმიდათასა შევიდა მამა ჩუბნი და შინაგან კრეტ საბმელისა, სადა იგი წინამორბედად ჩუბნდა შევიდა ქრისტე, დაღაცათუ დაუტევა კრეტსაბმელი იგი კორცთა თჳსთა, არამედ არღარა საბით და იგავით ჰმსახურებს ზეცისათა მათ, არამედ თჳთ მას ხატსა საქმეთასა განიცდის, არღარა სარკითა და სახითა, არამედ პირსა ღუთისაჲსა პირის პირ ხედაჳს და მეოხ არს ჩუბნთჳს წინაშე მისსა შვილთა და მოწაფეთა თჳსთაჲთჳს.

განიძარცვა უკუბ ტყავისა სამოსელნი, და რამეთუ სამოთხისა მკჳდრთა არცა თუ ეცმარებიან ესე ვითარნი სამოსელნი, არამედ იგი სამოსელნი ჰმოსიან მას, რომელნი იგი სიწმიდითა ცხოვრებისა თჳსისათა უქსოვნა თავსა თჳსსა და მოიხუნა ღუთისაგან; ჟეშმარიტად, ესე ვითარისა კაცისა სიკუდილი პატიოსან არს წინაშე ღუთისა და, უფროსღა, არცაღა თუ სიკუდილი არს, არამედ განხეთქა საკრველთა, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „განხეთქენ საკრველნი ჩემნი“; განტევებულ იქმნა სიმეონ და განთავისუფლებულ იქმნა საკრველთაგან კორცთასა, საბრკე შეიმუსრა და ხოლო სირი აღფრინდა, დაუტევა ეგვპტე, რომელ არს ცხოვრებაჲ ესე ნივთიერი, და წიაღვლო არა თუ ზღუაჲ იგი მეწამული, არამედ შავი ესე და წყუდიადი ზღუაჲ ამის საწუთროსა, შევიდა ქუბყანასა მას აღთქმისასა, რომელ არს ზეცათა იჩრუსალიმი, მთასა მას ზედა სიბრძნისმეტყუბლებს ღუთისაჲ თანა, წარიკადა კამლი სულიერი და რათა საღმრთოთა მით სლვითა გონებისათა, წმიდასა მას ქუბყანასა შინა უნივთოდ იმოთხვიდეს, რომელსა იგი შინა იხილვების ღმერთი, და თჳსთა საკუთართა ხედავს და განუსუბნებს.

ესე ვითარი ნუგეშინისცემა გაქუნდინ თქუჱნ, ძმანო, რომელნი ეგე ძუალთა იოსებისთა ქუჱყანისა მის კურთხევისასა აღიყვანებთ, ესე იგი არს თქუჱნ, რომელთა ეგე გუამი წმიდაჲ ამის ნეტარისა მთაწმიდლას წარგყავს“.

Ხოლო აწ ჟამი არს თქმად, თუ ვითარ იქმნა წარსლვა ჩუჱნი მთაწმიდაჲს და კუალად მოჴსენებაჲდ პეტრე პატრიკისა პატრიკ ყოფილისა, ნუგეშინისცემასა, და შემდგომად ღმრთისაჲ მოღუაწებაჲსა და ჴელის აღპყრობაჲსა, რომელ ჩუჱნ ზედა აჩუჱნა.

ხოლო ვითარცა განვიდა ჴორცთაგან წმიდაჲ მამა ჩუჱნი და წარვიდა წინაშე ღმრთისაჲ, მეყსეულად ვაცნობეთ წმიდასა მამასა პეტრეს, ხოლო მან, მოძღურის მოყუარემან და, უფროისღა ვთქუათ თუ, ღმრთის მოყუარემან, ვითარცა გულის ჴმაჲ ყო ანასდათი ესე დამლევანი დაქცევა ჩუჱნი, იწყლა სასტიკად სული მისი, არამედ წელნი მოირტყნა და მსწრაფლ შევიდა მეფისა, მიუთხრა საკჳრველი ესე სასმენელი, ვითარმედ: „წმიდაო მეფჱო, მშჳდობაჲ თქუჱნთანა და სიხარული საუკუნო შვილითურთ, ხოლო წმიდაჲ იგი ბერი, რომელმან გუშინ ოთხმეოცი ობოლი თქუჱნ შემოგვედრა, აწ თჳთ იგი ჴელთა ღმრთისაჲთა შევედრებულ არს, რამეთუ მიიცვალა, შენ, ქუჱყანისა მეფემან, ზეცისა მეფისა წარჰგზავნე, გუშინ, ამას ჟამსა, შენ მიერ ითხოვდა განტევებაჲსა, დღეს, საკრველთაგან ჴორცთა თჳსთასა განტევებული, ზეცისა ნავთსადგურად მიცვალებულ არს, გუშინ შენ გევედრებოდა შეწყალებაჲდ ობოლთა თჳსთა, ხოლო დღეს შენთჳს ევედრების მას, რომელი იგი მამა არს ობოლთა და მსაჯული ქურივთა და მეუფჱ მეფეთა ქუჱყანისათა“.

ესმნეს რაჲ ესე სიტყუაჲნი ღმრთის მსახურსა მეფესა, განკჳრდა ფრიად და დადუმნა ჟამ ერთ, და მერმე თქუაჲ სამგზის: „დიდებაჲ ღმერთსა, დიდებაჲ ღმერთსა, დიდებაჲ ღმერთსა! რამეთუ სულნი წმიდათანი ჴელთა შინა ღმრთისაჲთა არიან, ვითარცა ნეტარისა ამის ბერისანი; ნეტარ ხარ შენ, წმიდაო ბერო, რომელი ეგე წარხუედ წინაშე ღმრთისაჲ, არამედ ვესავ ლოცვათა შენთა წმიდათა, რამეთუ ყოველი ნებაჲ შენი კეთილად აღვასრულო!“ და მეყსეულად ბრძანა მოღებაჲდ პიტაკი, რომელი იგი მას წმიდასა ჴელითა თჳსითა მიეცა, ხოლო წერილ იყო ესრეთ, ვითარმედ: „წმიდაო მეფეო, ეგე ობოლნი, ვითარცა შუჱნის ღმრთისმსახურებაჲსა შენსა, ეგრეთ შეიწყალენ და დაარჩინენ მლოცველად სულისა შენისა და შვილთა თქუჱნთა მზეგრძელობისა, და მონასტერსა მთაწმიდისასა, სალოცველსა თქუჱნსა, ოქროჲ ბეჭედი შეუქმენ დასამტკიცებელი ყოველთა ოქრო

ბეჭედთა, რათა ყოველითურთ თავისუფალ და შეუვალ იყოს და ობოლნი ესე იზრდებოდენ მას შინა, და ყოველნი მკვდრნი მისნი გლოცვიდენ ვიდრე უკუნისამდე". ესე რაჲ აღმოიკითხეს და გულის კმაჲ ყო მეფემან ძალი საქმისა, მსწრაფლ უბრძანა მროტონოტორსა თჳსსა შექმნად ორთა ოქრო ბეჭედთა მტკიცეთაჲ და უცვალებელთა,—ერთსა, ვითარცა წმიდაჲ ბერი ვედრებულ იყო, დასამტკიცებელსა ყოველთა ოქრო ბეჭედთასა, რომელი იგი წინააღუდგების და გარე უკუნ აქცევს, უკეთუ რაჲ ვისმე ენებოს ამის წმიდისა ლავრისა ვნებად, სირცხჳლითა აღავსებს; ერთი ოქრო ბეჭედი ობოლთა ამათ შეუქმნა, რათა არავინ იკადროს მათ მონასტრით განყოფნებაჲდ, გინა სხუაჲდ რაჲდმე ვნებაჲდ, არამედ რათა იზრდე-
261 ბოდენ მონასტერსა შინა, ვითარცა შჳლნი და მკვდრნი წმიდისა ეკლესიისანი; ესე ორნივე ოქრო ბეჭედნი მოსცნა ნეტარსა პეტრეს და კეროსნები დიდ დიდი და სანთლები ფრიად, და საკუმეველი სურნელი მრავლად მუშკაროვანი და ალვაჲ; ესე ყოველი მოიღო პატიოსანმან მან ბერმან პეტრე; ებრძანა მეფესა, ვითარმედ: „ყოველივე ესე მკერდსა მისსა ზედა წმიდასა დასდევ და შენდობაჲ მითხოვე, ვითარცა ცხოველისაგან, და არქუ ესრეთ, ვითარმედ: „აჰა ესერა ბრძანებაჲ შენი აღმისრულებიეს უფროს თხოვისაცა შენისა, და აწ, გევედრები, ნუ დამივიწყებ წინაშე ღუთისაჲ".

ხოლო მორავიდა პეტრე, და ბრძანებაჲ ესე მეფისა აღასრულა, ხოლო თჳთ თუ რაჲსა არა იქმოდა ანუ რაჲსა არა იტყოდა გუამსა ზედა მის წმიდისასა! და, ვითარცა ცხოველსა ესრეთ ემდურვოდა და ფერკთა მისთა ცრემლით დაალტობდა; და უკეთუმცა არა მეშინოდა, და ნუ უკუნს ძლით მცირედ რაჲმე დაშრეტილი იგი სანთელი გოდებისა კუალად აღვაგზნა და შევაწუხნე ყოველნიმცა ამის ნეტარისა კაცისა სიტყუაჲნი ლმობიერნი და ცრემლნი მკურვალენი ცრემლით მიგითჳრნე, არამედ ვირჩიე წუთ ერთ განსუსნებაჲ თქუსნი!

ხოლო ესრეთ რაჲ ვიყუსნით და წმიდაჲ იგი გუამი მისი წინაშე იდვა, მას ოდენ ჟამსა მოიწია დედაკაცი ვინმე მოწაფე ამის წმიდისაჲ, დაჲ შარსმანისი და ჩოხჩანელისა, რომელი ვერ ეწიფა ხილვასა მისსა, ვიდრეღა ცოცხალ იყო წმიდაჲ იგი; ესე მორავიდა, მრავლითა ცრემლითა და გოდებითა დაალტვნა წმინდანი ფერხნი მისნი და მდურვით ეტყოდა წმიდასა მას, ვითარცა ცოცხალსა: „ჱ წმიდაო, რაჲ ესე მიყავ მე უბადრუკსა ამას, რამეთუ მჭმნდეს მრავალნი გულის სიტყუაჲნი, რამეთუ მრავლით ჟამითგან არა მეხილვა წმიდაჲ პირი შენი!" და ესრეთ, ფრიად შეწუხებული და მგლოვარე წარვიდა სახედ თჳსად, და დაწერნა ყოველნი გულის სიტყუაჲნი თჳსნი და დაბეჭდა მას ზედა და ხვალისა დღე კუალად მოვიდა და

მოიღო წიგნი იგი და დადვა მკერდსა ზედა მის წმიდისასა, და საკუმეველი სურნელი და სანთელი მრავალი, და ძმათათჳს ევლოგია ნუგეშინისაცემელად, და კუალად მრავლითაჲ ცრემლითა ამბორს უყო ფერკთა მისთა და ლმობიერითა სიტყჳთა და სულთქმითა სულისათა, ვითარცა ცხოველსა, ემდურვოდა წმიდასა მას, და წიგნი იგი აღიღო და მომცა მე და მრქუაჲ ესრეთ: „და ცრემლით შეგივრდები, ძმაო პატიოსანო, რათა ფარაგსა შინა წმიდისასა შთადვა ესე და მე მრწამს ღუთისა, ვითარმედ წმიდამან ამან, რაჲ იგი წიგნსა ამას სწერია, აღკოცოს და მომიტეოს“; და ესრეთ, ცრემლითა შესვარულმან, ამბორს უყო კელსა მისსა წმიდასა და იკურთხაჲ მისგან, და სულთქმით და ცრემლით წარვიდა სახედ თჳსად; ხოლო მე მოვიღე მცნებისა მისთჳს და შთავდევ ფარაგსა შინა მის წმიდისასა.

ხოლო შემდგომად ამის ყოვლისა შთაუსენეთ გუადრუცსა შინა, შემხადებულსა ძელთაგან ულპოლველთა, წმიდაჲ იგი გუამი მისი, და ნებითა ღუთისათა წარმოვემართენით ზღჳთ მთაწმიდას, და, ვითარცა მივიწიენით ადგილსა მას, რომელსა Ექსამილი ეწოდების, კმელით წარმოვედით გზისა და შიშისათჳს ყაჩაკთასა. ხოლო Ექსამილი ამისთჳს ეწოდების, რამეთუ იმიერით ზღჳთ ვიდრე ამიერად ზღუაჲდმდე ექუსი მილიონი არს. ესრეთ, ვითარცა ვთქუთ, კმელით წარმოვედით, ვითარცა ვთქუთ, ექუსა მას მილიონსა ურ[ე]ებითაჲ.

ხოლო ერთსა ურემსა ზედა, ყოველთა უფროსსა, დავდგით კიდობაჲნი იგი მამისა ჩუენისა, წიგნნი მისნი ყოველნი, და სხუაჲ რაცა საკურთხეველისა სამსახურებელი იყო, და წარმოვემართენით; ხოლო ვიდოდეთ ესრეთ: რამეთუ ოთხ კერძო გარემოდგომილ ვიყვენით, ვითარცა პირველ კიდობაჲნსა სჯულისა ოქტლისა. ხოლო წინა კერძო მოვიდოდეს წულილნი დიაკუანნი, ხოლო უკანა კერძო—მღდელნი და სხუაჲნი მოხუცებულნი ბერნი; და ესრეთ, ფსალმუნითა და გალობითა და სულიერითა შესხმითა ვიდიდებდით ღმერთსა და წმიდასა მას უგალობდით.

